

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

# მოამბე

## VII
(52-B)

თბილისი
2016



ტონდო წმ. მამაის გამოსახულებით. გელათი, XI ს.
Tondo with representation of Saint Mamas. Gelati, 11th c.

# საქართველოს მუზეუმის

# მოამბე

ტომი I.

(1920—1922).

---

# BULLETIN DU MUSÉUM DE GÉORGIE

t. I.

(1920—1922).

---

ტფილისი.
ტ. ს. ს. ს. პოლიგრაფგანყოფილების მე 3 სტამბა.
1922

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

# მ ო ა მ ბ ე

VII

(52-B)

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია

გამოდის 1920 წლიდან

# BULLETIN

of the

## Georgian National Museum

VII

(52-B)

Series of Social Science

Issued since 1920

თბილისი 2016 Tbilisi

უაკ (UDC) 069(479.22)(051.2)
902+903+737+736.2+39+904+93/94+930.27+7
ს-323
G-37

**სარედაქციო კოლეგია:** დავით ლორთქიფანიძე, ზურაბ თვალჭრელიძე, ნოდარ ბახტაძე, ნანა ბურჭულაძე, იულონ გაგოშიძე, დარეჯან კაჭარავა, დავით ლომიტაშვილი, გიორგი მარსაგიშვილი, დავით მინდორაშვილი, ელდარ ნადირაძე, ზაზა სხირტლაძე, ნოდარ შოშიტაშვილი, მედეა წოწელია, ოთარ ჯაფარიძე

**Editorial Board**: David Lordkipanidze, Zurab Tvalchrelidze, Nodar Bakhtadze, Nana Burchuladze, Iulon Gagoshidze, Darejan Kacharava, David Lomitashvili, Giorgi Marsagishvili, David Mindorashvili, Eldar Nadiradze, Zaza Skhirtladze, Nodar Shoshitashvili, Medea Tsotselia, Otar Japaridze

**სარეცენზიო საბჭო:** ლუიზა გვრიტიშვილი, ელენე კავლელაშვილი, ნინო კალანდაძე, გულიკო კვანტიძე, ეკატერინე კიკნაძე, ირინა კოშორიძე, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მურღულია, ელდარ ნადირაძე, ლეილა ფანცხავა, მამუკა ქაფიანიძე, ციალა ღვაბერიძე, მედეა შეროზია, ნინო ჩიხლაძე, ვახტანგ ცინცაძე, ნინო ხუნდაძე, ქეთევან ჯავახიშვილი, მინდია ჯალაბაძე

**Review Committee:** Nino Chikhladze, Tsiala Ghvaberidze, Luiza Gvritishvili, Mindia Jalabadze, Ketevan Javakhishvili, Nino Kalandadze, Mamuka Kapianidze, Elene Kavlelashvili, Nino Khundadze, Ekaterine Kiknadze, Irina Koshoridze, Guliko Kvantidze, Besik Lortkipanidze, Eldar Nadiradze, Medea Sherozia, Vakhtang Tsintsadze, Nikoloz Murgulia

**რედაქტორი:** ზურაბ თვალჭრელიძე
**Editor-in-chief:** Zurab Tvalchrelidze

**პასუხისმგებელი მდივანი:** მედეა წოწელია
**Executive secretary:** Medea Tsotselia

ISSN 1512-1895

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2016
Georgian National Museum, 2016

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბის წინამდებარე ტომი წარმოადგენს საქართველოს მუზეუმის მოამბის (1920-1935 წწ), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1936-1944 წწ) და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1947-2004 წწ) ტრადიციული, სერიული გამოცემების გაგრძელებას – საზოგადოებრივი მეცნიერების მიმართულებით.

ტომში წარმოდგენილია ნაშრომები ისტორიის, არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, გლიპტიკის, ეთნოგრაფია/ეთნოლოგიის, ხელოვნების ისტორიისა და სამუზეუმო საქმის შესახებ, რომლებშიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული.

ტომს ერთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2016 წლის ქრონიკა.

The present volume of the Bulletin of the Georgian National Museum is continuation of the traditional, social sciences serial, publications of the Bulletin of the Georgian Museum (1920-1935), the Bulletin of the Georgian State Museum (series of social sciences – B, 1936-1944) and the Bulletin of the Simon Janashia Georgian State Museum (series of social sciences – B, 1947-2004).

The volume presents papers dealing with history, archaeology, numismatics, gliptics, ethnography/ethnology, art history and about Museum activities issues in which the main aspects of Georgian cultural heritage are discussed.

The issue is supplied with 2016 year chronicle of the Georgian National Museum.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 6-30
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 6-30

## არქეოლოგია

**რევაზ კვირკვაია,* რევაზ დავლიანიძე,** ნინო ჩხარტიშვილი****

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის კვლევის ცენტრი
დ. უზნაძის ქ. 14, 0102, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: rezokvirkvaia@mail.ru
**საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: rezodavlianidze@mail. Ru
**საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nino. chkhartisvili.1@iliauni.edu. ge

# არქეოლოგიური კოლექციები სოფ. ბორიდან

სოფელმა ბორმა[1] და იქ აღმოჩენილმა ნივთებმა ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში მიიქცია მეცნიერთა და საზოგადოების ყურადღება როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 1902 წელს[2] სოფლის მახლობლად სავენახე მიწის დამუშავებისას ივანე პავლაძემ და მისმა შვილებმა ერმანოზმა და არჩილმა აღმოაჩინეს ძვირფასი ნივთები და მათ შორის ვერცხლის თასი, რომელზეც გამოსახულია საკურთხევლის წინ მდგომი ცხენი. თასზე წარწერაა: „ბუზმიჰრ კეთილი პიტიახში." წარწერა, რომელიც ე.წ. არმაზული დამწერლობის ნიმუშია, სხვადასხვა დროს წაიკითხეს ა. ბორისოვმა, შ. ამირანაშვილმა, გ. წერეთელმა და პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე სხვადასხვა დროით დაათარიღეს: ა. ბორისოვმა - IV ს-ით, შ. ამირანაშვილმა - I ს-ით, ხოლო გ. წერეთელმა - II ს-ის მეორე ნახევრით. პირველი ცნობა ამ აღმოჩენის შესახებ გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნდა [გაზ. „ივერია." 1902: № 131].

ამის შემდეგაც პავლაძეებს გაუგრძელებიათ „განძის ძიება" და 1903 და 1907-1908 წლებში უნახავთ არაერთი მეტად საინტერესო არტეფაქტი, რომელთა დიდი ნაწილი შემდეგ ქუთაისელ ადვოკატ თომა მაჭავარიანის მეშვეობით პეტერბურგში, სამეფო ერმიტაჟში აღმოჩნდა[3].ნაწილი

---

1 სოფ. ბორი მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კიცხის თემში, მესხეთის ქედის ჩრდილოეთ მთისწინეთზე, მდ. ბორიმელას მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 400 მ სიმაღლეზე. ხარაგაულიდან დაშორებულია 10 კმ-ით.

2 იმ დროს ბორი ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში შედიოდა.

3 თომა მაჭავარიანი პავლაძეებისაგან პერიოდულად ყიდულობდა ბორში აღმოჩენილ ნივთებს - მისხალ ოქროს თორმეტ აბაზად, ხოლო მისხალ ვერცხლს ორ შაურად [ბერიძე-პავლაძე დ, პავლაძე გ. 2014. გვ. 51].

ნივთებისა გრაფ ბობრინსკის განკარგულებით იმპერატორ ალექსანდრე მესამის საეთნოგრაფიო მუზეუმში გაიგზავნა, ნაწილი კი რუსეთის არქეოლოგიური კომისიის კავკასიის განყოფილებამ შეიძინა.

1909 წელს ცნობილ რუს ხელოვნებათმცოდნეს, იაკობ სმირნოვს, რომელიც იმ დროს კავკასიაში იმყოფებოდა და ნიკო მარის ექსპედიციაში მონაწილეობდა, პეტერბურგიდან მიუღია დავალება, შეემოწმებინა აღმოჩენის ადგილი და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი გათხრებიც ეწარმოებინა. სმირნოვი ჩავიდა ბორში და დაადგინა, რომ თომა მაჭავარიანის მიერ შეკრებილი მასალა სულაც არ ყოფილა ერთ ადგილას აღმოჩენილი, არამედ მოპოვებულ იქნა ერთი და იმავე ღარტაფის (Ложбин) სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პიროვნების მიერ, რომლებმაც შემდეგ ისინი მაჭავარიანს დაუთმეს. ამდენად, უეჭველი გახდა, რომ ერმიტაჟში მოხვედრილი ნივთები სხვადასხვა სამარხიდანაა და მათ შორის, შესაძლოა, გარკვეული ქრონოლოგიური სხვაობაც ყოფილიყო. 1913 წელს ი. სმირნოვმა ეს მასალა ისტორიკოსთა ლონდონის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებსაც გააცნო.

ერმიტაჟში დაცულია ბორში აღმოჩენილი 141 ნივთი. აქედან - 26 ოქროსი, 21 - ვერცხლის, 45 - ბრინჯაოსი, 17 - მინისა და ძვლის, 3 - თიხის, 3 - ტახის ეშვი, 1 - ცხენის კბილი, 1 - ნიჟარა და 24 - მონეტა. ეს კოლექცია გამოაქვეყნა პეტერბურგელმა ხელოვნებათმცოდნემ და ნუმიზმატმა ე. პრიდიკმა [Придик Е. 1914: 94-110]. სამწუხაროდ, დღესდღეობით ჩვენ ერმიტაჟსა და რუსეთის სხვა მუზეუმებში დაცული კოლექციების არც სრული გრაფიკული ჩანახატები გაგვაჩნია, არც ფერადი ფოტოები და ძირითადად, ე. პრიდიკის მიერ გამოქვეყნებული შავ-თეთრი ფოტოებით ვკმაყოფილდებით.

ბორის აღმოჩენები, რა თქმა უნდა, არ დარჩენილა ექ. თაყაიშვილის ყურადღების მიღმა. მას ბორში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების სურვილიც ჰქონდა, მაგრამ მიწის მფლობელებისაგან წინააღმდეგობას წააწყდა და ვერც მათ მიერ ნაპოვნი ნივთები შეიძინა. თუმცა სწორედ მან გამოაქვეყნა პირველად ბორის ცნობილი თასი [Такаишвили Е. 1904].

1938 წელს საქართველოს მთავრობის კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილებისა და პირადად ს. ჯანაშიას დავალებით ბორში მცირემასშტაბიანი გათხრები ჩაატარა მ. ივაშჩენკომ. მან დაადგინა, რომ იქ სამაროვანი განფენილია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე და არსებობდა სამარხთა ორი ტიპი: ორმოსამარხები და ქვევრსამარხები.მასვე გაუთხრია ცხენების სამარხები და დაუდგენია ხარის დაკრძალვის ფაქტიც. ეს ყველაფერი ჩვენ ვიცით გ. ლომთათიძისა და გ. ცქიტიშვილის ნაშრომებიდან. გ. ლომთათიძე 1957 წელს გამოსულ მონოგრაფიაში იმოწმებს 1938 წლით დათარიღებულ მ. ივაშჩენკოს ხელნაწერს – „Бори“ [ლომთათიძე გ. 1957: 164], გ. ცქიტიშვილი 1955 წელს დაბეჭდილ სტატიაში კი - 1945 წელს გამოსულ მ. ივაშჩენკოს ამავე სახელწოდების წიგნს [ცქიტიშვილი გ. 1955: 303], ხოლო ა. აფაქიძე 1944 წელს დაბეჭდილ ნაშრომში აღნიშნავს, რომ ბორში „შესამოწმებელი გათხრები” საერთოდ არ ჩატარებულა [აფაქიძე ა.

1944: 442], რაც ცოტა უცნაურად ჩანს. მიუხედავად მცდელობისა, ჩვენ მ. ივაშჩენკოს ვერც წიგნსა და ვერც ხელნაწერს ვერ მივაკვლიეთ.

ბორში XX ს-ის 20-იან წლებშიც ჰქონია ადგილი შემთხვევით აღმოჩენებს. ნაწილი ამ ნივთებისა საჯარო ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილ თანამშრომელს, წარმოშობით ბორელ თამარ მაჭავარიანს, 1931 წელს სახელმწიფო მუზეუმისათვის ჩაუბარებია. დღეს მათი ძირითადი ნაწილი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ძირითად ფონდში და გაერთიანებულია სამ კოლექციაში (№№ 9-31, 14-32 და 18-32). საინვენტარო ჟურნალში აღნიშნულია, რომ მათი ნაწილი (კოლექცია № 9-31) ნაპოვნია 1929 წელს ადგილობრივი გლეხის მიერ, ხოლო ნაწილი ნივთებისა (კოლექცია № 14-32) - 1907 წელს.

1943 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს კვლავ შეუსყიდია ბორში აღმოჩენილი ნივთები [აფაქიძე ა. 1944: 441], რომლებიც ამჟამად ძვირფასი ლითონების ფონდში ინახება (კოლექცია № 16-32). ამავე კოლექციაშია დაცული 1931 წელს შემოსული სარეცლის ფეხის ვერცხლის გარსაკრავიც.

**კოლექცია № 9-31**

**1 (1).[4] ჯიხვის თავის ქანდაკება (საკიდი).** ბრინჯაო, გრძელი, წინა მხარეს გაბრტყელებული დრუნჩით. თვალები გამოსახულია კოპებით. ასეთივე კოპი აზის თავზეც. აქვს გრძელი, გრეხილი რქები, რომლებიც თავთან მრგვალგანივკვეთიანი ღეროთია შეერთებული. თავის უკანა მხარეს, რქების განტოტვის ადგილზე აქვს საკიდი რკალი.

სიგანე რქების განტოტებამდე - 3,2 სმ, მაქსიმალური სიგანე - 6,2 სმ (ტაბ. I-1. სურ. 1.)[5]

**2 (2). ჯიხვის თავის ქანდაკება (საკიდი).** ბრინჯაო, გრძელი დრუნჩით. თვალები არ ეტყობა. თავზე აქვს კოპი. გრეხილი რქები ჯერ ჰორიზონტალურადაა უკან გაშვერილი, შემდეგ კი ვერტიკალურად განტოტვილი. ერთი რქა თავთან ბრინჯაოს ღერაკითაა შეერთებული, მეორე მხარეს კი ასეთივე ღერო მოტეხილია. მოტეხილია აგრეთვე საკიდი რკალი, რომელიც ქანდაკებას უკანა მხარეს, რქების განტოტვის ადგილზე, ჰქონია.

სიგანე რქების განტოტებამდე - 2,4 სმ, მაქსიმალური სიგანე - 5,8 სმ (ტაბ. I-2. სურ. 1).

**3 (3). ფრინველის (მტრედის?) ქანდაკება (საკიდი).** ბრინჯაო, თავი მოხრილ ღეროს წარმოადგენს, რომელზეც ორი კოპია (თვალები) დატანილი. ტანი ნახევრად ღრუა, აქვს ჩაზნექილი ზურგი, აპრეხილი კუდი, გამოზნექილი მკერდი და მოხრილი ფეხები. ზურგზე დარჩილულია საკიდი

4 ფრჩხილებში აღნიშნულია საინვენტარო ნომრები.

5 გრაფიკული ილუსტრაციები შეასრულა ინგა ესვანჯიამ, ფოტოები -გაბრიელ სალნიკერმა.

რკალი.

H - 3 სმ, სიგანე - 3 სმ (ტაბ. I-4. სურ. 2).

**4 (4). ირმის ქანდაკება (საკიდი).** ბრინჯაო, ტანი მოხრილი, ღრუ ფირფიტაა. აქვს გრძელი და წინ გაშვერილი ყელი, ოდნავ შემსხვილებული დრუნჩი, ორად განტოტვილი სამი რქა (ორი - თავის ორივე გვერდითა მხარეს და ერთი - წინა მხარეს, შუბლთან). წინა ფეხები უკანაზე გაცილებით გრძელია. ზურგზე დარჩილულია საკიდი რკალი.

L - 4,5 სმ, სიგანე - 0,5 სმ (ტაბ. I-3. სურ. 3).

**5 (5). საკიდი.** ბრინჯაო, მრგვალგანივკვეთიან ღეროზე ოთხ რიგად დატანილია სამ-სამი და ოთხ-ოთხი მოგრძო კოპი. ღეროს ერთ ბოლოზე აქვს საკიდი რგოლები. საინვენტარიზაციო წიგნში აღნიშნულია, რომ საკიდი წააგავს „ჰერკულესის კვერთხს."[6]

L - 1,8 სმ (ტაბ. 1-6. სურ. 4).

**6 (6). ზარაკი.** ბრინჯაო, პირამიდის ფორმის, მრგვალგანივკვეთიანი საკიდი რგოლით. კორპუსი სუსტად დაღარულია.

H- 3,8 სმ, სიგანე - 1,8 სმ (ტაბ. II-1. სურ. 5).

**7 (7). საკიდი.** ძვალი, შუაში ნახვრეტით. შესაძლოა, ეს იყოს ადამიანის ძალზე სქემატური ქანდაკება.

L - 3 სმ (ტაბ. I-5. სურ. 6).

**8 (11). რგოლი.** ბრინჯაოსი, ბრტყელგანივკვეთიანი, თავებგახსნილი.

d - 7 სმ (ტაბ. III-10. სურ. 7).

**9 (12). რგოლი.** ბრინჯაო, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან.

D - 7 სმ (ტაბ. III-9. სურ. 8).

**10 (13). ფიბულა.** ბრინჯაო, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღეროთი. რკალზე, ერთ ადგილას, დახვეულია წვრილი, ოთხკუთხაგანივკვეთიან მავთული. ენა ბრტყელგანივკვეთიანი და წაწვეტებულია.

L - 1,8 სმ, H - 4 სმ (ტაბ. III-8. სურ. 9).

**11 (14). აზარფეშა.** ბრინჯაო, სახელურიანი, ძირგავარდნილი. ძირი შემკულია რელიეფური კონცენტრული წრეებით.

H - 10 სმ, ძირის D - 14 სმ, პირის D - 21 სმ, სახელურის L - 13 სმ (ტაბ. IV. სურ. 10-11).

**12 (8). მძივები.** სხვადასხვა მასალის (მინა, სარდიონი, პასტა), ზომი-

6 ჩვენი აზრით, უფრო სწორია ტერმინი: „ჰერკულესის კომბალი."

სა და ფორმის: სფერული, ცილინდრული, ბიკონუსური, დაწახნაგებული (ტაბ. VII-4. სურ. 12).

**13 (9). კვირისტავი**. ქვა, ნახევარსფერული.
H - 1,5 სმ, D - 2 სმ (ტაბ. V-1. სურ. 13).

**14 (16). ხელადა**. თიხა, მოყავისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი, შეზნექილი ყელით, გამობერილი მუცლით, ფართო, ბრტყელი ძირით. მხარსა და მუცელზე დაძერწილია ოვალურგანივკვეთიანი ყური.
H -18,5 სმ, პირის D - 5 სმ, ძირის D - 6 სმ (ტაბ. V-3. სურ. 14).

**15 (17). დოქი.** თიხა, აგურისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. პირგადაშლილი (პირის დიდი ნაწილი აკლია), დაბალი, შეზნექილი ყელით, მკვეთრად გამობერილი მუცლით, ბრტყელი და ფართო ძირით. პირსა და მხარზე დაძერწილია ბრტყელგანივკვეთიანი ყური.
H - 14,5 სმ, პირის D - 5 სმ, ძირის D - 6 სმ (ტაბ.V-2. სურ. 15).

საინვენტარო დავთრის მიხედვით ვგებულობთ, რომ თავდაპირველად, ამ კოლექციაში შედიოდა სარეცლის ფეხის ვერცხლის გარსაკრავიც, მაგრამ დღეს ის ძვირფასი ლითონების ფონდშია დაცული და სხვა - № 16-32 კოლექციაშია.

**კოლექცია № 14-32**

**1 (41). მძივები (2 ც.).** პასტა, მწვანე, სფერული, დაღარული. სხვადასხვა ზომის.
1) H - 0,7 სმ, ფუძის D - 0,5 სმ
2) H - 0,5 სმ, ფუძის D - 0,3 სმ (ტაბ.VII-1. სურ. 16).

**2 (43) სამკაული (?).** ბრინჯაო, გასაღების ფორმის. ერთი ბოლო მართკუთხაა, მეორე - მრგვალი. მათი შემაერთებელი ღერაკი კი გრეხილია.
L - 2 სმ, მართკუთხა ბოლოს L - 1,7 სმ, სიგანე - 0,6-0,9 სმ; მრგვალი ბოლოს D - 1 სმ (ტაბ. II-6. სურ. 17).

**2 (60) აბზინდა.**ბრინჯაო, მართკუთხა ფორმის.
L - 2 სმ, სიგანე - 1 სმ (ტაბ. II-5. სურ. 18).

**3 (63) მძივი.** მინა (დავთარში გატარებულია როგორც პასტის), მწვანე, ცილინდრული, ხორკლიანი.
L - 1,1 სმ; D- 0,5 სმ (ტაბ.VII-3. სურ. 19).

**4 (15-17) ზარაკები (2 ც.).** ბრინჯაო, ერთი კონუსური ფორმისაა, გვერდშეჭრილი. წვერი გახვრეტილია და მასში გაყრილია მავთულის ენა, რომელიც შიდა მხარეს დამარყუჟებულია. გარეთა მხარეს კი ამგვარივე მარყუჟით შექმნილია ყუნწი.

H - 1,2 სმ; ფუძის D - 1,5 სმ.

მეორე ცილინდრული ფორმისაა, შედარებით პატარა ზომის, გვერდშეჭრილი. ენა აკლია.

H – ყუნწიანად - 2,2 სმ, L - ყუნწის გარეშე - 0,8 სმ, ფუძის D - 0,8 სმ (ტაბ. II-2,3. სურ. 20-21).

**5 (48) ეჟვანი.** ბრინჯაო, თხელი ფირფიტისაგან დამზადებული. დეფორმირებული, ენა აკლია.

H - 0,7 სმ; ფუძის D - 2,6-3 სმ (ტაბ. II-4. სურ. 22).

**კოლექცია № 18-32**

**1 (21). რგოლი.** ბრინჯაო, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან.

D - 2,6 სმ (ტაბ. III-1. სურ. 23).

**2 (22). რგოლი (საყურე?).** ბრინჯაო, მრგვალგანივკვეთიანი, თავებგახსნილი.

D - 1,5 სმ (ტაბ. III-4. სურ. 24).

**3 (23). რგოლი** (საყურე?). ბრინჯაო, მრგვალგანივკვეთიანი, თავებგახსნილი, თავებგამსხვილებილი.

D- 2 სმ (ტაბ. III-3. სურ. 25).

**4 (25) რგოლი.** ბრინჯაო, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან.

D – 2,4 სმ (ტაბ. III-2. სურ. 26).

**2 (26) ბეჭედი.** ბრინჯაო, ბრტყელგანივკვეთიანი, ოვალური თვალბუდით, დეფორმირებული, თვალი აკლია.

D – 1 სმ, თვალბუდის L – 0,8 სმ, სიგანე – 0,6 სმ (ტაბ. III-6. სურ. 27).

**კოლექცია № 16-32**

**1 (9. 31/15). საყურე.** ოქრო, მტევნისებრი (ტაბ. III-5. სურ. 28).

**2 (25-53/3). მძივები (20 ც.).** სარდიონი, წითელი ფერის, სხვადასხვა ზომისა და ფორმის: ცილინდრული, ბიკონუსური, დაწახნაგებული (ტაბ. VII-5 სურ. 29).

**3 (25-57/2). ფიბულის ფრაგმენტი.** ვერცხლი, (ენა აკლია), მორკალული, ორნამენტირებული (ტაბ. III-7. სურ. 30).

**4 (9. 31/5). სარეცლის ფეხის გარსაკრავი.** ვერცხლი, პროფილირებული. H - 4,5 სმ, ზედა ნაწილის D - 4,5 სმ, ძირის D - 6 სმ (ტაბ. VI. სურ. 31).

ამ ნივთებს მრავლად ეძებნებათ პარალელები და მათი ზოგადი დათარიღებაც არაა ძნელი, მაგ, აქ აღმოჩენილი ჯიხვის თავის ქანდაკებების მსგავსი ნივთები აღმოჩენილია II ს-ით კარგად დათარიღებულ კლდეეთის სამაროვანზე [ლომთათიძე გ. 1957: 89. სურ. 17. ტაბ. VIII-2], არაგვის ხეობაში, ნეძიხისა და ბადრიანების სამაროვნებზე [რამიშვილი ქ. 2007: ტაბ. VII-5-9; XI-1-5], სამთავროს № 540-ე კრამიტსამარხში [მცხეთა ტ. VII. 1985: 70. სურ. 337] და სხვ. თუმცა მსგავსი ნივთები ჩანს, გაცილებით ადრეულ ხანაშიც იყო ცნობილი. რამდენადმე მსგავსი ქანდაკება აღმოჩენილია ჩრდილოეთ კავკასიაში, ყობანის სამაროვანზე და ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [Уварова П. 1900: таб. XXV-7]. ირმის ფიგურასაც ეძებნება პარალელები გვიანკლასიკური ხანის მასალაში, მაგ, მსგავსი ქანდაკება აღმოჩენილია სამცხეში, კლდის ნამოსახლარზე და III-IV სს-ით თარიღდება [წერეთელი მ, ლაფაჩი ც. ... 2009: 31], ასევე მოგვთაკარის სამაროვნის №6 სამარხში [მცხეთა. ტ. VII. 1985: 122. სურ. 672, 681] და სხვა სინქრონულ ძეგლებზე. თუმცა ბორში აღმოჩენილი ირმის ქანდაკება საკმაოდ ორიგინალურია: მას სამი რქა აქვს, რასაც, შესაძლოა, რაიმე აზრობრივი დატვირთვაც ჰქონოდა. პირამიდული ზარაკებიც აღმოჩენილია კლდეეთის სამაროვანზე [ლომთათიძე გ. 1957: ტაბ. X-ა,ბ], არმაზის კულტურულ ფენაში [Мцхета. I. 1958: 201. рис. 134-д] და ასევე გვიანკლასიკური ხანითაა დათარიღებული. დამარყუჟებულენიანი ზარაკები აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე I-II სს-ით დათარიღებულ სამარხებში [ჩიხლაძე ვ. 2015: ტაბ. XVII-236-238;LVI-73-74]. ამავე პერიოდით, I-III სს-ით,უნდა დათარიღდეს ბორის ზემოაღწერილი კოლექციებიც.

ამ ნივთების ნაწილი, კერძოდ, ცხოველისა და ფრინველის ფიგურები, ბრინჯაოს ფიბულა, მძივები და „ჰერკულესის კომბლის" მსგავსი საკიდი გამოაქვეყნა ბ. კუფტინმა [Куфтин Б 1951: таб. 18], თუმცა სპეციალური გამოკვლევა ამ მასალისადმი არ მიუძღვნია.

საყურადღებოა ბორში აღმოჩენილი სახელურიანი ჭურჭელი (ტაბ. IV. სურ. 10-11), რომელიც აშკარად იმპორტული ნივთია. განსხვავებულია ამ ნივთის ქიმიური შემადგენლობაც (იხ. ცხრილი 1). მსგავსი ჭურჭელი მრავლადაა აღმოჩენილი იტალიის, სამხრეთ საფრანგეთის, ზოგადად, ევროპის ტერიტორიაზე, ცნობილია როგორც „კამპანიური ნაწარმი" და I-III სს-ით თარიღდება [Tassinari S. 1975: pl. 15-c, 16-a, 18-c. Лордкипанидзе О. 1964: 199]. მსგავს ჭურჭელს, რომელიც ასევე ბორშია აღმოჩენილი და დღეს ერმიტაჟში ინახება, ოთ. ლორთქიფანიძე რუსულ ენაზე დაბეჭდილ სტატიაში Ковш-ად მოიხსენიებს [Лордкипанидзе О. 1964: 218-219. рис. 13]. ამ სიტყვას ქართულ ენაზე რამდენიმე შესატყვისი აქვს: ციცხვი, ჩამჩა, ტარკოში, ლაპოტი [რუსულ-ქართული ლექსიკონი. 1983: 254]. ჩვენთვის საინტერესო ჭურჭელს ყველაზე მეტად ალბათ „ტარკოში" შეესატყვისება, რომელიც „ტარიან სასმისს" ნიშნავს [ქართული ენის განმარტებითი

ლექსიკონი. 1960: 1268]. ამ სიტყვის სინონიმია „აზარფეშაც" [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1950: 168], რომელიც უფრო მეტად გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში და ჩვენც სწორედ ამ ტერმინს ვამჯობინებთ.

ძირითად ფონდში დაცული ნივთები (კოლექციები №№ 9-31, 14-32 და 18-32) აშკარად სამარხეული ინვენტარის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს სამარხები არ უნდა ყოფილიყო ისეთი მდიდრული, როგორიც XX ს-ის დასაწყისში აღმოჩენილი სამარხები. როგორც ჩანს, I-III სს-ში ბორში რამდენიმე, სულ მცირე, ორი სამაროვანი მაინც უნდა არსებულიყო. ერთ მათგანზე ალბათ წარჩინებული პირები – პიტიახშები, მათი ოჯახის წევრები და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები იკრძალებოდნენ, ხოლო მეორეზე - საზოგადოების რიგითი წევრები. ასეთივე ვითარება იყო იმდროინდელ მცხეთაშიც, სადაც პარალელურად ფუნქციონირებდა არმაზისა და სამთავროს სამაროვნები.

სხვაგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს ძვირფასი ლითონების ფონდში დაცული ნივთები (კოლექცია № 16-32): ოქროს საყურე, ვერცხლის ფიბულა (ნაკლული), სარეცლის ფეხის ვერცხლის გარსაკრავი და სარდიონის შესანიშნავად დამუშავებული მძივები. ისინი, როგორც ჩანს, წარჩინებულ პირთა მდიდრული სამარხებიდან უნდა მომდინარეობდეს. ეს ნივთები, გარდა სარეცლის ფეხის გარსაკრავისა, რომელიც მაშინ ალბათ ჯერ კიდევ №9-31 კოლექციაში იყო, გამოაქვეყნა ა. აფაქიძემ და ერმიტაჟში დაცული კოლექციის თანადროულად (ძვ.წ I - ახ.წ. II სს.) მიიჩნია, რასაც ჩვენც სავსებით ვიზიარებთ. სარეცლის ფეხის ვერცხლის გარსაკრავი კი ანალოგიურია (ოღონდ დეტალებით რამდენადმე განსხვავებული) არმაზისხევსა [Мцхета. I. 1958: таб. LXXVII] და ზღუდერში [ბრაუნდი დ, ჯავახიშვილი ქ. ... 2009: 87] აღმოჩენილი გარსაკრავებისა.

ამავე სტატიაში ა. აფაქიძემ გამოაქვეყნა აგრეთვე ფოტოები ვერცხლის სამი აზარფეშისა (პატერის), ტარზე მგლის თავის სკულპტურული გამოსახულებით [აფაქიძე ა. 1944: 444. სურ 1]. ეს ფოტოები ცნობილმა ფოტოგრაფმა მ. ერმაკოვმა გადაიღო და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფოტოარქივში ინახება (ნეგატივი № 1555-59). თვით ნივთების ადგილსამყოფელი კი უცნობი ყოფილა 1944 წელს და უცნობია ახლაც. ბორში აღმოჩენილი და ერმიტაჟში დაცული მსგავსი ნივთები გამოაქვეყნა ჯერ ე. პრიდიკმა, რომელიც მათ „ბრინჯაოს მასიურ თასს ან ქვაბს" უწოდებს [Придик 1914: 103], ხოლო შემდეგ ოთ. ლორთქიფანიძემ, რომელიც მათ „პატერად" მოიხსენიებს [Лордкипанидзе О. 1964: 215. рис. 10].

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში დაცულია ბორში აღმოჩენილი სამი მონეტა: ვერცხლის პართული ორი დრაქმა (საინვ. №№ 4878, 4879. ფოტები 32-a,b; 33-a,b), რომლებიც ადრე მეფე გოტარზის (ახ.წ 40-51 წწ.) მონეტებად იყო მიჩნეული, ახლა კი არტაბან II-ის (ახ.წ 10-38 წწ.) მონეტებად ითვლება. ერთ-ერთზე მირჩილულია ვერცხლის ყუნწი, რაც მის სამკაულად გამოყენებაზე მეტყველებს. ამგვარი მონეტები ბორში ადრეც იყო აღმოჩენილი და

სწორედ მათზე დაყრდნობით დაათარიღა ექ. თაყაიშვილმა ბორის „განძი" პირველი საუკუნით. მონეტები გამოაქვეყნა თ. აბრამიშვილმა [აბრამიშვილი თ. 1974: 103].

ამავე კოლექციაშია ერთი ოქროს მონეტაც (საინვ. № 3064. სურ. 34-a,b), რომელსაც ე. პრიდიკი და ა. ზოგრაფი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილობრივ მინაბაძად თვლიდნენ, ხოლო გ. გობეჯიშვილი კოლხურ მონეტად მიიჩნევდა, ვინაიდან ასეთი მონეტები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ღებში, კლდეეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში [აფაქიძე ა. 1944: ]. „კოლხურ სტატერებს" უწოდებდა მათ ს. ჯანაშიაც [Капанадзе Д. 1949: 164]. ა.აფაქიძე თვლიდა, რომ მონეტაზე დატანილ „არმაზულ" წარწერაში იკითხება სიტყვა „პიტიახში". თუ მართლაც ასეა, გამოდის, რომ პიტიახშები ფულსაც ჭრიდნენ, რაც იმდროინდელი ძლიერი სამეფო ხელისუფლების პირობებში ძნელად წარმოსადგენია. ა. აფაქიძის ეს მოსაზრება დ. კაპანაძეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულად მიაჩნია [Капанадзе Д. 1949: 165]. მისი აზრით, ეს მონეტები კოლხეთში იჭრებოდა და დაახლოებით სამი საუკუნის განმავლობაში იყო ბრუნვაში [Капанадзе Д. 1949: 160- 162].

ბორში აღმოჩენილი არტეფაქტები თითქოს არ დარჩენილა მკვლევართა ყურადღების მიღმა. მათზე მუშაობდნენ ექ. თაყაიშვილი, ი. სმირნოვი, ე. პრიდიკი, ბ. კუფტინი, მ. ივაშჩენკო, ა. აფაქიძე, გ. ლომთათიძე, ოთ. ლორთქიფანიძე, გ. ცქიტიშვილი და სხვები, მაგრამ სხვადასხვა დროს აღმოჩენილი მასალა ერთიანად არც გამოქვეყნებულია და არც შესწავლილი. არადა, ეს საქმე უაღრესად საჭირო და საშურია. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1944 წელს წერდა ა. აფაქიძე: **„ახალი მასალის გათვალისწინება უკვე ცნობილ კლდეეთისა და სარგვეშის მასალებთან ერთად, სავსებით ცხადყოფს შორაპნის რაიონის არქეოლოგიური ძეგლების სისტემური შესწავლის აუცილებლობას და პირველ რიგში ბორის მასალების თავმოყრის, გამოკვლევისა და ერთად გამოცემის საჭიროებას"** [აფაქიძე ა. 1944: 446-447]. პრობლემა დღესაც აქტუალურია, მაგრამ იმის გამო, რომ მასალის დიდი ნაწილი უკვე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეა, ეს საქმე ალბათ გაცილებით ძნელი მოსაგვარებელია.

**Revaz Kvirkvaia,* Revaz Davlianidze,** Nino Chkhartishvili. ****

*Georgian National Museum, Otar Lordkipanidze Center of Archaeology
D. Uznadze Str., 14, 0102, Tbilisi, Georgia
Email: rezokvirkvaia@mail.ru
**Georgian National Museum
Simon Janashia Museum of Georgia
Rustaveli av. 3, 0105, Tbilisi, Georgia
Email: rezodavlianidze@mail.ru
**Georgian National Museum
Simon Janashia Museum of Georgia
Rustaveli av. 3, 0105, Tbilisi, Georgia
Email: nino.chkhartisvili.1@iliauni

# Archaeological Collections from Bori

## Summary

In 1931 and 1943 accidental finds from village Bori (which is located in west Georgia, Kharagauli municipality) were brought to the Georgian State Museum. These artifacts – bronze zoomorphic statuettes, small bells, phibulae, finger-rings, rings, belt-buckles, a goblet with a handle, beads made of various material, a silver clodding of burial bed legs, a golden ear-ring, pottery, etc. are preserved at the Georgian National Museum, Simon Janashia Museum of Georgia (collection № № 9-31, 14-32, 16-32, 18-32). The aim of the article is to bring this collection into scientific circulation.

In 1902-1907 years the village Bori attracted researchers attention when accidental archaeological finds were identified as grave inventory of governors (Pitiaxes) of one of provinces of Kartli kingdom, their family members and high ranking officials. The archaeological material is now preserved in St. Petersburg Hermitage Museum and is dated back to the 1$^{st}$ century BC -2$^{nd}$ century A.D.

The artifacts brought to the Georgian State Museum in 1931 (collection № № 9-31, 14-32, 18-32), except silver clodding of burial bed leg's that come from graves do not belong to public ofiicers and dignitaries. As to artifacts brought to the Georgian State Museum in 1943 – a grape-like golden ear-ring, silver phibula, semi-precious stone beads, two silver Parthian coins and one imitation of golden stater of Alexander the Great, might be a part of nobles' inventory of upper class.

All collections can be dated back to the 1$^{st}$-3$^{rd}$ cc A.D.

## ცხრილი 1 Table
## (ბრინჯაოს ნივთების სპექტრული ანალიზის შედეგები)[1]

| ნივთი | რეგისტრ. ნომერი | თარიღი | სპილენძი | კალა | ტყვია | რკინა | ვერცხლი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯიხვის თავის ქანდაკება | 9:31-1 | II-III სს | 96,5 | 2,07 | 1,43 | | | |
| ჯიხვის თავის ქანდაკება | 9:31-2 | II-III სს | 96,67 | 1,78 | 1,50 | | | |
| ფრინველის ქანდაკება | 9:31-3 | II-III სს | 61,28 | 1,25 | 37,4 | | | |
| ირმის ქანდაკება | 9:31-4 | II-III სს | 66,23 | 6,32 | 27,4 | | | |
| ზარაკი | 9:36-6 | II-III სს | 95,8 | 1,96 | 2,17 | | | |
| პატერა | | II-III სს | 53 | | 0,33 | 2 | 0,11 | |
| პატერის სახელური | | II-III სს | 56,8 | 26,18 | 0,22 | 1,55 | | |
| პატერის კორპუსის ზედა ფენა | | II-III სს | 52,8 | 34,41 | 0,22 | | | |

## ბიბლიოგრაფია


**აფაქიძე ა. 1944:** *ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან. სსმმ. ტ. XII*-B. თბილისი. გვ. 441-448 (რედ. ა. აფაქიძე).

**ბერიძე-პავლაძე დ, პავლაძე გ. 2014:** *ბორი.* ქუთაისი.

**ბრაუნდი დ, ჯავახიშვილი ქ, ნემსაძე გ. 2009:** *საგანძური ზღუდერიდან.* თბილისი.

**"ივერია."** 1902: გაზეთი. № 131. ტფილისი. გვ. 2.

**ლომთათიძე გ. 1957:** *კლდეეთის სამაროვანი.* თბილისი.

**მცხეთა. ტ. VII. 1985**: თბილისი.

**რამიშვილი ქ. 2007**: *აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები.* თბილისი.

**რუსულ-ქართული ლექსიკონი. 1983.** თბილისი.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. I.** 1950. თბილისი.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VI.** 1960. თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 2015:** *ჟინვალის სამაროვანი.* თბილისი.

**ცქიტიშვილი გ. 1955:** *იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში. იიშ. I.* გვ. 303-311. თბილისი.


1 ანალიზები გაკეთდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში.

**წერეთელი მ, ლაფაჩი ც, კვირკვაია რ, ჯვარიძე გ, ჩოხელი ჯ, კოკოჩაშვილი თ. 2009:** *სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი.* თბილისი.

**Капанадзе Д. 1949:** *О древнейших золотых монетах Грузии.* ВДИ. *№3.* сс. 156-169. Москва. (ред. Н. Мишкин).

**Куфтин Б. 1951:** *Материалы по археологии Колхиди.* Тбилиси.

**Лордкипанидзе О. 1964:** *Италийские бронзевые изделия найдённые на территории древней Грузии.* СА. №1. с. 199-220. Москва.

Мцхета. **I.** 1958: Тбилиси.

**Придик Е. 1914:** *Новые Кавказские клады.* МАР. с. 94-110. Санкт-Петербург.

**Такаишвили Е. 1904:** *Серебреная чаша из Бори.* ИКОМАО. вып *I.* с .172. Тбилиси.

**Уварова П. 1900:** *Могильники Северного Кавказа.* МАК. вып. *VIII.* Москва.

**Tassinari S.1975:** *La Visselle de bronze Romine Et provincial au muse des antiquites nationalis.* Paris.

## ტაბულების აღწერილობა

**ტაბ. I**

**1. ჯიხვის თავის ქანდაკება.** ბრინჯაო

**2. ჯიხვის თავის ქანდაკება.** ბრინჯაო

**3. ირმის ქანდაკება.** ბრინჯაო

**4. ფრინველის ქანდაკება.** ბრინჯაო

**5. საკიდი.** ძვალი

**6. საკიდი.** ბრინჯაო

**ტაბ. II**

**1. ზარაკი.** ბრინჯაო

**2. ზარაკი.** ბრინჯაო

**3. ზარაკი.** ბრინჯაო

**4. ეჟვანი.** ბრინჯაო

**5. აბზინდა.** ბრინჯაო

**6. სამკაული (?)** ბრინჯაო

**ტაბ. III**

**1. რგოლი.** ბრინჯაო

**2. რგოლი.** ბრინჯაო

**3. რგოლი (საყურე?)** ბრინჯაო

**4. რგოლი (საყურე?)** ბრინჯაო

**5. საყურე.** ოქრო

**6. ბეჭედი.** ბრინჯაო

**7. ფიბულა.** ვერცხლი

**8. ფიბულა.** ბრინჯაო

**9. რგოლი.** ბრინჯაო

**10. რგოლი.** ბრინჯაო
**ტაბ IV**
**1. აზარფეშა.** ბრინჯაო
**ტაბ V**
**1. კვირისტავი.** ქვა
**2. დოქი.** თიხა
**3. ხელადა.** თიხა
**ტაბ VI**
**1. სარეცლის ფეხის გარსაკრავი.** ვერცხლი
**ტაბ VII**
**1. მძივი.** პასტა
**2. მძივი.** პასტა
**3. მძივი.** მინა
**4. მძივები.** სარდიონი, მინა, პასტა
**5. მძივები.** სარდიონი

## LIST OF TABLES

### Tab.I.
**1.** Bronze statuette of Caucasian Tur's head
**2.** Bronze statuette of Caucasian Tur's head
**3.** Bronze statuette of deer
**4**. Bronze statuette of bird
**5**. Bone pendant
**6.** Bronze pendant

### Tab. II
**1.**Bronze bell
**2.** Bronze bell
**3.** Bronze bell
**4.** Bronze bell
**5.** Bronze buckle
**6.** Bronze adornments (?)

### Tab. III
**1.** Bronze ring
**2.** Bronze ring
**3.** Bronze ring (ear- ring?)
**4.** Bronze ring (ear- ring?)
**5.** Golden ring
**6.** Bronze finger-ring

**7.** Silver phibula
**8.** Bronze phibula
**9.** Bronze ring
**10.** Bronze ring
**Tab. IV**
**Fig. 1.** Bronze bowl with a handle
**Tab. V**
**1.** Stone spindle-whorl
**2.** Jug, clay
**3.** Small jug, clay
**Tab.VI**
**1.** Silver covering of legs of burial bed
**Tab.VII**
**1.** Glass paste bead
**2.** Glass paste bead
**3.** Glass bead
**4.** Cornelian, glass paste, glass beads
**5.** Cornelian beads

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ჯიხვის თავის ქანდაკებები. ბრინჯაო
**სურ. 2.** ფრინველის ქანდაკება. ბრინჯაო
**სურ. 3.** ირმის ქანდაკება. ბრინჯაო
**სურ. 4.** საკიდი. ბრინჯაო
**სურ. 5.** ზარაკი. ბრინჯაო
**სურ. 6.** საკიდი. ბრინჯაო
**სურ. 7.** რგოლი. ბრინჯაო
**სურ. 8.** რგოლი. ბრინჯაო
**სურ. 9.** ფიბულა. ბრინჯაო
**სურ. 10.** აზარფეშა. ბრინჯაო
**სურ. 11.** აზარფეშის ძირი. ბრინჯაო
**სურ. 12.** მძივები
**სურ. 13.** კვირისტავი. ქვა
**სურ. 14.** დოქი. თიხა
**სურ. 15.** ხელადა. თიხა
**სურ. 16.** მძივები. პასტა
**სურ. 17.** სამკაული (?)ბრინჯაო
**სურ. 18.** აბზინდა. ბრინჯაო

**სურ. 19.** მძივი. მინა
**სურ. 20.** ზარაკი. ბრინჯაო
**სურ. 21.** ზარაკი. ბრინჯაო
**სურ. 22.** ეჟვანი. ბრინჯაო
**სურ. 23.** რგოლი. ბრინჯაო
**სურ. 24.** რგოლი. ბრინჯაო
**სურ. 25.** რგოლი. ბრინჯაო
**სურ. 26.** რგოლი. ბრინჯაო
**სურ. 27.** ბეჭედი. ბრინჯაო
**სურ. 28.** საყურე. ოქრო
**სურ. 29.** მძივები. სარდიონი
**სურ. 30.** ფიბულა. ვერცხლი
**სურ. 31.** სარეცლის ფეხის გარსაკრავი. ვერცხლი
**სურ. 32 a.** ვერცხლის მონეტა (ავერსი)
**სურ. 32 b.** ვერცხლის მონეტა (რევერსი)
**სურ. 33 a.** ვერცხლის მონეტა (ავერსი)
**სურ. 33 b.** ვერცხლის მონეტა (რევერსი)
**სურ. 34 a.** ოქროს მონეტა (ავერსი)
**სურ. 33 b.** ოქროს მონეტა (რევერსი)

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Bronze statuette of CaucasianTur's head
**Fig. 2.** Bronze statuette of a bird
**Fig. 3**. Bronze statuette of a deer
**Fig. 4.** Bronze pendant
**Fig. 5**. Bronze bell
**Fig. 6**. Bronze pendant
**Fig.7.** Bronze ring
**Fig. 8**.Bronze ring.
**Fig. 9.** Bronze phibula
**Fig. 10**. Bronze bowl with a handle
**Fig. 11**. Bronze bowl with a handle (bottom)
**Fig. 12**. Beads
**Fig. 13**. Stone spindle-whorl
**Fig. 14**. Jug
**Fig.15**. Small jug
**Fig. 16**. Glass paste beads
**Fig. 17**.Bronze adornments (?)

**Fig. 18**. Bronze buckle
**Fig. 19**. Glass beads
**Fig. 20**.Bronz bell
**Fig. 21**.Bronze bell
**Fig. 22**. Bronze bell
**Fig. 23**. Bronze ring
**Fig. 24**. Bronze ring
**Fig. 25**. Bronze ring
**Fig. 26**. Bronze ring
**Fig. 27**. Bronze finger-ring
**Fig. 28**. Gold ear-ring
**Fig. 29**.Cornelian beads
**Fig. 30**. Silver phibula
**Fig. 31**.Silver covering of burial bed legs
**Fig. 32 a.** Silver coin (obverse)
**Fig. 32 b.** Silver coin(reverse)
**Fig. 33 a**. Silver coin(obverse)
**Fig. 33 b.** Silver coin (reverse)
**Fig. 34 a.** Golden coin (obverse)
**Fig. 33 b.** Golden coin (reverse)



1



2



3



4



5



6

**ტაბ. II Tab.**



1



2



3



4



5



6


1
2
3
4
5
6
7
8
9
10

**ტაბ. IV Tab.**



1



**ტაბ. V Tab.**



1



2



3

**ტაბ. VI Tab.**



1

ტაბ. VII Tab.



1

2

3

4

5



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.



სურ. 11. Fig.



სურ. 12 Fig.



სურ. 13 Fig.



სურ. 14 Fig.



სურ. 15 Fig.



სურ. 16 Fig.



სურ. 17 Fig.



სურ. 18 Fig.



სურ. 19 Fig.



სურ. 20 Fig.



სურ. 21 Fig.



სურ. 22 Fig.



სურ. 23 Fig.



სურ. 24 Fig.



სურ. 25 Fig.



სურ. 26 Fig.



სურ. 27 Fig.



სურ. 28 Fig.



სურ. 29 Fig.



სურ. 30 Fig.



სურ. 31 Fig.



სურ. 32 Fig.



სურ. 33 Fig.



სურ. 34 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 31-38
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 31-38

**არქეოლოგია**

**ნანა გოგიბერიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: ng–1546@yahoo.com

# ოქროფენილი მძივები დედოფლის გორიდან

ოქროფენილი მძივები პირველად ჩნდება ეგვიპტეში ძვ.წ. V ს-ში [Алексеева Е. 1978:27] და შემდგომ ფართოდ ვრცელდება მთელ ანტიკურ სამყაროში. სადღეისოდ ყველაზე სრულფასოვნად შესწავლილია შესაბამისი არტეფაქტები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან, რომელთაგან ე.ალექსეევა გამოყოფს ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს: ელინისტური (დამზადებულია ცალ-ცალკე და ახასიათებს მომრგვალებული კიდეები) და რომაული პერიოდების (შედარებით უფრო უხეში, ფორმით სხვადასხვაგვარი, დამზადებული ჯაჭვების სახით, რომლებიც შემდეგ სექციებად იჭრებოდა. ამ ჯგუფის ნივთებისათვის დამახასიათებელია სიგრძივი სტრუქტურა და უსწორმასწორო კიდეები ნახვრეტის გარშემო) [Алексеева Е. 1978:28].

დედოფლის გორაზე, ანტიკური ხანის სასახლის იატაკზე გაფანტულ მრავალრიცხოვან საყოფაცხოვრებო ნივთსა და სამკაულთან ერთად აღმოჩნდა ოქროფენილი მძივები[1]. მათ შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებით ე.ალექსეევას მიერ გამოყოფილი პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის ნივთებს მიესადაგება (ტაბ. I. - 9, 12, 15). ამგვარი არტეფაქტების შემცველი კომპლექსები საქართველოში დათარიღებულია ძვ.წ. I ს-ით [თოლორდავა ვ. 1980:53; ჯინჯიხაშვილი გ. 1980:46; მირიანაშვილი ნ. 1983:33]. დედოფლის გორაზე დადასტურებული ოქროფენილი მძივების უმრავლესობა (სიგრძივი სტრუქტურა, უსწორმასწორო კიდეები) ემსგავსება მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის ნივთებს, თუმცა ამგვარი ნიმუშები ძვ.წ. II - ახ.წ. IV სს-ით დათარიღებული ძეგლებიდან მომდინარეობს. ცალკეული კომპლექსები უფრო ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. ასე მაგალითად, არკნეთის №2 სამარხის თარიღი განსაზღვრულია წელთაღრიცხვების მიჯნით [ჯაფარიძე ოთ. 1956:197. სურ.5]. ზაიათხევის სამაროვანი, ზოგადად, ახ.წ. IV ს-ითაა დათარიღებული [Апакидзе А., Николаишвили В. 1991:81]. რაც შეეხება ამ სამაროვნის №18 სამარხს, რომლის ინვენტარის შემადგენლობაში ოქროფენილი მძივებია დადასტურებული, აქ ორი ჩონჩხია გამოვლენილი. მათგან ერთი სამარხის კედლისკენაა მიხვეტილი. კომპლექსის შემადგენლობა-

1 მასალა მოპოვებულია შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ი.გაგოშიძე) და დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდსა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში (1926 წელს ტიტვინიძის მიერ დედოფლის გორაზე მოპოვებულ მასალაში). გრაფიკული ჩანახატები შესრულებულია ელზა გომერელისა და ციცინო თურქიაშვილის მიერ.

ში შედის პოლიქრომული მინის პირამიდული საკიდი, რომლის თარიღი განსაზღვრულია ახ.წ. I-II სს-ით. არაა გამორიცხული, რომ ერთ-ერთი მიცვალებული, რომლის ძვლებიც მიხვეტილია, დაკრძალული იყო არა უგვიანეს ძვ.წ II ს-ში, მით უფრო, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარი საკიდები მხოლოდ ახ.წ. I ს-ის კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი [Алексеева Е. 1978:43].

როგორც გაირკვა, დედოფლის გორის ანტიკურ სასახლეში მოპოვებული ამ ტიპის მძივების გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართოა და მოიცავს პერიოდს ძვ.წ. III ს-დან ახ.წ. III ს-ის ჩათვლით. მათგან რამდენიმე მხოლოდ ახ.წ. I ს-ის ძეგლებზეა დადასტურებული, ზოგჯერ კი მათ არ ეძებნებათ ანალოგები (მაგალითად, შეწყვილებული ბიკონუსური კოპებიანი მძივები. ტაბ.I-16) ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მასალაში. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ განხილული 16 ტიპიდან მხოლოდ ოთხია დადასტურებული დასავლეთ საქართველოში, თანაც ოთხივე გვიანანტიკური ხანის კომპლექებში (ტაბ.I-13,14). ისინი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარსა და მის მიდამოებში, ორჯერ კი და მდ. სუფსის აუზში. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ხანაში ისინი შემოდიოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გავლით, თუმცა არც სახმელეთო მარშრუტებია გამორიცხული. რომაულ ხანაში გავრცელებულია მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის ნივთები და თანაც აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე, როგორც წესი, ეგვიპტური ფაიანსის ამულენტებსა და მძივებთან ერთად. ზოგიერთი მათგანი არ გვხვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მასალაში. ამგვარად, საფიქრებელია, რომ ოქროფენილი მძივების ქართლში შემოღწევის გზები ემთხვევა ფაიანსის ხსენებული ნაკეთობების შემოსვლის გზებს – ტრადიციულ სახმელეთო მარშრუტს ევიპტიდან სირიის გავლით [გოგიბერიძე ნ.1999:107].

## კატალოგი

**მძივი,** (ტაბ.I-1), წრიული, მოყვითალო, გამჭვირვალე მინისა, სიგრძივი ფაქტურით და უსწორმასწორო კიდეებით ნახვრეტის გარშემო. ზომა - 1,0x0,7 სმ, ნახვრეტის D – 0,3 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (საინვ. №27-977:993).

ანალოგები: სამთავროს სამაროვნის №№58 და 210 ქვევრსამარხები. ზოგადი თარიღი - ძვ.წ. II-I სს. თუმცა ქვევრსამარხებში დაკრძალვა აქ გრძელდება ახ.წ. I ს-შიც [თოლორდავა ვ. 1980:53]. ამავე ფორმის წვრილი მძივები დიდი რაოდენობით გამოვლინდა №№34,43 და 227 ქვევრსამარხებში, ასევე რიყიანების ველის №10 ორმოსამარხში, რომლის თარიღი განსაზღვრულია ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით [მირიანაშვილი ნ. 1983:46. ტაბ. XIV-9].

**მძივი,** (ტაბ.I-2), კასრისებური, მოყვითალო, გამჭვირვალე მინისა, სიგრძივი სტრუქტურითა და უსწორმასწორო კიდეებით ნახვრეტის გარშემო. ზომა - 1,0 x0,7 სმ, ნახვრეტის ზომა - 1,0x0,7 სმ, ნახვრეტის D – 0,3 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (საინვ.№27-977:993).

ანალოგები: არკნეთის ძვ.წ. I ს-ით დათარიღებული სამაროვნის

№№2,6,51,58,63 ქვევრსამარხები [ჯაფარიძე ოთ. 1956:197], ბაიათხევის სამაროვნის [Апакидзе А. Николаишвили В. ... 1991:81. табл.186,3] №18 სამარხი, რომლის თარიღზეც უკვე გვქონდა საუბარი; საყარაულო სერის სამაროვნის №7 სამარხი [ჯინჯიხაშვილი გ. 1980:46, ტაბ. XLIV-9); რიყიანების ველის სამაროვნის №10: სამარხი ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევარი [მირიანაშვილი ნ. 1983:33]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები დადასტურებულია მხოლოდ ძვ.წ. I ს კომპლექსებში [Алексеева Е. 1978:табл.26,7];

**მძივები,** ბიკონუსური (ტაბ.I-3), მოყვითალო, გამჭვირვალე მინისა. ზომა - – 0,4X0,6 სმ, ნახვრეტის D - 0,3 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (საინვ.№27-977:993).

ანალოგები: ჩრდილოეთ შვიზღვისპირეთში ამ ტიპის მძივები ჩნდება ძვ.წ. III ს-ში, ფართოდ ვრცელდება ძვ. II ს-ში და არსებობს ახ.წ. I-II სს-ში [Алексеева Е. 1978:31.табл.26,15,16].

**მძივები,** დაბალცილინდრული, ერთმაგი და ორმაგი (ტაბ.I-4), მოყვითალო, გამჭვირვალე მინისა.ზომა - 0,2X0,6 სმ, ნახვრეტის D 0,15; სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. (საინვ. №27-977:993).

ანალოგიები: არკნეთის სამაროვნის №1 სამარხი, წელთაღრიცხვების მიჯნა [მირიანაშვილი ნ. 1983:179]. ჩრდილოშავიზღვისპირული პარალელები მიეკუთვნება ძირითადად ახ.წ. I-II სს-ს [Алексеева Е. 1978:31. табл. 26,17].

**მილაკები,** (ტაბ.I-5), მოყვითალო, გამჭვირვალე მინისა. ზომა - 2,2X0,4 სმ, ნახვრეტის D 0,1 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (საინვ. №27-977:994).

ანალოგები: საყარაულო სერის, ზოგადად, ძვ.წ. III - ახ.წ. I სს-ის სამაროვნის №№3,4 სამარხები [ყაზახიშვილი ლ. 1980:66]; რიყიანების ველის სამაროვნის სამარხები №№10,13. ახ.წ. I ს. [მირიანაშვილი ნ. 1983:33. სურ.11, 18]; კარსნისხევის სამაროვნის №35 სამარხი. ახ.წ. პირველი საუკუნეები [აფაქიძე ან., კალანდაძე ალ. 1978:95-96. სურ.318].

**კასრისებური მძივების** სექციები (ტაბ.I-6) მოყვითალო, გამჭვირვალე მინისა, სიგძივი ფაქტურითა და უსწორმასწორო კიდეებით, ერთწილადი, ორწილადი და მრავალწილადი. ზომა - 0,6X0,3 სმ, ნახვრეტის D-0,1 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (საინვ.№27-977:994).

ანალოგები: საყარაულო სერის №4 სამარხი; ძვ.წ. III – ახ.წ. I ს. [ყაზახიშვილი 1980:66. ტაბ. LI,2,5]; კარსნისხევის სამაროვნის №35 სამარხი. ახ.წ. I სს.[აფაქიძე ან., კალანდაძე ალ.... 1978:95.სურ.318]; ბეჟანბაღის ორმოსამარხი [მამაიაშვილი ნ. 1980:123 ტაბ. XXXII,16]; სამთავროს №63 ქვასამარხი. ახ.წ. I –III სს. [Иващенко М. 1980. სურ.222], წიწამური III სამაროვნის №14 სამარხი. ახ.წ I ს. და II ს-ის დასაწყისი [ნიკოლაიშვილი ვ, ნარიმანიშვილი გ. 1995:75,60. სურ.582] . ჩრდილოეთშავიზღვისპირული პარალელები დათარიღებულია ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ის პირველი ნახევრით [Алексеева Е. 1978:33. табл..26,76]

**მძივები**, (ტაბ.I-7) მოყვითალო მინისა, შედგენილი წვრილი ბისერის სექციებისგან ორ, სამ და მრავალწილადი, სიგრძივი სტრუქტურითა და

უსწორმასწორო კიდეებით. სიგანე 0,2 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (საინვ. №27-977:994).

ანალოგები: კლდეეთი, შემთხვევითი მონაპოვარი. გ.ლომთათიძის აზრით, ამგვარი მძივები ვრცელდება ახ.წ. I ს-ის შემდგომ ხანაში [ლომთათიძე გ. 1957:57. ტაბ.XVIII,2]. შესაბამისი მასალა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან მომდინარეობს ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრის კომპლექსებიდან.

**მძივები,** (ტაბ.I-8), შედგენილი ორი ან მეტი სექციისაგან, უსწორმასწორო კიდეებით, დეფორმირებული, შეცვლილი ფაქტურით ძლიერი ცეცხლის ზემოქმედების შედეგად. ცალკეული სექციების ზომა 0,3X0,4 სმ. 0,2X0,4 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ზღურბლის წინ, თიხით მოლესილ იატაკზე (საინვ. №27-977:994).

ანალოგები: კარსნისხევის სამაროვნის №35 სამარხი. ახ.წ. I სს. [აფაქიძე ან., კალანდაძე ალ....1978:95. სურ.318]; სამთავროს ქვევრსამარხი №63 [თოლორდავა ვ. 1980:53]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები დადასტურებულია ახ.წ. I სს-ის კომპლექსებში [Алексеева Е. 1978:33].

**მძივები,** (ტაბ.I-9) ოთხ-ოთხი დაბალცილინდრული მძივისაგან შედგენილი სექციებით, სიგრძივი ღარებით, ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებით შეცვლილი ფაქტურით. სექციების ზომა - 0,2X0,4 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ზღურბლის წინ, თიხით მოლესილ იატაკზე (საინვ.№ 27-977:1176).

ანალოგები: ვანი, "საგანძური" [ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. 1986:74. ტაბ.48,5,6]; რიყიანების ველის №3 (ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი) და №10 სამარხები (ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი [მირიანაშვილი ნ. 1983:24,33. სურ.5;12). ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში განსაკუთრებით დამახასიათებელია ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ის კომპლექსებისათვის, თუმცა გვხვდება უფრო ადრეულ და შემდგომი ხანის კომპლექსებშიც [Алексеева Е. 1978:31. табл.26,49].

**მძივი,** (ტაბ.I. სურ.10), კოჭისებური, მოყვითალო ფერის, დახშული მინისა, სიგრძივი ღარებით. ზომა - 1,0X0,5 სმ. ნახვრეტის D 0,5 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (საინვ. №27-977:995).

ანალოგიები: ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები მომდინარეობს ძვ.წ. I ს-ის ბოლოსა და ახ.წ. I ს-ის დასაწყისის კომპლექსებიდან [Алексеева Е. 1978:31. табл..26,46]

**მძივი (**ტაბ.I - 11) ცილინდრული, თეთრი, დახშული მინისა, სიგრძივ დაღარული. ზომა- 0,5X0,6 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (საინვ.№27-977:993).

ანალოგები: სამთავროს სამაროვნის №9 სამარხი. სამთავროს მიდამოებში ქვევრსამარხების გავრცელება, ვ.თოლორდავას აზრით, ძვ.წ.II-I სს-დანაა სავარაუდო, თუმცა დაკრძალვის ეს წესი ახ.წ. I სს-შიც აგრძელებს არსებობას [თოლორდავა ვ. 1980:53].

**მძივი** (ტაბ.I-12) კოჭისებური მოყვითალო ფერის, დახშული მინისა, სიგრძივი ღარებით. ზომა - 0,9X0,6 სმ, ნახვრეტის D-0,2სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (საინვ.№27-977:993).

ანალოგები: კარსნისხევის სამაროვნის №6 სამარხი. ახ.წ. I-II სს. [აფ-

აქიძე ან., კალანდაძე ალ. ... 1978:42, სურ. 226], სამთავროს № (S–1940) კრამიტსამარხი. ახ.წ. III ს. [Иващенко М. 1980. рис.239], სამთავროს სამაროვნის № 51 ქვევრსამარხი; ძვ. წ. I – ახ.წ. I სს. [თოლორდავა ვ. 1980:53]; არკნეთის №1 ორმოსამარხი [ჯაფარიძე ოთ. 1956:197]; ნერონ-დრესის სამაროვნის №3 სამარხი ძვ.წ. I ს. [Гагошидзе Ю. 1975:25,26]; საყარაულო სერის სამაროვნის №3 ქვევრსამარხი. ახ.წ. I-II სს. [ჯინჯიხაშვილი გ. 1980:58. ტაბ. .XLII,3], რიყიანების ველის სამაროვნის №3 სამარხი. ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი [მირიანაშვილი ნ. 1983:24. სურ.5]; ქვევრსამარხი სოფ. მუხიანიდან. გვიანელინისტური ხანა [თოლორდავა ვ. 1980:33. ტაბ. XXXI,4]; ჩრდილოეთშავიზღვისპირული პარალელები თავსდება ახ.წ. I-III სს-ის ფარგლბში [Алексеева Е. 1978; табл.26. 24,27].

**მძივი** (ტაბ.I-13) კასრისებური, მოყვითალო, გამჭვირვალე მინისა, დაბრტყელებული, დისკოსებური კიდეებით, სიგრძივი სტრუქტურით, ცეცხლში ნამყოფი, დაზიანებული. ზომა - 1,3X1,0-0,5, კიდეების D-0,7 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ზღურბლის წინ, თიხით მოლესილ იატაკზე (საინვ.№ 27-977:1176).

ანალოგები: რიყიანების ველის სამაროვნის №3 სამარხი. ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი [მირიანაშვილი ნ. 1983:24. სურ.5]; ქვევრსამარხი სოფ. მუხიანიდან. გვიანელინისტური ხანა [თოლორდავა ვ. 1980:33. ტაბ.XXXI,4]; არკნეთის №1 ორმოსამარხი [ჯაფარიძე ოთ. 1956:197]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში დამახასიათებელია ახ.წ. I-III სს-თვის [Алексеева Е. 1978:32. табл.26.70].

**მძივები** (ტაბ.I-14), ბიკონუსური, წვრილი კოპებით წიბოს გარშემო, ცეცხლისგან დაზიანებული. ზომა-10,4X0,8 სმ. ნახვრეტის D-0,2 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს ზღურბლის წინ, თიხით მოლესილ იატაკზე (საინვ. №27-977: 1175,1176).

ანალოგები: თბილისი [ქორიძე დ. 1959:52]; ქვევრსამარხი სოფ. ქვემო ხეთადან. ძვ.წ.II-I სს. [თოლორდავა ვ. 1980:33. ტაბ.XXXI,4]; მდ.სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. ძვ.წ. II-I სს. [ვაშაკიძე 1973:83. ტაბ.26,53].

**მძივები** (ტაბ.I-15) დაბალცილინდრული, ირგვლივი კოპებით, ცეცხლისგან დაზიანებული, შეცვლილი ფაქტურით. აღმოჩნდა №1 სათავსოს ზღურბლის წინ, თიხით მოლესილ იატაკზე (საინვ.№ 27-977: 1175,1176).

ანალოგები: ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ისინი გვხვდება ძვ.წ. III ს-დან ახ.წ. III ს-მდე, თუმცა უფრო დამახასიათებელია I-II სს-ის კომპლექსებისათვის [Алексеева Е. 1978:31. табл. 26.50].

**მძივები** (ტაბ.I-16) ორმაგი, წიბოებზე ექვს-ექვსი კოპით, ცეცხლისგან დაზიანებული. აღმოჩნდა №1 სათავსოს ზღურბლის წინ, თიხით მოლესილ იატაკზე (საინვ. № 27-977: 995,1176).

ანალოგები ვერ მოეძებნა.

**მძივის ფრაგმენტი** (ტაბ.-17) ოვალური, მოთეთრო, გამჭვირვალე მინისა, დაბრტყელებული, სიგრძივ გახვრეტილი. ცალ მხარეს შერჩენილი აქვს ქალის გამოსახულების წვივების და ტერფების ნაწილი, მეორე მხრიდან კი – უწესრიგოდ მიმოფანტული კოპები. სიგანე - 0,8X0,4 სმ, ნახვრე-

ტის D-0,3 სმ. აღმოჩნდა №1 სათავსოს აღმოსავლეთ კედელთან, ზარდახშაში, მიდუღებული ვერცხლის მედალიონზე (საინვ. № 27-977:998).

ანალოგები: ე.ალექსეევას აზრით, ამგვარ მძივებზე გამოისახებოდა ზღვის ტალღებიდან ამოსული აფროდიტე-ანადიომენა, რომელიც თმას იწურავს ან ჰარპოკრატე ბიჭის შიშველი ფიგურის სახით. ჩრდილოეთშავიზღვისპირული პარალელებიდან ჩვენი ნიმუში მეტად ემსგავსება ფანაგორიულ ეგზემპლარებს, რომლებიც დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით [Алексеева Е. 1978:32. табл. 26.65].

**ARCHAEOLOGY**

**Nana Gogiberidze**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum

3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia

E-mail: ng–1546@yahoo.com

## Beads on Golden Lining from Dedoplis Gora

### Summary

Beads on golden lining from Dedoplis Gora antique palace are remarkable with their variety of forms and are divided in two chronological groups. In the first group are beads of the Hellenistic period, in the second - the samples of Roman age. It should be stressed that the second group forms the major amount of objects and their parallels are testified mainly in East Georgia.

From sixteen items only four are found in West Georgia.These craftworks were made in Egyptian workshops and all of them are from the sites of the late Hellenistic period. They were brought to Georgia from the east coast of the Black See. As for itoms of the second chronologikal group, among them are things similar to those that were not found in the North Black See cost. Presumedly they penetrated to Georgia from Egypt as faience beads and amulets via traditional way from Egypt to Syria.

# ბიბლიოგრაფია

**აფაქიძეა., კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ., 1978;** მცხეთა, 1975. *მცხეთა. II.* თბილისი (რედ. ან.აფაქიძე).

**გოგიბერიძე ნ. 1999;** ეგვიპტური ამულეტები დედოფლის გორიდან. *სსმმ. 43-ბ.* გვ. 106-114. თბილისი (რედ. ლევან ჭილაშვილი).

**ვაშაკიძე ნ. 1973;** მდ.სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. *სდსძ,* III, გვ.75-84. თბილისი (რედ. დ.ხახუტაიშვილი).

**თოლორდავა ვ. 1980;** დამარხვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბილისი.

**ლომთათიძე გ. 1957;** კლდეეთის სამაროვანი. თბილისი.

**მამაიაშვილი ნ. 1980;** ბეჟანბაღის ორმოსამარხი. *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები.* IV. გვ.116-124. თბილისი (რედ. კ.ფიცხელაური, ირ. ჯალაღანია.

**მირიანაშვილი ნ. 1983.** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ. 1995;** წინწამური III. *მცხეთა, X.* გვ.58-96. თბილისი. რედ. ანდრია აფაქიძე.

**ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. 1986;** ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. *ვანი. VIII.* გვ. 52-78. თბილისი (რედ. ოთ.ლორთქიფანიძე).

**ქორიძე დ. 1959;** თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

**ყაზახიშვილი ლ. 1980;** ანტიკური ხანის ორმოსამარხები და ქვაყუთები "საყარაულო სერის" სამაროვნიდან. *კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები,* გვ.60-67. თბილისი (რედ. გ.ცქიტიშვილი).

**ჯაფარიძე ოთ. 1956;** არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში. *თსუ-ს შრომები.* ტ. 63. გვ.183-206. თბილისი (რედ. ვ.კუპრაძე).

**ჯინჯიხაშვილი გ. 1980**; ძვ.წ. I და ახ.წ. I სს. ქვევრსამარხები "საყარაულო სერის" სამაროვნიდან. *კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები.* გვ.42-59. თბილისი (რედ. გ.ცქიტიშვილი).

**Алексеева** Е. 1978; Античные бусы Северного Причерноморья. *АС, САИ,* Г1-12. Москва. (Ред. В.Рыбаков).

**Апакидзе Ан., Николаишвили В., Гиунашвили Г., Давлианидзе Р.. Джгаркава Т., Нариманишвили Г., Садрадзе В., Сихарулидзе А. 1991;** Мцхетская экспедиция . *ПАИ в 1986 г.* с.79-84. Тбилиси (Ред.-ры: От. Лордкипанидзе, Т. Микеладзе, И.Джалагания).

**Гагошидзе Ю. 1975;** К датировке могильника Нерон-Дереси. *სმამ.* ტ.2 . გვ. 90-103. თბილისი (რედ.-ბი: ან.აფაქიძე, ვ.ბერიძე).

**Иващенко М. 1980.** Погребения первых трех веков н.э. *Мцхета III.* Тбилиси (Ред. А.Апакидзе).

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. 1.** ოქროფენილი მძივები დედოფლის გორიდან

## LIST OF ILLUSTRATION

**Tab.1.** Beads on golden lining from Dedoplis Gora



საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 39-62
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 39-62

**არქეოლოგია**

**ნოდარ ბახტაძე*, ვაჟა მამიაშვილი*,
ბაჩანა გაბეხაძე*, ჯიმშერ ჩხვიმიანი***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nodarbakh@yahoo.com; vazhamamiashvili@yahoo.com;
bachogabekhadze@yahoo.com; Juansher@live.com

# დურუჯისპირა ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში

2012-2016 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად ნაქალაქარ ნეკრესის უკიდურეს აღმოსავლეთ უბანში, მდინარე დურუჯის მარჯვენა ნაპირზე, ამჟამად ნასოფლარ დოლოჭოპის სახელით ცნობილ ტყიან ტერიტორიაზე (დღევანდელი ქ. ყვარლის შემოგარენში), საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა ადრეული შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების უაღრესად საყურადღებო ძეგლის ნანგრევები [ბახტაძე ნ. 2012a; ბახტაძე ნ. 2012b]. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია: $N\ 41^{0}\ 58'^{25.4}$; $E\ 045^{0}\ 48'^{36.7}$ (სურ. 1). ინფორმაცია ამ ძეგლის შესახებ წერილობით ისტორიულ წყაროებში სრულიად არაა შემონახული. ჩვენს კვლევებამდე ცნობა აქ ნაეკლესიარის არსებობის შესახებ არამცთუ სამეცნიერო საზოგადოებას, ადგილობრივ მოსახლეობასაც არ გააჩნდა.

ამ ნატაძრალის მხოლოდ ცენტრალური, სამნავიანი დარბაზის სიგრძე-სიგანეც კი (36 m×18,5m) მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოში დღემდე ცნობილ ყველა ბაზილიკურ ტაძარს (სურ. 2, 3). ყველაზე კარგად შემორჩენილია ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლების ნაშთები (7 მ სიმაღლემდე). დარბაზში შევდივართ სამი მთავარი (სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების შუაში) და 2 დამატებითი (ნაოსის ჩრდილო-დასავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან) კარით. დარბაზი ჯვრისებრი გეგმის 5 წყვილი სვეტითაა დაყოფილი ნავებად. სვეტები 1,5-2 მ სიმაღლემდე იყო შემორჩენილი. ისინი მართკუთხა გეგმის, დაახლოებით 2×2 მ სიგრძე-სიგანის, 20-30 სმ სიმაღლის ბაზისებზე იდგა (სურ. 4). ბაზილიკის კედლები და სვეტები აგებულია მდ. დურუჯის რიყეზე კარგად ნარჩევი ფლეთილი ქვითა და დუღაბის ხსნარით. თაღების გამოსაყვანად და სვეტების კაპიტელებად გამოყენებულია კარგად ნათალი შირიმის ქვები. ბაზილიკის შიდა სივრცის კედლები კირითაა შელესილი და წითლად შეღებილი.

დურუჯისპირა ბაზილიკის შუა ნავის აღმოსავლეთ კიდეში მოწყობილია გეგმით მკვეთრად ნალისებური მოხაზულობის საკურთხევლის აფსი-

დი (სურ. 5). იატაკზე გამოვლენილი ნაშალი ბლოკების კონფიგურაციის მიხედვით, ჩანს, რომ აფსიდის სივრცე ზემოდან ქვითკირის კონქით ყოფილა შემოსაზღვრული. საკურთხეველს ირგვლივ სასულიერო პირთა დასაბრძანებელი ოთხსაფეხურიანი, ქვის წყობით გამოყვანილი, მერხი შემოუყვება. ამ ხარისხის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში კი დაფუძნებულია კიდევ უფრო შემაღლებული ბაქანი საკურთხევლის იატაკიდან ასასვლელი დამოუკიდებელი საფეხურებით. მასზე, უთუოდ, სამეუფეო ტახტი იქნებოდა აღმართული, რომელიც ამჟამად დანგრეულია. ამგვარად მოწყობილი საკურთხევლები საქართველოში ცნობილ ტაძრებში დღემდე არ დადასტურებულა. საკურთხევლებზე მსგავსად შემოყოლებული ხარისხები და სამეუფეო ტახტები (სინთრონონები), ცნობილია მხოლოდ ადრეული ბიზანტიური სამყაროს ტაძრებიდან. მაშინდელი ლიტურგიის თანახმად, წირვისას სხვადასხვა ჰორიზონტული დონის საფეხურზე იერარქიის მიხედვით მსხდომი სამღვდელოება ქრისტესა და მის მოციქულებს განასახიერებდნენ [Koch G. 1995: 36, 46].

დურუჯისპირა ტაძარი იმითაცაა გამორჩეული, რომ საკურთხევლის ამბიონი და სოლეა დასავლეთისკენ ცენტრალური ნავის I წყვილ სვეტებამდე „ავანსცენისებურად" გამოდის (სურ. 6). საკურთხევლის ჰორიზონტი ნაოსის იატაკიდან 1,2 მ-მდეა შემაღლებული, ამიტომ ამ პლატფორმამდე დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მთელ გარე პერიმეტრს შემოყოლებული სამსაფეხურიანი კიბით ადიოდნენ. ამგვარი პომპეზური ამბიონი და სოლეა საქართველოს შუა საუკუნეების ბაზილიკებში ამ დრომდე არსად არ შეგვხვედრია, სამაგიეროდ, მსგავსი პარადული ამბიონები ახასიათებს ადრებიზანტიური სამყაროს ცენტრალური პროვინციების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანსა და ცნობილ ბაზილიკებს [Wilkinson J. 1993: 18, 20].

საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ, გვერდითი ნავების გაგრძელებაზე, მოწყობილი ყოფილა სწორკუთხა გეგმის პასტოფორიუმები ნავებიდან თითო შესასვლელით. მეტად საეჭვოა, რომ ამ ოთახებს ტაძრის აგების დროს სადიაკვნესა და სამკვეთლოს ფუნქცია შეესრულებინა: V-VI სს-თა მიჯნამდე პასტოფორიუმების ზუსტად დაკანონებული ფუნქციური დიფერენციაცია როგორც ზოგადად ქრისტიანული სამყაროს, ისე ქართულ ტაძრებში ჯერ კიდევ არ შეინიშნებოდა (ისინი გამოიყენებოდა როგორც სამკვეთლოდ და უბრალო, დამხმარე სათავსოდ, ისე კრიპტად ან სანათლავად) [ბერიძე ვ. 1974: 24; Wilkinson J. 1993: 21; ჯაბუა ნ. 2009: 12, 64-67; ბახტაძე ნ. 2010ბ: 210; Mišković A. 2013: 7-20].

2015 წელს დურუჯისპირა ბაზილიკის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მნიშვნელოვანწილად შეიცვალა ჩვენი წარმოდგენა ადრეული შუა საუკუნეების ამ ძეგზე. გამოირკვა, რომ ამ გრანდიოზულ სამნავიან ბაზილიკას ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან გარს ერტყა გარე კედლებით შექმნილ ერთიან სივრცეებში მოქცეული გალერეების – ეკვდერების, სტოებისა და ნართექსის სისტემა, რომელთა შემორჩენილი სიმაღლე 1 მ-დან 1,7 მ-მდე მერყეობს (სურ. 7, 8).

ჩრდილოეთ გალერეის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში გეგმით ნალისებრი აფსიდით დასრულებული ეკვდერი ყოფილა მოწყობილი.

ვფიქრობთ, რომ ეს სამლოცველო, თავდაპირველად, ბაპტისტერიუმ-ის (სანათლავის) ფუნქციას ასრულებდა, თუმცა ჯერჯერობით მის იატ-აკამდე არ დავსულვართ და უცნობია, მოწყობილია თუ არა მისი იატაკის დონის დაბლა ადრექრისტიანული ბაპტისტერიუმებისათვის თითქმის აუცილებელი ელემენტი – სანათლავი აუზი.ეკვდერს 3 შესასვლელი ჰქონ-და: დასავლეთიდან გარშემოსავლელთან დამაკავშირებელი, ჩრდილოეთ კედელში დატანებული და ბაზილიკის საკურთხევლის ჩრდილოეთით მდე-ბარე პასტოფორიუმთან მისასვლელი.

ჩრდილოეთ გალერეის დასავლეთი ნაწილიც მეტად საინტერესო აღ-ნაგობისაა: ის გარე სივრცესთან დაკავშირებული იყო 3 მოზრდილი, თაღებით გადახურული ღიობით (სურ. 9). როგორც გათხრისას იატაკზე განფენილი ნაშალი სამშენებლო ელემენტების შესწავლამ დაგვარწმუნა, თაღები გამომწვარი თიხის კვადრატული და სისქეში სოლისებრი კვე-თისფილებით იყო გამოყვანილი. ასეთი ფორმა ფილების ერთმანეთთან მიჯრით განლაგებას უზრუნველყოფდა და კონსტრუქციას სტატიკურ მდგრადობას მატებდა. ეს თაღნარი ბაზილიკის ჩრდილოეთ ფასადს მსუბ-უქად და გამომსახველობითად წარმოაჩენდა, ხოლო ჩრდილოეთ ნაოსში შესასვლელი ფართო კარის ნახევრად გახსნილი კარიბჭის სივრცისეული ასოციაცია საზეიმო შთაბეჭდილებას ახდენდა.

სამხრეთ გალერეის აღმოსავლეთ კიდეში, ჩრდილოეთ ეკვდერის სიმე-ტრიულად, მოწყობილი იყო ასევე ნალისებრი აფსიდით დასრულებული ოდნავ უფრო ვიწრო სამლოცველო (სურ. 10). საყურადღებოა, რომ მისი აღმოსავლეთი კედელი (მართკუთხედში ჩაწერილი აფსიდით) 1 მ-დე გა-ცდენილია ცენტრალური დარბაზის აღმოსავლეთ გარე პერიმეტრს. ეს ეკვდერი დასავლეთი კარით უკავშირდება სამხრეთ გალერეის დანარჩენ ნაწილს – წაგრძელებულ კორიდორს, რომელიც აგრეთვე სამღიობიანი თაღედით უკავშირდებოდა გარე სივრცეს.

საინტერესო გეგმარებისაა ნაოსისა და გალერეების დასავლეთიდან მომზღუდავი, 26 მ სიგრძისა და 8 მ სიგანის ნართექსისებრი ნაგებობა, რომლის იატაკის ჰორიზონტზე პირებამდე ჩაფლული, სხვადასხვა მოცუ-ლობის 12 თიხის ქვევრი დადასტურდა. ამ ნაგებობის და ბაზილიკის ძი-რითადი კორპუსის მომიჯნავე კედლები დამოუკიდებლადაა აგებული და გეოგრაფიული დამხრობით ერმანეთს ოდნავ აცილებულიცაა. თავდაპირ-ველად, ვფიქრობდით, რომ ამ ორ, ერთი შეხედვითვე, არასინქრონულ შენობათაგან, დასავლეთის წაგრძელებული ნაგებობა უფრო ადრეული იყო, და რომ V-ს-ში, ბაზილიკის ხუროთმოძღვარმა ის ტაძრის ანსამბლში ჩართო ნართექსის დანიშნულებით [ბახტაძე ნ., მამიაშვილი ვ., გაბეხაძე ბ. 2015: 125]. 2016 წლის სეზონში ამ სათავსის იატაკის არქეოლოგიურმა გათხრებმა ნაწილობრივ გამოავლინა V ს-ის ბაზილიკის ძირითადი დარ-ბაზის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების დასავლეთით გაგრძელებაზე შემონახული ავთენტური კედლების ნაშთები (სურ. 7), რითაც ირკვევა, რომ ამ ბაზილიკას, თავდაპირველად, სულ სხვა მოხაზულობის ნართექსი გააჩნდა. ამჟამად მასზე დაშენებული, საკმაოდ უხეირო ტექნიკით ნაგები წაგრძელებული სათავსი (სავარაუდოდ, მარანი) კი გაცილებით გვიანდე-ლი, ბაზილიკის დანგრევისა და „შემოკლებული სახით" რესტავრაციის პე-

რიოდის, უფრო IX-X სს-ის ნაგებობაა.

ამრიგად, ავთენტური გალერეებისა და სანახევროდ გამოვლენილი ნართექსის ჩათვლით, ამ უძველესი და გამორჩეულად მასშტაბური ბაზილიკის გარე ზომებია 44 მ×29 მ. შესაბამისად, მას დღესდღეობით ანალოგი არ გააჩნია კავკასიასა და ქრისტიანული სამყაროს მახლობელ რეგიონებში (ასეთი სიდიდისა და გეოგრაფიულად უახლოესი ადრექრისტიანული ბაზილიკები მხოლოდ სირიაშია დადასტურებული)

იმ ფონზე, როდესაც დურუჯისპირა ბაზილიკის ჰორიზონტული გეგმარება არქეოლოგიური გათხრების შედეგად არსებითად სრულად წარმოჩინდა, ცხადია, მეტად დიდ ინტერესს იწვევს ამ გრანდიოზული ტაძრის ვერტიკალური აღნაგობისა და, შესაბამისად, გადახურვის სისტემის განსაზღვრა. საბედნიეროდ, არქეოლოგიურმა სამუშაოებმა დურუჯისპირა ბაზილიკის ნავებისა და გალერეების გადახურვის კონსტრუქციების აღნაგობასთან დაკავშირებითაც მნიშვნელოვანი ფაქტები გამოავლინა:

1.არქეოლოგიური კვლევისას ბაზილიკის ძირითადი დარბაზის იატაკებსა და ნანგრევი ფენების სხვადასხვა ჰორიზონტზე მრავლად აღმოჩნდა შირიმის ქვის ბლოკები, რომელთა ოთხი წახნაგი გათლილია ბრტყლად, ვიწრო მხარე ამოკვეთილია რკალისებურად, ზურგები კი დაუმუშავებელი და უსწორმასწოროა. ამგვარი კონფიგურაციიდან გამომდინარე, შირიმის ქვის ეს დეტალები თავიდანვე ბაზილიკის ნავებად დამყოფი სვეტების ერთმანეთთან გრძივად დამაკავშირებელი თაღების, კარებისა და სარკმლების ზემოდან მომზღუდავი თაღების ფრაგმენტებადაც მივიჩნიეთ, რადგან კამარების საბჯენი თაღების ნაწილებს, სავარაუდოდ, ზურგებიც გათლილი ჰქონდა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი კამარის საყრდენად თაღის გამოყენება. მართლაც, ცალმხრივ რკალისებურად ნათალი შირიმის ბლოკების შემდგომმა საინჟინრო-არქიტექტურულმა კვლევამ დაგვარწმუნა, რომ მათ შორის არაა ნავების გადამხურავი კამარების საბჯენი თაღების შემადგენელი ნაწილები. ასეთი კატეგორიული მტკიცების საშუალებას შემდეგი არგუმენტი გვაძლევს: თაღების ამ ფრაგმენტებზე შერჩენილი ნათალი რკალების ზომებით შევადგინეთ მათემატიკოსთა მიერ შემოთავაზებული ფორმულა: $D = (a^2 + 4b^2) : 4b$, სადაც a თაღის სეგმენტის რკალის ბოლო წერტილების შემაერთებელი ქორდის სიგრძეა, b – ამ ქორდის შუა წერტილიდან სეგმენტის შემომსაზღვრავ რკალამდე აღმართული მართობის სიგრძე, D კი – ნახევარწრიული თაღის ფუძეებს შორის მანძილი. გაირკვა, რომ ამ დეტალების დიდი უმრავლესობა ისეთი ნახევარწრიული თაღების ნაწილებია, რომელთა „დიამეტრებიც", დაახლოებით 20 სმ-ის ცდომილებით, 3,2 მ-ს უდრის, რაც ამ ბაზილიკის გრძივი სვეტთაშორისი მანძილების ტოლია, მაშინ, როდესაც ტაძრის ცენტრალური ან გვერდითი ნავების „ვირტუალურად გადამხურავი" კამარების ფუძეთა ზომები 6,4 მ და 3,5 მ-ია (ნანგრევებში 3,2 მ-ზე გაცილებით მოკლეფუძიანი თაღების ფრაგმენტებიც გამოვლინდა, მაგრამ ისინი, უთუოდ, სარკმლების და კარების თავსართების დეტალებია).

2. დურუჯისპირა ბაზილიკის გადახურვის კონსტრუქციის თავისებურებაზე საკმაოდ არაორაზროვნად მიანიშნებს ის გარემოება, რომ ძირითად დარბაზსა და ჩრდილოეთ გარშემოსავლელს შორის საკმაოდ მაღალ

ჰორიზონტამდე, 7,4 მ შემორჩენილ კედლის ნაშთზე, ჩრდილოეთიდან, მთელ სიგრძეზე, დაახლოებით 6,5 მ სიმაღლეზე, ერთმანეთისგან 1,5-1,7 მ-ის დაშორებით დატანებულია ხის ჰორიზონტალური, მართკუთხა კვეთის (დაახ. 24 სმ×25 სმ) კოჭების ჩასამაგრებელი ბუდეები (სურ. 11).

შესაბამისად, სავარაუდოა, რომ დურუჯისპირა ბაზილიკის ნავები და ახალ აღმოჩენილი გალერეები ქვის კამარებით არ იყო გადახურული. მთავარი დარბაზის, გარშემოსავლელებისა და ნართექსის სხვადასხვა ზონაში, თავდაპირველი იატაკის დონეზე, ნახშირის ნაწილაკების შემცველ დამწვარ კრამიტებიან ფენასთან ერთად აღმოჩენილი ათეულობით ნაჭედი, დიდი ზომის ლურსმანი (ე.წ. ყადაღები. სურ. 12) იმაზე მეტყველებს, რომ ამ ბაზილიკას ხის კონსტრუქციებსა და ნივნივებზე დაყრდნობილი კრამიტის საბურველი ჰქონდა. ეს გარემოება სრულიად ცვლის ქართული ხელოვნების ისტორიაში ბოლო დრომდე მტკიცედ ფეხმოკიდებულ დებულებას, რომლის თანახმად საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების უძველეს ეტაპებზეც კი მხოლოდ ქვის კამარებით გადახურული ბაზილიკები იგებოდა [Чубинашвили Г. 1970: 40]. ეს პოზიცია, ცხადია, ინფორმაციის დეფიციტით იყო გამოწვეული: ჩვენში ხომ ამგვარად გადახურული ბაზილიკები ზეზეურად სრულიად არ იყო შემორჩენილი, არქეოლოგიურად კი აქამდე არ იყო დადასტურებული.

გათხრებისას დიდი რაოდენობით გამოვლინდა ცალმხრივად (ცხადია, ზევითკენ) დაკბილული და თეთრ-წითლად მოხატული თიხის ბრტყელი ანტეფიქსების ფრაგმენტები (სურ. 13). ისინი თავის დროზე ბაზილიკის კრამიტით გადახურული სახურავების ფერდების დაბოლოებების გაყოლებაზე, ხის კონსტრუქციებში იქნებოდა ჩამაგრებული. მსგავსი ანტეფიქსები ამ ბოლო წლებში აღმოჩნდა როგორც ჩვენ მიერ ნეკრესის ნაქალაქარზე არქეოლოგიურად მიკვლეულ ჭაბუკაურის IV ს-ის ბაზილიკაზე [ბახტაძე ნ. 2010a: 60], ისე ქვემო ქართლში შესწავლილ ნაგზაურის V ს-ის საეკლესიო კომპლექსში [კახიანი კ., ჭანიშვილი გ. ... 2012: 34, 46]. ისინი, უმთავრესად, კოლონების გრძივი მწკრივებისა და კედლების გასწვრივ დადასტურდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბაზილიკის შუა ნავი გვერდით ნავებზე მაღალი, ორფერდა სახურავით იყო გადახურული (განსხვავებით ერთ-ერთი უძველესი და საყოველთაოდ ცნობილი ბოლნისის სიონის ბაზილიკისგან, სადაც, ამჟამად, ყველა ნავი ერთიანად ორფერდა სახურავის ქვეშაა მოქცეული [ბერიძე ვ. 1974: 89]). ნავების გამყოფ თაღნარზე დაყრდნობილ კედელთა ყველაზე ზედა რეგისტრში, ცენტრალური და გვერდითი ნავების სახურავებს შორის მონაკვეთში, გარკვეული ინტერვალით, რომლის განსაზღვრა ამჟამად შეუძლებელია, სავარაუდოდ, სარკმლები იყო გაჭრილი. ამ ჰიპოთეზას, ინტერიერის გასანათებლად აუცილებელი ლოგიკური საჭიროების გარდა, კედლების გასწვრივ გამოვლენილი შირიმის ძლიერ მორკალულ სარკმელთა თავებიც ადასტურებს. სარკმელთა არსებობა არ უნდა გამოვრიცხოთ ბაზილიკის ნაოსის გარედან მომზღუდავ სამხრეთ და დასავლეთ კედლებშიც, თუმცა შეძლებისდაგვარად მაღლა, რათა ეს რეგისტრი აცილებული ყოფილიყო გარშემოსავლელების ცალფერდა სახურავის ქანობის უმაღლეს ნიშნულებს.

ამრიგად, დურუჯისპირა ბაზილიკაზე არქეოლოგიური კვლევის შე-

დეგად მრავალი გეგმური და კონსტრუქციული ელემენტი დადასტურდა (მაგ., მრავალსაფეხურიანი სინთრონონი, ავანსცენისებური ბემა, გადახურვის ხის კონსტრუქციები), რომლებიცდღემდე IV-V სს-ითა და, მით უმეტეს, ადრეული შუა საუკუნეების შემდგომი პერიოდით დათარიღებულ ქართულ ქრისტიანულ ტაძრებში სრულიად არ გვხვდება. სამაგიეროდ, მსგავსი არქიტექტურული დეტალები ჩვეულებრივი რამაა რომაულ-ბიზანტიური სამყაროს ცენტრალურ პროვინციებსა და პერიფერიებში შემორჩენილი თუ არქეოლოგიურად მიკვლეული უამრავი ქრისტიანული ბაზილიკისთვის, რომლებიც დანამდვილებით IV-V სს-ს განეკუთვნება [Milburn R. 1988: 38-45, 55,58; Beyer H. 1925 : სურ. 17, 18, 34; Tchalenko G. 1953: 112-134; Wilkinson J. 1993: 45 და სხვ.].

ეს გარემოება მხოლოდ იმაზე შეიძლება მეტყველებდეს, რომ დურუჯისპირა ბაზილიკის ხუროთმოძღვრული სტილი ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებსა და ზოგიერთ მათს მიმდებარე აღმოსავლური ქრისტიანობის რეგიონში (ირანი, მესოპოტამია, ასურეთი და სხვ.) IV-V სს-ში გავრცელებული ქრისტიანული ბაზილიკებიდანაა გადმოღებული და, ამდენად, ამ ძეგლის აგებაც იმავე პერიოდში უნდა ვივარაუდოთ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ სწორედ გამორჩეული გრანდიოზულობის გამო, დურუჯისპირა ბაზილიკის IV-V სს-ით დათარიღება დიამეტრულად ეწინააღმდეგება ხელოვნების ქართველ ისტორიკოსთა არაერთი ცნობილი წარმომადგენლის მიერ უკვე თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში უტყუარ ჭეშმარიტებად აღიარებულ მოსაზრებას ამ ხანის ქართულ ქრისტიანულ ტაძართა გეგმარებითი თავისებურებების თაობაზე. ამ დებულების თანახმად, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდგომ, სულ ცოტა, საუკუნე-ნახევრის განმავლობაში, სრულიად არ შენდებოდა რომაულ-ადრებიზანტიურსა თუ აღმოსავლეთ-ქრისტიანული სამყაროს თითქმის ყველა პროვინციაში IV საუკუნის I ნახევარშივე საყოველთაოდ გავრცელებული სტილის, აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე მკვეთრად წაგრძელებული, 5 და მეტი წყვილი სვეტით ნავებად დაყოფილი და ხის კონსტრუქციებით გადახურული დიდი ბაზილიკები [ჩუბინაშვილი გ. 1959: 37, 135; ბერიძე ვ. 1974, 22-23 და სხვ.]. ამ თეორიის ავტორისა და მისი მიმდევრების აზრით, მთელ ადრებიზანტიურ სამყაროსა და მის კულტურულ წრეში მოქცეული რეგიონებისგან განსხვავებით, იბერიის ხელისუფალნი ქვეყნის ქრისტიანობაზე მოქცევის შემდეგ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მხოლოდ მინიატიურულ, თითქმის ნებისმიერი გეგმარების ეკლესიებს აგებდნენ მისიონერთა მიერ დაწინაურებული ქრისტიანული ქვეყნების ეკლესიების ზეპირი აღწერილობის არაადეკვატურად აღქმის გამო [ჩუბინაშვილი გ. 1936: 23-26; ბერიძე ვ. 1974: 18; კიკნაძე ზ. 2014: 443-449].

არადა, არქეოლოგიურად დადასტურებული ხუროთმოძღვრული აღნაგობის ობიექტური ანალიზიდან გამომდინარე, დურუჯისპირა ბაზილიკის ჩვენეულ დათარიღებაში უჩვეულო არაფერია: დღესდღეობით მეცნიერთაგან საყოველთაოდაა აღიარებული, რომ, ზოგადად, საქართველო, კერძოდ კი, მის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე იბერიის სამეფო, ადრეული ქრისტიანული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო. შესაბამ-

ისად, მასზეც უნდა გავრცელებულიყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქრისტიანული კულტურის ისტორიკოსთა მიერ უკვე თითქმის ერთი საუკუნის წინ უცილობელ ჭეშმარიტებად მიჩნეული შემდეგი დებულება: რომის იმპერიასა და მისი პოლიტიკურ-კულტურული გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ, როგორც ცენტრალურ, ისე პროვინციათა საერო და სასულიერო ხელისუფალთა მცდელობით, არსებითად მყისიერად დაიწყო სიმბოლურად ახალი სარწმუნოების ძლევამოსილების განმასახიერებელი გრანდიოზული ეკლესიების მშენებლობა [Кондаков . 1904: 30-62, 268]. ამ ქვეყნების ქრისტიანობაზე ახალმოქცეული მოსახლეობის წირვა-ლოცვაზე მასობრივად მოსაზიდი ტაძრების შესაქმნელად, სივრცულ-გეგმარებითი თვისებებიდან გამომდინარე, ყველაზე შესაფერისად ბაზილიკური ტიპის ნაგებობანი იქნა მიჩნეული. ამიტომ აღნიშნულ რეგიონებში, სულ რაღაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ უკვე მასობრივად გავრცელდა დაახლოებით ერთი და იმავე გეგმარებითი სქემის, მაგრამ მეტ-ნაკლები ოსტატობითა და შემოქმედებითი სახესხვაობით ნაგები ბაზილიკური ტიპის ტაძრები. თუმცა, ამ რეგიონების ბაზილიკათა ტიპოლოგიური სხვაობა ყველაზე ნაკლებად ამ ნაგებობათა აბსოლუტურ ზომებს ეხება – მრევლის მაქსიმალური რაოდენობის დასწრება წირვა-ლოცვებზე ყოფილი რომის იმპერიის ნებისმიერი პროვინციისა თუ სხვა ქრისტიანული სახელმწიფოების საერო თუ სულიერ წინამძღოლთა განუხრელ მიზანს შეადგენდა [Mango C. 1976: 56-60; Grossmann P. 2002: 134-141].

ვნახოთ, თუ რამდენად შეესატყვისება დურუჯისპირა ბაზილიკის ნაშთების ხუროთმოძღვრული ანალიზის შედეგად მიღებული ტაძრის აგების სავარაუდო თარიღი ამ ძეგლის იატაკებსა თუ სამშენებლო ფენებში დადასტურებულ, ჩვენთვის ცნობილი სახეობის არტეფაქტთა დამზადებისა და მოხმარების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

გათხრების შედეგად გამოირკვა, რომ ბაზილიკის დანგრევის დროს მიმოფანტულ კონსტრუქციულსა და დეკორატიულ დეტალებთან ერთად იატაკის ჰორიზონტულ დონეზე, ფიქალის ფენილქვეშ ან ამ ადვილად შლადი ქვაფენილის რამდენჯერმე შეკეთების შრეთა შორის, იმთავითვე შემონახულიყო (ჩატკეპნილ მდგომარეობაში) ტაძრის ფუნქციონირების პირველი ქრონოლოგიური ფაზის დროს დამზადებული და მოხმარებისას იმ ეპოქაშივე წყობიდან გამოსული თიხის რამდენიმე სახეობის ჭურჭლის ფრაგმენტები, კერძოდ: სამტუჩა, მსხლისებურმუცლიანი, ნაპრიალებზედაპირიანი დოქის ნაწილები; სავარცხლისებრი იარაღით ტალღოვნად ნაკაწრი ორნამენტით შემკული, გარედან კარგად ნაპრიალები ჭინჭილების ფრაგმენტები; პირმოყრილი, მოწითალოდ შეღებილი და კარგად ნაპრიალები ჯამების ნატეხები და სხვ. (სურ. 14).ამ ნაკეთობებს მრავლად ეძებნება ანალოგი აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ, V-VI სს-ით დათარიღებულ ნივთიერ მასალასთან (მაგ.: ურბნისის, ნეკრესისა და ჭერემის ნაქალაქარებიდან [ჭილაშვილი ლ. 1964: ტაბ. XI-XIII; აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. 1962: 200, 201; ბახტაძე ნ. 2010 a: 50, 62, 64; მამაიაშვილი ნ. 2004:ტაბ. VI-4, IX, XI]). განსაკუთრებით საინტერესოა იქ აღმოჩენილი ინტერიერის

გასანათებელი ხელსაწყოების – ლითონის ცხაურში ჩასალაგებელი მინის კანდელებისა და ვერცხლის საკიდებლების ნაშთები (სურ. 15,16). ზუსტად ამ ტიპის გასანათებელი მოწყობილობები – პოლიკანდელონები ფართოდ იყო გავრცელებული ადრებიზანტიურ სამყაროში და ისინი V-VI სს-ით თარიღდება [Herson S., Price R. 1997: 196; Smith R. 1957: 201; Gawlikowska K. 2012: 496-501; Papadopoulou B. 2003: 121-123].

2015-2016 წლებში დურუჯისპირა ბაზილიკის გათხრებმა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავ აღმოჩენამდე მიგვიყვანა: გაირკვა, რომ V ს-ის ეს გრანდიოზული ტაძარი კიდევ უფრო ადრეული, 25 მ-მდე სიგრძისა და 15 მ-მდე სიგანის, ქრისტიანული ტაძრის ნანგრევებზე იყო აღმართული. ამ პირველადი ნაგებობის ქვის, შიგნიდან კირით შელესილი კედლების ნაშთები მეტ-ნაკლებად კარგადაა შემორჩენილი (2-4 წყობამდე) ბაზილიკის ნაოსისა და ჩრდილოეთის გარშემოსავლელის ინტერიერის იატაკის ქვეშ (სურ. 8, 17, 18). როგორც ჩანს, ეს ეკლესია აღმოსავლეთით მართკუთხა საკურთხევლის მქონე ცენტრალური დარბაზისგან და ირგვლივი (ჩრდილოეთი, დასვლეთი და სამხრეთი) გალერეებისაგან შედგებოდა. საკურთხევლის ჩრდილოეთითა და სამხრეთით, გალერეების გასწვრივ, მართკუთხა მოხაზულობის პასტოფორიუმებიც უნდა ყოფილიყო მოწყობილი.სამწუხაროდ, ამ თავდაპირველი ტაძრის გეგმარების დაზუსტება დამატებითი არქეოლოგიური კვლევების ჩატარებამდე, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. მისი იატაკის გათხრისას IV ს-თვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა გამოვლინდა და, შესაბამისად, ნაგებობა სწორედ ამ ხანაში ჩანს აგებული.გათხრებისას დადასტურებული სტრატიგრაფიული სურათის საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ ძველი ბაზილიკაV ს-ის პირველ ნახევარში მიწისძვრას დაუნგრევია და ამავე საუკუნის II ნახევარში მისი ნანგრევების მოსწორების შედეგად შექმნილ პლატფორმაზე ახალი, გრანდიოზული ბაზილიკა აუგიათ.ნიშანდობლივია, რომ დურუჯისპირა ბაზილიკის წინარე სამშენებლო ფენის ამ ნაგებობის სახით, დღემდე გამოვლენილ IV ს-ის ქართულ ტაძართა შორის ზომით მე-2, ჩვენ მიერვე ნეკრესის ნაქალაქარზე გათხრილ ჭაბუკაურის ბაზილიკაზე ოდნავ მცირე ბაზილიკის ნაშთი დადასტურდა და, ესეც მართკუთხასაკურთხევლიანი [ბახტაძე ნ. 2010b: 210].

ამრიგად, დურუჯისპირა ბაზილიკის განათხარ ფართობთა სტრატიგრაფიამ, იქ გამოვლენილმა კონსტრუქციებმა და არტეფაქტებმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ ამ ტაძრის მეტ-ნაკლებად შეცვლილი სახით ფუნქციონირება 3 ძირითადი ქრონოლოგიური ფაზის განმავლობაში მიმდინარეობდა. პირველი ეტაპია სულ ბოლოს გამოჩენილი IV ს-ის ბაზილიკა, რომლის ნაშთები დიდი ბაზილიკის იატაკქვეშ იყო მოქცეული. მისი კონსტრუქციების ნგრევისა და დიდი ბაზილიკისთვის ადგილის გასათავისუფლებლად თითქმის საძირკვლამდე მოსწორების არქეოლოგიური სურათი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის ძლიერი მიწისძვრის შედეგად თითქმის ძირისძირამდე დაირღვა (სავარაუდოდ, V ს-ის შუა ხანაში). II ფაზას ასახავს V ს-ის II ნახევარში აგებული სამნავიანი, დიდი ბაზილიკა გარშემოსავლელებითა და ნართექსით. ეს ციკლი, დანგრევისას მის ფართზე მიმოფანტული არტეფაქტებისა და გაჩანაგება-ხანძრის ნაკვალევის სა-

ფუძეველზე, დაახლოებით VIII ს-ში უნდა შეწყვეტილიყო. შესაძლებელია, რომ ეს დარბევა აღმოსავლეთ საქართველოში არაბი სარდლის, მერვან იბნ მუჰამადის (მურვან-ყრუს), გამანადგურებელ ლაშქრობას დავუკავშიროთ [მუსხელიშვილი დ. 2003: 369-370]. გათხრისას ტაძრის იატაკებზე და შენობის ირგვლივ აღმოჩენილი სამშენებლო ელემენტების ნაშთების განფენილობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროს ტაძრის გადახურვის ხის კონსტრუქციები მეტწილად ჩამოქცეულა კრამიტის საბურველთან, აგრეთვე მზიდი კედლებისა და სვეტების ზედა რეგისტრების სტატიკური მედეგობის თვალსაზრისით ყველაზე სენსიტიურ ელემენტებთან ერთად. ამასთან, საფიქრებელია, რომ საკურთხევლის ქვის კონქთან ერთად მისი გვერდითი, შემდგომ პასტოფორიუმებად ქცეული ოთახებისა და გალერეების შემადგენელი ზოგიერთი სივრცის გადახურვა იმჟამად არ ჩამოქცეულა. ეს ელემენტები ტაძრის ზოგიერთ კედელსა და სახურავის საყრდენ სვეტებთან ერთად ტაძრის ფუნქციონირების საბოლოოდ შეწყვეტის შემდეგ საუკუნეების განმავლობაში თანდათან ინგრეოდა.

თუმცა, ბაზილიკის ნგრევა VIII ს-ში მომხდარი ამ კატასტროფის შემდეგ პერმანენტულ პროცესად ერთბაშად არ ქცეულა. დაახლოებით VIII ს-ის ბოლოსვე ან IX ს-ის I ნახევარში ადგილი ჰქონია ტაძრის რეაბილიტაციის სერიოზულ მცდელობას. როგორც ჩანს, სახურავჩაქცეული და მზიდი კონსტრუქციების დაზიანებით წყობიდან გამოსული ამ ბაზილიკის სრული რესტავრაცია შეუძლებელი იყო. ამასთან, აღნიშნული მასშტაბის ტაძარი მტრის შემოსევისგან ეკონომიკურად მნიშვნელოვნად დაცემულსა და სოფლის დონემდე დაკნინებულ ქალაქს აღარც ესაჭიროებოდა. სწორედ ამიტომ დაზიანებული ბაზილიკის მხოლოდ შუა და ჩრდილოეთი ნავები აღადგინეს აღმოსავლეთიდან მე-4 წყვილ სვეტებამდე. ამ მიზნით დარჩენილ სვეტებს შორის არსებული ღიობები ბაზილიკის დანგრეული ნაწილების მასალით (მათ შორის, შირიმის მეორეულად გამოყენებული „მარკირებული დეტალებით") შეავსეს და ამჯერად უკვე ორფერდა სახურავქვეშ მოქცეული, ჩრდილოეთეკვდერიანი დარბაზული ეკლესია ააგეს. ამ ეკლესიის იატაკი თავდაპირველზედაახლოებით 30-40 სმ-ით შემაღლებული იყო.

მალევე, ალბათ, IX ს-შივე, ეს არცთუ ოსტატურად რეკონსტრუირებული ეკლესიაც საბოლოოდ გამოსულა წყობიდან. ეს ნაგებობა მიწისძვრას ან სხვა ბუნებრივ მოვლენას შეეწირა თუ კვლავ მტრის მიერ იქნა შეგნებულად დანგრეული, ძნელი სათქმელია. ოდნავ მოგვიანებით ნაეკლესიარის ინტერიერის ნაშალი ქვითა და მიწით დაფარულ იატაკზე, ტაძრის მახლობლად, სოფლის მოსახლეობას მეტად მჭიდრო სამაროვანი მოუწყვია (სწორედ ამ სამარხებს დაუზიანებია ტაძრის შემორჩენილი კონსტრუქციების მნიშვნელოვანი ნაწილი). ცხადია, სასაფლაოს მოსაწყობად მაინცდამაინც ტაძრის ინტერიერის არჩევა შემთხვევითი არ იყო: არცთუ შორეულ წინაპართა გადმოცემიდან და შემორჩენილი არქიტექტურული ფორმებიდან გამომდინარე, სოფლის ბინადრებს, ალბათ, შესანიშნავად ჰქონდათ გააზრებული, რომ ნანგრევები უძველესი სატაძრო ნაგებობის ნაშთი და, ამდენად, წმინდა ადგილი იყო. ამიტომ ოჯახის წევრთა იქ დაკრძალვა და საკუთარი საგვარეულო საძ-

ვალის იქვე მოწყობა მათს სულთა საცხონებლად დიდად სასურველი იყო. ეს სამარხები, როგორც წესი, ქვა-ყუთების ტიპისაა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული არტეფაქტების: სასაფლაოს ფუნქციონირების დროინდელი რელიეფის ზედაპირზე აღაპების დროს მიმობნეული და უშუალოდ ქვა-ყუთებში დამარხვისას შემთხვევით მოხვედრილი კერამიკის ნაკეთობების ფრაგმენტების (თხელკეციანი, ნაპრიალები, ცალყურა ჭინჭილების; თეთრი ანგობით დაფარული, გრავირებით მოხატული, ერთფრად მოჭიქული ჯამების ნაწილების; თეთრ ანგობზე მრავალფრად მოხატული და უფეროდ მოჭიქული ჯამების ნაწილების; ჭრაქების. ტაბ. I), აგრეთვე მიცვალებულთა ტანსაცმლის ატრიბუტებისა და არცთუ მდიდრული სამკაულის მიხედვით (ტაბ. II), სამაროვანი IX-XIII სს-ით თარიღდება [რამიშვილი რ. 1970 ტაბ. XXVIII-1,3; სინაურიძე მ. 1966: 172; მამიაშვილი ვ. 2015; ჯაფარიძე ვ. 1956: ტაბ. XX-2; მიწიშვილი მ. 1969: ტაბ. XIV-1 და სხვ.].

უკანასკნელი მონაცემებით, სამაროვანზე მოპოვებული არტეფაქტების დამზადება-მოხმარების ზედა ქრონოლოგიური ზღვრიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ბაზილიკის მომიჯნავე ამ სოფელში ცხოვრება XIII ს-ის შუა ხანაში შეწყვეტილა, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლი დამპყრობლების ერთ-ერთი გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგად [მამიაშვილი ვ. 2016].

**ARCHAEOLOGY**

**Nodar Bakhtadze,* Vazha Mamiashvili,***
**Bachana Gabekhadze,* Jimsher Chkhvimiani***

*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: nodarbakh@yahoo.com; vazhamamiashvili@yahoo.com;
bachogabekhadze@yahoo.com; Juansher@live.com

## Durujispira Basilica Archaeological Research in the Nekresi Former City

### Summary

The has-been-church site called by us Durjispira basilica is located in Georgia, near town Kvareli, on the right bank of the river Duruji, on the early medieval former settlement area covered with woods. In 2004, when this monument was discovered by the expedition from Janashia State Museum of Georgia, we expressed our consideration about its probable function on the basis of only a couple of visible details.

On the grounds of our appeal in 2012-2015, the National Agency for Cultural Heritage Prevention of Georgia financed the archaeological research works on the monument, which were held in cooperation with Georgian National Museum and Ilia State University.

As a result of the excavations, it was revealed that the ruins and the layer of the ground covered the remains of the grand, 44 m long and 29 m wide basilica (it means that the given monument is the largest among basilicas that have been discovered in eastern Georgia until now – its length exceeds well-known in Georgia, the largest-scale Bolnisi Sioni Cathedral by 16 m.).The temple is built with well-selected split limestone; and even the most accurately-made details (arches, chapiters and etc.) were constructed of easily carved Shirim stone.The main hall is divided in naves by means of 5 pairs of crosslike planning pillars; the central nave ends in semicircular planning apsis from the eastern side, and the side naves – in rectangular pastophoriums.

The investigation of the building materials thrown around on the floor from the time of the church destruction convinced us that the roof of the given basilica was covered with tiles placed not on the stone arches, but on the wooden beamed construction, similarly to the vast majority of early Christian basilicas from the Roman – Byzantine world. The remains of the basilicas roofed in the same style have not been found in our country until recently; consequently, most of the Georgian art historians absolutely denied the existence of the basilicas roofed by means of the similar method in Georgia.

Apart from the afore - mentioned, unusual for the Georgian churches of the following period, decorative elements corroborated in Durujispira basilica, should point out that the presented in the temple style was adopted from the Christian basilicas spread in the eastern provinces of Byzantine Empire and some of the adjacent regions in the 4$^{th}$ -5$^{th}$ centuries. The analogous samples of clayware fragments, dated from the 5$^{th}$ century and well-known from the early medieval Georgian archaeological monuments, discovered in the earliest stratigraphical layers of the church during the excavations, add persuasiveness and validity to possibility of building the Durujispira basilica at such an early stage. Analysis of obtained artifact findings properly defined the time as well as the circumstances of the interruption of the temple functioning - the basilica is believed to be destroyed in the 8$^{th}$ century by ravage and fire as a result of the enemy foray.

It is notable that approximately two decades ago, 4-5 kilometers away from the given site, on the territory of the former town – Nekresi, we already found a basilica of almost similar scale and analogous design, which on the basis of even more archaic details and material evidences discovered on the floor during the excavations,was firmly dated back from the second half of the 6$^{th}$ century.

Given circumstance, together with additional arguments obtained as a result of archaeological investigation in Durujispira basilica, enables us to look anew into the issue of probable architectural construction of the first Christian temples in Georgia. In particular, the consideration affirmed in Georgian scientific field for the last several decades should be regarded as unreasonable. According to this theory, from the time of recognizing Christianity as official religion in Qartli Kingdom onward - for nearly 150 years, not very clearly well-thought-out dogmatically

or architecturally, small-size churches used to be built in the country; After evolutionary development of these temples on the local ground, only by the end of the 5th -beginning of the 6th cc, building of well-planned basilic type temples, already improved stylistically and constructively, started. Therefore, Georgia was not at all the only exception among the countries of the ancient Christian civilizaztion on the territories of which during the same 4th - 5th cc, larger churches, designed precisely in accordance with taking into account the canonical liturgy requirements, were built in large numbers.

### ბიბლიოგრაფია


**აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. 1962:** ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები. *სსმმ.* ტ. XXIII-B. გვ. 197-206. თბილისი (რედ. ვ. ჯაფარიძე).

**ბახტაძე ნ. 2012 a:** დოლოჭოპის ბაზილიკაზე 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში. *ჟურნალი კადმოსი. № 4.* გვ. 273-303. თბილისი (რედ. ზ. კიკნაძე).

**ბახტაძე ნ. 2012b:** ყვარლის დურუჯისპირა ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევის შედეგები. *სემმ. IV(49-B).* გვ. 180-203. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ბახტაძე ნ. 2013:** *კერამიკული ნაკეთობანი შუა საუკუნეების საქართველოში.* თბილისი.

**ბახტაძე ნ. 2010a:** *ნეკრესი.* თბილისი.

**ბახტაძე ნ. 2010b:** ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში.* №19. გვ. 209-220. თბილისი (რედ. გ. კვირკველია).

**ბახტაძე ნ., მამიაშვილი ვ., გაბეხაძე ბ. 2015:** დოლოჭოპის ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში. *ონლაინ არქეოლოგია. №8. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.* გვ. 110-131. თბილისი.

**ბერიძე ვ. 1974:** *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება.* თბილისი.

**კახიანი კ., ჭანიშვილი გ., კოპალიანი ჯ., მაჩაბელი კ., ალექსიძე ზ., ღლიღვაშვილი ე., პატარიძე ნ. 2012:** *ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან.* თბილისი.

**კიკნაძე ზ. 2014:** Audiatur et altera pars. *ჟურნალი კადმოსი. 6.* გვ. 441-479. თბილისი (რედ. ზ. კიკნაძე).

**მამაიაშვილი ნ. 2004:** *ქალაქი ჭერემი.* თბილისი.

**მამიაშვილი ვ. 2015:** *დოლოჭოპის ბაზილიკის სამაროვანი.* არქეოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებელი ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.

**მიწიშვილი მ. 1969:** *მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში (IX-XIII სს.).* თბილისი.

**მოქცევაჲ ქართლისაჲ. 1979:** *შატბერდის კრებული X საუკუნისა.* თბილისი.

**მროველი ლეონტი. 1955:** *ცხოვრება ქართველთა მეფეთა.* ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბილისი.

**მუსხელიშვილი დ. 2003:** *საქართველო IV-VIII საუკუნეებში.* თბილისი.

**რამიშვილი რ. 1970:** *ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. სიონი.* თბილისი.

**სინაურიძე მ. 1966:** აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა. *მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის I.* გვ 39-89. თბილისი (რედ. ვ. ჯაფარიძე).

**ჩუბინაშვილი გ. 1936:** *ქართული ხელოვნების ისტორია.* ტ. 1. თბილისი.

**ჭილაშვილი ლ. 1991:** *არეში.* თბილისი.

**ჭილაშვილი ლ. 1964:** *ნაქალაქარი ურბნისი.* თბილისი.

**ჯაბუა ნ. 2009:** *სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში.* თბილისი.

**ჯაფარიძე ვ. 1956:** *ქართული კერამიკა (XI-XIII სს.).* თბილისი.

**Комеч А. 1984:** Архитектура Византии. Культура Византии. т. I. с. 573-595. Москва (ред. З. Удальцова).

**Кондаков Н. 1904:** Археологическое путешествие по Сирии и Палестине. Санкт-Петербург.

**Марр Н. 1968:** Ереруйская базилика. Ереван.

**Чубинашвили Г. 1959:** Архитектура Кахетии. Тбилиси.

**Чубинашвили Г. 1970:** К вопросу о начальных формах Христианского Храма. Вопросы истории искусства. т. I. с. 36-43. Тбилиси (ред. В. Беридзе).

**Beyer H. 1925 :** *Der Syrische Kirchenbav.* Berlin.

**Butler H. 1929:** *Early Churches in Syria.* London.

**Gawlikowska K. 2012:** Glass Finds From the Mitraeum in Hawarte. *Polish Archaeology in the Mediterranean.* 21 *(Research 2009). p.* 496-503.

**Grossmann P. 2002:** *Christiche Architektur in Ägypten.* Brill-Leiden.

**Koch G. 1995:** *Frühchristliche Kunst.* Stuttgart.

**Mango C. 1976:** *Byzantine Architecture.* New-York.

**Mišković A. 2013:** Prostor i funkcije sakristije u ranokršćanskom razdoblju na primjeru zadarskoga episkopalnog sklopa. *Ars Adriatica. 3/2. p.* 7-20.

**Milburn R. 1988:** *Early Christian Art and Architecture*. Univerity of California Press. Berkley, Los Angeles.

**Papadopoulou B. 2003:** *Bronze Lamps and Polycandela: the Averof collection in the Baron Tositsas foundation museum Metsovo, Epirus, NW Greece*. Nyon, Geneve.

**Smith R. 1957:** Glass from the Ancient Word. *The Ray Winfield Smith Collection. A Special Exhibition*. New York.

**Tchalenko G. 1953:** *Villages antiques de la Sirie du nord. 3 vols.* Paris.

**Wilkinson J. 1993:** Chistian Worship in the Byzantine Period. *Ancient Churches Reveald.* Jerusalem. p. 17-27 (edit. Y. Tsafrir).

**Witehouse D. 1997:** Roman Glass in the Corning Museum of Glass. Vol.1. New York (edit. Herson S., Price R.).

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** დურუჯისპირა ბაზილიკის მიდამოების გენგეგმა

**სურ. 2.** დურუჯისპირა ბაზილიკის განათხარი ფართის გეგმა. 2015 წ.

**სურ. 3.** დურუჯისპირა ბაზილიკის ცენტრალური დარბაზის ინტერიერი (იატაკქვეშ გამოვლენილი თავდაპირველი ტაძრის ნაშთების ჩვენებით). ხედი დასავლეთიდან. 2015 წ.

**სურ. 4.** დურუჯისპირა ბაზილიკის ცენტრალური დარბაზის თეორიული რეკონსტრუქცია. აქსონომეტრიული ჭრილი

**სურ. 5.** დურუჯისპირა ბაზილიკის საკურთხეველი გათხრების შემდეგ. ხედი დასავლეთიდან. 2012 წ.

**სურ. 6.** დურუჯისპირა ბაზილიკის საკურთხევლისა და ბემის ხედი ჩრდილო-დასვლეთი კედლიდან. 2014 წ.

**სურ. 7.** დურუჯისპირა ბაზილიკის ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან ჩრდილოეთ გალერეისა და ნართექსის გამოვლენის შემდეგ. 2015 წ.

**სურ. 8.** დურუჯისპირა ბაზილიკის გეგმა ჩრდილოეთი და სამხრეთი გალერეების, ნართექსისა და იატაკქვეშ აღმოჩენილი IV საუკუნის ტაძრის კედლების ნაშთების ჩვენებით. 2015 წ.

**სურ. 9.** დურუჯისპირა ბაზილიკის ჩრდილოეთი გალერეა. თაღედის ნაშთები. 2016 წ.

**სურ. 10.** დურუჯისპირა ბაზილიკის სამხრეთ გალერეის აღმოსავლეთ ეკვდერის ნაშთი. 2015 წ.

**სურ. 11.** დ ურუჯისპირა ბაზილიკის ცენტრალური დარბაზის ჩრდილოეთი კედელი: გადახურვის ხის კონსტრუქციების ჩასამაგრებელი ბუდეები

**სურ. 12.** დურუჯისპირა ბაზილიკის ინტერიერის იატაკებზე გამოვლენილი გადახურვის ხის კონსტრუქციების სამაგრი სამსჭვალები

**სურ. 13.** დურუჯისპირა ბაზილიკის ინტერიერის იატაკებზე გამოვლენილი ანტეფიქსის ფრაგმენტები

**სურ. 14.** დურუჯისპირა ბაზილიკის იატაკებზე აღმოჩენილი, ამ ბაზილიკის ფუნქციონირების საწყისი ეტაპების დროინდელი კერამიკული ნაკეთობების ფრაგმენტები

**სურ. 15.** დურუჯისპირა ბაზილიკის იატაკებზე აღმოჩენილი V ს-ის პოლიკანდელონის მინის კანდელების ნაშთები

**სურ. 16.** დურუჯისპირა ბაზილიკის იატაკებზე აღმოჩენილი V ს-ის პოლიკანდელონის ვერცხლის საკიდი

**სურ. 17.** დურუჯისპირა ბაზილიკის ცენტრალური ნავი. ხედი დასავლეთისკენ. იატაკის ქვეშ აღმოჩენილი IV ს-ის ბაზილიკის კედლების ნაშთები. 2015 წ.

**სურ. 18.** დურუჯისპირა ბაზილიკის ცენტრალური ნავი. ხედი აღმოსავლეთიდან. იატაკის ქვეშ აღმოჩენილი IV ს-ის ბაზილიკის კედლების ნაშთები. 2015 წ.

**სურ. 19.** დურუჯისპირა ბაზილიკის ცენტრალურ ნავში მიკვლეული, ტაძრის ფუნქციონირების საწყისი ეტაპის სამარხი. 2015 წ.

**სურ. 20.** დურუჯისპირა ბაზილიკის თეორიული 3D რეკონსტრუქცია

**ტაბ. I** კერამიკის ნაკეთობების ფრაგმენტები დურუჯისპირა ბაზილიკის ნანგრევებზე IX-XII სს-ში მოწყობილი სამაროვნიდან

**ტაბ. II** სამარხეული ინვენტარი დურუჯისპირა ბაზილიკის ნანგრევებზე IX-XII სს-ში მოწყობილი სამაროვნიდან

## LIST OF ILLUSTRATIONS


**Fig. 1.** Durujispira basilica area master plan

**Fig. 2.** Plan of Durujispira basilicas after excavations. 2015

**Fig. 3.** Excavated area plan of Durujispira basilica. View to the east. 2015

**Fig. 4.** Durujispira basilica axonometric reconstruction (with demonstration section of the interior)

**Fig. 5.** Durujispira basilica altar after excavations. View from the east. 2012

**Fig. 6.** Durujispira basilica altar and bema. View from the north. 2014

**Fig. 7.** Southern pastophorium. View towards the east

**Fig. 8.** Shirimi fragment arched from one side

**Fig. 9.** Hard-tempered nails discovered on the basilica floor

**Fig. 10.** Antefix fragments denticulated from one side

**Fig. 11, 12.** Jar fragments found on the floor level

**Fig. 13.** Reconstructed plan of Durujispira basilica

**Fig. 14.** Durujispira basilica axonometric reconstruction (with demonstration section of the interior)

**Fig. 15.** Durujispira basilica. The excavated area plan of Chabukauri basilica complex

**Fig. 16.** The second phase of the Durujispira basilica functioning. Partial restoration developed in the Middle Ages

**Fig. 17, 18.** The second phase of Durujispira basilica

**Fig. 19.** Excavated area plan of Durujispira basilica complex

**Fig. 20.** Durujispira basilica 3D reconstruction

**Tab. I** Ceramic fragments from the $9^{th}$-$12^{th}$ cc. cemetery situated under the remains of Durujispira basilica

**Tab. II** Grave goods from the $9^{th}$-$12^{th}$ cc. cemetery that is situated under the remains of Durujispira basilica


*ფოტოები გადაღებულია ნოდარ ბახტაძის, ბაჩანა გაბეხაძის, ვაჟა მამიაშვილის და ჯიმშერ ჩხვიმიანის მიერ.*




სურ. 1 Fig. 1



სურ. 2 Fig. 2



სურ. 3 Fig. 3



სურ. 4 Fig. 4



სურ. 5 Fig. 5



სურ. 6 Fig. 6



სურ. 7 Fig



სურ. 8 Fig


სურ. 9 Fig. 9


სურ. 10 Fig. 10


სურ. 11 Fig. 11



სურ. 12 Fig. 12







სურ. 15 Fig. 15

სურ. 13 Fig. 13

სურ. 16 Fig. 14



სურ. 14 Fig. 14



სურ. 17 Fig. 17



სურ. 18 Fig. 18




სურ. 19 Fig. 19



სურ. 20 Fig. 20

**ტაბ. I Tab.**



**ტაბ. II Tab.**



საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 63-86
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 63-86

## არქეოლოგია

**ზურაბ თვალჭრელიძე*, ელისო ყვავაძე***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: ztvalchrelidze@gmail.com
ekvavadze@mail.ru

# „ქვაბების“ სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის არტეფაქტების ინტერდისციპლინური კვლევის შედეგები

გარეჯის მრავალმთა პრეისტორიული და ისტორიული ეპოქების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლებითაა ცნობილი.* შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიასა და კულტურას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ივრის ზეგნის კლდოვან მასივებში გამოკვეთილი გარეჯის სამონასტრო გაერთიანების კერები. მათ შორისაა საეკლესიო მიწათმფლობელობითა

---

* გარეჯის მრავალმთის წმ. დავითის ლავრის მიდამოებში აღმოჩენილია დრიოპითეკის გვარის ნამარხი - 8-8,5 მილ. წელი (Udabnopithecus garedziensis Burtsh. et Gabash.), რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში შესულია „უდაბნოპითეკის“ სახელწოდებით [Бурчак - Абрамович Н., Габашвили Е. 1945; Габуния Л., Лордкипанидзе Д. ... 2011:7-15].

ივრისპირებში, „ქვაბების” მონასტრის მიდამოებში, შესწავლილია ნამარხი ხერხემლიანების უნიკალური ადგილსაპოვებელი (2,4-3 მილ. წელი) [Векуа А. 1972; Габуния Л., Лордкипанидзе Д. ... 2011:7-15], ხოლო მის მახლობლად ნამარხი მცენარეების ნაშთებია გამოვლენილი [Долидзе Ж. 1968; Векуа А., Квавадзе Э. 2011: 169-208].

გარეჯის უდაბნო გამოირჩევა სხვადასხვა ეპოქის უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლითაც. აქ აღმოჩენილია: ქვედა პალეოლითის - აშელისა და მუსტიეს ხანის [ბუგიანიშვილი თ. 1988: 18-38], ადრე და შუაბრინჯაოს ხანების - მტკვარ-არაქსული და თრიალეთური კულტურების წრის ძეგლები [ფიცხელაური კ. 1988: 14-18.], გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლარები [ფიცხელაური კ. 1988: 14-18; ვარაზიშვილი ვ. 1988: 38-48.], მათ შორის, „ნაომარი გორის“ ძველალმოსავლური გეგმარების, მეტა-ლურგიაზე დაფუძნებული ქალაქური ტიპის დასახლება [ფიცხელაური კ. 1988: 14-18].

ანტიკური წყვეტილის შემდეგ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალებია მოპოვებული შუა საუკუნეების ეპოქის ძეგლებზე - გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების კომპლექსებში: სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში [თვალჭრელიძე ზ. 1988: 14-21; თვალჭრელიძე ზ. 2001: 18-22; თვალჭრელიძე ზ.: 2010], წმ. დავითის ლავრაში - ფერისცვალების ეკლესიაში გაიხსნა წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი [სხირტლაძე ზ.; ზ. თვალჭრელიძის, ქ. აბაშიძისა და სხვათა თანაავტორობით: 2006], არქეოლოგიური კვლევა განხორციელდა წამებულისა [სხირტლაძე ზ., თვალჭრელიძე ზ. 2001: 50-56] და წმ. დოდოს [თვალჭრელიძე ზ. 2003-2004: 110-126; ფონდი „უდაბნო“: საქართველო-შვეიცარიის პროექტი (გრანტი №1,7310-110808/1); მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ. ... 2013: 82-89] სამონასტრო კერებში,

და სამეურნეო ორგანიზაციით გამორჩეული კომპლექსი „ქვაბები". იგი მონასტრისა და სამრეწველო-სამეურნეო დასახლების ერთიანობითაა შექმნილი. ამ საეკლესიო სენიორიაში სასულიერო ცენტრის გარშემო არსებობდა დაბის ტიპის კომპაქტური დასახლება მრავალდარგობრივი ხელოსნობის კერებითა და განვითარებული მეურნეობით.

„ქვაბების" მონასტერი ამავე სახელწოდების მთის კლდოვან მასივში გამოკვეთილი გამოქვაბულთა მრავალიარუსიანი არქიტექტურული კომპლექსია (ტაბ. I - 1-4). სამონასტრო კომპლექსის ფასადი, იარუსების დამაკავშირებელი ღია და გვირაბული ტიპის გასასვლელები, კიბეები და ტალანები ჟამთა სიავისგან ჩამოშლილია, ხოლო გამოქვაბული სტრუქტურების დიდი ნაწილი დაღუპული. კომპლექსში შემორჩენილ ქვაბთა რაოდენობა ოთხმოცამდეა, რომლებშიც ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციით გამოიყოფა IX-XI სს-ის საკულტო, საცხოვრებელი, სამეურნეო და სამრეწველო დანიშნულების ქვაბები. კომპლექსის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს მონასტრის სატრაპეზო, ხოლო მიუდგომელ სიმაღლეზე ორი ეკლესიაა გამოკვეთილი.

„ქვაბების" კომპლექსი ეკლესიებით, სატრაპეზოთი, სენაკებით, სამეურნეო და სახელოსნო დანიშნულების გამოქვაბულებით, კომპაქტური საერო დასახლებითა და განვითარებული სამეურნეო-ეკონომიკური ბაზით ბერმონაზონთა საერთო საცხოვრებელი, კოენებიტური ტიპის მონასტერია. ლიდ როდლის კლასიფიკაციის მიხედვით [Rodley L. 1985. შდრ. Ousterhout R. 1997 b: 428], იგი ე.წ. სატრაპეზოიან მონასტერს მიეკუთვნება და მისი აქტიური ცხოვრების ხანა IX-XI საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება.

„ქვაბების" არქეოლოგიური შესწავლა, პერიოდული წყვეტილებით, ოთხ ათეულ წელზე მეტს ითვლის. 1969-1970 წლებში ძეგლს სწავლობდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სპელეისტიკური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გივი გაფრინდაშვილი); 1974-1976 წლებში არქეოლოგ ბაადურ მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა „ნასახლარი ქვაბების" დაზვერვითი და მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები, რომელთა მიზანი კლდის არქიტექტურული კომპლექსის, მასთან არსებული ნასახლარებისა და სამაროვნების შესწავლის საფუძველზე ძეგლის ხასიათისა და სტრატიგრაფიის დადგენა იყო [მჭედლიშვილი ბ. 1977: 157-170; მჭედლიშვილი ბ. 1978:114-123; მჭედლიშვილი ბ. 1977: 15-18]*.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კლდის ძეგლების ფონდში დაცული „ქვაბების" არქეოლოგიური და დოკუმენტური მასალის შესწავლამ, აგრეთვე ქრისტიანული აღმოსავლეთის მსგავსი ძეგლების მონაცემთა ანალიზმა ნათლად გამოკვეთა „ქვაბების" სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის მნიშვნელობა მონასტრიციზმის კვლევისთვის.

მრავალწლიანი წყვეტილის შემდეგ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელძღვანელი ზურაბ

---

წმ. დავითის ლავრის წმ. იოანე ღვთისმეტყველისა და უდაბნოს ქედზე მდებარე წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლესიებში [სხირტლაძე ზ. 2007: 319-330].

*არქეოლოგიური კვლევის თვალსაზრისით „ქვაბებთან" ერთად განსაკუთრებით პერსპექტიული ჩანს მრავალმთის აღმოსავლეთი მასივის — ივრისპირა გარეჯის სამონაზვნო კერები: საბერეები, ქოლაგირი, პირუკუღმარი, პატარა ქვაბები და სატორგე.

თვალჭრელიძე. 1997-2007 წწ.) გარეჯის უდაბნოს სხვა მონასტრების შესწავლის პარალელურად, „ქვაბებში“ დაზვერვითი და მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაო განაახლა.

2005 წელს პროექტ „მონასტრები და დასახლებები ივრისპირა გარეჯში“ ფარგლებში „ქვაბებში“ მუშაობდა არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და სახელოვნებათმცოდნეო მიმართულების კომპლექსური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ზ. თვალჭრელიძე, წევრები: ზ. სხირტლაძე, ე. ნადირაძე, ს. ბურდილაძე†). ექსპედიციამ ძეგლის ტოპოგრაფიის, ტიპოლოგიისა და სტრატიგრაფიის საკითხების დაზუსტებასთან ერთად ხელშესახები მასალა მოიპოვა საცხოვრისების კონსტრუქციული აღნაგობის შესასწავლად [თვალჭრელიძე ზ., სხირტლაძე ზ. 2010: 96-118]. „ქვაბებში“ გამოიყოფა საცხოვრებელი ნაგებობების ორი სახეობა: ე.წ. კლდის სახლი და მიწური ბანიან-ერდოიანი სახლი.

„ქვაბების“ მონასტერთან [მჭედლიშვილი ბ. 1977:157-170; მჭედლიშვილი ბ. 1978:114-123; მჭედლიშვილი ბ. 1977: 15-18; თვალჭრელიძე ზ., სხირტლაძე ზ. 2010: 96-118] და ქვემო ქართლში (ნარლინ დარა) [თვალჭრელიძე ზ., ბახტაძე ნ. ... 2014: 128-158.] არსებული არქეოლოგიურად შესწავლილი მიწური საცხოვრისების, ასევე ევრაზიის [Сумбадзе Л. 1984: 111-123], კერძოდ, ანატოლიის (ურმია), მიწური საცხოვრებელი სახლების ტიპოლოგიური სახესხვაობების, ეთნოლოგიური მასალისა [ჩიქოვანი თ. 1967:22] და ქართულ ეთნოლოგიურ ყოფაში არსებული მონაცემების [ჩიტაია გ. 1997: 196; რუხაძე ჯ. 2015: 276-277] გათვალისწინებით, მოვახდინეთ „ქვაბებში“ გამოვლენილი მიწური სახლის რეკონსტრუქცია. სახლების ინტერიერებსა და ბანურ გადახურვაში დადასტურდა ვაზის ლერწმის ფართოდ გამოყენების საყურადღებო პრაქტიკა.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კლდის ძეგლების ფონდში დაცული „ქვაბების“ არტეფაქტების კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიქცია კერამიკის ნაკეთობების შიგთავსებმა, რომელთა ქიმიური და პალინოლოგიური მეთოდებით შესწავლამ ერთობ საგულისხმო შედეგები მოგვცა:

1. IX-X სს-ით დათარიღებულ ლულიანი ტიპის ჭრაქების (ტაბ. II - 1) [თვალჭრელიძე ზ., ქებულაძე ნ. 2000:18-22] არსებული შიგთავსების, კერძოდ, დიდ ჭრაქში (საინვ. #3-994:443), დაცული „შავი მასის“ [მჭედლიშვილი ბ. 1977: 161] ნიმუშის ქიმიური გამოკვლევით (ნ. ქებულაძე - ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი; ირ. ედილაშვილი, ლ. თოფურიძე - პ. მელიქიშვილის სახელობის ორგანული და ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტი; კონსულტანტები: შ. სამსონია, თ. ოქსოკულო და დ. ახობაძე - თსუ) დადგინდა: „ნიმუში წარმოადგენს ნავთობის მაღალმოლეკულური „ფისოვან-ასფალტენური“ ნაერთის რთულ ნარევს, რომელიც დარჩა ჭურჭელში საუკუნეების განმავლობაში მსუბუქი ნაწილის აორთქლებისა და ქიმიური გარდაქმნის შედეგად“ [თვალჭრელიძე ზ., ქებულაძე ნ. 2000:19].

„ქვაბების“ ლულიანი ტიპის ჭრაქებში დადასტურებული ნავთობის გასანათებელი საშუალების პრაქტიკული გამოყენება მატერიალურ დასაბუთებაზე დამყარებული, ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული - IX-X სს-ით დათარიღებული არქეოლოგიური აღმოჩენაა საქართველოში [თვალჭრელიძე ზ., ქებულაძე ნ. 2000: 18-22].

2. „ქვაბებში“ არქეოლოგიურად შესწავლილი საცხოვრებელი და საწარმოო

ნაგებობების გადახურვასა და ინტერიერში ვაზის ლერწმის ფართოდ გამოყენების გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კლდის ძეგლების ფონდში დაცული არტეფაქტების შიგთავსების პალინოლოგიური კვლევა.

ხელქოთანა (საინვ. №3-994:403. ტაბ. II - 2-3)* - თიხის, მონაცრისფრო მსხვილმარცვლოვანი კეცით, დაბალი ყელით, ოდნავ გადაშლილი პირით, ბრტყელი ძირითა და მუცელზე შემორჩენილი ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ნაშთით. H – 13 სმ; ძირის D – 8 სმ; კეცის სისქე – 0.7 სმ.

ლამბაქისებრი ჭურჭელი (საინვ. № 3-994:402. ტაბ. II - 4-5) - სამარილისებრი მოყვანილობის, კარგად განლექილი მოთეთრო-მოჩალისფრო კეცით, არაპროპორციული შვეული გვერდებითა და უსწორო მოყვანილობის პირით. H – 3 სმ; ძირის D – 7 სმ; პირის D – 8 სმ. ჭურჭელი ნაძერწია უხეშად, რაც „ქვაბების" მაღალი ხარისხის კერამიკის ნაწარმისთვის იშვიათია.

როგორც ცნობილია, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული თიხის ჭურჭლის შიგთავსის ინტერდისციპლინური მეთოდებით კვლევა XX ს-ის მიწურულს დაიწყო. ძირითადად ნიმუშებს ქიმიურად შეისწავლიდნენ, რათა პალეოდიეტის თავისებურების აღსადგენად გამოვლენილიყო ფოსფატების არსებობა, ანუ იყო თუ არა ჭურჭელში რძის ან ხორცის ნაწარმი [Barba 1994 : 321–329; Dudd, Evershed 1998: 1478–1481; Demkin 2000; 2006: 1–13; Evershed et al. 2008: 1–4]. ამავე მეთოდით ადგენდნენ ჭურჭელში უძველესი ღვინის არსებობას [McGovern 1998: 17593-17598; McGovern et al. 2004:18-34]. დროთა განმავლობაში გაჩნდა კვლევის ახალი მეთოდები: იზოტოპური, გენეტიკური, არქეობოტანიკური და პალინოლოგიური [Rosch. 1999:.105-112; Rosch. 2005:179-188; Kvavadze E. 2006: 595-603; Rusishvili.: 2007; Messager et al. 2015: 214-226; ყვავაძე ე., ლიჩელი ვ. 2009: 68-76].

საქართველოში შუა საუკუნეების ძეგლების პალინოლოგიური მეთოდით კვლევა სულ რამდენიმე წლის წინ დაიწყო. დღეისთვის შესწავლილია: აწყურის „ნავენახარის" ქვევრისა და საწნახლის ორგანული ნაშთები [ყვავაძე ე., ლიჩელი ვ. 2009: 68-76], ბეთლემის მონასტრის მასალა [Kvavadze et al 2011: 123; ბითაძე ლ., ჭითანავა დ., ... : 2011: 495-576] და წმ. დოდო გარეჯელის მონასტრის ფენები [მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ., ... 2013: 82-87].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში სამეცნიერო კვლევისთვის შემოსული „ქვაბების" სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსში მოპოვებული ხელქოთნისა და ლამბაქისებრი ჭურჭლების შიგთავსები მკვრივი სტრუქტურისა და მუქი ფერის ორგანული ნაშთები იყო.

პალინოლოგიურ ლაბორატორიაში მასალა დამუშავდა ჩვეულებრივი სტანდარტული მეთოდით. პირველ ეტაპზე იგი მოიხარშა კალიუმის ტუტის 10%-იან ხსნარში. მეორე ეტაპზე მოხდა მიღებული ხსნარის ცენტრიფუგირება კადმიუმში, ხოლო მესამეზე განხორციელდა მისი აცეტოლიზი. მასალა შესწავლილ იქნა სინათლის ახალი თაობის მიკროსკოპით (Olympus Bx43), - გადიდების სხვადასხვა ფორმატით (x 200-800).

ხელქოთანში დაცული პალინოლოგიური სპექტრი საკმაოდ მდიდარია

---

* ჭურჭლის ეს სახეობა ფუნქციურად დაკავშირებულია მეღვინეობასთან და მისი სახელწოდება ეთნოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით განისაზღვრა [ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი. 2009: 174].

(ტაბ III. სურ. 1,2,3. დიაგრამები). მარცვლები საუკეთესოდაა შენახული, მათში აღმოჩნდა 12 ხე-მცენარისა და ბუჩქნარის მტვერი (ტაბ. III. სურ. 1). გამოვლინდა 14 ტაქსონი ბალახოვანი მცენარის მტვრის მარცვალი. მასალა უაღრესად მდიდარია არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებითაც (ტაბ. III. სურ. 2).

ხე-მცენარეთა ჯგუფში ჭარბობს კულტურული ფორმის ჩვეულებრივი ვაზის მტვრის მარცვლები. მინის ერთ პრეპარატზე დათვლილია 34 მტვრის მარცვალი (ტაბ. IV). ასევე გვხვდება თხილისა და კაკლის მტვერი; კარგადაა წარმოდგენილი ბუნებრივი (ველური) ტყის ელემენტები (ტაბ. V). ფიჭვის მტვერში გამოიყოფა გადაშენების გზაზე მდგარი ელდარის ფიჭვი, რომლის კორომი მხოლოდ შირაქის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთ ქედზეა შემორჩენილი. ასევე გამოვლინდა მუხისა და წიფლის მტვერი, მცირე რაოდენობით გვხვდება ღვიის, მურყნის, ნაძვისა და სოჭის მტვრის მარცვლები.

ბალახოვნები, ძირითადად, წარმოდგენილია ვენახისა და ბაღების სარეველა მცენარეებით. მრავლადაა ჭინჭრის, მჟაუნის, ავშნის, ნარისა და იმ სარეველა მცენარეთა მტვერი, რომლებიც ადამიანის საცხოვრებელთან იზრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ „ქვაბების" ჭურჭელში კარგადაა წარმოდგენილი ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვანი კულტურა, მათ შორის, ხორბლის ნათესების სარეველები (ტაბ. III. სურ. 2). ბევრია ხორბლეულის სახამებელი, რომელიც, როგორც წესი, პურის ფქვილსა და პურპროდუქტის თანმხლებია. საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ვაზის წიპწის სახამებელი, მცირე რაოდენობითაა შალისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკო. ხაზგასასმელია სელის ბოჭკოს სიმრავლე, რომელიც ადამიანის სამოსის მტვრის ნაშთი უნდა იყოს. აქვე დადასტურდა შავად შეღებილი სელის ქსოვილის მიკროსკოპული ნაშთი.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ბევრია ხის მერქნის განახშირებული უჯრედები (სურ. 3), რაც ცეცხლის კვალის დასტურია.

ლამბაქისებრი ჭურჭლის შიგთავსის პალინოლოგიური სპექტრი არაა ისეთი მდიდარი, როგორიც ხელქოთნის ნიმუშებია. მასში აღმოჩნდა მხოლოდ 4 ხე-მცენარისა და 10 ბალახოვნის მტვერი (ტაბ. III. სურ. 1, 2). ხე-მცენარეთა შორის ამ შემთხვევაშიც ვაზის მტვრის მარცვლები ჭარბობს (ტაბ. VI). ასევე გამოვლინდა ფიჭვის, თელისა და თხილის მტვერი. კარგადაა დაცული მცენარეთა მტვრის მარცვლები.

ბალახოვანთაგან კარგადაა წარმოდგენილი ხორბლისა და მისი ნათესების სარეველების მტვერი. ის ყოველთვის თან ახლავს ამ კულტურას (ტაბ III, სურ. 3; ტაბ. VII). გვხვდება ეზოს სარეველებიც.

არაპალინოლოგიურ ნაშთებში დომინირებს კულტურული ხორბლის ჯიშების სახამებელი და ფიტოლიტები (ტაბ. VII), ასევე გვხვდება ვაზის სახამებელიც. ბევრია ხის მერქნის განახშირებული პარენქიმული უჯრედები, რომლებშიც განისაზღვრა თელის მერქნის უჯრედები (სურ. 8). კარგადაა წარმოდგენილი მცენარეული ეპიდერმისიც. გვხვდება სელის, შალისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკო (ტაბ VIII, IX). აღმოჩენილია ბამბის ცისფრად შეღებილი ბოჭკო.

პალინოლოგიური სპექტრების თავისებურებანი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ორივე ჭურჭელს ხმარობდნენ სამომხმარებლო-ყოფითი დანიშნულების სათავსში, რადგან ჭურჭლების ძირში არსებულ შიგთავსში მრავლადაა ღუმელის ნაცრის მიკროსკოპული ნაშთები.

ორივე ჭურჭელში კარგადაა დაცული როგორც მცენარეთა, ისე ვაზის მტვერი. როგორც ცნობილია, ვაზის მტვრის კონსერვაციას განსაკუთრებული პირობები — ალკოჰოლი ან ცხიმი სჭირდება. ეს გარემოება გვაძლევდა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ჭურჭლებში ჩასხმული უნდა ყოფილიყო ცხიმი ან ღვინო. განამარხებული ღვინის შიგთავსი, როგორც წესი, ფხვიერია და თან თეთრი ფერის ნადები ახლავს, მაშინ, როდესაც ჩვენ მიერ გამოკვლეული ორივე ჭურჭლის შიგთავსი მკვრივი და მუქია, რაც მცენარეული ცხიმის არსებობას ადასტურებს.

ლაბორატორიული დამუშავების დროს მასალის დუღილის შემდეგ შეიმჩნეოდა ცხიმისმაგვარი მასის არსებობა, რომელიც კადმიუმში მორევისას გლუვი გახდა. შესაბამისად, გაჩნდა მოსაზრება, რომ ორივე ჭურჭელში ვაზის წიპწებისგან დამზადებული ზეთი უნდა ყოფილიყო ჩასხმული. ვაზის მტვრის დიდი რაოდენობა და მასთან ერთად ამავე მცენარის სახამებლის დადასტურება ქმნის იმის თქმის საფუძველს, რომ ხელქოთანში ყურძნის ზეთი უნდა ყოფილიყო ჩასხმული. რაც შეეხება ლამბაქისებრ ჭურჭელს, მასში აღმოჩენილი პურის სახამებლის სიმრავლე და ყურძნის ზეთი მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული პროდუქტი გამოყენებული უნდა ყოფილიყო საკვებად ან, თუნდაც, სამედიცინო დანიშნულებით.

ყურძნის ზეთში აღმოჩენილ მცენარეთა მტვრის მარცვლები, ჩვენი ვარაუდით, პროდუქტის გამოხდის დროს ადამიანის ტანსაცმლის მტვრიდან ან თვით ჭურჭლიდანაა მოხვედრილი.

ყურძნის დაწურვის შემდეგ წიპწას რომ ვაზის მტვრის უამრავი მარცვალი მიჰყვება, ჩვენ მიერ ექსპერიმენტულადაა დადასტურებული, კერძოდ, არქეოლოგ იულონ გაგოშიძის მიერ სამწევრისის ეკლესიის ქვევრიდან (XV ს.) მოპოვებული, ყურძნის წიპწების პალინოლოგიური კვლევის შედეგად.

პალინოლოგიური კვლევის შედეგი, რომელიც დატანილია დიაგრამაზე (სურ.1-3), კარგად ასახავს, თუ რაოდენ მდიდარია ამ ორგანული ნაშთის სპექტრი. მასში ჭარბობს ვაზის მტვერი, ასევე მრავლადაა ვენახის სარე-ველა მცენარეთა მტვერი, რაც მიანიშნებს მახლობლად მდებარე ხორბლის მინდვრების არსებობაზე. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ XV ს-ში სამწევრისის ირგვლივ გაშენებული ყოფილა მუხის, წიფლის, მურყნის, რცხილისა და ცაცხვის ხეთა ჯიშები.

უფრო საინტერესო მონაცემებია მიღებული აწყურთან მდებარე ნამოსახლარ „ნავენახარის“ (აღმოჩნდა XI-XVI სს-ის შვიდი მარან-საწნახელი) მასალის პალინოლოგიური კვლევის შედეგად [ყვავაძე ე., ლიჩელი ვ. 2009: 69; 68-76]. თუ ამ რეგიონის დღევანდელ ლანდშაფტში ძირითადად წიწვოვნებია გავრცელებული, განვითარებულ შუა საუკუნეებში იქ არსებული თბილი კლიმატური პირობები მევენახეობის განვითარებისთვის შესაბამის გარემოს ქმნიდა, ხოლო ტყის ზოლში წაბლი, მუხა და ცაცხვი იყო გავრცელებული.

სპექტრის შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ივრისპირეთში, კერძოდ „ქვაბებში“, გავრცელებული უნდა ყოფილიყო მუხის, თელისა და წიფლის ტყე. ჭალის ტყეში იზრდებოდა მურყანი, ხოლო გარშემო არსებულ მთის ზედა სარტყელში ფიჭვი იყო გავრცელებული, მათ შორის, ელდარის ფიჭვის კორომებიც.

პალინოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, „ქვაბების“ სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის მოსახლეობას სამეურნეო ნაკვეთში, ვაზის გარდა, დარგული ჰქონდა თხილისა და კაკლის ჯიშები, ასევე

მოჰყავდათ ხორბალი და სხვა მარცვლეული კულტურები.

„ქვაბების“ არქეოლოგიური მასალიდან მიღებული შედეგები კარგად ესადაგება წმ. დოდო გარეჯელის მონასტრის არქეოლოგიურად შესწავლილი კულტურული ფენების პალინოლოგიური კვლევის მონაცემებს: პალინოლოგიურ სპექტრში სხვადასხვა სათესი მარცვლოვნების მტვერთან ერთად გვხვდება ვაზის, კაკლისა და თხილის მტვერი, რაც მონასტრის მიდამოებში ვენახებისა და ბაღების, ხოლო მინდვრებში მარცვლეული კულტურების არსებობაზე მიანიშნებს [მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ. ... 2013:82-87].

„ქვაბების“ სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსში ყურძნის წიპწების ზეთის აღმოჩენა ივრისპირებში განვითარებული მევენახეობის არსებობაზე მეტყველებს, რასაც მეტ საფუძველს მატებს შემდეგი არგუმენტები: 1. ივრისპირის ზოლი და მასთან ერთად შინდის ყელის შავმიწანიადაგიანი ველი შესაბამის გარემო-პირობებს ქმნიდა მევენახეობის განვითარებისთვის; 2. მდ. ივრის სიახლოვეს მდებარე მთის ძირში დადასტურებული ტოპონიმი „ნავენახობო“/„ნავენახარი“ და იქვე არსებული ნასახლარი ქვევრებითა და ჭურჭლის ფრაგმენტებით (ტოპონიმისა და ნასახლარის შესახებ ცნობა დაფიქსირდა 1976 წელს არქეოლოგ ბაადურ მჭედლიშვილის მიერ) პირდაპირ მიუთითებს „ქვაბების“ მფლობელობის არეალში ვენახების არსებობაზე; 3. ყოველივე აღნიშნულს ემატება „ქვაბების“ არქეოლოგიურ მონაპოვარში მევინეობასთან დაკავშირებული არტეფაქტების: კოკების, ჩაფების, დოქების, მათ შორის, ე.წ. ნისკარტიანი საღვინე ჭურჭლების, საწურის, ხელქოთნის, ჭინჭილებისა და ფიალების სიმრავლე. აქვე ხაზგასასმელია ქვევრების პირების, მათ შორის, ჯვრის ორნამენტით შემკული ფრაგმენტების აღმოჩენა [თვალჭრელიძე ზ., სხირტლაძე ზ. 2010: 96-118], ხოლო ბუნებრივად „გახსნილ“ კულტურულ ფენაში მთლიანი ქვევრის დადასტურება [მჭედლიშვილი ბ. 1977: 160].

„ქვაბების“ კლდის მასივში გამოკვეთილ სამონასტრო კომპლექსში, ისევე, როგორც მის ნამოსახლარზე, მარნები ჯერჯერობით არაა მიკვლეული. თუმცა, ნამოსახლარის ვრცელ ტერიტორიაზე ქვევრებისა და მისი ფრაგმენტების დადასტურება ამ მიმართებით გარკვეული ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა.

თუ გადავხედავთ ქრისტიანული აღმოსავლეთის მონასტრების სამეურნეო ყოფას, დავინახავთ, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში იქ არსებობდა ყურძნის დაწურვის პრაქტიკა. VI ს-ში უდაბნო ბაიტ ანუნში დაარსებულ მონასტერში ღვინის დაყენება მიღებული წესი იყო [Heiska N. 2003:79-80].

რაც შეეხება კაპადოკიის მონასტრებს, ისინი მნიშვნელოვანი საეკლესიო მიწათმფლობელობისა და ძალაუფლების მქონე კერები იყო, რომელთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ბერ-მონაზვნები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. თუმცა, ამავე დროს, მონასტრებში არსებული ღვინის მარნები საწნახლებითა და ავზებით ახლო მდებარე სოფლების ბინადართათვის ხელმისაწვდომი იყო [Thierry N. 2002:205-209].

შუა საუკუნეების ქართულ მონასტერში ღვინის მოხმარებას ადასტურებს წერილობითი ძეგლი — ვანის ქვაბების ტიპიკონი [ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII). 1939]. რაც შეეხება ქართულ საეკლესიო და სამონასტრო კერებში ღვინის მარნების არსებობას, იგი არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებულია: აწყურის ღვთისმშობლის ტაძართან [ლიჩელი ვ. 2007: 7-12. შდრ. ყვავაძე ე., ლიჩელი ვ. 2009: 69], გუდარეხში [მუსხელიშვილი ლ., ხიდაშელი შ.

... 1954: 70-72], ვანის ქვაბებში [ბურდილაძე ს. 1977: 12-15,13), ნეკრესში [ბახტაძე ნ., თევდორაშვილი ნ. ... 2010: 28-31], ასევე სხვა სამონასტრო ცენტრებში.

გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კერების სატრაპეზოს სტრუქტურაში მარანი საწნახლითა და ქვევრებით დასტურება წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრში [თვალჭრელიძე ზ. 2010]. მღვდელ-მონაზონ კალისტრატეს გადმოცემით წმ. დავითის ლავრის ტერასულად მოწყობილ ბაღებში ხარობდა ხეხილის სხვადასხვა ჯიში [წმიდა დავით გარეჯელის უდაბნო. 1884: 27-28], ხოლო სავანის ერთ-ერთი სენაკის წინ არსებულ ბაქანზე ვაზი ყოფილა დარგული [წმიდა დავით გარეჯელის უდაბნო. 1884: 16]. როგორც ჩანს, გარეჯის უდაბნოში ვაზის კულტურის მოშენების ტრადიცია სამონასტრო ცხოვრების მინელებამდე ყოფილა შენარჩუნებული.

„ქვაბების" ნამოსახლარის კულტურულ ფენაში, მათ შორის, „ქვევრებიან კომპლექსში", თითქმის მთლიანი ქვევრებისა და დამხმარე სათავსთა კედლის ფრაგმენტების აღმოჩენა [მჭედლიშვილი ბ. 1977: 160; თვალჭრელიძე ზ., სხირტლაძე ზ. 2010: 96-118], აგრეთვე კახეთის ეთნოლოგიური მონაცემების გათვალისწინება [რუხაძე ჯ. 2015:276-280], შესაძლებლობას იძლევა, რომ გამოვთქვათ ვარაუდი: „ქვაბებში" მარანი ბანიან-ერდოიანი სახლის კონსტრუქციის შემადგენელი კომპონენტი, მისი დამხმარე სათავსი იყო.

რაც შეეხება „ქვაბების" კლდის სამონასტრო ანსამბლში მარნის დაშვების ფაქტს, აქ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ, კლდეში ნაკვეთი წყალმომარაგების სისტემის მსგავსად, მონასტრის მარანიც 1088-1089 წლების დამანგრეველი მიწისძვრების შედეგად [ბატონიშვილი ვახუშტი. 1973: 155; ჯავახიშვილი ივ. 1965: 163; გაფრინდაშვილი გ. 1976: 176-186, 185] კლდის ნანგრევებში იყოს მოქცეული.

როგორც ჩანს, „ქვაბების" სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსში არსებული კორპორაცია სამეურნეო ნაკვეთებში გაშენებულ ვენახებში არსებულ ვაზის სეგმენტთაგან ვაზის ლერწამსა და მის კონებს იყენებდა სამშენებლო სტრუქტურაში, ხოლო ყურძნისაგან აყენებდა ღვინოს; ამასთანავე, შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესით იღებდა დელიკატურ პროდუქტს - ყურძნის წიპწების ზეთს.

ამრიგად, „ქვაბების" სამონასტრო-კომპლექსში ინტერდისციპლინრი კვლევებით დადგინდა ნავთობისა და ყურძნის წიპწების ზეთის მიღების საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის პრაქტიკა, რაც საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიურ შკალაზე დღეს, ყველაზე ადრეული არქეოლოგიური აღმოჩენაა.

ძლიერი ეკონომიკური ბაზისი — კერამიკის, მინისა და ლითონის მაღალკვალიფიციური ხელოსნური წარმოება, განვითარებული მეურნეობა, სავაჭრო-საქარავნო გზასთან კავშირი და სხვა რეალიები იძლევა იმის საფუძველს, რომ „ქვაბების" სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსი მიჩნეულ იქნეს IX-XI სს-ის აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან რელიგიურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრად.

დღეისათვის „ქვაბების" სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის არქეოლოგიური შესწავლის მხოლოდ საწყისი ნაბიჯებია გადადგმული. სამონასტრო კომპლექსის პრობლემურ საკითხთა წრის გახსნა ძეგლის საფუძვლიანი კომპლექსური კვლევის გაგრძელებას მოითხოვს: შესასწავლია კლდეში ნაკვეთი მონასტრისა და იქვე განფენილი დაბის ტიპის დასახლების ურთიერთმიმართება საეკლესიო, კულტურული, სოციალური და სამეურნეო-

ეკონომიკური კუთხით, რაც აქტუალური ჩანს ქრისტიანული აღმოსავლეთის მსგავსი სამონასტრო კომპლექსების კვლევის კონტექსტში.

„ქვაბების" პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად ჯერჯერობით ვერც სამონასტრო კერებით მდიდარი კაპადოკიის კვლევის შედეგები გამოდგება, რადგან აღნიშნული რეგიონის ძეგლები არქეოლოგიურად ნაკლებადაა შესწავლილი [Ousterhout R. 1997a: 301-306; Ousterhout R. 1997b: 420-431]. ამავე დროს, მდგომარეობას კომპლექსურს ხდის ის გარემოებაც, რომ მკვლევართა აზრი კაპადოკიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსების ფუნქციის თაობაზე ორადაა გაყოფილი – გადასაწყვეტია კაპადოკია სამონასტრო თემების არეალი იყო [Rodley L. 1985; Teteriatnikov N. 1994: 21-50; Thierry N. 2002: 205-209] თუ იგი საერო დასახლებათა ერთიანობას წარმოადგენდა [Ousterhout R. 1997a: 301-306; Ousterhout R. 1997b: 420-431].

„ქვაბების" სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსი კაპადოკიის ანალოგიური ძეგლების თითქმის თანადროულია. შესაბამისად, მისი საფუძვლიანი და კომპლექსური მეცნიერული შესწავლა ახალი აღმოჩენებისა და მონაცემების განზოგადებით კაპადოკიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა რეგიონების ძეგლებთან მიმართებით, ვფიქრობთ, დადებით როლს შეასრულებს მონასტიციზმის პრობლემური ასპექტების უკეთ წარმოსაჩენად.

**ARCHAEOLOGY**

**Zurab Tvalchrelidze*, Eliso Kvavadze***

*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: ztvalchrelidze@gmail.com; ekvavadze@gmail.com

# Results of Interdisciplinary Research of Artifacts of the "Qvabebi" Monastic - Settling Complex

## Summary

The Gareja desert is situated in the south-east part of Georgia. It is a real "reservation" of Georgian nature history and cultural heritage. The "crowns" of this region are about twenty monasteries (centre-St. David`s lavra). They are carved in the Iori River 3000 meter full-length multi-layer massif. "Qvabebi" monastic-settling complex with directly existing village-type agricultural and industrial settling, is distinguished with its structure and scale.

Prospective and small-sized archaeological excavations were carried out in "Qvabebi" monastic-settling complex. Studying of found there artifacts, with interiors, revealed rather significant results:

1. In the $9^{th}$-$10^{th}$ cc. barrel-shaped wick lamps, as the result of chemical analysis (N. Kebuladze, I. Edilashvili, etc.) fixed the fact of oil use.
2. Existence of grape-stones was stated in the "Khelkotani" (a vessel for vine) and in a saucer-shaped vessel (the $9^{th}$-$11^{th}$ cc.) as the result of palynological researches (E. Kvavadze).

3. Study of Medieval monuments by means of palynological methods started in Georgia only some years ago. Organic remains of an earthenware vessel and a winepress of Atskuri "Navenakhari" (Kvavadze, Licheli 2009, pp. 68-76), as well as layers of monastic complex of St. Dodo Gareji (Makharadze et al., 2013, pp. 82-87) have been studied. Material of Betlemi Monastery, which belongs to the 10th century (Bitadze et al., 2011, pp. 495-576), has also been studied (Kvavadze 2011, pp. 123).

In June 2015, contents of two clay vessels, extracted in "Qvabebi" monastic-settling complex, were passed to the Laboratory of Institute of Paleobiology. One of the vessels is a jug of relatively big size, and the second one is smallsized and has a form of a low bowl. The contents of mentioned vessels are dark and dense organic remains, which are not friable. They are stuck to the bottoms of the vessels. Palynological analysis showed that in both vessels there was oil pressed from grape stones. There are several arguments confirming this:

1) ideal protection of pollen grains and, in particular, those of vine, which were kept by oil;

2) abundance of pollen grains of vine, which always accompany grape stones;

3)starch of grape stones presented in spectrum. The oil pressed from grape stones is manufactured and successfully used in cookery, medicine and perfumery in many European countries. It is not surprising at all that in Georgia, where domestication of vine started as early as 8 000 years ago and wine had a ritual function already in Kuro-Araxes culture. People knew characteristics of grape stones, pressed oil and used it successfully in the 9th-11th cc. and, perhaps, even much earlier.

The mentioned facts are based on the earliest - the 9th-11th cc. archaeological discovery in Georgia.

"Qvabebi" monastic-settling complex, by its nature, has distinct parallels with East Christian and Cappadocian monasteries. Conformably, continuation of complex-sized archaeological-interdisciplinary studies, in the context of similar East Christian sacred complexes, in general, will be considerably helpful for further research of the aspects of easten monasticism.

## ბიბლიოგრაფია

**ბატონიშვილი ვახუშტი. 1973:** *აღწერა სამეფოსა საქართველოსა.* ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბილისი.

**ბახტაძე ნ., თევდორაშვილი ნ., ბაგრატიონი გ. 2010:** *ნეკრესი:* ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის (საქართველოს საპატრიარქოს ნეკრესის ეპარქია). თბილისი.

**ბითაძე ლ., ჭითანავა დ., ლალიაშვილი შ., ყვავაძე ე., ზუბიაშვილი თ. 2011**: *ქართლის მოსახლეობის ფიზიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ.წ. III ათასწლეულიდან მე-20 საუკუნის ჩათვლით.* თბილისი.

**ბუგიანიშვილი თ. 1988:** დავით გარეჯის უდაბნოს ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები. გარეჯი. *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები.* VIII. გვ. 18-38. თბილისი (რედ. კ. ფიცხელაური).

**ბურდილაძე ს. 1977:** ვანის ქვაბის უდაბნო-მონასტრის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები. *სპელეისტიკური კვლევა-ძიებანი. სპელეოლოგთა*

*სამეცნიერო სესია.* XII. გვ. 13 (12-15). თბილისი (რედ. გ. გაფრინდაშვილი)
**გაფრინდაშვილი გ. 1976:** *1089 წლის წარწერა მიწისძვრის შესახებ გარეჯის წამებულის უდაბნოს „ხარიტონის ქვაბიდან," საქ. მეც. აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია).* №2. გვ. 177-186. თბილისი.
**ვარაზიშვილი ვ. 1988:** *არქეოლოგიური დაზვერვები დავით გარეჯის უდაბნოში, გარეჯი. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები.* VIII. გვ. 38-48. თბილისი (რედ. კ.ფიცხელაური).
**ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII). 1939:** *გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა.* ტფილისი.
**თვალჭრელიძე ზ. 1988:** გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნო-მონასტერი (არქეოლოგიური კვლევა-ძიება). *ჟურ. „ძეგლის მეგობარი".* №2. 1988. გვ.14-21. თბილისი. (სერ. რედ. ი.ციციშვილი; რედ. გ. ბარათაშვლი).
**თვალჭრელიძე ზ., ქებულაძე ნ. 2000:** გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის ახალი ასპექტი (ნავთობი IX-XI სს-ის ჭრაქებში). *ჟურ. „ძეგლის მეგობარი".* № 2 (109). გვ.18-22. თბილისი (მთ. რედ. ი.ციციშვილი).
**თვალჭრელიძე ზ. 2001:** გარეჯის სამონასტრო ცხოვრების განვითარების ეტაპები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. *გარეჯის კვლევის ცენტრის შრომები.* №2. გვ. 27- 48. თბილისი (რედ. ზ. სხირტლაძე).
**თვალჭრელიძე ზ. 2003-2004:** გარეჯის სამონასტრო გაერთიანების კერამიკის კვლევისათვის (დოდოს რქის მოჭიქული ჯამები). *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.* ტ. 45. გვ.110-126. თბილისი (სარედ. კომისიის თავმჯდომარე ლ. ჭილაშვილი).
**თვალჭრელიძე ზ., სხირტლაძე ზ. 2010:** მონასტრები და დასახლებები ივრისპირა გარეჯში. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე.* ტ. I (46-ბ). გვ. 96-118. თბილისი (რედ.ზ. თვალჭრელიძე).
**თვალჭრელიძე ზ. 2010:** *გარეჯის მრავალმთის არქეოლოგიური ძეგლები. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი.* თბილისი.
**თვალჭრელიძე ზ., ბახტაძე ნ., ჩხვიმიანი ჯ., მეშველიანი თ. 2014:** ქვემო ქართლში მიკვლეული შუა საუკუნეების ქართული საცხოვრებლის უცნობი სახეობა. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე.* V(50-B). გვ. 128-158. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).
**ლიჩელი ვ. 2007:** ძველი ქართული მეღვინეობა-არქეოლოგიური ინტერპრეტაცია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო და საფრანგეთი: ღვინის ორი ცივილიზაცია". გვ 7-12. თბილისი.
**მუსხელიშვილი ლ., ხიდაშელი შ., ჯაფარიძე ვ. 1954**: *გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და1939 წწ.) არქეოლოგიური კომპანიის ანგარიში.* გვ. 70-72. თბილისი.
**მჭედლიშვილი ბ. 1977:** ივრისპირის „ქვაბების" არქეოლოგიური დაზვერვები. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგირუი ექსპედიციები.* ტ. V. გვ. 157-170. თბილისი (რედ. ა. ჯავახიშვილი).
**მჭედლიშვილი ბ. 1978:** ივრისპირის „ქვაბების" 1976 წლის ექსპედიციის ანგარიში. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები.* ტ. VI. გვ. 114-123. თბილისი (რედ. ა. ჯავახიშვილი).
**მჭედლიშვილი ბ. 1977:** ნასახლარი „ქვაბები" ივრის შუა წელზე. *ესპელეისტიკური კვლევა-ძიებანი. სპელეოლოგთა სამეცნიერო სესია.* XII. გვ. 15-18. თბილისი (რედ. გ. გაფრინდაშვილი).
**მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ., ყვავაძე ე. 2013:** წმ.დოდო გარეჯელის მონასტრის არქეოლოგიური და პალინოლოგიური კვლევის შედეგები. *ჟურ. „ძველი ხელოვნე-*

*ბა დღეს“.* №1. გვ. 82-89. თბილისი (რედ. მ. ბოჭოიძე).
**სხირტლაძე ზ., თვალჭრელიძე ზ. 2001:** გამოქვაბული სამარტვილე წამებულში. *ჟურ. „ACADEMIA“.* ტ. I. გვ. 50-55. თბილისი (მთ. რედ. ა კლდიაშვილი).
**სხირტლაძე ზ. (ზ. თვალჭრელიძის, ქ. აბაშიძის და სხვათა თანაავტორობით) 2006:** *წმიდა დავით გარეჯელის განსასვენებელი.* თბილისი.
**სხირტლაძე ზ. 2007:** წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლესია უდაბნოს მთაზე. გაწმენდითი და საკონსერვაციო სამუშაოები. *კრებული თამარ გამსახურდია - 70.* გვ. 319-330. თბილისი.
**რუხაძე ჯ. 2015:** *ცოცხალი ისტორიები. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. კახეთი I. სამშენებლო კულტურა.* თბილისი (რედ. თ. ცაგარეიშვილი).
**ფიცხელაური კ. 1988:** უდაბნოს არქეოლოგიური შესწავლის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები. გარეჯი. *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები.* VIII. გვ.14-18.თბილისი (რედ. კ. ფიცხელაური).
***ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი.* 2009:** თბილისი (მთ. რედაქტორი ს. ჭანტურიშვილი).
***წმიდა დავით გარეჯელის უდაბნო.* 1884:** შედგენილი მღვდელ-მონაზონ კალისტრატესაგან. ტფილისი.
**ყვავაძე ე., ლიჩელი ვ. 2009:** შუა საუკუნეების აწყურის პალეოეკოლოგია და ეკონომიკა. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია.* №1. გვ. 68-76. თბილისი (რედ. ა. ვეკუა).
**ჩიტაია გ. 1997:** *გლეხის სახლი ქვაბლიანში. შრომები.* ტ. I. თბილისი.
**ჩიქოვანი თ. 1967:** *ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან.* თბილისი.
**ჯავახიშვილი ივ. 1965:** *ქართველი ერის ისტორია. ტ. II.* თბილისი.
**Векуа А. К. 1972:** Квабебская фауна акчагильских позвоночных. Наука. Тм. 8. Москва.
**Векуа А. К., Квавадзе Э. В. 2011:** Плио-Плейстоценовая история фауны и флоры иорской возвышенности (Восточная Грузия). *Археология Кавказа.* №4. Тбилиси (Ред. А. Векуа).
**Габуния Л. К., Лордкипанидзе Д. О., Векуа А. К. 2011:** Систематическое положение Udabnopithecus garedziensis Burtsh.et Gabashv. (Удабно, Восточная Грузия) и его геологичнский возраст. *Археология Кавказа.* №4. Тбилиси (Ред. А. Векуа).
**Долидзе Ж. Ш. 1968:** К изучению акчагыльской флоры Квабеби. *Сообщ. АН ГССР*, 50, №2 Тбилиси.
**Сумбадзе Л. 1984:** *Архитектура Грузинского народного жилища Дарбази.* Тбилиси.
**Al-Habib A.** Bactericidal Effect of Grape seed Extract on Methicillin Resistant Staphylococcus Aureus (MRSA). J Toxicol Sci. 2010;35(3):357-64.
**Barba, L. 1994.** The Old Source of New Archaeological Information. In XV World Congress of Soil Science, Acapulco, Vol. 6 a, edited by P. A. Sanchez, pp. 321-329. Amsterdam: Elsevier.
**Cappadocia:** Results of the 1995 and 1996 seasons, Dumbarton Oaks Papers, 51, pp. 301-306.
**Demkin, V. A. 2000:** "Ispolzovanie fosfatnovo metoda dlia rekonstrukcii zaupokoinoi pishchi v glinianikh sosudax iz kurgannikh zakhoronenii stepnoi zoni, [The use of Phosphate method for the reconstruction of funeral food in the ceramic vessels from burial mounds of the steppe zone]," in Proceedings of Historical Museum, edited by I. I. Shishlin. Moscow, vol.120:100-107.
**Dudd, S.N., Evershed, R.P. 1998:** "Direct Demonstration of Milk as an Element of Archaeological Economies," Science 282 :1478-1481.Eleventh-century Monasticism

[Belfast Byzantine Texts and Translations: 6,1], Belfast, pp. 21-50.
**Evegertis**, 1050-1200, [Belfast Byzantine Texts and Translations: 6,2], Belfast, pp. 420-431.
**Evershed, R.P., Payne, S., Sherratt A.G., Copley, M.S., Coolidge J., Urem-Kotsu D., Kotsakis, K., Özdogan, M., Özdogan A.E., Nieuwenhuyse, O., Akkermans P.M.M.G., Bailey, D., Andeescu R.R., Campbell, S., Farid Sh., Hodder, I., Yalman N., Özbaşaran, M., Bçakc, E., Garfinkel, Y., Levy Th., Burton M.M. 2008** "Earliest Date for Milk Use in the Near East and Southeastern Europe Linked to Cattle Herding," Nature. 455:528-531.
**Heiska N. 2003:** The Economy and Livelihoods of the Early Christian Monasteries in Palestine, University of Helsinki Institute for Cultural Studies, Archaeology Master of Arts Thesis, November.
**Hsu CP, Lin YH, Chou CC, Zhou SP, Hsu YC, Liu CL, Ku FM, Chung YC. 2009:** Mechanisms of Grape seed Procyanidin-Induced Apoptosis in Colorectal Carcinoma Cells. Anticancer Res. 29(1):283-9.
**Kvavadze, E. 2006:** The Use of Fossilized Honey for Palaeoecological Reconstruction: A Palynological Study of Archaeological Material from Georgia. Palaeontological Journal 40(5): 595–603.
**Kvavadze, E., Licheli V., Margvelashvili P. 2011:** Climatic optima in the mountains of Georgia during Middle Age: results of palinogical investigation of Navenakhari Settlement and Betlemy Monastery. Abstract of XVIII Congress INQUA, Bern, pp. 31-32.
**McGovern P. 1998:** Wine for Eternity. How Molecular Archaeologist Iidentified the Contents of Vssels Found in the Tomb of Egiptian King. Archaeologist, July/August, pp. 18-34.
**McGovern P., Zhang J., Tang J., Zhang Z., Hall G.R., Moreau A., R., Nunez A., Butrym D., Richards M.R., Wang C., Cheng G., Zhao Z. 2004:** Fermenten Beverages of Pre-and Proto-historic China. PNAS, vol.101, No.51, pp.17593-17598.
**Messager E., Martin, L., Kvavadze, E., Herrscher, E., Martkoplishvili, I., Delhon, C., Kakhiani, K., Bedianashvili, G., Sagona, A., Bitadze, L., Poulmarc'h, M., Guy, A. and Lordkipanidze, D. 2015:** Archaeobotanical and Isotopic evidence of Early Bronze Age Farming Activities and Diet in the Mountainous Environment of the South Caucasus: A Pilot Study of Chobareti Site (Samtskhe-Javakheti region)". Journal of Archaeological Science 53: 214–226.
**Ousterhout R. 1997a:** Survey of the Byzantine Settlement at Çanli Kilise in Cappadocia: Results of the 1995 and 1996 seasons, *Dumbarton Oaks Papers*, 51, pp. 301-306.
**Ousterhout R. 1997b:** Questioning the Architectural Evidence: Cappadocian Monasticism, M. Mullet and A. Kirchy (eds.), *Work and Wokship of tne Theotokos Evegertis*, 1050-1200 [Belfast, Bysantine Texts and Translations: 6.2]. Belfast. pp. 420-431.
**Rodley L. 1985:** *Cave Monasteries of Byzantine Cappadocia. Cambridge*.
**Rusishvili N. 2007:** New Information About Archaeobotanical Vitis, from Georgia. Abstracts of the 14th Symposium of the IWGP, Krakow. p.104.
**Rosch M. 1999:** Evolution of honey recidues from Iron Age hill-top sites in south-western Germany: implication for local and regional land use and vegetation dynamics, Vegetation History and Archeobotany, 8, pp 105-112.
**Rosch M. 2005:** Pollen analyses of the contents of excavated vessels - direct archaeobotanical evidence of beverages, Vegetation History and Archeobotany, 14, pp 179-188.
**Teteriatnikov N. 1994:** Monastic Settlements in Cappadocia: the Case of
the Göreme Valley, M. Mullett and A. Kirby (eds.), *The Theotokos Evergetis and Eleventh-century Monasticism [Belfast, Bysantine Texts and Translations: 6.1]. Belfast*. pp. 21-50.
**Thierry N. 2002:** *La Cappadoce de l'antiquite au Moyen Age*. Paris.

# ილუსტრაციების აღწერილობა

ტაბ. I.
სურ. 1. „ქვაბები." გამოქვაბული კომპლექსი. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
სურ. 2. „ქვაბები." გამოქვაბული კომპლექსი. აღმოსავლეთის ჯგუფის ქვაბები (დეტალი)
სურ. 3. „ქვაბები." გამოქვაბული კომპლექსი. ცენტრალური ჯგუფის ქვაბები (დეტალი)
სურ. 4. „ქვაბები." გამოქვაბული კომპლექსი. დასავლეთის ქვაბები (ისრით აღნიშნულია შესასვლელი ქვაბთა რიგში გუმბათიანი ეკლესიით)
ტაბ. II.
სურ. 1. „ ქვაბები." ლულიანი ტიპის ჭრაქები (IX-X სს). საინვ. №№ 3-994:441; 3-994:442; 3-994:443
სურ. 2-3. „ ქვაბები." ხელქოთანა (IX-XI სს.) საინვ. № 3-994:402. ფოტო და ნახაზი გვერდხედი ჭრილით (ვ. მამიაშვილის მიხედვით)
სურ. 4-5. „ქვაბები."ლამბაქისებრი ჭურჭელი (IX-XI სს.). საინვ. № 3-994:402. ფოტო და ნახაზი გვერთხედი ჭრილით (ვ. მამიაშვილის მიხედვით)
ტაბ. III. „ქვაბების" ჭურჭლისა და სამწევრისის ქვევრის შიგთავსის ხე-მცენარეთა და ბუჩქნარების მტვრის შემადგენლობის დიაგრამა
სურ. 1. „ქვაბების" ჭურჭლისა და სამწევრისის ქვევრის შიგთავსის ხე-მცენარეთა და ბუჩქნარების მტვრის შემადგენლობის დიაგრამა
სურ.2. „ქვაბების" ჭურჭლისა და სამწევრისის ქვევრის შიგთავსის ბალახოვანთა მტვრის შემადგენლობის დიაგრამა
სურ.3. „ქვაბების" ჭურჭლისა და სამწევრისის ქვევრის შიგთავსის არაპალინოლოგიური ნაშთების შემადგენლობის დიაგრამა
ტაბ. IV. „ქვაბები". ხელქოთანში აღმოჩენილი ვაზის (Vitis vinifera) მტვრის მარცვლები.
ტაბ. V. ქვაბები. ხელქოთანში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები: 1-წიფელი (Fagus orientalis); 2-კაკალი (Juglans regia); 3,6-თხილი (Corylus); 4-მუხა (Quercus); 5- მურყანი (Alnus); 7,8- ქერი (Hordeum); 9-ავშანი (Artemisia); 10,11-ნაცარქათამა (Chenopodium album); 12- ნარშავი (Carduus).
ტაბ. VI. „ქვაბები". ლამბაქისებრ ჭურჭელში აღმოჩენილი ვაზის (Vitis vinifera) მტვრის მარცვლები
ტაბ. VII. „ქვაბები." ლამბაქისებრ ჭურჭელში აღმოჩენილი პალინოლონომორფები:1-4 სათესი მარცვლოვნების (Cerealia) ფიტოლიტები; 5-ვაზის (Vitis viniferae) სახამებელი; 6. ხორბლის მარცვალი (Triticum)
ტაბ. VIII. „ქვაბები". ლამბაქისებრ ჭურჭელში აღმოჩენილი არაპალინოლოგიური ნაშთები: 1-სელის (Linum) ძაფი; 2-შალის ბოჭკო; 3-თელას (Ulmus) ხის მერქნის უჯრედები; 4- სელის (Linum) ქსოვილის ბოჭკო
ტაბ. IX. ხელქოთანაში და ლამბაქისებრ ჭურჭელში აღმოჩენილი ქსოვილის ნაშთი: 1,2,3- სელის (Linum) ბოჭკო; 4- შალის ბოჭკო

## LIST OF ILLUSTRATIONS

Tab I.
Fig 1. "Qvabebi". Cave complex. View from the south-west
Fig 2. "Qvabebi". Cave complex. East group of "Qvabebi" (detail)
Fig. 3. "Qvabebi". Cave complex. Central group of "Qvabebi" (detail)
Fig. 4. "Qvabebi". Cave complex. West group of "Qvabebi" (Indicator points to the entrance into the "Qvabebi" through a dome church)

Tab II.
Fig. 1. "Qvabebi" . Rushy type wick-lamps ($9^{th}$-$10^{th}$ cc.). Inventory №№ 3-994:441; 3-994:442; 3-994:443
Fig. 2-3. "Qvabebi" . "Khelkotana" (vessel for wine) ($9^{th}$-$11^{th}$ cc.). Inventory №№ 3-994:403. Photo and drawing- transfer section (according to V. Mamiashvili)
Fig. 4-5. "Qvabebi". Saucer – shaped vessels ($9^{th}$-$11^{th}$ cc.). Inventory №№ 3-994:402. Photo and drawing - transfer section (according to V. Mamiashvili)

Tab III.
Fig.1. Arboreal pollen and shrubs diagram of "Qvabebi" pot content and Samcevrisi "qvevri" material
Fig.2. Non-arboreal pollen diagram of "Qvabebi" pot content and Samcevrisi "qvevri" material.
Fig.3. Non- pollen palynomorphs diagram of "Qvabebi" pot content and Samcevrisi qvevri material

Tab IV.
"Qvabebi". Pollen grain of grape (Vitis vinifera) found in "khelkotani"

Tab V.
"Qvabebi". Pollen grain found in "khelkotani": 1-beech (Fagus orientalis); 2-walnut (Juglans regia); 3,6-nut (Corylus); 4-oak (Quercus); 5- alder (Alnus); 7,8- barley (Hordeum); 9-wormwood (Artemisia); 10,11- goosefoot (Chenopodium album); 12- thistle (Carduus)

Tab VI.
"Qvabebi". Pollen grapes found in a saucer-shaped vessel

Tab VII.
"Qvabebi". Pollen palynomorphs found in a sauther-shaped vessel:1-4 Cerealia phytoliths; 5-starch of grape-vine (Vitis viniferae); 6. wheat seed (Triticum)

Tab VIII.
"Qvabebi". Non- pollen palynomorphs found in a sauther-shaped vessel: 1-flax thread (Linum); 2-wool fiber; 3-elm (Ulmus) wood parenchimal cells; 4- flax (Linum) textile fiber

Tab IX.
"Qvabebi". Textile remais found in a wine vessel ("khelkotana") and in a sauther-shaped vessel: 1,2,3 - flex fiber (Linum); 4- wool fiber



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

ტაბ. II Tab.



სურ. 1 Fig.

0 1 2 3 4 5





სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.





სურ. 4 Fig.

0 1 2 3 4 5

სურ. 5 Fig.




სურ. 1. „ქვაბების“ ჭურჭლისა და სამწევრისის ქვევრის შიგთავსის ხე-მცენარეთა და ბუჩქნარების მტვრის შემადგენლობის დიაგრამა




სურ.2. „ქვაბების“ ჭურჭლისა და სამწევრისის ქვევრის შიგთავსის ბალახოვანთა მტვრის შემადგენლობის დიაგრამა




სურ.3. „ქვაბების“ ჭურჭლისა და სამწევრისის ქვევრის შიგთავსის არაპალინოლოგიური ნაშთების შემადგენლობის დიაგრამა

ტაბ. IV Tab.




1
2
3
4
5
6
7
8
20μm
9
10
11
12




20µm

ტაბ. VII Tab.



ტაბ. VIII Tab.




ტაბ. IX Tab.



საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 87-98
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 87-98

**ნუმიზმატიკა**

**მედეა შეროზია**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: m.sherozia@yahoo.com

# ახალი ნუმიზმატიკური მასალა დედოფლის გორიდან

დედოფლის გორა (არადეთის ორგორა, პოშტი გორა) მდებარეობს შიდა ქართლში, ქარელის რაიონში, სოფელ დოღლაურიდან 7 კილომეტრის დაშორებით, დედოფლის მინდორზე. ძეგლს მრავალი წელია სწავლობს შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფესორ იულონ გაგოშიძის ხელმძღვანელობით. აქ სხვადასხვა დროს გამოვლენილია მრავალფეროვანი, მეცნიერული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნუმიზმატიკური მასალა.

ახ. წ. I ს-ის მიწურულს ხანძარმა, რომელიც, შესაძლებელია, მიწისძვრამ გამოიწვია, გაანადგურა დედოფლის გორაზე არსებული სასახლე [Gagoshidze I. 2004:41]. სასახლის ტერიტორიაზე გამოვლენილი ყველა მონეტა დაზიანებულია ცეცხლში ყოფნის გამო.

შემონახული ცნობების მიხედვით, პირველი მონეტა აქ აღმოჩნდა 1926 წელს, როდესაც ქარელის რაიონის სოფელ არადეთის მკვიდრმა, ლეო ტიტვინიძემ, ორგორის ფერდობზე ბრინჯაოს, მინისა და ოქროს ნივთებთან ერთად იპოვა რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი რომში 67 წელს (ნივთები ინახება შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში) [Дундуа Г. 1987:146].

მონეტა ცუდადაა დაცული, გაცვეთილია. წონა - 3,08 გრ, ზომა - 18 მმ (სურ. 1).

AV: ვაკუნის ჩაფხუტიანი (აისის,მინერვა, აპოლო, ვიქტორია,დიანას ნიშნების მქონე ღვთაება), დრაპირებული ბიუსტი მარჯვნივ. ბიუსტის უკან წარწერაა: CESTIANUS, წინ – SC. გამოსახულების ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალია.

RV: არწივი, რომელიც ელვაზე ზის. ირგვლივ წრიული წარწერაა: ETORIUS M.F. AED. CVR. გამოსახულების ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალია.

1986 წელს, არქეოლოგიური სამუშაოების დროს, სასახლის ეზოში, იატაკზე, დამწვარ ფენაში, აღმოჩნდა თრაქიის მმართველ ლისიმაქეს (ძვ.წ. 306-282 წწ.) სტატერი, მოჭრილი ბიზანტიონში. იგი დაზიანებულია ცეცხლში ყოფნის გამო [Sherozia M. 2008: 242]. ესაა პირველი შემთხვევა ლისიმაქეს სტატერის აღმოჩენისა აღმოსავლეთ საქართველოში. რაც შეეხება კოლხეთის სამეფოს (დასავლეთი საქართველო), იგი აქ ფართოდ იყო

გავრცელებული. ზოგადად, ლისიმაქეს სტატერები, ისევე, როგორც ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი მონეტები, ინტერლოკალური მონეტების როლს ასრულებდა. ლისიმაქეს სტატერები აღმოჩენილია: სოფელ ზემო მარხში (სვანეთი); სოფელ ეკში (სენაკის რ-ნი); დაბა ვანში; აფხაზეთში, გულრიფშში [Дундуа Г. 1987:448,449]. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული და ორი საუკუნის (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.) განმავლობაში ბრუნავდა ამ საფასეს ოქროს იმიტაციები.

მონეტა დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობისმუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში. გ.ფ. №25237. წონა - 8,4 გრ, ზომა - 19/18 მმ (სურ. 2).

AV: გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის თავი დიადემითა და ამონის რქით.

RV: ტახტზე მჯდომი ათენა პალადა მარცხნივ. მარცხენა ხელში მას შუბი უჭირავს და ფარს ეყრდნობა.გაწვდილ მარჯვენა ხელზე დგას გამარჯვების ქალღმერთი ნიკე. მის ქვემოთ სამთითა და დელფინებია. ისინი, სავარაუდოდ, სამთითასთან იყო გამოსახული. დაზიანების გამო კი არ ჩანს.

2004 წელს ექსპედიციამ დედოფლის გორაზე, მე-15 ოთახის „შემოკრებილ" ნანგრევებში, იპოვა უკიდურესად დაზიანებული ვერცხლის მონეტა, რომელსაც ცეცხლის ნაკვალევი ეტყობოდა [ქებულაძე ნ. 2012:411].კვალიფიციურად ჩატარებული გაწმენდა-რესტავრაციის შემდგომ ნათელი გახდა, რომ საფასე იყო რომის პირველ იმპერატორ, ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ.) დენარის (მოჭრილი ძვ.წ. 2-ახ.წ. - 4 წწ.-ში. ლუგდუნუმის ზარაფხანაში) ადგილობრივი მინაბაძი [შეროზია მ. 2009. 66]. წონა – 3,12 გრ. ზომა – 19 მმ. გ.ფ.№26274 (სურ. 3).

AV: მამაკაცის მარჯვნივ მიმართული პროფილი დიდი ცხვირით, თავზე დაფნის გვირგვინით, რომლის ბაფთები კეფაზე იკვრება.გვირგვინს ზემოდან შემოუყვება სამი ჩიტის გამოსახულება.პროფილის წინ და უკან წარწერის გადმოცემის მცდელობაა. გამოსახულებას შემოუყვება წერტილოვანი რკალი.

RV: გაი და ლუციუს ცეზარების სქემატური გამოსახულება, მათ შორის, ორი ფარი და ორი შუბი, შუბებს შორის, მაღლა - სიმპულუმი და ლიტუსი. გამოსახულების მარჯვნივ და მარცხნივ წარწერის გადმოცემის მცდელობაა. გამოსახულებას შემოუყვება წერტილოვანი რკალი.

ზოგადად, ამ საფასეს აღმოჩენას აღნიშნულ ძეგლზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამ ტიპის იმიტაციების დამზადების თარიღის გასარკვევად. ცნობილია, რომ სასახლე, სადაც აღმოჩნდა მონეტა, ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ის ნაგებობაა. ახ.წ. I ს-ის დასასრულ სასახლე ხანძარმა იმსხვერპლა [Gagoshidze I. 2004:172]. ამიტომ, შესაბამისად, აღნიშნული იმიტაცია ვერ დათარიღდება მოგვიანო პერიოდით. ამდენად, ის და მისი ანალოგიური ცალები უნდა დათარიღდეს ახ.წ. I ს-ის II ნახევრით, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ოქტავიანე ავგუსტუსის ამ ტიპის დენარის მიმოქცევაში ინტენსიურად ჩართვისთანავე ჩნდება მისი ადგილობრივი მინაბაძები [შეროზია მ. 2013:233].

ნუმიზმატიკური მასალის მოპოვების თვალსაზრისით, განსაკუთრებით უხვი გამოდგა 2013 წლის სამუშაო სეზონი. მე-20 სათავსის ტერიტორიაზე, საკურთხევლის თავზე, პრეპერაციის დროს სხვადასხვა ნივთსა და მცირე ზომის ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებათა ქანდაკებებთან

ერთად აღმოჩნდა მინის ჭურჭელში მოთავსებული, ცეცხლში ყოფნის გამო ერთმანეთზე შედუღაბებული, მონეტების გროვა. რესტავრატორთა ხანგრძლივი და პროფესიული მუშაობის შედეგად გამოვლინდა გროვაში მყოფი 15 მონეტა.ესენია: ალექსანდრე მაკედონელის 2 ცალი სტატერის ელექტრუმისაგან დამზადებული ადგილობრივი მინაბაძი და ოქტავიანე ავგუსტუსის 13 ცალი დენარი, მოჭრილი ლუგდუნუმში ძვ.წ. 2 - ახ.წ. 4 წწ.-ში (სურ. 19). საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს საფასე ფართოდ იყო გავრცელებული იბერიის სამეფოს მთელ ტერიტორიაზე.

1. გ.ფ. №33817. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, დამზადებული ელექტრუმისაგან. სპექტრული ანალიზის შედეგი ასეთია: ოქრო - 70,343%, ვერცხლი - 24,939%, კუპრუმი - 4,718%. წონა - 3,27 გრ, ზომა – 16 მმ. მონეტის გურტი შემაღლებულია. მონეტის არეზე, ორივე მხრიდან, შავი ლაქებია (სურ. 4).

AV: მარჯვნივ მიმართული ადამიანის უკიდურესად სქემატური თავის გამოსახულება ოდნავ აპრეხილი ცხვირით.თვალი წარმოდგენილია წრეში ჩასმული წერტილით. სახის წინ ოთხი, ხოლო თავს უკან ერთი ასეთივე წერტილია გამოსახული.

RV: ნიკეს სქემატური, ფრთებგაშლილი ფრონტალური გამოსახულება. ტერფები მიმართული აქვს მარჯვნივ. მონეტის არეზე რვა წერტილია გამოსახული, ერთი - თავთან, სამი - მარჯვნივ, ოთხი - მარცხნივ.

2. გ.ფ. №33818. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, დამზადებული ელექტრუმისაგან. სპექტრული ანალიზის შედეგი ასეთია: ოქრო - 56,432%, ვერცხლი - 40,524%, კუპრუმი - 3,040 %. წონა - 2,95 გრ, ზომა - 17/17 მმ. მონეტის გურტი შემაღლებული არაა (სურ. 5).

AV: მარჯვნივ მიმართული ადამიანის უკიდურესად სქემატური თავის გამოსახულება სწორი, მართკუთხა ცხვირით.თვალი წარმოდგენილია წრეში ჩასმული წერტილით. ცხვირის წინ - სამი, ტუჩებთან - ერთი, თავს უკან, ყურებთან, ორი ასეთივე წერტილია გამოსახული.

RV: ნიკეს სქემატური, ფრთებგაშლილი ფრონტალური გამოსახულება. ტერფები მიმართული აქვს მარცხნივ. მონეტის არეზე ათი წერტილია გამოსახული. ერთი თავთან, რქებს შორის, ოთხი - მარცხნივ და ხუთი - მარჯვნივ.

როგორც აღვნიშნეთ, ორივე იმიტაცია ერთი ხელწერითაა დამზადებული, თუმცა, სიქები განსხვავებულია. ერთს აქვს ამაღლებული გურტი, მეორეს არა აქვს. იმას, რომელსაც გურტი არა აქვს ამაღლებული, ერთი მილიმეტრით უფრო განიერია, რაც, ვფიქრობთ, იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ გურტი აამაღლეს მონეტის დამზადების შემდგომ. სიქის გარეთ დარჩენილი მონეტის არის ნაწილი მაღლდებოდა, რათა მონეტები მოცულობით მეტ-ნაკლებად თანაბარი ყოფილიყო.

ეს საფასეები, ჩვენი აზრით, ამ ტიპის სამონეტო ემისიის ყველაზე გვიანდელი ცალებია, დამზადებული უკიდურესად დაბალი სინჯის ელექტრუმისაგან, განსაკუთრებით, №33818, რომელიც ვიზუალურად თითქმის ვერცხლისფერია. დამზადებულია, სავარაუდოდ, არა უგვიანეს ახ.წ. I ს-ის შუა პერიოდში. ტიპოლოგიურად ემსგავსება: 1974 წელს მცხეთაში, სვეტიცხოვლის უბანზე, გამოვლენილ ცალებს (დაცულია მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. №№6:113, 1”14, 4:62); მცხეთის სადგურთან, აკლდამა-

ში, 1951 წელს აღმოჩენილ იმიტაციებს. გ.ფ.№№9208-9212 [ლომთათიძე გ., ციციშვილი ირ. 1951: 641; მათიაშვილი ნ. 2016: 67]; 1986 წელს კასპის რაიონის სოფ. ქვემოჭალაში აღმოჩენილასევე დაბალი სინჯის ოქროსაგანდამზადებულ ცალს.გ.ფ. .№22459 [შეროზია მ. 2014:177]; ქალაქ გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ ეგზემპლარს. საინვ. №6432/1. იგი აღმოჩენილია ქალაქ გორში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, 1951 წელს, ადმინისტრაციული სახლის მშენებლობის დროს [შეროზია მ. 2014:176].

შემდეგი სამონეტო ჯგუფი, რომელიც აღმოჩნდა დედოფლის გორაზე, ოქტავიანე ავგუსტუსის სახელით მოჭრილი 13 ცალი დენარია. ეს მონეტები იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე ყველაზე ფართოდ გავრცელებული მონეტების ჯგუფია. მოჭრილია ლუგდუნუმის სამონეტო კარზე ძვ.წ. 2-ახ.წ. 4 წლებში და, შესაძლებელია, უფრო გვიანაც. ის ასე გამოიყურება:

AV: ავგუსტუსის დაფნის გვირგვინიანი თავი მარჯვნივ. ირგვლივ წრიული წარწერა: CAESAR AVGUSTUS DIVI F. PATER PATRIAE („კეისარი ავგუსტე ღვთაებრივი მამა სამშობლოსი”).

RV: გაი და ლუციუს ცეზარები მოსასხამებითა და თავსაბურავებით დგანან ერთმანეთის პირისპირ, ცალი ხელით ეყრდნობიან მათ შუა მოთავსებულ ფარებს. მათ შორის შუბებია გადაჯვარედინებული, შუბებს შორის, ზემოთ, გამოსახულია სიმპულუმი (სიმპულუმ - შესაწირი ჩამჩა პონტიფიკებისა), მარცხნივ - ლიტუსი (ლიტუს - მოღუნული კვერთხი ავგურისა). ირგვლივ წრიული ზედწერილი: C.L. CAESARES AVGUSTI F. COS, DESIA. PRINC. IVVENT. (C(ajus)(et) L (ucius) Caesares Augusti F(iliae) Cos (=Cosulatus) (aliciu) Desig (natus) Pric(eps) juvent(utis) = „გაიუსი (და) ლუციუსი კეისარ ავგუსტეს შვილები კონსულებად არჩეულნი ტახტის მემკვიდრეები” [Mattingly H. 1965:89].

მონეტების უმეტესობა მეტ-ნაკლებად დაზიანებულია ცეცხლისაგან. მხატვრული თვალსაზრისით, ყველა მაღალ დონეზეა შესრულებული. საერთოდ, არსებობს ამ მონეტის ოთხი ვარიანტი. ეს გამოიხატება რევერსის მხარეს რელიგიური სიმბოლოების - ლიტუსისა და სიმპულუმის განლაგებაში. ამ ჯგუფში სამი ვარიანტია წარმოდგენილი. 7 ცალზე მარჯვნივ - ლიტუსი, მარცხნივ - სიმპულუმი. 5 ცალზე მარცხნივ – სიმპულუმი, მარჯვნივ - ლიტუსი და 1 ცალზე - მარცხნივ სიმპულუმი, მარჯვნივ - ლიტუსი და მათ ქვემოთ, იქსი - გადაჯვარედინებული ხაზი (ამ ელემენტის მნიშვნელობა გაურკვეველია).

1. გ.ფ. №33819. წონა - 3,76 გრ, ზომა - 20/19 მმ (სურ. 6)
2. გ.ფ. №33820. წონა - 3,62 გრ, ზომა - 20/18 მმ (სურ. 7)
3. გ.ფ. №33821. წონა - 3,71 გრ, ზომა - 19/18 მმ (სურ. 8)
4. გ.ფ. №33822. წონა - 3,29 გრ, ზომა - 19/18 მმ (სურ. 9)
5. გ.ფ. №33823. წონა - 3,51 გრ, ზომა - 12/17 მმ (სურ. 10)
6. გ.ფ. №33824. წონა - 3,34 გრ, ზომა - 19/17 მმ. დაზიანებული (სურ. 11)
7. გ.ფ. №33825. წონა - 3,65 გრ, ზომა - 20/18 მმ. დაზიანებული (სურ. 12)
8. გ.ფ. №33826. წონა - 3,20 გრ, ზომა - 12/18 მმ (სურ. 13)
9. გ.ფ. №33827. წონა – 2,96 გრ, ზომა - 18/17 მმ. დაზიანებული (სურ. 14)
10. გ.ფ. №33828. წონა - 3,26 გრ, ზომა - 21/16 მმ. ნაკლული, დაზიანებული (სურ. 15)
11. გ.ფ. №33829. წონა - 3,28 გრ, ზომა - 19/17 მმ. დაზიანებული (სურ. 16)

12. გ.ფ. №33830. წონა - 3,23 გრ, ზომა - 19/17 მმ. ნაკლული, დაზიანებული (სურ. 17)

13. გ.ფ. №33831. წონა - 3,26 გრ, ზომა - 19/17 მმ. ნაკლული, დაზიანებული (სურ. 18)

დენარის ეს ტიპი ფართოდ გავრცელებული საფასე იყო მთელ იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში, მათ შორის, იბერიის სამეფოში. დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე 380-ზე მეტი პასპორტიზებული ეგზემპლარია აღმოჩენილი. ესაა ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მოპოვებული რომაული პერიოდის საფასეების ნახევარზე მეტი, უმეტესად, სამარხეული მასალა. აქამდე განძად აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა დადასტურებული. 1944 წელს, არქეოლოგიური გათხრების დროს, მცხეთაში, ბაგინეთზე (შიდა ციხე), თავდაცვითი კედლის ძირში, გამოვლინდა ავგუსტუსის 22 ცალი დენარი [მცხეთა I. 1955:179].

ავგუსტუსის დენარების განძად აღმოჩენის კიდევ ერთი შემთხვევა გვაქვს დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ქალაქ ჟდანოვთან (ტაზაკენდის რაიონი) 12 ერთეულისაგან შემდგარი განძი გამოვლინდა [Халилов Дж. 1985:154].

დედოფლის გორაზე გამოვლინდა ამ საფასეების სარიტუალო შენაწირის სახით გამოყენების პირველი შემთხვევა. მონეტები, სავარაუდოდ, მოთავსებული იყო ქისაში და შემდეგ ჩადებული მინის ჭურჭელში. მინის ჭურჭლის ფორმის დადგენა ჭირს, რადგან ძლიერაა დეფორმირებული (სურ. 20).

უაღრესად ინფორმაციულია კარგად დათარიღებულ ძეგლზე ოქტავიანე ავგუსტუსის დენარისა და მისი მინაბაძის ერთდროული აღმოჩენა. ეს ფაქტი გვაძლევს შემდეგი სახის დასკვნის გაკეთების საშუალებას:

ახ.წ. I ს-ის დასასრულ სასახლე ხანძარმა იმსხვერპლა. ამის გამო ეს მინაბაძი და მისი იდენტური ცალები შესაძლებელია, დათარიღდეს ახ.წ. I ს-ის დასასრულით, ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ავგუსტუსის ამ ტიპის დენარის მიმოქცევაში ინტენსიურად ჩართვისთანავე, ე.ი. I ს-ის II ნახევრიდანვე, ჩნდება მისი ადგილობრივი მინაბაძები.

თვალსაჩინოა, რომ ოქტავიანე ავგუსტუსის დენარები და მისი იბერიული მინაბაძები იბრუნვის ერთდროულად.

ახ.წ. I ს-ის II ნახევარში ჯერ კიდევ მიმოქცევაშია ელინისტური პერიოდის საფასე თრაქიის მმართველ ლისიმაქეს სტატერის სახით და რესპუბლიკური პერიოდის რომაული დენარი, მოჭრილი ძვ.წ. 67 წელს.

ამავე დროს, მიმოქცევაშია ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილობრივი მინაბაძები, უკვე საკმაოდ გვიანდელი, დაკნინებული, დამზადებული დაბალი სინჯის ელექტრუმისაგან, ე. ი. სახეზე გვაქვს სამონეტო მიმოქცევის ფაქტობრივი სურათი იბერიის სამეფოს ამ რეგიონში. ამ ტიპის სხვა ძეგლი, რომელიც იძლევა სამონეტო მიმოქცევის რეალურ სურათს დროის განსაზღვრულ პერიოდში, ჩვენ არ გვაქვს. აქამდე გვქონდა, ძირითადად, სამარხეული კომპლექსებიდან მომდინარე მონაცემები, რომლებიც ასე მკაფიოდ ვერ ასახავს სავაჭრო-ფულადი ურთიერთობების რეალურ სურათს.

შემთხვევითობით უნდა აიხსნას ის, რომ მონეტებს შორის არაა პართული ფულის ნიშნები, რომლებიც ფართოდ მიმოიქცევა ამ პერიოდის

იბერიის სამეფოში. მრავალჯერ აღმოჩნდა ისინი შიდა ქართლის, მათ შორის, ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეც [აბრამიშვილი თ. 1974:15,45,74,101,102,107]. ამის ნათელი მაგალითია 1997 წელს ქარელის რაიონის სოფელ ტახტიძირში (რომელიც სულ რამდენიმე კილომეტრშია დედოფლის გორიდან), სამარხებში, ადრეული პართული საფასეების აღმოჩენის ფაქტი [Sherozia M. 2007:22,62,73,81,97]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის მიმართულებით ინტენსიურობა არშაკიდების ფულის მიმოქცევისა კლებულობს. ისინი უფრო მეტადაა გამოვლენილი შემდეგ ადგილებში: მცხეთაში, კასპში, გორში, ჟინვალსა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს ის ვითარებაც, რომ ამ რეგიონის სამონეტო მიმოქცევაზე გავლენა იქონია კოლხურ ცივილიზაციასთან სიახლოვემ. სავარაუდოდ, სწორედ დასავლეთ საქართველოდან მოხვდა აქ ალექსანდრე მაკედონელისა (აღმოჩენილია ტახტიძირის სამაროვანზე [Sherozia M. 2008: 242]) და ლისიმაქეს სტატერები.

არსებული კონტაქტების ნათელი დადასტურებაა კოლხეთის სამეფოს ფულადი ნიშნების - ტრიობოლების აღმოჩენის შემთხვევები აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე კოლხური ტრიობოლები აღმოჩენილია: ქ. მცხეთაში [Капанадзе Д. 1955 :165]; დაბა სურამში (განძის შემადგენლობაში) [Пахомов Е. 1926:36. №2; Зограф А. 1945:56. №24]; ჯავის რაიონის სოფელ სოხტაში 1930-იან წლებში აღმოჩენილი კოლხური ტრიობოლების განძი, რომელიც მოსახლეობაში გაიფანტა [Пахомов Е. 1949:9. №1002]; ახალციხის რაიონის სოფელ აწყურსა [Дундуа Г. 1987:136] და სოფელ წნისში [კვიჟინაძე კ. 1983:31]; დაბა ჯავაში (ჯავის რ-ნი); სოფელ კვაისაში (ზნაურის რ-ნი); ქ. ხაშურში [ლორთქიფანიძე გ., გერაძე გ. 2007:112]; სოფელ მცხეთიჯვარში (ხაშურის რ-ი) [ბრეგვაძე ზ., დავითაშვილი ა. 1993:19]; ქ. ბორჯომში [ლორთქიფანიძე გ., გერაძე გ. 2007:112]. ეს გარემოება მიმანიშნებელია ეთნოკულტურული და ეკონომიკური კავშირებისა, რაც თავისთავად გულისხმობს საქართველოს ამ ორ რეგიონს შორის საგზაო მაგისტრალებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას. კოლხური ტრიობოლი შიდა მოხმარების სამონეტო ემისიაა. მისი შეღწევა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმის მაუწყებელია, რომ ეს ორი რეგიონი ოდითგანვე მჭიდრო ეთნოკულტურულ კავშირში იყო.

ელინისტურ ხანაში იბერიას გაცხოველებული ურთიერთობა აქვს კოლხეთის ქალაქებთან [ხახუტაიშვილი დ. 1970:631]. ცხადია, რომ ეს ვითარება მოგვიანო - რომაულ პერიოდშიც გრძელდება.

დასკვნის სახით შესაძლებელია გავიმეოროთ, რომ დედოფლის გორა ნუმიზმატიკური მონაპოვრის თვალსაზრისით უნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლია.

**Medea Sherozia**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
email: m.sherozia@yahoo.com

# Dedoplis Gora According to Numismatic Evidences

## Summary

Dedoplis Gora (Aradetis Orgora) is situated in Shida Kartli, near village Doglaura in Kareli region, on Dedoplis field. The diverse, significant numismatic material, from the scientific point of view, has been discovered in this site during archaeological works of different periods.

By the end of the first century A.D. fire, which might have been caused by the earthquake, destroyed a castle on Dedoplis Gora, which existed in the 1st c. B.C. – 2nd. c. A. D. All coins discovered on the territory of the castle, were damaged due to the fire.

The first coin was discovered in 1962. It was minted in Rome in 67 B.C., it was Republican denarius which was found together with copper, glass and gold artifacts.

In 1968, during archaeological excavations, Lysimachos' stater-ruler of Thrace (360 B.C. – 281 B.C.) of Byzantium mint was found on the territory of the castle, in the floor in space 15. It was the first discovery of Lysimachus's stater on the territory of east Georgia.

In 2004, an exceedingly damaged silver coin was discovered in the ruins around space 15. After restoration works, it became clear that the coin was a local imitation of denarius of the first Roman Emperor Octavian Augustus (minted in 2nd B.C. – 4 A.D.).

The 2013 season was fruitful according to numismatic findings. A pile of coins, that were attached to each other because of the fire and, presumably, were in a glass vessel, were found together with other objects and a small statuette of the Greek-Roman Pantheon on the top of an altar. After long and professional work carried out by restorers, it was revealed that the pile consisted of fifteen welded coins: 2 local electrum imitations of Alexander of Macedon's staters and 13 denarii of Octavian Augustus. It is well-known that those coins were in wide circulation on the whole territory of Iberian kingdom.

The fact that Octavian Augustus' denarius and its imitations were discovered simultaneously is very informative and gives us an opportunity to come to the following conclusion: the castle was destroyed by the fire at the end of the 1st c.

A.D. This gives ground to state that local imitations appeared from the very moment of introduction of this type of denarius by Augustus, in the second half of the 1st c. Octavius Augustus' denarii and their Iberian imitations circulated in the same period of time.

It is noteworthy that in the second part of the 1st c. A.D. Hellenistic period coins were still in circulation in the form of staters of Lysimachos and Republican Roman denarius, minted in 67 B.C.

At the same time, local imitations of Alexander of Macedon's staters circulated as well.

The fact that Parthian coins were not found in the discovered numismatic material, should be qualified as an accident, as they were in wide circulation in that period Georgia. Numerous discoveries were found on the territory of Shida Kartli, including Kareli Municipality.

Dedoplis Gora is a very important archaeological site, which is different from other places, as it recreates a real picture of monetary circulation in that period Kartli kingdom. Up to now, we have only dealt with data from burial complexes which did not distinctly reflect trade and monetary relations.

## ბიბლიოგრაფია

**აბრამიშვილი თ. 1974:** *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი.* თბილისი.

**ბრეგვაძე ზ., დავითაშვილი ა. 1993**: *მცხეთიჯვრის ელინისტური ხანის სამარხები.* თბილისი.

**კვიჟინაძე კ. 1983:** წნისისხევის ადრეელინისტური ხანის სამაროვანი. *ძეგლის მეგობარი.* №63. გვ. 28-32. თბილისი.

**ლორთქიფანიძე გ., გერაძე გ. 2007**: *ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან.* თბილისი.

**ლომთათიძე გ., ციციშვილი ირ. 1951:** ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში. *სმამ.* ტ.XIII. №10. გვ. 641-648. თბილისი.

**მათიაშვილი ნ. 2016:** *მცხეთის აკლდამა.* თბილისი.

**მცხეთა I. 1955:** თბილისი.

**შეროზია მ. 2009.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბაძების შესახებ. *იბერია-კოლხეთი.* №5. *საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი.*გვ.61-71. თბილისი. (რედ. გ. გამყრელიძე).

**შეროზია მ. 2013:** ფრინველთა გამოსახულება ანტიკური ხანის ქართულ მონეტებზე. *სემმ.* IV.გვ. 232-248. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**შეროზია მ. 2014:** ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი სოფელ პატარა მეჯვრისხევიდან. *სემმ.* IV. გვ. 172-182. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ხახუტაიშვილი დ. 1964**: *უფლისციხე*. I. თბილისი.

**ქებულაძე ნ., კალანდაძე ნ.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის რესტავრაცია და შემდგომი კვლევის შედეგები. *სემმ.* III.გვ. 409-418. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**Дундуа Г. Ф. 1987:** Нумизматика античной Грузии. Тбилиси.

**Зограф А. Н. 1945:** Распространение находок античных монет на Кавказе. ТОНГЭ. Ленинград.

**Пахомов Е. А. 1926:** Монетные клады Азербайджана и Закавказья. вып. I . Баку.

**Пахомов Е. А. 1949:** Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. вып. VIII . Баку.

**Халилов Дж. А. 1985:** Материальная культура Кавказской Албании. Баку.

**Gagoshidze I. 2004:** *The Royal palace of the first century B.C.- Journal of Georgian Archaeology.VI. p. 41-44.*

**Mattingly H. 1965:** Coins of the Roman Empire in the British Museum. London.

**Sherozia M. 2008:** Monetary Circulation in Iberia in the Ist.c. B.C.-Ist. c. A.D. IBERIA AND ROME. The excavations of the palace at Dedoplis Gora and the Roman influece in the Caucasian kingdom of Iberia (A.Furtvangler, I.Gagoshidze, H.Lohr, N.Ludvig). p. 235-242. Langenweibach.

**Sherozia M., Jean-Marc Doyen. 2007:** Les Monnaies Parthes du Musee De Tbilissi (Georgie) Moneta. Wetteren, Belgium.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი რომში 67 წელს
**სურ. 2.** ლისიმაქეს სტატერი
**სურ. 3.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის ადგილობრივი მონაბაძი
**სურ. 4.** ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილობრივი მინაბაძი
**სურ. 5.** ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილობრივი მინაბაძი
**სურ. 6.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 7.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 8.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 9.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 10.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 11.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 12.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 13.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 14.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 15.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 16.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი

**სურ. 17.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 18.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი
**სურ. 19.** საკურთხეველზე აღმოჩენილი მონეტები და მინის ჭურჭელი
**სურ. 20.** მინის ჭურჭელი

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Republic denarius, minted in Rome, in 67 B.C.
**Fig. 2** Lysimachos Stater
**Fig. 3** Local imitation of Octavian Augustus denarius
**Fig. 4** Local imitation of Alexander of Macedon's stater
**Fig. 5** Local imitation of Alexander of Macedon's stater
**Fig. 6** Octavian Augustus' denarius
**Fig. 7** Octavian Augustus' denarius
**Fig. 8** Octavian Augustus' denarius
**Fig. 9** Octavian Augustus' denarius
**Fig. 10** Octavian Augustus' denarius
**Fig. 11** Octavian Augustus' denarius
**Fig. 12** Octavian Augustus' denarius
**Fig. 13** Octavian Augustus' denarius
**Fig. 14** Octavian Augustus' denarius
**Fig. 15** Octavian Augustus' denarius
**Fig. 16** Octavian Augustus' denarius
**Fig. 17** Octavian Augustus' denarius
**Fig. 18** Octavian Augustus' denarius
**Fig. 19** Coins discovered at the alter and the glass vessel
**Fig. 20** Glass vessel


სურ. 1 Fig.


სურ. 2 Fig.


სურ. 3 Fig.


სურ. 4 Fig.


სურ. 5 Fig.


სურ. 6 Fig.


სურ. 7 Fig.


სურ. 8 Fig.


სურ. 9 Fig.


სურ. 10 Fig.


სურ. 11 Fig.


სურ. 12 Fig.


სურ. 13 Fig.


სურ. 14 Fig.


სურ. 15 Fig.


სურ. 16 Fig.


სურ. 17 Fig.


სურ. 18 Fig.



სურ. 19 Fig.



სურ. 20 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 99-112
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 99-112

**ნუმიზმატიკა**

**ციალა ღვაბერიძე*, მარიამ ქორიძე***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: mariam–qoridze@yahoo.com

# სოფელ სიონის განძი

სოფ. სიონში (თიანეთის რ-ნი) 1989 წელს სახლის მშენებლობის დროს, აღმოჩნდა ვერცხლის 59 მონეტა (სამონეტო განძი დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში. გ.ფ. საინვ. №№23198-23256). განძში რუსუდან დედოფლის (1223-1245) მიერ მოჭრილი 38 ცალი საფასეა. 21 კი მცირე აზიის რუმის სელჩუკთა სახელმწიფოს მმართველთა - ქეიქაუს I-ის (1210-1219), ქეიქუბად I-სა (1219-123) და ქაიხოსრო II-ის (1237-1246) დირჰემებია.

რუსუდანის დრამების უმეტესობა (36 ცალი) ერთი სამონეტო ტიპისაა, მაგრამ სხვადასხვა სიქით, რაც ამ ფულის ინტენსიურ ემისიაზე მეტყველებს. განსხვავებული ტიპისაა ორი მონეტა. რუსუდანის ფულზე მოჭრის ადგილი არ აღინიშნება. ამ დროის ქართულ საფასეებზე ზარაფხანის სახელწოდება არაა მოთავსებული. მონეტებზე კი თარიღი - ქორონიკონით 450 წელი (1230) ერთი და იგივეა. ამ მონაცემების საფუძველზე რუსუდანის დირჰემების წონა მერყეობს 2,55 გრ-დან 2,96 გრ-მდე, რუმის სელჩუკებისა - კი 2,33 გრ-დან 2,97 გრ-მდე.

**რუსუდანის დრამების (სურ. 1–4) აღწერილობა:**

გ.ფ. საინვ. №23219. AV. გამოსახულია იესო სახარებით ხელში. ბერძნული ზედწერილი „იესო ქრისტე". გარშემო ასომთავრული ზედწერილი: „სახელითა ღვთისაითა იჭედა, ქორონიკონს 450" (1230).

**Rv**. რთული ორნამენტული ჩარჩოს შუაში მოთავსებულია რუსუდანის დაქარაგმებული სახელი „რსნ" (ასომთავრულით). გარშემო არაბული წარწერა:

الملكة الملوك و الملكات جلال الدونيا و الدولة و الدين رسودان بنت تامار ظهير المسيح اعز الله انصاره

„დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდანი, ასული თამარის, მესიის თაყვანისმცემელი".

გ.ფ. საინვ. №23245. AV. გამოსახულია იესო სახარებით ხელში. ბერძნული ზედწერილი „იესო ქრისტე". გარშემო ასომთავრული ზედწერილი: „სახელითა ღვთისაითა იჭედა, ქორონიკონს 450" (1230).

**Rv**. რთული ორნამენტული ჩარჩოს შუაში მოთავსებულია რუსუდანის დაქარაგმებული სახელი „რსნ" (ასომთავრულით). გარშემო არაბული წარწერა:

الملكة الملوك و الملكات جلال الدونيا و الدولة و الدين رسودان بنت تامار ظهير المسيح اعز الله انصاره

„დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა რუსუდანი, ასული თამარის, მესიის თაყვანისმცემელი".

**რუმის სელჩუკთა დირჰემების აღწერილობა:**

გ.ფ. საინვ. №23208. ქეიქაუს I-ის (607-616 = 1210-1219) დირჰემი. ერზერუმი. 613 წ. (1216/17) წ. (სურ. 5).

**Av.** الامام \ لا اله الله \ وحده لا شريك له \ الناصر الدين الله\ امير المؤمنين

გარშემო: ارزروم

**Rv.** محمد رسول الله\ مغيث الدنيا الدين\ ابو الفتح طغرل بن

გარშემო: في سنة ثلث و عشر ستمائة

გ.ფ. საინვ. №23211. ქეიქუბად I-ის (616-634 = 1219-1237) დირჰემი. კეისარია. 617 წ. (1220) (სურ. 6).

**Av.** الناصر\ الدين الله امير الامام

გარშემო: سنة سبع عشر و ستمائة

**Rv.** السلطان المعظم \ كيقباد بن كيخسرو

გარშემო: ضرب هذا الدرهم بقيصرية

გ.ფ. საინვ. №23218. ქეიქუბად I-ის (616-634 = 1219-1237) დირჰემი. კონია. 618 წ. (1221/22) (სურ. 7).

**Av.** الامام الناصر\ الدين الله امير\ المؤمنين

გარშემო: سنة ثمان عشر و ستمائة

**Rv.** السلطان المعظم\ علا الدنيا و الدين\ كيقباد بن كيخسرو

გარშემო: ضرب هذا الدرهم بقونية

გ.ფ. საინვ. №23214. ქეიქუბად I-ის (616-634 = 1219-1237) დირჰემი. ქილისია 620 წ. (1223) (სურ. 8).

**Av.** الامام \ الملك المنصور

გარშემო: سنة عشرين و ستمائة

**Rv.** السلطان المعظم\ كيقباد بن كيخسرو

გარშემო: ضرب هذا الدرهم كيليسية

გ.ფ. საინვ. №23215. ქეიქუბად I-ის (616-634 = 1219-1237) დირჰემი. კონია. 624 წ. (1226/27) (სურ. 9).

**Av.** الامام المستنصر\ بالله امير المؤمنين
გარშემო: سنة اربع عشرين و ستمائة
**Rv.** السلطان المعظم\ كيقباد بن كيخسرو
გარშემო: ضرب هذا الدرهم بقونية

გ.ფ. საინვ. №23212. ქეიქუბად I-ის (616-634 = 1219-1237) დირჰემი. კონია. 624-625 წწ. (1226/27-1227/28) (სურ. 10).

**Av.** الامام المستنصر\ بالله امير\ المؤمنين
გარშემო: سنة خمس عشرين و ستمائة
**Rv.** ٤٢٦ \ السلطان المعظم\ علا الدنيا و الدين\ بن ابو الفتى كيقباد \ بن كيخسرو
გარშემო: ضرب هذا الدرهم بقونية

გ.ფ. საინვ. №23201. ქეიქუბად I-ის (616-634 = 1219-1237) დირჰემი. სივასი. 628 წ. (1230/31) (სურ. 11).

**Av.** الامام المستنصر \ بالله امير \ المؤمنين
გარშემო: سنة ثمان عشرين و ستماية
**Rv.** السطان\ المعظم \ كيقباد بن كيخسر
გარშემო: ضرب هذا الدرهم بسيواس

გ.ფ. საინვ. №23205. ქეიქუბად I-ის (616-634 = 1219-1237) დირჰემი. კონია. 631 წ. (1233/34) (სურ. 12).

**Av.** الامام المستنصر \ بالله امير المؤمنين
გარშემო: سنة احدى ثلثين و ستمائة
**Rv.** السلطان المعظم \ كيقباذ بن كيخسرو
გარშემო: ضرب هذا الدرهم بقونية

გ.ფ. საინვ. №23199. ქაიხოსრო II-ის (634-644 წწ. = 1237-1246 წწ.) დირჰემი. სივასი. 634 წ. (1236/37) (სურ. 13).

Av. الامام\ المستنصر \ بالله ا\ مير المومنين
გარშემო: سنة اربع ثلثين ستماية
**Rv.** السلطان\ الاعظم \ كيخسرو\ بن كيقباد
გარშემო: ضرب هذا الدرهم بسيواس

სოფ. სიონში აღმოჩენილი მონეტების სია

| განძების ფონდი №№ | მმართველები | ზომა მმ | წონა გრ | ზარაფხანა | ჰიჯრა | ახ. წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23208 | ქეიქაუს I (607-616 წწ.=1210-1219 წწ.) | 24 | 2.92 | ერზერუმი | 613 | 1216/17 |
| 23211 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 23 | 2,9 | კეისარია | 617 | 1220/21 |
| 23218 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 23 | 2,96 | კონია | 618 | 1221/22 |
| 23214 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 22 | 2,97 | ქილისია | 620 | 1223 |
| 23202 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 22 | 2,95 | სივასი | 622 | 1225 |
| 23215 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 22 | 2,9 | კონია | 624 | 1226/27 |
| 23212 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 22 | 2,65 | კონია | 624-625 | 1226/27-1227/28 |
| 23213 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 21 | 2,52 | კონია | 625 | 1227/28 |
| 23207 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 23 | 2,9 | სივასი | 625 | 1227/28 |
| 23217 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 23 | 2,99 | კონია | 626 | 1228/29 |
| 23201 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 22 | 2,9 | სივასი | 628 | 1230/31 |
| 23200 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 20 | 2,85 | სივასი | 62? | 122? |
| 23210 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 24 | 2,98 | სივასი | 62? | 122? |
| 23204 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 22 | 2,96 | სივასი | 630 | 1232/33 |
| 23203 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 22 | 2,97 | სივასი | 631 | 1233/34 |
| 23205 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 22 | 3,01 | კონია | 631 | 1233/34 |
| 23209 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 22 | 2,98 | სივასი | 632 | 1234/35 |
| 23206 | ქეიქუბად I (616-634 წწ.=1219-1237 წწ.) | 22 | 2,9 | სივასი | 633 | 1235/36 |
| 23216 | | 24 | 2,97 | სივასი | | |
| 23199 | ქაიხოსრო II (634-644 წწ.=1237-1246 წწ.) | 20 | 2,95 | სივასი | 634 | 1236/37 |
| 23198 | არ იკითხება | 22 | 2,33 | ? | | |

| განძების ფონდი №№ | მმართველები | ზომა მმ | წონა გრ | ქორონიკონი | ახ.წ. |
|---|---|---|---|---|---|
| 23219 | რუსუდანი (1223-1245 წწ.)* | 22 | 2,64 | 430 | 1230 |
| 23220 | | 23 | 2,65 | | |
| 23221 | | 22 | 2,87 | | |
| 23222 | | 22 | 2,72 | | |
| 23223 | | 22 | 2,73 | | |
| 23224 | | 22 | 2,56 | | |
| 23225 | | 21 | 2,94 | | |
| 23226 | | 22 | 2,74 | | |
| 23227 | | 22 | 2,64 | | |
| 23228 | | 20 | 2,67 | | |
| 23229 | | 22 | 2,6 | | |
| 23230 | | 21 | 2,74 | | |
| 23231 | | 23 | 2,88 | | |
| 23232 | | 22 | 2,96 | | |
| 23233 | | 22 | 2,7 | | |
| 23234 | | 20 | 2,62 | | |
| 23235 | | 23 | 2,63 | | |
| 23236 | | 22 | 2,68 | | |
| 23237 | | 21 | 2,74 | | |
| 23238 | | 23 | 2,74 | | |
| 23239 | | 23 | 2,65 | | |
| 23240 | | 22 | 2,82 | | |
| 23241 | | 22 | 2,59 | | |
| 23242 | | 21 | 2,26 | | |
| 23243 | | 22 | 2,74 | | |
| 23244 | | 22 | 2,87 | | |
| 23245 | | 22 | 2,66 | | |
| 23246 | | 21 | 2,61 | | |
| 23247 | | 22 | 2,67 | | |
| 23248 | | 21 | 2,57 | | |
| 23249 | | 21 | 2,67 | | |
| 23250 | | 21 | 2,55 | | |
| 23251 | | 22 | 2,65 | | |
| 23252 | | 23 | 2,7 | | |
| 23253 | | 22 | 2,85 | | |
| 23254 | | 21/23 | 2,92 | | |
| 23255 | | 21 | 2,65 | | |
| 23256 | | 22 | 2,92 | | |

* მმართველი და თარიღი უცვლელი რჩება, იცვლება ზომა და წონა

XII ს. და XIII ს-ის დასაწყისი საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ოქროს ხანაა. ყმადნაფიცი ქვეყნებით გარშემორტყმული საქართველოს სახელმწიფო თითქმის მთელ კავკასიას მოიცავდა. სახელმწიფოს არსებობის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა მეზობელ ისლამურ სახელმწიფოებსა და ბიზანტიასთან. საქართველოს მათთან არა მარტო პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული კონტაქტებიც აკავშირებდა. ყველაზე რელიეფურად ეს ურთიერთობანი ფულის მიმოქცევაში აისახა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილმა სამონეტო განძებმა ამ სახელმწიფოების სახელით გამოშვებული საფასეები შემოგვინახა.

ამ დროს გამოიკვეთა ის დიდი გლობალური ეკონომიკური მოვლენა, რომელიც „ვერცხლის კრიზისის" სახელითაა ცნობილი (ასე უწოდებენ ამ პერიოდს სპეციალურ ლიტერატურაში). იგი დამახასიათებელი გახდა ისლამური სამყაროსათვის. საქართველო განზე არ დარჩენილა ამ ფინანსური სიახლისგან. ქრონოლოგიურად იგი საქართველოში განისაზღვრა XII-XIII სს-ის 30-იანი წლებით.

საქართველოს სამეფოსა და მახლობელი აღმოსავლეთის სამონეტო სისტემა VIII-XI სს-ში დამყარებული იყო ვერცხლისა და ოქროს ბიმეტალიზმზე. დროის ამ მონაკვეთში არაბული დირჰემი ბატონობს, რომელმაც მყარი ვალუტის სახელი მოიხვეჭა და საერთაშორისო სავაჭრო მონეტად იქცა. მოქმედებდა არაბული ფულად-წონითი სისტემა.

დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) დროიდან ქართული ფული მნიშვნელოვნად შეიცვალა. საქართველოსა და წინა აზიის ქვეყნებში ვერცხლის მონეტის ადგილი დაიკავა სპილენძის ფულმა. იგი იძულებითი კურსით გადიოდა ვერცხლის ფასად, ე.ი. სპილენძის მონეტა ცვლის ვერცხლს და იქცევა ე.წ. საკრედიტო მონეტად. სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში იჭრება სპილენძის ფულის ახალი ტიპი, რომელზეც გაკეთებული იყო ზედწერილი „ვერცხლი" ან „ეს დირჰემია". სპილენძის ფული საქართველოს სამეფოში იხმარება წარწერით „იქნა ჭედაი ვერცხლის", ე.ი. ფულად მიმოქცევაშია ისეთი ნომინალი, რომელიც აღემატება თავის რეალურ ღირებულებას და ასრულებს ვერცხლის ფულის ფუნქციას. ესაა კლასიკური მაგალითი ფულის იძულებითი კურსის დანერგვისა შუა საუკუნეებში „ვერცხლის კრიზისის" დროს. საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას" ქართული ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა" ემთხვევა. საქართველოში ვერცხლის ფულიდან სპილენძის მონეტაზე გადასვლა დავით IV აღმაშენებლის მმართველობის ბოლო წლებიდან იწყება. ეს დიდი ფინანსური ღონისძიება (სამონეტო რეფორმა) მის დროს ჩატარდა.

სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისათვის საჭირო იყო, ფულისთვის მიეცათ აღმოსავლური გარეგნობა. საქართველოში გამოშვებულ სპილენძის ფულზე ქართულ ზედწერილებთან ერთად თავსდება არაბული წარწერები, რაც მხოლოდ ეკონომიკური მოტივით იყო ნაკარნახევი. ამით ქართულ ფულს გზა ეხსნებოდა მახლობელი აღმოსავლეთის ბაზარზე. შეიცვალა მონეტის გარეგანი სახეც. შემთხვევითი ფორმისა და ზომა-წონის ფულის ნიშნების – „არასწორად" მოჭრილი მონეტების პარალელურად საქართველოში

„წესიერი" – სწორი ფორმის მონეტებიც იჭრება.

აღნიშნული ხანა ემთხვევა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დასრულებასა და მის მძლავრ სამეფოდ ჩამოყალიბებას. ქვეყნის გაერთიანებამ და ეკონომიკურმა სიძლიერემ შექმნა იმის პირობები, რომ ფული სახელმწიფოში რეგულარულად მოჭრილიყო. ეს კი უზრუნველყოფდა ქართული ფულის მყარსა და ინტენსიურ მიმოქცევას. ქართული ფულით გაჯერებული იყო არა მარტო საქართველო, არამედ მთელი სამხრეთი კავკასია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამონეტო განძებში[1] ქართულ ფულთან ერთად უხვადაა მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოებიდან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად შემოსული: ელდიგუზიანთა, აიუბიდების, სელჩუკებისა და სხვათა საფასეები.

საერთაშორისო ვაჭრობის ინტენსიურობა, რაც დადასტურებულია XII-XIII სს-ის საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ნუმიზმატიკური მასალით, მოწმობს ამ სახელმწიფოთა შორის მჭიდრო ეკონომიკურსა და პოლიტიკურ კავშირებს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე განაპირობებს ქართული ნუმიზმატიკური მასალის თავისებურებებსა და ხასიათს. მიუხედავად პოლიტიკური დაძაბულობისა ისლამურსა და ქრისტიანულ სამყაროს შორის, სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ორ რეგიონს შორის არსებობდა ურთიერთკოორდინაცია. ამ დროის ნუმიზმატიკური მასალა საისტორიო წყაროებთან ერთად ისლამური და ქრისტიანული სამყაროს ურთიერთობის ნათელი დადასტურებაა.

„ვერცხლის კრიზისის" დროს გამოშვებული საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის საფასეები დასაქმებული იყო სამონეტო მიმოქცევაში. ფაქტობრივ ნუმიზმატიკურ მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ყოველი მომდევნო ქართველი მეფის მიერ გამოშვებულ ფულს შენარჩუნებული აქვს ანგარიშსწორების სტატუსი „ვერცხლის კრიზისის" პერიოდში. მონეტებს საფასის მნიშვნელობა უნარჩუნდება მათზე ახალი ხელისუფლის (მეფის) მიერ დამღის დასმით. ამ დროის სამონეტო განძებში გვხვდება თანადროული უდამღო სპილენძის მონეტებიც. ისინიც ფულად მიმოქცევაშია ჩართული. სამონეტო განძების გადათვალიერებისა და შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს (სპილენძის) მონეტები ფულად მიმოქცევაში რჩება გამოშვებიდან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში – დავით IV აღმაშენებლიდან დავით VII ულუს (1247-1270) მმართველობის დროსაც, მაგალითად, გვხვდება დემეტრე I-ის (1125-1156) მონეტები, რომლებზედაც რუსუდან დედოფლის (1223-1245) დამღაა დასმული (ქ.მ.სად.ფ №3214; ქ.მ.ძ.ფ. № 2855). საქართველოში საუკუნეზე მეტ ხანს, სპილენძის საფასე იყო ფულადი ურთიერთობის საფუძველი.

რუსუდან დედოფალმა 1227 წლის სამონეტო რეფორმით კვლავ აღადგინა ჯერ სწორი ფორმის სპილენძის მონეტების ემისია, ხოლო შემდეგ

1 საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდი: კრწანისის განძი, გ.ფ. საინვ. №№ 4421-4564; განჯის კარი (თბილისი), გ.ფ. საინვ. №№6666-6797; ნიჩბისის განძი, გ.ფ. საინვ. №№10590-10689; რუსთავის განძი, გ.ფ. საინვ. №№7701-7790; თბილისი (ავლაბარი), გ.ფ. საინვ. №№10179-10203 და სხვ.

მოხდა ვერცხლის დრამის (იგივე დირჰემი) აღორძინება. საუკუნოვანი წყვეტილის შემდეგ რუსუდანმა 1230 წელს მოჭრა ვერცხლის დრამა, რაც „ვერცხლის კრიზისის" დასასრულის მაუწყებელი იყო. მონეტა კომპოზიციით ემსგავსება ბიზანტიურ ძეგლებს. ფორმითა და წონით კი ის განეკუთვნება მახლობელი აღმოსავლეთის დირჰემის სტანდარტს. იგი ბიზანტიური და აღმოსავლური სტილის ერთგვარი სინთეზია.

რუსუდანის სამონეტო საქმიანობით ახალი ეტაპი იწყება ქართული ფულის ისტორიაში. ეს გამოიხატა სპილენძის ფულის ემისიის შეწყვეტასა და ვერცხლის ფულის გამოშვება-განახლებაში. სპილენძის მონეტას დაუბრუნდა ხურდა ფულის ფუნქცია. ჩატარებული სამონეტო რეფორმით მოიჭრა ვერცხლის ფული – დრამა (იგივე დირჰემი). ძირითადად ეს იყო ერთი საერთო სისტემის მონეტა, დამყარებული მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებულ დირჰემზე. მასვე ემყარებოდა რუსუდანის მიერ 1230 წელს მოჭრილი ვერცხლის ფული [Пахомов Е. 1970: 120].

ვერცხლის მონეტების რეგულარული გამოშვება სელჩუკებმა პირველებმა განაახლეს XII ს-ის 80-იან წლებში, საქართველოში კი – რუსუდან დედოფალმა სამონეტო რეფორმით – 1230 წელს. იგივე მოხდა ტრაპიზონის სამეფოშიც. 1235 წელს ტრაპიზონში დაიწყო ვერცხლის მონეტის - ტრაპიზონული „ასპრის" ემისია (ფულადი ტერმინი „ასპრი" – ქართულად „თეთრი"). ამრიგად, ვერცხლის ფულის ემისიის აღდგენა სინქრონული მოვლენა იყო საქართველოსა და ტრაპიზონში. დასავლეთ საქართველოში ტრაპიზონული ასპრების (თეთრი) კვალდაკვალ მისი ქართული მინაბაძები ჩნდება, სახელწოდებით „კირმანეული თეთრი". 1327/28 წლებში ჩნდება ვერცხლის პირველი ოსმალური ნომინალი [Schaendlieger A. 1973: 57-58]. მისი სახელწოდება იყო „ახჩა" (თეთრი).

ვერცხლის ახალი მონეტა ტიპოლოგიურად და მეტალით განსხვავდება რუსუდანის რეფორმამდელი მონეტებისაგან. მეტროლოგიურად მონეტა არ შეცვლილა. იგი წონითა და ზომით კვლავ არაბულ ფულად-წონით სისტემაზე დამყარებული საფასეა.

ჩანს, „ვერცხლის კრიზისის" დასრულების შემდეგ საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის დაიდო საგანგებო შეთანხმება ვერცხლის მონეტის ერთი სისტემით მოჭრის თაობაზე. მას, როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლად დაედო ძველი არაბული ფულად-წონითი სისტემით დადგენილი დირჰემის (დრამის) წონა. ეს საფასე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით აკავშირებდა სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს. ეს იყო ერთიან სამონეტო სისტემაზე დამყარებული ფული, რომელიც გავრცელდა ერთიან ეკონომიკურ სივრცეში. სამონეტო სისტემის ერთიანობა აუცილებელი იყო სავაჭრო ურთიერთობის გასავითარებლად. ამრიგად, მახლობელი აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის სამონეტო სისტემის ერთიანობამ გამოიწვია მათ შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირი.

მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო იყო ერთ-ერთი პოლიტიკური ერთეული, რომელიც XII-XIII სს-ის განმავლობაში ემეზობლებოდა საქართველოს და მასთან ახლო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა. საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი მცირე აზიის სელჩუკთა

სახელმწიფოსთან წარმატებით მიმდინარეობდა, რაც დადასტურებულია ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალით.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საქართველოში „ვერცხლის კრიზისის" დროის სამონეტო განძებში გვხვდება სელჩუკების როგორც სწორი ფორმის სპილენძის, აგრეთვე ვერცხლის ადრეული დირჰემები. ე.პახომოვის დაკვირვებით, სელჩუკების საფასეები გამუდმებით შემოდის საქართველოში XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის დასაწყისში [Пахомов Е. 1926: 121]. ირ. ჯალაღანიაც ადასტურებს, რომ სელჩუკური ადრინდელი მონეტები სხვა საფასეებთან ერთად XII ს-ის მიწურულს ჩანს ჩვენს სამონეტო განძებში [Джалаганиа И. 1979: 106-107]. მანავის (საგარეჯოს რ-ნი) სამონეტო განძში სელჩუკი სულთნის - ყილიჯ არსლან II-ის (1156-1192 წწ.), უადრესი დირჰემებია დადასტურებული [Джалаганиа И. 1958: 207-218]. XII-XIII სს-ის I ნახევრის სელჩუკური მონეტები აღმოჩენილია რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სხვადასხვა უბანზე [Джалаганиа И. 1979: 106-107]. თ.ლომოურის გამოკვლევით, XIII ს-ის დასაწყისში სელჩუკების საფასეები მიმოქცევაშია ქართულ ფულთან ერთად.

ამრიგად, სოფ. სიონის განძში რუსუდან დედოფლისა და სელჩუკი სულთნების სახელით გამოშვებული დირჰემების ერთად აღმოჩენა და მათი ერთდროული ბრუნვა სავსებით კანონზომიერია, რადგან ეს ფული ერთიანი სამონეტო სისტემით მოჭრილი საფასეებია.

საქართველოში ვერცხლის ემისიის აღდგენის შემდეგ ჩნდება სამონეტო ერთეულის ქართული სახელწოდება „თეთრი". ივ. ჯავახიშვილის განსაზღვრით, „თეთრი" იყო ვერცხლის საფასის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი და ფულის გარკვეული ერთეულის აღმნიშვნელიც [ჯავახიშვილი ივ. 1925: 18]. „თეთრი", როგორც ფულის გარკვეული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი, საქართველოში პირველად XIII ს-ის საბუთებში ჩნდება [კაკაბაძე ს. 1924: 72]. „თეთრის" წონა ემთხვევა ილხან ყაზან ყაენის (1295-1304) ფულადი რეფორმის (1296) ჩატარებამდე[2] დრამის წონას (2,84 გრ). ყაზან ყაენმა ფულადი რეფორმით სამონეტო სისტემა შეცვალა. ოთხი დანგის წონის დირჰემს კანონით დააკლო ერთი დანგი[3] და გახადა სამი დანგის წონის დირჰემი (2,13 გრ). ყაზან ყაენის ფულად რეფორმამდე სამონეტო ტერმინები „დრამა" და „თეთრი" სინონიმებია. ჩვენი აზრით, მისი სამონეტო რეფორმის შემდეგ მონეტის სახელწოდება დრამა აღარ შეესაბამება თავის რეალურ წონით მნიშვნელობას (ოთხი დანგის წონის შემცველ ვერცხლის მონეტას – 2,84 გრ). ფულადი ერთეულის სახელწოდება დრამა დაშორდა ლითონის ღირებულებას (2,13 გრ). წარმოიშვა შეუსაბამო-

2 1296 წელს ილხანთა სახელმწიფოში განხორციელდა სამონეტო რეფორმა, რომელიც ყაზან ყაენის რეფორმის სახელითაა ცნობილი. შემოიღეს ახალი სამონეტო სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედო ვერცხლის დირჰემი. დირჰემის წონითი სტანდარტი განისაზღვრა 2,13 გრამით და უდრიდა ნახევარ მისხალს. ამ ძირითად ერთეულზე დამყარებით ილხანთა სამფლობელოში უშვებდნენ ვერცხლის მონეტების სხვადასხვა ნომინალს: ნახევარ დირჰემს, დირჰემს, ორიან დირჰემსა და ექვსიან დირჰემს, ანუ დინარს. ყაზან ყაენის მიერ შემოღებული სამონეტო სისტემა სავალდებულო იყო საქართველოს სამეფოსათვის, რომელიც ილხანთა ვასალად ითვლებოდა.

3 ცნობილი, რომ არაბული სამონეტო სისტემის ძირითადი ნომინალი – დირჰემი, ანუ დრამა, დაკავშირებული იყო მისხლის სისტემასთან და შეიცავდა ოთხ დანგ ვერცხლის წონას. დანგი, როგორც წონის ერთეული, შეადგენდა მისხლის 1/6-ედს და იწონიდა დაახლოებით 0,713 გრ-ს.

ბა მონეტის რეალურ ღირებულებასა და სახელწოდებას შორის. ამიტომ ყაზან ყაენის ფულადი რეფორმის შემდეგ შედგენილ ქართულ საკანონმდებლო ძეგლებსა და დოკუმენტებში ღირებულების საზომად და გადახდის კანონიერ საშუალებად ქართული სამონეტო ტერმინი „თეთრი" ფიგურირებს, „დრამა" კი ქრება როგორც მონეტის ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი [ღვაბერიძე ც. 1979: 125-133].

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული არაბული წონითი სისტემა, რომელიც დრამის სისტემას მოიცავდა, უცვლელად დარჩა წონის ერთეულად XVIII ს-მდე. საქართველოში ყაზან ყაენის რეფორმის შემდეგ ოთხი დანგის წონის დრამა კვლავ რჩება სავაჭრო ერთეულად, ამიტომ სამონეტო ტერმინოლოგიაში „დრამის" ადგილს იკავებს ქართული სამონეტო ტერმინი „თეთრი".

ამ სისტემას ასახავს ფულადი ღირებულების ტერმინები, რომლებიც დამოწმებულია ძველ ქართულ საკანონმდებლო ძეგლებსა[4] და დოკუმენტებში, სადაც დირჰემის აღსანიშნავად გამოყენებულია ქართული სამონეტო ტერმინი „თეთრი". საქართველოში XIII-XVI სს-ში „თეთრი" გახდა გადახდის ძირითადი და კანონით დადგენილი საშუალება.

მონეტა „თეთრი", რომელიც მყარად იყო დაკავშირებული სამხრეთ კავკასიასა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების საფასეებთან, ანალოგიურად იცვლება: ქართული სამონეტო ტერმინი „თეთრი", ტრაპიზონული „ასპრი" (თეთრი), „კირმანეული თეთრი", ოსმალური „ახჩა" (თეთრი) იყო ერთიან სამონეტო სისტემაზე დამყარებული საფასეები. ისინი ვრცელდება ერთიან ეკონომიკურ სივრცეში და ანალოგიურად იცვლება.

უნდა შევჩერდეთ და ავხსნათ რუსუდან დედოფლის დრამაზე მოთავსებული თარიღი - ქორონიკონით 430 წელი (1230). პირველად ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში გიორგი III-ის (1156-1184) მონეტაზე თარიღი აღინიშნა ქართული ქორონიკონით - 394 წლით (1174), თუმცა იგი საქართველოს მეფეა 1156 წლიდან. ეს თარიღი აღნიშნავს სამონეტო ტიპის დამკვიდრებას და არა გიორგი III-ის გამეფებას [კაპანაძე დ. 1969: 73]. გიორგი III-ის სწორი ჭედვის მონეტის გამოშვება მისი მმართველობის დასასრულამდე ამ ერთი თარიღით გრძელდება (1174). სამონეტო ტიპი იგივე დარჩა და თარიღიც შეუცვლელია – 1174 წ.

მეფე თამარმა (1184-1207) პირველი საკუთარი სამონეტო ემისია განახორციელა ქორონიკონით 407 წელს (1187), მოჭრა არასწორი ფორმის სპილენძის მონეტა, რომელიც მისი მმართველობის დასასრულამდე მხოლოდ ამ თარიღით (1187) იჭრებოდა. ქორონიკონით 420 წელს (1200 წ.) კი მიმოქცევაში გავიდა სწორი ჭედვის სპილენძის მონეტა, რომელზეც თამარისა და მისი მეუღლე დავითის სახელებია აღნიშნული. დავითი - პრინც-კონსორტი მონეტაზე მეფის ტიტულით არ მოიხსენება. თამარის ეს სამონეტო ტიპი მხოლოდ ერთი თარიღით - ქორონიკონით 420 წლითაა (1200) ცნობილი და იგი იჭრებოდა თამარის მმართველობის დასასრულამდე ამ თარიღით 1200 წლით.

4 ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, დაიწერა 1295-1304 წლებს შორის [კაკაბაძე ს. 1925: 24]; გიორგი ბრწყინვალის (1318-1346 წწ.) „ძეგლის დადება", დაიწერა 1334-1335 წლებში [დოლიძე ი. 1957: 15]; ათაბაგ აღბუღას სამართალი, განეკუთვნება 1381-1386 წლებს [დოლიძე ი.1963: 619]; ბაგრატ კურაპალატის სამართალი კი განეკუთვნება 1535-1545 წლებს [ღვაბერიძე ც. 2003: 439-471].

გიორგი IV ლაშას (1207-1223) ახალი სამონეტო ტიპი მკვიდრდება – ქორონიკონით 430 წელს (1210). გიორგი IV ლაშას ფულის ეს ემისია დიდი რაოდენობითაა ცნობილი, მაგრამ მონეტის ტიპი უცვლელია და თარიღიც მხოლოდ ერთია - ქორონიკონით 430 წელი, ანუ გიორგი IV ლაშას მონეტები ამ სამონეტო ტიპის დამტკიცებიდან მისი მმართველობის ბოლომდე - 1223 წლამდე მხოლოდ ერთი თარიღით იჭრება - 1210 წლით. ქორონიკონით 447 წელს (1227) რუსუდან დედოფალი სწორი ფორმის სპილენძის მონეტების მოჭრას იწყებს. თარიღი, რომელიც პირველად მონეტაზე გაჩნდა უცვლელად რჩება რუსუდანის მმართველობის ბოლომდე. მის უკანასკნელ მონეტებსაც ისეთივე თარიღი უზის, როგორიც პირველს [კაპანაძე დ. 1969: 81]. საქართველოში „ვერცხლის კრიზისის" დამთავრების შემდეგ, ქორონიკონით 450 წელს (1230), დედოფალმა რუსუდანმა მოჭრა ვერცხლის დრამა (დირჰემი). რუსუდანის ვერცხლის ფულის ემისიაც მხოლოდ ერთადერთი თარიღითაა ცნობილი – 1230 წლით იგი გამოდიოდა ამ თარიღით მისი მეფობის უკანასკნელ წლამდე (1245).

მეფე თამარის ეპოქის ნუმიზმატიკურ ფაქტობრივ მასალაზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა, დავასკვნათ, რომ მეფე გიორგი III-ის დროიდან დამკვიდრებულია წესი, როდესაც მონეტაზე მოთავსებული თარიღი მოჭრის დროს კი არ ასახავს, არამედ სამონეტო ტიპის დამტკიცების თარიღს ყოველგვარი შესამჩნევი ცვლილების გარეშე. დამტკიცებული სამონეტო ტიპი ამა თუ იმ ქართველი მეფის მმართველობის განმავლობაში იჭრება ერთი თარიღით სამონეტო ტიპის დამტკიცების შემდეგ. ასეა გიორგი III-ის, თამარის, გიორგი IV ლაშასა და რუსუდანის დროს. როგორც ნუმიზმატიკური ძეგლები გვიჩვენებს, ეს იყო საქართველოს სამეფო კარის მიერ დადგენილი წესი. ეს მოვლენა შენიშნული ჰქონდა ცნობილ ნუმიზმატ ე. პახომოვს. იგი აღნიშნავდა: "... Монеты этого времени идут двумя параллельными рядами, образуемыми правильной и неправильной чеканкой. Большинство их датирована, но даты, как и раньше указывают лишь момент составления рисунка матрицы, а не выпуса монеты" [Пахомов Э. 1970: 87].

რუსუდან დედოფლის დრამაზე მოთავსებული თარიღით ქორონიკონით 450 წლით (1230) აღინიშნა სამონეტო ტიპის დამტკიცება და არა მისი გამეფების დრო, როგორც ეს მისი წინამორბედი მეფეების მიერ იყო აღიარებული. დედოფალ რუსუდანის ეს მონეტები ყველა ერთი ტიპისაა, მხოლოდ განსხვავებული სიქით, რაც ამ ფულის ინტენსიურ ემისიაზე მიუთითებს.

ამრიგად, რუმის სელჩუკი სულთნების მიერ მოჭრილი საფასეები მძლავრ ნაკადად შემოდის საქართველოში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საშუალებით და ხვდება ჩვენს სამონეტო განძებში როგორც ერთეული, აგრეთვე დიდი განძების სახით. რუსუდანის დრამებთან ამ მონეტების ერთდროული ბრუნვა სავსებით კანონზომიერია, რადგან ისინი ერთიანი სამონეტო სისტემით გამოშვებული საფასეებია.

სოფელ სიონის განძი ავსებს XIII ს-ის პირველ ნახევარში ფულის მიმოქცევის სურათს საქართველოში. განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი განისაზღვრა დაახლოებით 40 წლით. ის უნდა დაეფლათ XIII ს-ის 50-იანი წლების დასასრულს.

**T. Gvaberidze, M. Koridze**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0115, Tbilisi, Georgia
Email: mariam–qoridze@yahoo.com

# Hoard from Village Sioni

## Summary

In 1989 a hoard containing 59 silver coins was found in village Sioni (Tianeti district). 38 coins were minted in the name of Georgian Queen Rusudan (1223-1245) and 21 were Seljuk dirhams of sultans of Rum (Anatolia): Kaykaus (1211-1220), Kayqubad I (1220-1237) and Kaykhusraw (1237-1246).

The fact that coins of Queen Rusudan and sultans of Rum were found together is quite natural as they circulated simultaneously and were minted with the same united coin system. The article explains why the date – 450 (1230) by Georgian chronology is depicted on Queen Rusudan's coin. It corresponds to the date of a coin type issue and not to the date of this Queens' accession to the throne.

The article illustrates reasons for inculcating the Georgian mint term "tetri" in that period of time in old Georgian legislative records and literature. The hoard from Sioni will help in completing illustration of money circulation in the first half of the 13th c. Georgia.

## ბიბლიოგრაფია

**დოლიძე ი. 1957:** გიორგი ბრწყინვალის სამართალი. თბილისი.

**კაკაბაძე ს. 1924:** *სასისხლო სიგელების შესახებ.* სმ. წიგნი II.

**კაკაბაძე ს. 1925:** *საფასის ისტორიისათვის.* საისტორიო მოამბე *4. I.*

**კაპანაძე დ. 1969:** *ქართული ნუმიზმატიკა.* თბილისი.

**ლომოური თ. 1938**: ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. კრ.: *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა.* თბილისი.

**დოლიძე ი.** 1963: *ქართული სამართლის ძეგლები.* ტომი I. თბილისი.

**ღვაბერიძე ც.** 1979: *რამდენიმე ნუმიზმატიკური ტერმინის შესახებ.* მაცნე, ისტორიის სერია №4. გვ. 125-133. თბილისი.

**ღვაბერიძე ც.** 2003: *ბაგრატ კურაპალატის ძეგლის დათარიღებისათვის.* ვალერიან გაბაშვილი "90" გვ. 439-471. თბილისი.

**ჯავახიშვილი ივ.** 1925: *ქართული საფასსაზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია.* ტფილისი.

**Джалаганниа И. 1958:** *Два клада сельджукских монет.* СА. с. 207-217.

**Джалаганниа И. 1979:** *Иноземная монета в денежнам обрашении Грузии V-XIII вв.* Тбилиси.

**Пахомов Е. 1926**: *Монетные клады Азербайджана*. вып. 3. Баку.

**Пахомов Е. 1970**: *Монеты Грузии*. Тбилиси.

**Schaendlieger A.C. 1973:** *Osmanishe Numismatik***.** Braunshweig.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** რუსუდან დედოფლის (1223-1245 წწ.) დრამა
**სურ. 2**. რუსუდან დედოფლის (1223-1245 წწ.) დრამა
**სურ. 3.** რუსუდან დედოფლის (1223-1245 წწ.) დრამა
**სურ. 4.** რუსუდან დედოფლის (1223-1245 წწ.) დრამა
**სურ. 5.** ქეიქაუს I-ის (1210-1219 წწ.) დირჰემი
**სურ. 6.** ქეიქუბად I-ის (1219-1237 წწ.) დირჰემი
**სურ. 7.** ქეიქუბად I-ის (1219-1237 წწ.) დირჰემი
**სურ. 8.** ქეიქუბად I-ის (1219-1237 წწ.) დირჰემი
**სურ. 9.** ქეიქუბად I-ის (1219-1237 წწ.) დირჰემი
**სურ. 10**. ქეიქუბად I-ის (1219-1237 წწ.) დირჰემი
**სურ. 11.** ქეიქუბად I-ის (1219-1237 წწ.). დირჰემი
**სურ. 12.** ქეიქუბად I-ის (1219-1237 წწ.) დირჰემი
**სურ. 13.** ქაიხოსრო II-ის (1237-1246 წწ.) დირჰემი

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Queen Rusudan's (1223-1245) drahm
**Fig. 2.** Queen Rusudan's (1223-1245) drahm
**Fig. 3.** Queen Rusudan's (1223-1245) drahm
**Fig. 4.** Queen Rusudan's (1223-1245) drahm
**Fig. 5.** Kaykaus I's (1210-1219) dirham
**Fig. 6.** Kayqubad I's (1219-1237) dirham
**Fig. 7.** Kayqubad I's (1219-1237) dirham
**Fig. 8.** Kayqubad I's (1219-1237) dirham
**Fig. 9.** Kayqubad I's (1219-1237) dirham
**Fig. 10.** Kayqubad I's (1219-1237) dirham
**Fig. 11.** Kayqubad I's (1219-1237) dirham
**Fig. 12.** Kayqubad I's (1219-1237) dirham
**Fig. 13.** Kaykhusraw II's (1237-1246) dirham



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.



სურ. 11 Fig.



სურ. 12 Fig.



სურ. 13 Fig.

## გლიპტიკა

**ქეთევან რამიშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: ketramishvili@yahoo.com

# მეფე გიორგი XII-ის საბეჭდავი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის გლიპტიკის ფონდში სხვა მრავალფეროვანსა და მნიშვნელოვან, ქართულწარწერიან სფრაგისტიკურ მასალას შორის ერთი მეტად საინტერესო, ქართულწარწერიანი სამეფო საბეჭდავიცაა (საინვ. № 683).

აღნიშნული საბეჭდავი დამზადებულია ბრინჯაოსგან, ბრტყელია და სწორკუთხედის მსგავსი, თუმცა, იმის გამო, რომ ოთხივე კუთხე წაკვეთილი აქვს, იგი უფრო რვაკუთხედს ემსგავსება (ტაბ. I-1). საბეჭდავს სახელური არ აქვს, პირზე ნეგატივურად და არცთუ ღრმად ამოჭრილია ორსტრიქონიანი ქართული (მხედრული) წარწერა, რომელიც ანაბეჭდზე საკმაოდ მკაფიოდ იკითხება (ტაბ. I-2). პირველ სტრიქონზე წერია „მეფე", მეორეზე – „გიორგი". ასოები მომრგვალებულია. წარწერა შესრულებულია მოგრძო და მოკლე ასოების მონაცვლეობით, მოხდენილი, დახვეწილი კალიგრაფიით, როგორც ჩანს, გამოცდილი ყალამდრის მიერ. წარწერა ვიწრო ხაზითაა შემოფარგლული, ხოლო ფონი შემკულია სტრიქონებს შორის გაბნეული და მცირე წრეებისაგან შედგენილი ყვავილოვანი ორნამენტით, რაც დეკორატიულობას აძლიერებს და მომგებიანად ეხამება მომრგვალებულ ასოებს. საბეჭდავი ძირითადად კარგადაა შენახული, მხოლოდ პირსა და ზურგზე ადგილ-ადგილ დაკაწრულია. L – 22 მმ, B – 19 მმ, H – 3 მმ.

№ 683 საბეჭდავის ფორმა (სწორკუთხედი, წაკვეთილი კუთხეებით) მეტად ფართოდაა გავცელებული XVIII ს-ში [ბარნაველი ს. 1965: 82]. საინტერესოა, რომ აღნიშნული საბეჭდავი როგორც ფორმით, ისე წარწერის შესრულების სტილით, სიტყვების არეზე გადანაწილებით, ასოების მოხაზულობით, მათი გადაბმის ტექნიკით, კალიგრაფიითა და ფონის შემკულობით ძალიან ჰგავს საქართველოს უკანასკნელი მეფის - გიორგი XII-ის (1746-1800 წწ.) ერთ-ერთი საბეჭდავის ანაბეჭდს (ტაბ. I-3), რომელიც ორ ძველ ქართულ დოკუმენტზეა დასმული [ბაქარაძე ა. 1978: 37. ტაბ. II-7]. ორივე საბუთი ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ერთი (Ad 190) - „მიწერილობა გიორგი მეფისა სტეფანე რუსთველისადმი ნორიელების სამამულო დავის შესახებ" თარიღდება 1799 წლის 26 მარტით (ტაბ. I-4, 5), ხოლო მეორე (Hd 585) გახლავთ „არზა ზაალ დავითაშვილისა შანშე ამილახვრის შვილებთან მამულზე დავის გამო" და გიორგი მეფის ოქმით 1800 წლის პირველი მარტით თარიღდება (ტაბ. I-6, 7). № 683 საბეჭდავი და აღნიშნულ დოკუმენტებზე მოცემული ანაბეჭდი შესრულებულია მსგავსი სტილითა და მანერით, რის საფუძველ-

ზე სრულიად აშკარა ხდება, რომ № 683 საბეჭდავიც გიორგი XII-ის კუთვნილებაა. ა. ბაქრაძე მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ საბუთებზე არსებული ანაბეჭდი № 683 საბეჭდავის ანაბეჭდია [ბაქრაძე ა. 1978: 37. სქ. 3], მაგრამ № 683 საბეჭდავისა და დოკუმენტებზე დასმული ანაბეჭდის შედარებამ და დეტალურმა კვლევამ განსხვავებული შედეგი მოგვცა. ირკვევა, რომ საბუთებზე მოცემული ანაბეჭდი გიორგი XII-ის რომელიღაც სხვა, ამჟამად დაკარგული, საბეჭდავისაა და არა № 683-ისა, რადგან დოკუმენტებზე გამოსახულ ანაბეჭდზე მარცხენა, ზედა კუთხეში აშკარად ჩანს ჯვრის მომცრო გამოსახულება, რომელიც № 683 საბეჭდავზე საერთოდ არაა. ამასთანავე, დოკუმენტებზე მოცემული ანაბეჭდის ფონი გაცილებით უხვად, მთლიანად ხალიჩისებურადაა შევსებული ყვავილოვანი ორნამენტით, მაშინ, როცა № 683 საბეჭდავისა უფრო სადადაა შემკული, ყვავილოვან ორნამენტებს შორის მეტი თავისუფალი ადგილებია დატოვებული (შეადარე ტაბ. I-2 და ტაბ. I-3, 5, 7). ოდნავ განსხვავებულია საბეჭდავსა და საბუთებზე წარმოდგენილი ანაბეჭდის ზომებიც. თუ № 683 საბეჭდავის ზომაა 22X19 მმ, დოკუმენტებზე არსებული ანაბეჭდისა – 21X18 მმ. თუმცა, № 683 საბეჭდავისა და დოკუმენტებზე დასმული ანაბეჭდების სტილური მსგავსება გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ № 683 საბეჭდავი (ტაბ. I-1) და დღეისათვის დაკარგული საბეჭდავი, რომლის ანაბეჭდიც საბუთებს უზის (ტაბ. I- 3, 5, 7), ერთი და იმავე სახელოსნოში დამზადდა გიორგი XII-ისთვის, დაახლოებით ერთსა და იმავე დროს (1799-1800 წწ.).

გიორგი XII, რომელიც ლიტერატურაში ზოგჯერ გიორგი XIII-ის სახელით [იოსელიანი პლ. 1936] იხსენიება (ტაბ. III-1), იყო განათლებული და ძლიერ მორწმუნე. მშობლიურ ქართულთან ერთად სრულყოფილად ფლობდა „თათრულსა" და სომხურ ენებს, ნაწილობრივ, ბერძნულსაც. პლატონ იოსელიანი მის შესახებ წერს: „იცოდა ზეპირად საქმენი და ღვაწლნი წმინდათა მარტვილთა, მეუდაბნოეთა, მღვდელმთავართა და ესე ვითარდა დიდთა ეკლესიისა სვეტითა. დიდის დაწვრილებითა ესმოდა ღვთისმეტყველება მართლმადიდებლობისა, ისტორია ქართველთა, ე.ი. ქართლის ცხოვრება უწყოდა რეცა ზეპირად. დიდად ეტრფოდა მოლექსეთა ძველთა და ახალთა. ცხოვრებითა ნაზი, განკრძალული, ჭეშმარიტი, უტყუეველი, სიტყვა დაცული; ზნეობითა ზრდილი მაღლად მეფურად, მოწყალე, უხვი, მდაბალი, ობოლთა და გლახაკთა შემწყალებელი, პურადი; არა წმინდანებისა მოძულე; სიწმინდისა დამცველი, ვითარცა მეუდაბნოე, ქრისტეს მოყვარე, ეკლესიათა მოყვარე, სამღვდელოთა პატივისმცემელი, უცხოთა შემწყნარებელი, მეტადრე ბერძენთა მართლმადიდებელთა, თურქთაგან დამონებულთა და შეიწროებულთა; დღე ყოველ ცისკრისა, წირვისა და მწუხრისა მომსმენი დაუზარებელი. უკურთხებელ სუფრისა არა მრთმევი არცა სადილისა, არცა ვახშმისა" [იოსელიანი პლ. 1936: 3-7].

გიორგი XII თვრამეტი წლიდან თითქმის ყველგან ახლავს მამას - ერეკლე II-ს. ბატონიშვილობის პერიოდში, 60-იანი წლებიდან, მონაწილეობს სახელმწიფო, საომარსა თუ პოლიტიკურ საქმეებში და, რაც მთავარია, იზიარებს ერეკლე მეფის „რუსულ ორიენტაციას", თუმცა, 1765 წელს მან მხარი არ დაუჭირა ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეთა მკაცრ დასჯას, რაც მამა-შვილს შორის უთანხმოების საფუძველი გახდა. ამ უკმაყოფილებას კიდევ უფრო ამწვავებდა გიორგი

მეფის დედინაცვალი დარეჯან დედოფალი, რომელიც გიორგის საკუთარ შვილებს უპირისპირებდა. არც მაშინ მოუწონა ერეკლე მეფემ ბატონიშვილ გიორგის საქციელი, როცა 1770 წელს ასპინძის ომში იგი „დიდად უსიამოვნოდ მოექცა რუსეთის ღენერალსა ტოტლებენსა, ოდეს არა ინება შებმოდა ოსმალისა ჯარსა, და გაიმარჯვა ომსა ამას თვით მეფემან ირაკლი თავისისა ჯარითა. – მაგითი ღენერალო, არცხვენ რუსეთისა ჯარსა, – ეტყოდა მეფის ძე გიორგი, – და უტეხ სახელსა დიდსა რუსეთსა. ღმერთი ჩვენკენ იქმნება, ჩვენ შევებმით, გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ იმპერატრიცასა შენსა სიმხდალესა" [იოსელიანი პლ. 1936: 9]. აღსრულდა ბატინიშვილ გიორგის სიტყვები. ასპინძის ბრძოლა ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა, ხოლო გენერალი ტოტლებენი დასავლეთ საქართველოში გაიქცა, გზად შეიტყო მეფე ერეკლეს დიდი გამარჯვება ოსმალეთის ჯარზე და შერცხვენილი გადავიდა იმერეთში [იოსელიანი პლ. 1936: 8].1790 წელს, როდესაც იმერეთიდან დელეგაცია თხოვნით ეახლა ერეკლე II-ს, რათა იმერეთი ქართლ-კახეთისთვის შეეერთებინა, ერეკლე მეფე მხოლოდ მესამე დღეს, კრებაზე, დაინტერესდა გიორგი ბატონიშვილის მოსაზრებით, რომელიც მანამდე მორიდებულად, ჩუმად იჯდა და ჰკითხა: „რასა იტყვი, გიორგი, შენ", – „ხელმწიფეო ჩემო! სიტყვა ჩემი, ვითარცა ჰხედავ, იქმნება მრავალთთათვის წინააღმდეგი და მაინც გავბედავ, მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყანისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა. რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ, ვითარ ერთობა ძმათა, – იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაილთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს,– ბრძანებს მაცხოვარი" [იოსელიანი პლ. 1936: 17], მაგრამ გიორგი ბატონიშვილისა და სხვა საერო თუ სასულიერო პირთა უდიდესი სურვილი საქართველოს გაერთიანებისა, დარეჯან დედოფლის ძალისხმევითა და ერეკლე II-ის გადაწყვეტილებით, მაშინ ვერ აღსრულდა [იოსელიანი პლ. 1936: 18]. მოხმობილი მაგალითების გათვალისწინებით სულაც არაა გასაკვირი, რომ გიორგი XII-ის ბატონიშვილობის დროინდელი ხუთი საბეჭდავი (ტაბ. II-1-4], რომელთა ანაბეჭდები ძველ ქართულ საბუთებს უზის, გამოიყენებოდა მხოლოდ წყალობისა და შეწირულების წიგნების დასამტკიცებლად, ზოგჯერ კი ერეკლე II-ის საბეჭდავებთან ერთად - ამავე ხასიათის საბუთებში [ბაქრაძე ა. 1978: 24, 25, 37. ტაბ. I-30; II-2-4]. ხუთივე საბეჭდავი სწორკუთხა ყოფილა და ზედაპირზე მხედრულით შესრულებული წარწერები (ლეგენდები) ჰქონია ნეგატივურად ამოკვეთილი. ანაბეჭდებზე იკითხება: 1. „გიორგი ბატონისშვილი", დოკუმენტი თარიღდება 1763-66 წლებით (ტაბ. II-2). 2. „მეფის ძე გიორგი", 1767-87 წწ. (ტაბ. II-1), 3. „პისტით ელპიდით აღაპითავე იისურემო მომიმუშაკე, გიორგი", 1782 წ. (ტაბ. II-3). 4. „სიმდაბლით ჩემთვის გარდამოსრულსა, იესოს ვმონებ ღმერთ კაცსა სრულსა, გიორგი", 1772-90 წწ. (ტაბ. II-4). 5. არსებობს გიორგი ბატონიშვილის კიდევ ერთი საბეჭდავის ანაბეჭდი, რომელზეც ლეგენდა არ იკითხება [ბაქრაძე ა. 1978: 38. სქ. 4]. როგორც ირკვევა, გარდა წყალობისა და შეწირულების წიგნებისა, გიორგი ბატონიშვილის, როგორც ტახტის მემკვიდრის, დასტურს (ბეჭედს) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი საშინაო პოლიტიკური საკითხის

მოგვარებისას, როგორიც ქსნის ერისთავთა დამორჩილება იყო: „შეგროვილთა მეფისა სასახლეშია შინა მდივანბეგთა განიხილეს საქმე და ორგულება, რომელთაცა შესწამებდნენ ერისთავთადა მოსწერდა ხელთ დაესვათ ბეჭედნი მეფისა და სამეფოისა სახლისა წევრთა...მეფის ძესა გიორგის არ უნებდა არც ხელის მოწერა, არცა ბეჭდის დასმა...იწყინა მეფემან; დაიბარა შვილი თვისი, ჰყვედრა მას ურჩება გამოცხადებული და უბრძანა დასვას ბეჭედი. მეფის ძე მორჩილ ექმნა მამასა" [იოსელიანი პლ. 1936: 78].

ცნობილია, რომ წარჩინებულ პირებს სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე საბეჭდავი ჰქონდათ [ბარნაველი ს. 1965: 80; ბაქრაძე ა. 1978: 22]. ანაბეჭდების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ერთი და იმავე პირის სხვადასხვა საბეჭდავი გამოიყენებოდა არა მარტო განსხვავებული დანიშნულებისა და ხასიათის საბუთებზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ პირთა მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში. ხშირად ეს ფაქტი ლეგენდის შინაარსიდანვე ჩანს [ბაქრაძე ა. 1978: 22]. ამ მხრივ საინტერესოა, რომ დოკუმენტებში გვხვდება გიორგი XII-ის კიდევ ორი ოთხკუთხა საბეჭდავის ანაბეჭდები, რომლებზეც არა „ბატონიშვილი" ან „მეფის ძე", არამედ მხოლოდ სახელი „გიორგი" წერია, ერთზე – მხედრულით (1785-99 წწ.) (ტაბ. II-5), ხოლო მეორეზე – ასომთავრულით (1786-1800 წწ.) (ტაბ. II-6). ისინი გამოიყენებოდა როგორც მისი ბატონიშვილობის, ასევე მეფობის პერიოდში და, ძირითადად, ოქმებსა და წილის ბარათებს უზის [ბაქრაძე ა. 1978: 25, 38. ტაბ. II-5, 8]. როგორც დოკუმენტებზე დასმული ანაბეჭდებიდან ირკვევა, საბეჭდავებზე ამოჭრილი წარწერების უმეტესობა მხედრული დამწერლობითაა შესრულებული, მაშინ, როცა გიორგი XII-ის სახელით მოჭრილ მონეტებზე (ტაბ. III-3), პირიქით, მეფის სახელი „გიორგი" შესრულებულია მხოლოდ ასომთავრული დამწერლობით [გაგოშიძე ი. 2000: 103, 254. სურ. 264], თანაც ისეთივე კუთხოვანი ასოებით, როგორიც დოკუმენტზე დასმულ ანაბეჭდზეა მოცემული. მონეტების ავერსზე ქართულთან ერთად გამოისახებოდა სპარსული წარწერაც, ხოლო რევერსი შემკული იყო თევზის გამოსახულებითა და მცენარეული ორნამენტით (ტაბ. II-6).

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1798 წლის იანვარში, როცა გიორგი XII გამეფდა, იგი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. მისი მეფობისას ქართლ-კახეთში მეტად რთული საშინაო და საგარეო ვითარება შეიქმნა. გიორგი ზრუნავდა ირანელთა 1795 წლის შემოსევის შედეგად დანგრეული თბილისის აღდგენაზე. მისი ბრძანებით ჩატარდა ხალხის აღწერა და შემოიღეს ფულადი გადასახადი სამეფო სასახლის აღსადგენად, მაგრამ შეკრებილი თანხა ეკლესიების კეთილმოწყობისთვის დაიხარჯა. იგი შეეცადა ხელოსნობის ყველა დარგის აღორძინებას, დაიწყო სტამბის აღდგენა. გიორგი XII ცდილობდა ერეკლესდროინდელი მორიგე ჯარის აღდგენას, ებრძოდა ქვეყანაში დამკვიდრებულ ირანულ წეს-ჩვეულებებს, ფიქრობდა ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ ერთობაზე სომხებში მართლმადიდებლური ქრისტიანობის დანერგვით, შეეცადა მოწინააღმდეგე ბატონიშვილთა პარტიის დამორჩილებასა და შინაური მოღალატეების ალაგმვას, მაგრამ ვერ შეძლო. საგარეო პოლიტიკაში გიორგი XII რუსეთთან ტრადიციული ურთიერთობის კურსს იცავდა. იგი მოითხოვდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებასა და საქართველოში რუსეთის ჯარის შემოყვანას, რომლის დახმარებით ფიქრობდა

საშინაო და საგარეო პოლიტიკური სიძნელეებიდან თავის დაღწევას, მაგრამ 1799 წლის 26 ნოემბერს საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლამ ვერ გამოაკეთა ქართლ-კახეთის შერყეული მდგომარეობა. ასეთ ვითარებაში გიორგი XII დათანხმდა, შეეზღუდათ 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული მეფის უფლებები, ოღონდ მისთვის და მისი შთამომავლებისთვის შეენარჩუნებინათ მეფობა. რუსეთის მთავრობა ხედავდა ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას და ამ სამეფოს სრულად გასაუქმებლად ხელსაყრელ მომენტს ეძებდა [იოსელიანი პლ. 1936: 282-208]. შექმნილ რთულ ვითარებაში, ბრძანებების, წყალობის წიგნების, ოქმებისა თუ მიმოწერის დასადასტურებლად გიორგი XII-ს აუცილებლად სჭირდებოდა სახელმწიფოებრივი დანიშნულების ისეთი მნიშვნელოვანი ნივთი, როგორიც გახლავთ საბეჭდავი. ამიტომ ერეკლე II-ის გარდაცვალებიდან მეორე დღესვე გიორგიმ ბორჩალოდან მოიხმო ჩოლოყაშვილი დავით ჯიმშერისაშვილი, „კაცი სიტყვა მარჯვე და კვალად ატტიკურად მწერალი და უბრძანა ოქმისა ზედა წარწერა ბეჭდისა მისსა მეფობითსა. დღისა მეორისათვის უქმნა მას წარწერა ბეჭდისა ოქმთა და ბრძანებათათვის შემდეგი: „სიმდაბლით გარდამოსრულსა, იესოს ვაქებ ღმერთკაცსა სრულსა". მუნიდგანვე წარმოგზავნა კაცი თბილისს და ოქრომჭედელსა კოსტას... ამოაჭრევინა ვერცხლზედ. მიერთვა მეფეს თელავს და მოეწონა. ამა ბეჭდით გამოვიდა პირველი ოქმი მეფისა, რომლითაცა მეფემან გიორგი მიართვა ძლვნად თელავისა კარის ეკკლესიასა ორი კომლი კაცი მათის მამულითა და ზვრითა. მასვე დროსა უქმნეს დედოფლობისა ბეჭედი მეუღლესა მისსა მარიამს მარტივითა ზედა წარწერითა: „დედოფალი მარიამ" [იოსელიანი პლ. 1936: 156]. მოხმობილი ნაწყვეტიდანაც აშკარად ჩანს, რომ ხელოსნობის ისეთი დარგი, როგორიცაა საბეჭდავების დამზადება, თბილისში მეტად განვითარებული ყოფილა. როგორც ჩანს, საბეჭდავს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფისათვის, რადგან მის შექმნასა და გაფორმებაში მონაწილეობდნენ ხელოსნობის სხვადასხვა დარგის ისეთი მაღალი დონის ოსტატები, როგორებიც იყვნენ წარწერის შემდგენელი ჩოლოყაშვილი დავით ჯიმშერისაშვილი და წარწერების ამომკვეთი ოქრომჭედელი კოსტა. საბეჭდავი რომ გიორგი მეფის სამაგიდო ნივთი იყო, ეს მისი ოთახის აღწერილობიდანაც კარგად ჩანს: „წინარე ტახტისა საწოლისა იდგა გრძელი სტოლი ხავერდ-ფენილი და იდგნენ მას ზედა საწერელი და ქაღალდები და შუაზედ ყუთი, რომელშიაც იდვა ბეჭედი თვისი ოქმთა საბეჭდი, ფული სახარჯო, ლაქა და საიდუმლონი მიწერ-მოწერისა ქაღალდნი" [იოსელიანი პლ. 1936: 37]. ერეკლე მეფის გარდაცვალების დღესვე მისი სულის მოსახსენებლად გიორგი ეპისტოლეებს აგზავნის ეკლესია-მონასტრებში და შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარ ათანასესა და დავითგარეჯის უდაბნოს მამებს წირვას უკვეთავს: „ინებეთ გარდაცვალებულისა მეფისა ერაკლისათვის შვიდისა, ორმოცისა, და წლისა წირვა გარდაიხადეთ. თვისსა დროსა ეს ჩვენი ოქმი წარმოგვიდგინეთ, რომ ძმათა სანუგეშო აღვასრულოთ. წელსა 1798 აპრილის 30 დღესა. ეპისტოლეები უკვე დაბეჭდილია საბეჭდავით, რომელზეც წერია „მეფე გიორგი" [იოსელიანი პლ. 1936: 158].

ცნობილია ევროპულ ყაიდაზე შექმნილი გიორგი XII-ის საგერბო საბეჭდავიც, რომელსაც აქვს მოგრძო, ცილინდრული ფორმის ნეფრიტის

სახელური. მის ორსავე ბოლოს კი ოქროა შემოსალტული (საბეჭდავი ინახება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში). საბეჭდავი ორმხრივია (ტაბ. II-8), რომელთაგან ერთი პირი ოვალურია და ზედ ბაგრატიონების საგვარეულო გერბია გამოსახული (ტაბ. II-10), ხოლო მეორე მართკუთხაა და ზედაპირზე ძალზე ორიგინალურად, ერთმანეთში ჩაწერილი მხედრული ასოებით წერია სახელი „გიორგი" (ტაბ. II-9). ნეფრიტის სახელურზე ამოკვეთილია ფოთლებიანი რტო [ბარნაველი ს. 1965: 82, 95. ტაბ. XVI-1-4]. 1800 წლის 22 დეკემბერს, როცა გიორგი XII-ის ჯანმრთელობა გაუარესდა, დედოფალ მარიამის შეკითხვაზე, თუ ვის უტოვებდა ქვეყანასა და ოჯახს, მეფემ უპასუხა: „მე ავუჩენ მათ პატრონსა დიდსა და ძლიერსა", მოიხმო გენერალი გიორგი ბარათაშვილი და სთხოვა წერილის დაწერა „იმპერატორ პავლესთან, აცნობოს უკანასკნელი დღე მისისა ცხოვრებისა, და ესეცა, რომელ: ჩამიბარებია ანდერძად ცოლ-შვილი ჩემი და საქართველო". დაუწერეს მოკლე წერილი და „მოაწერა ხელი და დაასვა ბეჭედი თვისი" [იოსელიანი პლ. 1936: 209]. წერილის მნიშვნელობისა და შინაარსიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ, შესაძლოა, ეს წერილი სწორედ ზემოაღწერილი გერბული საბეჭდავით დაიბეჭდა. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, 1801 წელს, რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო მიიერთა და თითქმის ათასწლოვანი მეფობა გააუქმა.

გიორგი XII-ის მეფობის დროს ძველი ქართული საბუთებიდან ცნობილია მისი ორი რვაკუთხა საბეჭდავის ანაბეჭდები, რომლებზეც მხედრული წარწერებია ამოჭრილი. ერთზე (ტაბ. I-3, 5, 7) წერია „მეფე გიორგი" (1799-1800 წწ.), რომელიც უფრო ხშირად ოქმებსა და ბრძანებებზე ჩანს, ხოლო მეორეზე (ტაბ. II-7) - „მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი" (1798-1800 წწ.). ეს უკანასკნელი წყალობისა და შეწირულების წიგნებს უზის [ბაქრაძე ა. 1978: 25, 37, 38. ტაბ. II-6, 7].

№ 683 საბეჭდავიც გიორგი XII-ის მეფობის დროინდელია. საინტერესოდ გვეჩვენება, რომ საბეჭდავზე - მარჯვენა, ხოლო ანაბეჭდზე მარცხენა, ზედა კუთხეში თავისუფალი არე ჩანს (ტაბ. I-1, 2), რაც კომპოზიციურად გაუმართლებლად მიგვაჩნია. დოკუმენტებზე დასმულ ანაბეჭდზე კი, შესაბამის ადგილას, ჯვარია გამოსახული (ტაბ. I-3, 5, 7). ეს გვაფიქრებინებს, რომ № 683 საბეჭდავი, შესაძლოა, დასრულებული არაა. ჩვენი მოსაზრებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელოსანი ჯვრის ამოკვეთას არ აპირებდა, მაშინ კუთხეში თავისუფალ არეს მაინც არ დატოვებდა და ამ ადგილსაც ყვავილოვანი ორნამენტით შეავსებდა. აღნიშნულ მოსაზრებას ისიც გვიმყარებს, რომ № 683 საბეჭდავს სახელური არ გააჩნია. ცნობილია, რომ ამგვარ ბრტყელ საბეჭდავებს აუცილებლად ჰქონდა სახელური, რომელზეც მიამაგრებდნენ ან რომლის ბუდეშიც ჩასვამდნენ ხოლმე საბეჭდავს [ბარნაველი ს. 1965: 82], რადგან სახელურის გარეშე მისი გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. № 683 საბეჭდავის ანაბეჭდი არ ჩანს არც ერთ ძველ ქართულ დოკუმენტზეც, რომლებიც გიორგი XII-ის სახელითაა დაბეჭდილი. თუ ჩვენი ვარაუდი მართებულია, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ № 683 საბეჭდავი დაამზადა სასახლის კარის ოსტატმა 1800 წლის მიწურულს (დეკემბერში), როცა გიორგი XII გარდაიცვალა. ამიტომ მისი დასრულების საჭიროება აღარ არსებობდა. ჩვენს მოსაზრებას, შესაძლოა, ისიც ამტკიცებდეს, რომ, როცა გიორგი XII გარდაიცვალა, 1800

წლის 28 დეკემბერს, სასახლეში ყველანაირი საქმიანობა შეჩერდა: „მდივანბეგთა ძველთა წესითა დაჰყარნეს ეკლესიისა იატაკსა, საწერელნი და ყალამნი, ნიშნათ შეყენებულისა ბრძანებათა მწერლობისა; ხელჯოხანათა სასახლისა კვერთხნი, – ნიშნად გაუქმებულისა მათისა ხელობისა.... პირის მწდემან მეფისა ოქროსა და ვერცხლისა და სხვათა გვარისა ჭურჭელნი, ნიშნად არღარა სახმართა მათთაგან.....” [იოსელიანი პლ. 1936: 214, 215]. გიორგი XII დასაფლავებულია სვეტიცხოველში (ტაბ. III-2).

აღსანიშნავია, რომ გიორგი XII-ის საბეჭდავები (გერბული საბეჭდავის გარდა) შემორჩენილი არაა და მათ შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ ძველ ქართულ დოკუმენტებზე მოცემული ანაბეჭდებით. მიუხედავად იმისა, რომ № 683 საბეჭდავს დაუსრულებლად მივიჩნევთ, ის მაინც ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან გიორგი მეფის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი რვაკუთხა საბეჭდავია. ამიტომ მისი ყოველმხრივი შესწავლა და სამეცნიერო საზოგადოებისთვის გაცნობა მნიშვნელოვნად გააფართოებს ჩვენს წარმოდგენას არა მარტო XVIII ს-ის ქართულ საბეჭდავებზე, არამედ იმდროინდელ პოლიტიკურსა და კულტურულ ვითარებაზეც.

**GLYPTIC**

**Ketevan Ramishvili**

The Georgian National Muzeum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
ketramishvili@yahoo.com

## King George XII's Seal

### Summary

The presented paper deals with a seal which is kept in the glyptics collections of the Georgian National Museum (inv. № 683). The seal, which belongs to the last King of Georgia - Georgi XII, is made of bronze. It is flat and octagonal. There is a carved inscription in Georgian (Mkhedruli) writing on the seal which clearly can be read on the imprint "King Giorgi ".

It should be mentioned that Giorgi XII's seals do not exist (coat of arms seal) and we can judge about them only according to the imprints on ancient Georgian documents .The fact that the seal is the only one preserved octagonal seal of King George XII, is very important. Fundamental analysis and publication of this seal is significant. It will enrich our knowledge not only about Georgian seals of the 18$^{th}$ century, but about the political and cultural situation of that periods as well.

## ბიბლიოგრაფია


**ბარნაველი ს. 1965:** *საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები.* თბილისი.

**ბაქრაძე ა. 1978:** *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. I.* თბილისი.

**გაგოშიძე ი., ანთაძე მ., ღვაბერიძე ც., წოწელია მ., ქუთელია თ., შეროზია მ. 2000:** ფული საქართველოში. თბილისი.

**იოსელიანი პლ. 1936:** *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა.* ტფილისი.


## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I**

**სურ. 1.** მეფე გიორგი XII-ის ბრინჯაოს საბეჭდავი (საინვ. № 683)

**სურ. 2.** გიორგი XII-ის საბეჭდავის (საინვ. № 683) ანაბეჭდი

**სურ. 3.** გიორგი XII-ის საბეჭდავის ანაბეჭდი ძველ ქართულ დოკუმენტებზე (Ad 190, Hd 585)

**სურ. 4.** დოკუმენტი (Ad 190) „მიწერილობა გიორგი მეფისა სტეფანე რუსთველისადმი ნორიელების სამამულო დავის შესახებ"

**სურ. 5.** დოკუმენტზე (Ad 190) დასმული მეფე გიორგი XII-ის საბეჭდავის ანაბეჭდი

**სურ. 6.** დოკუმენტი (Hd 585) „არზა ზაალ დავითაშვილისა შანშე ამილახვრის შვილებთან მამულზე დავის გამო"

**სურ. 7.** დოკუმენტზე (Hd 585) დასმული მეფე გიორგი XII-ის საბეჭდავის ანაბეჭდი

**ტაბ. II**

**სურ. 1-4.** გიორგი XII-ის ბატონიშვილობის დროინდელი საბეჭდავის ანაბეჭდები მხედრული წარწერებით ძველ ქართულ დოკუმენტებზე

**სურ. 5, 6.** მეფე გიორგი XII-ის საბეჭდავის ანაბეჭდები მხედრული და ასომთავრული წარწერებით ძველ ქართულ დოკუმენტებზე. საბეჭდავი გამოიყენებოდა როგორც ბატონიშვილობის, ისე მეფობის დროს

**სურ. 7.** გიორგი XII-ის სამეფო ხანის საბეჭდავის ანაბეჭდი ძველ ქართულ დოკუმენტზე მხედრული წარწერით

**სურ. 8.** მეფე გიორგი XII-ის გერბული საბეჭდავი მართკუთხა და ოვალური პირებით

**სურ. 9.** მეფე გიორგი XII-ის გერბული საბეჭდავის მართკუთხა პირის ანაბეჭდი

**სურ. 10.** მეფე გიორგი XII-ის გერბული საბეჭდავის ოვალური პირის ანაბეჭდი

**ტაბ. III**

**სურ. 1.** მეფე გიორგი XII-ის პორტრეტი

**სურ. 2.** მეფე გიორგი XII-ის საფლავის ქვა სვეტიცხოველში

**სურ. 3.** მეფე გიორგი XII-ის სახელით მოჭრილი მონეტა

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I**

**Fig. 1.** Bronze seal of King George XII (inv. № 683)

**Fig. 2.** Imprint of King George XII's seal (inv. № 683)

**Fig. 3.** Imprint of King George XII's seal on old Georgian documents (Ad 190, Hd 585)

**Fig. 4.** Document (Ad 190) - Letter of King George to Stephen Rustaveli about the land dispute of Norians'

**Fig. 5.** Imprint of King George XII's seal on the old Georgian document (Ad 190)

**Fig. 6.** Document (Hd 585) - Letter of Zaal Davitashvili to Shanshe Amilakhvari's sons about land dispute.

**Fig. 7.** Imprint of King George XII's seal on the old Georgian document (Hd 585)

**Tab. II**

**Fig. 1- 4.** Imprints of King George XII seals with Georgian inscriptions on old documents. Seals were used during his princehood

**Fig. 5, 6.** Imprints of King George XII seals with Georgian (Mkhedruli and Asomtavruli) inscriptions on the old documents. Seals were used during his princehood and kingship

**Fig. 7.** Imprint of George XII's seal during his kingship on old Georgian document with Mkhedruli inscription

**Fig. 8.** King George XII's gerbal seal with rectangular and oval faces

**Fig. 9 .** King George XII's rectangular face of the gerbal seal

**Fig. 9 .** King George XII's oval face gerbal seal

**Tab. III**

**Fig. 1.** Portrait of King George XII

**Fig. 2.** Grave of King George XII in Svetitskhoveli

**Fig. 3.** Coin of King George XII

## ტაბ. I Tab.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

**ტაბ. II Tab.**



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.

**ტაბ. II Tab.**



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 124-164
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 124-164

## ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

**მამუკა წურწუმია**

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
სანაპიროს 4, 0114, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: mkhedari@mkhedari.ge

# დასარტყმელი (საცემი) იარაღი შუა საუკუნეების საქართველოში

დასარტყმელი (საცემი) იარაღი ერთ-ერთი მარტივი და ძველია [Hoffmeyer A. 1966: 113; Kobylinski L. 2000: 66; Рабовянов Д. 2009-2010: 187]. ლახტის წინამორბედი იყო მსხვილთავიანი კეტი (კომბალი) და მისი ისტორია რამდენიმე ათასწლეულს მოითვლის [Кирпичников А. 1966: 47]. თავად ლახტი კეტია, რომლის ერთ ბოლოზე ლითონის (ან სხვა მასალის) მასიური თავი მაგრდება, მეორე ბოლო კი სახელურად გამოიყენება [Медведев А. 1959: 132]. ლახტი ობიექტზე ზემოქმედებს ადამიანის ხელით განხორციელებული დარტყმის ძალით, რომელიც გაძლიერებულია იარაღის სიმძიმითა და ტარის სიგრძით [Устинов А., Портнов М. ... 1994: 8]. განსაკუთრებით ეფექტურად იყენებს ლახტს ცხენოსანი, როდესაც დარტყმის ძალას ცხენის მოძრაობის ინერციაც ემატება. ამის გამო ლახტი განსაკუთრებით პოპულარული იმ ქვეყნებში იყო, სადაც კავალერია წამყვან როლს თამაშობდა [Рабовянов Д. 2009-2010: 195]. ლახტი მარტივი იარაღია, რომლის გამოყენება მინიმალურ წვრთნას საჭიროებს [D'Amato R. 2011: 7]. ლახტს არ სჭირდებოდა ბრძოლისწინა მომზადება და ადვილად მოსავლელი იყო, რისთვისაც საკმარისი იყო მხოლოდ ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებისაგან (წვიმა, თოვლი და ა.შ.) მინიმალური დაცვა (ბუდეში, შალითაში).

ბრძოლაში ლახტი, უპირველესად, მუზარადისა და აბჯრის დასალეწად გამოიყენებოდა [Nicolle D. 1983: 67; Kobylinski L. 2000: 66; Paul E. 2004: 91]. მძიმე, 1,5-2 კგ-იან, ლახტს მუზარადისა და თავის ქალის შემუსვრაც შეეძლო [Wise T. 1978: 18]. ლახტს აბჯარში შეუღწევლადაც შეეძლო მეტოქის მწყობრიდან გამოყვანა (დარეტიანება).[1]ლახტის დარტყმა იწვევდა კონტუზიას, შინაგან სისხლჩაქცევებსა და მოტეხილობებს. მას იყენებდნენ მოწინააღმდეგის შუბისა და ხმლის დასამტვრევადაც [Al-Sarraf Sh. 2002: 155].

ლახტს აღმოსავლეთში უძველესი დროიდან იყენებდნენ,[2] მაშინ, როდესაც საბერძნეთი და რომი მას არც იცნობდა [Hoffmeyer A. 1966: 113]. ლახტს არ ხმარობდნენ არც გერმანელი და არც კელტი ტომები.

---

1 ამის მოწმობას შუა საუკუნეების ლიტერატურაში ვპოულობთ: „დაჰკრა... თავსა ლახტი და ცხენის-აგან დაბნედილი ჩამოაგდო“ [რუსუდანიანი. 1957: 285].

2 ეგვიპტის ძველი სამეფოს ხანაში „ბრძოლა“ ლახტის გამოსახულებით აღინიშნებოდა [Горелик М. 2003: 50].

უადრესი ევროპული ლახტი ბაიოს გობელენზეა გამოსახული [DeVries K. 1992: 25]. ლახტი ევროპაში მნიშვნელობას მხოლოდ XII-XIII სს-ში იძენს [Nicolle D. 1983: 67]. აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაშიც ლახტი აღმოსავლეთიდანაა შესული [Hoffmeyer A. 1966: 113]. აღმოსავლეთიდან ხვდება ლახტი რუსეთშიც, სადაც ის ჩნდება XI ს-ში [Кирпичников А. 1966: 48]. შუა საუკუნეების დასაწყისში ლახტი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ ირანსა და ცენტრალურ აზიაში,[3] ბიზანტიასა და ევროპაში კი ისლამის კვალდაკვალ შეაღწია [Nicolle D. 1997: 21]. ლახტის პოპულარობა IX ს-ის მიწურულისა და X ს-ის ბიზანტიაში დაკავშირებულია მძიმედ შეჭურვილი კავალერიის აღორძინებასთან [Haldon J. 1975: 39; Kolias T. 1988: 183; D'Amato R. 2011: 8-9].

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, *ლახტი* უმკვეთელო საცემი იარაღია.[4] ივ. ჯავახიშვილი ლახტს დასარტყმელ იარაღს აკუთვნებს [ჯავახიშვილი ივ. 1962: 246]. ჩანს, საქართველოში ორი ტიპის ლახტს განარჩევდნენ: საკუთრივ *ლახტსა* და *გურზს*. ორივე ტერმინი ამ იარაღთა სპარსული სახელწოდებებიდან მომდინარეობს: ლახტი – *lakht*-დან,[5] *გურზი* კი – *გორზიდან*. საბას მიხედვით, *გურზი* დიდი, უფრთო ლახტია [სულხან-საბა ორბელიანი. 1991: 179]. ლახტების საბასეული დაყოფა სწორი ჩანს. მართალია, არაბულ-სპარსული გურზი (არაბული *jurz*, სპარსული *gorz*) ყველა ტიპის ლახტს გულისხმობდა, მაგრამ უფრო მეტად მას სფერული ან ოვოიდურთავიანი ლახტის აღსანიშნავად იყენებდნენ [Kobylinski L. 2000: 66]. XVI ს-ის მიწურულს დაწერილი „აინ-ი-აკბარის" მიხედვით, გურზს სფერული თავი ჰქონდა ზედ დამაგრებული რამდენიმე წვეტით [Paul E. 2004: 91].

კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიაზე ლახტი საკმაოდ პოპულარული იყო და უძველესი ხანიდან – ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნიდან მოიპოვება [Горелик М. 2003: 51, таб. XXX.100, XXXI.34-42,46-49,104-106,119]. ამისდა მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში, შუა საუკუნეებში, ქართველი მებრძოლის უპირველეს იარაღად შუბი და გრძელი მახვილი გვევლინება, რომელთა პარალელურად ლახტს იშვიათად თუ ვხედავთ. ამაში „დამნაშავე" ქართველთა რაინდული ბრძოლის სტილი უნდა ყოფილიყო, სადაც შუბით ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. „ვეფხისტყაოსანში" ლახტი მხოლოდ ორგანაა ნახსენები,[6] რაც დ. ნიკოლმაც შეამჩნია და თამარის ხანაში მის ნაკლებ მნიშვნელობაზე მიუთითა [Nicolle D. 1986: 23]. იშვიათად იხსენიება ლახტი „ამირანდარეჯანიანშიც", რომელიც იმავე ეპოქის ნაწარმოებია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის გვიანდელ დამატებებსა და ჩასწორებებს

3 ის ჯერ კიდევ სასანელი ცხენოსნის განუყრელი იარაღი იყო ტაბარძინთან (საბრძოლო ცული) ერთად [Al-Sarraf Sh. 2002: 154].

4 „*ლახტი* – უმკვეთელო საცემი საომარი" [სულხან-საბა ორბელიანი. 1991: 409].

5 ლახტი სპარსულადაც რკინის კეტს ნიშნავს [Steingass F. 1892: 1119]. თავის მხრივ, ეს სპარსული სიტყვაც არაბული *latt*-დან უნდა იყოს წარმოშობილი. ის საშუალო ზომის საბრძოლო კეტს აღნიშნავდა და საფუძვლად ედო არაბული ზმნა *latta*, რაც მსხვრევას, ბეგვას ნიშნავს [Al-Sarraf Sh. 2002: 160].

6 „ადგა და ლახტი აიღო..." [შოთა რუსთაველი. 2009: სტრ. 1110]. მეორე სტროფი კი ზოგიერთ გამოცემაში შოთასეულად არცაა მიჩნეული. ასე მაგალითად, 2009 წლის აკადემიურ გამოცემაში არაა შეტანილი 655-ე სტროფი: „დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწეოდა; მათისა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყეოდა".

ლახტის ხსენებით [მოსე ხონელი. 1967: 687, 774], ეს იარაღი ორიოდეჯერ თუ გვხვდება ნაწარმოებსა და მის ვარიანტებში [მოსე ხონელი. 1967: 144-145, 356]. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ლახტი უკვე საფალავნო ბრძოლის იარაღია: „გამოეგზავნა ლახტი მისი და ეგრე შემოეთუალა, ვითა: „დღეს ამით შევიბნეთო" [მოსე ხონელი. 1967: 144-145]. ეს უკვე XIII ს-ის ვითარებას უნდა ასახავდეს, როდესაც მონღოლთა გავლენით ლახტის მნიშვნელობა იზრდება.[7] იშვიათად ჩანს ლახტი ამ პერიოდის მინიატურებშიც. ჯრუჭის II ოთხთავში (XII ს.), ერთი გამონაკლისის გარდა, ლახტი მხოლოდ იესოს გაცემის სცენებშია გამოსახული (მინიატურები 70v, 115v, 243v), სადაც ლახტებით (კეტებით) აღჭურვილი მებრძოლების გამოსახვა თავად სახარებისეული ტრადიციიდან მომდინარეობს: „აჰა, მოვიდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, და მასთან ერთად დიდძალი ხალხი მახვილებით და კეტებით" (მათე: 26:47; მარკოზი: 14:43).[8]

მოგვიანებით, მონღოლთა ბატონობის შედეგად მდგომარეობა იცვლება და ლახტის პოპულარობა სულ უფრო იზრდება. XIV ს-ის მეორე ნახევრის დავითნის მინიატურებში ლახტი უკვე ხშირად ჩანს. H1665 დავითნის მინიატურებში გამოსახული ლახტები ფრთიანია, თავზე ბურთულით, ხის ტარს კი ლითონის ბოლო აქვს, რაც მას გახლეჩისაგან იცავდა [Шервашидзе Л. 1964: 67]. ჩანს, მონღოლურ-ირანული ლახტები საქართველოს გავლითა და მეშვეობით ჩრდილოეთ კავკასიაშიც აღწევს. ამ რეგიონში აღმოჩენილ ექვსფრთიან ლახტთაგან ზოგიერთის ანალოგი საქართველოში ეგულებათ ე. ნაროჟნისა და ჯ. ჩახკიევს [Нарожный Е., Чакхиев Д. 2003: 129].

XVI ს-ის დასაწყისში, ირანელი მემატიანის გადმოცემით, კახეთის მეფე ლევანი (1518-74) ყიზილბაშებთან ბრძოლის წინ თავისი ვერცხლის ლახტით ტრაბახობდა: „ლევან-ხანმა გაგულისებით წამოიძახა: „დივ-სულტანს ბრძოლის ველზე მე გამოვიწვევ და ამ ოც მანიან[9] კვერთხს, რომელიც ვერცხლისაგან დავამზადებინე, კეფაში ისე ჩავცხებ, რომ მას თავის ცხენიანად მიწას დავანარცხებ" [შაჰ ისმაილ I-ის ანონიმის ცნობები საქართველოს შესახებ. 1990: 21]. თავისი ლახტი მეფემ ბრძოლაში საკმაოდ ეფექტურად გამოიყენა: „მას ხელში ისეთი კვერთხი ეკავა, რომ ვისაც კი დაარტყამდა, თავს უხეთქავდა" [შაჰ ისმაილ I-ის ანონიმის ცნობები საქართველოს შესახებ. 1990: 22]. სავსებით მართებულად სპარსულ ლიტერატურაში ხშირად მოხსენიებულ 20, 40, 70 და 80 მანის სიმძიმის ლახტებს მ. ხორასანი ზღაპრულად მიიჩნევს [Khorasani M. 2006: 252]. სწორედ ამგვარ გაზვიადებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ირანელი ავტორი მისთვის ჩვეული ჰიპერბოლით აღწერს ლევან მეფის

5 მარკო პოლო მონღოლთა შეიარაღების ჩამონათვალში ასახელებს რკინისთავიან ლახტს და მიუთითებს, რომ მათ ბრძოლაში ხმლით, ლახტითა და მშვილდით (60 ისრითურთ) გამოსვლა ევალებოდათ. მონღოლთა ბრძოლების აღწერისას ის ყოველთვის მიუთითებს ლახტის გამოყენებაზე [Marco Polo. 1878: 171, 198, 207, 290, 448, 450-451, 456, 463, 481, 487]. მრავლად გვხვდება ლახტის გამოსახულება მონღოლური ეპოქის ირანულ მინიატურებზეც.

8 იესოს გაცემის სცენის იკონოგრაფიული ასახვის ტრადიციისა და მნიშვნელობის შესახებ ვრცლად იხ. [D'Amato R. 2013: 69-95].

9 20 მანი დაახლოებით 16 კგ-ს უდრიდა.

ლახტს.[10] ამავე დროს, ინფორმაცია კახეთის მეფის მძიმე ლახტის შესახებ მნიშვნელოვანია და მოწმობს ამ იარაღის გაზრდილ როლზე XVI ს-ის საქართველოში. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში სვიმონ მეფის ირანელებთან ბრძოლის აღწერისას, შუბსა და ხმალთან ერთად, ლახტიც მოიხსენიება: „ქართველნიც მოეტივნეს და შეიქნა შუბთა ძგერება, **ლახტისა** და ჴმლის ტკაცა-ტკუცი“ [ფარსადან გორგიჯანიძე. 1925: 219].

XVI-XVII სს-ში დაწერილ „რუსუდანიანში“ ლახტი უკვე ერთ-ერთი ძირითადი იარაღია. ამ ეპოქაში ლახტი, შუბსა და ხმალთან ერთად, მძიმედ შეჭურვილი ქართველი მეომრის შეიარაღების განუყოფელი ნაწილია. ბრძოლის აღწერისას იარაღის ამ სახეობებს ერთად ჩამოთვლიან ხოლმე: „**შუბითა, ხლმითა, ლახტითა** უწყალოდ იცემებოდენ...“ [რუსუდანიანი. 1957: 176]. ბრძოლის პროცესიც თანმიმდევრობითაა აღწერილი, სადაც შუბის შემდეგ ერთმანეთს ცვლის ხმალი და ლახტი: „შეიბნეს. **პირველ შუბით** შეუტიეს და შეალეწეს ერთმანერთსა. **მერმე ხრმლები** დაიწოდეს და გულმესისხლედ დალეწეს... **მერმე გურზებს** მიჰყვეს ხელი და მედგრად იცემებოდეს“ [რუსუდანიანი. 1957: 284.]; „შეუტიეს ერთმანერთსა, **შუბები** შეალეწეს, **მერმე ხლმითა** დაუშინეს ერთმანერთსა და ისიც დაალეწეს. **მერმე ლახტები** გამოიღეს“ [რუსუდანიანი. 1957: 291]; „**პირველსავე მისვლასა შუბები** ერთმანერთს შეალეწეს და **მერმე... ლახტები** დაიწოდეს და დაუწყეს ერთმანერთსა ცემა“ [რუსუდანიანი. 1957: 378]; „შეალეწეს **შუბები** ერთმანერთსა, დალეწეს **ლახტები** და დაიწოდეს **ხლმები**...“ [რუსუდანიანი. 1957: 379].

ლახტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება XVII ს-ის დასაწყისის „ომაინიანშიც“, სადაც ის ხშირად ჩანს ორთაბრძოლებში: „მერმე **მძიმე ლახტები** დაიწოდეს და მითაცა დიდხანს ერთმანერთი გამოსცადეს“ [ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. 1979: 52]; „მერმე **ლახტები** დაიწვადეს და ასრე მედგრად ერთმანერთსა ეცემებოდეს“ [ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. 1979: 104]. საერთოდ, XVII ს-ის ნაწარმოებებში ლახტის ხსენება საკმაოდ ხშირია. არჩილის მიერ არაგვის პირას ირანელებთან თეიმურაზ მეფის ბრძოლის აღწერისას იარაღის თანმიმდევრობა კვლავ დაცულია – შუბი, ხმალი, ლახტი:

„**პირველ შუბი** მოვიქნივე, **მერმე** მივჰყავ **ხმალსა** ხელი,

ხმალმოწვდილი გავერივე, ვაქნევინე ომ-სახელი;

**კვლაცა ლახტი** დავამსხვრიე, ვინ ახლოს მყვა მონახელი“ [არჩილიანი. 1937: 64].

იოსებ თბილელის XVII ს-ის „დიდმოურავიანში“ შუბისა და ხმლის გატეხვის შემდეგ ბრძოლას ლახტით აგრძელებენ: „შუბის და ხმლისა გატეხა, ლახტის ტარ ხელთა ქონება“ [იოსებ ტფილელი. 1939: 31]. ტაშისკართან ბრძოლაში (1609) გიორგი სააკაძეს სამი შუბი შემოატყდა, რის შემდეგაც ლახტი და ხმალი გამოიყენა:

„ფიცით შეგკადრო, მეფეო, სამი გავსტეხე შუბია;

**მასუკან ლახტით ვიბრძოდი**, სისხლით ავავსი უბია,

10 ასეთი გაზვიადება არც ქართული ლიტერატურისთვისაა უცხო: „მისი ოცი ათასის ლიტრის ლახტი ხელთ ეჭირა“ [რუსუდანიანი. 1957: 127].

ლახტიც რომ გატყდა, ხმალს ხელი მივჰყავ, ვაყენე გუბია!“ [იოსებ ტფილელი. 1939: 14].

ლახტით იბრძვის მეფე ლუარსაბიც: „სითაც მეფემ ცხენი იგდის, დააშვენის ის არია; / ვისაც თავსა ლახტი დაჰკრის, არ ეგონის ი სარია“ [იოსებ ტფილელი. 1939: 14].

ჟან შარდენი, რომელმაც XVII ს-ის 70-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში, ქართველთა შეიარაღებაში ლახტსაც აღნიშნავს: „მეგრელების იარაღია: შუბი, მშვილდ-ისარი, მოუხრელი სწორი ხმალი, კომბალი,[11] ფარი“ [ჟან შარდენი. 1975: 119].

გვიანდელ შუა საუკუნეებში ლახტის ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს საქართველოს ეკლესიებში დაცული და XIX-XX სს-მდე მოღწეული ლახტის ნიმუშები. ბრძოლაში მოპოვებული ნადავლისა თუ იარაღის ეკლესიებისათვის შეწირვა საყოველთაოდ იყო გავრცელებული, რისი დასტური XVII ს-ის შუა ხანის ქაიხოსრო გურიელის შეწირულების წიგნიცაა, სადაც ვკითხულობთ, რომ გამარჯვებულმა გურიელმა ბრძოლაში დატყვევებულის საჭურველი ეკლესიას შესწირა: „შემოქმედს ჯიჯავაძის ჯაჭვი, ხრმალი და ლახტი შემოგვიწირავს“ [ქართული სამართლის ძეგლები. 1977: 667]. ექ. თაყაიშვილის მიერ სვანეთის ეკლესიებში აღრიცხული იარაღის ნუსხიდან ირკვევა, რომ ლახტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა:[12] რკინის ექვსფრთიანი ორი ლახტი იყო შენახული სოფელ საყდარის წმ. გიორგის ეკლესიაში; რკინის ლახტი 12 წვეტითა და შემკობილი ტარით, ასევე სპილენძის ექვსფრთიანი ლახტი – ჩუკულის ეკლესიაში; ვერცხლით გამშვენებული რკინის შვიდფრთიანი ლახტი – ჟიბიანის ღვთისმშობლის ეკლესიაში; ვერცხლით შემკული რკინის მრავალფრთიანი ლახტი და ვერცხლის ბურთისთავიანი ორი ლახტი – მურყმერის წმ. ბარბარეს ეკლესიაში; რკინის ლახტი – ლაგურკას წმ. კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში; რკინის ექვსფრთიანი ორი ლახტი – ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიაში; რკინის ექვსფრთიანი ლახტი – ლაღამის მაცხოვრის ეკლესიაში [თაყაიშვილი ექ. 1937: 101, 119, 148, 177, 202, 248, 291]. ექ. თაყაიშვილს ასევე აღწერილი აქვს მრავალი რკინის ლახტი სუფის წმ. გიორგის ეკლესიაში [თაყაიშვილი ექ. 1937: 428.] და რკინის ფრთიანი ლახტი რაჭაში, ქედისუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში [თაყაიშვილი ექ. 1963: 73]. ლატალის მაცხვარიშის ეკლესიაში XIX ს-ის დამლევამდე ინახებოდა ბეჟან რობაქიძის მიერ შეწირული ვერცხლის ლახტი წარწერით (ამჟამად დაკარგულია):

„თვალად და ტანად ლამაზო, გულად ალმასო რკინაო,

რაზმის შემტევებელო, ფიცხლავ მიმსვლელო წინაო,

შეკაზმულ კაცს იჭირავ, ცხენის ფეხს გედვეს წინაო,

ნეტარ თქუ͡ენ ლაშკარს წაბძანდეთ, ვინც დაგიხვდებათ წინაო!“ [თაყაიშვილი ექ. 1937: 361].

11 აქ ლახტი უნდა ეწეროს მთარგმნელს.

12 ექ. თაყაიშვილის მიერ აღრიცხულ, სვანეთში ეკლესიისათვის შეწირულ, ლახტისთავებს 12 ცალს ითვლიან [ჩართოლანი შ. 1976: 49; ჩართოლანი შ., ხვისტანი რ. ... 2000: 88]. მათი რაოდენობა კიდევ უფრო მეტია.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ლახტის მნიშვნელობა განუხრელად იზრდებოდა და თავდაპირველ, არცთუ გავრცელებულ, რიგით საბრძოლო საშუალებათაგან ის მეომრის ერთ-ერთ პირველ იარაღად იქცა.

ქვემოთ განხილულია დღემდე მოღწეული, საქართველოს მუზეუმებში დაცული, შუა საუკუნეების ლახტები და ლახტისთავები და წარმოდგენილია მათი ატრიბუცია-კლასიფიკაცია.

### ფრთიანი ლახტი

დაცვითი აღჭურვილობის გაძლიერების კვალდაკვალ ლახტის ფორმებიც იცვლებოდა. აბჯარზე მაქსიმალურად მძლავრი ზემოქმედების სურვილმა ფრთიანი ლახტი წარმოშვა. ფრთიანი ლახტი ამსხვრევს აბჯარს, წყვეტს ჯაჭვის რგოლებს. ასეთი ლახტის ფრთები დარტყმისას მაქსიმალურ ძალას მიმართავენ შედარებით მცირე ფართობზე [Gravett C. 1997: 47]. არცთუ იშვიათად ამ დროს ლახტის ფრთებიც ზიანდებოდა, რაც წყაროებშიცაა ასახული („დალეწეს ლახტის ფრთები ორთავე") [რუსუდანიანი. 1957: 378] და რაზეც ქართული მუზეუმების ექსპონატების ჩამოტეხილი ფრთებიც მოწმობს. ფრთიანი ლახტი განსაკუთრებით კარგი იყო ჯაჭვის აბჯარში შესაღწევად, კოპებიანი ლახტი კი – ფარისა და აბჯრის ფირფიტების დასალეწად [DeVries K. 1992: 26]. XII ს-ში ატ-ტარსუსი უკვე აღწერს ფრთიან ლახტს [D'Amato R. 2011: 27]. დ. ნიკოლი თვლის, რომ ევროპული ფრთიანი ლახტი წარმოიშვა ბიზანტიური ან ისლამური პროტოტიპისაგან, რომელიც ირანში უნდა შექმნილიყო [Nicolle D. 1999: 222]. აღმოსავლური წარმოშობის ფრთიანი ლახტი XIII ს-ში ვრცელდება აღმოსავლეთსა და შემდეგ – დასავლეთ ევროპაში [D'Amato R. 2011: 29].

შუა საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული ლახტების უმრავლესობა სწორედ ფრთიანი ლახტებია. უპირველესად, განვიხილავ ერთ უნიკალურ ბიზანტიურ ლახტს, რომლის მხოლოდ რამდენიმე ნიმუში არსებობს მსოფლიოში და მათგან ერთი საქართველოში აღმოჩენილი და შედარებით კარგად შემონახული ეგზემპლარია.

### ბიზანტიური ლახტი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში[13] დაცული №3877/9 ექსპონატი დამახასიათებელი ფორმისაა და ის შეუმცდარად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ბიზანტიური ლახტის ტიპს (ტაბ. I-1). დღემდე ასეთი წაგრძელებულთავიანი ლახტის სულ რამდენიმე ეგზემპლარია ნაპოვნი. მათ შესახებ ინფორმაციის დაგროვება და ანალიზი მხოლოდ ახლა იწყება. ექსპონატი კარგადაა შემონახული, მხოლოდ ფრთა აქვს ცოტათი ჩამოტეხილი, რაც ბრძოლაში გამოყენების შედეგი შეიძლება იყოს. ლახტისთავი მაღალი ხარისხითაა შესრულებული, აქვს 6 ფრთა, რომლებიც ცილინდრზეა დამაგრებული. ცილინდრი ბურთულოვანი

13 ტრადიციული მადლობა ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდის კურატორ მამუკა ქაფიანიძეს, რომლის ხელშეწყობით ქართული იარაღის შემსწავლელნი და მოყვარულნი ყოველთვის განებივრებულნი ვართ.

დაბოლოებით რკინის ერთი ნაჭრისაგანაა გაკეთებული.[14] ლახტისთავი 526 გრამს იწონის, მისი სიგრძე 175 მმ-ია, დიამეტრი ფრთების ჩათვლით – 60 მმ, სატარე ხვრელის დიამეტრი – 30 მმ. მასრას ქვემოთა ნაწილში სამანქვლე ნახვრეტი აქვს ხის ტარის მკვიდრად დასამაგრებლად.

მსგავსი ფორმა აქვს XIV ს-ის ბიზანტიურ წაგრძელებულთავიან ლახტს (ტაბ. I-3) სტარა ზაგორადან (ბულგარეთი), ოღონდ, დაბალი, მომრგვალებული ფრთებით [D'Amato R. 2011: 29. fig. 20]. კიდევ ერთი ასეთივე ლახტი დაბალი, მომრგვალებული ფრთებით ნაპოვნია ბალკანეთში, დუნაის ხეობაში, და XIV ს-ით თარიღდება[15] (ტაბ. I-4). როგორც ჩანს, ბიზანტიური წაგრძელებული ლახტი ბალკანებზე XIV ს-ის შუა ხანაში გამოჩნდა [D'Amato R. 2011: 43. fig. 28.3].

ამ ტიპის ბიზანტიური ლახტის წინამორბედი, წაგრძელებული, დაბალფრთიანი ლახტის თავები ისლამურ აღმოსავლეთში გვხვდება: ასეთია X ს-ის ბრინჯაოსთავიანი ლახტი; ნიშაპურში ნაპოვნი XI-XII სს-ის ბრინჯაოს წაგრძელებულთავიანი ლახტი; XII-XIII სს-ის ბრინჯაოს ლახტის თავი ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანიდან[16] [Al-Sarraf Sh. 2002: fig. 53, 58, 67]. ჩანს, წაგრძელებული და დაბალფრთიანი ლახტის ფორმა ბიზანტიამ აღმოსავლეთიდან, ირანიდან, გადაიღო; დასრულებული, დამახასიათებელი სახე კი ამ ლახტს ბიზანტიაში XIII-XIV სს-ის მიჯნაზე უნდა მიეღო.

ბიზანტიურ წაგრძელებულთავიან ლახტს ვხედავთ XV ს-ის დასაწყისის წმ. დიმიტრი თესალონიკელის ხატზე (ტაბ. I-5), რომელიც ბელგრადში ინახება [Alpatov M. 1978: 293. pl. 12]. წმინდა მხედარი ატარებს ლახტს, რომელსაც დამახასიათებელი მოგრძო და ბურთულიანი თავი და შედარებით დაბალი ფრთები აქვს. ფრესკის მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ მთლიანი ლახტის სიგრძეც, რომელიც მახვილისას არ ჩამოუვარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიანი ლახტის სიგრძე ტარიანად, სულ მცირე, 1 მეტრი იქნებოდა.

არსებული ლახტის ფორმებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ ბალკანურ ნიმუშებს დაბალი, მომრგვალებული ფრთები აქვს, ეგზემპლარს შ. კაზას კოლექციიდან კი – რთული გოთური მოხაზულობის. ჩვენს ექსპონატს ამ ორ ფორმას შორის შუალედური, თითქოსდა გარდამავალი, ადგილი უკავია: ბალკანურთან შედარებით ფრთები უფრო მაღალი, სწორი და გამოკვეთილია, მაგრამ არ აქვს ისეთი რთული ფორმა, როგორიც კაზას ნიმუშს.

ნაკეთობის მაღალი ხარისხი ცალსახად მეტყველებს, რომ ის XIV ს-ში მეტროპოლიაში ან რომელიმე მსხვილ სამრეწველო ცენტრშია დამზადებული. ამ დროისათვის საქართველოს ბიზანტიასთან სახმელეთო საზღვარი აღარ ჰქონდა და აღნიშნული ტიპის ლახტი საზღვაო გზით ან

14 შ. კაზა, რომლის კოლექციაშიც ასეთივე ტექნოლოგიით დამზადებული ლახტისთავი ინახება (ტაბ. I-2), ამ გარემოებას შთამბეჭდავ მეტალურგიულ მიღწევად, ხოლო თავად ლახტს წარმოების მსხვილი ცენტრის პროდუქტად მიიჩნევს [http://otlichnik.tripod.com/medmace3.html].

15 წინა ეგზემპლარებისაგან განსხვავებით, ეს ლახტი, ბურთულის ნაცვლად, წვეტით ბოლოვდება. ნაკეთობის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბურთულის ფორმირება ოსტატმა ვერ შეძლო და მხოლოდ წვეტით დაკმაყოფილდა. ეს კი ადგილობრივ, პროვინციულ, ხელობაზე მიუთითებს.

16 X-XII სს-ის ირანული წაგრძელებულთავიანი ლახტებისათვის იხ. [Mohamed B. 2008: fig. 231-235].

ტრაპიზონის იმპერიიდან უნდა შემოსულიყო.[17]

საქართველოს მუზეუმებში დაცული ფრთიანი ლახტის სხვა ნიმუშები ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: *დაბალფრთიანი ლახტები*, რომელთა ფრთების მაქსიმალური დიამეტრი 80 მმ-ს არ აღემატება და *მაღალფრთიანი ლახტები*, რომელთა დიამეტრი 80 მმ-ზე მეტია.[18]

თავის მხრივ, მაღალფრთიან ლახტებში 3 ქვეჯგუფი გამოიყოფა: *გრძელმასრიანი*, *საშუალო* და *მოკლემასრიანი*. გრძელმასრიანი ლახტის თავის სიგრძე ლითონის მასრასთან ერთად 400 მმ-ზე მეტია, საშუალომასრიანის თავის სიგრძე 200-400 მმ-ია; მოკლემასრიანი ლახტის თავის სიგრძე კი 200 მმ-მდეა. იმავე პრინციპით გამოიყოფა დაბალფრთიან ლახტებშიც 3 ქვეჯგუფი.

ლახტების უმეტესობას საერთო ტექნოლოგია ახასიათებს, რაც გამოიხატება ლახტის ფრთებისა თუ ცილინდრის სპილენძით მირჩილვაში. საქართველოში რჩილვისას სპილენძის ხანგრძლივი გამოყენება დასტურდება სპილენძისა და ბრინჯაოს უძველესი სვანური სახელწოდებებითა და მათი მსგავსებით მირჩილვასთან. ო. უორდროპისა და ი. ნიჟარაძის სვანურ ლექსიკონებში სპილენძის შესატყვისია „სპილენჯ“ და „ჩეიშ“, შ. ჩართოლანის მიხედვით კი „სვანები სპილენძს უწოდებენ „სპელუნჯ“, „სპელინჯ“, „სპილენჯ“, ხოლო ბრინჯაოს – „ჩეი“. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ „ჩეი“ რამდენადმე უახლოვდება მეორე სვანურ სიტყვას „ლიჩიერე“, რაც მირჩილვას ნიშნავს“. ჩართოლანის აზრით, სახელწოდებათა ასეთი მსგავსება ერთი და იმავე ტექნოლოგიური პროცესიდან მომდინარეობს და ლღობასთანაა დაკავშირებული [ჩართოლანი შ. 2010: 71-72].

## მაღალფრთიანი ლახტი

**მაღალფრთიანი ლახტების გრძელმასრიანი ქვეჯგუფის** თითქმის ყველა ლახტი ექვსფრთიანია,[19] რამდენიმე ექსპონატის გარდა, რომელთაც შვიდი ან რვა ფრთა გააჩნია. ყველა რკინისაგანაა დამზადებული და ხუთკუთხა ფრთები აქვს.[20] ამ ქვეჯგუფში ცალკე დგას მთლიანი რკინის ლახტები, რომლის წარმომადგენელია ექსპონატი №44-26/19.

17 ამ ტიპის კიდევ ერთი ლახტია ნაპოვნი ჩრდილოეთ კავკასიაში, კრასნოდარის მხარის ოქროს ურდოს დასახლება ანგელინსკი ერიკში (ტაბ. I-6) [Горелик М. 2008: 180. рис. 6.19]. ჩრდილოეთ კავკასიაში ბიზანტიური ლახტი შავი ზღვის პორტებიდან ან სულაც საქართველოდან შეიძლება მოხვედრილიყო.

18 ეს ზომა – 80 მმ არაა შემთხვევითი. შესასწავლი მასალის აზომვის შედეგად გაირკვა, რომ, ფაქტობრივად, ესაა ზღვარი ლახტის დანიშნულებათა გასამიჯნად: 80 მმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ლახტებს, უმთავრესად, 6-7, იშვიათად – 8 ფრთა აქვს და თვისებებით კლასიკური ფრთიანი ლახტებია. მათზე ნაკლები დიამეტრისანი (70 მმ-ზე მეტისაც კი) უკვე მრავალფრთიანი (8 და მეტი, 12 და 14 ფრთიანები) ლახტებია და თვისებებით გურზებს ემსგავსება.

19 შუა საუკუნეებში გავრცელებული ფრთიანი ლახტების უმეტესობას ექვსი ფრთა აქვს. ცნობილია, რომ ირანული ლახტების უმრავლესობას ექვსი ფრთა აქვს, შვიდ- და რვაფრთიანები კი იშვიათად გვხვდება. ექვსფრთიან ლახტს სპარსულად *shishpar* ეწოდება [Kobylinski L. 2000: 66; Khorasani M. 2006: 255]. ქართული ლახტების უმრავლესობაც ექვსფრთიანია, თუმცა, შვიდ- და რვაფრთიანი ნიმუშებიც არცთუ იშვიათად გვხვდება. ექვსფრთიანია ექ. თაყაიშვილის მიერ სვანეთის ეკლესიებში აღნუსხული ლახტების უმრავლესობაც.

20 უნდა ითქვას, რომ ხუთკუთხა ფორმის ფრთები ყველაზე მეტად პოპულარულია ფრთიან ლახტებს შორის.

ექსპონატი №3-38/1 (სემ), ექვსფრთიანი, ღარებში ჩასმული ხუთკუთხა ფრთებით, რომლებიც დაფარულია კოფტგარით შესრულებული ოსმალური ორნამენტით – „ჩინური ღრუბელი“ („ჩი“).[21] თითოეული ფრთა ორი თხელი ფირფიტის შედუღებითაა მიღებული. მასრის ბოლოში გამჭოლი სამანჭვლე ნახვრეტია (ტაბ. II-1).

ექსპონატი №720 (სიემ),[22] შვიდფრთიანი, №3-38/1-ის მსგავსი ოსმალური ლახტი, „ჩი“-ს ორნამენტით შემკული ხუთკუთხა ფრთებითა და დაღარული რკინის მასრით, რომელსაც ხის ტარი ემაგრება. ხის ტარის ბოლოს გამჭოლი ნახვრეტია ხელზე საკიდი თასმისათვის (ტაბ. II-2).[23]

ექსპონატი №3-38/5 (სემ), ექვსფრთიანი, ხუთკუთხა, ზემოთ მომრგვალებული, სადა ფრთებით. თავი დახურულია ვერცხლის ჭვირული ფირფიტით, რომელზეც გობაკი და 3 მანჭვალია (ტაბ. II-4).

ექსპონატი №35-35/243 (სემ), ექვსფრთიანი, ხუთკუთხა, სადა ფრთებით. თავი ბურთულით ბოლოვდება. მასრა მთელ სიგრძეზე სპილენძითაა აკურატულად მირჩილული. მასრაზე 1 სამანჭვლე ნახვრეტია. ხის ტარიდან რკინის მასრაში ჩარჩენილი ხის ფრაგმენტია შემორჩენილი (ტაბ. II-5).

ექსპონატი №35-35/244 (სემ. გურჯაანიდან), ექვსფრთიანი, ხუთკუთხა, სადა ფრთებით. ფრთები ღარებში, ისევე როგორც მასრა, სპილენძითაა მირჩილული. ხის ტარიდან მხოლოდ რკინის მასრაში ჩარჩენილი ხის ფრაგმენტია შემორჩენილი (ტაბ. II-6).

ექსპონატი №725 (სიემ), ექვსფრთიანი, ხუთკუთხა, სადა ფრთებით. სვანეთის მუზეუმის ეს ექსპონატი ჰგავს ეროვნული მუზეუმის №35-35/243 და №35-35/244 ნიმუშებს, ოღონდ ფრთებისა და მასრის შეერთების ადგილი უფრო ნატიფადაა შესრულებული და კუთხოვანის ნაცვლად უფრო ოვალურია (ტაბ. II-7).

ექსპონატი №35-35/247 (სემ), რვაფრთიანი (ოთხი ფრთა დაკარგულია), ხუთკუთხა, ძლიერ წაწვეტებული, ღარებში ჩასმული ფრთებითა და თავზე ბურთულით. მასრის ბოლოში 2 წერტილში გაყრილი მანჭვალია, რაც ხის ტარის დამაგრებას ემსახურებოდა (ტაბ. II-8). თავბურთულიანი ლახტი ანალოგიური წაწვეტებული ხუთკუთხა ფრთებით (მხოლოდ ექვსფრთიანი) ნაპოვნია მთიანი ინგუშეთის სამარხში, რომელიც ოქროს ურდოს პერიოდისაა [Нарожный Е., Чакхиев Д. 2003: 129, 133-137. рис. 3.5]. ინგუშური ეგზემპლარისაგან განსხვავებით, ჩვენი ექსპონატი რვაფრთიანია და უჩვეულოდ გრძელი მასრით გამოირჩევა, რომელიც, ფაქტობრივად, სრული ტარია, თუმცა მას მოკლე ხის ტარიც ემაგრებოდა. ის უფრო გვიანდელი ხანის (XV-XVI სს.) უნდა იყოს. სავარაუდოდ, მათ შორის გარდამავალი ფორმაა სვანეთის მუზეუმში დაცული ლახტისთავი (№724), რომელიც წაწვეტებული ხუთკუთხა ფრთების ფორმით, თავზე ბურთულითა და მოკლე მასრით ახლოს დგას ინგუშურ ლახტთან, თუმცა, მისგან განსხვავებით, უკვე რვაფრთიანია. ის XIV-XV სს-ს უნდა

21 „ჩი“-ს მოტივი მონღოლებმა შეიტანეს ირანში, შემდეგ კი მთელ ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა.

22 მადლობას მოვახსენებ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორ რუსუდან ქოჩქიანს მუშაობაში დახმარებისათვის.

23 ოსმალური ორნამენტით შემკული კიდევ ერთი ასეთი ლახტი (№35-35/239) დაღარული ტარით ამჟამად სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში ინახება (ტაბ. II-3).

ეკუთვნოდეს (ტაბ. IV-6).

ექსპონატი №44-26/19 (სემ), მთლიანი რკინის ლახტი, ექვსფრთიანი, ხუთკუთხა, სქელი (7 მმ), ბოლოში გაგანიერებული ფრთებითა და დაღარული მასრით. თავი ბოლოვდება ბურთულით (ტაბ. II-9).

**მაღალფრთიანი ლახტების საშუალომასრიანი ქვეჯგუფი** მრავალფეროვნებით გამოირჩევა და გვხვდება როგორც ექვს-, ისე შვიდ- და რვაფრთიანი ლახტები.

ექსპონატი №113/III (სემ), ექვსფრთიანი (ორი ფრთა ჩამომტვრეულია), გრძელი, მართკუთხა ფრთებით, რომლებიც ზემოთ ფართოვდება. ფრთები ჩასმულია და მირჩილულია ღარებში. მასრაზე გამჭოლი სამანჭვლე ნახვრეტია. ეს ექსპონატი წააგავს ექვსფრთიან ლახტს გვიანმომთაბარული სამარხიდან მდინარეების – დონისა და სალას შუამდინარეთიდან და მისი შემდგომი განვითარება უნდა იყოს. დაკრძალული ჩრდილოეთითაა დამხრობილი, რაც მონღოლურ წარმოშობაზე მეტყველებს. ვარაუდობენ, რომ მისი ლახტი ოქროს ურდოს ტერიტორიაზეა დამზადებული [Нарожный Е., Чакхиев Д. 2003: 130, 135. рис. 3.7]. ლახტების წონაც დიდად არ განსხვავდება: მომთაბარის – 620 გ-ს იწონის, მუზეუმის ეგზემპლარი კი – 664 გ-ია. ამ უკანასკნელის დახვეწილი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ის უფრო გვიანდელია და XV ს-ს ეკუთვნის (ტაბ. III-1).

ექსპონატი №729 (სიემ), ექვსფრთიანი, მარტივი, მართკუთხა ფრთებით, რომლებიც ზემოთ მცირედ ფართოვდება. ფრთები ჩასმულია და მირჩილულია ღარებში. თავი მასრასთან წრიულადაა მირჩილული. მასრაზე სამანჭვლე ნახვრეტია. სვანეთის მუზეუმის ეს ექსპონატი, ისევე როგორც ქვემოთ განხილული №723, ემსგავსება №113/III-ს, მაგრამ მომრგვალებული თავის გარეშე. ის XIV-XV სს-ით თარიღდება (ტაბ. III-2).

ექსპონატი №2931 (სემ), შვიდფრთიანი (აკლია ერთი ფრთა), მომრგვალებული სამკუთხა ფრთებით, რომლებიც ღარებშია მირჩილული, გახსნილი მასრით (ტაბ. III-3).

ექსპონატი №5-34/3 (სემ), რვაფრთიანი, ხუთკუთხა სადა ფრთებით. მასრა სპილენძითაა მირჩილული. მუზეუმში გ. ბოჭორიძის მიერ ჩამოტანილია ლეჩხუმიდან, ოყურეშის ეკლესიიდან (ტაბ. III-4).

ექსპონატი №35-35/242 (სემ), შვიდფრთიანი, ხუთკუთხა რკალოვანი ფრთებით. ფრთები ღარებში და მასრა სპილენძითაა მირჩილული (ტაბ. III-5).

ექსპონატი №35-35/249 (სემ), შვიდფრთიანი (აკლია სამი ფრთა), ხუთკუთხა ფრთებით. ღარებში ჩასმული ფრთები სპილენძითაა მირჩილული. ფრთების ფუძეები ოსმალური სტილისაა. მასრაზე ქვემოთ გამჭოლი სამანჭვლე ნახვრეტია (ტაბ. III-6).

**მაღალფრთიანი ლახტების მოკლემასრიან ქვეჯგუფში** შემავალი ყველა ლახტი ექვსფრთიანია და რკინისაგანაა დამზადებული.

ექსპონატი №723 (სიემ), ექვსფრთიანი, გრძელი, მართკუთხა ფრთებით, რომლებიც ზემოთ ფართოვდება. ფრთები ღარებშია მირჩილული. მასრა გახსნილია და აქვს სამანჭვლე ნახვრეტი. სვანეთის მუზეუმის ეს ექსპონატი, ისევე როგორც №729, ჰგავს №113/III-ს. როგორც ჩანს, №729 ტიპის ლახტიდან ჯერ განვითარდა №723, საბოლოოდ კი – №113/III ტიპის

ლახტი. №723 და №113/III ეგზემპლარების ფრთები ზედა ნაწილში უფრო ფართოვდება, ფუძეზე კი რკალი ჩნდება, რომელიც რუდიმენტული ფორმით №723-შია წარმოდგენილი და ჩამოყალიბებულად – №113/III-ში. №729-ის მსგავსად, №723 ლახტიც შეიძლება XIV-XV სს-ით დათარიღდეს (ტაბ. IV-1).

ექსპონატი №5-34/1 (სემ), ექვსფრთიანი, ხუთკუთხა ფრთებით, კარგი ნახელავი. ექსპონატი 1934 წელს ლეჩხუმიდან, ოყურეშის ეკლესიიდან, ჩამოიტანა გ. ბოჭორიძემ (ტაბ. IV-2).

ექსპონატი №35-35/250 (სემ), ექვსფრთიანი, მომრგვალებული, ხუთკუთხა ფრთები, ზედ დეკორატიული ნაჭდევებით. ფრთები სპილენძითაა მირჩილული. მასრაში ჩარჩენილია ხის ნაშთი, ზედ ჩარჭობილი რკინის მანჭვლით ხის ტარის მყარად ჩასამაგრებლად (ტაბ. IV-3).

ექსპონატი №35-35/251 (სემ), ექვსფრთიანი, ხუთკუთხა ფრთებით, მასრაზე ქვემოთ სამანჭვლე ნახვრეტით (ტაბ. IV-4).

ექსპონატი ომმ-3871/4, ექვსფრთიანი, მომრგვალებული ფრთებითა და დაზიანებული მასრით. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ამ ლახტისთავის ფრთების პროტოტიპს ხუთკუთხა ფორმა ექნებოდა. ჩვენს ნიმუშს ფრთები ისე აქვს მომრგვალებული, რომ ზედა კუთხე ოდნავაა გამოხატული, ქვედა კი საერთოდ გამქრალია. ამ ტიპის ლახტის პროტოტიპი პალესტინაში (თუ ლიბანში) ნაპოვნი XIII ს-ის ლახტი უნდა იყოს, რომელსაც მსუბუქი მომრგვალების გამო უკვე შეცვლილი აქვს ფრთების ხუთკუთხა ფორმა [Al-Sarraf Sh. 2002: fig. 64.a,b; Кулешов Ю., Абызова Е. 2011: 94. рис. 4]. ამ მხრივ ქართული ეგზემპლარი კიდევ უფრო შორსაა წასული და დახვეწილი ფორმა აქვს მიღებული (ტაბ. IV-5).

### ქართული ჭვირული ლახტი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში დაცულია ლახტების ერთი ჯგუფი (№№5-34/2, 35-35/241, 35-35/245, 35-35/248, 2450/1876), რომელთაც დამახასიათებელი ფორმის ექვსი ჭვირული ფრთა აქვს[24] (ტაბ. V-1-5). ჭვირულფრთიანი ლახტები მაღალფრთიანთა ჯგუფის საშუალომასრიანთა ქვეჯგუფს მიეკუთვნება. მათ ჭვირულ ფრთებში ხმლის გამოსახულება იკითხება. ფრთების ჭვირულ ორნამენტში განსხვავებაც შეინიშნება: მარტივი ორნამენტის დროს ხმლის ფორმაა ამოღებული, რთულის დროს კი ამოღებული სივრცე ქმნის მოხრილი ხმლის გამოსახულებას შუაში.[25] ჭვირულფრთიანი ლახტი ქართული მოვლენა უნდა იყოს, რადგან მსგავსი ფორმის ლახტი სხვაგან არსად შემხვედრია. დანამდვილებით ცნობილია, რომ ჭვირულფრთიანი ორი ლახტი ლეჩხუმიდანაა (№5-34/2 თბილისში ოყურეშის ეკლესიიდან ჩამოიტანა გ. ბოჭორიძემ, ერ-

24 ნაშრომი მზად იყო, როდესაც გამოქვეყნდა ი. ბაქრაძის სტატია ამ ტიპის ლახტების შესახებ [ბაქრაძე ი. 2014: 239-258]. პირველი პუბლიკაციის პატივი მას ეკუთვნის, ამიტომ, ლახტების მყარი იდენტიფიკაციისა და ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად, თავს შევიკავებ სახელდების ჩემეული ვერსიისაგან და ლახტების აღნიშვნისას ბაქრაძისეულ სახელწოდებას გამოვიყენებ.

25 ისიც უნდა ითქვას, რომ ჭვირული ფრთები სულაც არ უწყობს ხელს ლახტის მედეგობას, რაზეც მეტყველებს ამოღებული ორნამენტის ხაზზე ჩამოტეხილი და დაზიანებული ფრთები (ასეთია №35-35/241-ის ერთი ფრთა, №35-35/245-ის – ორი ფრთა, №2450/1876-ის – სამი ფრთა).

თიც ცაგერის ისტორიულ მუზეუმში ინახება. ტაბ. V-6). ჭვირულხმლიანი ლახტები ინახება მესტიისა და ქუთაისის მუზეუმებშიც (ტაბ. V-7). ასეთივე ფორმისა და ჭვირული ორნამენტით დამშვენებული ფრთიანი ლახტი აქვს სარტყელში ჩაპყრობილი ბრძოლაში დაცემულ მეომარსა და ავთანდილს თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე, ასევე კასტელის მიერ დახატულ ვახტანგ გურიელს (ტაბ. V-8-10). ასეთი ორი ლახტი უნდა იყოს გამოსახული XVIII ს-ის H61 უთრუთიანის 7r მინიატურაზეც, სადაც მათი ხუთკუთხა ფრთები, მართალია, სქემატურად, დეკორატიული ჭრილების გარეშეა წარმოდგენილი, მაგრამ ადვილად იცნობა დამახასიათებელი მორკალული ფორმის წყალობით (ტაბ. V-11). როგორც ჩანს, ლახტების ეს ტიპი დასავლეთ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი და XVII ს-ში იყო ფართოდ გავრცელებული.[26] ქართულ მუზეუმებში დაცული ეგზემპლარებიც ამ ეპოქაზე გვიანი ნამდვილად არ უნდა იყოს. მათი წინამორბედი კი H1665 და H75 ხელნაწერების მინიატურებში გვხვდება. მაგალითისათვის, H1665 დავითნის 213v მინიატურაზე და H75 დავითნის 24r მინიატურაზე გამოსახული ლახტები ხუთკუთხა ფრთებით ჰგავს ზემოგანხილულ ნიმუშებს, H75 დავითნის 23v მინიატურაზე გამოსახული ქვედა ლახტი კი კიდევ უფრო ახლოსაა მათთან. მას თავზე ბურთულა არ აქვს და ფრთებიც მცირედაა მორკალული (ტაბ. V-12-14). თუ გავითვალისწინებთ, რომ H75 დავითნი უფრო გვიანაა გადაწერილი, სურვილის შემთხვევაში, აქ გარკვეული ევოლუციაც შეიძლება დავინახოთ, თუმცაღა, მხატვრის შესრულების მანერის თავისებურებაც არაა გამოსარიცხი.

### დაბალფრთიანი ლახტი

**დაბალფრთიანი ლახტების გრძელმასრიანი ქვეჯგუფის** წარმომადგენელია ექსპონატი №1-40/1 (სემ. ქვემო სვანეთიდან), თორმეტფრთიანი (აკლია ოთხი ფრთა), ხუთკუთხა ფრთებითა და დახურული თავით. ფრთები და მასრის ნაკერი მთელ სიგრძეზე სპილენძითაა მირჩილული. მასრაში ხის ტარის ფრაგმენტია ჩარჩენილი (ტაბ. VI-1).

26 საქართველოს მუზეუმებში დაცული 13 ჭვირულფრთიანი ლახტისათვის იხ. [ბაქრაძე ი. 2014: 239-46. ტაბ. I-III]. ჩემი და ავტორის დასკვნები ამ ლახტების დასავლეთქართული წარმოშობისა და თარიღის შესახებ ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს, ასე რომ, სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ერთადერთი, მეჩვენება, რომ ავტორი ზედმეტ აქცენტს აკეთებს ოსმალურ ლახტებთან მსგავსებაზე, მაშინ, როდესაც მსგავსი ფორმის ლახტები ჯერ კიდევ ორივე (H1665 და H75) დავითნის მინიატურებში გვხვდება. არც რკინის დეფიციტის საკითხი დასავლეთ საქართველოსა და სამეგრელოში არის ასე ერთმნიშვნელოვნად ნათელი. ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე, რომელმაც 1631-68 წლებში ექვსგზის იმოგზაურა აღმოსავლეთში და მოვლილი ჰქონდა ოსმალეთი, ირანი, ინდოეთი, ბირმა, ინდონეზიის კუნძულები, გვამცნობს, რომ სამეგრელოს მთავარი ლევან II (1611-57) დახმარების სანაცვლოდ ოსმალეთის სულთანს შეპირდა ყოველწლიურად რკინის მიწოდებას და რომ „რკინის უმეტესი ნაწილი, რომელიც ოსმალეთში იხარჯება, სამეგრელოდან შემოდის“ [ჟან ბატისტ ტავერნიე. 1974: 200; The Six Voyages of John Baptista Tavernier. 1678: 125]. აქ, ტავერნიე, რა თქმა უნდა აჭარბებს, თუმცა, შემდეგ მოგვითხრობს ნიშანდობლივ ამბავს, რომ სტამბოლში ყოფნის ჟამს (1631-33 წწ.) ის შეხვდა სამეგრელოს ელჩს, რომელმაც სულთან მურად IV-ს (1623-40) ძღვნად რკინა და ფოლადი მიართვა [ჟან ბატისტ ტავერნიე. 1974: 201; The Six Voyages of John Baptista Tavernier. 1678: 125]. იმერეთის სამეფოში, წედისის საბადოზე, რკინას ბოლომდე, რუსეთის შემოსვლამდე, მოიპოვებდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „არს დაბა წედისი... აქ არს ლითონი რკინისა, და იღებენ მრავალსა“ [ვახუშტი ბატონიშვილი. 1973: 766]. 1654 წელს დაწერილ თხზულებაში იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს: „იმერეთის მთებში არის კიდევ რკინის მადნები იმდენად, რომ ზოგ ადგილას ხალხი სხვა ხელობას არ ეტანება და მხოლოდ რკინას იღებს მადნებიდან და ამ რკინისაგან აკეთებს სხვადასხვა ნივთებს“ [დონ არქანჯელო ლამბერტი. 1991: 178].

**დაბალფრთიანი ლახტების საშუალომასრიანთა ქვეჯგუფში** თორმეტ- და თოთხმეტფრთიანი ლახტები შედის.

ექსპონატი №3-38/3 (სემ), არასაბრძოლო ეგზემპლარი, თორმეტფრთიანი (აკლია ორი ფრთა). ოსმალური ტიპის მომრგვალებული ჭვირული ფრთები მცენარეული ორნამენტითაა შემკული. ტარის თითბრის ბოლოზე ზიგზაგისებური და 3 წერტილით შექმნილი სამკუთხა ორნამენტი. ხის ტარზე დახვეული ტყავითა და ტარის ბოლოზე გამჭოლი ნახვრეტით ხელზე საკიდი თასმის გასაყრელად (ტაბ. VI-2).

ექსპონატი №3-38/4 (სემ), თოთხმეტფრთიანი, მომრგვალებული ფრთები ფუძეზე შვერილით. მასრა სპილენძითაა მირჩილული და მასზე 1 სამანჭვლე ნახვრეტია (ტაბ. VI-3).

ეროვნული მუზეუმის დაბალფრთიანი ლახტების ორივე ქვეჯგუფის ეს ეგზემპლარები მრავალრიცხოვანი (12 და 14) ფრთებით ხასიათდება. მრავალფრთიანი ლახტები ოსმალური პერიოდის პროდუქტია და XVI-XVII სს-ით თარიღდება. დ. რაბოვიანოვის აზრით, ოსმალური მრავალფრთიანი ლახტი ექვსფრთიანი ლახტის განვითარების შედეგადაა მიღებული. ასეთი ლახტი დარტყმისას ობიექტზე რამდენიმე ფრთით ზემოქმედებს. ფორმითა და მოქმედებით ისინი მრგვალთავიან გურზებს ჰგავს. ჩვენამდე მოაღწია ასეთი ლახტების ოცფრთიანმა ეგზემპლარებმაც [Рабовянов Д. 2009: 569-570; Рабовянов Д. 2009-2010: 194-195]. საერთოდ, ოსმალურ ლახტს ახლო-ახლო განლაგებული ბევრი ფრთა ჰქონდა, ირანული კი უფრო დიდი ზომისა იყო და ნაკლები ფრთები ჰქონდა [North A. 1985: 40-41]. ოსმალური ლახტის ფრთები ზემოთ გაფართოებულია და თანდათანობით ვიწროვდება ქვემოთკენ, ხშირად ბოლოვდება ნახევართაღის ფორმის შვერილით [Аствацатурян Э. 2002: 186]. გვიანდელ შუა საუკუნეებში საქართველოში შემოსულ ოსმალურ მრავალფრთიან ლახტებზე მოწმობს „ამირანდარეჯანიანის" გვიანდელი დამატება, სადაც გმირი ასეთი ლახტითაა შეიარაღებული: „**ოცდახუთფთიანი** ლახტი წელში ჩაირჭვა" [მოსე ხონელი. 1967: 774]. მრავალფრთიანი ოსმალური (ეგვიპტური) ლახტი გვხვდება „ომაინიანში": „მისრული **თორმეტ ფრთიანი ლახტი** გამოიძრო" [ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. 1979: 167]. ეგვიპტური (მისრული) ლახტი ნახსენებია „რუსუდანიანშიც": „მისრულსა ლახტსა ხელი წაიკრა..." [რუსუდანიანი. 1957: 44.]. ეროვნული მუზეუმის ზემოგანხილული ეგზემპლარებიც ოსმალური პერიოდისაა. ადგილობრივად დამზადებული ოსმალურის მინაბაძია №1-40/1[27] და №3-38/3,[28] №3-38/4 კი XVI-XVII სს-ის ოსმალური ლახტია.

ექსპონატი №721 (სიემ), რვაფრთიანი, ოსმალური ტიპის მომრგვალებული ფრთებითა და ღია თავით, სადაც სიმაგრისათვის ხის ტარში სოლია ჩასმული. თავი მასრასთან წრიულადაა მირჩილული. ლახტის ფრთების ფორმა ოსმალურს ჰგავს, მაგრამ საკმაოდ ატიპურია, ნახევართაღის შვერილი ფრთის ზედა ნაწილშია მოთავსებული და ოსმალურ პროტოტიპთან შედარებით ნაკლები ფრთები აქვს. ეს ლახტი XVII ს-ში დამზადებული ადგილობრივი მინაბაძი უნდა იყოს (ტაბ. VI-4).

---

27 დამზადების ტექნოლოგიის, ფრთების ფორმისა და მოპოვების ადგილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ.

28 ორნამენტისა და გაფორმების ტექნიკის მიხედვით.

**დაბალფრთიანი ლახტების მოკლემასრიანი ქვეჯგუფი** ექვს- და რვაფრთიანი ლახტებითაა წარმოდგენილი.

ექსპონატი №2921 (სემ), ექვსფრთიანი, მომრგვალებური ფრთებით, თავღია, დაზიანებული მასრით, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული (ტაბ. VI-5). ამ ტიპის ექვს- და მომრგვალებულფრთიანი, მხოლოდ თავდახურული, ლახტები XIV-XV სს-ით თარიღდება [D'Amato R. 2011: 41. fig. 24.3]. ამავე დროს, ჩვენი ეგზემპლარის მსგავსი, უფრო ადრინდელი, თავღია, ბრინჯაოს ექვსფრთიანი ლახტის ნიმუში XIII ს-საა [Al-Sarraf Sh. 2002: fig. 64.a,b; Кулешов Ю., Абызова Е. 2011: 94. рис. 4]. ჩვენი ლახტიც XIII-XIV სს-ის უნდა იყოს. მსგავსი ფორმის ექვსფრთიანი და მოკლემასრიანი ლახტი, მხოლოდ შედარებით უფრო კუთხოვანი ფრთებით, გამოფენილია მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (სიგრძე – 8,3 სმ, დიამეტრი – 8 სმ) [*სვანეთის მუზეუმი*. 2014: 43. სურ. 38ბ]. ისიც ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული (ტაბ. VI-6). დაბალფრთიანი ლახტების ჯგუფის სხვა რვაფრთიანი ნიმუშებისაგან განსხვავებით, ეს ორივე ექსპონატი ექვსფრთიანია. ფორმითა და საბრძოლო თვისებებით ისინი მაღალფრთიანი ლახტების მოკლემასრიანთა ქვეჯგუფს ემსგავსება.

ექსპონატი №2023 (სემ), რვაფრთიანი, სამკუთხა, სქელი ფრთებით, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული (ტაბ. VI-7). ეროვნული მუზეუმის ეს ექსპონატი ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად ჰგავს XIII-XIV სს-ის ირანულ ლახტისთავებს და მათი შემდგომი განვითარება უნდა იყოს. ამ პერიოდის ირანულ ლახტებს არარეგულარული ოქტაგონის ფორმა აქვს: 4 გამოკვეთილი და 4 რუდიმენტული ფრთა ერთმანეთის მონაცვლეობითაა განლაგებული. ასეთია ნასერ ხალილის კოლექციაში დაცული XIII ს-ის ბრინჯაოს ორნამენტული ლახტი [Alexander D. 1992: 64. fig. 23] და XIV ს-ის დასაწყისის სპილენძის ორნამენტული ლახტი [Mohamed B. 2008: 248. fig. 237]. ეროვნული მუზეუმის ლახტი ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული და უფრო უბრალოა, ვიდრე ზემოხსენებული ირანული ლახტები. აქვს ირანულის მსგავსი მომრგვალებული თავი. ირანული ნიმუშებისაგან განსხვავებით, მისი რვავე ფრთა ჩამოყალიბებულია, რაც ნიშნავს, რომ ის მომდევნო პერიოდში სამხედრო დანიშნულებითაა შექმნილი და ბევრად უფრო პრაქტიკული და ფუნქციურია, ვიდრე მისი დეკორატიული ირანული წინამორბედები. ეს ლახტი საქართველოში უნდა იყოს დამზადებული XIV ს-ის მეორე ნახევარში.

ექსპონატი №2933 (სემ), ძლიერ დაზიანებული, მომრგვალებული, დამახასიათებელი ფრთებით (ტაბ. VI-8). ეს ნიმუში ფრთების მოხაზულობით XVI ს-ის ინდურ ლახტს მოგვაგონებს [Mohamed B. 2008: 253. fig. 243], თუ ეს შემთხვევითი მსგავსება არაა, ლახტი XVI-XVII სს-ის უნდა იყოს. მსგავსი ფორმის ფრთები აქვს სვანეთის მუზეუმში დაცულ ლახტისთავს (№722), რომელიც რვაფრთიანია (ტაბ. VI-9). აღსანიშნავია, რომ მისი ფრთები ნაკლებ დახვეწილია, რაც ადგილობრივი მინაბაძების შესრულების საწყის სტადიაზე უნდა მიუთითებდეს.

## გურზი

ფრთიან ლახტთან შედარებით გურზი უფრო იშვიათად გვხვდება საქართველოში. გურზი ხელთ უპყრია ავთანდილს თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ 319-ე მინიატურაზე; ერთხელ გვხვდება H61

`უთრუთიანის“ 47r მინიატურაზეც. გურზი უფრო ხშირია „როსტომიანისა“ ხელნაწერში (66v, 67v, 70r, 99v, 148r, 158r და 168r მინიატურები), და „უთრუთიან-საამიანის“ (ხელნაწერი S1594) მინიატურებზე.

ტიპოლოგიურად გურზს მიეკუთვნება რაჭაში, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, დაცული სამი ლახტისთავი (ომმ-3871/1-3),[29] რომლებიც 1964 წელსაა არქეოლოგიური გათხრის შედეგად მოპოვებული სოფ. გლოლაში მდებარე ბუბის ჯვრის ეკლესიაში [ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ძირითადი ფონდის საინვენტარო წიგნი. N3: 147-148] (ტაბ. VII-1-3). ამ გურზებს აქვს რკინისაგან დამზადებული სფეროს ფორმის თავი, რომელიც სამ რიგად შემორტყმულია ოთხ-ოთხი მსხვილი კოპით. ერთ ადგილას მათი ასეთი კონცენტრაცია გვაფიქრებინებს, რომ ისინი ადგილობრივი ლახტის ტიპი უნდა იყოს და მათ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ *რაჭული გურზი*. შ. ჩართოლანს გამოქვეყნებული აქვს მსგავსი, კოპებით სამრიგად მოცული, ბრინჯაოს გურზი უშგულიდან (ტაბ. VII-4) [ჩართოლანი შ. 1976: ტაბ. XXXI.3.]. თუ ის ნამდვილად ბრინჯაოსია, ასეთი გურზი მომიჯნავე სვანეთში რაჭული ფორმის გავლენით უნდა ჩამოესხათ. სამრიგად განლაგებული ოთხ-ოთხ კოპიანი გურზი დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშიც (№2932).[30] გურზი დაზიანებულია, აკლია სამი კოპი (ზედა რიგში – 2, შუაში – 1), რაც მისი კონსტრუქციის თავისებურებას გვიმხელს: ყოველი კოპი ჩარჩილულია წინასწარ გაკეთებულ ოთხკუთხა ღიობში. კოპების სიმაღლეა 16-19 მმ. როგორც ჩანს, გურზი ბრძოლაშია ნამყოფი, რადგან ზოგი კოპი ცემისაგან დეფორმირებულია (ტაბ. VII-5). ამ ტიპის გურზი გამოფენილია ეროვნული მუზეუმის ექსპოზიციაზეც (№35-35/252), მხოლოდ, რაჭული ნიმუშებისაგან განსხვავებით, ის უფრო მასიურია და ლითონის გრძელი მასრა აქვს, რომელიც ამჟამად დაზიანებულია. ასეთი სახის გურზი აღწერილია როგორც *ეკალბურთა*, რაც კარგად შეესაბამება მის მოყვანილობას. ეს ეგზემპლარი უნდა იყოს რაჭული ეკალბურთას ნაირსახეობა გრძელი მასრითა და მასიური კოპებით (სიმაღლე – 16-18 მმ), რომლებიც ღიობებშია ჩარჩილული. ის ორნამენტითაცაა მორთული: გურზის მთელი ზედაპირი (კოპების ჩათვლით) დაფარულია თითბრის წერტილოვანი ინკრუსტაციით (ტაბ. VII-6).

ეროვნულ მუზეუმში ინახება სხვადასხვაგვარი, როგორც მარტივი, ისე რთული ფორმის, გურზები. ექსპონატი №44-26/22 ხის ტარზე დაგებული პრიმიტიული, მრგვალთავიანი გურზია, რომელიც, ალბათ, რიგით მეომარს ეკუთვნოდა (ტაბ. VII-7); ექსპონატი №44-26/16 კი ირანული რკინის გურზია (ტაბ. VII-8). მსგავსი ფორმის ორნამენტირებული (ცვარას გარეშე) გურზი ინახება თეირანის სამხედრო მუზეუმში [Khorasani M. 2006: 255, cat. 340]. ხორასანის მიხედვით, ის ზანდების ეპოქას (XVIII ს.) ეკუთვნის [Khorasani M. 2006: 255]. №44-26/16-ს ძალიან ემსგავსება ვერცხლის ცვარათი მორთული გურზი, დაცული პოლონეთში, მალბორკის სასახლის მუზეუმში. ის XVII ს-თაა დათარიღებული [Chodynski A. 2000: 183, fig. 218].

---

29 მადლობას ვუხდი ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორ ზაზა ბენდიანაშვილს და წამყვან მეცნიერ-მუშაკ გია ბერიშვილს მუშაობაში ხელშეწყობისათვის.

30 სამწუხაროდ, მისი წარმომავლობა უცნობია.

ჩვენი ექსპონატიც XVII-XVIII სს-ით უნდა დათარიღდეს.

არასაბრძოლოა და თითბრისაგანაა დამზადებული №44-26/15 გურზი, რომელსაც ხის ტარი აქვს (ტაბ. VII-9). გურზის თავი მორთულია თითბრის 8 დეკორატიული ზოლით, რომელთა ნაწილი დაკარგულია. არ ჩანს თავის გობაკიც. თითბრის დეკორატიული ზოლები ფუძეში ოსმალური ლახტის ფრთების მოხაზულობას იმეორებს.[31] ფრთები ბოლოვდება შვერილით. მასრაზე მოუხეშავად შესრულებული მცენარეული ორნამენტია, რომელიც ირანული სამყურას წაბაძვა უნდა იყოს. სახეზეა საინტერესო ტენდენციების შერწყმა – ირანული ორნამენტისა და ოსმალური ფრთების იმიტაცია, რაც ადგილობრივ პროდუქციაზე მიუთითებს. ასეთი გურზის მაგალითია ცნობილი ალი ფაშა ტეპელინელის (იანინა, 1740-1822) მოვერცხლილი *ტოპუზი* (ლახტი) [Elgood R. 2009: 223. fig. 282]. ჩვენი გურზის დეკორატიული ზოლები უფრო რთული ფორმისაა. ოსმალურ ტოპუზს ტიტები ამშვენებს, ჩვენსას კი – ადგილობრივი და ირანში გავრცელებული სტილიზებული სამყურა. ალი ფაშას ლახტის ხის ტარს ლითონის ბოლო აქვს, ჩვენის ტარი კი მთლიანად ხისაა.

კიდევ ერთი არასაბრძოლო გურზი ეროვნული მუზეუმის ექსპოზიციაზეა წარმოდგენილი (№4878, 1065). ხის ტარზე ორნამენტით უხვად მორთული მოოქრული სპილენძის თავია დაგებული. ტარის ბოლოც ორნამენტით დაფარული მოოქრული სპილენძისაა. გურზის თავიც და ტარის ბოლოც ვარდულითაა გამშვენებული. ტარზე გადაკრულია შავად შეღებილი ქსოვილი, რომელიც შეერთების ადგილას დაფარულია ორნამენტული ვერცხლმკედით (ტაბ. VII-10).

## ორხელა ლახტი

თუმცა იშვიათად, მაგრამ საქართველოში გვხვდება ორხელა ლახტებიც. არაბული *'amūd* რკინის გრძელსა და მსხვილ კვერთხს ნიშნავს. მის ყველაზე გრძელ ფორმას *al-mustawfi* ეწოდებოდა, რომლის სიგრძეც 1 მეტრზე მეტი იყო. ასეთი გრძელი ლახტები აბასიანთა სახელმწიფოში იშვა IX ს-ში და მას მმართველის რჩეული მხლებლები ატარებდნენ. დიდი ზომის გამო მისი დარტყმა მომაკვდინებელი იყო, თუმცა, ჩვეულებრივ ლახტთან შედარებით, უფრო მოუქნელი სახმარი იყო [Al-Sarraf Sh. 2002: 152-153].

ჯრუჭის II ოთხთავის 116r მინიატურაზე გამოსახულია ქვეითი მებრძოლი გრძელი ლახტით, რომელიც ხის[32] ტარზეა დაგებული (ტაბ. VIII-1). XII ს-ის ლანჩვანის საკურთხევლისწინა ჯვარზე გამოსახულ ორ წმინდა მეომარს ხელთ დიდი, ორხელა გურზები უპყრიათ [Чубинашвили Г. 1959: рис. 470] (ტაბ. VIII-2). ლანჩვანის ჯვარზე გამოსახულ გურზებს წააგავს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული გურზი (№10-27/107) ოქტაგონური თავით (ტაბ. VIII-3). მისი ლითონის ნაწილის სიგრძე 73,3 სმ-ია, რაც ნიშნავს, რომ ხის ტართან ერთად ის მეტრზე მეტი სიგრძის

31 ასეთი ფორმის ფრთები ირანულ-ინდურ ლახტებზეც შეინიშნება, რაც ოსმალეთიდან ინდოეთამდე გავრცელებულ ტრადიციაზე მეტყველებს.

32 ფერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ.

იქნებოდა და მოსახმარად ორ ხელს საჭიროებდა.

**ზოომორფული ლახტი**

ზოომორფული, ანუ ცხოველისგამოსახულებიანი ლახტი ტიპოლოგიურად უფრთო, გურზის ტიპის იარაღია. მისი წარმოშობა ირანულ სამყაროს უკავშირდება. აგრეთვე, აქ საქმე გვაქვს უძველეს ტრადიციასთან, მაგიური გზით გადაეცათ იარაღისათვის ცხოველის ძალა [Суразаков А. 1987: 58]. ძროხისთავიანი ლახტის გამოსახულებები გვიანსასანური პერიოდიდან არსებობს, რაც ნიშნავს, რომ ასეთი ლახტი ძველი ირანული ტრადიციაა, რომელიც ისლამურ ეპოქაშიც გაგრძელდა [Khorasani M. 2006: 260; Kubik A. 2014: 160-161, 168-169]. ისლამურმა კულტურამ გაითავისა ლეგენდარული გმირის – რუსტამის (როსტომის) სახე და მისი იარაღის (ვეფხის ტყავის მუზარადი, ძროხისთავიანი ლახტი) იმიტირებასაც ხშირად მიმართავდნენ. „შაჰნამეს“ მიხედვით, არიმანმა (ბნელეთის ღმერთმა) მოკლა გმირი ბაჰრამის გამზრდელი ძროხა, რომლის პატივსაცემადაც მჭედელმა კავადმა ძროხისთავიანი ლახტი გამოჭედა. მისი ყველაზე ცნობილი მფლობელი რუსტამი გახლდათ. ბოროტისა და კეთილის გადამწყვეტ ბრძოლაში ამ ლახტს ბნელეთის ძალები უნდა შეემუსრა [Alexander D. 2002: 215].

ზოომორფული ლახტები, როგორც წესი, წინამძღოლთათვის იყო განკუთვნილი [Nicolle D. 1994: 25]. ცნობილია, რომ ასეთ ლახტს ფლობდა სულთანი მასუდ I ღაზნელი (1030-40) [Nicolle D. 1976: 134]. დღემდე მოაღწია ღაზნელთა და სელჩუკთა პერიოდების სხვადასხვა ცხოველისთავიანმა ლახტებმა [Mohamed B. 2008: 235-236. fig. 225-230].

ირანის გავლენის გაძლიერებასთან ერთად, როგორც ჩანს, ზოომორფული ლახტები საქართველოშიც ჩნდება. ყოველ შემთხვევაში, მათი აღწერას უკვე ვხვდებით XVI-XVII სს-ის ქართულ ლიტერატურაში. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი „ომაინიანში“ სპილოსთავიან ლახტს ახსენებს: „**სპილოსა სახე ლახტი** წელთა ერჭვა“ [ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. 1979: 167]. ეპიკური მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლით „რუსუდანიანში“ აღწერილია სხვადასხვა ცხოველისსახიანი ლახტები: „ყველას სხვას იარაღს გარეთ ოროლი ლახტი ეჭირათ: თითო წელში ერჭოთ, თვითო ხელთ ეჭირათ დიდროვანი მურასა ოქროს ლახტი, სხვადასხვარიგი. ზოგი კაცის თავის სახე იყო, ზოგი დევისა, ზოგი სპილოსი, ზოგი აქლემისა, ცხენისა, ლომისა, ვეფხისა და, რაც ნადირია ანუ პირუტყვი, ანუ ფრინველი, რაც სულიერია მფშვინავი ანუ ზღვაში, ანუ ხმელზე, – თითო-თითო ყველასი იყო“ [რუსუდანიანი. 1957: 305].

დმანისში აღმოჩენილ ლითონის ნივთს კატისებური ცხოველის თავის გამოსახულებით ს. მარგიშვილი ზოომორფული ლახტის თავად მიიჩნევს და მას სელჩუკებთან ომის დროს მოპოვებულ სამხედრო ნადავლად თვლის.[33] XII-XIII სს-ის დმანისის ნაქალაქარში მოპოვებული ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ეს ნივთი საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული (დმ-1658). მისი სიმაღლეა 6 სმ, ძირის სიგანე – 4 სმ (ტაბ. IX-1). როგორც ჩანს,

33 „ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში დაცულია დმანისში მოპოვებული შესანიშნავი ეგზემპლარი, რომელიც ე.წ. ზოომორფული ლახტისთავების ტიპს მიეკუთვნება და პანტერას მსგავსი ცხოველის თავის გამოსახულებას წარმოადგენს“ [მარგიშვილი ს. 2006: 189, 331. ტაბ. III.3.]

მკვლევარი ამ ნივთზე მხოლოდ გამოსახულებით მსჯელობდა. სხვაგვარად შეუძლებელია ავხსნათ ის გარემოება, რომ ასეთი მცირე ზომის ნივთი საბრძოლო იარაღადაა გამოცხადებული. რა თქმა უნდა, ის ლახტის თავი არ გახლავთ და ტიპური ისლამური სასაკმევლის ნაწილი, კერძოდ კი, მისი თავია.[34]

## ლახტით ფარვა

გარდა ტრადიციული მეთოდებისა, ლახტს ბრძოლაში სხვაგვარადაც იყენებდნენ. „ამირანდარეჯანიანის“ გვიანდელ დამატებაში, ორთაბრძოლის ერთ ეპიზოდში, ლახტით თავის დაცვის ხერხია აღწერილი: „ხმალმოწვდილმან მიმართა და თავსა მოუქნია ბალხამ ყამისძემ. **გურზი თავსა იფარა** ამირან დარეჯანიძემან ხმალი დაიბრუნა და გვერდსა დასაძგერებლად მიუტანა ბალხამ ყამისძემან **გურზი თავისაგან მოიშალა და გვერდსა დაიფარა** კვალად ამირან დარეჯანიძემან“ [მოსე ხონელი. 1967: 687]. როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი ფალავანი (ამირან დარეჯანისძე) ორთაბრძოლაში გურზს იყენებს მეტოქის ხმლის მოსაგერიებლად. ლახტის გამოყენების ასეთი დახვეწილი ტექნიკა XVI-XVII სს-ის პირმშო უნდა იყოს.

## ლახტის სროლა

დარტყმის გარდა, ლახტი ბრძოლაში სასროლ იარაღადაც გამოიყენებოდა.[35] სროლისათვის, ძირითადად, მრგვალთავიანი და დაბალფრთიანი ლახტები იყო განკუთვნილი.[36] დიდი ზომის და მაღალფრთიანი ლახტები, ცუდი აეროდინამიკური თვისებების გამო, ამ მიზნისათვის არ გამოდგებოდა.

ლახტის გამოყენების ეს ხერხი საქართველოშიც იყო ცნობილი. „რუსუდანიანში“ მრავალგზის გვხვდება ეპიზოდები, სადაც ლახტის სროლაა აღწერილი: „ლახტი ესროლა, ჰკრა თავსა, ნახევარი თავი, ყბაყური თან ჩამოატანა“ [რუსუდანიანი. 1957: 44]; „შესტყორცა მისი მძიმე ლახტი“ [რუსუდანიანი. 1957: 57]; „ლახტი შემოსტყორცნა მისრისეული“ [რუსუდანიანი. 1957: 98]; „პირველსავე მისვლასა ლახტი შემოსტყორცა“ [რუსუდანიანი. 1957: 127]; „მისვლასავე... შესტყორცა მისრისეული ლახტი“ [რუსუდანიანი. 1957: 132]; „მერმე დევმან შემოსტყორცნა მისი მძიმე გურზი“ [რუსუდანიანი. 1957: 133]; „შესტყორცა ლახტი“ [რუსუდანიანი. 1957: 179]. საყურადღებოა, რომ თითქმის ყველა ამ ეპიზოდში ბრძოლა ლახტის სროლით იწყება. როგორც ჩანს, ლახტის სროლას ბრძოლის საწყის ფაზაში, ხელჩართულში შესვლამდე, მიმართავდნენ, როდესაც

34 ლომისა და ფოცხვერისთავიანი ისლამური სასაკმევლისა და მისი ფორმის შესახებ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს [Dimand M. 1937: 152-154; Dimand M. 1952: 150-153; Shepherd D. 1957: 115-118; Khalili N. 2004: 215-218]. შეცდომას უშვებს ლ. მუსხელიშვილიც, რომელიც ამავე ნივთს „ჯოხზე ჩამოსაცმელად“ და „პატივის აღმნიშვნელად“ მიიჩნევს [მუსხელიშვილი ლ. 1938: 445].

35 ლახტის სასროლად გამოყენების შესახებ იხ. [Michalak . 2010: 184-186]. ლახტის, როგორც სასროლი იარაღის შესახებ ბიზანტიურ ტრაქტატებსა და სამხედრო საქმეში იხ. [D'Amato R. 2011: 13-16, 29, 32].

36 ექსპერიმენტის შედეგები, რომლის დროსაც ლახტი სასროლად გამოიყენეს, იხ. [Michalak A. 2010: 185-186. ნ. 14].

ნატყორცნს მოულოდნელობის ეფექტიც შეიძლება ჰქონოდა.

### ლახტის ტარება

შუა საუკუნეების მებრძოლი ლახტს სხეულზე მოირგებდა ან ცხენზე ამაგრებდა. X ს-ის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე II ფოკა (963-69) ტრაქტატში *Praecepta militaria* მხედრების (კატაფრაქტების) მიერ ლახტის ტარების ორივე მეთოდს – ქამარში ან უნაგირზე – ასახელებს [Никифор II Фока. 2005: 24]. ლახტს ცხენის უნაგირზე მარჯვნივ, მხედრის მუხლთან ახლოს, ამაგრებდნენ [Al-Sarraf Sh. 2002: 155]. ასე დამაგრებული ლახტია გამოსახული 1384-96 წლების წალენჯიხის წმ. გიორგის ფრესკაზე (ტაბ. IX-2). თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფრესკის ავტორი ბერძენი მანუელ ევგენიკოსია და, შესაძლოა, ის უფრო ბიზანტიაში არსებულ პრაქტიკას გადმოგვცემს, ვიდრე ქართულს, როგორც ამას ფიქრობს რ. დ'ამატო [D'Amato R. 2011: 31-32].

ზოგიერთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ[37] უნდა ითქვას, რომ ქართველები ლახტს, ძირითადად, არა ცხენზე დამაგრებულს, არამედ სხეულზე – წელზე შემორტყმულ ქამარში „ჩაპყრობილს“ ატარებდნენ, რაზეც ცხადად მეტყველებს წყაროების ცნობები, ასევე მხატვრული გამოსახულებები. „ამირანდარეჯანიანი“ მოგვითხრობს: „ლახტები წელში **ჩაიპყრეს**“ [მოსე ხონელი. 1967: 737]; „ლახტი წელში **ჩაირჭვა**“ [მოსე ხონელი. 1967: 774]. მას მხარს უბამს „რუსუდანიანიც“: „ლახტი წელად **გაიყარა**“ [რუსუდანიანი. 1957: 56]; „ლახტი წელში **ერჭო**“ [რუსუდანიანი. 1957: 284]; „ლახტი **ჩაიპყრა**“ [რუსუდანიანი. 1957: 286]; „ლახტი წელში **ჩაირჭვა**“ [რუსუდანიანი. 1957: 427]. იგივეა ნათქვამი „შაჰნავაზიანში“: „შეჭურვილია რკინითა, ლახტი აქუს წელთ **ჩარჭობილი**“ [ფეშანგი. 1935: 182], ასევე „ომაინიანში“: „სარტყელსა **ჩაპყრობილი** მისრული თორმეტ ფრთიანი ლახტი გამოიძრო“ [ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. 1979: 167].

დ. ნიკოლი თვლის, რომ ლახტს წელის მარჯვენა მხარეს ატარებდნენ, რაც, უდავოდ, მოსახერხებელი და ლოგიკურია [Nicolle D. 1976: 134]. ამავე დროს, H1665 დავითნის 230r და 230v მინიატურებზე გოლიათს ლახტი მარცხენა მხარეს აქვს ჩაპყრობილი (ტაბ. IX-3). უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შემთხვევა განპირობებულია კომპოზიციის თავისებურებითა და მხატვრის სურვილით, მაქსიმალურად ეჩვენებინა გოლიათის აღჭურვილობა. წესით, მარცხენა მხარეს ხმალთან ერთად ლახტის ჩამაგრება საკმაოდ მოუხერხებელი უნდა ყოფილიყო. სარტყელში მარჯვენა მხარეს აქვს ლახტი ჩაპყრობილი თავაქარაშვილისეულ ავთანდილსა და კასტელისეულ ვახტანგ გურიელს.

### ლახტი როგორც ძალაუფლების ნიშანი

შუა საუკუნეებში ლახტს, იარაღის გარდა, ძალაუფლების სიმბოლოს ფუნქციაც ჰქონდა[38] [North A. 1985: 40; Kobylinski L. 2000: 66; E. Paul E. 2004: 92]. საკრალურ მიზეზებთან ერთად, იარაღის ასეთი სტატუსი იმითაც

37ს. მარგიშვილი მიიჩნევდა, რომ „მეომრები მას ძირითადად არა სხეულზე, არამედ ცხენის აკაზმულობაზე დამაგრებულს ატარებდნენ“ [მარგიშვილი ს. 2006: 188]. მკვლევარი ასევე ცდება, როდესაც თვლის, რომ საქართველოში „გამოსახულებებზე არც ერთ შემთხვევაში არ ჩანს ლახტის მსგავსი იარაღი“ [მარგიშვილი ს. 2006: 188].

38 ლახტები რეგალიების სახით ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულის ეგვიპტესა და შუამდინარეთში გამოიყენებოდა [Горелик, М. 2003: 50].

იყო განპირობებული, რომ რკინის მძიმეთავიანი ლახტის დამზადებას, რომ არაფერი ვთქვათ მის მორთულობაზე, საკმაო ოდენობის ლითონი სჭირდებოდა, რისი შესაძლებლობაც ყველას არ ჰქონდა [Al-Sarraf Sh. 2002: 155-156]. ძალაუფლების ნიშნად გამოყენებისას, ჩვეულებრივი იარაღისაგან გამოსარჩევად, ლახტს საგანგებო მორთულობა ამშვენებდა. ზოგიერთი დეკორატიულად მორთული ლახტი ისეთი მძლავრი იყო, რომ მას ბრძოლაშიც იყენებდნენ. ასეთი ლახტები სამხედრო მეთაურების კუთვნილება უნდა ყოფილიყო [Khorasani M. 2006: 253].

ეს ორგვარი დანიშნულება – იარაღისა და ძალაუფლებისა აღმოსავლეთის წაბაძვით ლახტმა საქართველოშიც შეიძინა. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების სვანეთში ლახტი მახვშის ხელში ძალაუფლების ნიშანი (ინსიგნია) გახლდათ ლაშქრობასა და სახალხო კრებაზე [ჩართოლანი შ. 1976: 50; ჩართოლანი შ., ხვისტანი რ. ... 2000: 88]. გ. ჩიტაია მიიჩნევს, რომ სვანური სახელისუფლებო ლახტები ადგილზე უნდა იყოს დამზადებული [ჩიტაია გ. 1972: 52-53]. მესტიის მუზეუმში გამოფენილია შეღებილი ხის ლახტიც, რომლის ფორმა, ზომა (სიგრძე – 44 სმ) თუ ფრთების მოყვანილობა ლითონის ლახტის სრული იმიტაციაა (ტაბ. IX-4). ასეთ ლახტს სარიტუალო ან ცერემონიული ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ძალაუფლების ნიშანია ეროვნული მუზეუმის ზემოაღწერილი ექსპონატებიც – გურზები (№№44-26/15 და 4878, 1065) და მრავალფრთიანი ლახტი (№3-38/3). სამივე არასაბრძოლო ეგზემპლარია და მფლობელის სტატუსს უსვამდა ხაზს.

წერილობითი წყაროების, იკონოგრაფიული მასალისა და სამუზეუმო ექსპონატების განხილვა გვარწმუნებს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში საბრძოლო ლახტების მრავალფეროვანი ნიმუშები გამოიყენებოდა: ნაწილი ადგილობრივად დამზადებული ნამუშევარი იყო, ნაწილი კი – უცხოური მინაბაძი. მათთან ერთად ქართველი მებრძოლი მეზობელი ქვეყნების (ბიზანტიურ-მონღოლურ თუ ირანულ-ოსმალურ) ლახტებსაც იყენებდა.

სტატიას ცხრილის სახით ერთვის საქართველოს მუზეუმებში დაცული და ზემოთ განხილული ლახტების მონაცემები, სადაც მათი ზომები და სხვა საყურადღებო ინფორმაციაა წარმოდგენილი.

**Mamuka Tsurtsumia**

The State Council of Heraldry at the Parliament of Georgia
4 Sanapiro st, 0114, Tbilisi, Georgia
E-mail: mkhedari@mkhedari.ge

# Blunt Weapons in Medieval Georgia

## Summary

Blunt weapons are considered to be the most simple and the most ancient. For instance, a mace is a stick with a massive metal (or other material) head attached to it. The other end of the weapon is used as a handle. There were two types of mace in Georgia: the lakhti (winged mace) and the gurz (mace with a rounded head). Although in the 12th century the mace was not frequently used in Georgia, after the Mongolian conquest it became more and more popular and in the 16th-17th cc. it appeared to be one of the principal and inseparable weapons of the heavily armed Georgian warrior.

The present paper deals with the maces kept in the Georgian museums (The National Museum, Svaneti Museum of History and Ethnography, Tsageri History Museum, Oni Local Lore Museum) that belong to the Middle Ages and it attempts their attribution and classification.

Taking in to consideration of written sources, iconographic materials and museum exhibits assures us that in medieval Georgia diverse types of maces were used: part of them were locally made, and the rest were foreign imitations. In addition of them Georgian warrior used also a production of neighbouring states – Byzantine, Mongolian, Persian and Ottoman maces.

## ბიბლიოგრაფია

**არჩილიანი. 1937**: ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. II. თბილისი.

**ბაქრაძე ი. 2014**: საბრძოლო ლახტები ხმლისებურ-ჭვირული დეკორით საქართველოს მუზეუმებში. *სემმ.* ტ. V. გვ. 239-256. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ვახუშტი ბატონიშვილი. 1973**: აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება.* ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**თაყაიშვილი ექ. 1937**: *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში*

*1910 წელს*. პარიზი.

**თაყაიშვილი ექ. 1963**: *არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წწ*. თბილისი.

**იოსებ ტფილელი. 1939**: დიდმოურავიანი. გიორგი ლეონიძის რედაქციით. თბილისი.

**დონ არქანჯელო ლამბერტი. 1991**: სამეგრელოს აღწერა. იტალიურიდან თარგმნა ა. ჭყონიამ, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ი. ანთელავამ. თბილისი.

**მარგიშვილი ს. 2006**: *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*. თბილისი.

**მოსე ხონელი. 1967**: ამირანდარეჯანიანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა. თბილისი.

**მუსხელიშვილი ლ. 1938**: დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა). *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა*. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. თბილისი.

**ჟან ბატისტ ტავერნიე. 1974**: დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. გურულმა. თბილისი.

**ჟან შარდენი. 1975**: მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). თბილისი.

**რუსუდანიანი. 1957**: ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით. თბილისი.

**სვანეთის მუზეუმი. 2014**: თბილისი.

**სულხან-საბა ორბელიანი. 1991**: ლექსიკონი ქართული. ტ. I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა ი. აბულაძემ. თბილისი.

**ფარსადან გორგიჯანიძე. 1925**: ისტორია. *საისტორიო მოამბე*. ტ. II. ტფილისი (რედ. ს. კაკაბაძე)

**ფეშანგი. 1935**: შაჰნავაზიანი. რედ. გ. ლეონიძე და ს. იორდანიშვილი. თბილისი.

**ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. 1979**: ომაინიანი. რედ. ლ. კეკელიძე. თბილისი.

**ქართული სამართლის ძეგლები. 1977**: ტ. VI. რედ. ი. დოლიძე. თბილისი.

**შაჰ ისმაილ I-ის ანონიმის ცნობები საქართველოს შესახებ. 1990**: *სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ*. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. თბილისი.

**შოთა რუსთაველი. 2009**: ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ. თბილისი.

**ჩართოლანი შ. 1976**: *მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის*. თბილისი.

**ჩართოლანი შ. 2010**: *შრომები*. თბილისი.

**ჩართოლანი შ., ხვისტანი რ., ცინდელიანი მ. 2000**: ჰეშკილდის წმინდა გიორგი. *აკცჟძ*. ტ. 6. გვ. 87-96. თბილისი (რედ. ო. ლორთქიფანიძე).

**ჩიტაია გ. 1972**: სამი ინსიგნია (წარჩინების ნიშანი) ამიერკავკასიიდან. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*. ტ. XVI-XVII. გვ. 51-54. თბილისი (რედ. ი. ჭყონია).

**ჯავახიშვილი ივ. 1962**: *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*. ტ. III-IV. თბილისი.

**Аствацатурян Э.Г. 2002**: *Турецкое оружие*. Санкт-Петербург.

**Горелик М.В. 2003**: *Оружие Древнего Востока*. Санкт-Петербург.

**Горелик М.В. 2008**: Черкесские воины Золотой Орды (по археологическим данным). *ВИГИПККР*. Вып. 15. с. 158-189. Нальчик (ред. Х.М. Думанов).

**Кирпичников А.Н. 1966**: *Древнерусское оружие*. Вып. 2. Копья, сулицы, боевые топоры, булавы, кистени IX-XIII вв. Ленинград.

**Кулешов Ю.А., Абызова Е.Н. 2011**: Два предмета мамлюкского вооружения с территории Молдовы как иллюстрация путей формирования золотоордынского комплекса вооружения. *Военное дело Золотой Орды: проблемы и перспективы изучения*. с. 92-100. Казань (ред. И.М. Миргалеев).

**Медведев А.Ф. 1959**: Оружие Новгорода Великого. *Материалы и исследования по археологии СССР*. Вып. 65. с. 121-191. Москва (ред. А.В. Арциховский, Б.А. Колчин).

**Нарожный Е.И., Чакхиев Д.Ю. 2003**: О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.). *МИАСК*. Вып. 2. с. 126-153. Армавир (ред. Е.И. Нарожный).

**Никифор II Фока. 2005**: Стратегика. Перевод со среднегреческого и комментарии А.К. Нефёдкина. Санкт-Петербург.

**Рабовянов Д. 2009**: Късносредновековно въоръжение от фонда на Регионален исторически музей – Габрово. *"България, земя на блажени..." In memoriam professoris Iordani Andreevi*. с. 569-583. Велико Търново (ред. И. Лазаров).

**Рабовянов Д. 2009-2010**: Средновековни боздугани от фонда на Регионален исторически музей – Велико Търново. *Известия на Регионален исторически музей – Велико Търново*. XXIV-XXV. с. 187-199. Велико Търново.

**Суразаков А.С. 1987**: О некоторых связанных с оружием образах пазырыкского искусства. *Военное дело древнего населения Северной Азии*. с. 53-59. Новосибирск (ред-ы: В. Медведев, Ю. Худяков).

**Устинов А.И., Портнов М.Э., Нацваладзе Ю.А. 1994**: *Холодное оружие*. Москва.

**Чубинашвили Г.Н. 1959**: *Грузинское чеканное искусство*. Тбилиси.

**Шервашидзе Л. 1964**: *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*. Тбилиси.

**Alexander D. 1992**: *The Arts of War: Arms and Armour of the 7th c. to 19th c*. Oxford.

**Alexander D. 2002**: Jihad and Islamic Arms and Armour. *Gladius*. vol. XXII. p. 201-234. Madrid (eds. Fernando Quesada Sanz, Álvaro Soler del Campo).

**Alpatov M. V. 1978**: *Early Russian Icon Painting*. Moscow.

**Chodynski A. R. 2000**: *Persian and Indo-Persian Arms and Armour of 16th-19th cc.*

*from Polish Collection*. Malbork.

**D'Amato R. 2011**: Σιδηροράβδιον, βαρδούκιον, ματζούκιον, κορύνη: The War-Mace of Byzantium, $9^{th}$ -$15^{th}$ cc. AD. *Acta Militaria Mediaevalia*. vol. 7. pp. 7-48. Kraków (ed. Piotr N. Kotowicz).

**D'Amato R. 2013**: The Betrayal: Military Iconography and Archaeology in the Byzantine Paintings of the $11^{th}$-$15^{th}$ cc. AD Representing the Arrest of Our Lord. *Wratislavia Antiqua*. vol. 18. p. 69-95. Wrocław (ed. L. Marek).

**DeVries K. 1992**: *Medieval Military Technology*. Peterborough.

**Dimand M. S. 1937**: A Persian Incense Burner of the Twelfth Century. *MMAB*. vol. 32. no. 6. pp. 152-154. New York.

**Dimand M. S. 1952**: A Saljuk Incense Burner. *MMAB*. vol. 10. no. 5. pp. 150-153. New York.

**Elgood R. 2009**: *The Arms of Greece and Her Balkan Neighbors in the Ottoman Period*. New York.

**Gravett C. 1997**: *German Medieval Armies 1000-1300*. Oxford.

**Haldon J. 1975**: Some Aspects of Byzantine Military Technology from the Sixth to the Tenth Centuries. *BMGS*. vol. 1. pp. 11-47. Birmingham.

**Hoffmeyer A. B. 1966**: Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes. *Gladius*. vol. V. pp. 11-160. Madrid.

**Khalili N. D. 2004**: A Recently Acquired Incense Burner in the Khalili Collection. *Muqarnas*. vol. 21. pp. 215-218. Leiden (ed. Gülru Necipoğlu).

**Kolias T. G. 1988**: *Byzantinische Waffen*. Wien.

**Kobylinski L. 2000**: Persian and Indo-Persian Arms. In *Persian and Indo-Persian Arms and Armour of $16^{th}$-$19^{th}$ cc. from Polish Collection.* pp. 57-73. Malbork (ed. A. R. Chodynski).

**Kubik A. L. 2014**: About One Group of Iranian Maces in the Context of the New Find from Sivas, Turkey: An Analysis from the Sasanian to the Safavid Period. *Метаморфозы истории*. Вып. 5. с. 154-180. Псков (ред. В.А. Дмитриев).

**Marco Polo. 1878**: The Description of the World. Trans. A. C. Moule and P. Pelliot. vol. 1. London.

**Michalak A. 2010**: A $14^{th}$ Century Hungarian Knobbed Mace Head from the *Birów Mountain* in Podzamcze in the Polish Jura Chain. In *Cum Arma Per Aeva: Uzbrojenie indywidualne na przestrzen dziejów*. pp. 173-200. Toruń (eds. P. Kucypera, P. Pudło).

**Mohamed B. 2008**: *The Arts of the Muslim Knight*. Milano.

**Khorasani M. 2006**: *Arms and Armor from Iran*. Tubingen.

**Nicolle D. 1976**: *Early Medieval Islamic Arms and Armour*. Caceres.

**Nicolle D. 1983**: The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily. *Gladius*. Vol. XVI. pp. 45-145. Madrid.

**Nicolle D. 1986**: *Saladin and the Saracens*. Oxford.

**Nicolle D. 1994**: *Saracen Faris 1050-1250 AD*. Oxford.

**Nicolle D. 1997**: Arms of the Umayyad Era: Military Technology in a Time of

Change. In *War and Society in the Eastern Mediterranean, 7th-15th cc.* pp. 9-100. Leiden (ed. Yaacov Lev).

**Nicolle D. 1999**: *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia*. London.

**North A. 1985**: *An Introduction to Islamic Arms*. London.

**Paul E. J. 2004**: *Arms and Armour: Traditional Weapons of India*. New Delhi.

**Al-Sarraf Sh. 2002**: Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords. In *A Companion to Medieval Arms and Armour.* Ed. D. Nicolle. Woodbridge.

**Shepherd D. G. 1957**: A Lion Incense Burner of the Seljuk Period. *BCMA*. vol. 44. no. 6. Cleveland.

**The Six Voyages of John Baptista Tavernier. 1678**: Trans. by John Phillips. London.

**Steingass F. J. 1892**: *A Comprehensive Persian-English Dictionary, Including the Arabic Words and Phrases to be Met with in Persian Literature*. London.

**Wise T. 1978**: *Armies of the Crusades*. Oxford.

**http://otlichnik.tripod.com/medmace3.html** – (Caza S. M. 2003: Medieval Flanged Maces).

# საქართველოს მუზეუმებში დაცული ლახტები

| ლახტი | გურზი | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | 44-26/22 (სემ) | 44-26/16 (სემ) | 10-27/107 (სემ) | 44-26/15 (სემ) | 4878; 1065 (სემ) | ომმ-3871/1 | ომმ-3871/2 | ომმ-3871/3 | 2932 (სემ) | 35-35/252 (სემ) |
| თავის დაბო-ლოება | დახურული | კონუსი | დახურული | დახურული | დახურული | ღია | ღია | ღია | ღია | ღია |
| საერთო სიგრძე (მმ) | 570 | 700 | 733 + ხის ტარი | 528 | 632 | | | | | |
| თავის სიგრძე (რკინის მასრი-ანად) | 80 | 116 | 126 | 168 | 252 | 50 | 61 | 52 | 49 | 190 |
| თავის max. D | 71 | 39 | 49 | 65 | 73 | 55/ 75 (კოპებით) | 60/ 86 (კოპებით) | 57/ 66 (კო-პებით) | 67/ 86 (კო-პებით) | 70/ 88 (კო-პებით) |
| ხვრელის D (ქვე-და) | 21 | X | | 22 | 21 | 27 | 28 | 28 | 30 | 32 |
| ხვრელის D (ზედა) | X | X | X | X | X | 20 | 25 | 27 | 26 | 30 |
| წონა (გ) | 461 | 1128 | 1512 | 490 | 551 | 245 | 267 | 225 | 467 | 271 |
| მასალა | რკინა, ხე | მთლიანი რკინის | რკინა, ხე | თითბერი, ხე | სპილენძი, ხე | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა, თითბერი |
| სხვა | პრიმიტიული მრგვალთა-ვიანი გურზი | ტარზე ცალ- და ორმა-გრკალოვანი ორნამენტი; თავზე – რომბისებურიც. ვერცხლის მსხვილი ცვარი თავზე | მასრაზე ბოლოში 1 სამანჭვლე ნახვრე-ტი და ხის ნაშთი. მასრის ზედა ნაწ-ილში 2 სამანჭვლე ნახვრეტი თავის გასამაგრებლად | ხის ტარზე მან-ჭვალი გამჭოლ ნახვრეტში | ხის ტარზე გამ-ჭოლი სამანჭვ-ლე ნახვრეტი | რაჭა, ბუბის ჯვრის ეკლესია | რაჭა, ბუბის ჯვრის ეკლესია | რაჭა, ბუბის ჯვრის ეკლესია | | |

| ლახტი | მაღალფრთიანი ჭვირული ლახტი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მასრა | საშუალომასრიანი | | | | | | |
| № | 35-35/241 (სემ) | 2450/1876 (სემ) | 35-35/245 (სემ) | 35-35/248 (სემ) | 5-34/2 (სემ) | 327 (ციმ) | 730 (სიემ) |
| ფრთების რაოდენობა | 6 (მოტეხილი 1) | 6 (მოტეხილი 3) | 6 | 6 | 6 | 6 (მოტეხილი 2) | 6 |
| თავის დაბოლოება | დახურული | დახურული | დახურული | ღია | ღია | დახურული | დახურული |
| საერთო სიგრძე (მმ) | | | 429 | | | 433 | 464 |
| თავის სიგრძე (რკინის მასრიანად) | 315 | 203 | 285 | 271 | 289 | 298 | 257 |
| ფრთების max. D | 123 | 120 | 130 | 114 | 121 | 123 | 123 |
| ფრთის სიგრძე | 112 | 112 | | 105 | 116 | | |
| ფრთის სიმაღლე | 51 | 50 | | 50 | 52 | | |
| ხვრელის D (ქვედა) | 25 | დაზიანებულია | 19 | 21 | 22 | 22 | 205 |
| ხვრელის D (ზედა) | X | X | X | 18 | 17 | X | X |
| წონა (გ) | 483 | 235 | 816 | 213 | 585 | 655 | 685 |
| მასალა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა |
| სხვა | ლახტის ფრთებზე მოხრილი ხმლის რთული ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები | ლახტის ფრთებზე მოხრილი ხმლის რთული ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები | ლახტის ფრთებზე ხმლის რთული ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები. თავზე გობაკი მარტივი ორნამენტით. ტარი ბოლოში დაფარულია მოვერცხლილი თითბერით | ლახტის ფრთებზე ხმლის მარტივი ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები | ლახტის ფრთებზე ხმლის მარტივი ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები. ლეჩხუმი, ოყურეშის ეკლესია | ლახტის ფრთებზე მოხრილი ხმლის რთული ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები. 1939 წ. 50 მანეთად შეიძინა მუზეუმმა ი. ჩაკვეტაძისაგან (სოფ. ნაკურალეში) | ლახტის ფრთებზე ხმლის მარტივი ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები. ხის ტარზე ბოლოში თასმის ნახვრეტი. 1974 წ. 7 მანეთად შეიძინა მუზეუმმა |

| ლახტი | დაბალფრთიანი ლახტი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მასრა | გრძელმასრიანი | საშუალომასრიანი | | | მოკლემასრიანი | | | |
| № | 1-40/1 (სემ) | 3-38/3 (სემ) | 3-38/4 (სემ) | 721 (სიემ) | 2023 (სემ) | 2921 (სემ) | 722 (სიემ) | 2933 (სემ) |
| ფრთების რაოდენობა | 12 (აკლია 4) | 12 (აკლია 2) | 14 | 8 | 8 | 6 | 8 | |
| თავის დაბოლოება | დახურული | ღია | ღია | ღია | დახურული | ღია | ღია | |
| საერთო სიგრძე (მმ) | | 442 | 517 | 786 | | | | |
| თავის სიგრძე (რკინის მასრიანად) | 466 | 222 | 210 | 283 | 106 | 70 | 125 | |
| ფრთების max. D | 72 | 75 | 70 | 78 | 70 | 74 | 51 | |
| ფრთის სიგრძე | 75 | 82 | 52 | | 52 | 57 | | 96 |
| ფრთის სიმაღლე | 27 | 26 | 24 | | 17 | 27 | | 24 |
| ხვრელის D (ქვედა) | 23 | 23 | 23 | 23 | 24 | 25 | 18 | |
| ხვრელის D (ზედა) | X | 16 | 14 | 23 | X | 20 | 15 | |
| წონა (გ) | 593 | 641 | 746 | 802 | 602 | 530 | 277 | |
| მასალა | რკინა | თითბერი, ხე, ტყვია | რკინა | რკინა | ჩამოსხმული ბრინჯაო | ჩამოსხმული ბრინჯაო | რკინა | რკინა |
| სხვა | ხუთკუთხა ფრთები. ქვემო სვანეთი. 1940 წ. 60 მანეთად შეიძინა მუზეუმმა ა. ონიანისაგან | მომრგვალებული ქვირული ფრთები | მომრგვალებული ფრთები შვერილით | მომრგვალებული ფრთები ზედა შვერილით | სამკუთხა სქელი ფრთები | მომრგვალებული ფრთები | მომრგვალებული ფრთები | მომრგვალებული ფრთები |

| ლახტი | მაღალფრთიანი ლახტი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მასრა | გრძელმასრიანი | | | | | | | |
| № | 3-38/1 (სემ) | 720 (სიემ) | 3-38/5 (სემ) | 35-35/243 (სემ) | 35-35/244 (სემ) | 725 (სიემ) | 35-35/247 (სემ) | 44-26/19 (სემ) |
| ფრთების რაოდენობა | 6 (აკლია 2) | 7 | 6 | 6 | 6 | 6 | 8 (აკლია 4) | 6 |
| თავის დაბ-ოლოება | ღია | ბურ-თუ-ლიანი | დახურული | ბურთულიანი | ღია | ღია | ბურთულიანი | ბურთულიანი |
| საერთო სიგრძე (მმ) | | 638 | | | | | | 625 |
| თავის სიგ-რძე (რკინის მასრიანად) | 493 | 457 | 499 | 423 | 478 | 545 | 487 | 132 (თავი) |
| ფრთების max. D | 146 | 130 | 125 | 105 | 131 | 130 | 155 | 83 |
| ფრთის სიგრძე | 162 | | 150 | 141 | 155 | | 91 | 97 |
| ფრთის სიმაღლე | 59 | | 48 | 45 | 54 | | 66 | 33 |
| ხვრელის D (ქვედა) | 22 | | 26 | 23 | 22 | 28 | 16 | X |
| ხვრელის D (ზედა) | 18 | X | X | X | 16 | 28 | X | X |
| წონა (გ) | 1259 | 1584 | 1380 | 1095 | 1240 | 1597 | 857 | 1139 |
| მასალა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | მთლიანი რკინის |
| სხვა | ხუთკუთხა ფრთები | ხუთ-კუთხა ფრთე-ბი | ზემოთ მომ-რგვალებული ხუთკუთხა ფრთები | ხუთკუთხა ფრთები | ხუთკუთხა ფრთე-ბი. გურჯაანი | ხუთკუთხა ფრთები. უშგული | წაწვეტებული ხუთკუთხა ფრთები | სქელი ხუთ-კუთხა ფრთები |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | |
| საშუალომასრიანი | | | | | | მოკლემასრიანი | | | | | |
| 729 (სიემ) | 113/III (სემ) | 2931 (სემ) | 5-34/3 (სემ) | 35-35/242 (სემ) | 35-35/249 (სემ) | 723 (სიემ) | 5-34/1 (სემ) | 35-35/250 (სემ) | 35-35/251 (სემ) | 724 (სიემ) | ომმ-3871/4 |
| 6 (აკლია 2) | 6 (ჩამომტ-ვრ. 2) | 7 (აკლია 1) | 8 | 7 | 7 (აკლია 3) | 6 | 6 | 6 | 6 | 8 | 6 |
| ღია | მომრგვალე-ბული | ღია | დახურუ-ლი | ღია | ღია | ღია | ღია | ღია | ღია | ბურთუ-ლიანი | ღია |
| | | | | | | | | | | | |
| 240 | 230 | 224 | 240 | 334 | 222 | 184 | 191 | 134 | 129 | 137 | 104 |
| 83 | 92 | 105 | 116 | 128 | 83 | 81 | 134 | 106 | 97 | 136 | 109 |
| | 106 | 123 | 133 | 144 | 95 | | 152 | 113 | 92 | | |
| | 30 | 40 | 50 | 50 | 30 | | 55 | 41 | 33 | | |
| 27 | 27 | 27 | და-ზიანებუ-ლია | 25 | 25 | 30.5 | 22 | 22 | 25 | 22 | 25 |
| 22 | X | 22 | X | 21 | 25 | 22 | 22 | 22 | 25 | X | 25 |
| 497 | 664 | 482 | 850 | 690 | 398 | 454 | 1090 | 465 | 462 | 974 | 520 |
| რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა | რკინა |
| მართკუთხა ფრთები | გრძელი მართკუთხა ფრთები | მომ-რგვალე-ბული სამკუთხა ფრთები | ხუთ-კუთხა ფრთები. ლეჩხუ-მი, ოყუ-რეშის ეკლესია | ხუთკუთხა რკალოვანი ფრთები | ხუთ-კუთხა ფრთები | გრძელი მართკუთხა ფრთები | ხუთ-კუთხა ფრთე-ბი. ლეჩხ-უმი, ოყუ-რეშის ეკლე-სია | მომ-რგვალე-ბული ხუთკუთხა ფრთები | ხუთკუთხა ფრთები | წაწვე-ტებული ხუთ-კუთხა ფრთები | მომ-რგვალე-ბული ფრთები. რაჭა, ბუბის ჯვრის ეკლესია |

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I** ბიზანტიური ლახტები

**სურ. 1.** ბიზანტიური ლახტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (№3877/9). ავტორის ფოტო

**სურ. 2.** კერძო კოლექციაში დაცული ბიზანტიური ლახტი

**სურ. 3.** ლახტი სტარა ზაგორადან (დ'ამატოს მიხედვით)

**სურ. 4.** ლახტი ბალკანეთიდან (დ'ამატოს მიხედვით)

**სურ. 5.** წმ. დიმიტრი თესალონიკელის ხატი

**სურ. 6.** ლახტი ანგელინსკი ერიკიდან (გორელიკის მიხედვით)

**ტაბ. II**

**სურ. 1.** ოსმალური ლახტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (№3-38/1)

**სურ. 2.** ოსმალური ლახტი სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმიდან (№720)

**სურ. 3.** ოსმალური ლახტი სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში (№35-35/239)

**სურ. 4.** ექსპონატი №3-38/5 (სემ)

**სურ. 5.** ექსპონატი №35-35/243 (სემ)

**სურ. 6.** ექსპონატი №35-35/244 (სემ)

**სურ. 7.** ექსპონატი №725 (სიემ)

**სურ. 8.** ექსპონატი №35-35/247 (სემ)

**სურ. 9.** ექსპონატი №44-26/19 (სემ). ავტორის ფოტოები

**ტაბ. III**

**სურ. 1.** ექსპონატი №113/III (სემ)

**სურ. 2.** ექსპონატი №729 (სიემ)

**სურ. 3.** ექსპონატი №2931 (სემ)

**სურ. 4.** ექსპონატი №5-34/3 (სემ)

**სურ. 5.** ექსპონატი №35-35/242 (სემ)

**სურ. 6.** ექსპონატი №35-35/249 (სემ). ავტორის ფოტოები

**ტაბ. IV**

**სურ. 1.** ექსპონატი №723 (სიემ)

**სურ. 2.** ექსპონატი №5-34/1 (სემ)

**სურ. 3.** ექსპონატი №35-35/250 (სემ)

**სურ. 4.** ექსპონატი №35-35/251 (სემ)

**სურ. 5.** ექსპონატი ომმ-3871/4

**სურ. 6.** ექსპონატი №724 (სიემ). ავტორის ფოტოები.

**ტაბ. V** ქართული ჭვირული ლახტი

**სურ. 1.** ექსპონატი №5-34/2 (სემ)

**სურ. 2.** ექსპონატი №35-35/241 (სემ)

**სურ. 3.** ექსპონატი №35-35/245 (სემ)

**სურ. 4.** ექსპონატი №35-35/248 (სემ)

**სურ. 5.** ექსპონატი №2450/1876 (სემ)

**სურ. 6.** ექსპონატი №327 (ციმ)

**სურ. 7.** ექსპონატი №730 (სიემ); ავტორის ფოტოები

**სურ. 8.** „ვეფხისტყაოსნის" თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 138, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**სურ. 9.** „ვეფხისტყაოსნის" თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 255, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**სურ. 10.** ვახტანგ გურიელი. კასტელის მიხედვით

**სურ. 11.** „უთრუთიანი", H61 ხელნაწერი, მინიატურა 7r, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**სურ. 12.** H1665 დავითნი, მინიატურა 213v, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**სურ. 13.** H75 დავითნი, მინიატურა 24r, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**სურ. 14.** H75 დავითნი, მინიატურა 23v, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**ტაბ. VI**

**სურ. 1.** ექსპონატი №1-40/1 (სემ)

**სურ. 2.** ექსპონატი №3-38/3 (სემ)

**სურ. 3.** ექსპონატი №3-38/4 (სემ)

**სურ. 4.** ექსპონატი №721 (სიემ)

**სურ. 5.** ექსპონატი №2921 (სემ)

**სურ. 6.** ექვსფრთიანი ლახტი (სიემ)

**სურ. 7.** ექსპონატი №2023 (სემ)

**სურ. 8.** ექსპონატი №2933 (სემ)

**სურ. 9.** ექსპონატი №722 (სიემ); ავტორის ფოტოები

**ტაბ. VII** გურზი

**სურ. 1.** ექსპონატი ომმ-3871/1

**სურ. 2.** ექსპონატი ომმ-3871/2

**სურ. 3.** ექსპონატი ომმ-3871/3

**სურ. 4.** ბრინჯაოს გურზი უშგულიდან (ჩართოლანის მიხედვით)

**სურ. 5.** ექსპონატი №2932 (სემ)

**სურ. 6.** ექსპონატი №35-35/252 (სემ)

**სურ. 7.** ექსპონატი №44-26/22 (სემ)

**სურ. 8.** ექსპონატი №44-26/16 (სემ)

**სურ. 9.** ექსპონატი №44-26/15 (სემ)

**სურ. 10.** ექსპონატი №4878; 1065 (სემ)

**ტაბ. VIII** ორხელა ლახტები

**სურ. 1.** ჯრუჭის II ოთხთავის 116r მინიატურა, H1667 ხელნაწერი,

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
**სურ. 2.** წმინდანები ორხელა გურზებით ლანჩვანის საკურთხევლისწინა ჯვარზე (ჩუბინაშვილის მიხედვით)
**სურ. 3.** ექსპონატი №10-27/107 (სემ)
**ტაბ. IX**
**სურ. 1.** ექსპონატი დმ-1658 (სემ)
**სურ. 2.** წმ. გიორგის ფრესკა წალენჯიხის ეკლესიაში
**სურ. 3.** H1665 დავითნის 230r მინიატურა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
**სურ. 4.** ხის ლახტი (სიემ)

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I** Byzantine maces
**Fig. 1.** Byzantine mace in GNM (exhibit 3877/9). author's photo
**Fig. 2.** Byzantine mace from private collection
**Fig. 3.** Mace from Stara Zagora (after D'Amato)
**Fig. 4.** Mace from Danube River Valley, Balkans (after D'Amato)
**Fig. 5.** Icon of St. Demetrius of Thessaloniki, detail
**Fig. 6.** Mace from Angelinsky Erik (after Gorelik)
**Tab. II**
**Fig. 1.** Ottoman mace in GNM (exhibit 3-38/1)
**Fig. 2.** Ottoman mace in SMHE (exhibit 720)
**Fig. 3.** Ottoman mace in SJHM (exhibit 35-35/239)
**Fig. 4.** Exhibit 3-38/5 (GNM)
**Fig. 5.** Exhibit 35-35/243 (GNM)
**Fig. 6.** Exhibit 35-35/244 (GNM)
**Fig. 7.** Exhibit 725 (SMHE)
**Fig. 8.** Exhibit 35-35/247 (GNM)
**Fig. 9.** Exhibit 44-26/19 (GNM); author's photos
**Tab. III**
**Fig. 1.** Exhibit 113/III (GNM)
**Fig. 2.** Exhibit 729 (SMHE)
**Fig. 3.** Exhibit 2931 (GNM)
**Fig. 4.** Exhibit 5-34/3 (GNM)
**Fig. 5.** Exhibit 35-35/242 (GNM)
**Fig. 6.** Exhibit 35-35/249 (GNM); author's photos
**Tab. IV**
**Fig. 1.** Exhibit 723 (SMHE)

**Fig. 2.** Exhibit 5-34/1 (GNM)

**Fig. 3.** Exhibit 35-35/250 (GNM)

**Fig. 4.** Exhibit 35-35/251 (GNM)

**Fig. 5.** Exhibit omm-3871/4

**Fig. 6.** Exhibit 724 (SMHE); author's photos

**Tab. V** Georgian openwork mace

**Fig. 1.** Exhibit 5-34/2 (GNM)

**Fig. 2.** Exhibit 35-35/241 (GNM)

**Fig. 3.** Exhibit 35-35/245 (GNM)

**Fig. 4.** Exhibit 35-35/248 (GNM)

**Fig. 5.** Exhibit 2450/1876 (GNM)

**Fig. 6.** Exhibit 327 (THM)

**Fig. 7.** Exhibit 730 (SMHE); author's photos

**Fig. 8.** Tavakarashvili's copy of "The Knight in the Panther's Skin", manuscript H599, fragment of folio 138. National Centre of Manuscripts

**Fig. 9.** Tavakarashvili's copy of "The Knight in the Panther's Skin", manuscript H599, fragment of folio 255. National Centre of Manuscripts

**Fig. 10.** Vakhtang Gurieli. After Castelli

**Fig. 11.** Utrutiani, manuscript H61, fragment of folio 7r. National Centre of Manuscripts

**Fig. 12.** Psalter, manuscript H1665, fragment of folio 213v. National Centre of Manuscripts

**Fig. 13.** Psalter, manuscript H75, fragment of folio 24r. National Centre of Manuscripts

**Fig. 14.** Psalter, manuscript H75, fragment of folio 23v. National Centre of Manuscripts.

**Tab. VI**

**Fig. 1.** Exhibit 1-40/1 (GNM)

**Fig. 2.** Exhibit 3-38/3 (GNM)

**Fig. 3.** Exhibit 3-38/4 (GNM)

**Fig. 4.** Exhibit 721 (SMHE)

**Fig. 5.** Exhibit 2921 (GNM)

**Fig. 6.** Six-flanged mace (SMHE)

**Fig. 7.** Exhibit 2023 (GNM)

**Fig. 8.** Exhibit 2933 (GNM)

**Fig. 9.** Exhibit 722 (SMHE); author's photos

**Tab. VII** Gurz

**Fig. 1.** Exhibit OMM-3871/1

**Fig. 2.** Exhibit OMM-3871/2

**Fig. 3.** Exhibit OMM-3871/3

**Fig. 4.** Bronze mace from Ushguli (after Chartolani)

**Fig. 5.** Exhibit 2932 (GNM)

**Fig. 6.** Exhibit 35-35/252 (GNM)

**Fig. 7.** Exhibit 44-26/22 (GNM)

**Fig. 8.** Exhibit 44-26/16 (GNM)

**Fig. 9.** Exhibit 44-26/15 (GNM)

**Fig. 10.** Exhibit 4878; 1065 (GNM)

**Tab. VIII** Two-handed maces

**Fig. 1.** The Second Tetraevangelion of Jruchi, manuscript H1667, fragment of folio 116r. National Centre of Manuscripts

**Fig. 2.** St. Warriors with two-handed maces on Lanchvani pre-altar cross (after Chubinashvili)

**Fig. 3.** Exhibit 10-27/107 (GNM).

**Tab. IX**

**Fig. 1.** Exhibit DM-1658 (GNM)

**Fig. 2.** St. George on Tsalenjikha mural

**Fig. 3.** Psalter, manuscript H1665, fragment of folio 230r. National Centre of Manuscripts

**Fig. 4.** Wooden mace (SMHE)

ტაბ. I Tab



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.

ტაბ. II Tab



სურ. 1 Fig. სურ. 2 Fig. სურ. 3 Fig. სურ. 4 Fig. სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig. სურ. 7 Fig. სურ. 8 Fig. სურ. 9 Fig.

ტაბ. III Tab



სურ. 1 Fig. სურ. 2 Fig. სურ. 3 Fig. სურ. 4 Fig. სურ. 5 Fig. სურ. 6 Fig.

ტაბ. IV Tab


სურ. 1 Fig.


სურ. 2 Fig.


სურ. 3 Fig.


სურ. 4 Fig.


სურ. 5 Fig.


სურ. 6 Fig.

ტაბ. V Tab


სურ. 1 Fig.


სურ. 2 Fig.


სურ. 3 Fig.


სურ. 4 Fig.


სურ. 5 Fig.


სურ. 6 Fig.


სურ. 7 Fig.






სურ. 8 Fig. სურ. 9 Fig. სურ. 10 Fig. სურ. 11 Fig.




სურ. 12 Fig. სურ. 13 Fig. სურ. 14 Fig.

ტაბ. VI Tab






სურ. 1 Fig. სურ. 2 Fig. სურ. 3 Fig. სურ. 4 Fig.







**სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.**

**ტაბ. VII Tab**








**სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.**






**სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.** **სურ. 1 Fig.**

ტაბ. VII Tab



სურ. 1 Fig.



სურ. 1 Fig.



სურ. 1 Fig.

ტაბ. IX Tab



სურ. 1 Fig.



სურ. 1 Fig.



სურ. 1 Fig.



სურ. 1 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 165-204
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 165-204

## ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

**გულნარა კვანტიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: gulikokvantidze@yahoo.com

# დიდგვაროვანი მამაკაცის ჩაცმულობა XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში

XVII-XVIII სს-ში მცხოვრები ქართველი დიდგვაროვანი მამაკაცის ჩაცმულობის შესახებ ცნობები ამავე პერიოდის ქართულ წერილობით წყაროებში, ლიტერატურულ ძეგლებსა და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებშია დაცული [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32; ლამბერტი არ. 1938: 38; შარდენი ჟ. 1935: 115-117; გიორგაძე ბ. 1951: 174; ჟურნ. „მოამბე». 1894: 155, 156] მათი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი დიდგვაროვანი მამაკაცი ატარებდა კაბას, ახალუხს, შარვალსა და სარტყელს. შესამოსელში შედიოდა „ქვეშეთი"-ქვედა და სეზონური ტანსაცმელიც, მრავალფეროვანი თავსაბურავი და ფეხსამოს-ფეხსაცმელი.

წერილში XVII-XVIII სს-ის წყაროებში მოცემული ცნობებისა და ეთნოგრაფიული ნივთიერი მასალის შეჯერების საფუძველზე განხილულია დიდგვაროვანი მამაკაცის ჩაცმულობის რეკონსტრუირებული ელემენტები, აღწერილია სამოსის მასალა, ფერი და დანიშნულება.

დიდგვაროვანი მამაკაცის საკაბე მასალად იყენებდნენ ლარის, სკლატის/ჩოხის, ანუ შალის მძიმე, სახიან ქსოვილებს [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32; იაშვილი მ. 1974: 335]. ამას კედლის მხატვრობასა და ხელნაწერების მინიატიურებზე გამოსახულ პირთა ჩაცმულობაც ადასტურებს. მათი უმრავლესობა მრავალფეროვანი ყვავილოვანორნამენტიანი კაბებითაა წარმოდგენილი (სურ. 1, 4, 6, 8-14, 21, 22, 24). ვხვდებით ერთფეროვან, სადა ქსოვილისაგან ნაკერ კაბებსაც (სურ. 2, 3, 5, 7, 15, 18-21).

მასალის სადაურობის დასადგენად ნოიმანის ირანული ქსოვილების კატალოგში შესულ ქსოვილებს შევადარეთ კედლის მხატვრობასა და ხელნაწერთა მინიატიურებზე გამოსახულ პირთა ტანსაცმლის ქსოვილები. შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქსოვილთა გარკვეული ნაწილი დიდად ემსგავსება ირანულს, ხოლო ნაწილი იდენტური ყვავილოვანი ორნამენტული სახეებითაა გამშვენებული [Neumann R., Gerhard M. 1988: 13]. ეს კი, თავის მხრივ, ქართველთა მიერ ტანსაცმლის მასალად ირანული ქსოვილის გამოყენებას მოწმობს. ამასვე ადასტურებს XVII-XVIII სს-ის ქართველ მეცნიერთა და უცხოელ მოგზაურთა მოსაზრებანი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ბაზრები მახლობელი აღმოსავლეთიდან, ძირითადად, ირანიდან შემოტანილი სხვადასხვა სახის საქონლითა და სურსათ-სანოვაგით მარაგდებოდა [ბერძენიშვილი ნ. 1953: 89; ლამბერტი არ. 1938: 39; გაბაშვილი ვ. 1976: 21].

საგულისხმოა სამამაკაცო სამოსის ფერების სიმრავლე—ჭარბობს თალხი

და მეწამული წითელი ფერი, ხშირია ლურჯი და მწვანე ფერი. არ დასტურდება თეთრი და შავი ფერის ქსოვილისაგან ნაკერი სადა კაბები. შესაძლოა იმიტომ, რომ შავი და თეთრი ფერის კაბებს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოების (სამგლოვიაროდ და საქორწინოდ) იცვამდნენ.

გარეგნულად კაბა წელში გამოყვანილია, ზედა ნაწილი–ტანზე მომდგარი, ქვედა კი-თავისუფლად გაშვებული (სურ. 1-13, 19, 20, 22, 24). სამოსის კალთები, ერთი შეხედვით, „ზარის" ფორმას ქმნის [შარდენი ჟ. 1935: 298]. სიგრძის მიხედვით განირჩევა „მუხლს ქვემომდე" [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32; ბარათაშვილი ი. 1950: 238-239] და „მუხლს ზემოთ" კაბები. ასეთია ესტატე პლაკიდასა[1] და მისი ვაჟების (სურ. 19, 20) კაბები[2] [ბარათაშვილი გ. 2012: 318, 319]. კაბა წინ მთლიანადაა ჩახსნილი და იკვრება „მაღლიდან ბოლომდე შემკული ოქროს ან მარგალიტის ღილებით" [ლამბერტი არ. 1938: 38]. დადასტურებულია ასევე გულისპირის ბუზმენტებით, ყაითნებითა და ჩაფრასტებით (სურ. 5-17, 22, 39)შემკობა [Chardin J. 1711: 152].

ყაითან-ბუზმენტებიანი კაბებით წარმოდგენილია როგორც XVII, ასევე XVIII ს-ში მცხოვრები საერო პირები. ადრეული (XV-XVI სს.) პერიოდის ქართულ მინიატიურებსა და კედლის მხატვრობაში, ნაკლებად ვხვდებით ბუზმენტებით შემკული სამოსის გულისპირებს (სურ. 1-4, 18-20), რომლებიც ჩაფრასტების სიმეჩხრითა და სწორხაზოვნად დამაგრებით ხასიათდება.

კაბის გულისპირის ხშირი ყაითნებით შემკობა, როგორც ჩანს, XVII ს-ის დასაწყისიდან მკვიდრდება, ამ საკითხთან მიმართებით გასათვალისწინებელია ვახუშტი ბატონიშვილის პორტრეტი (სურ. 13), რომელზეც ისტორიკოსის კაბის გულისპირი, მიუხედავად XVIII ს-სა, ბუზმენტებით მეჩხრად და სწორხაზოვნადაა გაწყობილი. ეს კი, შესაძლოა, იმაზე მიუთითებდეს, რომ ამგვარად შემკულ გულისპირიან კაბებს იშვიათად, მაგრამ მაინც ატარებდნენ XVII-XVIII სს-ში დიდებულები.

---

1 წმ. ესტატე პლაკიდა (პლაციდარიუსი) ერთნაირად პატივმიგებული წმინდანია ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში. იგი იმპერატორების–ტიტუსისა (79-81 წწ.) და ტრაიანეს (98-117 წწ.) დროს სათავეში ედგა რომაელთა ჯარის ნაწილს და სახელი გაითქვა განსაკუთრებული შემართებითა და მრავალი საბრძოლო გამარჯვებით. უძლეველ მხედართმთავარს მოცალეობის ჟამს ნადირობა უყვარდა. ერთხელ, ირემს გამოდევნებული, იგი უჩვეულო ამბის მოწმე გახდა - მშვილდ-ისრის დამიზნების შემდეგ ცხოველს რქებს შორის მაცხოვარი გამოესახა, რომელმაც მას ასე მიმართა - „პლაციდიუს, რაისა მდევნი მე? მე ვარ უფალი იესო ქრისტე, კაცთა ხსნისათვის განხორციელებული, რომელსა მსურს მოგაქციო ჭეშმარიტებაზე სიკეთისათვის შენისა და მსურს შეგაერთო სამწყსოს ჩემსა". ამ სასწაულის შემდეგ პლაციდიუსი ესტატეს (იმავე ევსტათის) სახელით ცოლ-შვილთან ერთად მოინათლა, რისთვისაც კერპთაყვანისმცემელთაგან ჯერ წაერთვა ოჯახი და ქონება (მართალი იობის მსგავსად), შემდეგ ყველაფერი დაუბრუნდა, ბოლოს კი, მეუღლესა და ორ ვაჟთან ერთად გახურებულ რკინის ღუმელში აღესრულა, მაგრამ ღვთის განგებით ისე მოხდა, რომ გარდაცვლილ მოწამეთა ცხედრები შეუწველი დარჩა.

2 წმ. ესტატეს გამოსახულება გვხვდება XVIII საუკუნის ნაქარგ ქსოვილებზე, რომელთაგან ერთი სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტერში, ხოლო მეორე ინგლისში, ერთ-ერთ კერძო კოლექციაში ინახება. მფლობელს იგი სოთბის აუქციონზე შეუძენია. სამთავროს ქსოვილი (სურ. 20) შესრულებულია გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი, შედარებით მარტივი ხერხით–მხოლოდ ტეხურითა და სადა სითვის ტექნიკით. ნაქარგი სცენა ორნაწილიანია-მარცხნივ ფრონტალურად დგას წმ. გიორგი, რომელიც მის გვერდით გამოსახულ სხვა წმინდანებს ერთგვარად ემიჯნება; მარჯვნივ, მისგან ზურგშექცევით, წარმოდგენილია მასზე გაცილებით ახოვანი წმინდა ესტატე ცოლ-შვილთან - თეოპისტიასთან, თეოპისტესა და აღაპისთან ერთად. წმ. გიორგი უწვერულია. რაც შეეხება ინგლისში დაცულ ქსოვილს (სურ. 30) (80X67), რომლის ცენტრში (25X26) წმ. ესტატეს ოჯახი ამოუქარგავთ, იგი ქართველოლოგ დავიდ ლენგს უნახავს, შეუსწავლია და 1964 წელს გამოუქვეყნებია [Lang D. 1964: 612-615].

სხვაობა გამოიკვეთა კაბის გულისპირის მოყვანილობაშიც.

თეიმურაზ I-სა (კახეთის მეფე 1606-1648; ქართლის მეფე - 1625-1632) და ვახუშტი ბატონიშვილს ბოლომდე გულდახშული კაბები აცვიათ (სურ. 13, 15). ესტატე პლაკიდას, მის ვაჟ თეოპისტესა და წმ. გიორგის კაბებს გულისპირი ოთხკუთხა მოყვანილობის აქვთ (სურ. 19, 20), ხოლო დანარჩენ საერო პირთა ტანსაცმელი სამკუთხა ფორმის გულისპირით იქცევს ყურადღებას.

ამ პერიოდის სამამაკაცო კაბები დაბალი, მდგარსაყელოიანი (სურ. 9, 13, 15-17, 22) ან უსაყელოა (სურ. 5-12, 14, 19-21, 39). სახელო, ჩვეულებრივ, მკლავზე მომდგარი და უყოშოა (სურ. 1-7, 11, 13, 14, 18-21, 24, 39) ან იღლიიდან ბოლომდე ჩახსნილი, ყურთმაჯ/ყოშიანი (სურ. 9, 10, 12), როგორიცაა ვახტანგ მეექვსის; ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა და ლევან კახთა მეფის (1520-1574) კაბის სახელოები [საყვარელიძე ალ. 1990: 142].

იღლიიდან ჩახსნილი, ცრუსახელოიანი სამოსის ტარების შესახებ ცნობას არ. ლამბერტი გვაწვდის: „წვეულებასა და დღესასწაულში იცვამენ კიდევ ერთნაირ ტანისამოსს, რომელიც ფეხებამდე გრძელია და ყურთმაჯები მიწამდე უწვდება“ [ლამბერტი არ. 1938: 38].

ყურთმაჯიანი კაბა-ახალუხის ტარებას ადასტურებს ასევე დავით ფანასკერტელ-ციციშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ქორწილში სიძეს (როგორც დიდებულს, ასევე გლეხს) ყურთმაჯგახსნილსა და ჩაქშექრილ ახალუხზე ქობაშემოვლებული და ყურთმაჯიანი კაბა უნდა სცმოდა [სხეც. ფ. S 1489:7].

საკვლევ პერიოდში სამამაკაცო კაბა, რომელიც იოსაფა ბარბაროს გადმოცემით, გრძელი და ვიწრო ყოფილა, უკანა კალთა გაჭრილი ჰქონია, „რადგან უმისოდ ცხენზე შეჯდომა გაუძნელდებათ“ [ჟურნ. „მოამბე“. 1894: 47].

საგულისხმოა, რომ ქართველი მამაკაცის კაბა ზოგადი ნიშნებით ძალზე ჰგავს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების სამოსს. კაბის გულისპირის ჩაფრასტებითა და ბუზმენტებით შემკობა დამახასიათებელია თურქეთის, ირანისა და აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოთათვის, მე ამჯერად ყურადღებას ირანზე შევაჩერებ, ვინაიდან, აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთი საქართველო ირანს ექვემდებარებოდა და შესაბამისად, მეტი შესაძლებლობა იქნებოდა კულტურათა ურთიერთზეგავლენისა.

ქართული სამოსის ირანულთან მსგავსება (სურ. 25, 26) პირველად ჟ. შარდენმა აღნიშნა. „სპარსეთის შაჰის ვაჭრის“ ტიტულის მქონე მოგზაური საკმაოდ კარგად იცნობდა ირანელთა ცხოვრებასა და კულტურას. მისი გადმოცემით, „სამოსი, რომელსაც ირანელები „კაბა“-ს უწოდებენ, განიერია ქალთა ჩიხორის მსგავსად. . . . დიდებულები ასევე იცვამენ ქართულ კაბას, იგი არაფრით განსხვავდება ირანულისაგან, გარდა იმისა, რომ წელს ზევით მუცელთან გახსნილია და იკვრება ღილებითა და ყაითნებით, იგი ძალზე კარგად არის მომდგარი ტანზე“ [შარდენი ჟ. 1935: 115-116].

შარდენის შეხედულებას ირანელთა და ქართველთა სამოსის მსგავსების შესახებ მეც ვეთანხმები, მაგრამ, რაც შეეხება კაბის შესაკრავ სისტემათა სხვაობას, ვფიქრობ მოგზაური ცდება, რადგან ორივე–ქართულიცა და ირანული კაბაც ხშირად მუცელთანაა გახსნილი და გულისპირი ბუზმენტებით ან ჩაფრასტებით იკვრება.

ქართულის მსგავსებას ირანულ სამოსთან უნდა გულისხმობდეს ასევე იესე ბარათაშვილი, რომელიც ჩაცმულობის ელემენტების ჩამონათვალში მოიხსენიებს „კაბას ყიზილბაშურს“, რომელიც, მისივე გადმოცემით, დაბამბული ყოფილა [ბარათაშვილი ი. 1950: 238-239].

იმისათვის, რომ თვალნათლივ წარმოვაჩინო ამ ორი ქვეყნის (საქართველოსა და ირანის) ტრადიციულ სამამაკაცო სამოსს შორის არსებული მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები, გადავწყვიტე, ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის კაბა, როგორც ერთ-ერთი ნივთიერი მტკიცებულება ამ პერიოდის დიდგვაროვანი მამაკაცის სამოსისა, შევადარო ირანელის, კერძოდ, ნადირ-შაჰის კაბას.

თეიმურაზ II-ის კაბა[3] (საინვ. №74-977/1. სურ. 22) შეკერილია ღია ყავისფერი, შედარებით უხეში ფარჩისაგან, რომელზეც ოქრონემსულით გამოყვანილია ყვავილოვანი ორნამენტები. კაბის ზედა ნაწილი ტანზე მომდგარია, წელში გადაჭრილი, ქვედა ნაწილი კი–თავისუფლად მდგარი, კაბას გვერდებში ჩადგმული აქვს ჩაქები[4], რომლებიც მის ქვედა ნაწილს ნახევარსფეროს ფორმას აძლევს. ბოლოში გვერდები 7 სმ შეხსნილია. კაბა წინ მთლიანად ღიაა და იკვრება ლითონის ბუზმენტებით. საყელო დაბალი, მდგარი, სახელო–მკლავზე მომდგარი, იღლიის არე–იდაყვამდე ღია, მაჯასთან–ვიწრო და შეხსნილი. მაჯებზე ბოლო მონიკბულია. კაბის სახელო ოვალური ყოშით[5] ბოლოვდება და სახელოზე გადაკეცილია. შესამჩნევია ყოშის განსხვავებული ქსოვილით დაფარვა[6]. კაბას ახლავს მაღალყელიანი, თეთრი ფერის წინდა, რომელიც ქვედა ნაწილში, კოჭთან, აბრეშუმის თეთრი ძაფის ნაქარგობითაა შემკული[7].

ირანული კაბა, ქართულის მსგავსად, წინ ჩახსნილი და ჩაღილულია. ზედა სამოსად კაბის ხმარება ირანში შუა საუკუნეებიდან მოწმდება. თუ საშუალო და დაბალი ფენა არა, მაღალი რანგის წარმომადგენლებს, უდავოდ უნდა ეტარებინათ [*Fallāḥ R.* 1971: 67-412].

საკითხის სიღრმისეულად საკვლევად კარგი იქნებოდა, თვალი გადაგვევლო გვიანი შუა საუკუნეების ირანული ჩაცმულობის დამახასიათებელი ნიშნებისათვის. ამ პერიოდის ირანული სამოსის მკვლევარი ასაფის აზრით: „XVIII ს-ის სეფიანთა პერიოდიდან შემორჩენილი სამოსით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება აღინიშნოს ცოტაოდენი განსხვავება ქსოვილის დიზაინსა და დასარჩულებაში. აღნიშნულ პერიოდში წინა საუკუნეებთან შედარებით შეიმჩნევა ქსოვილის, კერძოდ ფარჩის გაუხეშება და მოუქნელობა. სასარჩულედ XVIII საუკუნეში იყენებდნენ ბამბას, რომელიც საკმაოდ უხეშად ითვლებოდა. გარდა ამისა, შეიცვალა ქსოვილის სახის ორნამენტიკაც, თუ წინა საუკუნეებში (XV-XVI სს-ში) გამოსახული იყო ცხოველებისა და ფრინველების სახეები, XVII-XVIII სს. უფრო მეტად შეინიშნება მცენარეული ორნამენტიკის სიჭარბე. ეფექტი გადატანილი იქნა კაბის სახელოებსა და ქვედაბოლოს ჭრილზე” [Āsaf M. 1986: 47].

3 არქეოლოგიური ნივთი მოპოვებულია თეიმურაზ II-ის საფლავის გათხრის შედეგად. არქეოლოგები: გ. პაიჭაძე და ვ. ჯაფარიძე. გადმოცემულია ასტრახანის მუზეუმის მიერ. აქტი №74. 1977 წ. 22. 06.

4 გამოშვერილი ნაწილი ჩოხის ან კაბის უკანა კალთების გადანაკერებში (წელთან).

5 სახელოს დეკორატიული დაბოლოება, რომელიც ფარავს ხელის მტევნის ზედა მხარეს.

6 კაბის ზომა: მთლიანი L-124 სმ, კალთის სიგანე-112 სმ, სახელოს L-60 სმ,

7 წინდის L-65 სმ

როგორც ვხედავთ, ასაფი ხაზგასმით აღნიშნავს ფარჩის ქსოვილის გაუხეშებას, ყურადღებას აქცევს ქსოვილის მცენარეული ორნამენტით დატვირთვას, სამოსის ბამბის ქსოვილით დასარჩულებას, ჭრილს მაჯასთან და ქვედაბოლოზე. აღნიშნული თავისებურებანით კი თეიმურაზ II-ის სამეფო კაბა ხასიათდება. გარდა ამისა, მისი კაბის მსგავსი ქსოვილი (სურ. 54) დაცულია გერმანიის მუზეუმში და განეკუთვნება ე.წ. მესამე ჯგუფის ირანულ ქსოვილებს ნოიმანის კატალოგის მიხედვით [Neumann R., Gerhard M. 1988:17].

თეიმურაზ მეფის კაბის სიგრძე, მოხდენილობა და გულისპირის შემკულობა ერთგვარ პარალელს პოულობს ფრანგ მოგზაურ, ჟ. ოტტერის ჩანაწერებთან, რომელიც ირანელი მამაკაცის კოსტიუმს ელეგანტურს უწოდებს. მოგზაური მსგავსებას ხედავს ირანულ კოსტიუმსა და ევროპულს შორის სიგრძისა და დახვეწილობის მხრივ, ხოლო მის კონტრასტად თურქულ, გრძელ ტანსაცმელს ასახელებს [Otter J. 1748: 39].

იმისათვის, რომ ეჭვგარეშე გავხადოთ თეიმურაზ II-ის კაბაზე ირანული სამოსის ზეგავლენა, მინდა ყურადღება შევაჩერო ჟენევის მუზეუმში დაცულ, აკვარელის საღებავებით შესრულებულ ნადირ-შაჰის (1736-1747) პორტრეტზე (სურ. 23). ნადირ-შაჰის კაბასა და თეიმურაზ II-ის კაბას შორის მსგავსება დიდია. ორივე ერთი თარგის მიხედვითაა აჭრილი (წელში გადაჭრილი, ზედა ნაწილი–ტანზე მომდგარი, ქვედა–უფრო თავისუფალი და გაშვებული, ქვედა ნაწილს გვერდები ჩაქჩადგმული, ბოლოები კი შეხსნილი აქვს. ნადირ-შაჰის კაბა, ისევე, როგორც თეიმურაზ II-ისა, წინ მთლიანად ჩახსნილია და იკვრის გულისპირზე დამაგრებული ნუშის ფორმის ლითონის ღილ-კილოებით [Karimzada M. 1991: 73].

ნადირ-შაჰის კაბის ქსოვილი ისეთივე სახიანი და მძიმე აბრეშუმისა ჩანს, როგორიც თეიმურაზისა. ორივე კაბის ქსოვილი დატვირთულია ყვავილოვანი ორნამენტებით. სამწუხაროდ, ნადირ-შაჰის პორტრეტზე არ იკითხება, სახელოს შიგნითა მხარე ღიაა თუ დახურული. სახელო კი, როგორც თეიმურაზის კაბას, მასაც მკლავზე აქვს მომდგარი. სხვაობა ამ ორ სამოსს შორის კაბის სახელოსა და საყელოშია. თუკი ქართველი მეფის კაბის სახელო ოვალური ყოშით ბოლოვდება, შაჰისა წაკვეთილით სრულდება [შარდენი ჟ. 1935: 37]. განსხვავებულია კაბის საყელოც. თეიმურაზის კაბას საყელო დაბალი და მდგარი აქვს, შაჰისა სამკუთხა, მხრებზე გადასული და ბეწვით შემკულია.

ჩემი აზრით, ამ ორ კოსტიუმს შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ შეიძლება თეიმურაზის კაბას ირანული (ირანული ზეგავლენა) ვუწოდოთ. სავარაუდოდ, თეიმურაზ მეფის სამეფო კაბა შეკერა ადგილობრივმა დერციკმა ქართლში, რომელმაც მეფის სამოსი ირანულისაგან განსხვავებული და საქართველოში (ქართლში) გავრცელებული ტანსაცმლის დეტალებით (სახელო, საყელო, ყოში) შეამკო.

დიდგვაროვანი მამაკაცი კაბის შიგნით ***ახალუხს*** ატარებდა. საახალუხე მასალად წერილობით წყაროებში დასახელებულია ე.წ. შავი ფართლეული (ყარამანდული, სატინი, დიმიკიტონი, ქიშმირი, ხამი, ნაშური და სხვ.), შალი და აბრეშუმი. შესამკობად და შესაკრავად „ყელიდან წელამდე ვერცხლის ნაჭედი ღილებით" აწყობდნენ და ეცვათ პერანგზე ისე, რომ პერანგის მოქარგული ყელი არ დაფარულიყო [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011: 47; ლამბერტი არ. 1938: 38]. ამ პერიოდის ახალუხის ოთხი სახეობა დადასტურდა. ესენია: 1. მუხლამდე (სურ.

32); 2. გრძელი, დაბამბული და გულგადაფარებული (სურ. 29, 30); 3. ქართული „ნაოჭიანი“ (სურ. 33, 34) და 4. ყურთმაჯგახსნილი, ყოშიანი და ჩაქშედგმული (სურ. 27, 28) [ლამბერტი არ. 1938: 38; იოანე ბატონიშვილი. 1990: 48; სხეც. ფ. S 1489:7].

ახალუხის სახეობათა უკეთ აღსადგენად წერილობით წყაროებში დაცული ინფორმაცია შევაჯერე ნივთიერ მასალასთან, რამაც შემდეგი სურათი წარმოგვიდგინა.

***პირველი ტიპის*** ახალუხის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ მუხლამდე სიგრძისაა. ***მეორე ტიპის*** ახალუხი გრძელი, დაბამბული და გულგადაფარებულია. ვფიქრობ აღწერილობით გულგადაფარებული ახალუხი უნდა შეესაბამებოდეს ალექსანდრე ბატონიშვილის ნაქონ ორ ახალუხს, რომლებიც შალვა ამირანაშვილის სახელობის მუზეუმის ნაქარგობის ფონდშია დაცული. ***მესამე ტიპის*** ახალუხი თავისი მწირი აღწერილობით ესადაგება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში დაცულ „მოქალაქისა“ და „ქართლელი გლეხის ახალუხს“, ***მეოთხე ტიპის*** ახალუხი კი–ამავე მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცულ ყურთმაჯგახსნილ, ყოშიან და ჩაქშედგმულ გრძელ ახალუხს.

ამ სახეობათაგან მონაცემები ***პირველი ტიპის*** ახალუხის შესახებ იმდენად მწირია, რომ ვერ შევძელი მასთან საერთო ნიშნის მქონე სამუზეუმო ნივთის შერჩევა.

***მეორე ტიპის*** ახალუხი, როგორც აღვნიშნე, ალ. ბატონიშვილის ორ, ასევე გულგადაფარებულ ახალუხს[8] მიესადაგა (საინვ. №№ 585, 702. სურ. 29, 30). ორივე შეკერილია ყვავილსახიანი ქირმანშალისაგან. ახალუხები წინ მთელ სიგრძეზეა გახსნილი და იკვრება იღლიის ქვეშ დამაგრებული აბრეშუმის სამი ღილ-კილოთი. დაბამბულია და, შესაბამისად, მთელ სიგრძეზეა დალიანდაგებული. ორივეს ქვედა ნაწილს გვერდები შეხსნილი აქვს 25 სმ-იანი ჭრილით. ახალუხები დასარჩულებულია წითელმიხაკებიანი (მარადიულობის სიმბოლოდაა მიჩნეული ირანში) ყალამქრით. ბოლოზე სამოსს შემოუყვება ატლასის ქობა. ახალუხს (საინვ. № 585) გულისპირი ოთხკუთხად აქვს ამოჭრილი (სურ. 29), მეორეს (საინვ. № 702) კი–სამკუთხად (სურ. 30). საყელო დაბალი, მდგარი, სახელო–სწორი, იღლიის არე-ღია, ბოლოვდება ჭრილით, სახელო კი წაკვეთილი ყოშით. შესაკრავად გამოყენებულია ლურჯი აბრეშუმის ძაფის ნაქსოვი ღილ-კილოები[9].

ცხადია, ალ. ბატონიშვილის ახალუხები აღწერილობით ემსგავსება წერილობით წყაროებში მოცემულ მეორე ტიპის ახალუხის აღწერილობას–გულგადაფარებული, დაბამბულია და გრძელი. მისი აღწერილობა თარგით, სიგრძითა და გულისპირის მოყვანილობით ესადაგება ირანელი მამაკაცის ახალუხს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ი. ბარათაშვილი ქართული ახალუხის დახასიათებისას სხვა ახალუხებთან შედარებით ხაზს უსვამს მის სიმოკლესა და ნაოჭიანობას, ჩნდება კითხვა, არის თუ არა ალ. ბატონიშვილის ახალუხები ქართული, თუ არა, სადაურია. აღნიშნული პერიო-

8 სამუზეუმო საინვენტარო წიგნის მიხედვით, აღნიშნული სამოსი მუზეუმს შემოსწირა თამარ დავითის ასულმა ბაგრატიონ-გრუზინსკაიამ 1921 წელს.

9 საინვ. №585. მთლიანი L-142 სმ, მხარის სიგანე-59 სმ, წელის D-43 სმ, წელის გარშემოწერილობა-86 სმ, სახელოს L-59 სმ., კალთის სიგანე-121 სმ, ნივთი №702-მთლიანი L-148 სმ კალთის სიგანე-123 სმ, მხარის სიგანე-53 სმ, წელის D-43 სმ, გარშემოწერილობა-86 სმ სახელოს L-60 სმ,

დის პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე მსგავსი სამოსი ირანში მოგვეძია. ამ მიზნით გავეცანი უცხოელ ავტორთა ჩანაწერებს.

კარიმზადასა და ჰერბერტის ცნობით, ახალუხს როგორც ქართველი, ასევე ირანელი მამაკაცი ატარებდა [Karimzada M. 1991: 74; Herbert T. 1991: 232-233], ხოლო შარდენი თითქმის ზედმიწევნით იმეორებს ჩემ მიერ დახასიათებული ახალუხების აღწერილობას ირანულ სამოსზე საუბრისას: „მუცელთან ორჯერაა გადაკეცილი და იღლიის ქვეშ იკვრება. პირველი ბორტი იკვრის მარცხენა იღლიის ქვეშ, მეორე ბორტი კი-მარჯვენა იღლიის ქვეშ. სახელოები ვიწრო და ზომაზე გრძელი იციან, რის გამოც ისინი მკლავებზე შეკეცილი აქვთ და მაჯასთან ღილებით შეკრული" [შარდენი ჟ. 1935: 116].

ალ. ბატონიშვილის ახალუხების მსგავსად კაბები საქართველოში ჯერ კიდევ X ს-ში იყო ცნობილი. მას სხვადასხვა ვარიაციით თითქმის XI-XIII სს-ის მეორე ნახევრამდე ხმარობდნენ. ნ. ჩოფიკაშვილი ამგვარი ტანსაცმლის მასობრივად გავრცელებას ირანულის ზეგავლენით ხსნის და დასტურად სხვადასხვა პერიოდში შესრულებულ ირანულ მინიატიურებზე გამოსახულთა სამოსს მოიხმობს [ჩოფიკაშვილი ნ. 1964: 27-35].

აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ გვიან შუა საუკუნეებში ქართველი მამაკაცის მეორე ტიპის ახალუხი (გულდახშული და დაბამბული) ირანულს დიდად ჰგავს.

ალ. ბატონიშვილის ახალუხებს შეემჩნევა ცვეთაშეპარული ქობები, რომლებიც სამოსს ხშირი ხმარების გამო უჩნდება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამოწმებს XVII ს-ის. II ნახევარსა და XVIII ს-ში აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში, ირანული სამოსის დამკვიდრებას. ამის დასტურად დიდი რაოდენობის ვიზუალური მასალის დამოწმებაა შესაძლებელი. საილუსტრაციოდ გამოდგება XVI-XVIII ს-ის ირანული მინიატიურების შედარება იმავე პერიოდით დათარიღებული „ვეფხისტყაოსნისა" და „შაჰნამეს" ქართული ვერსიების ილუსტრაციებთან [ხუსკივაძე ი. 1976].

ირანული სამოსის ქართლში დამკვიდრებას ასევე თვალნათლივ დავინახავთ, თუ გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიების[10] „ხალხურ" მოხატულობას შევადარებთ ამავე პერიოდის ირანულ მინიატიურებს [ხუსკივაძე ი. 2003].

რაც შეეხება ახალუხის ***მესამე - „ქართულ" ნაოჭიან ტიპს***, იგი საერთო ნიშნებით XIX-XX სს-ის I ნახევრის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ ე.წ. მოქალაქის დოშლუღიან ახალუხს ემსგავსება (სურ. 33, 34). მას არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში, არამედ რეგიონებშიც ატარებდნენ. მისი შერჩევა ზურგის არეში მიჯრით მიწყობილმა ნაკეცებმა/ნაოჭებმა განაპირობა. გარდა ამისა, მის სამკუთხად მდგარი გულისპირიდან თავისუფლადაა შესაძლებელი ნაქარგყელიანი პერანგის გამოჩენა, რაც ამავე პერიოდის კედლის მხატვრობითაც დასტურდება (სურ. 5-12, 14, 19-21, 39).

კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში დაცულია ახალუხის ***მეოთხე ტიპის*** *მსგავსი* ყურთმაჯგახსნილი, ყოშიანი და ჩაქშედგმული ახალუხიც (საინვ. № 1-35/8. სურ. 27, 28). ის შეკერილია ლურჯი ფერის სადა ფარჩისაგან, ტანზე გამოყვანილსა და წინ ბოლომდე ჩახსნილი, იკვრება

10 სოფ. ჭალა, წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (საჩხერის რ-ნი); ქორეთის წმ. გიორგის ეკლესია (საჩხერის რ-ნი); ბუგეული, მთავარანგელოზის ეკლესია (ამბროლაურის რ-ნი) [ხუსკივაძე ი. 2003].

ღილ-კილოებით, გვერდებში ჩადგმული აქვს ჩაქები. წინა კალთები ისეა შეკერილი, რომ შეკრულ მდგომარეობაში ერთი კალთა მეორეზე გადადის. საყელო–მაღალი, სახელო მკლავზე–თავისუფლად მდგარი, რომელიც მცირე ზომის წაკვეთილი ყოშით ბოლოვდება. სახელო გახსნილია 5 სმ სიგრძეზე, საიდანაც მოჩანს თეთრი აბრეშუმის, ოქროსფერი ბუზმენტ-მოყოლებული ყურთმაჯები. მუზეუმში ახალუხის შემოსულობის თარიღით თუ ვიმსჯელებ, ის უნდა განეკუთვნებოდეს XIX ს-ის 40-იან წლებს. საინტერესოა ისიც, რომ XVII-XVIII სს-ის (გაცილებით ადრეულ პერიოდში–X-XIV სს-ში) ყურთმაჯგახსნილი და ყოშიანი სამოსით იმოსებოდნენ ბოლო დრომდე, XX ს-ის 20-30-იან წლებამდე, სანამ ევროპული მოდა არ ჩაენაცვლა ქართულ ეროვნულ კოსტიუმს.

ყურთმაჯიან ახალუხთან (სურ. 33, 34) დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ი. ციციშვილი (ვინმე სოფლელის ფსევდონიმით): „ყურთმაჯიან ახალუხს ყოშიან კაბაზე ხმარობდნენ ზოჯერ დოშლულიანს, მოკლეს, ისეთი სიგრძისას, რომ კალთა წელიდან მტკაველზე ცოტა მეტი უნდა ყოფილიყო. უკან ძალიან დანაოჭებული იცოდნენ ახალუხზე სხვადასხვა ფერის ზონრის შემოვლება, უმეტესად ოქროსფერის. . . .ახალუხის საყელო, ისევე როგორც კაბისა, უკან სწორი და წინ ოდნავ ღია, მრგვლად ამოჭრილი იყო. ახალგაზრდობა ახალუხს წელამდე შეუკრავს ხმარობდა, ასე რომ მკერდზე ფერადი პერანგი ჩანდა, ხოლო მოხუცნი იქამდე შეიკრავდნენ რომ პერანგის პირი და ყელი მაინც გამოჩენილიყო“ [ვინმე სოფლელი. ჟურ. „კლდე“ 1915: 11-13].

ეს ცნობა, გარდა იმისა, რომ ყურთმაჯგახსნილ, ყოშიანსა და ჩაქშედგმულ ახალუხს ახასიათებს, ადასტურებს ასევე ყოშიან კაბასთან ერთად მის ხმარებას. ი. ციციშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ, თუ ახალუხი დოშლულიანი არ იყო, ახალგაზრდები მას წელამდე გახსნილს ატარებდნენ, რათა პერანგის მოქარგული საყელო გამოსჩენოდათ. ამ ცნობიდან ნათელი ხდება ასევე ნაოჭიანი და დოშლულიანი ახალუხის სიგრძე და ორნაირი შეკვრა–დოშლულიანი და ყელიდან მუცლამდე ჩაღილული. საჭიროების მიხედვით, ღილებს ბოლომდე არ იკრავდნენ.

ახალუხს ქართველი მამაკაცი XVI-XVIII ს-ის I ნახევრამდე კაბის ქვეშ (სურ. 35), ხოლო მოგვიანებით, XVIII ს-ის II ნახევრიდან XX საუკუნის I ნახევრამდე, ჩოხის ქვეშ იცვამდა.

***შარვალი*** დიდგვაროვანი მამაკაცის სამოსის კიდევ ერთი აუცილებელი ელემენტი იყო. შარვალი წელს ქვევით ჩასაცმელი და ტოტებიანი გარე სამოსია [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1986: 471]. ტერმინი „შარვალი“ სპარსულ სიტყვა შალვარისაგან წარმოიშვა და ქართულ ენაში XVII ს-დან დამკვიდრდა [ჯავახიშვილი ივ. 1962: 95]. შალვარი სულხან-საბას განმარტებული აქვს როგორც ბერძნული სიტყვა, რომელიც ნიფხავს ნიშნავს. იგი შალვარად მიიჩნევს საცვლის რამდენიმე ტიპს: როპანაგი, საწარმართულო, პერიკამი [ორბელიანი ს.ს. 1991 b: 278]. სულხან-საბას განმარტებას არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ამტკიცებს, რომ შალვარი არც ბერძნულია და არც ნიფხავს ნიშნავს. იგი გარე, ქვედა სამოსია, თანამედროვე გაგებით, შარვალი [ჯავახიშვილი ივ. 1962: 92-95]. ვიზიარებ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას და მასთან ერთად ვიმოწმებ გამოჩენილ გერმანელ თურქულოგ დოერფერს, რომელსაც მიაჩნია, რომ შალვარი (*Šalvār*) სპარსულში თურქული ენიდან დამკვიდრებული სიტყვაა

და ის უბეგანიერ შარვალს ნიშნავს. მას ხმარობდნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები [http://www.iranicaonline. org/ articles/ clothing-xxvii; http:// doczine.com/bigdata/2/1365796236–d6027675e6/roxanearticle.txt].

როგორც გაირკვა, არსებობდა შალვრის რამდენიმე ტიპი. ერთ-ერთია ***ჩახჩური***(*Čāqčūr,čāqšūr,čāk̲čūr*),რომელიც შედარებით ვიწროტოტებიანი და ხვანჯარგაყრილია. მას წინდებში იტანდნენ [Bahmanbīgī M. 1988: 279-87].

საკვლევი პერიოდის შარვლის აღმნიშვნელ ტერმინებად გვხვდება შარვალი, ჩახჩური [იოანე ბატონიშვილი. 1990: 223; ბარათაშვილი ი. 1950: 238-239], საწარმართულო და პერიკამი [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 33]. წერილობით წყაროებში შარვალს არანაირი განმარტება არ ახლავს. აქედან გამომდინარე, XVII-XVIII ს-ის სამამაკაცო შარვლის იერსახის აღდგენას შევეცდები XIX ს-ის, სამუზეუმო ექსპონატის (შარვლის), უცხოურსა (ირანულ) და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული ცნობების შეჯერების საფუძველზე.

ივ. ციციშვილი აღნიშნავს, რომ შარვალს ქართველები ხმარობდნენ უბეგანიერსა და ხვანჯარგაყრილს (ზონარგაყრილს), რომლის ბოლოები ტოტებს ჯერ პაიჭში (პაჭიჭში), შემდეგ კი ჩექმაში ჩაიტნევდნენ [ვინმე სოფლელი. ჟურნ. „კლდე“ 1914: 13]. გ. ჩაჩაშვილი, რომელიც XIX ს-ის ქართველი გლეხი კაცის ჩაცმულობას იკვლევდა, ამბობს, რომ ქართველები სხვადასხვა ტიპის (ჩერქეზული, ნაკეციანი, ნაოჭიანი და სხვ.) შარვლებს ატარებდნენ, მათ შორის, ე.წ. ქართულ შარვალს, რომელიც შედარებით მოკლეტოტიანი, უბეგანიერი და წელში ხვანჯარგაყრილი ყოფილა [ჩაჩაშვილი გ. 1957: 58]. ანალოგიურად ახასიათებს ქართველების მიერ XVII ს-ის მიწურულსა და XVIII-XIX სს-ში გავრცელებულ შარვალს ნ. ალექსი-მესხიშვილი, რომელიც, ჩაჩაშვილისა და ციციშვილისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთ სხვაობას–შარვლის სიგრძეს აღნიშნავს. მისი გადმოცემით (ქართველების), შარვალი უბეგანიერი, ხვანჯარგაყრილი და კოჭამდე გრძელი იყო [ალექსი-მესხიშვილი ნ. 1904: №70]. ვფიქრობ, ჩაჩაშვილის, ციციშვილისა და ალექსი-მესხიშვილისეული აღწერილობები ერთმანეთს ემთხვევა და, შესაძლოა, XVII-XVIII სს-ში ქართველები სწორედ ამგვარ უბეგანიერ შარვლებს ატარებდნენ. ამ მოსაზრებას ამყარებს იმავე პერიოდის ირანში გავრცელებული და ანალოგიური სახელწოდებისა და აღწერილობის შარვლის (და არა ჩახჩურის) აღწერილობა, რაზეც მე უკვე მქონდა საუბარი.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში დაცულია ქართველი გლეხის შარვალი (საინვ. №10-2012/65. სურ. 36), რომლის დახასიათებას აღარ შევუდგებით, რადგან მისი აღწერილობა სავსებით ესადაგება ალექსი-მესხიშვილის, ივ. ციციშვილის, გ. ჩაჩაშვილის მიერ დახასიათებულ უბეგანიერი და ტოტებგრძელი, წელში ხვანჯარგაყრილი შარვლის აღწერილობას. ყურადღება მისაქცევია გვიანი ფეოდალური ხანის მინიატიურებსა და კედლის მხატვრობაზე გამოსახული ქტიტორები. მათზე დაკვირვებისას დავინახავთ, რომ არც ერთს, გარდა მარიამ დედოფლის ვაჟის - ოტია გურიელისა, შარვლის ტოტი არ მოუჩანს (სურ. 24), რაც, ვფიქრობ, შარვლის ტოტის პაჭიჭში ჩატანებაზე უნდა მიანიშნებდეს. შარვლის ტარების ეს წესი კი წერილობით წყაროებში დაცული მონაცემებით გახდა ცნობილი.

არ. ლამბერტი სამეგრელოში ცხენოსნობისა და ნადირობის დროს ტყავისაგან ნაკერი შარვლის ხმარებას აღნიშნავს [ლამბერტი არ. 1938: 38]. ტყავის შარვლებით ჭიდაობა გვიანი შუა საუკუნეების ირანში დასტურდება. ასეთ შარვალს *„ტონოკა»* ეწოდებოდა [Bahmanbīgī M. 1988: 279-87]. ქართულ წყაროებში ტყავის შარვლის სპეციალური სახელწოდება არაა დამოწმებული, ისე კი ცნობილია, რომ ტყავის სამოსის ხმარება საკმაოდ გავრცელებული ყოფილა იმ პერიოდის საქართველოში.

**ჩახჩური,** როგორც აღინიშნა, შარვლის ერთ-ერთი ტიპია, მას ასევე პაჭიჭებში იტანდნენ. ის, „ქართული" შარვლის მსგავსად და ირანულისაგან განსხვავებით, კოჭებამდე გრძელი და უზეგანიერი ყოფილა [ჯავახიშვილი ივ. 1962: 97].

**შარვლის** კიდევ ერთი სახეობაა ***საწარმართული***, რომელიც, ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, მხოლოდ ცხენზე ჯდომის დროს იცვამდნენ [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32]. რაც შეეხება **პერიკამს,** იგი ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში შარვლის სინონიმადაა მოხსენიებული და ისტორიკოსი შარვალთან მიმართებით არანაირ განმასხვავებელ ნიშნებზე არ საუბრობს [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32]. სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს პერიკამთან დაკავშირებით სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც მას განმარტავს როგორც საცვალს [ორბელიანი ს.ს. 1991 b: 278], დ. ჩუბინაშვილი კი პერიკამს ფეხსაცმლის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევს [ჩუბინაშვილი დ. 1984: 980], ნ. ალექსი-მესხიშვილის აზრით, დ. ჩუბინაშვილი და სულხან-საბა პერიკამის განმარტების დროს იმოწმებენ წინასწარმეტყველ დანიელს (3-21), თუმცა ორივე ლექსიკოგრაფს ტექსტი არასწორად ჰქონია ამოკითხული. ნ. ალექსი-მესხიშვილი აზუსტებს, რომ ვახუშტისთან მოხსენიებული პერიკამი არც საცვალია და არც ფეხსაცმელი. ის შარვლის სინონიმია [ალექსი-მესხიშვილი ნ. 1904: №103].

***სარტყელი*** (სურ. 37, 38) იგივე წელსარტყამია [ორბელიანი ს.ს. 1991 b: 52], იგი, როგორც სამოსის ერთ-ერთი აუცილებელი სამშვენისი, ქართველებს გარდა გავრცელებული იყო კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებში. თურქულ ენაში სარტყლის სინონიმია – kamar, ხოლო სპარსულში–*kamar-band [htt*p://www.iranicaonline.org/articles/belts*]*. საკვლევი პერიოდის წერილობითი წყაროების მიხედვით დამოწმებულია ქსოვილის, ტყავისა [ლამბერტი არ. 1938: 38] და ლითონის სარტყლები. მამაკაცები ვიწრო და შედარებით მოკლე სარტყლებს ხმარობდნენ. მას, გარდა დეკორატიულისა, სხვადასხვა დანიშნულება გააჩნდა. იგი იცავდა წელს გაციებისაგან, ზოგჯერ თოკის ფუნქციასაც ასრულებდა, ხანაცჯიბისას. განსაკუთრებით მოხერხებული წელზე ორმაგად შემორტყმული სარტყელი ყოფილა [შარდენი ჟ. 1935: 115-117].

დიდგვაროვანი მამაკაცის ჩაცმულობაში, როგორც ამას გვიანშუასაუკუნეების წერილობით-ლიტერატურული წყაროები იუწყება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ***„ქვეშეთად სახმარ სამოსს"*** – საცვლებს ეთმობოდა. „საცვალი წერილობით წყაროებში X-XI სს-დან დასტურდება. ეს ტერმინი გამოცვლადობის მაუწყებელია. მის არსებობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ისტორიის თვალსაზრისით" [ჯავახიშვილი ივ. 1962: 82-83].

„ქვეშეთ"–ქვედა სამოსში ერთიანდებოდა ზედა და ქვედა საცვალი, ზედა საცვალი იყო პერანგი, რომელიც მე ახალუხის დახასიათებისას

შემხვდა, ხოლო ქვედა საცვალს –***მუქასარი*** და ***ნიფხავი*** ეწოდებოდა [ჯავახიშვილი ივ. 1962: 82-83].

პერანგი[11] ძირითადად მოვისა და ტილოს სხვადასხვა ფერის ქსოვილისაგან იკერებოდა [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32; იოანე ბატონიშვილი. 1990: 223], უმეტესწილად არჩევდნენ ყვითელსა და წითელ, მოკლესა და ყელდაბალ პერანგებს, რომელსაც სირმის ქობათი, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით ამკობდნენ, რათა პერანგის გალამაზებული საყელო ახალუხიდან და კაბიდან გამოჩენილიყო. საყელო ერთი ღილით იკვრებოდა [სხეც. ფ. S 1489:7].

დადასტურდა ასევე პერანგის სეზონურად ხმარება, რაც მის მასალაზე იყო დამოკიდებული [ბარათაშვილი ი. 1950: 200].

„ქვეშეთი" სამოსის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია „ქვეითი საცვალი" - „ნიფხავი", რომელიც, სავარაუდოდ, სიტყვა „ნეფხვასაგანაა" წარმომდგარია სიტყვა „ნეფხვა" სიცივესა და ყინვას აღნიშნავდა. მისგან ნაწარმოები სანეფხვო კი ყინვისათვის განკუთვნილს ნიშნავს. შემდეგში მას „სა" წინსართი ჩამოცილდა და ზოგად სახელად ნიფხავი დარჩა [ჯავახიშვილი ივ. 1962: 91]. წყაროებში ნიფხვის სინონიმად ვხვდებით სიტყვებს: პერანგის ამხანაგი, ალერსი და სხვ. [იოანე ბატონიშვილი. 1990: 223].

წარჩინებული მამაკაცის „ქვეშეთ სამოსად", ნიფხვისა და პერანგის გარდა, წერილობით წყაროებში დასახელებულია ***მუქასარი.*** იგი, სულხან-საბას განმარტებით, ნიფხვის ტოტს ნიშნავს [ორბელიანი ს.ს. 1991 a: 529]. იესე ბარათაშვილთან კი მუქასარი პერანგთან ერთად მოიხსენიება - „ხუთი და ექვსი პერანგი და მუქასარი" [ბარათაშვილი ი. 1950: 238-239]. ტექსტის მიხედვით, მუქასარი ნიფხვის ტოტი კი არა, თავად ნიფხავი უნდა იყოს. სამწუხაროდ, მუქასარის აღწერილობა წერილობით წყაროებში არაა დაცული. ამიტომ ჩემთვის უცნობია, რა იყო საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ჩვეულებრივ ნიფხავსა და მუქასარს შორის. შესაძლოა, იგი ნიფხვის სინონიმი იყო და არა განსხვავებული ტიპის საცვალი.

წარჩინებული მამაკაცის ჩაცმულობაში, როგორც უკვე აღინიშნა, შესულია სეზონური სამოსი, რომელთაგან განსაკუთრებული მრავალფეროვნებით საზამთრო შესამოსელი გამოირჩევა. ამათთაგან ცალკე აღნიშვნის ღირსია დაბამბული ახალუხი, ტოლომა/ტალმა. ტყავის ტანსაცმელი და ნაირგვარი მოსასხამები: ნაბადი, ქათიბი, ქულაჯა, ქურთუკი, ქუქუნაკი, ხირლა და ჯუბა/ჯუბაჩა.

***ახალუხი,*** როგორც უკვე ცნობილია, კაბის ან ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი ზედა სამოსია, მაგრამ ამჯერად, ჩემი ინტერესის სფეროა დაბამბული, ე.წ. საზამთრო ახალუხი (სურ. 31), რომელიც საზაფხულო-საშემოდგომო ახალუხის გარეგნული მონაცემებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. მას ქსოვილებს (საზედაპირო, სარჩული) შორის უდებდნენ ბამბის თხელ ფენას და მთელ სიგრძეზე ალიანდაგებდნენ, ბამბა რომ არ დაცურებულიყო

11 პერანგი სპარსული სიტყვაა და წერილობით წყაროებში XI ს-მდე არ გვხვდება. პერანგის უწინარესი სახელი კვართი იყო. ძველ ძეგლებში გვხვდება ზოგად სახელად „ფესუედი სამოსელი" ან „შესამოსელი ფესუედი" [ჯავახიშვილი ივ. 1962: 82). სიგრძის მიხედვით პერანგი ორნაირი იყო: „ძველად ქართლოსიანთა დროსა ჰსცმიათ ქართველთა გრძელი, ფეხებამდის პერანგი და პერანგის ამხანაგი. . . ხოლო უკანასკნელთა დროთა შინა პერანგი მოკლე და საყელოც დაბალი" [იოანე ბატონიშვილი. 1990: 223]. დ. ფანასკერტელ-ციციშვილიც, იოანე ბატონიშვილის მსგავსად, „ფერხთამდე" სიგრძის პერანგს ასახელებს [სხეც. ფ. S 1489:7].

[ბარათაშვილი ი. 1950: 238-239].

საზამთრო შესამოსელთაგან საინტერესოა ასევე ***ტოლომა, ანუ ტოლამა*** [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 66; ბარათაშვილი ი. 1950: 197]. მას ატარებდნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები. სხვაობა საქალო და სამამაკაცო ერთეულს შორის მასალასა და შემკულობის ფერებში იყო მხოლოდ. მამაკაცები სატოლომე ქსოვილად მაუდს არჩევდნენ [ბარათაშვილი ი. 1950: 197]. სულხან-საბა ორბელიანი ტოლომას რამდენიმე სახეობას ასახელებს: „ქუქუნაკიც ტოლომაა, ოღონდ მოკლე, მალატონი კი დიდ ტოლომას ერქვა" [ორბელიანი ს. ს. 1991 b: 142, 430]. ტოლომა საკმაოდ განიერი და სათბილობლად ბეწვგამოკრული ზედა სამოსელი იყო [ორბელიანი ს. ს. 1991 a: 142; ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 7].

სეზონური ტანსაცმელია ტყავის სამოსიც, რომელიც მეტად პოპულარული ყოფილა XVII-XVIII სს-ში. მას ორივე სქესისა და სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ხმარობდნენ [იოანე ბატონიშვილი. 1948: 225]. ტყავისაგან საგანგებოდ იკერებოდა საყაბახო კურტაკები, რომლის დამახასიათებელი ნიშანი შესაკრავად ბრტყელი ზონრები იყო [თეიმურაზ მეორე. 1939: 73-74]. ტყავის სამოსის პოპულარობა თვალნათელია არჩილ II-ის[12] მიერ ღარიბთათვის საბოძვრად გაცემული ტყავის სამოსის ოდენობითაც:

„ამ დღეს გავეც სხვას გარდაის ასი ჯილა, ასი ტყავი,
კვლავ ცხენები ბედაური, არ თუ ზურგზედ განარტყავი,
ამას გარდა აბრეშუმი სამოცს აქლემს ნატვირთავი,
არ დავაგდე უბოძვარი, ღარიბები მოურთავი" [არჩილი 1989: 402. სტრ.372].

**მოსასხამთა** ნაირსახეობათაგან ერთ-ერთი საინტერესოა ***ნაბადი,***[13] რომელიც წერილობით წყაროებში რამდენიმე დანიშნულებითაა მოხსენიებული. მას ხმარობდნენ ორხოასავით ძირს დასაფენად [იაშვილი მ. 1974: 191, 328] და უგებდნენ ახალნამშობიარებ ქალებსაც [თეიმურაზ მეორე. 1939: 66. სტრ. 521]. ნაბადი უპირველესად სათბილობელი მოსასხამია და ყველაზე ხშირად მას ამ მიზნით იყენებდნენ. ნაბადი წინ გახსნილი უსახელო წამოსასხამია. ამზადებდნენ მოთელილი და დაბეჭილი მატყლისაგან [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011: 95]. არ. ლამბერტი ნაბადს დაბალი ფენის სამგზავრო წამოსასხამს უწოდებს, რომელიც XIX ს-ის ნაბდისაგან ძლიერ განსხვავდება: „იგი იმდენად მოკლე იყო, რომ „წელს ქვეით ძლივს წვდებოდა" [ლამბერტი არ. 1938: 110-111]. დიდი ალბათობაა იმისა, რომ მოკლე ნაბადთან ერთად გამოიყენებდნენ სტანდარტული სიგრძე-სიგანის ნაბადს, რომლის სახეობა ეთნოგრაფიულ ყოფაში XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის პირველ ნახევრამდეა დამოწმებული (სურ. 40).

***ქათიბი,*** ისევე, როგორც ტოლომა, საზამთრო სათბილობელი სამოსია. კერავდნენ სხვადასხვა ძვირფასი ქსოვილისაგან, ხოლო შესამკობლად

12 იმერეთის მეფე–1661-1663; კახეთის მეფე–1664-1675.

13 ნაბადი, XIX ს-ის საქართველოს გარდა, კავკასიის სხვა ხალხთა ერთოვნული კოსტიუმის ელემენტი იყო. ნაბდის წარმოებით განთქმული იყო ჩრდილოეთი კავკასია, ყაბარდო-ჩერქეზეთი, დაღესტანი და ოსეთი, ამიერკავკასიაში–საქართველო (იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი და მთიულეთი). სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული იყო ნაბდის ერთ-ერთი სახეობა–იაფინჯი. ნაბადს შიგნიდან დამცავ საშუალებად აკრავდნენ მუზარადს, ასევე აფენდნენ ცხენს ზურგზე დაზიანების თავიდან აცილების მიზნით [ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2009: 286, 358; ჩოლოყაშვილი კ. 1957: 202].

და მეტი სითბოსათვის შიგნიდან გამოაკრავდნენ ხოლმე ყარყუმის, სიასამურისა და კურდღლის ბეწვს, ამ ბეწვებითვე აფორმებდნენ წინა მხარეს [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 66; იოანე ბატონიშვილი. ტ.II 1948: 225; ლამბერტი არ. 1938: 38; გიორგაძე ბ. 1951: 175; იაშვილი მ. 1974: 39, 53-55, 65, 70-71, 89-90]. დასტურდება ორი სახის ქათიბი–ერთი ბეწვით, მეორე– ბეწვგარეშე. უბეწვო ქათიბს თაგალა ერქვა. იგი ორი სიგრძისა ყოფილა: მუხლამდე და მუხლს ზემოთ [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 66; იოანე ბატონიშვილი. 1948: 225].

მამაკაცის ბეწვიანი ქათიბი შეტანილია ვახუშტი ორბელიანის ქონების 1707 წლის სიაში: „ქათიბი ნაქსოვისა ნარინჯი, სიასამურის ბეწვითა ერთი . . .ქათიბი საიისა აშიანი, იისფერი, ყალამის ბეწვითა და გილანურის ღილ-ითა“ [საქართველოს სიძველენი. 1909: 213] ჩაღილული ქათიბები სცმია ი. ბარათაშვილსაც [ბარათაშვილი ი. 1950: 238-239].

**ქულაჯა** XIX ს-ის II ნახევარში მამაკაცის ზედა სამოსია. მას თავად-აზ-ნაურები ახალუხზე იცვამდნენ ჩოხის გარეშე, ცხონოსნები კი–ბრძოლის, ჯირითის ან თამაშის დროს. ი. ციციშვილის განმარტებითაც ქულაჯა ახ-ალუხზე მოსაცმელია. მას სათბილობელ სამოსად გამოიყენებდნენ უწინ და მის ამარა გარეთ გასვლა ისეთივე სირცხვილი ყოფილა, როგორც ჟილეტით [ვინმე სოფლელი. ჟურნ. „კლდე“ 1914: 6]. ქულაჯასთან დაკავ-შირებით სხვა მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ. ალექსი-მესხიშვილს, რო-მელიც მას გარე სამოსად მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ მისი ძველი სახელ-წოდება იყო კურტაკია [ალექსი-მესხიშვილი ნ. 1904: №103]. კურტაკი გარე სამოსად არჩილის პოემაშიცაა ნახსენები:

„გოგორისშვილს დაუთ ბეგსა მისი კურტაკი ჩააცო,

თვისსავ ლურჯსა ცხენსა შესვა, უთხრა: „აბა კაი კაცო,

ზოგი შუბით ჩამოაგდე, ზოგს ზურგზედა ლახტი სტკაცო“

ვინ მოგიხდეს, კარგად დახვდი, ვითა გმართებს შენ მამაცო“ [არჩილი. 1989: 468, სტრ. 690].

სამწუხაროდ, ქულაჯა, როგორც სათბუნებელი შიდა სამოსი, არაა დაცული მუზეუმის ფონდებში და არ მქონდა შესაძლებლობა დამეხასი-ათებინა ის ვიზუალურად.

***ქურთუკი,*** ისევე, როგორც ქულაჯა, ახალუხზე შემოსაცმელი სათ-ბუნებელი სამოსელია: „ახალუხზედა ქურთუკსა ჩაიცმევს იექლისაო“ [თეიმურაზ მეორე. 1939: 66. სტრ. 521]. თეიმურაზ II ქურთუკს, როგორც ტექსტიდან ჩანს, საშინაო სამოსად თვლის, იგი თურმე ახალუხზე ეცვა მეფეს შინ. შესაძლებელია, გამოითქვას ვარაუდი, რომ ზემოთ აღნიშნუ-ლი ქურთუკი და არჩილის მიერ დასახელებული კურტაკი ერთი და იგივეა. ვფიქრობ, დასაშვებია თანამედროვე ყოფაში დამკვიდრებული სიტყვა ქურთუკის გამოყენება, რომელიც ზოგადი სახელწოდებაა საგარეო ტანსაც-მელზე მოსაცმელი სამოსისა. ამავდროულად, ანალოგიური მნიშვნელობისაა არაქართული წარმოშობის კურტკა, ანუ კურტაკი. თუ კი ეს მოსაზრება მის-აღებია, მაშინ სიტყვა ქურთუკი და კურტაკი სინონიმები ყოფილა.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ქართულ წერილობით წყაროებში ხშირია ერთი სახეობის ნივთის საგარეოდ და საშინაოდ ხმარება, როგორც ეს აღ-მოჩნდა ქურთუკსა (საშინაოდ. თეიმურაზ II) და კურტაკთან (საგარეოდ. არჩილი) დაკავშირებით.

***ჯუბას*** იოანე ბატონიშვილი ზამთარში ჩასაცმელი ჯუბას მაგვარს უწოდებს: „ზეიდამ ბეწვეული საცმელი მუხლამდის გრძელი, მსგავსად ჯუბისა სახელვიწრო, და გამოყვანილი მკლავნი მას შინა, და ბრტყლად დადებული ორსავე მხარეს გულისა ბეწვი და კისერსა ზედაცა მოვლებული, გარნა ყელი ჰქონიათ შიშველი . . .“ [იოანე ბატონიშვილი. 1948: 225; ბარათაშვილი ი. 1950: 238-239].

***ჯუბა//ჯუბაჩა*** ძველ საქართველოში ზევიდან საცმელ, მოკლე და სახელოებდაკვეთილ კაცის ქურთუკს ეწოდებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ჯუბა ყოფილა როგორც ზეიმის, ასევე მწუხარების დროს ჩასაცმელი, რასაც ქსოვილის ფერი და ხარისხი განსაზღვრავდა. გრძელ ჯუბაჩასთან ერთად დასტურდება მოკლე ჯუბაც, რომელიც კაბაზე მოსაცმელ, მოკლესახელოიანი სათბილობელი იყო [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011: 603].

სეზონურ სამოსთა შორის მრავალგვარობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა **მოსასხამთა ტიპები**, რომლებიც XVII-XVIII სს-ის კედლის მხატრობის მიხედვით საკმაოდ ყოფილა გავრცელებული. ქტიტორ მამაკაცებსა და ქალებს ფერადოვანი მოსასხამები აცვიათ, რომელთა შორის ზოგიერთი–***უსახელო,*** ზოგიც კიდევ ***ცრუსახელოიანია.***

***უსახელო მოსასხამი*** გარეგნულად ტრაპეციულად აჭრილი და თავისუფლად მდგომი სამოსია. უმეტესწილად სახიანი სქელი ქსოვილისაგანაა ნაკერი. იგი ყელთან ერთი ღილით იკვრება. შესამკობლად სხვადასხვა ფერისა და ხარისხის ბეწვია გამოყენებული, რომელსაც ყელის გარშემო შემოაყოლებდნენ ხოლმე (სურ. 7, 8, 9, 11, 12, 18, 24, 39). ვხვდებით ასევე სადა, ბეწვგარეშე მოსასხამებსაც (სურ. 5-7, 21).

საგულისხმოა ისიც, რომ მოსასხამთა ნაწილი ბეწვგამოკრულია, ნაწილი კი–არა, რაც, სავარაუდოდ, მის სეზონურად გამოყენებაზე მიანიშნებს. მოსასხამის ***მეორე ტიპი,*** როგორც აღვნიშნეთ, ***ცრუსახელოიანია,*** რომელიც უსახელოსთან შედარებით მეტად სწორი და ძირს დაშვებულია. ამ სამოსსაც სარჩულად ბეწვი აქვს გამოკრული.

დიდგვაროვანი მამაკაცის ჩაცმულობისთვის სახასიათოა ***თავსაბურავების*** მრავალფეროვნება. მასალის მიხედვით ირკვევა, მოიხმარდნენ ტყავის, ნაბდისა და მრავალფეროვანი ფორმის დაბეწვილ ქუდებს.

ქართული ტერმინი ქუდი სპარსული „ხუდ“-ის (მუზარადი, რკინის ქუდი), გერმანული „Hut“-ისა და ინგლისური „hod“-ის მსგავსია. ოთხივე სიტყვა ქუდის აღმნიშვნელია [ჯავახიშვილი ივ 1962: 129]. ქართული ქუდების მრავალფეროვნება მოწმდება ი. ბარათაშვილის ნაწარმოებში: „ათი-თორმეტი ქუდი საჩეხი, თუშური ნაკერი ქუდი და ყაჯრული სხვადასხვა ფერი“. ზამთარში „კვერნის ქუდი“, ზაფხულში კი მსუბუქი. ხან საჩეხი, ხან თუშური და ხანაც სირმით ნაკერი [ბარათაშვილი ი. 1950: 341]. ვახუშტი ასახელებს „სკლატისაგან ანუ შალისაგან ნაკერ გრძელ-წვრილ ქუდს“ [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 64]. იოანე ბატონიშვილი კი–„ქუდს ბეწვითა შეკერილსა უფრო მაღალსა და სარქველიცა ყალამის თანასწორეს“ [იოანე ბატონიშვილი. 1948: 225].

არ. ლამბერტის აღნიშვნით, „თავადაზნაურები ქუდს იკერავენ ან წმინდა შალისაგან ანდა აბრეშუმისაგან; ზოგიერთები აქარგვინებენ მას ან ამკობენ თათრულად, სიასამურის ტყავით, რომელიც სპარსეთიდან მოა-

ქვთ“ [ლამბერტი არ. 1938: 44]. ნაბდის ქუდების შესახებ ცნობას გვაწვდის ემ. ლევიე, რომელიც თბილისში „ნაბდის და ბუხრის ქუდების“ მასობრივ ხმარებას აღნიშნავს [ჭყონია ალ. ჟურნ. „მოამბე“. 1894: №3].

წერილობით წყაროებში მოცემული ცნობები ძალიან მწირია. მუზეუმის ფონდში დაცული თავსაბურების მდიდარი კოლექციის საშუალებით შევეცდები დავახასიათო და შესაბამისად წარმოვადგინო ამ პერიოდში მამაკაცთა თუშური, ბუხრის, ტყავისა და ბეწვშემოვლებული ქუდები.

**ბუხრის, ანუ წიწაკა ქუდი** (სურ. 41), ეს სახელწოდება ქუდს წარმოშობისა და ფორმის მიხედვით ეწოდა. იგი ბუხარიდან შემოტანილი, ცხვრის კარგად დამუშავებული ტყავისაგან იკერებოდა და წაგრძელებული ფორმის გამო წიწაკა ქუდსაც ეძახდნენ. ბუხრის ქუდის მსგავსად, წარმომავლობის ლოკალური ადგილის მიხედვით ერქმეოდა სახელი განსხვავებული ფორმისა და მასალისაგან ნაკერ ქუდებს. იგივე ითქმის ყალმუხის ცხვრის ტყავისაგან დამზადებულ ქუდებზე [მოლოდინი ლ. 2010: 21].

ნ. ალექსი-მესხიშვილის გადმოცემით, ქართლელ-კახელები, თუშურის გარდა, ბუხრის შავ, მაღალ ქუდებს ატარებდნენ [ალექსი-მესხიშვილი ნ. 1904: №70]. იგი დასახელებულია ასევე ვინმე სოფლელის სტატიაში: „ქუდს იხურავდნენ ტყავისას, ძაბრისნაირს, ღეროზე წათლილი და შიგ წვეტად ფერადი ხავერდის ყალამოშვერილს, რომელსაც ბუხრის ქუდი ანუ წიწაკა ქუდი ეწოდებოდა“ [ვინმე სოფლელი. ჟურნ. „კლდე“ 1915: 11]. XIX-XX სს-ში ბუხრის ქუდი ტყავისაგან ნაკერი ქუდების საერთო სახელწოდებად იქცა [მოლოდინი ლ. 2010: 21; ელერდაშვილი ალ. 2006: 21].

**თუშური ქუდი** (სურ. 42), ისევე როგორც ბუხრისა, მის წარმოშობაზე მიგვანიშნებს. თუშური ქუდის სახელწოდებითა და იმავე თარგით აჭრილი ნაბდის ქუდები ქართლში, კახეთში, ხევსურეთში, მოსაზღვრე იმერეთის ნაწილსა (საჩხერე, კორბოული) და რაჭაშიც იყო გავრცელებული [მოლოდინი ლ. 2010: 31]. თუშურ ქუდს შოლტად წოდებული ნაბდის ნაჭრისაგან კერავდნენ. ქუდს ცაზე ღილს აკერებდნენ. თუშური ქუდი მოხსენიებულია ვახტანგ ორბელიანის 1707 წლის ქონების დავთარში [საქართველოს სიძველენი. ტ. 1909: 213].

**საჩეხი ქუდი** კიდეებიანი ქუდის ზოგადი სახელწოდებაა [ნანობაშვილი ი. 1973: 47]. იგი შეიძლება ყოფილიყო ტყავის, ნაბდის, ბეწვშემოვლებული. ბეწვშემოვლებული საჩეხი ქუდები, როგორც ჩანს, მეტად პოპულარული იყო, რადგან ამგვარი ქუდები ხურავთ კედლის მხატვრობის ნიმუშებზე გამოსახულ: მაღალაშვილების ოჯახის მამაკაცებს, ვახუშტი ბატონიშვილს, ჩიჯავაძეს, ჩიქვანსა და ოტია დადიანს (სურ. 4, 9, 10, 11, 21, 24).

**ყაჯრულიც** ქუდის ერთ-ერთი სახელწოდებაა, რომელიც, სავარაუდოდ, მის ლოკალურ წარმომავლობაზე მიანიშნებს. ყაჯარები თურქმენული წარმოშობის ტომია და თავიანთ თავს ყარაფაფახელებს უწოდებდნენ [Ghani C. 2000: 1]. ყაჯართა ტომი ირანის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და XVII-XVIII სს-ის მმართველ სეფიანთა დინასტიას უჭერდა მხარს. 1896 წელს მათ ირანი დაიკავეს და 1925 წლამდე მათი დინასტია მართავდა სახელმწიფოს. შესაძლოა, საქუდე მასალა ყაჯარიდან შემოდიოდა და კარგი ხარისხით იყო განთქმული, ისევე, როგორც თავრიზისა და ქირმანის შალი. რა ფორმის იყო ყაჯრული ქუდი, არაა ცნობილი, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი, „ყარაფაფახის“ (შავქუდიანი) მნიშვნელობიდან გამომ-

დინარე, კრაველის უნდა ყოფილიყო, ხოლო მასალის ფერის გათვალისწინებით - ყავისფერი, თეთრი და შავი.

მამაკაცის თავსაბურავად დ. კარლი „სომხური ყაიდის ქუდს ასახელებს“ რომელსაც წინა ნაწილი შიგნით აქვს ჩაკეცილი. ქუდს ირგვლივ „ხუჭუჭი მატყლი აქვს შემოვლებული, იმგვარად, რომ როდესაც თავზე ხურავთ, თმები გეგონებათ“. დიონიჯის მიერ სომხური ყაიდის ქუდად წოდებული ქუდი ძალიან ჰგავს ტყავისაგან შეკერილ ხევსურულ ქუდს, რომელსაც კიდეები მატყლის ბეწვით შემოუყვება. ქუდის ეს ტიპი დაცულია კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში ხევსურული ქუდის სახელწოდებით (საინვ. №59-26/37). (სურ. 43).

დ. კარლი ასევე იძლევა ცნობას იმის შესახებ, რომ „გიორგი XI-ეს თავზე ეხურა დიდი ***დოლბანდი***, ისეთივე, როგორსაც ჩვეულებრივ სპარსეთის შაჰები ატარებენ. მე რომ არ მცოდნოდა, რომ ეს გიორგი მეფე იყო, ისე მას ვერ ვიცნობდი“ [გიორგაძე ბ. 1951: 174].

დოლბანდის, ანუ ჩალმის მოხმარებას ასევე ამოწმებს თეიმურაზ I-ის სამეფო კარზე მოსული რუსი ელჩების–სტოლნიკ ტოლოჩანოვისა და დიაკ იევლიევის ჩანაწერები [Полиевктов М. 1926: 147].

ყიზილბაშური ჩალმის ფორმის ქუდებით არიან გამოსახულნი ქტიტორები ფრესკებზე. ე.წ. ტურბანის ფორმის თავსაბურავს ატარებდა თეიმურაზ I, თეიმურაზ II, ერეკლე II და ასევე დიდებულები (სურ. 6, 9, 14-17). ჩალმა იგივე ტურბანია. ტურბანს ამამასაც უწოდებენ. იგი სიმბოლურია და ატარებდნენ მუსლიმი მამაკაცები. გავრცელებული იყო წინა აზიაში. თავდაპირველად, იმისთვის იქნა შემოღებული, რომ არაბი ეთნოსი სხვა ეთნოსისაგან გამორჩეულიყო. შემდეგ კი ტურბანი გახდა ნიშანი, რომლითაც მუსულმანს არამუსულმანისაგან გამოარჩევდა. წინასწარმეტყველი ალ ჰადი ტურბანს არაბების გვირგვინს უწოდებდა. სხვა მხრივ იგია „ზღვარი“ მორწმუნეთა და არამორწმუნეთა შორის. მიუხედავად ტურბანის სიმბოლური დატვირთვისა, ის სხვადასხვა ვარიაციითაა ცნობილი. განსხვავდებოდა მისი ქსოვილი, ზომა, შემკულობა, თავზე შემოხვევისა და მენდილის (*Mendīl*). (ასე ჰქვია ქსოვილს, რომელსაც თავზე იხვევენ და ტურბანის ფორმას აძლევენ) დაბოლოებული ნაწილის დამაგრების ადგილი [http://www.iranicaonline.org/articles/amama-or-ammama-arabic-emama-the-turban]. საქართველოში ტურბანის თავსაბურავად მოხმარება, ისევე როგორც ტანისამოსისა, ირანული ზეგავლენის შედეგი იყო.

უპრიანი იქნება, თუ თავსაბურავების განხილვის შემდგომ თმის ვარცხნილობისაც მიმოვიხილავ, რადგან ის ქართული ესთეტიკური აზროვნების ერთ-ერთ ნიშანდობლივ საკითხად უნდა იქნას მიჩნეული. მითუმეტეს, რომ XVII–XVIII სს-ში მამაკაცის თმის ვარცხნილობა არცთუ ერთფეროვანია.

წერილობითი წყაროებითა და ვიზუალური მასალით დადგინდა, რომ თმის ვარცხნილობის სამი სახეობა ყოფილა გავრცელებული: თმაგადაპარსული, წინ ქოჩრით; მოკლედ შეჭრილი; ყურს უკან გადაწეული. მამაკაცები ატარებდნენ მოკლე და გრძელ წვერ-ულვაშს.

იტალიელი მოგზაური ი. ბარბარო, რომელმაც XV ს-ში, ბაგრატ VI (1466-1478) მეფობის დროს, იმოგზაურა საქართველოში, აღნიშნავს, რომ ქართველები ***თმას იპარსავენ,*** „ხოლო გარშემო იტოვებენ ცოტას,

როგორც ჩვენი აბატები“. ამას მოგზაური, ქართველების უშვერ, ახირებულ ზე-ჩვეულებად მიიჩნევს [ჟურნ. „მოამბე». 1894: 47].

თმის გადაპარსვის მიღებულ წესს დ. კარლიც ადასტურებს, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVII ს-ში, გიორგი XI-ის[14] (1676-1688) მეფობის დროს, იმოგზაურა საქართველოში, თბილისში. მისი გადმოცემით, თბილისში თავი თითქმის ყველას გადაპარსული ჰქონდა, ხოლო წინ ისეთ მოზრდილ ქოჩორს იტოვებდნენ, „გეგონებათ ნამდვილი თმა ეტარებინოთ“ [გიორგაძე ბ. 1951: 174; ალექსი-მესხიშვილი ნ. 1904: №63].

ვარცხნილობის მეორე სახეობა–***მოკლედ შეჭრილი თმაა,*** რომელიც ბუგეულის წმ. ღვთისმშობლის ეკლესიის (XVI ს.) სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე გამოსახულ ქტიტორთა გამოსახულებებით დასტურდება (სურ. 1-4). მოკლე თმას ატარებდა ერეკლე II (1762-1798), თეიმურაზ II (1744-1762) (სურ. 16, 17) და ვახუშტი ბატონიშვილი (სურ. 13).

ასევე დაბალი თმითაა წარმოდგენილი წმ. ესტატე პლაკიდა (სურ. 19, 20) XVIII ს-ის ნაქარგ ორ ქსოვილზე, რომლებზეც მას მუქი, მოკლედ შეჭრილი თმა-წვერი მოუჩანს.

ვარცხნილობის მესამე სახეობაა–***ყურს უკან გადაწეული თმა*** (სურ. 8). ასეთი ვარცხნილობა გვიანი შუა საუკუნეების მამაკაცებისათვის მიღებული იყო. ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 65]. ასეთი ვარცხნილობა აქვს ლევან კახთა მეფეს (1520-1574), რომელიც გამოსახულია გრემის მთავარანგელოზის ტაძრის დასავლეთი კედლის მარცხენა მონაკვეთში [საყვარელიძე ალ. 1990: 141]. ყურს უკან გადაწეული თმა მოუჩანთ ჭალის XVIII ს-ის ეკლესიის დასავლეთკედელზე გამოსახულ ქტიტორებსა [ხუსკივაძე ი. 2003: 274] და ნაკურალეშის წმ. გიორგის (XVII ს-ის 70-იანი წლები) ეკლესიაში გამოსახულ საერო პირებს[15]. თმის ასეთივე ვარცხნილობითაა წარმოდგენილი გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანი ვაჟთან ერთად (სურ. 5, 6) მარტვილში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში[16] (XVII ს-ის 80-იანი წლები).

მეფეთა და დიდებულთა ჩამოთვლილ პორტრეტებზე ნათლად ჩანს მოკლე ულვაშის, მოკლედ შეჭრილი წვერ-ულვაშისა და გრძელი წვერის ტარების წესი. დ. კარლის გადმოცემით, გიორგი XI-ის (1676-1688) „წვერ-ულვაში ორი დიდი და გრძელი ულვაშისაგან შედგება. ულვაში წვერითურთ, ლაწვის კანს გასდევს და ნიკაპთანაა თავმოყრილი. ასეთი წვერ-ულვაში ლამაზად გამოიყურება და მაღალ კაცს ძალიანაც უხდება. ვინც მაღალი ტანისა არ არის, ასეთები კი მცირეა, ანაგობის მაგივრობას სისქე ეწევა. ასე რომ ყოველმხრივ დიდებული იერი აქვთ [ქართველებს]“ [გიორგაძე ბ. 1951: 1947].

დასახელებულ საისტორიო წყაროებისა და იკონოგრაფიული გამოსახულებების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყურს უკან გადაწეული და მოკლედ შეჭრილი თმის ტარება მეფე-დიდებულთა შორის მიღებული ყოფილა, ხოლო ი. ბარბაროსა და დ. კარლის მიერ გადმოცემული თმის გადაპარსვის ჩვეულება ალბათ უფრო ქალაქის დაბალ ფენებში იყო გავრცელებული.

14 შაჰნავაზის შვილი გიორგი XI.

15 ფრესკის ასლი დ. კაკაბაძისა. 1913. ტილო, ზეთი. 361X205. სმ/სხსმ/მმ. საინვ. № 77. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

16 ასლი მ. მიქელაძე-ბაგრატიონისა. 1937 წ. ტილო, ზეთი. 214X189. სმ/სსმ. საინვ. № 3074.

სამოსისა და თავსაბურავის გარდა, საინტერესოა ფეხსამოსისა და ფეხსაცმლის ტიპებიც. აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში დიდგვაროვანი მამაკაცი საკმაოდ მრავლფეროვანსა და მრავალგვაროვან ფეხსამოს/ფეხსაცმელს ატარებდა.

ტერმინებს–ფეხსამოსსა და ფეხსაცმელს სულხან-საბა ორბელიანი განარჩევს ერთმანეთისგან: „ფერხსამოსი . . .არს წინდა, პაიჭი, კარაჭინი, ფეხთმაგი და მისთანანი, ხოლო ფერხსაცმელი: მაშია, წუღა ჩუსტი, ქალამანი, მოგვი და მისთანანი“, ხოლო ფეხსაცმელს რომ ძველად ხამლი ეწოდებოდა, ამის შესახებ ცნობას ივ. ჯავახიშვილი გვაწვდის [ჯავახიშვილი ივ. 1962: 153, 154].

ფეხსამოსის სახეობა – ***პაიჭი/პაჭიჭი*** (სურ. 44) ქართული კოსტიუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, იგი ფეხს კოჭიდან მუხლამდე ფარავს. მას წვივის საფარსაც უწოდებდნენ. პაჭიჭები მზადდებოდა ტყავისა და ქსოვილისაგან, გვერდებს უმკობდნენ ნაქარგობით, ქსოვილის ან ტყავის აპლიკაციებით. ხშირად ხმარობდნენ შალის ძაფისაგან ნაქსოვ პაჭიჭებს. პაიჭს აქვს საკოჭური [ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2009: 106]. მამაკაცები პაიჭს შარვალზე იცვამდნენ ზემოდან და წვივსაკრავით იმაგრებდნენ. ნაქსოვი და ქსოვილის პაჭიჭებს გარდა, იხმარებოდა ტყავის პაჭიჭიც [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 64; ბარათაშვილი ი. 1950: 238-239].

წერილობით წყაროებში ***წინდა*** (სურ. 46) განმარტებული და დახასიათებული არაა. ამიტომ მას განვიხილავ ქსოვილების ფონდში დაცული მასალის მიხედვით. წინდა ფეხსამოსის ერთ-ერთი სახეობაა. ქსოვენ მატყლის, აბრეშუმის [ლამბერტი არ. 1938: 45], ბამბისა და ყაჭისაგან. ქსოვდნენ მაღალყელიანსა და დაბალყელიანს. მამაკაცები მაღალყელიან წინდას არ ატარებდნენ, ისინი დაბალყელიან წინდას იცვამდნენ. წინდას განარჩევდნენ სადასა და ჭრელს. სადა, თეთრი და შავი ფერის წინდები საქორწილოდ და სამგლოვიაროდ იყო განკუთვნილი, ხოლო ჭრელს უფრო საშინაოდ ხმარობდნენ [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011:543]. წინდა ნახსენებია ასევე იოანე ბატონიშვილის თხზულებაში [იოანე ბატონიშვილი. 1990: 504]. წინდის სინონიმად ქართულ ენაში დამკვიდრებული იყო სპარსული სიტყვა (*Jūrāb*) [Dozy R. 1845: 126]. ქართულ წინდასა და ირანულ ჯორაბს შორის მასალისა და ქსოვის ტექნიკის მიხედვით სხვაობა არ იყო. წინდა ჯორაბად ვახუშტი ორბელიანის ქონების სიაშია დასახელებული [საქართველოს სიძველენი. 1909: 213]. ჯორაბი ასევე გვხვდება იოანე ბატონიშვილთანაც [იოანე ბატონიშვილი. 1990: 224].

ფეხსამოსის ერთ-ერთი დეტალია ***წვივსაკრავი*** (სურ. 45)***,*** რომელიც პაიჭზე შემოსაკრავი ზონარია. იგი შალის ძაფისაგანაა დაწნული ან დაგრეხილი, უფრო სადა და უბრალოა, ვიდრე ***ჩახსაკრავი***. ჩახსაკრავი ფირფიტაზე ნაქსოვი ვიწრო და ბრტყელი ზონარია, დაახლოებით 2-3 სმ სიგანის. გვხვდება სახიანი, წარწერიანი და ორნამენტებიანი ჩახსაკრავები. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში წვივსაკრავსა და ჩახსაკრავს მუხლსაკრავსაც უწოდებენ [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011: 543].

მრავალფეროვნებით გამოირჩევა სამამაკაცო ***ფეხსაცმლის*** სახეობები. ერთ-ერთი ასეთია ***ბანდულები*** (სურ. 47), რომლებიც მთაში სასიარულოდ იყო განკუთვნილი. ბანდულებს მოუქნელი ტყავისაგან კერავდნენ. მათი ძირი დაწნული ლანჩისა იყო [ორბელიანი ს.ს. 1991 a: 94; ქართული

ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1986: 57; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011: 20]. როგორც არ. ლამბერტი აღნიშნავს, იგი საგლეხო ფეხსაცმელი იყო, მაგრამ ბატონებიც ხმარობდნენ ნადირობის დროს [ლამბერტი არ. 1938: 38-41].

ბანდულს ხმარობდნენ XX ს-ის 20-30-იან წლებამდე.

**მაშია** (სურ. 6, 9, 21, 24, 39) ქოშის მსგავსი უცხვირო, ქუსლიანი ფეხსაცმელია [ორბელიანი ს.ს. 1991 a: 449; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1986: 285]. კერავდნენ სხვადასხვა ფერისა და ხარისხის ტყავისაგან [ლამბერტი არ. 1938: 38-41; ბარათაშვილი ი. 1950: 197] უმეტესად იგი სამეფო ფეხსაცმელი იყო, ატარებდნენ დიდგვაროვნებიც. იგი აცვია მარიამ დედოფალსა და მის შვილ ოტიას[17], გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანსა და მისი ოჯახის წევრებს[18], ასევე ჩიჯავაძეების ოჯახს[19]. მაშია, როგორც კავკასიური ფეხსაცმლის ტიპი, მთელ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული. მას ხმარობდნენ XX ს-ის პირველ მეოთხამდეც.

***მოგვი*** (სურ. 2-5, 11, 12, 19, 20, 23, 48), ისევე, როგორც მაშია, სამეფო-სადიდგვაროვნო ფეხსაცმელია. იგი უძიროა და მაღალყელიანი, რომელიც ადრეული პერიოდიდან (VI-XIV სს.) XVII-XVIII სს-ის ძირითადი ფეხსაცმელია [ჩოფიკაშვილი ნ. 1964: 141-143; ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 371]. მოგვი მოსავთ ბუგეულის ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებზე გამოსახულ ქტიტორებს [ხუსკივაძე ი. 2003: 232].

**ქოში** (სურ. 49) ქუსლიანი ფეხსაცმელია, რომელსაც ცხვირზე ჭვინტს-კაუჭს უკეთებდნენ სილამაზისათვის. ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია ნახევრად ღია, ამოღებული, ენიან-საფერხულიანი და ბლაგვცხვირიანი ქოშები. ქოში უმეტესად, საშინაო ფეხსაცმელი ყოფილა. მას, როგორც ჩანს, მოხერხებულობის გამო ლოცვის დროს იცვამდნენ [ბარათაშვილი ი. 1950: 189]. ქოში, მაშიის მსგავსად, მთელ კავკასიაში იყო გავრცელებული.

**ჩექმა,** სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „თურქთა ენაა“ და ქართულად მოგვი ჰქვია. იგი მაღალყელიანი, ლანჩიანი ტყავის ფეხსამოსია (სურ. 51, 52) [ორბელიანი ს.ს. 1991 b: 319]. დამოწმებულია ჩექმის სხვადასხვა სახეობა: ჩექმა ქართული ცხვირმოკაუჭებული, ჩექმა თავადური, ყაითნით, ბუზმენტებითა და ფუნჯებით მორთული, ჩექმა სირაჯული, უფუნჯო და სხვ. ჩექმის ძირებსა და ქუსლებს ლურსმნებითა და ნალებით ამაგრებდნენ გამძლეობისათვის. დასტურდება ასევე ჩექმა, რომელსაც ოთხი თითის სისქის დეზებს უკეთებდნენ ქუსლზე [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011: 517; გიორგაძე ბ. 174]. ამგვარი ჩექმის ხმარებას არჩილიც ადასტურებს:

„ტანსა და ფეხსა გაწყობა კარგი რამ საცოდნი არის,
ქარქაშის კარგა ობორბლა, ჩექმა დეზითურთ კმა არის,

17 ქართლის დედოფალი მარიამ დადიანი და მისი ვაჟი ოტია გურიელი. XVII ს-ის 40-იანი წლები. სვეტიცხოველი, ქართლი. ასლი დ. კაკაბაძისა. 1912 წ. ტილო, ზეთი. 200X127 სმ. სხსმ/მმ. საინვ.№400.

18 გიორგი ლიარტიან-ჩიქვანის ოჯახის საქტიტორო კომპოზიცია. XVII ს-ის 80-იანი წლები. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, მარტვილი, სამეგრელო. ასლი მ. მიქელაძე-ბაგრატიონისა. 1937 წ. ტილო, ზეთი. 214X189 სმ. სხსმ/მმ საინვ.№3074.

19 ჩიჯავაძეთა საქტიტორო პორტრეტი. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია, საჩინოს ვანი, იმერეთი. XVII ს. ასლი თ. კიუნესი. 1914. ტილო, ზეთი. 185X170 სმ. სხსმ/მმ. საინვ.№ 119.

უჩირქოთ წმინდათ ხმარება, კლავ გასცის და მოიხმარის“ [არჩილი. 1989: 552. სტრ.11].

ჩექმა დღესაც ტყავისაგან ნაკერ, ქუსლიანსა და მაღალყელიან ფესაცმელს ჰქვია.

**წუღა** (სურ. 52, 53) უყელო და დაბალყელიანი ფეხსაცმლის ზოგადი სახელწოდებაა [ჯავახიშვილი ივ. 1962: 159]. კერავდნენ სხვადასხვა ფერის ტყავისაგან. ვახუშტი ბატონიშვილი წუღის რამდენიმე ტიპს განასხვავებს: კილიტებიანი, მოხდილი, ყურიანი, თასმებიანი, მაღალპირიანი. ქალაქში გავრცელებული ე.წ. სარაჯული წაღა ყოფილა, რომელსაც მოღუნული წვერი და ქუსლზე ნალი ჰქონდა. ყელი კი ფუნჯიანი ყაითნით ეკვრებოდა. წუღას ყურიან ჩუსტებსაც უწოდებდნენ. ზოგიერთს ქუსლის ზევით ჩაცმის გასაადვილებლად ყურები ჰქონდა გაკეთებული [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011: 539].

ამგვარად, ქართული ვიზუალური (კედლის მხატვრობისა და მინიატიურების) მასალის, წერილობითი წყაროებისა და მოგზაურთა ჩანაწერების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ XVII-XVIII სს-ში ქართველი მამაკაცის კაბა იკერებოდა ირანული, ხშირად სახიანი ქსოვილისაგან. მასალად გამოიყენებდნენ ფარჩას, აბრეშუმს, შალსა და მაუდს. თარგის მიხედვით სამამაკაცო კაბა იყო ერთიანი, წელში გამოყვანილი, ზედატანი–მომდგარი, ქვედატანი–გაშვებული, წვივამდე სიგრძის. დადასტურდა ასევე შედარებით მოკლე, მუხლს ზემოთ სიგრძის კაბები. წინ მთლიანად ჩახსნილ კაბას იკრავდნენ სხვადასხვა ფორმისა და ხარისხის ღილებით. გულისპირს ამკობდნენ ყაითნებითა და ჩაფრასტებით, გვხვდება სადა გულისპირიანი კაბებიც. დადასტურდა საყელოს ორი ტიპი: დაბალი მდგარი და უსაყელო. ასევე დადასტურდა ორი სახის სახელო: ერთი–მკლავზე მომდგარი და უყოშო, მეორე–ყურთმაჯიანი და ყოშიანი.

დიდგვაროვნები ატარებდნენ ოთხი სახეობის ახალუხს: 1. მუხლამდე; 2. გრძელ, დაბამბულსა და გულგადაფარებულს; 3. ქართულ ნაოჭიანს; 4. ყურთმაჯგახსნილ, ყოშიანსა და ჩაქშედგმულს. მეორე ტიპის ახალუხი ირანულთან დიდი მსგავსებით გამოირჩევა. მესამე ე.წ. ქართული ნაოჭიანი, „მოქალაქისა“ და ქართლელი გლეხის ახალუხის მსგავსად შეიძლება ჩაითვალოს.

ამავე პერიოდში ქართველი მამაკაცები ქვედა სამოსად უბეგანიერსა და ტოტებგანიერ შარვალს ხმარობდნენ. შარვლის გარდა, ატარებდნენ ჩახჩურს, საწარმართულოსა და პერიკამს.

აღწერილი მასალის მიხედვით დამოწმდა მძიმე და მსუბუქი ქსოვილისაგან ნაკერი მოსასხამებიც. მძიმე ქსოვილისაგან ნაკერ მოსასხამებს ხშირად ამკობდნენ ბეწვით და, სავარაუდოდ, კერავდნენ დიბის, ქირმანშალის, სქელი ფარჩისა და ხავერდისაგან. საგაზაფხულო-საზაფხულო მოსასხამებს კი შედარებით მსუბუქი ქსოვილებისაგან - დარაია-აბრეშუმისაგან იკერებოდა.

აღნიშნული პერიოდის მამაკაცის თავსაბურავთაგან გავრცელებული იყო: ბუხრის, ანუ წინაკა, თუშური, საჩეხი, ყაჯრული ქუდი. დადასტურდა ასევე მაჰმადიანური დოლბანდის, ანუ ტურბანის ტარება, რაც ირანული კულტურის ძლიერ ზეგავლენაზე მიანიშნებს.

დიდგვაროვან მამაკაცთა თმის ვარცხნილობის სამი სახეობა დადასტურდა. ატარებდნენ: ა) გადაპარსულ თავს, წინ ქოჩრით; ბ) მოკლედ

შეჭრილსა და გ) ყურს უკან გადაწეულს. მამაკაცები ატარებდნენ მოკლესა და გრძელ წვერ-ულვაშს.

ფეხსამოსად ხმარობდნენ პაჭიჭს, დაბალყელიან წინდას, ჯურაბს, წვივსაკრავსა და ჩახსაკრავს. ფეხსაცმლებად ხშირად იყენებდნენ ბანდულებს, მაშის, მოგვს, ქოშს, წუღასა და ჩექმას.

კვლევის მიხედვით გაკეთდა დასკვნა, რომ გვიანი შუა საუკუნეების ქართლის პოლიტიკური მდგომარეობის შესატყვისად დიდგვაროვან მამაკაცთა სამოსში შეიმჩნევა აღმოსავლეთის ქვეყნების (ირანი, თურქეთი), განსაკუთრებით კი, ირანის გავლენა. ეს ვლინდება როგორც სამოსის მასალასა (ქსოვილი) და ფორმებში (გულისპირი, ყოში . . .), ასევე ფერთა სიჭრელესა და აქსესუარებში.

**ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY**

**Guliko Kvantidze**

Georgian National Museum. Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
gulikokvantidze@yahoo.com

# Clothes of Noblemen in the 17th-18th cc. East Georgia

**Summary**

According in the research of the early and late medieval archaeological and ethnographical literary, historic, memorial, wall paintings and miniatures, clothes of the noblemen of the 17th-18th cc. consisted of the following items: a dress, "Akhalukhi", trousers, a belt, various of felt headgears, internal and season clothes, shoes and boots.

The article covers the following topics: elements of the clothes from that particular period, material for clothes design, patterns and accessories, as well as the hairstyle.

Similarities are also found in the history of the clothes in Oriental countries (Iran, Turkey) due to the existence of Iranian-Turkish elements of researched clothes. Probably this could be caused by Georgia`s close political and economic relations with those Muslim countries.

In terms of the reconstruction of the clothes, the elements of the same clothes existed in the practice in the late Medieval period as well as in the first half of the 19th-20th cc. In the article clothes kept in the funds of the Georgian National Museum are described.

According to the research the Georgian clothes somehow were under the foreign countries` (Iran, Turkey) influence, but despite that they have not lost their national originality and shape.

# ბიბლიოგრაფია


**ალექსი-მესხიშვილი ნ. 1904:** ფელეტონი ისტორიული პიესის წარმოდგენის გამო. გაზ. *„ივერია": № 63; № 70. №103 ტფილისი.*

**არჩილი. 1989:** გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა. *ქართული მწერლობა, ტ.6*, თბილისი.

**ბარათაშვილი გ., ბურჭულაძე ნ. 2012:** ფერწერული ხატები და ნაქარგი ქსოვილები წმინდა ესტატე პლაკიდას გამოსახულებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. *სემმ. ტ. III (48-B).* გვ. 310-327. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ბარათაშვილი ი. 1950:** *ცხოვრება-ანდერძი.* თბილისი (რედ. ა. იოსელიანი).

**ბერძენიშვილი ნ. 1953:** *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა.* წ. II. თბილისი.

**გაბაშვილი ვ. 1976:** ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში. *სიამ.* წ.I. თბილისი.

**გიორგაძე ბ. 1951:** დიონიჯო კარლის ცნობები თბილისის შესახებ (მე-17 ს.). *მსკი. ნაკ. 29. გვ. 157-182.* თბილისი.

**ელერდაშვილი ალ. 2006:** უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი 3 ტომად. I-ლი გამოცემა. თბილისი.

**ვახუშტი ბატონიშვილი. 1941:** *აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია*). თბილისი.

**ვინმე სოფლელი. 1914:** „ქართული ეროვნული ჩაცმულობა" (ქართული დრუჟინის გამო), ჟურნ. „კლდე". 40.

**ვინმე სოფლელი. 1915:** „ქართული ეროვნული ჩაცმულობა" (ქართული დრუჟინის გამო), ჟურნ. „კლდე". 1.

**თეიმურაზ მეორე. 1939:** *სარკე თქმულთა.* თხზულებათა სრული კრებული. თბილისი.

**იოანე ბატონიშვილი. 1990:** *ხუმარსწავლა.* წ. II. თბილისი (რედ. ა. იოსელიანი).

**იოანე ბატონიშვილი. 1948:** *კალმასობა.* ტ 2. თბილისი (რედ. ალ. ბარამიძე).

**იაშვილი მ. 1974:** *მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნი).* თბილისი.

**ლამბერტი არ. 1938:** *სამეგრელოს აღწერა*. თბილისი.

**მოლოდინი ლ. 2010:** მამაკაცის ქართული ქუდები და თავსაბურავები. *ეთნოლოგიური ძიებანი. ტ. IV გვ 19-46* თბილისი.

**ნანობაშვილი ი. 1973:** *ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში.* თბილისი.

**ორბელიანი სულხან-საბა. 1991 a:** ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბილისი.

**ორბელიანი სულხან-საბა. 1991 b:** ლექსიკონი ქართული. ტ. II. თბილისი.

**ჟურნ. „მოამბე" 1894:** იტალიელი მოგზაურები საქართველოში მე-XV საუკუნეში. *თვიური ჟურნალი. წელიწადი პირველი. № XI* ტფილისი.

**საყვარელიძე ალ. 1990:** საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ.5. თბილისი.

**საქართველოს სიძველენი. 1909:** ტფილისი.

**სხეც. ფ.** S 1489: დავით ფანასკერტელ-ციციშვილი. ფონდი S-1489.

**ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2009:** თბილისი.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1986:** თბილისი.

**ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011:** თბილისი.

**შარდენი ჟ. 1935:** *მოგ ზაურობა საქართველოში.* თბილისი.

**ჩაჩაშვილი გ. 1957:** ქართლელი გლეხი მამაკაცის კოსტიუმი XIX საუკუნისა. *სსმმ. XIX- A და XX-B. გვ. 377-403* თბილისი.

***ჩიტაია გ. 1940:*** ეთნოგრაფიული პარალელები, ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმელი. *სმამ. ტ. I. №4. თბილისი.*

**ჩოლოყაშვილი კ. 1957:** ქართული საჭურველი (ჩაჩქანი), *სსმმ. ტ. XIX-A XXI-B. გვ. 333-356* თბილისი.

**ჩოფიკაშვილი ნ. 1964:** *ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.).* თბილისი.

**ჩუბინაშვილი დ. 1984:** ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი.

**ჭყონია ალ. 1894**: ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში. ქუთაისი და ტფილისი. *ჟურნ. „მოამბე". №3.* თბილისი.

**ხუსკივაძე ი. 1976:** *ქართული საერო მინიატიურა. XVI-XVIII სს.* თბილისი.

**ხუსკივაძე ი. 2003:** *ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური" მოხატულობანი.* თბილისი.

**ჯავახიშვილი ივ. 1962:** *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ.* III-IV. თბილისი.

**Полиевктов М. 1926:** Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлиева в Имеретию 1650-1652 г.». Тифлис.

**Āsaf M. 1986**: Rostam al-tawarik, tr. B. Hoffman as Persische Geschichte 1694-1835 erlebt, erinnert und erfunden*, Das Rustam al Tawarikh in deutscher Bearbeitung,* 2 vols., Berlin.

**Bahmanbīgī M. 1988:** *Korzā-konūn*, *Āyanda.*

**Chardin J. 1711:** *Voyages de monsieur le chevalier Chardin, en perse, et autres lieux de l`Orient II.* Amsterdam.

**Fallāh R. 1971**: *"Ādāb wa rosūm wa tašrīfāt-e darbar-e ḥazna az ḥelāl-e Tārīḫ-e Bayhaqī," Yād-nāma-ye Abu'l-Fażl Bayhaqī*, Mašhad.

**Dozy R. P. A. 1845:** Dictionnaire detaille des noms des vetements chez les Arabes. Amsterdam.

**Floor W. 1999:** *The Persian Textile Industry in Historical Perspective. 1500–1925.* Paris.

**Ghani C. 2000**: *Iran and the Rise of the Reza Shah: From Qajar Collapse to Pahlavi Power.* I.B.Tauris.

**Karimzada M. 1991:** *Ahwal wa atar-a naqqasan-e qadim-e Iran III*, London.

**Lang D. 1964:** A Georgian Embroidery Panel in Hull. *Bulletin of the School of Oriental and African Studies.* vol. 27. no.3. London.

**Neumann R., Gerhard M. 1988:** *Persische Seiden Die Gewebekunst der Safawiden und ihrer Nachfolger.* Leipzig.

**Otter J. 1748:** *Voyage en Turquie et en Perse.* 2 vol. Paris.

**Rajabī P. 1971:** *Lebās o ārāyeš-e Īrānīān dar sada-ye davāzdahom-e hejrī, Honar o mardom.*

http://www.iranicaonline.org/articles/belts

http://www.iranicaonline.org/articles/clothing-xxvii

http://doczine.com/bigdata/2/1365796236–d6027675e6/roxanearticle.txt

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1-4** ქტიტორები. მთავარანგელოზის ეკლესია. XVI ს. ჩრდილოეთი კედელი ბუგეული. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი. ასლი კაკაბაძისა. შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

**სურ.6.** ქტიტორები. გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანის ოჯახი. XVII ს-ის 80-იანი წლები. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. მარტვილი. სამეგრელო. ასლი მ. მიქელაძე-ბაგრატიონისა. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

**სურ.7.** ქტიტორები. ჩიჯავაძეები. XVII ს. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია. საჩინოს ვანი. იმერეთი. ასლი თ. კიუნესი. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

**სურ.8.** ლუარსაბ II (წიგნიდან-Сабинин Гоброн (Михаил). Полное жизнеописание святых грузинской церкви, Оп. в 2-х частях в СПб., 1871)

**სურ.9.** ნინოწმინდის ტაძრისადმი ბოძებული სიგელი. 1708 წ.

**სურ.10.** მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი. მინიტიურა. 1720 წ.

**სურ.11.** მეფე ვახტანგ VI

**სურ.12.** ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. 1659 წ. (წიგნიდან-Сабинин Гоброн (Михаил). Полное жизнеописание святых грузинской церкви, Оп. в 2-х частях в СПб., 1871).

**სურ.13.** ვახუშტი ბაგრატიონი

**სურ.14.** კახეთის მეფე ალექსანდრე II

**სურ.15.** ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I

**სურ.16.** ქართლის მეფე თეიმურაზ II

**სურ.17.** ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II

**სურ.18.** ლევან კახთა მეფე. გრემის მთავარანგელოზის კომპლექსი. XVI ს.

**სურ.19.** ესტატე პლაკიდა და მისი ოჯახი. ფერწერული ხატი. მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერი. გვიანი შუა საუკუნეები

**სურ.20.** ესტატე პლაკიდა და მისი ოჯახის გამოსახულება. ფერწერული ხატი. დავით ლენგის კერძო კოლექცია. ინგლისი. გვიანი შუა საუკუნეები

**სურ.21.** ქტიტორები. თავად მაღალაძის სასახლე. 1720-იანი წლები

**სურ.22.** თეიმურაზ II-ის სამეფო კაბა. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი

**სურ.23.** ნადირ შაჰის პორტრეტი. XVIII ს. ჟენევის ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმი

**სურ.24.** ქართლის დედოფალი მარიამ დადიანი და მისი ვაჟი ოტია გურიელი.

სვეტიცხოველი. ქართლი. ასლი დ. კაკაბაძისა. ხელოვნების მუზეუმი. XVII ს.

**სურ.25.** შაჰ-აბასის ბანკეტი უცხოელი კეთილშობილებისათვის. XVII ს. ჩიილ სოთუნის სასახლის ჭერის კომპოზიცია.

**სურ.26.** ირანული მინიატიურა. XVII-XVIII სს.

**სურ.27.** ყურთმაჯიანი კაბა-ახალუხი. XIX ს. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი.

**სურ.28.** ყურთმაჯიანი და ყოშიანი ახალუხი. XIX ს. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ. 29-30.** ალექსანდრე ბატონიშვილის ახალუხი. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი

**სურ.31.** დაბამბული საზამთრო ახალუხი. XIXს. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.32.** ქართული ახალუხის ტიპები. XIXს. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.33-34.** დოშლულიანი ახალუხი. XIXს. ს.იმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.35.** ქართული ახალუხის ტიპები. XVII ს-ის ბოლო, XIXს. დას. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.36.** ქართლელი გლეხის შარვალი. XVIII ს-ის ბოლო, XIXს. დას. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.37.** ლითონის სარტყლის ტიპი. XVIII ს-ის ბოლო, XIXს. დას. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.38.** ქსოვილის სარტყლის ტიპი. XVIII ს-ის ბოლო, XIXს. დას. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.39.** მეფეთ-მეფე ალექსანდრე (1417-1442) 1847 წ. XVIს-ის I ნახევარი

**სურ.40.** ქართული ნაბადი. XIXს. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.41.** ბუხრის ანუ წიწაკა ქუდი. XIXს. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.42.** თუშური ქუდი. XIXს. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.

**სურ.43.** ხევსურული ქუდი. XVIII ს-ის დასასრული, XIXს. დასაწყისი. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.44.** პაჭიჭი. XIXს. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.45.** წვივსაკრავი და ჩახსაკრავი. XVIII ს-ის დასასრული, XIXს. დასაწყისი. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.46.** წინდის სახეობები. XVIII ს-ის დასასრული, XIXს. დასაწყისი. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.47.** ბანდულები. XVIII ს-ის დასასრული, XIXს. დასაწყისი. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.48.** მოგვი

**სურ.49.** ქოში. XVIII ს-ის დასასრული, XIXს. დასაწყისი. სიმონ ჯანაშიას

სახელობის საქართველოს მუზეუმი.

**სურ.50.** მაღალყელიანი ჩექმა. XVIII ს-ის დასასრული, XIXს. დასაწყისი. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.51.** ფეხსაცმლის სახეობანი. XVIII ს-ის დასასრული, XIXს. დასაწყისი. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.52-53.** წუღა/ჩუსტი. XVIII ს-ის დასასრული, XIXს. დასაწყისი. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

**სურ.54.** ირანული ქსოვილის ნიმუში. XVII ს.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1-4.** Donators. St. Archangel Michael Church. Bugeuli. North wall. Ambrolauri. 16$^{th}$ c.

**Fig. 5.** Donators. St. George Church Nakuraleshi. 17$^{th}$ c. Copy by D. Kakabadze. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts

**Fig. 6.** Donators. Dormition Church. Donation composition of George The Lipartian-Chiqvani family. Martvili. Samegrelo. Copy by M. Mikeladze-Bagrationi. 17$^{th}$ c. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts

**Fig. 7.** Donators. St. Archangel Michael`s Church. Chijavadzes` Donor portrait. Sachino Vani. Imereti.Copy by T. Kiune. 17$^{th}$ c. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts.

**Fig. 8.** King Luarsab II, (from the book: Полное жизнеописание святых грузинской церкви, Оп. в 2-х частях в СПб., 1871)

**Fig. 9.** The Deed of donation to the St. Nino`s chuch 1708

**Fig. 10.** King Vakhtang V. Shahnavaz, miniature, 18$^{th}$ c.

**Fig. 11.** King Vakhtang VI

**Fig. 12.** Bidzina Cholokashvili, Shalva and Elizbar Ksani governors 17$^{th}$ c. Сабинин Гоброн (Михаил). Полное жизнеописание святых грузинской церкви, Оп. в 2-х частях в СПб., 1871

**Fig. 13.** Vakhushti Bagrationi

**Fig. 14.** King of Kakheti Alexander 2$^{nd}$

**Fig. 15.** King of Kartli and Kakheti Teimuraz 1$^{st}$

**Fig. 16.** King of Kartli Teimuraz II$^{nd}$

**Fig. 17.** King Of Kartli and Kakheti Erekle 2$^{nd}$

**Fig. 18**. King Of Kakheti Levan St. Archangel Michael Church Gremi. 18$^{th}$ c

**Fig. 19.** St Eustace Placidu and his family. Panel embroidery. Samtavro Mather`s Church Mckheta **Fig. 20.** St Eustace Placidu and his family. Panel embroidery. David Lang`s private collection.

**Fig. 21.** Donators. Magaladze`s palace 18$^{th}$ c.

**Fig. 22.** King Attire of Teimuraz II$^{nd}$. S. Janashia Museum of Georgia

**Fig.23.** Men wearing Kolah-e naderi. Geneva Museum of Art History. 18$^{th}$ c.

**Fig.24.** Queen of Kartli Mariam Dadiani and her son Otia Gurieli. Svetitskoveli. Kartli. Copy by D. Kakabadze. 17$^{th}$. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts

**Fig.25.** Shah Abbas the II holding a banquet for foreign dignitaries. Detail from a ceiling fresco at the Chehel Sotoun Palace in Isfahan. $17^{th}$ c.

**Fig.26.** Persische Miniaturen . $17^{th}$-$18^{th}$cc.

**Fig.27.** Men`s dress with "Kurtmadji" (open air sleeves). S. Janashia Museum of Georgia $19^{th}$ c.

**Fig.28.** Men`s attire "akhalukhi" with "kurtmaji"(open air sleeves) and "koshi" (end ing of a sleeve, upper part of the wrist) $19^{th}$ c.

**Fig.29-30.** Akhalukhi of Alexander Batonishvili. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts. $18^{th}$c.

**Fig.31.** Wintry wadded akhalukhi. S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$ c.

**Fig.32.** Types of Georgian "akhalukhes". S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$ c.

**Fig. 33-34.** Types of Georgian "Doshlugiani akhalukhi". S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$ c.

**Fig.35**. Types of Georgian akhalukhes

**Fig.36.** Type of Georgian peasent trousers

**Fig.37.** Type of metal belts. S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$ -$20^{th}$ cc.

**Fig.38.** Textile belts. S. Janashia Museum of Georgia. Late $19^{th}$ c.

**Fig.39.** King of king Alexander (1417-1442) $15^{th}$ II part

**fig.40.** Georgian felt cloak. Late $19^{th}$ c.

**Fig.41.** Men`s headgear "Bukhris/tsitsaka qudi". S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$ -$20^{th}$ cc.

**Fig.42.** Men`s headgear "Tushuri qudi". S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$ -$20^{th}$ cc.

**Fig.43.** Men`s headgear "Khevsuruli qudi". S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$ -$20^{th}$ cc.

**Fig.44.** Men`s footwears-"Pachichi". S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$ -$20^{th}$ cc.

**Fig.45.** Men`s footwears detail "Chakhsakravi/tsvivsakravi". S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$-$20^{th}$ cc.

**Fig.46.** Types of footweares "Tsinda". S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$ -$20^{th}$ cc.

**Fig.47.** Types of shoes "Bandulebi". S. Janashia Museum of Georgia. $19^{th}$ -$20^{th}$ cc.

**Fig.48.** Types of shoes "Mogvi"

**Fig.49.** Types of shoes "Qoshi"

**Fig.50.** Types of shoes "Cheqma"

**Fig.51.** Types of shoes

**Fig.52-53.** Types of shoes "Tsuga/Chusti"

**Fig.54.** Type of Iranian textile. $17^{th}$-$18^{th}$cc.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



**სურ. 3 Fig.**



**სურ. 4 Fig.**



**სურ. 5 Fig.**



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.



სურ. 11 Fig.



სურ. 12 Fig.



სურ. 13 Fig.



სურ. 14 Fig.



სურ. 15 Fig.



**სურ. 16 Fig.**



**სურ. 17 Fig.**



**სურ. 18 Fig.**





სურ. 19 Fig.

სურ. 20 Fig.



სურ. 21 Fig.



სურ. 22 Fig.



სურ. 23 Fig.



სურ. 24 Fig.



სურ. 25 Fig.



სურ. 26 Fig.



სურ. 27 Fig.



სურ. 28 Fig.



სურ. 29 Fig.



სურ. 30 Fig.



სურ. 31 Fig.



სურ. 32 Fig.



სურ. 33 Fig.



სურ. 34 Fig.



სურ. 35 Fig.



სურ. 36 Fig.



სურ. 37 Fig.



სურ. 38 Fig.



სურ. 39 Fig.



სურ. 40 Fig.



სურ. 41 Fig.



სურ. 42 Fig.



სურ. 43 Fig.



სურ. 44 Fig.



სურ. 45 Fig.



სურ. 46 Fig.



სურ. 47 Fig.



სურ. 48 Fig.



სურ. 49 Fig.



სურ. 50 Fig.



სურ. 51 Fig.



სურ. 52 Fig.



სურ. 53 Fig.



სურ. 54 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 205-211
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 205-211

## ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

**ცისნამი სიდამონიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: ts.Sidamonidze@mail.ru

# ხომლი - გასანათებელი ხელსაწყო XVII-XIX საუკუნეების საქართველოში

წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება გასანათებელ ხელსაწყოს, რომელიც „ხომლის" სახელწოდებითაა ცნობილი.

ამ საკითხზე სპეციალური გამოქვეყნებული ლიტერატურა არ არსებობს. ჩვენ გარდა წერილობითი წყაროებისა, ვსარგებლობთ სიძველეთსაცავებში დაცული ხომლების ძველი ნიმუშებით.

ხომლი განეკუთვნება სასანთლე-შანდლების იმ ჯგუფს, რომელიც ჭერზე იკიდებოდა და მხოლოდ სანთლების საშუალებით ნათდებოდა [გაბოძე ც. 2010: 332]. იგი დღევანდელი ჭაღის წინამორბედია და შედგება ლითონის ჩამოსაკიდი კაუჭისაგან, ღეროსა (ჯაჭვი) და მის გარშემო წრიულად განლაგებული სანთლის ჩასამაგრებელი ბუდეებისაგან ანუ კალათისგან (სურ.2).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ხომლი–ქორაკანდელი, მრავალსასანთლეა." იქვე ქორაკანდელთან დაკავშირებით კი ვკითხულობთ: „საკიდარი ხომლი. ქორაკანდელი არს მაღლა საკიდარი სასანთლენი მრავალჴერნი და სხვადასხვა რიგად შემზადებული და მისთანანი. სანთლის ხომლი და მისთანა" [ორბელიანი ს.ს. 1993:231].

ი.გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის" მიხედვით, „ხომლი-ხვამლი. ჭაღი (ლუსტრა), ქორაკანდელია" [გრიშაშვილი ი. 1997:290].

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ხომლს ასე განმარტავს: „მაღლა დასაკიდი სასანთლე-ჭაღი" [ქართული ენის განმატებითი ლექსიკონი. 1964:1487].

ხომლი გასანათებელი ხელსაწყოს აღმნიშვნელ ტერმინად XVII ს-დან გვხვდება. მანამადე მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ის აღნიშნავდა ვარსკვლავთა ერთ-ერთ კრებულს კუროს თანავარსკვლავედში [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1964:1487].

მიუხედავად წყაროებში მოცემული ამ განსხვავებული განმარტებებისა, ხომლს, როგორც ჩანს, მაინც უკავშირებდნენ ვარსკვლავებს, ანუ სინათლეს, სხვანაირად, ღამის სიბნელეში ვარსკვლავების ნათებას, რაც თავისთავად სამყაროს სძენს იდუმალებას, რომანტიკულობასა და მისტიკურობას.

საინტერესოა ისიც, რომ საქართველოში ამ სახელით ცნობილია მთაც – ხომლი, ანუ ხვამლი.

ვახუშტი ბატონიშვილი ამ მთის შესახებ წერს: „მოიგო ამან სახელი ესე

სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით" [ბატონიშვილი ვ. 1941:157].

ხომლის, ანუ ხვამლის კლდოვანი მასივი ისტორიულ ლეჩხუმში მდებარეობს, მდინარე რიონისა და ცხენისწყლის ხეობებს შორის. უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 2 002 მეტრია. მასივის სიგრძე – 10,5 კილომეტრია, სიგანე – 7 კილომეტრია. კლდის მასივი 300 მეტრითაა ამოზიდული და მნახველზე გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს.

ხვამლის მთაზე იყო განთქმული ხვამლის წმ. გიორგის ეკლესია. მას სწირავდნენ ჯვარ-ხატებს, გლეხებს, ადგილ-მამულებს. მას უკავშირდება ხვამლობაც. ხვამლობა–გიორგობა-ელიობა, ხალხური საეკლესიო დღესასწაული, იმართება ხვამლის მთაზე, სულიწმინდის მოფენის წინა დღეს, შაბათს. ძველად ეს იყო ძალიან პოპულარული დღესასწაული. მას ესწრებოდა მთელი ლეჩხუმი, სვანეთი და სამეგრელო [www.saunje.ge].

ხვამლის მთა დავით აღმაშენებლის დროიდან ითვლებოდა საქართველოს განძთსაცავად და XIV ს-მდე ეს მნიშვნელობა არ დაუკარგავს [მუშკუდიანი ქ. 2001:21].

გადმოცემის თანახმად, მთა დიდ საიდუმლოებას ინახავს. სიმბოლური და იდუმალია ყველაფერი, რაც კი ხვამლის მთას უკავშირდება.

ამ მთას ანტიკურ მითოლოგიაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, სწორედ ამ მთაზე მიუჯაჭვავს ზევსს პრომეთე, რომელიც შემდგომ დაიხსნა ჰერაკლემ [გელოვანი ა. 1983:425].

როგორც ზემოდ ვთქვით, სიტყვა ხომლითაა აღნიშნული ვარსკვლავთ კრებული, მთა და გასანათებელი ხელსაწყოც. ჩვენი საკვლევი თემა კი ხომლია, როგორც გასანათებელი ხელსაწყო.

ქართული ისტორიული წყაროებიდან ვგებულობთ, რომ ეკლესია-მონასტრებში ხომლს მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულების დროს ანთებდნენ. ეს ტრადიცია გრძელდება ზოგიერთ ძველ ეკლესია-მონასტერში, თანაც იმავე წესების დაცვით. არსებითად კი დღეს ეკლესიებში იშვიათად თუ შევხვდებით ხომლებს. იქ უმთავრესად, სანთლის ნაცვლად ნათურებიან ჭაღებს ანთებენ.

ხომლის შესახებყველაზე ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის XVIII ს-ის ქართველი მწერალი, მხატვარი, კარტოგრაფი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი. მას აინტერესებდა საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართველთა მიერ აგებული ტაძრები, ასევე მის ყურადღებას იპყრობდა სხვა წმინდა ადგილები. იგი მოგვითხრობს ათონსა და იერუსალიმში მის მიერ მოხილული ეკლესია-მონასტრების შესახებ, დეტალურად აღწერს ხომლს და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მის ვიზუალურ მხარეზე.

ეს გასანათებელი ხელსაწყო მზადდებოდა ოქროს, ვერცხლისა და თუჯისაგან. მას ამკობდნენ მრავალფერადი მინისა და სხვა მასალის დეტალებით. მის სილამაზესა და მისგან წარმოქმნილ სინათლეს დიდ აღფრთოვანებში მოჰყავს ტ. გაბაშვილი.

*იერუსალიმის წმ. ბიკტორის ეკლესიის* მონახულებისას იგი აღნიშნავს: „ქორაკანდელნი და ხომლნი ჭიქისანი უცხოებნი, სირაქლემისა კვერცხნი ფერადისა ჭიქისა და ქაშანაურისანი იყვნეს და კამარებად ჩამოკიდებულნი ეკლესიისა კამარათა შინა; და აღანთებდნენ რა, მსგავსი იყო ნანდვილ ირისესა" [გაბაშვილი ტ. 1956:13].

*აიმონის მონასტრის* ხილვის შემდეგ იგი წერს: „რაჟამს ჭიქისა და ვერცხლისა ხომლნი აღანთიან, მსგავსი იყო მთოვარესა, ვერცხლისა სახესა, და ვარსკვლავთა, ხელმწიფებად და მნათობად ღამისა მანათთა. სანათურით რა გასჭვრიტი ფერადის წითლისა და ყვითლისა თლილისა მინათა სინათლეს მთიებთა შუქმკრთომარობას ასახებდი" [გაბაშვილი ტ. 1956:14].

*იერუსალიმში, იმ ადგილას, სადაც ქრისტე სუდარაში გახვეული დაასვენეს*, ტ. გაბაშვილის ყურადღება მიიპყრო შემდეგმა სანახაობამ: „საფლავსა მის გარემოთ ქოლგანი და ალამნი დას-დასად მოედგათ ოქროსა განაზიდისა, ხომლნი ოქროსანი და ვერცხლისანი და ქორაკანდელნი და კანდელნი ვერცხლისანი და ოქროსა მაღრიბულისა ძვირისა ახარისხებით, თუ განკარგვით ესრეთ ანათობდეს, იტყოდი მოღებულ არსო ედემით შუქმკრთომარეობა არისი" [გაბაშვილი ტ. 1956:91].

ტ. გაბაშვილი ივერთა მონასტრის წინაშე ქართველთა ღვაწლის აღწერისას მოგვითხრობს მუხრანის ბატონ აშოთანზე (XVIIს.), რომელსაც აღუშენებია „საზოგადცხოვრებო ტრაპეზი თავისის ჴომლითა და განწყობილობით". „... პალატი დიდი ხომლითა აღვსილი, საძმო ტრაპეზი აღშენებული აშოთანისა მიერ მუხრანის ბატონისა თვით და ძით და ასული იქ ხატიან" [გაბაშვილი ტ. 1956:21,105]. აღსანიშნავია საქართველოს გარეთ ქართველთა მეფეების მიერ აშენებული ეკლესიების სიმრავლე. ივერთა მონასტრისადმი მუხრანბატონის მიერ გაწეული ღვაწლი მკაფიო მოწმობაა ქართველი მეფეების სულიერი და ეროვნული მისწრაფებებისა გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში. კიდევ ერთი ცნობა ეკლესიის წინაშე ქართველი მეფეების ღვაწლისა მოცემულია შ. მესხიას „საისტორიო ძიებანში", სადაც წარმოდგენილია „თელავის აღწერა" ალ. ჯამბაკურ-ორბელიანისა. ერეკლე II-ს აუშენებია ღვთისმშობლის ეკლესია თავისი გარდაცვლილი ვაჟის – ვახტანგის სახელზე. მეფეს ეკლესია დაუმშვენებია მოსკოვში გაკეთებული „საუცხოვოს ეკლესიის ხომლებით" [მესხია შ. 1986:341]. ეკლესია-მონასტრებში ხომლი აუცილებლად წმინდა სანთლებით ითებოდა, რადგან მას ანთებდნენ რელიგიური დღესასწაულების დროს. ამის დამადასტურებელ დოკუმენტში (XVIII-XIX სს. უცნობი პირის ანგარიშის წიგნი) ვკითხულობთ: „მესანთლე პაპუნას მივე ამ თავით ხომლებისთვის ყვითელის წმინდა სანთლის ჩამოსასხმელათ, ლიტრა სამ მინალთუნად გავურიგდი" [ბერძენიშვილი ნ. 1955:350].

ტ. გაბაშვილის მსგავსად აღწერს წმ. სოფიის ტაძრის (სტამბოლი) ხომლებს XIX ს-ის მეორე ნახევარში ბერი პეტრე კონჭოშვილი:

„ასოცი დიდად მშვენიერი ხომლი და ექვსი ათასამდე ლამპარნი, მათზედ ზევიდან მიბმული სირაქლემის კვერცხებითა, ანათებენ მეჩეთსა ზოგადი ლოცვის დროსა, ხოლო „ბაირამის და რამაზის" დღესასწაულზედ რიცხვი სანთელთა ორკეცდება თითქმის" [კონჭოშვილი პ. 1901:8]. სირაქლემის კვერცხები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია იმ დროის საეკლესიო ხომლების გაფორმებისას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

სამეფო-სასახლეების ინტერიერის განათების შესახებ წერილობითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. სამწუხაროდ, არც სიძველეთსაცავებში გვაქვს შემონახული ქართველ მეფეთა ხომლები.[1] 1810 წლის პეტელას-შვილების ვალის ანგარიშის წიგნიდან ვგებულობთ, რომ ამ პერიოდისთვის ხომლი უკვე

1 ერეკლე II-ის სასახლის ხომლი ვერცხლისა ყოფილა ქართული წარწერებით. ამჟამად მისი ადგილმდებარეობა უცნობია. ინფორმაციისთვის მადლობას ვუხდით ქ-ნ ელენე კავლელაშვილს.

საოჯახო ნივთი იყო. „ჭაღისათვის კარაჩხა (კალათი-მეგრ.) ვიყიდე“. [ბერძენიშვილი ნ. 1953:193]. კალათი მეგრულ-ჭანურ ენაზე ითარგმნება როგორც კარაჩხა. გამომდინარე თუნდაც ზემოთ აღნიშნული ცნობიდან, ადვილი წარმოსადგენია რომ XVII-XIX საუკუნეებში ქართველი მეფეების და სამეფო-სასახლეების დარბაზები ნადიმების, წვეულებების და ყოველდღიურადაც აუცილებლად ხომლებით გაჩახჩახებული იქნებოდა, კედლებზე მიმაგრებული ჩირაღდნების და მაგიდა, იატაკზე დალაგებულ სასანთლეებთან ერთად.

XIX საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რაიონების ყოფაში გვიან დრომდე დასტურდება ლამტვარალი ანუ საკვარე, რომელიც კვარით ნათდებოდა და არა სანთლებით.

ლამტვარალის გამოგონება ბუნებრივმა პირობებმა – წიწოვანი მცენარეების არსებობამ განაპირობა. კვარი კი ფიჭვის (ან ნაძვის) ანახეთქი ფისიანი ნაჭერია და სანთელივით იწვის [უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. 2005:119]. კვარი მოთავსებული იყო იმ რკინის ნაჭრებს შორის, რომლებიც რკინისავე წრეხაზზე, ანუ ძირზე იყო მიმაგრებული. ლამტვარალზე დასანთებ კვარს ოქტომბერ-ნოემბერში ამზადებდნენ. შემოდგომაზე დამზადებულ კვარს ცეცხლი რომ კარგად მოკიდებოდა, მას ახმობდნენ და მომავალ წელს იყენებდნენ. კვარი მზადდებოდა ფიჭვის ძირებისა და მორებისაგან, შემდეგ ცეცხლწაკიდებულს დებდნენ. საკვარე იმკობოდა ვერძის, ჯიხვის, ხარის, ცხვრის ჭედური სტილიზებული გამოსახულებებით, რაც ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. ის ასევე მაგიური მნიშვნელობისა იყო და ხალხის რწმენით, ნაყოფიერება-გამრავლებასაა და ოჯახის დოვლათიანობასთან იყო დაკავშირებული. ეს გასანათებელი ხელსაწყო კერასთან ახლოს იკიდებოდა. მას ადგილობრივი მოსახლეობა აკეთებდა. [ჩართოლანი მ. 1961:55].

წარმოგიდგენთ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოლოგიური კოლექციების - ფერადი ლითონების, რკინის ფონდისა და შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების (მიმდინარე ფონდის) ექსპონატებს.

ხომლი. საინვ. № 20-29/1 (სურ.1ა,ბ) დაცული ფერადი ლითონების ფონდში, სპარსული. დამზადებულია სპილენძისგან, აჟურული ტექნიკით, 17 სანთლიანია. სანთლის ჩასამაგრებელი ბუდეები ცისფერი მინისგანაა დამზადებული. ორიარუსიანი ხომლი ამოტრიალებულ გუმბათს მოგვაგონებს. ზედა იარუსზე 7 სასანთლის ბუდეა, ქვედაზე-10. გააჩნია ჯაჭვი, რომლითაც იკიდებოდა ჭერზე. დაზიანებულია. აკლია სანთლის ჩასამაგრებელი ერთი ბუდე. H-33 სმ; D-55სმ

ხომლი. საინვ. №19-2008/150. (სურ.2), დაცული შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების მიმდინარე ფონდში, ბრინჯაოსი. ტანი დამზადებულია ჩამოსხმის ტექნიკით, წრიული და აჟურულია. სასანთლე ბუდეები, რომლებიც სხვადასხვა ზომისაა, რკინის კონუსისებური ნაჭედი ფურცლებია. სასანთლეები სამ წრიულ რიგადაა განლაგებული. პირველ რიგში 12–ია, მეორეში – 6, მესამეში ანუ შუა გულში – 1. ყველაში შემორჩენილია სანთლისა და ჩამწვარი პატრუქის ნამწვავი. სასანთლეების მეორე რიგში აღინიშნება ჯაჭვის დასამაგრებელი სამი რგოლი. აკლია ჯაჭვი და ჩამოსაკიდებელი კაუჭი. ხომლის მთლიანი D-45სმ, სასანთლის H-6-7,5 სმ, D-3 სმ

ლამტვარალი. საინვ. №16-26/146 (სურ.3) დაცული რკინის ფონდში, სვანური. დამზადებულია რკინის სწორი და გრეხილი ჯოხებისაგან. მათი

შეერთებისა თუ გადაბმის ადგილას ზოგან დაგრეხილრქებიანი ხარისა და ცხვრის თავებია გამოსახული. რაც მიგვანიშნებს, რომ ადგილობრივადაა დამზადებული. ძირი დაფანჯრული აქვს, რადგან დამწვარ-დაფერფლილი კვარი ქვემოთ ჩამოყრილიყო. ანალოგიური ლამტვარალი კვარით (სურ.4) დადასტურებულია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში,[2] (საინვ. №ომმ 2398). H -47,5 სმ, D-42,5სმ

ზემოთ აღნიშნული განათების ორივე ხელსაწყო ფუნქცია დაკარგული აღმოჩნდა ელექტროდენის გამოყენების შემდეგ.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ისტორიული წყაროები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ზემოთ აღნიშნული გასანათებელი ხელსაწყოების შესახებ. ამ კუთხით მომავალი კვლევა მეტ სიცხადეს შეიტანს XVII-XIX სს-ის საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ცოდნაშიც.

**ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY**

**Tsisnami Sidamonidze**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum

3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia

E-mail: ts.Sidamonidze@mail.ru

# "Homli"
# On History of Candle Lit in the 17th -19th cc Georgia

(According to Written Sources)

## Summary

"Homli" belongs to a candlestick – candleholder group which was hung on ceilings and was illuminated only by means of candles. It is a precursor type of today's candelabras.

"Homli" consists of a metal pending hook, caudex and ring sited fastened settings for candles.

"Homli" was used as in monasteries (only during festive occasions) so in occupancies.

"Lamtvarali" also was hung on ceilings to illuminate housings. It was lit by means of splinter- pine-tree or spruce pitch segments.

"Homli" and "Lamtvarali" were in use before electric lighting.

Material, which is kept in depositories of the Georgian National Museum and has been studied by us, comprises the 17th-19th centuries.

2 მადლობას ვუხდით ეთნოლოგ გ. კვანტიძეს ინფორმაციის მოწოდებისთვის.

## ბიბლიოგრაფია

**ბატონიშვილი ვახუშტი. 1941:** *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. (რედ-ბი: თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილი).* თბილისი.

**ბერძენიშვილი ნ. 1955:** მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორი-ისათვის მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. წ.3 თბილისი.

**ბერძენიშვილი ნ. 1953:** მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორი-ისათვის მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. წ.2 თბილისი.

**გაბაშვილი ტ. 1956:** *მიმოხლვა.* თბილისი.

**გაბოძე ც. 2010**: სასანთლე-შანდალი. *ეთნოლოგიური ძიებანი. ტ. IV.* თბილისი (რედ.ე. ნადირაძე).

**გელოვანი ა. 1983:** *მითოლოგიური ლექსიკონი.* თბილისი.

**გრიშაშვილი ი. 1997:** *ქალაქური ლექსიკონი.* თბილისი.

**კონჭოშვილი პ. 1901:** *მოგზაურობა წმ.ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ. ტფილისი*

**მესხია შ. 1986:** *საისტორიო ძიებანი.* ტ.3. თბილისი.

**მუშკუდიანი ქ. 2001:** ლეჩხუმის ისტორიიდან. თბილისი

**ორბელიანი სულხან-საბა. 1993:** *ლექსიკონი ქართული.* თ.2. თბილისი.

**უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. 2005:** შეადგინა ა. ელერდაშვილმა. თბილისი.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**. 1964: ტ.3. თბილისი.

**ჩართოლანი მ. 1961:** ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი.

www.saunje.ge

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ.1**. ხომლი. XIX ს. სპარსული

**სურ.2.** ხომლი. XVIII-XIX ს-ის დასაწყისი. ქართული

**სურ.3**. ლამტვარალი. XIXს. სვანეთიდან

**სურ.4**. ლამტვარალი. XIX ს. რაჭიდან

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1**. Homli. 19th c. Persian

**Fig.2**. Homli. 18th - Beginnig of 19th cc. Georgian

**Fig.3**. Lamtvarali. 19th c. From Svaneti

**Fig.4.** Lamtvarali. 19th c. From Racha



ა



ბ

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 212-247
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 212-247

## ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

**თამარ გელაძე*, ნინო დათუნაშვილი***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nino.museum@gmail.com

# დავით გველესიანი

(საქართველოს ებრაელთა კულტურისა და ყოფის ამსახავი ნამუშევრები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან)

ნაშრომში წარმოდგენილია შესანიშნავი ქართველი მხატვრის, ფერმწერისა და გრაფიკოსის, დავით გველესიანის (1890-1949) მიერ შესრულებული საქართველოს ებრაელთა ყოფისა და კულტურის ამსახავი სურათები (სურ. 1[1]). ისინი აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს (ამჟამად – საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი) ძირითადად 1950-იან წლებში გადმოეცა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან.

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. თბილისში 1933 წელს დაარსდა. ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ებრაელთა ისტორიული წარსულის მეცნიერულ შესწავლას. მუზეუმმა მუშაობა სამი ხაზით წარმართა (საველე, კამერულ-საექსპოზიციო მუშაობა და სამეცნიერო კვლევა). ამისათვის აუცილებელი იყო მეცნიერთა კადრების მომზადება. მუზეუმის წინაშე იდგა სამეცნიერო-კვლევითი ბაზის შექმნის ამოცანაც – ექსპონატების შეძენა, ლიტერატურული და საარქივო მასალის მოპოვება.

1933-1936 წლებში მუზეუმმა მოაწყო ოთხი ეთნოგრაფიული ექსპედიცია ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში. ექსპედიციებში გროვდებოდა საქართველოს ებრაელთა როგორც ისტორიის, ასევე კულტურისა და ყოფის ამსახავი მასალა, რომელსაც ექსპედიციებში მონაწილენი იქვე იხატავდნენ. მათ მიერ შეგროვებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალას მუზეუმის თანამშრომლები კამერულად ამუშავებდნენ, რის შედეგად 1937 წელს მოეწყო სტაციონარული ექსპოზიცია – „საქართველოს ებრაელთა ძველი და ახალი ყოფა“.

გამოფენაზე წარმოდგენილი ისტორიული საბუთები, ყოფის ამსახავი ექსპონატები, დიაგრამები, კარტოგრამები, ფოტოები და მხატვართა მიერ შესრულებული ჩანახატები ნათლად წარმოაჩენდა საქართველოს ებრაელთა ისტორიასა და ეთნოგრაფიის სხვადასხვა სფეროს (მატერიალური და სულიერი კულტურა, მეურნეობა, სოციალური ურთიერთობები).

1 ფოტო წიგნიდან – ვეფხვაძე ი. მოგონებები და პორტრეტები. 1958. თბილისი.

მხატვართა ნამუშევრები, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად ველზე იქმნებოდა, ამასთან, თბილისშიც, სტაციონარულ პირობებში. სურათების კოლექციები 1937 წლის შემდეგაც ივსებოდა.

1950-იან წლებში საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი დაიხურა. იქ დაცული ექსპონატები გადანაწილდა რამდენიმე დაწესებულებაში. ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები გადაეცა აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და დღემდე ინახება ამ მუზეუმის ისტორიის მიმართულების ისტორიის, უახლესი ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციების სამეცნიერო დამხმარე ფონდში. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (59 სურათი) დავით გველესიანს ეკუთვნის.

დავით გველესიანს მოღვაწეობა მოუხდა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ქარტეხილებით აღსავსე პერიოდში[2]. იგი დაიბადა 1890 წლის 7 მარტს. მამა გენერალ-მაიორი ალექსანდრე გველესიანი, უაღრესად პატიოსანი და განათლებული ადამიანი, ქართული რეალისტური ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებლის, რომანოზ გველესიანის, ძმა იყო, ხოლო დედა თამარ ჭავჭავაძე – წინანდლელ ჭავჭავაძეთა წარმომადგენელი. დავითმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ შევიდა ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. პარალელურად მეცადინეობა დაიწყო ტფილისის კავკასიის საზოგადოებასთან არსებულ ნატიფი ხელოვნების წამახალისებელ ო. შმერლინგის სკოლაშიც. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ერთხანს ტფილისში, კადეტთა კორპუსში სწავლობდა, მაგრამ სასწავლებელში გამეფებული მკაცრი რეჟიმის გამო, მხატვრისავე თქმით, მისი „ლაღი სიჭაბუკე სრულიად ჩაკვდა“ და მან მალე თავი დაანება ამ სასწავლებელს. 1911 წელს დ. გველესიანმა სწავლა განაგრძო მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. პარალელურად მეცადინეობდა ხატვა-ფერწერაში ჯერ კ. იუონის, შემდეგ კი მცირე ხანს – რასელის სტუდიაში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო 1914 წელს იძულებული გახდა, დაეტოვებინა მოსკოვი. ტფილისში დაბრუნებულმა, 1918 წლამდე კვლავ გააგრძელა მეცადინეობა ო. შმერლინგის ნატიფი ხელოვნების სკოლაში. 1921 წელს მუშაობდა თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტის სამხატვრო-გამფორმებელ განყოფილებაში მხატვრად, ხოლო 1922 წელს – მხატვრადვე საქართველოს მსროლელთა დივიზიის სასწავლო-საკადრო ბატალიონში.

1923 წელს დ. გველესიანი ჩაირიცხა ტფილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად, ხოლო 1925 წელს გახდა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი. აკადემიაში შესვლისთანავე მან გიგო გაბაშვილის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. მის კლასში დ. გველესიანი ერთ-ერთი წამყვანი სტუდენტი იყო ფანქრით ხატვაში. ის ისე ფლობდა ფანქრით ხატვის ტექნიკას, რომ აცვიფრებდა გ. გაბაშვილსაც კი. იგი დავით გველესიანს „ნამდვილ ვირტუოზს, ფანქრის ნამდვილ ოსტატს“ უწოდებდა. მოგვიანებით დ. გველესიანმა სრულყოფილად აითვისა გიგო გაბაშვილის მეთოდები ფერწერაში. სამხატვრო აკადემიაში მისი

2 დავით გველესიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობები, ძირითადად, ემყარება ნანა ვახვახიშვილის [ვახვახიშვილი ნ. 1997], ივანე ვეფხვაძის [ვეფხვაძე ი. 1958] ნაშრომებს, ასევე ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივის მონაცემებს, რომლებიც დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დამხმარე ფონდში [საბუთები. №№17152 (20), 17152 (23), 17157 (10)].

მასწავლებლები იყვნენ აგრეთვე ევგენი ლანსერე, ეღიშე თათევოსიანი და იოსებ შარლემანი.

1929 წელს დ. გველესიანმა დაამთავრა სამხატვრო აკადემია. 1930-1932 წწ-ში იგი მუშაობდა ქ. თელავის პედაგოგიურ ტექნიკუმში ხატვა-ხაზვის მასწავლებლად, ხოლო 1932 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც კითხულობდა პერსპექტივის კურსს.

პიროვნულად დ. გველესიანი დინჯი, მეტად მორიდებული, თავმდაბალი და გულჩათხრობილი ადამიანი იყო, მაგრამ მუშაობის დროს იგი უცნაურ ენერგიას ამჟღავნებდა. გულჩათხრობილობა, შესაძლოა, გამოწვეული იყო მისი წარმომავლობისა და ემიგრაციაში მცხოვრები ძმის გამო. ის და მისი ოჯახის წევრები მუდმივ პოლიტიკურ ზეწოლას განიცდიდნენ.

დ. გველესიანი შესანიშნავად იცნობდა მსოფლიოს კლასიკურ პოეზიას, დიდ პატივს სცემდა თანამედროვე მწერლებს. იგი ახლო მეგობარი იყო გალაკტიონ ტაბიძის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, გიორგი ქუჩიშვილის, პანტელეიმონ პეტრენკოსი და სხვათა. მწერლები და პოეტებიც დიდად აფასებდნენ მას როგორც მხატვარსა და პიროვნებას.

ხანგრძლივმა დაძაბულმა შრომამ, იმდროინდელმა პოლიტიკურმა ატმოსფერომ და ეკონომიკურმა პირობებმა შეარყიეს მხატვრის ჯანმრთელობა. ის თანდათან ჩაიკეტა შინაურთა ვიწრო წრეში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც განაგრძობდა შემოქმედებით მუშაობას. იგი გარდაიცვალა 1949 წლის 29 აგვისტოს. დ. გველესიანი დაკრძალულია თბილისის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ბიძის – რომანოზ გველესიანის, მშობლებისა და ძმის გვერდით.

დ. გველესიანი ეწეოდა მრავალმხრივ შემოქმედებით საქმიანობას. ის ერთ-ერთი პირველთაგანი გახდა სარმა-ს (საქართველოს რევოლუციურ მხატვართა ასოციაცია) წევრი და გარკვეული წვლილიც შეიტანა მის ფორმირებასა და საქმიანობაში. 1919 წლიდან სისტემატურად მონაწილეობდა დროებით გამოფენებში. მან დამსახურებულად მოიპოვა ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი გრაფიკოსის სახელი. მისი ნახატები არა მარტო პოპულარობით სარგებლობდა, არამედ ქართველი ინტელიგენციის, კერძოდ, მხატვრების, მწერლებისა და პოეტების აღტაცებას იმსახურებდა. ამავე დროს, თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში მუშობდა პედაგოგად. 1925 წლიდან დავით გველესიანი აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს მუზეუმებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობაში. მათთვის დოკუმენტური სიზუსტით ასრულებდა ისტორიული თუ ეთნოგრაფიული შინაარსის შეკვეთებს, ხოლო სამეცნიერო ექსპედიციებს დაჰყვებოდა როგორც მხატვარი. თანამშრომლობდა გამომცემლობებთანაც.

მხატვარმა (გრაფიკოსმა და ფერმწერმა) დ. გველესიანმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული მხატვრობის პორტრეტული და პეიზაჟური ჟანრების განვითარების საქმეში. როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავს, ის გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით [Беридзе В., Езерская Н. 1975: 67]. მას ეკუთვნის საქართველოს ყველა სოციალური ფენის, სხვადასხვა ასაკისა და სპეციალობის მოქალაქეთა პორტრეტები. წლების განმავლობაში გულმოდგინე და ფაქიზი მუშაობის შედეგად მან შესძინა თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს (იმ დროისათვის კომუნალური მუზეუმი) თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლების ამსახავი 50-მდე ტილო

და ნახატი – სერია სურათებისა „ძველი თბილისი“. ძველი თბილისისადმი მიძღვნილი სურათები მისი შემოქმედების მწვერვალია.

დ. გველესიანის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ებრაელთა ყოფის ამსახავ სურათებს. მხატვარი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმთან – იყო წევრი მუზეუმის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციებისა, რომლებიც ეწყობოდა ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში. მონაწილეობდა 1937 წელს მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიციის – „საქართველოს ებრაელთა ძველი და ახალი ყოფა“ მოწყობაში. გამოფენაზე სხვა მხატვრებთან ერთად მისი სურათებიც იყო წარმოდგენილი. მას დაევალა მუზეუმის ექსპონატების კატალოგის შედგენა.

ექსპედიციებსა და ცალკეულ მივლინებებში ყოფნის დროს დ. გველესიანმა ზეთით, აკვარელით, ფანქრით, ტუშით შეასრულა სხვადასხვა ასაკის, სოციალური მდგომარეობისა და პროფესიის ებრაელთა პორტრეტები, ასევე მათს ჩაცმულობასთან, ნიშნობასთან, ქორწინებასა და განქორწინებასთან, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული რიტუალის, სამეურნეო ყოფის ამსახავი სურათები. მხატვარმა თავის ნამუშევრებში აღბეჭდა ებრაელთა დასახლების ტიპები და საცხოვრებელი ნაგებობანი.

დ. გველესიანის ებრაულ თემაზე შესრულებული სურათები ფართო საზოგადოებისათვის არაა ცნობილი. არ მომხდარა მათი სრული ექსპონირება. მათი ნაწილი გამოფენილი იყო: 1991-1992 წლებში ისრაელში, ქ. თელ-ავივში (ნაუმ გოლდმანის სახელობის ებრაელთა დიასპორის მუზეუმი); საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილ გამოფენაზე – „ოქროს საწმისის ქვეყანაში“; 1998 წელს თბილისში (სურათების ეროვნული გალერეა) ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების ოცდაექვსსაუკუნოვანი თარიღისადმი მიძღვნილ გამოფენაზე – „26 საუკუნე ერთად“; 2008 წელს თბილისში (ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა“) საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსების 75 და ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 60 წლის თავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე – „მარადიული ცეცხლი“. ზოგიერთი ნამუშევარი შეტანილია კატალოგებში: 1. In the Land of the Golden Fleece. The jews Georgia – History and Culture. Editors: Rachel Arbel, Lily Magal (Magalashvili). Tel-Aviv. 1992. 2. Beyond the Golden Fleece. A Cultural history of the jews of Georgia. Bethesda. 2004.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული დ. გველესიანის მიერ ებრაულ თემაზე შესრულებულ ნამუშევართა სრულად გამოცემა კატალოგის სახით, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია. ის წარმოაჩენს დ. გველესიანის, „ამჟამად დაუმსახურებლად მივიწყებული მხატვრის“ [Беридзе В., Езерская Н. 1975: 67], მოღვაწეობის ერთ პერიოდს. გარდა ამისა, გაამდიდრებს ინფორმაციას საქართველოს ებრაელების შესახებ, რომლებიც აქ კომპაქტურად ან დისპერსიულად სახლობდნენ და ქართველ ხალხთან ოცდაექვსსაუკუნოვანი თანაცხოვრების ისტორია აკავშირებთ. საქართველოს ებრაელებმა საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნეს თავიანთი ყოფა, რელიგია, ტრადიციული კულტურა და, ამავე დროს, შეიმუშავეს ქართველებთან თანაცხოვრების გარკვეული სისტემა.

## კატალოგი

**მკურნალობა ბრეთის ბიბლიით.** ხე, ზეთი. 61X40. საინვ. № 7-98/70 (სურ. 2[3]).

ბრეთის ბიბლიის კულტი დაკავშირებული იყო სოფ. ბრეთის ებრაელებთან. ბიბლია ეკუთვნოდა ბრეთელ თავადებს – ავალიშვილებს, რომლებსაც ჰყავდათ როგორც ქართველი, ისე ბრეთელი ებრაელი ყმები. მრავალი ლეგენდა არსებობდა ბრეთის ბიბლიის სასწაულმოქმედი ძალის შესახებ. დროთა განმავლობაში ბიბლიას არა მარტო ბრეთის, არამედ საქართველოს ყველა კუთხის ებრაელი თაყვანს სცემდა. ბრეთის ბიბლიის თაობაზე კავკასიის სიძველეების მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი იოსებ იუდა ჰალევი ჩორნი (1835-1880 წწ.) წერდა: „მისი „წმინდანობა" არა მარტო ებრაელთა გულებშია გამჯდარი, არამედ თვით ქართველებშიც კი... თუ ვინმე ავადმყოფი ჰყავთ, მაშინვე ბიბლიასთან გარბიან და განსაკუთრებული შესაწირავები მიაქვთ" [ჩორნი ი. 1945: 122]. ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა პროვინციაში, სადაც კი ებრაელთა კომპაქტური დასახლება იყო, 2-3 სინაგოგა არსებობდა და შექმნილი იყო კულტის მსახურთა იერარქიაც კი, ბრეთის ბიბლია ყველაზე პოპულარული იყო და მხოლოდ მას ჰქონდა მინიჭებული ყმათა დასაფიცებელი საკულტო მნიშვნელობა [კრიხელი ა. 1940: 116].

ბიბლია დაწერილია პერგამენტზე ქ. სალონიკში 1513 წელს ვინმე ყაზრიელის მიერ, როცა საბერძნეთი დაიპყრო თურქეთის სულთანმა სელიმმა. ვარაუდობენ, რომ მესხეთის ებრაელებს ახლო კონტაქტები ჰქონდათ მაშინდელი თურქეთის ებრაელებთან. კარგად იცნობდნენ სალონიკს, როგორც რელიგიურ წიგნთა შექმნის ცენტრს. ბრეთის ბიბლიის კულტიც მესხეთშია წარმოქმნილი და იქიდან გადმოტანილი ავალიშვილებისა და მათი ყმების გადმოსახლების გამო. ცნობილია, რომ მესხეთიდან ქართველი მოსახლეობის გადასახლება XVI ს-დან იწყება საქართველოს სხვადასხვა ნაწილში. კერძოდ, ავალიშვილები XVII ს-ის მიწურულს საბოლოოდ მკვიდრდებიან ბრეთში. ფიქრობენ, რომ ავალიშვილებმა გადმოსახლებისას თან წამოიყვანეს თავიანთი ყმები და ამ დროს გადმოიტანეს ბიბლიაც ბრეთში. 1850-1856 წწ-ში ბრეთის ბიბლია დაიკარგა და ამის შემდეგ მის როლს ასრულებდა უკვე სხვა, ნაბეჭდი, ბიბლია, რომელიც ასევე ბრეთის ბიბლიის სახელწოდებით იყო ცნობილი. მასზე გადაიტანეს ბრეთის პირველი (ხელნაწერი) ბიბლიის კულტი. ამჟამად ბრეთის ბიბლია (ხელნაწერი) დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

**ლეგენდა ლაილაშის ბიბლიის შესახებ.** ტილო, ზეთი. 30,5X43. საინვ. № 7-98/68 (სურ. 3).

ბიბლია დაწერილია პერგამენტზე. გამოირჩევა ლამაზი ორნამენტებით, მაღალმხატვრული საზედაო ასოებით. თარიღდება X-XI სს-ით. იგი საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა ებრაელებთან, შემდეგ დაცული იყო სინაგოგაში. ამ ბიბლიას რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდა. მას თაყვანს სცემდნენ როგორც ებრაელები, ისე

3 ფოტოები შესრულებულია ფოტოგრაფ †გურამ ბუმბიაშვილის მიერ.

ქართველები. მრავალი ლეგენდა არსებობს მის შესახებ. ერთის თანახმად, იგი საქართველოში ანგელოზებს ფრთებით მოუტანიათ [მეტრეველი რ. 1995: 41]. ლაილაშის ბიბლია ამჟამად დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

**გვალვის წინააღმდეგ.** ქაღალდი, აკვარელი. 28,5X42. საინვ. № 7-98/67 (სურ. 4).

ტრადიციის მიხედვით, ძლიერი გვალვის დროს ებრაელი ჯამაათი რაბინის ხელმძღვანელობით აღავლენდა საგანგებო ლოცვას წვიმის მოსაყვანად.

**თაშლიხი – წყლის კურთხევის რიტუალი.** ტილო, ზეთი. 73X51,5. საინვ. № 7-98/140 (სურ. 5).

ეს რიტუალი მზის ჩასვლამდე სრულდებოდა. საზეიმოდ მორთული ხალხი ქუჩებში გამოდიოდა სასეირნოდ, მერე მდინარის პირას იკრიბებოდა და ლოცულობდა, თან კალთებს იბერტყავდა, რათა ცოდვები მდინარისთვის გაეყოლებინა [თავდიდიშვილი რ. 1940: 75].

**დარაში – ქადაგება სინაგოგაში.** ტილო, ზეთი. 49X39. ხელმოწერილია. საინვ. № 7-98/137.

რაბინი ჯამაათს მოუთხრობს თორიდან ნაწყვეტებს და განუმარტავს მათ.

**ხანუქას კურთხევა**. ტილო, ზეთი. 61X47. ხელმოწერილია. საინვ. № 7-98/137 (სურ. 6).

ხანუქა (განახლება) მაკაბელთა წინამძღოლობით ებრაელების ბერძნებზე გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების აღსანიშნავი დღესასწაული. იერუსალიმის ტაძრის (მიკდაში) დაბრუნების (ძვ.წ. 167 წ.) შემდეგ ებრაელებმა ბერძნების მიერ წაბილწული ტაძრის „განახლება" დაიწყეს – რვა დღის განმავლობაში მღეროდნენ, უკრავდნენ სხვადასხვა საკრავზე, ლოცულობდნენ. ამ მოვლენის აღსანიშნავად ისრაელში დაწესდა ყოველ წელს 25 ქისლევიდან (ნოემბერი) რვა დღის განმავლობაში ხანუქას (განახლება) ზეიმი. ხანუქას „სანთლების დღესასწაულსაც" უწოდებდნენ. ეს დაკავშირებულია სასწაულთან, რომელიც ტაძრის განახლების დროს მოხდა: ბერძნების მიერ წაბილწულ ტაძარში სანთლის ასანთებად საჭირო წმინდა ზეთი მხოლოდ ერთი დღის სამყოფი აღმოჩნდა. ახალი ზეთის გამოსახდელად კი რვა დღე იყო საჭირო. მოხდა სასწაული და სანთლები რვა დღე ენთო. ტრადიციის მიხედვით, ხანუქას დღესასწაულზე 25 ქისლევიდან ყოველდღე ანთებდნენ სანთელს. პირველ დღეს ორ სანთელს (ამათგან ერთი იყო დამხმარე სანთელი, ე.წ. შამაში, რომლის საშუალებითაც ანთებდნენ დანარჩენ სანთლებს) და შემდეგ ყოველ დღეს ემატებოდა თითო ცალი, ხოლო მერვე დღეს ცხრა სანთელი აინთებოდა და ხანუქაც თავდებოდა როშხოდეშით (ახალი მთვარე). სანთლებს საღამოთი ანთებდნენ. წარმოთქვამდნენ ლოცვებს [Крутиков М. 1990: 38].

**ჰაგადა და ფესახის ღამე.** 1936 წ. ტილო, ზეთი. ხელმოწერილია. საინვ. № 7-98/133. (სურ. 7).

ფესახი ეგვიპტის ოთხასწლიანი ტყვეობიდან ებრაელთა გათავისუფლებისა და წმინდა მიწაზე დაბრუნების აღსანიშნავი დღესასწაულია. ფესახი ებრაულად ნიშნავს „გვერდის ავლას", იმ ღამეს, როცა მოსეს წინამძღოლობით ებრაელებმა დატოვეს ეგვიპტე, სიკვდილმა მათ „გვერდი აუარა". სწორედ ამ ღამის მოსაგონარია ეს დღესასწაული [Крутиков

M. 1990: 7]. ეგვიპტიდან ებრაელები გამოსვლას ჩქარობდნენ. ამიტომ მათ ჩვეულებრივი პურის ნაცვლად მოიმარაგეს ხმიადი (უსაფუაროდ გამომცხვარი პური). ამასთანაა დაკავშირებული წესი, რომლის მიხედვით ამ დღესასწაულის დროს (რვა დღის განმავლობაში) ჭამდნენ მაცას (ხმიადი). ფესახი იწყებოდა 15 ნისანის ღამეს. პირველსა და მეორე ღამეს იმართებოდა სედერი (წესრიგი) – საზეიმო ვახშამი, რომელზედაც კითხულობდნენ წიგნ აგადას (მოთხრობა). ეს იყო თქმულებების, რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის აფორიზმების, იგავ-არაკების, ალეგორიული მოთხრობებისა და სხვათა კრებული [Евреиская энциклопедия в шестнадцати томах. 1913]. ფესახის დაწყების პირველ ღამეს აგადა ძველ ებრაულ ენაზე იკითხებოდა, მეორე ღამეს კი – ქართულ ენაზე. ფესახის დღესასწაულის დღეებში მუშაობა აკრძალული იყო პირველ, მეორე, მეშვიდე და მერვე დღეს.

**ჯადოქარი**. ქაღალდი, აკვარელი. 20,5X29. საინვ. № 7-98/98 (სურ. 8).

**ხერემი – ანათემა სინაგოგაში.** ტილო, ზეთი. 49X47,5. საინვ. №7-98/136 (სურ. 9).

თორის კანონების სისტემატური და უხეში დარღვევისათვის თემის წევრი სამი კაცისაგან შემდგარი ბეთ-დინის (სასამართლო) მიერ ანათემას გადაეცემოდა, რის შემდეგაც მას ადგილი არ ჰქონდა ჯამაათში.

**ანათემის შემდეგ.** ტილო, ზეთი. 73X51,5. საინვ. № 7-98/139.

**შოხეტი – ფრინველის დაკვლა.** ქაღალდი, აკვარელი. 44X65. საინვ. № 7-98/138 (სურ. 10).

ქიფურის (ცოდვების მიტევების დღე) დღეს მორწმუნე ებრაელი ცოდვების მონანიების მიზნით ვალდებული იყო, შემოევლო ქაფარა – დედალი ან მამალი (ქალს-დედალი, მამაკაცს-მამალი), რითიც მას ცოდვები შეუმსუბუქდებოდა. შემოვლებული ქათამი კი მას ხახამისათვის ან ღარიბისათვის უნდა მიეცა. ქათმის დაკვლა გარკვეული წესით ხდებოდა. ებრაელთათვის ვარგისად ითვლებოდა მხოლოდ რელიგიური წესის დაცვით დაკლული ფრინველისა თუ საქონლის ხორცი. ფრინველისა და საქონლის დაკვლის უფლება ჰქონდა საამისოდ მომზადებულ პირს – შოხეტს (დამკვლელი) [თავდიდიშვილი რ. 1940: 76].

**წინადაცვეთა სინაგოგაში.** ტილო, ზეთი. 70X105,5. საინვ. № 7-98/127 (სურ. 11).

ბიჭის წინადაცვეთა მისი დაბადებიდან მერვე დღეს, უპირატესად, სინაგოგაში (ზოგჯერ შინაც) საზეიმო რიტუალის (ებრაულად – ბრით მილა) თანხლებით სრულდებოდა. ამ პროცედურას (ოპერაციას) მოელი (წინადაცვეთის სპეციალისტი) ატარებდა. ტალითებმოსხმული (ტალითი–სარიტუალო მოსასხამი) ხალხი წინადაცვეთის დამთავრებისთანავე საგანგებო ლოცვით დალოცავდა ახალ მოვლენილ ჭეშმარიტ ებრაელს. წინადაცვეთის აქტი ისრაელის ხალხის ღმერთთან კავშირის სიმბოლო იყო [Евреиская энциклопедия в шестнадцати томах. 1913: 896].

**შეჩვენებულის პატიება.** ტილო, ზეთი. 48X39. საინვ. № 7-98/142.

**ბოგერეთი – სიმწიფის ნიშანი.** ქაღალდი, აკვარელი. 43X26. საინვ. № 7-98/94.

გარკვეული ნიშნები განსაზღვრავდა ქალიშვილის ზრდადასრულებას.

**დანიშვნის წესები ებრაელებში.** ქაღალდი, აკვარელი. 47X54,5.

საინვ. № 7-98/101 (სურ. 12).

არსებობდა დანიშვნის რამდენიმე წესი: 1. ბე – აკვანში ქალის დანიშვნა დაბევებით (ფულის ან ნივთის მიცემით). 2. კინიანი (თალმუდის მიხედვით, შეძენა). ეს იყო ფიცით ქალის დაბევება. ქალის მშობელი ვაჟის მშობელს განასკვულ ცხვირსახოცს აძლევდა, რაც პირობის მიცემის ნიშნად ითვლებოდა. 3. კიდუშინით დანიშვნა (კიდუში – ღვინით სავსე ჭიქით კურთხევა). დანიშვნის ამ წესს ქეთუბის (საქორწინო ხელშეკრულება) ძალა ჰქონდა და, ამდენად, ქალ-ვაჟის გაყრა გეტის (განქორწინების აქტი) გარეშე არ შეიძლებოდა. 4. აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელთა წესის მიხედვით, ქალის თხოვნისას სასიძოს ქალის მშობლებისათვის ქესუმი (გამოსასყიდი) უნდა მიეცა [მეტრეველი რ. 1995: 110].

**12 წლის პატარძალი.** ქაღალდი, აკვარელი. 29X23. საინვ. № 7-98/95 (სურ. 13).

ქორწინებისათვის შესაფერის ასაკად ვაჟისათვის 16 წელი, ხოლო ქალისათვის – 12-14 წელი ითვლებოდა.

**პატარძალი.** ქაღალდი, აკვარელი. 25,5X18. საინვ. № 7-98/96 (სურ. 14).

**დედოფალი.** ქაღალდი, აკვარელი. 45X28. საინვ. № 7-98/97 (სურ. 15).

**ნეფე-დედოფლის შემოტარება.** ქაღალდი, აკვარელი. 32,5X25. საინვ. № 7-98/100.

**დედოფლის ხელების შეღებვა ინით.** ტილო, ზეთი. 94X135,5. საინვ. № 7-98/132 (სურ. 16).

საქორწინო რიტუალის ერთ-ერთი მომენტი იყო დედოფლის ხელების შეღებვა ინით. ქორწილის წინა ღამეს სტუმრები ნეფის სახლში იკრიბებოდნენ და შუაღამემდე ქეიფობდნენ. შემდეგ ხელში ანთებული სანთლებით მიდიოდნენ პატარძლის სახლში. შამაშს (სინაგოგის მსახური) მიჰქონდა ლანგარი, რომელზედაც წითელი საღებავით (ინით, ანუ ისტაფულით) სავსე ჭურჭელი იდგა. ამით პატარძალს ფრჩხილებსა და ხელისგულებს ულებავდნენ. შამაშს კი ფულით ასაჩუქრებდნენ და თან ეუბნებოდნენ: „კარგი ნიშანი იყოს“. ხელების შეღებვის პროცედურის დამთავრების შემდეგ ქალები პატარძლის გასართობად ცეკვა-თამაშს მართავდნენ [ჩორნი ი. 1945: 126].

**მამლის გადაფრენა.** ქაღალდი, აკვარელი. 33X25,5. საინვ. № 7-98/99 (სურ. 17).

ქორწილთან დაკავშირებულ რიტუალებს შორის ერთ-ერთი იყო მამლის გადაფრენა. იუდა ჩორნის ცნობით, როდესაც დედოფალს ნეფის სახლის კარებთან მიიყვანდნენ, თაფლს, კარაქსა და პურს მიაგებებდნენ. დედოფალი თითს ამოაწობდა თაფლში და კარის ზღურბლს წაცხებდა. დამსწრენი შესძახებდნენ: „კეთილი ნიშანი, ტკბილი და საზრდოიანი სიცოცხლე“. ამ დროს ნეფე ბანზე ადიოდა, თან ერთი მამალი აჰყავდა, ხელის გულზე ბრინჯი ეყარა, ბრინჯს მამალს ბიბილოზე შემოაყრიდა და შემდეგ დედოფლის თავზე გადააფრენდა ნაყოფიერებისა და გამრავლების ნიშნად [ჩორნი ი. 1945: 118].

**ხუფა – ქორწინების აქტის წაკითხვა.** ტილო, ზეთი. 70X100,5. სინვ. № 7-98/128 (სურ. 18).

ებრაული წესის მიხედვით, ქორწინება უნდა გაფორმებულიყო საქორწინო აქტის (ქეთუბა) საშუალებით. ეს იყო ქაღალდზე დაწერი-

ლი, მხატვრულად გაფორმებული (სხვადასხვა ორნამენტით, მათ შორის, განსაკუთრებით, თევზის – ნაყოფიერების სიმბოლოს სტილიზებული გამოსახულებით) საქორწინო ხელშეკრულება. მის მეორე გვერდზე ჩამოწერილი იყო მზითვის ნუსხა და ღირებულება. ქორწინების ცერემონიალის დროს რაბინი სარიტუალო მოსასხამის (ტალეთი) ქვეშ მდგომ ნეფე-დედოფალს ქეთუბას უკითხავდა. ი. ჩორნი ასე აღწერს ამ პროცესს: „რაბისა და მაყრებს მოჰყავთ პატარძალი და ნეფეს გვერდით დაუყენებენ. ნეფე აკურთხებს ტალეთს (სარიტუალო მოსასხამი) და შემდეგ დედოფლის მამა ტალეთს ნეფესა და დედოფალს თავზე გადააფარებს. ამას ეწოდება ხუფა. რაბი ჯერ კიდუშს (ღვინით სავსე ჭიქის კურთხევა) შეასრულებს, შემდეგ ქეთუბას (ქორწინების აქტი) კითხულობს ებრაულ ენაზე და, ბოლოს ქართულად თარგმნის მას იმ მიზნით, რომ ქორწინების აქტის შინაარსი ყველასათვის გასაგები გახდეს. ნეფე-დედოფალს ახვევია ხალხი, რომლის მეტ ნაწილს ფერად-ფერადი თაფლის სანთლები უჭირავს“ [ჩორნი ი. 1945: 124].

**გეტი – განქორწინება ცოლ-ქმარს შორის.** ტილო, ზეთი. 61X85,5. საინვ. № 7-98/130 (სურ. 19).

განქორწინების რიტუალი ტარდებოდა ბეთ-დინში (სასამართლო). ამ პროცესს ათი სრულწლოვანი მამაკაცი (მინიანი) უნდა დასწრებოდა. განქორწინება ფორმდებოდა შესაბამისი აქტით (გეტი), რომელსაც სათანადო ცოდნის მქონე პირი ადგენდა. გეტი მზის ჩასვლამდე უნდა დაწერილიყო. მამაკაცს მაშინვე შეეძლო სხვა ქალის შერთვა, ხოლო ქალს განქორწინებიდან მხოლოდ ოთხმოცდაათი დღის გასვლის შემდეგ შეეძლო გათხოვება [Шаптошвили И. 1945: 25].

**ხალიცა – განქორწინება მაზლთან.** ქაღალდი, აკვარელი. 83,5X57. საინვ. № 7-98/129 (სურ. 20).

ეს არის ლევირატულ ქორწინებასთან დაკავშირებული რიტუალი. ებრაული წესის მიხედვით, მაზლი ვალდებული იყო, ცოლად შეერთო თავისი გარდაცვლილი ძმის ცოლი. იმ შემთხვევაში, თუ მაზლი წინააღმდეგი იყო, ასე უნდა შესრულებულიყო რიტუალი ხალიცა (გახსნა): მაზლის მიერ უარყოფილი ქვრივი მაზლს უხსნიდა ფეხსაცმლის ზონარს და სახეში აფურთხებდა სიტყვებით: „ასე ექცევიან ადამიანს, რომელსაც არ უნდა თავისი ძმის ოჯახის აღდგენა“. ხალიცას უნდა დასწრებოდა დაიანი (სამი კაცი). ადრე კი ხალიცა სრულდებოდა ყველაზე ხალხმრავალ ადგილზე [თავდიდიშვილი რ. 1940: 57].

**სიდონიას საფლავი მცხეთაში.** ქაღალდი, აკვარელი. 33,5X27,5. საინვ. № 7-98/66 (სურ. 21).

გადმოცემის თანახმად, იესოს კვართი წილად ხვდათ მაცხოვრის ჯვარცმაზე მისულ საქართველოს ებრაელებს, რომლებმაც კვართი მცხეთას ჩამოიტანეს. სიდონიამ, ჩაიხუტა რა გულში მაცხოვრის კვართი, განუტევა სული. მის საფლავზე ააგეს მცირე ეკლესია, ხოლო ამ ეკლესიის ადგილას – სვეტიცხოველი.

**ახალციხელი ებრაელის უძველესი საფლავი.** მუყაო, აკვარელი. 40X59. საინვ. № 7-98/77 (სურ. 22).

ისტორიულ-არქიტექტურული თვალსაზრისით, საინტერესოა ახალციხელ ებრაელთა სასაფლაო, სადაც შეხვდებით უნიკალურ, ზიკურტებიან საფლავის ქვებს.

**ონის ებრაელთა შეხვედრა აკაკისთან 1910 წელს.** ტილო, ზეთი. 40,5X50. საინვ. № 7-98/107 (სურ. 23).

აკაკი წერეთელი დიდი სიყვარულით სარგებლობდა საქართველოს ებრაელებში. ონის ებრაელებმა 1910 წელს რაბინ დავით ბააზოვის წინამძღოლობით მხურვალე შეხვედრა მოუწყვეს პოეტს.

**ზეიმი, მიძღვნილი აკაკისადმი ონში.** ქაღალდი, აკვარელი. 20X25. საინვ. № 7-98/108.1912

წელს აკაკი წერეთელმა იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. მან მგზნებარედ მიმართა ონელ ებრაელებს: „დადგება დრო, ერთა ჩაგვრა მოისპობა და თქვენც თავისუფლად ამოისუნთქავთ“. ქართველი ებრაელები უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი პოეტის მიმართ. ეს ნათლად ჩანს ონელი ებრაელების მიმართვიდან აკაკი წერეთლისადმი: „დიდებულო მგოსანო, მე ვარ ქართველი ებრაელი, თქვენის ნაწარმოებით აღზრდილი და თქვენი ჩანგის ჟღერით დამტკბარი... დიდებულო მგოსანო, ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს, ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს ერთმანეთს შორის, რომ არ განვიყოფებით ერთმანეთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი... ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს შორის არ ყოფილა განსხვავება, არ არის და არც იქნება გარდა სარწმუნოებისა“ [გაზ. „სახალხო გაზეთი“. 1912: № 694].

**ზეიმი, მიძღვნილი აკაკისადმი ლაილაშში.** ქაღალდი, აკვარელი. 20,5X25,5. საინვ. № 7-98/109 (სურ. 24).

ლაილაში ისევე, როგორც საქართველოს ბევრი სხვა ქალაქი და დაბა (ახალციხე, ცხინვალი, სურამი, ონი და სხვ.) გამოირჩეოდა ებრაელთა ტრადიციული დასახლებით.

**სტალინირში (ქ. ცხინვალი) ებრაელთა სახლი.** ქაღალდი, ტუში. 36X27. საინვ. № 7-98/122.

**სტალინირის ებრაელთა სახლი ისტორიულ ჭრილში (ქ. ცხინვალი).** ქაღალდი, აკვარელი. 18,5X34. საინვ. № 7-98/124 (სურ. 25).

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქართლის ებრაელმა მოსახლეობამ თავი მოიყარა ცხინვალში ეს ქალაქი ჩამოყალიბდა ამ რეგიონის სავაჭრო ცენტრად და, ამავე დროს, აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელთა რელიგიურ ცენტრად. ქართლში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ებრაელთა და ქართველთა სახლები, ძირითადად, ერთმანეთის იდენტური იყო. ქართლში ებრაელები, ისევე, როგორც ქართველები, დარბაზულ, მიწურ, ფიცრულ, ქვიტკირის სახლებში ცხოვრობდნენ [მეტრეველი რ. 1995: 86].

**ებრაელთა საცხოვრებელი ნაგებობანი დასავლეთ საქართველოში.** ქაღალდი, ტუში. 35X27,5. საინვ. № 7-98/123 (სურ. 26).

დასავლეთ საქართველოში ებრაელები, ისევე, როგორც ქართველები, ცხოვრობდნენ აფრიან, კუნჭულიან, გოგებიან, ორსართულიან (ყავრით გადახურულ, ქვედა სართულში სავაჭრო დარაბებიან) სახლებში [მეტრეველი რ. 1995: 89].

**ახალციხეში ებრაელთა კვარტალი.** ქაღალდი, აკვარელი. 18,5X34. საინვ. № 7-98/125.

საქართველოში ყველგან, სადაც სახლობდნენ ებრაელები (ქალაქსა თუ დაბა-სოფელში), ძველთაგანვე იყო ებრაელთა უბანი. ძველ ახალციხე-

ში ღარიბი ებრაელები, ისევე, როგორც ქართველები, მიწურ სახლებში ცხოვრობდნენ.

**ებრაელთა უბანი ახალციხეში.** ქაღალდი, აკვარელი. 43,5X62. საინვ. № 7-98/36 (სურ. 27).

XX ს-ის 40-იანი წლების ებრაელთა საცხოვრებელი სახლები.

**ბავშვი აკვანში.** ქაღალდი, აკვარელი. 33X43. საინვ. № 7-98/91 (სურ. 28).

ებრაელ ბავშვთა უმრავლესობა იზრდებოდა აკვანში. ახალშობილს დაბანდნენ, საგანგებო ხილაბანდში (ბარული) გაახვევდნენ, ხოჭიჭში ჩააწვენდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ აკვანში გადააწვენდნენ (ამ დღეს, შეძლებისდაგვარად, წვეულებაც იმართებოდა) და ფეხის ადგმამდე მასში ზრდიდნენ [მეტრეველი რ. 1995: 96].

**ყველის დამზადება ებრაული წესით.** ტილო, ზეთი. 56X75. საინვ. № 7-98/79 (სურ. 29).

ქართველი ებრაელები მსხვილფეხა მესაქონლეობას საერთოდ არ მისდევდნენ. წვრილფეხა საქონლისა და შინაური ფრინველის მოშენებას სჯერდებოდნენ. ჰყავდათ, უმთავრესად, ცხვარი, თუმცა ცხვარსაც თვი-თონ არ უვლიდნენ. მწყემსებად ქართველები ჰყავდათ. შემოსავალს, მაგ., ცხინვალში, ასე ანაწილებდნენ: მონაგარი ბატკანი ორი წილი მწყემსისა იყო, ერთი წილი – ცხვრის პატრონისა, ნაპარსი მატყლი და რძის ნაწარმი კი – სანახევრო. გარკვეულ დროს ცხვრის ებრაელი პატრონი მიდიოდა მთაში, თან მიჰქონდა სპეციალური ჭურჭელი და ებრაული წესით ამზა-დებდა ყველს, ერბოსა და სხვ. მორწმუნე ებრაელი ყველის დამზადებისას აუცილებლად ითვალისწინებდა კულტის მოთხოვნებს (რძის კვეთა, ჭურ-ჭელი და სხვა). ამ წესით დამზადებული ებრაული ქაშერი (წმინდა) ყველი დიდ ქალაქებში ებრაელთა შორის ძვირად ფასობდა როგორც ებრაული წესით დამზადებული. მეურნეობის ეს სახე, ისევე, როგორც ხელოსნობის სახეები, ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული და მასთან შეგუებული მეურ-ნეობა იყო [ქურჩიშვილი ი. 1941: 115].

**ბავშვის მკურნალობა.** ტილო, ზეთი. 57X39. საინვ. № 7-98/141.

ახალციხელ ებრაელთა შორის ექიმბაშები, ძირითადად, ქალები იყვნენ, თუმცა ამ საქმეს ზოგჯერ ხახამიც (კულტის მსახური) ასრულებდა. ახალციხის ებრაელებს ღრმად სწამდათ, რომ ყოველ დაავადებას თავისი ანგელოზი ჰყავს და ამიტომაც მკურნალობას ამ ანგელოზის მიმართ ლოცვით იწყებდნენ. ნერვ-იულსა და ფსიქიკურ დაავადებებს, უმთავრესად, ამულეტებით მკურნალობდ-ნენ. ამულეტს ახალციხელი ებრაელები ეძახდნენ ნუსხასა (თუ ის მოლის მიერ იყო დამზადებული) და კამიაყს (თუ ხახამის მიერ იყო დამზადებული). კამიაყი არიზელის (ცნობილი კაბალისტი) მიხედვით იყო შედგენილი. ხახამი ამ წიგნს რამდენჯერმე გადაშლიდა და პირველად ამოკითხული ასოების მიხედვით „გამოიცნობდა" ავადმყოფობის მიზეზს. ამის შემდეგ კი დაწერდა შესაბამ-ის კამიაყს. კამიაყი იწერებოდა ავადმყოფის მიერ მოყვანილი ქათმის სისხლით. როგორც მ. პლისეცკი წერს: „საინტერესოა, რომ, მიუხედავად ქრისტიანული და ებრაული რელიგიების განსხვავებისა, მკურნალობის მეთოდი, ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა ხალხური რწმენის გამოვლინება, ებრაელებს და მათ მეზობელ ქართველებს, სომხებსა, ოსებს და სხვებს ერთი აქვთ" [Плисецкий М. 1931: 37]. ჯანმრთელობის გაუარესების დროს მაგიური ხერხებითა და ამულეტებით მკურნალობის ადგილობრივი ზომები თუ უშედეგო აღმოჩნდებოდა, მაშინ

ბრეთს მიემგზავრებოდნენ და ბიბლიაზე შეხებით „მკურნალობდნენ“ [ქურჩიშვილი ი. 1945: 184].

**წითელათი დაავადებული.** ქაღალდი, აკვარელი. 26X30. საინვ. № 7-98/106 (სურ. 30).

წითელი ბატონებით დაავადების მიზეზად ახალციხელი ებრაელები ანგელოზებს თვლიდნენ და მკურნალობაც მათდამი მიმართ ხვეწნა-მუდარასა და ავადმყოფის გართობაში გამოიხატებოდა. ავადმყოფს აცვამდნენ წითელ პერანგს, ახურავდნენ წითელ საბანს; ოთახს წითელი ყვავილებით რთავდნენ და სხვ. მღეროდნენ სპეციალურად ბატონებისათვის შეთხზულ სიმღერებს, რომლებსაც „ბატონების სიმღერა“ ეწოდებოდა. ზოგჯერ წითელი ბატონების გასამხიარულებლად ავადმყოფის ოთახში წითელი მამალი შემოჰყავდათ, რომელსაც ფეხებზე ოქროს ნივთები ჰქონდა გამობმული და აჟღარუნებდა. თუ ამ ზომებმა ბატონები ვერ გაამხიარულა, ის გაგულისდა და ავადმყოფი ძალზე შეაწუხა, მაშინ მამა შიშვლდებოდა, ავადმყოფის გარშემო იწყებდა ცეკვას. სიმღერის გარდა, არსებობდა წითელი ბატონებისათვის საგანგებო შელოცვა. ანალოგიური წესები დასტურდება ქართულ ყოფაშიც [ქურჩიშვილი ი. 1945: 185].

**მეწვრილმანე სოფლად.** ტილო, ზეთი. 68X94. საინვ. № 7-98/2 (სურ. 31).

XX ს-ის II ნახევარში აღებმიცემობაში ჩაბმული ებრაელობა სამ ფენად იყოფოდა: მსხვილ, საშუალო და წვრილ მოვაჭრეებად. ეს უკანასკნელი მოვაჭრეთა უმრავლესობა იყო. ისინი, ძირითადად, სოფლად ვაჭრობას მისდევდნენ. ამ მესოფლეთა უმთავრესი ნაწილი თავის საქონელს ხურჯინით, ბოხჩით ან სალენგრე ყუთით ატარებდა. მესოფლე ებრაელთა ერთი ნაწილი სხვადასხვა სოფელში სავაჭროდ მიდიოდა ზოგჯერ ექვსი დღით (კვირიდან პარასკევამდე), პარასკეობით კი შინ ბრუნდებოდა, თავის კრედიტორს ანგარიშს უსწორებდა, მისგან ახალ საქონელს იღებდა, შაბათს თავის ოჯახში რჩებოდა და კვირა დღიდან კვლავ თავის ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგებოდა. მესოფლე ღამეს ნაცნობი გლეხის ოჯახში ათევდა. მარშრუტი მტკიცედ იყო დადგენილი. თითოეული მესოფლე ვაჭრობდა მხოლოდ გარკვეულ სოფლებში, რომლებსაც თავის „სამრევლოს“ უწოდებდა [გაზ. „ივერია“. 1902: №141]. საინტერესოა, რომ მესოფლე ებრაელს კარდაკარ სიარულის დროს დაბარებული სიტყვა და ზოგჯერ წერილი და ფულიც კი დაჰქონდა ერთი ადგილიდან მეორეში და, ამდენად, ფოსტალიონის როლსაც ასრულებდა. გარდა ამისა, ისინი ერთ ადგილზე გაგონილ ზღაპარს მეორე ადგილას მოუთხრობდნენ გლეხობას და ამით ხელს უწყობდნენ ხალხში ფოლკლორის გავრცელებას. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერს, ქართველი მაჰმადიანებით დასახლებულ სოფლებში მესოფლე ებრაელები მათთან ქართულად ლაპარაკობდნენ და ამით მათ აქ ქართული ენის შემონახვას ხელს უწყობდნენ [ჭიჭინაძე ზ. 1904: 45].

**საქართველოს ებრაელთა ჟარგონი.** ტილო, ზეთი. 1937 წ. 68X94. ხელმოწერილია. საინვ. № 14-98/3. (სურ. 32).

საინტერესოა ე.წ. სავაჭრო-საიდუმლო ენის (თვით ებრაელები ამას ყივრულს უწოდებდნენ), ანუ ჟარგონის არსებობა. ჟარგონი აღებმიცემობასთან იყო დაკავშირებული, რადგან მისი მთავარი დანიშნულება კლიენტებისაგან ვაჭრობის საიდუმლოს დაცვა იყო. იგი, უმთავრესად შეამხანაგებული ებრაელი ვაჭრების მიერ, მეტწილად, საჯარო ბაზრობაზე გამოიყენებოდა, თუმცა ებრაელთა საყოფაცხოვრებო მეტყველებაშიც

მას შედარებით მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ადგილი ეჭირა. ამ ენიდან ზოგიერთ სიტყვას ქართველი მოსახლეობის ვიწრო წრეც ხმარობდა. ეს ჟარგონი, ძირითადად, ძველი ებრაული სიტყვებისაგან შედგებოდა [პაპისმედოვი ი. 1945: 69-74].

**მეწვრილმანეები მდიდარ ვაჭართან.** ტილო, ზეთი. 68X94. საინვ. № 14-98/4.

დუქნისა და მაღაზიის მეპატრონე შეძლებულ ვაჭრად ითვლებოდა. მეწვრილმანე, ანუ მესოფლე ვაჭრები მისგან იღებდნენ საქონელს, როგორც წესი, ნისიად [პაპისმედოვი ი. 1945: 69-74].

**მევალე ვალში უწერს სახლს**. 1937 წ. ტილო, ზეთი. 68X94. ხელმოწერილია. საინვ. № 14-987/1.

თუ მევალე დათქმულ დროზე არ გადაიხდიდა ვალს, მას ვალის დასაფარავად მევახშის სასარგებლოდ სახლ-კარს გაუყიდიდნენ.

**შალომ კობოშვილის პორტრეტი.** ტილო, ზეთი. 78,5X56,5. საინვ. № 7-98/2 (სურ. 33).

**ძველი ებრაელის ტიპი.** ქაღალდი, აკვარელი. 34X27. საინვ. № 7-98/69 (სურ. 34).

**ძველი ებრაელის ტიპი.** ქაღალდი, აკვარელი. 35X25,3. საინვ. № 7-98/71 (სურ. 35).

**ებრაელის ტიპი.** მუყაო, ფანქარი. 23X18,5. საინვ. № 7-98/74 (სურ. 36).

**ებრაელის ტიპი.** მუყაო, ფანქარი. 17X12,5. ხელმოწერილია. საინვ. № 7-98/75.

**ცხინვალელი ებრაელის ტიპი.** ტილო, ზეთი. 68X47,5. საინვ. № 7-98/78.

**ებრაელი ქალი ჩიხტიკოპით.** ტილო, ზეთი. 62,5X53. საინვ. № 7-98/82 (სურ. 37).

ქართული თავხურვა ებრაელ ქალებს შორის იშვიათად, მაგრამ მაინც იყო გავრცელებული, ძირითადად, ქალაქებში.

**ებრაელი მოხუცის ტიპი.** ტილო, ზეთი. 65X54. საინვ. № 7-98/83 (სურ. 38).

**მლოცველის ტიპი.** ტილო, ზეთი. 100,5X70. ხელმოწერილია. საინვ. № 7-98/84 (სურ. 39).

**ახალციხელი ებრაელის ტიპი.** ტილო, ზეთი. ხელმოწერილია. საინვ. № 7-98/85.

**ებრაელი მამაკაცის ტიპი.** ქაღალდი, აკვარელი. 34X27. საინვ. № 7-98/88 (სურ. 41).

**მოხუცი ებრაელი ქალის ტიპი.** ქაღალდი, აკვარელი. 27X19. საინვ. № 7-98/89 (სურ. 42).

**ებრაელი ქალიშვილის ტიპი.** ტილო, ზეთი. 50,5X40,5. საინვ. № 7-98/90.

**ფორმიანი პიონერი ქალიშვილი.** 1937 წ. ტილო, ზეთი. 52,5X38. ხელმოწერილია. საინვ. № 7-98/110.

**ებრაელი გზაში.** მუყაო. ზეთი. 57X47. საინვ. № 7-98/121 (სურ. 43).

**ახალციხელი ებრაელი ქალის ტიპი.** 1937 წ. 36X31. ხელმოწერილია. საინვ. № 7-98/143.

**კაცის პორტრეტი (შალომ კობოშვილის პორტრეტი).** ტილო, ზეთი. 53,5X46. საინვ. № 7-98/153 (სურ. 40).

**Tamar Geladze, Nino Datunashvili**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105. Tbilisi, Georgia
E-mail:nino.museum@gmail.com

# David Gvelesiani

## (Works Reflecting Georgian Jews' Culture and Mode of Life from the Georgian National Museum)

### Summary[4]

As a result of works carried out during expeditions and business trips David Gvelesiani left us portraits, representing mode of life of the jews of Georgia. His works are performed in oil, watercolor, pencil, ink and represent pictures of jews of different age, their social status, professions, customs of betrothal, weddings and divorces; rituals, connected with religious beliefs, and pictures, representing economic way of life. Types of jewish dwellings and settlements are seen in his works as well.

Publishing of this article is very important. It will illustrate one period of creativity of David Gvelesiani – the artist who "nowadays is undeservedly forgotten". Besides, it will enrich the information about Georgian jews, who live compactly or dispersed together with Georgian people and who are connected with them and Georgia during 26 centuries. The Georgian jews have kept their mode of life, region, traditions, culture and, at the same time, have developed a certain system of residing together with Georgian people.

### ბიბლიოგრაფია

**ვახვახიშვილი ნ. 1997:** მხატვარი დავით გველესიანი. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესიის თეზისები. გვ. 38-39. თბილისი.

**ვეფხვაძე ი. 1958:** *მოგონებები და პორტრეტები.* თბილისი.

**კრიხელი ა. 1940:** ბრეთის ბიბლიის საკითხისათვის. *საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები.* ტ. I. გვ. 107-144. თბილისი (რედ. ა. კრიხელი).

**პაპისმედოვი ი. 1945:** საქართველოს ებრაელთა აღებმიცემობის ისტორიისათვის. *საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზე-*

4 Translated by Tsira Basiladze

*უმის შრომები.* ტ. III. გვ. 9-88. თბილისი (რედ. ა. კრიხელი).

**ქურჩიშვილი ი. 1945:** ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა ხალხური მკურნალობა. *საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები.* ტ. II. გვ. 175-216. თბილისი (რედ. ა. კრიხელი).

**ჩორნი ი. 1945:** მოგზაურობა იმიერ და ამიერკავკასიაში. *საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები.* ტ. III. გვ. 9-134. თბილისი (რედ. ა. კრიხელი).

**მეტრეველი რ. 1995:** *ებრაელები საქართველოში.* თბილისი.

**თავდიდიშვილი რ. 1940:** *ეთნოგრაფიული ნარკვევები ქუთაისელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებიდან.* თბილისი.

**ჭიჭინაძე ზ. 1904:** *ქართველი ებრაელები საქართველოში.* თბილისი.

***მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. 1998:*** თბილისი.

**გელაძე თ. 2003-2004:** მხატვარი დავით გველესიანი (1890-1949 წ.წ.). *სსმ.* ტ. 45. გვ. 226-233. თბილისი (რედ. ლ. ჭილაშვილი).

**გაზ. *„ივერია“.* 1902:** №141. გვ. 3. თბილისი.

**გაზ. *„სახალხო გაზეთი“.* 1912:** №694 (8 სექტემბერი). გვ. 4. თბილისი.

**Беридзе В., Езерская Н. 1975:** *Искусство Советской Грузии 1921-1970.* Москва.

***Еврейская энциклопедия в шестнадцати томах.* 1913:** Санкт-Петербург.

**Крутиков М. 1990:** *Еврейские праздники.* Москва.

**Плисецкий М. 1931:** *Религия и быт кавказских евреев.* Москва.

**Шаптошвили И. 1945:** Музей к 20-ой годовщине установления советской власти в Грузии. *საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები.* ტ. II. გვ. 3-27. თბილისი (რედ. ა. კრიხელი).

***In the Land of the Golden Fleece. Jews of Georgia-History and Culture.* 1992:** Tel-Aviv.

***Beyond the Golden Fleece. A cultural history of the jews of Georgia.* 2004:** Bethesda.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** დავით გველესიანი

**სურ. 2.** მკურნალობა ბრეთის ბიბლიით

**სურ. 3.** ლეგენდა ლაილაშის ბიბლიის შესახებ

**სურ. 4.** გვალვის წინააღმდეგ

**სურ. 5.** თაშლიხი – წყლის კურთხევის რიტუალი

**სურ. 6.** ხანუქას კურთხევა

**სურ. 7.** ჰაგადა და ფესახის ღამე

**სურ. 8.** ჯადოქარი

**სურ. 9.** ხერემი – ანათემა სინაგოგაში

**სურ. 10.** შოხეტი – ფრინველის დაკვლა

**სურ. 11.** წინადაცვეთა სინაგოგაში

**სურ. 12.** დანიშვნის წესები ებრაელებში
**სურ. 13.** 12 წლის პატარძალი
**სურ. 14.** პატარძალი
**სურ. 15.** დედოფალი
**სურ. 16.** დედოფლის ხელების შეღებვა ინით
**სურ. 17.** მამლის გადაფრენა
**სურ. 18.** ხუფა – ქორწინების აქტის წაკითხვა
**სურ. 19.** გეტი – განქორწინება ცოლ-ქმარს შორის
**სურ. 20.** ხალიცა – განქორწინება მაზლთან
**სურ. 21.** სიდონიას საფლავი მცხეთაში
**სურ. 22.** ახალციხელი ებრაელის უძველესი საფლავი
**სურ. 23.** ონის ებრაელთა შეხვედრა აკაკისთან 1910 წელს
**სურ. 24.** ზეიმი, მიძღვნილი აკაკისადმი ლაილაშში
**სურ. 25**. სტალინირის ებრაელთა სახლი ისტორიულ ჭრილში (ქ. ცხინვალი)
**სურ. 26.** ებრაელთა საცხოვრებელი ნაგებობანი დასავლეთ საქართველოში
**სურ. 27.** ებრაელთა უბანი ახალციხეში
**სურ. 28.** ბავშვი აკვანში
**სურ. 29.** ყველის დამზადება ებრაული წესით
**სურ. 30.** წითელათი დაავადებული
**სურ. 31.** მეწვრილმანე სოფლად
**სურ. 32.** საქართველოს ებრაელთა ჟარგონი
**სურ. 33.** შალომ კობოშვილის პორტრეტი
**სურ. 34.** ძველი ებრაელის ტიპი
**სურ. 35.** ძველი ებრაელის ტიპი
**სურ. 36.** ებრაელის ტიპი
**სურ. 37.** ებრაელი ქალი ჩიხტიკოპით
**სურ. 38.** მოხუცი ებრაელის ტიპი
**სურ. 39.** მლოცველის ტიპი
**სურ. 40.** შალომ კობოშვილის პორტრეტი
**სურ. 41.** ებრაელი მამაკაცის ტიპი
**სურ. 42.** მოხუცი ებრაელი ქალის ტიპი
**სურ. 43.** ებრაელი გზაში

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Portrait of David Gvelesiani
**Fig. 2.** Thearment by the Bible of Breti
**Fig. 3.** Legend of the Bible of Lailashi
**Fig. 4.** Player against the drought

**Fig. 5.** "Tashlih" – ritual of benediction over water
**Fig. 6.** Prayer for "Khanukah"
**Fig. 7.** "Hagada" – Pesach Night
**Fig. 8.** Magician
**Fig. 9.** "Herem" – Anathema in the synagogue
**Fig. 10.** "Shokhet" Slaughtering poultry according to religious rules
**Fig. 11.** Circumcision in the synagogue
**Fig. 12.** Rules of betrothal at jews
**Fig. 13.** Twelve years old bride
**Fig. 14.** Bride
**Fig. 15.** Bride
**Fig. 16.** Dyeing the bride's hands by henna
**Fig. 17.** Wedding ceremony with a cock
**Fig. 18.** Khupa – ritual of wedding ceremony
**Fig. 19.** Geti – divorce of husband and wife
**Fig. 20.** Khalitsa – divorce of a widow with her brother-in-law
**Fig. 21.** Sidonia's grave in Mtsketa
**Fig. 22.** Ancient grave of Jew from Akhaltsikhe
**Fig. 23.** Meeting of Jews of Oni with Akaki Tsereteli in 1910
**Fig. 24.** Celebrating the occasion of meeting with Akaki Tsereteli in Lailashi
**Fig. 25.** House of Jews in Staliniri (Tskinvali)
**Fig. 26.** Housing constructions of Jews in west Georgia
**Fig. 27.** Jewish district in Akhaltsikhe
**Fig. 28.** Child in the cradle
**Fig. 29.** Cheese preparation according to Jewish custom
**Fig. 30.** Sick of measles
**Fig. 31.** Chandler in the village
**Fig. 32.** Slangs of Georgian Jews
**Fig. 33.** Portait of Shalom Koboshvili
**Fig. 34.** Old jew
**Fig. 35.** Old jew
**Fig. 36.** Jew
**Fig. 37.** Jewish woman
**Fig. 38.** Old Jew
**Fig. 39.** Praying person
**Fig. 40.** Portait of Shalom Koboshvili
**Fig. 41.** Jew
**Fig. 42.** Old Jewish woman
**Fig. 43.** Jew on the road



**სურ. 1 Fig.**



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.



სურ. 11 Fig.




სურ. 12 Fig.



სურ. 13 Fig.



სურ. 14 Fig.



სურ. 15 Fig.



სურ. 16 Fig.



სურ. 17 Fig.



სურ. 18 Fig.



სურ. 19 Fig.



სურ. 20 Fig.



**სურ. 21 Fig.**



**სურ. 22 Fig.**



**სურ. 23 Fig.**



**სურ. 24 Fig.**




სურ. 25 Fig.




სურ. 26 Fig.



სურ. 27 Fig.



სურ. 28 Fig.



სურ. 29 Fig.



**სურ. 30 Fig.**



სურ. 31 Fig.



სურ. 32 Fig.



სურ. 33 Fig.



სურ. 34 Fig.



სურ. 35 Fig.



სურ. 36 Fig.



სურ. 37 Fig.



სურ. 38 Fig.



სურ. 39 Fig.



სურ. 40 Fig.



სურ. 41 Fig.



სურ. 42 Fig.



სურ. 43 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 248-261
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 248-261

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

**მარინე ბოკუჩავა**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: marinaboku@yahoo.com

# სოფლის მეურნეობის დარგები საინგილოში

## (მევენახეობა, მეხილეობა-მებაღეობა, მებოსტნეობა, მებახჩეობა)

მიწათმოქმედების რთულ კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მევენახეობას უჭირავს. საქართველოს მევენახეობის უძველეს ტრადიციაზე მეტყველებს აუარებელი არქეოლოგიური და ისტორიული მასალა. ამასვე ადასტურებს ვაზის კულტის უძველესი ფესვები. ცნობილია, რომ წმ. ნინომ ჯვარი სწორედ ვაზისაგან გააკეთა, რადგან ვაზი იმ პერიოდის საქართველოში უკვე კულტის საგანი იყო და მისგან გაკეთებულ ჯვარს, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოს, ხალხი უფრო ადვილად ირწმუნებდა.

საინგილოში – ისტორიულ აღმოსავლეთ კახეთში მევენახეობა ოდითგანვე სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად ითვლებოდა. ამაზე მეტყველებს მევენახეობის როგორც თანამედროვე კულტურა და ვაზის კულტთან დაკავშირებული დღევანდლამდე შემორჩენილი რწმენა-წარმოდგენები, ასევე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალა და ეკლესიების მიმდებარედ შემორჩენილი საზედაშე ქვევრები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კასრის საყდრის ეზოში ჩაფლული უზარმაზარი ქვევრი, რომლის ტევადობა რამდენიმე ათასი ლიტრია.

საინგილოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მარნების, საწნახლების, ქვევრების სიმრავლე და უჩვეულოდ დიდი ზომები, ასევე სარწყავი არხების დიდი გამტარუნარიანობა იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ მხარეში მევენახეობის დიდი მასშტაბი ვივარაუდოთ, რომელიც მხოლოდ ადგილობრივი საჭიროებისთვის არ იყო გამიზნული. მევენახეობის პროდუქტები სასაქონლო პროდუქციაც იყო და ვაჭრობის საგანიც [ჭილაშვილი ლ. 1980: 210, 260, 261]. საინგილოს მევენახეობაზე ცნობებს იძლევიან: ვახუშტი ბატონიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, ვ. გეევსკი, გ. შარერი, ნ. კეცხოველი, ლ. ჭილაშვილი, ი. ხუციშვილი და სხვ.

საინგილოს ტყეებში მრავლად იზრდება გარეული ვაზი, რომელსაც აქ *ბურზღუმს* ეძახიან. იგი ისხამს შავი ფერის წვრილ ნაყოფს, რომელიც საკვებად ვარგისია, მაგრამ ძალიან მჟავეა. მას წურავდნენ კიდეც და ძმრად იყენებდნენ. *ბურზღუმს* სხვა დანიშნულებაც გააჩნდა. მას იყენებდნენ შინაური ვაზის დასამტვერიანებლად, რასაც შემდეგნაირად აკეთებდ-

ნენ: *ბურზღუმის* ყვავილობის დროს მიდიოდნენ ტყეში, აგროვებდნენ მის ყვავილს, ახმობდნენ, ფშვნიდნენ და აყრიდნენ შინაური ვაზის ყვავილს. ასეთი წესით დამტვერიანებული ვაზი კარგ მოსავალს იძლეოდა და ღვინოც კარგი გამოდიოდა. ამ მიზნითვე (დასამტვერიანებლად) 3-4 ძირი *ბურზღუმი* ვენახში ირგვებოდა.

*ბურზღუმის* უნაყოფო სახესხვაობას – *ყუსურვაზს* იყენებდნენ სახურავის ლატნების დასამაგრებლად.

საინგილოში გავრცელებულია დაბლარი მევენახეობა. აგრეთვე ყველა ეზოში ტალავერია.

საინგილოში გავრცელებული კულტურული ვაზის ჯიშებია: *მელაკუდა* (კახური რქაწითელი), *დევის თვალა, ქეჩი ემჟაგი, თხლაფა, საფერავი, საკმელა, გენჟური, მერანდო* [ჯანაშვილი მ. 1913: 99], ამასთანავე, *კახის ვარდისფერი, კახის მწვანე, სანთლისფერი, ხრაპუნა და ქიშმიში.* აქ ჩამოთვლილ ყურძნის ჯიშთაგან ზოგი– *მელაკუდა, კახის მწვანე, კახის ვარდისფერი* და საფერავი საღვინეა, დანარჩენი კი სუფრის ჯიშებია. საფერავი, *კახის მწვანე*, თითა, *მელაკუდა, საკმელა და თხლაფა,* საქართველოს სხვა რეგიონებშიც გვხვდება იდენტური ან მსგავსი სახელწოდებით. [ჯავახიშვილი ივ. 1986: 528-529; ხუციშვილი ი. 1980: 40-60].

სავენახე ადგილს შემოდგომაზე მოხნავდნენ დიდი გუთნით და გაზაფხულამდე დაუფარცხავად დატოვებდნენ. გაზაფხულზე კი აჩეჩათი გადახნავდნენ და დაფარცხავდნენ. ამის შემდეგ ნაკვეთს გეგმავდნენ და მასზე არხებს ჭრიდნენ თითო რიგის გამოტოვებით. ამ არხების სიღრმე 30-40 სმ. იყო. არხში ჩაყრიდნენ ვაზის რქებს და ზედ ნაკელნარევ მიწას მოაყრიდნენ. რქებს შორის მანძილი 80 სმ-მდე იყო. ვაზი მსხმოიარობას იწყებდა მესამე წლიდან, სრულად სხმას კი მეხუთე წელს.

ვენახს ადრე გაზაფხულზე ვაზის ტირილობამდე სხლავდნენ. გასხვლის შემდეგ ვენახს შესარავდნენ – თითოეულ ვაზს 3-5 ჭიგოს უდგამდნენ. ვაზის შესარვას აგებას უწოდებდნენ. აგებას შეყელვა (აკვრა) მოსდევდა. ვაზს აკრავდნენ კაკლის ქერქით. საამისოდ კაკლის ლოფოს (ქერქს) შემდეგნაირად ამზადებდნენ: კაკლის ნორჩ ტოტებს გაატყავებდნენ, წვრილ ზოლებად დაჭრიდნენ და გაახმობდნენ, შეყელვის დროს კი წყალში ჩაყრიდნენ, დაალბობდნენ და ისე იხმარდნენ. შეყელვას იწყებდნენ აპრილის მეორე ნახევრიდან. ვენახს თიბავდნენ წელიწადში 2-3-ჯერ, რწყავდნენ 3-4-ჯერ, პირველად – მარტის პირველ ნახევარში, როდესაც ვენახს შესარავდნენ, მეორედ – დაყვავილებამდე, მესამედ – ივნისის ბოლოს, ხოლო მეოთხედ, საჭიროების შემთხვევაში – ივლისის ბოლოს.

ვაზს 2-3 წელიწადში ერთხელ ანოყიერებდნენ დამწვარი ნაკელით. ნაკელი ვენახში გოდრებით გაჰქონდათ. ამ საქმისათვის ლეკებს ქირაობდნენ, რისთვისაც გასამრჯელოდ მათ ნიორს, ფქვილს, საქალამნეს ან ფულს აძლევდნენ [ჯანაშვილი მ. 1913: 100].

საინგილოში ვენახის მოვლის თავისებური წესი არსებობს: ვენახს არ ბარავენ და თოხნიან, თუმცა საქართველოს სხვა რეგიონებში დაბლარი ვენახი, როგორც წესი, იბარება და ითოხნება.

რთველი სექტემბრის ბოლოს იწყებოდა. რთველისთვის მზადებას ერთი

თვით ადრე იწყებდნენ: ასუფთავებდნენ მარანს, რეცხავდნენ ქვევრებს, საწნახლებს. ქვევრებს *ცარცხით* – ბალამწარას ქერქისაგან დამზადებული სახეხით რეცხავდნენ. ქვევრებს რეცხავდნენ მაშინაც, ღვინოს რომ ამოიღებდნენ და ქვევრი დაიცლებოდა – ჯერ ცარცხით მორეცხავდნენ, მერე ნაცარს მოაყრიდნენ. ამგვარად შენახული ქვევრი სისუფთავეს უფრო კარგად ინარჩუნებდა და ფერს არ კარგავდა, ისევ წითელი იყო.

ახალ ქვევრს ქონავდნენ. ამას ქვევრის *გაფიევას* ეძახდნენ. გაფიევა იმ მიზნით ხდებოდა, რომ ქვევრს ღვინო არ შეეწოვა. გაფიევა ხდებოდა ხარის ქონით. ქვევრის გაქონვის წესი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული.

ყურძენი ვენახიდან სახლში გოდრებით მიჰქონდათ. თუ ვენახი სახლიდან მოშორებით იყო, მაშინ ურმით ეზიდებოდნენ. ზოგჯერ ყურძენს პირდაპირ ყრიდნენ *მოჩადულ* ურემზე. ურმის მოჩადვა ნიშნავდა მისი კედლების წნელით ამოწვნას.

ყურძენს წურავდნენ ფეხით ხის საწნახელში – *ნავში*. ყურძნის დაწურვას *დალახვას* ეძახოდნენ. *ნავს* ცაცხვისაგან ამზადებდნენ. მისი სიგრძე 10-12 მეტრი იყო, სიგანე – 1 მეტრამდე, სიმაღლე კი 50 სმ-ს აღწევდა. ყურძნის წურვისას *ნავს* ისე აყენებდნენ, რომ ხვრელი ქვევრის პირზე ყოფილიყო. ნავში წვრილ ჯოხებს აწყობდნენ და ზედ *კარაზანას* (ბალახი ცოცხანა) აფენდნენ. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ყურძენი უკეთ დაჭყლეტილიყო და წვენს ჩენჩო არ გაჰყოლოდა. *კარაზანა* საწურის როლს ასრულებდა. ღვინოს აყენებდნენ უჭაჭოდ ან მცირე რაოდენობის ჭაჭით. აყენებდნენ აგრეთვე სუსტ ღვინოს – *შამანს,* რომელსაც შემდეგნაირად ამზადებდნენ: ყურძნის დაჭყლეტის შემდეგ საწნახელში წყალს გამოავლებდნენ, გამონავლებ წყალს დაასხამდნენ ჭაჭას, რის შემდეგაც იღებდნენ ღვინოს.

ყურძნის წვენისაგან ამზადებდნენ ტკბილ სასმელს – *ბოზას // ილიჩარს*. ამისათვის ერთ მუჭა თეთრ მიწას ჩაყრიდნენ ტკბილში და იგი იწყებდა დუღილს, შემდეგ ცეცხლზე მოადუღებდნენ, გადაწურავდნენ და დიდი ზომის ქოთნებში ან პატარა მოცულობის ქვევრებში შეინახავდნენ. ასეთი წესით დამზადებული ბადაგი წლების განმავლობაში კარგად ინახებოდა.

ყურძნის წვენისაგან მოადუღებდნენ აგრეთვე თათარას, რისგანაც ჩურჩხელებს ამზადებდნენ. ჩურჩხელებს გულში უდებდნენ ნიგოზს, თხილს ან ქიშმიშს. უფრო ნიგვზის ჩურჩხელები იყო მიღებული.

ჭაჭისაგან ხდიდნენ არაყს. არაყი იცოდნენ ერთნახადი, ორნახადი – (*თავ არაყ*) და სამნახადი (*კუდ არაყ*). არაყსაც ქვევრებში ინახავდნენ.

ღვინით ან არყით სავსე ქვევრებს პირის ირგვლივ ადებდნენ ხავსს, შემდეგ აფარებდნენ საპირეს. საპირე კაკლის ქერქისაგან, კაკლის ფოთლებისაგან ან კარაზანისაგან გაკეთებული რკალი იყო. მას იმიტომ ადებდნენ ქვევრს, რომ ღვინისა და არყის სიმაგრე არ ამოსულიყო. საპირეზე ადებდნენ სიპ ქვას, ზემოდან კი მიწას მოაყრიდნენ.

ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით, საინგილოში მარნები ღია ცის ქვეშ, უფრო ხშირად ტალავერის ქვეშ იციან.

საინგილოში დადასტურებული საღვინე ჭურჭელ-ინვენტარი შეიძლება სამ ძირითად ტიპად დაიყოს: თიხის ჭურჭელი, მიწაში არსებული, ქვითა და კირხსნარით ამოშენებული აუზები [ხუციშვილი ი. 1980: 16] და სპილენ-

ძის ჭურჭელი.

თიხის საღვინე ჭურჭელი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ დამოწმებულია: დოქი, გოზაური, *ჰარაწი* (ჭინჭილა), ქოთანი, ორყურა, ქოცო, კილანა (ფიალა) და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვევრი. ინგილოური ქვევრი თავისი ფორმით განსხვავდება ტრადიციული ქართული ქვევრისაგან იმით, რომ ბრტყელი ძირი აქვს.

ქვევრიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი იყო *კოტოში//თებჟანი*, რომელიც გოგრისაგან მზადდებოდა. *კოტოში* ისეთივე ჭურჭელია, როგორიც ხაპი//ორშიმო, რომელიც გურიასა და იმერეთშია გავრცელებული.

საღვინედ სპილენძის ჭურჭელიც გამოიყენებოდა: თასები, თუნგი დ ჩაფი (პატარა თუნგი). ამ უკანასკნელს, მთხრობელთა გადმოცემით, სააღებმიცემო დანიშნულებაც ჰქონია.

ღვინის საწყაოები იყო: *თაღარი, კუარტი* და ჩაფი. *თაღარი* თიხის ჭურჭელია, რომელშიც 15 „ვედრო" ღვინო ჩადის. *კვარტი* ღვინის საწყაოა, თიხის, 1 ლიტრი ტევადობისა. *ჩაფიც* თიხისაა. იტევს ნახევარ ვედროს.

ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, ვაზს სხვა დანიშნულებითაც იყენებდნენ: ბერწი, უნაყოფო ვაზით (იგი ძალიან მაგარია), რომელსაც *ყისირვაზს* ეძახდნენ, საულლეს წნავდნენ. მასვე იყენებდნენ სადღვებლის ჩამოსაბმელად.

ვაზითვე აკეთებდნენ ტომრის საპირეს. საპირეს უფრო მარცვლეულის ჩასაყრელ ტომრებს უკეთებდნენ, რადგან საპირეიან ტომრებში მარცვლის ჩაყრა მოსახერხებელი იყო.

ვაზის ქერქისაგან აკეთებდნენ ჭურჭლის სახეხსაც.

ვაზის მნიშვნელობაზე მეტყველებს ახალი წლის დილით ვაზთან შესრულებული რიტუალი, რომელსაც ახალი წლის წეს-ჩვეულებათა ციკლში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ახალი წლის დილისათვის ოჯახის უფროსი უხუცეს ქალს ადრიანად მოამზადებინებდა საახალწლო ხონჩას, რომელზედაც ეწყო პური, ნაზუქი, თაფლით სავსე ჯამი, ერბო და ღვინით სავსე *არაწი* (საღვინე ჭურჭელი). ხონჩაზე ეწყო აგრეთვე ახალი წლის წინადღით გამომცხვარი სარიტუალო პურები: სახლის უფროსისათვის – წალდისა და ცულის, ვაჟებისათვის – *ღულის*, ქალებისათვის – ფურის ძუძუების, გოგონებისთვის კი – ჯარის ფორმისა.

ხონჩით ხელდამშვენებული ოჯახის წევრები თავისი ვენახის მეკვლედ მიდიოდნენ. მისვლისთანავე უხვმოსავლიან ვაზთან ჩერდებოდნენ, ხონჩას ვაზის გვერდით დადგამდნენ. სახლის უფროსი ვაზს ჯერ გასხლავდა, მერე შესარავდა. ვაზის შესარვისას დიასახლისი ნიადაგს ღვინით ალბობდა. შემდეგ ოჯახის უფროსი ვაზის ძირში წითელ მამალს დაკლავდა, ბუმბულს მოაცლიდა, აბრეშუმის ძაფით ჭიგოსა და ვაზზე მიაკრავდა და დააყოლებდა: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, ნუ მოგვაკლებ ქვევრებში წითელ ღვინოს". ამის შემდეგ ოჯახის წევრები ცოტა ღვინოს მოსვამდნენ და შინ ბრუნდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მევენახეობა საინგილოს სოფლის მეურნეობის ასეთი ტრადიციული დარგი იყო, ვაზი დღეს, ძირითადად, საკარმიდამო ნაკვეთებზეა შემორჩენილი. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, მაჰმადიანუ-

რი გარემოცვა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარება (აზერბაიჯანის შემადგენლობაში ყოფნა), მეორე მხრივ კი ის ფაქტი, რომ XX ს-ის 30-იანი წლებიდან საინგილოში შემოვიდა სამრეწველო დანიშნულების თამბაქო, რომელმაც მეთხილეობასთან ერთად წამყვანი ადგილი დაიკავა საინგილოს სოფლის მეურნეობაში. ამან გამოიწვია სამიწათმოქმედო სისტემის ნაწილობრივი რღვევა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგები, მათ შორის, ისეთი ტრადიციულიც კი, როგორიც მევენახეობა და მეხილეობაა, უკანა პლანზე გადავიდა.

**მეხილეობა-მებაღეობა.** საინგილოში ძველთაგანვე მევენახეობასთან ერთად განვითარებული იყო მეხილეობაც. საინგილოს მეხილეობა შესანიშნავად აქვს აღწერილი მ. ჯანაშვილს [ჯანაშვილი მ. 1913: 101-102]. აქაურ მეხილეობას აღწერს ივ. ჯავახიშვილიც [ჯავახიშვილი ივ. 1986: 692-699]. მეხილეობის ძველ ტრადიციებზე მეტყველებს ხილის ადგილობრივი ჯიშების მრავალფეროვნება. ინგილოები განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებიან ამ საქმეს. ზოგიერთმა გვარმა და პიროვნებამ სახელიც კი გაითქვა ხილის მოყვანის კარგი ცოდნით. ამ მხრივ გამოირჩევა ხუციშვილების გვარი, რომელმაც ინგილოთა წინაშე ბევრ სხვა დამსახურებასთან ერთად მეხილეობის განვითარების საქმეშიც დატოვა კვალი. ბართლომე ხუციშვილმა გამოიყვანა ნარინჯისფერი ატამი სახრავი და სახლეჩი ნაირსახეობებით. ასევე ვეგეტატიური გამრავლების გზით მიიღო ვაშლის ახალი ჯიში, რომელსაც *ქონა ვაშლს* უწოდებენ. ეს მობრტყო, თეთრი ფერის ვაშლია, რომელიც წონით ზოგჯერ 500-800 გრამს აღწევს. ამჟერად ეს ჯიში საინგილოში იშვიათობაა.

განთქმული იყო ხუციშვილების ბაღ-ვენახები და თხილის პლანტაციები. სოფელ ქეშხუთანში, სადაც ხუციშვილებს *ბინები* ჰქონდათ, მათი სახელი ტოპონიმიკაშიც აისახა: ხუციანთ კალო, ხუციანთ ვენახი, ხუციანთ ბაღი და ა.შ. თუმცა იქ ზოგჯერ აღარც ბაღებია და აღარც ვენახები.

საინგილოში მოჰყავდათ ვაშლი, მსხალი, ატამი, ტყემალი, ლეღვი, თუთა და სხვა. ვაშლის ადგილობრივი ჯიშებია: „*თაფლავაშლი* – თეთრ-მომწვანო, რგვალი, ტკბილი და სურნელოვანი; *ქვავაშლაი* – მომრგვალო, წითელი, მაგარი, მეტად ტკბილი და გამძლო, ზაფხულამდე ინახება; წითელა-ვაშლი – სხვილი, მომჟავო; *თეთრ-ვაშლა* – სხვილი, სურნელოვანი და ჭირჭიმაი-მაჟალო" [ჯანაშვილი მ. 1913: 101-102].ამას გარდა: *გირვანქა ვაშლი, ქონიან ვაშლი, ძუძუვაშლი, თორაშალ ვაშლი, კაპლი ვაშლი, ლიმი ვაშლი, ჟაანათ ვაშლი*, ანუ *კატის სამოთხე, ჟანგიან ვაშლი, ჟორჟა ვაშლი, საკმელა ვაშლი.*[1] ამ სიაში ბევრია ძველი და აღდგენილი ჯიშები, რომლებიც ხშირად გვხვდება ძველ ნასოფლარებზე. მოსახლეობას მოაქვს ეს ჯიშები სახლში და რგავს საკარმიდამო ნაკვეთებზე.

მისდევენ აგრეთვე შემოტანილი ვაშლის ჯიშების მოშენებას. ეს ჯიშებია: *შამპანური, ბროცკი, როზმარინი, რანეტი* და სხვ.

მსხლის ადგილობრივი ჯიშებია: *უგულო მსხალი, კალოს მსხალი, ზამთრულა, მერახულა, კვირიშტავი, ჩიტიმსხალა, ჭირჭიმა/პანტა/, ლი-*

1 ვაშლის ჯიშების ეს დასახელებები მომაწოდეს კახის მკვიდრებმა – ლიზა ხუციშვილმა და ნიკო ოქროჯანაშვილმა.

*მონმსხალა, კაცისთავა* და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი, წინათ კულტურული ჯიში, შემდეგ გაგარეულებულა, თუმცა უმეტესობა ისევ „მოიშინაურეს", მაგალითად, *კაცისთავა* მსხალი, რომელიც 800-900 გრამს იწონის, 1960 წელს ტყიდან მოუტანია კახის მცხოვრებ თანო ხუციშვილს.

ქლიავის ჯიშებია: *ვაშლა ქლიავი, ვირა ქლიავი, კორცხა ქლიავი, ყაის ქლიავი*, იგივე *მწვანე დროგანა, ცომა ქლიავი, ჩურჩა ქლიავი* და სხვ. განსაკუთრებით ფასობდა ჩურჩა ქლიავი, რადგან მისგან განსაკუთრებით კარგი ჩირი გამოდიოდა. საჩირე ქლიავს დაჩურჩულს ან დაუჩურჩავს თუთქავდნენ და ლასტებზე აშრობდნენ. წინათ ქლიავს არაბ მეაქლემეებს (*ყარაბოღლი*) უცვლიდნენ მარილში. ჯანაშვილის ცნობით, 12 ბაკან ქლიავში 5–8 ბაკან მარილს იღებდნენ [ჯანაშვილი მ. 1913: 101].

მოჰყავდათ ატამი, როგორც სახრავი, ისე სახლეჩი. მისი დაჩირვა მიღებული არ იყო. დიდი რაოდენობით მოჰყავდათ სხვა ხილიც: ლეღვი, ალუბალი, ჭერამი, ბროწეული, შვინდი და სხვ. შვინდის რამდენიმე სახეობა იყო გავრცელებული: *თეთრ-შუნდ, ნელა–შუნდ* (გვიან მწიფდება), *ადრეულა შუნდ, ტკბილ-შუნდ* [ჯანაშვილი მ. 1913: 102].

შვინდს ჭამდნენ პირდაპირ, აკეთებდნენ კერკს, რომლისგანაც ზამთარში შინდის შეჭამადს ამზადებდნენ. კარგად დამწიფებულ შინდს ხეხავდნენ თუშფალანგზე და აკეთებდნენ შვინდის მჟავეს, რომელსაც მარილით, ნივრითა და სხვადასხვა სუნელებით აზავებდნენ და თიხის ქილებში ინახავდნენ. შვინდის მჟავეს იყენებდნენ საწებლად, ასევე ზოგიერთი ხორციანი კერძის შესაკაზმადაც.

საზამთროდ ინახავდნენ აგრეთვე თუთას, რომელსაც ლასტებზე ახმობდნენ ან აკეთებდნენ ბაქმაზს, ან მისგან არაყს ხდიდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, საინგილოს ტყე მდიდარია გარეული ხილით: მაჟალო, პანტა, შინდი, ზღმარტლი, ტყემალი, ბალამწარა და სხვ. ტყის ხილის საუკეთესო მსხვილნაყოფა ეგზემპლარები გადმოჰქონდათ საკარმიდამო ნაკვეთებში. შინაურ პირობებში ეს ხეები უკეთეს ნაყოფს ისხამდა. გარეული ხეხილის ჯიშებს იყენებდნენ საძირეებადაც – ზედ ამყნობდნენ სასურველ ხილს. ხშირად ტყეშივე აკეთებდნენ ტყის ბაღებს, კორომებს. როდესაც ტყეში ნახავდნენ გარეული ხილით მდიდარ ადგილს, მაშინ ამ ნაკვეთიდან გამოხშირავდნენ უნაყოფო ჯიშის ხეებს და მხოლოდ ხილის ხეებს დატოვებდნენ. ასეთ ბაღში გარეული ხეხილის თვისებები უმჯობესდებოდა. ყოველი კორომი გარკვეულ ოჯახს ეკუთვნოდა და სხვას არ ჰქონდა იქ ხილის დაკრეფის უფლება.

ყოველ გაზაფხულზე ხეხილს სხლავდნენ, ზაფხულის განმავლობაში კი 2-3 ჯერ რწყავდნენ.

ბაღის მოვლა კაცის საქმე იყო. ქალი მუშაობდა მხოლოდ ხილის კრეფის დროს. ქალის საქმედ ითვლებოდა აგრეთვე განასხლავის აკრეფა და დაწვა.

საინგილოს სოფლის მეურნეობაში ძველთაგანვე დიდი ადგილი ეჭირა თხილისა და კაკლის მოშენებას: საინგილოს ტერიტორია დაფარულია თხილის უშველებელი ბაღებითა და კაკლის ხეივნებით. აქ გავრცელებულია: *ჭარული თხილი, ადრეულა, დუდრუან თხილი*, იგივე *ბერძნული* და *ტყიურა*. „თხილს აშენებდნენ მისივე ძირებით, სათხილნარო ადგილში

ადრე გაზაფხულზე ღრმა ორმოებს ამოთხრიან მწკრივ-მწკრივად, მერე რომელიმე ბარტყებიან ბუჩქს მიწიდან ამოიღებენ ძირიანად, დაშლიან ბარტყებად და ყოველ ორმოში თითო ძირს ჩარგავენ, მიწას მოუტკეპნიან და მორწყავენ. ორ-სამ წლამდის, ვიდრე კარგად იხარებს, რამდენჯერმე მორწყვა უნდა" [ჯანაშვილი მ. 1913: 102]. თხილის ბუჩქებს ანოყიერებდნენ მხოლოდ დარგვისას, მერე თვითონ ნაყოფიერდებოდა საკუთარი ფოთლებით. თხილს, გარდა იმისა, რომ იხმარდნენ პირადი საჭიროებისთვის, მას ყიდდნენ კიდეც ან არაბ ვაჭრებს უცვლიდნენ მარილში. თხილის ბაღი დღესაც ყველა ოჯახს აქვს. საბჭოთა პერიოდში თხილის უზარმაზარი პლანტაციები ჰქონდა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აზერბაიჯანს სავაჭრო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანასთან (ბელგიასთან, ჰოლანდიასთან, იაპონიასთან), ხდებოდა საინგილოს კაკლისა და თხილის ბარტერული გაცვლა უცხოური მსუბუქი მრეწველობის ნაწარმზე.

საბჭოთა წყობის ნგრევის შემდეგ მოხდა თხილის პლანტაციების პრივატიზება კერძო პირების მიერ.

კაკალიც ბევრია საინგილოში. მოყვანილობით მრგვალი, მომრგვალო და მოგრძოა, რომელსაც *ჩონგურას* ეძახიან, ნაჭუჭის სიმაგრით – თხელნაჭუჭა, მაგარნაჭუჭა და კერკეტი. ნიგოზს პირდაპირ შეექცეოდნენ, ხმარობდნენ ჩურჩხელებისთვის, მის ლებნებს დებდნენ ფლავში, ნიგოზს დინგში ნაყავდნენ და ხდიდნენ ზეთს, რომელსაც მარხვების დროს იყენებდნენ კარაქისა და ერბოს ნაცვლად. ზეთგამოხდილი ნიგვზით კი ლობიოსა და ფხალეულს კაზმავდნენ.

აღსანიშნავია, რომ საინგილოში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ზოგიერთ ხესთან დაკავშირებით გარკვეული რწმენა-წარმოდგენები არსებობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაზის კულტი ახალი წლის ერთ-ერთ რიტუალში. განსაკუთრებული ფუნქცია მიეწერებოდა თხილსაც, რომლის დაკვირტული ტოტები ნაყოფიერების მომტანად ითვლებოდა [ბოკუჩავა მ. 2003: 81-85]. თხილის ნაყოფიერების ფუნქცია საინტერესოდაა წარმოდგენილი ინგილოური ქორწილის ერთ-ერთ რიტუალშიც – აყარზე ასული სიძე პატარძალს თავზე ერთ ჯამ თხილს გადმოაყრის. ეთნოგრაფ გიორგი ჯალაბაძის ზეპირი გადმოცემით, ქართლში ამავე მიზნით იცოდნენ თხილით სავსე ქილის გატეხვაც. მისივე ცნობით, ადიღეურ საქორწინო რიტუალში ნეფე-დედოფლისათვის ერთ-ერთ საპატიო საგნად ითვლებოდა თხილის ნაყოფისაგან დამზადებული დროშა, რომელიც ნეფე-დედოფლის ოჯახს რელიკვიად რჩებოდა ხოლმე.

სიკეთის მომტან "კეთილ" ხედ ითვლებოდა *ბიაც* (კომში). ამიტომ მას სახლთან ახლოს რგავდნენ და ქვევრებსაც, ხშირად, ბიების ქვეშ ჩაყრიდნენ. შვინდის ხისა კი ეშინოდათ. მას ბოროტად თვლიდნენ, ეშმაკების საბუდებლად მიაჩნდათ. ამიტომ სახლთან ახლოს არ დარგავდნენ. საღამო ხანს შვინდის ხიდან ზურნისა და ნაღარის ხმა ესმოდათ, ეშმაკები უკრავენო. ამბობდნენ, ვინც საღამო ხანს შვინდის ხის ქვეშ გაივლის, იმას ეშმაკი დაჰკრავს და მოკვდებაო. შვინდის ხე "ნავსი" ხეა, ვინც შვინდის ხიდან ჩამოვარდება და ცოცხალი დარჩება, ის მაინც სასიკვდილოა და არ იცოცხლებსო. ანალოგიური რწმენა აქვთ ლეღვის ხეესთან დაკავშირებ-

ითაც.

**მებოსტნეობა.** "მემტილეობის, ანუ მებოსტნეობის მიზანი მწვანილისა და სანელებლის, ისევე, როგორც მხალის, მდელოთა, ანუ ძირხვნეულისა და ხმილის მოყვანა იყო. თითოეულ მათგანს ადამიანის კვებაში სათანადო ადგილი ჰქონდა დაკავებული" [ჯავახიშვილი ივ. 1986: 152].

მებოსტნეობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მებოსტნეობა ორ მთავარ დარგად იყოფა: შინადანიშნულებისა და სამრეწველო დანიშნულების მებოსტნეობად. დამხმარე შინადანიშნულების ბოსტნის მიზანია შინაური მოთხოვნის დაკმაყოფილება და ოჯახის უზრუნველყოფა საჭირო ბოსტნეულით. ამ სახეობის მებოსტნეობის წარმმართველი ქალი იყო, ხოლო, როდესაც მებოსტნეობა სამრეწველო ხასიათს იღებდა, მაშინ მისი ძირითადი წარმმართველი უკვე კაცი ხდებოდა, თუმცა ქალსაც ბევრი შრომა უხდებოდა [სონღულაშვილი ჯ. 1959: 3-4].

მებოსტნეობას საინგილოში ძველთაგანვე მისდევდნენ. საინგილოს მებოსტნეობის მასშტაბზე შეიძლება ვიმსჯელოთ მ. ჯანაშვილის ერთი ცნობის მიხედვით. იგი წერს: „ხახვი, ნიორი, ლობიო და სხვ. იმდენი მოჰყავთ, რომ თითონაც ჰყოფნით და ნამეტსაც სცვლიან ყველზე, საბლებზე, ნიჩბებზე, მატყლზე, ფაფახებზე, ანდა აძლევენ მკალავებს, მჭედლებს, ნეხვის ბაღ-ვენახებში გამტან მეგოდრე ლეკებს" [ჯანაშვილი მ. 1913: 105].

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საინგილოში მებოსტნეობა, მხოლოდ ოჯახური დანიშნულებისთვის კი არ იყო განკუთვნილი, არამედ ბოსტნეული სასაქონლო გაცვლის საგანიც გახლდათ, ანუ ნაწილობრივ საბაზრო ღირებულებაც ჰქონდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ბოსტნეულის მოვლა-მოყვანა მხოლოდ ქალის მოვალეობა ვერ იქნებოდა. მებოსტნეობასთან დაკავშირებულ ბევრ სამუშაო პროცესში (ბარვა, ხვნა და სხვ.) მამაკაცი იყო ჩაბმული. ქალის მოვალეობა იყო ბოსტნეულის თესვა, მარგვლა, ნაწილობრივ, თოხნა და მოსავლის აღება.

ბოსტნეულს საკარმიდამო ნაკვეთებზე თესავდნენ. ბოსტანს *დილივს* ეძახოდნენ. მას დასაცავად წნელის ღობე უკეთდებოდა.

საბოსტნე მიწას კარგი მეურნე შემოდგომაზე დაბარავდა, გაზაფხულზე კი ხელმეორედ გადაბარავდა.ბარით მუშაობისას მიღებული იყო ლეკების დაქირავება, მათ დღიურ გასამრჯელოს აძლევდნენ – დღეში ერთ ბაკან ხორბალს. თუ საბოსტნე ადგილი დიდი იყო, მაშინ აჩეჩით ხნავდნენ. დაბარულ ნაკვეთს დაფარცხავდნენ, შემდეგ კვლებს გააკეთებდნენ და ბოსტნეულს დათესავდნენ. ბოსტანს ყოველწლიურად ანოყიერებდნენ საქონლის ან ცხვრის დამწვარი პატივით. ნაკელი ბოსტანში გოდრებით გაჰქონდათ.

ბოსტანს სისტემატური მორწყვა სჭირდებოდა. ახალდათესილ ბოსტნეულს წყალს ნელა მიუშვებდნენ, რომ თესლი არ გადარეცხილიყო. ახალდათესილ ბოსტანს ხშირად *ჯუარებს* (პროფესიონალ მრწყველებს) არწყვევინებდნენ ხოლმე.

ბოსტანს სისტემატური მარგვლაც სჭირდებოდა. მარგლავდნენ *ალაქაშით*, რომელიც ხის ტარიანი პატარა ზომის სამარგლი იარაღია და წინ

ნამგალივით მოკაუჭებული რკინის წვერი აქვს.

მოჰყავდათ შემდეგი ბოსტნეული: ლობიო, კიტრი, პომიდორი, ხახვი, ნიორი, ბოლოკი, კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი. მწვანილეული: წიწმატი, ქინძი, ოხრახუში, ნიახური, რეჰანი, ქონდარი და კამა, რომელსაც *ტორახუტს* ეძახიან.

ლობიო სამხრეთამერიკული კულტურაა. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, პირველი მკაფიო ცნობა საქართველოში ლობიოს არსებობის შესახებ XVII ს–ში ჩნდება [ჯავახიშვილი ივ. 1986: 51].

მეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ლობიოს კულტურის გამავრცელებელი საქართველოში გურია იყო. გურიაში კი ოსმალეთის გზით შემოვიდა.

ლობიოს საინგილოში *ფაყლას* უწოდებენ. ვფიქრობთ, ეს ტერმინი *ბაკლადან* უნდა იყოს წარმომდგარი ბ-ფ და კ-ყ ბგერების მონაცვლეობით. *ბაკლა* ლობიო მოჰყავთ მთელ საქართველოში. საერთოდ კი *ბაკლა* არაბულ-სპარსული სიტყვაა და სპარსეთში მას მსხვილი ცერცვის მნიშვნელობა ჰქონია. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს სახელი XII ს-ის დამლევს უკვე შეთვისებული ჰქონდათ ქართველებს. დროთა განმავლობაში ბაკლას მნიშვნელობა შეუცვლია და ლობიოს მნიშვნელობა მიუღია [ჯავახიშვილი ივ. 1986: 68].

საინგილოში მოჰყავდათ როგორც კუტი ისე სარის ლობიო.. კუტ ლობიოს *ფეყის ლობიოს* ეძახდნენ. ლობიოს თესავდნენ მინდვრად სიმინდთან ერთად, ასევე ბაღ-ბოსტნებსა და ვენახებში.

საქართველოში არსებული 16 ჯიშის ლობიოთაგან საინგილოში დადასტურებულია 6 ჯიში: 1. *გენჟურა* – კუტი ლობიო. მუქი ყვითელი, ყავისფრად დაწინწკლული. აღწერილობით ეს ლობიო მსგავსია საქართველოში გავრცელებული ჭრელი ლობიოსი.

2. *კამეჩი ფაყლა, კამეჩა* – კუტი ლობიო. მარცვალი მსხვილი აქვს. ჩენჩო – სქელი, ნაკლებად გემრიელი. ვფიქრობთ, ეს ლობიო იდენტურია საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებული ლობიოს ჯიშისა, რომელსაც ბაკლა ან ვირგლა ეწოდება. ვირგლაც კუტი ლობიოა, ტლანქი, სქელჩენჩიანი და არც ძალიან გემრიელი [ჯავახიშვილი ივ. 1986: 68].

3. *ქონიან ფაყლა* – სარის ლობიო. დაახლოებით ამ დასახელების „კახურა ქონა ლობიო" მთელ საქართველოშია გავრცელებული. შესაძლოა, ინგილოური *ქონიან ფაყლა* და *კახულა ქონა ლობიო* ერთი და იმავე ჯიშისაა [ჯავახიშვილი ივ. 1986: 56].

4. *ჩიტიკორცხა ფაყლა* – სარის ლობიო. ძალიან მსხვილი მარცვალი აქვს, ყვითელ-წითლადაა დაწინწკლული, ძალიან გემრიელია. ასეთივე აღწერილობისა და დასახელების ლობიო გავრცელებულია მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი, დასავლეთში. მას *ჩიტის კვერცხასთან* ერთად *გურულსაც* ეძახიან [ჯავახიშვილი ივ. 1986: 55].

5. *სანთელა* – სარის ლობიო, მუქი ყვითელი მარცვალი აქვს. შესაძლოა, *სანთელა* იგივე „ყვითელი ლობიოა", რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებშიც, განსაკუთრებით კი, გურიაშია გავრცელებული [ჯავახიშვილი ივ. 1986: 61].

6. *ტკიპი ფაყლა* – კუტი. ძალიან წვრილი მარცვალი აქვს, ტკიპას ჰგავს. ამ სახელწოდების ლობიო საქართველოშიცაა გავრცელებული.

კიტრსა და ხახვს, ბოსტნის გარდა, თესავდნენ ახალგაშენებულ ვენახშიც. კიტრის თესლს *აყივებდნენ* და ისე თესავდნენ. ხახვს რგავდნენ ნერგითა და თესლით. ნიორს კბილით თესავდნენ, პამიდორს კი – ჩითილებით. კომბოსტოსაც ჩითილით რგავდნენ. ახალდარგულ კომბოსტოს ჩითილებს ზედ ბუერას ფოთოლს აფარებდნენ, რომ არ დამჭკნარიყო, წვიმისას კი ბუერას მოხსნიდნენ, რომ ჩითილი გაცოცხლებულიყო. კომბოსტოს ჩითილებს ახალმთვარეობისას რგავდნენ. XIX ს–ის დამლევიდან დაიწყეს კარტოფილის მოყვანაც. ბოსტნეულს სახლში გოდრებით ეზიდებოდნენ. როცა ბოსტანი შორს იყო, მაშინ ბოსტნეული სახლში მოჩადული ურმებით გადაჰქონდათ.

როცა ახალ ხილსა და ბოსტნეულს პირველად შეექცეოდნენ, იტყოდნენ: ესა და ეს ხილი ან ბოსტნეული მე „დოჰხეჩიე" – დავძლიეო.

**მებაღჩეობა.** ბახჩას ინგილოები „ბოსტანს" ეძახდნენ. ბახჩეულ კულტურათაგან მოჰყავდათ: საზამთრო, ნესვი, დასტამბო, გოგრა. განსაკუთრებით კარგი ბაღჩეული მოდიოდა: ქეშხუთანში, ყიმურუში, ყარამეშაში, ალიბეგლოსა და ალათემურში. ზოგიერთი საზამთრო 20 კგ-მდე იწონიდა. საზამთრო ფერით იყო მუქი მწვანე, ღია მწვანე, ზოლიანი, დიდთესლიანი და პატარათესლიანი, თხელქერქიანი და სქელქერქიანი. მოჰყავდათ აგრეთვე ე. წ. *ზროხის ყარფუზი*. დიდი ზომის ამ საზამთროს გული არ უმწიფდებოდა. იგი საქონლის საკვებად გამოიყენებოდა.

ნესვიც რამდენიმე ჯიშისა მოდიოდა. საუკეთესოდ ითვლებოდა „ქერეჭა" ნესვი. იგი მოთეთრო-მოყვითალო ფერისა იყო, ძალიან არომატული და ტკბილი. დასტამბოსაც საკვებად იყენებდნენ. გარდა ამისა, ოთახებშიც დებდნენ დეკორატიული დანიშნულებით. ამ ბაღჩეულ კულტურებს (საზამთრო, ნესვი, დასტამბო) ერთად თესავდნენ. საბაღჩე ნაკვეთს ადრე გაზაფხულზე აჩეჩათი მოხნავდნენ და აპრილის დამდეგს დათესავდნენ. ბაღჩას სისტემატური მორწყვა სჭირდებოდა. ბაღჩეული შემოსვლას იწყებდა ივლისის შუა რიცხვებიდან. ბაღჩეულს თესავდნენ, როგორც საკარმიდამო ნაკვეთებზე, ისე *საჯამაათოდაც*. საჯამაათო ბაღჩაში ყარაულს იქირავებდნენ ხოლმე. ყარაულისთვის სადგომად და სათვალთვალოდ აკეთებდნენ თალარივით ნაგებობას, რომელზედაც ყარაული იწვა და ისე უთვალთვალებდა ბოსტანს. ყარაულს *ბოსტანჩის* ეძახდნენ.

გოგრას თესავდნენ ბოსტანში ან ეზოში, ღობის გასწვრივ. რამდენიმე სახის გოგრა იყო გავრცელებული: *ბალყაბახ გუგრა* – თხელკანიანი, შეიძლება ყოფილიყო ორი ფერისა: მომწვანო უზოლო და მომწვანო ბაცი შავი ზოლებით. გული ყვითელი და ტკბილი ჰქონდა; *ბაღურ გუგრა* – მოკლე ტარით, კანი თხელი და თეთრი, შიგნით ყვითელი. გოგრის ეს სახეობები საკვებად გამოიყენებოდა. მათ ხარშავდნენ ან წვავდნენ და ისე შეექცეოდნენ.

გავრცელებული იყო აგრეთვე ხაპის ტიპის გოგრები, რომელთაც *კოტოშ გუგრას* უწოდებდნენ. ამ გოგრის სამი სახეობა იყო გავრცელებული: 1. *ბოღოლა გუგრა* მოკლე ტარიანია. მას შუაზე ჭრიდნენ და მისგან ორი კოტოში გამოდიოდა. მათ იყენებდნენ მარილისა და მარცვლეულის შეს-

ანახად. 2. *თას გუგრა*– პატარა ზომისა და ბრტყელი. მისგან ღვინის ან წყლის დასალევ კოტოშს აკეთებდნენ. 3.*კოტოშ გუგრა*– გრძელყელიანი გოგრა, რომლისგანაც ქვევრიდან ღვინის ამოსაღები კოტოში კეთდებოდა. ამ გოგრას საკვებადაც იყენებდნენ. მ. ჯანაშვილის ცნობით, „სჭამენ, როდესაც ჯერ ისევ ნორჩია: ფცქვნიან, ჰკუწავენ, ცხვრის ხორცთან ერთად ხარშავენ და გემრიელი საჭმელი *ბურანა* (ბორანი) გამოდის" [ჯანაშვილი მ. 1913: 112].

ბოლო წლებში დამკვიდრდა გოგრის ახალი ჯიში, ე.წ. *ურუსულ გუგრა*, რომელიც მოყვითალო ფერისაა და დიდი იზრდება.

**შემგროვებლობა**. ინგილოთა კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საკვებად ვარგის გარეულ მცენარეულობას. შემგროვებლობა ქალებისა და ბავშვების საქმედ ითვლებოდა. ადრე გაზაფხულზე იცოდნენ ჭინჭრის კრეფა. მას ნიგვზითა და მწვანილით აზავებდნენ და მშვენიერი საგაზაფხულო კერძი გამოდიოდა. ჭინჭრით ამზადებდნენ აგრეთვე ჭინჭრის გირცს, ნახევარმთვარის ფორმის ხინკალს.

ჭინჭრის შემდეგ ღანძილის ჯერი დგებოდა. ღანძილის საკრეფად წასვლას ღანძილოვანს ეძახდნენ. ღანძილს ხარშავდნენ და მარილითა და ძმრით კაზმავდნენ. მას საზამთროდაც ინახავდნენ, ამისთვის შეკაზმულ ღანძილს თიხის ქოთნებში დებდნენ და ზემოდან ნიგვზის ზეთს ასხამდნენ.

საკვებად იყენებდნენ აგრეთვე *წითელ-ხალა* ბალახს, დანდურს, *ვაზიზირას,* ჯონჯოლსა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯონჯოლი, რომელიც ძალიან ბევრია ბელაქნის ტყეებში. ჯონჯოლს კრეფდნენ და საზამთროდ ამწნილებდნენ.

**მეთამბაქოეობა.** სამრეწველო დანიშნულების თამბაქო საინგილოში XX ს-ის 30–იან. წლებიდან შემოვიდა და წამყვანი ადგილი დაიკავა მემინდვრეობაში. მანამდე კი ადგილობრივი საჭიროებისათვის თამბაქოს ერთ-ერთი ჯიში – *თამუქუ* მოჰყავდათ. *თამუქუ* ძალიან მწარე იყო. ამიტომ გამხმარ თუთის ყლორტებს ურევდნენ და *მახურკას* აკეთებდნენ. *მახურკით* ყალიონს ტენიდნენ და ისე ეწეოდნენ.

*თამუქუს* ნათესი, თუთუნისაგან[2] განსხვავებით, რომელიც ყვითელი იყო, მწვანე ფერისაა. *თამუქუს*, ისევე, როგორც კომბოსტოს, ახალმთვარეობისას თესავდნენ. ზოგჯერ *თამუქუს* კომბოსტოსთან ერთად თესავდნენ რიგმონაცვლეობით. ამას იმ მიზნით აკეთებდნენ, რომ კომბოსტოს ჭია არ დარეოდა.

საინგილოში გავრცელებული სამრეწველო დანიშნულების თამბაქოა ტრაპიზონისა და სამსუნის ჯიშის თამბაქო. სათუთუნე ნაკვეთს *ჰენდს* უწოდებდნენ. მას ადრე გაზაფხულზე ხნავდნენ აჩეჩით. შემდეგ იწყებენ თამბაქოს თესლის მომზადებას დასათესად. თესლს თესავენ სათბურში, ზედ ჩარჩოებს აფარებენ, რომ დაცული იყოს. აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში იწყებენ თამბაქოს ჩითილების გადარგვას მინდორში, წინასწარ გაკეთებულ კვლებში. ჩითილებს დარგვისთანავე რწყავენ. დარგვიდან 2-3 კვირის შემდეგ თამბაქოს გათოხნიან ან ჩაატარებენ რიგთაშორის კულტივაციას. შემდეგ შეაქვთ მინერალური სასუქი აზოტის

2 . სამრეწველო დანიშნულების თამბაქოს საინგილოში თუთუნს ეძახიან.

გვარჯილა. მაისის ბოლოს ატარებენ თუთუნის ნათესის თავგადაკრას, წაკრას, ე.ი. სათესლედ გაკეთებული თეთრი ყვავილის დანით ან ცელით წაცლას. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ნათესი უფრო მაღალი გაიზარდოს. ივნისის 10-15 რიცხვიდან თამბაქო უკვე შემოსულად ითვლება და იწყება მოსავლის აღება, ანუ *შეტეხვა*. თამბაქოს ჭრიან *ზვირკით* – დანის მსგავსი სპეციალური იარაღით. თამბაქოს კრეფა გრძელდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებამდე.

თამბაქოს ფოთლებს ნემსით კინძავენ და გასაშრობად „ჭრელ", გრილ ადგილას დებენ. შემდეგ გამშრალ თამბაქოს რამდენიმე აცმას ერთად შეკრავენ. ამ შეკრულს *ავანგს* ეძახიან. ნოემბრის პირველი რიცხვებიდან მიმდინარეობს გამხმარი თამბაქოს მომზადება ჩასაბარებლად. ამისათვის გამხმარი თამბაქოს აცმებს სპეციალურ ყუთებში პრესავენ. ბოლო დროს პრესავენ ხდება სპეციალური მანქანითაც. დაპრესილ თამბაქოს სახელმწიფოს აბარებენ.

თამბაქო მხოლოდ მეურნეობის ნაკვეთებზეა. საკარმიდამო ნაკვეთებზე თამბაქო არ მოჰყავთ.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად საუკუნეობრივი მაჰმადიანური ექსპანსიისა (მონღოლ-თათრები, ირანი, ლეკიანობა), ინგილოებმა შესძლეს, შეენარჩუნებინათ მათთვის ტრადიციული სამიწათმოქმედო მეურნეობის დარგები XX საუკუნის 20-30-იან წლებამდე. ამ დროიდან კი, გასაბჭოების შემდეგ, როდესაც მოხდა საინგილო მოწყვეტა საქართველოდან და მისი აზერბაიჯანის პროვინციად გადაქცევა, მეურნეობის წამყვანი დარგები გახდა მეთხილეობა და მეთამბაქოეობა. ამან კი გამოიწვია ტრადიციული სამიწათმოქმედო სისტემის ნაწილობრივი რღვევა.

აღსანიშნავია, რომ საინგილოს ქართველებმა გარკვეული მისიონერული ფუნქცია შეასრულეს მომხვდურთა (ლეკები, აზერბაიჯანელები) მიმართ, რომლებიც, უმეტესად, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და ბარში განსახლების წესები, სამიწათმოქმედო კულტურა და, საერთოდ, მეურნეობის წარმოებისა და გაძღოლის ჩვევები ადგილობრივ მკვიდრთაგან გადაიღეს. ამრიგად ქართული ყოფითი კულტურა თავისებურად გავრცელდა და მისი არაერთი ტრადიცია უცხო ტომელებმა შეითვისეს.

**Marine Bokuchava**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3, Rustaveli Ave, 0105 Tbilisi, Georgia,
E-mail:marinaboku@yahoo.com

# Agriculture of Saingilo

(Viticulture, gardening, horticulture, gourds, tobacco cultivation)

Viticulture has always been one of the sectors of Saingilo's agriculture. This is evidenced by viticulture as modern culture and the wine cult beliefs that have been preserved to the present day, as well as by materials found during excavations and remaining pitchers in churches for sacramental wine. Viticulture was developed together with fruit cultivation. Gardening in old traditions of local fruit growing demonstrates the variety of species.

Local people used to grow apples, pears, plums, peaches, figs, mulberries, etc. Fruits was consumed fresh, or in dried form. Especially were dried plums, which Arab camel drivers "qaraboghli" exchanged for salt.

From ancient times nuts production was important in Saingilo's agriculture. The whole area of Saingilo wasis covered with precious enormous hazelnut gardens and walnut alleys.

Nuts were used locally but also sold to foreigners or exchanged to salt. During soviet government, walnuts from Saingilo were changed as barter to get some foreign light industry products.

There are certain beliefs regarding some trees In Saingilo, as well as throughout whole Georgia,. Among them it is worth noting vine tree cult which was closely linked with the New Year's celebration. Hazelnut cult was also popular. Its budded branches and nuts were considered to be important for fertility.

Quince was considered to be a good tree which generated kindness. It was planted near the house and pitchers were planted under them as well.

Cornel trees and fig trees were considered as a dwelling place of devil.

Melon, watermelon, cantaloupe, pumpkin were cultivated in Saingilo.

The horticulture was well developed in Saingilo. As Mose Janashvili admits - onion, garlic, beans, etc. were gained in such quantities that local population exchanged it for getting cheese, paid to tinkers, blacksmiths, also to "Lekebi" – people from north Caucasus who brought manure for vineyards. Prominent blacksmiths, dug in gardens megodre Avars. place in the diet of Saingilo was given to wild plants. Usually women and children used to gather them.

Industrial, Trapizun and Samsun type tobacco came to Saingilo in the 30-s of

the 20th c. and took the leading role in agriculture. Prior to that, for the local needs, one of tobacco varieties, so-called "Tamuku" was cultivated.

It should be noted that some Georgians of Saingilo performed a missionary function for newcomers (Avars, Azerbaijanis), who before settling in Saingilo were mostly nomads. local population taught them accommodation Rules in plane, agricultural production and in farming culture.

## ბიბლიოგრაფია


**ბოკუჩავა მ. 2003:** ახალი წლის დღესასწაული საინგილოში, ეთნოლოგიური ძიებანი, წიგნი II, გვ.81-86, თბილისი.

**სონღულაშვილი ჯ. 1959:** მებოსტნეობა თბილისის სანახებში. თბილისი.

**ჭილაშვილი ლ. 1980:** კახეთის ქალაქები. თბილისი.

**ხუციშვილი ი. 1980:** მევენახეობა საინგილოში. თბილისი.

**ჯავახიშვილი ივ. 1986:** საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ტ.V. თბილისი.

**ჯანაშვილი მ. 1913:** საინგილო. *კრებული ძველი საქართველო.* თბილისი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 262-272
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 262-272

**ისტორია**

**ნიკოლოზ მურღულია, დავით ლომიტაშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nikomurgulia@yahoo.com
dlomitashvili@gmail.com

# ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემა ადგილობრივ, რეგიონულსა და გლობალურ კონტექსტებში

## შესავალი

დასავლეთ საქართველოში მრავალწლიანი დაზვერვითი და არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ წარმოებული სამუშაოების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესწავლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეგრისის სამეფოში ერთიანი თავდაცვითი სისტემა არსებობდა (სურ. 1). წლების განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეგრისის სამეფოს დროინდელი ათეულობით ციხესიმაგრე გამოვლინდა, რამაც გამოჩენილ ქართველ მეცნიერ პარმენ ზაქარაიას აფიქრებინა, რომ აღნიშნული ძეგლები ერთიანი თავდაცვითი სისტემის შემადგენელი რგოლებია და, შესაბამისად, აუცილებელია მათი საერთო კონტექსტში შესწავლა [ზაქარაია პ., კაპანაძე თ. 1991: 126]. მოგვიანებით ეს მოსაზრება დაადასტურეს და ახალი მასალებით შეავსეს დ. ლომიტაშვილმა, ვ. ჯაფარიძემ და ო. ლანჩავამ. დღეისათვის ძირითადად ზემოთ ჩამოთვლილი, ასევე სხვა მეცნიერებისა და უშუალოდ ჩვენ მიერ წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია ორმოცდაათზე მეტი სიმაგრე (ციხე-ქალაქები, დიდი და მცირე ზომის ციხეები, კოშკები).

ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა იყო რთული სტრუქტურა, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება (ეგრისის მეფეები) მართავდა. მისი მოქმედება გამართულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ორგანიზაციას ეფუძნებოდა. გამაგრების სისტემას რამდენიმე დანიშნულება ჰქონდა: 1. უზრუნველეყო სამეფოს შიდა უსაფრთხოება; 2. სამეფოს რეგიონული უსაფრთხოება (საზღვრების გამაგრება მეზობელი სახელმწიფოებისაგან თავის დასაცავად); 3. გლობალური უსაფრთხოება - დასავლეთ საქართველოზე გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის გზებისა და გადასასვლელების კონტროლი და დაცვა.

## ადგილობრივი კონტექსტი

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეგრისის სამეფოს დროინდელი ორმოცდაათზე მეტი სიმაგრის გამოვლენა აშკარად მიუთითებს, რომ

მათი აგება ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბებას უკავშირდებოდა. ახალჩამოყალიბებული სამეფოს მესვეურებმა ძლიერი თავდაცვითი სისტემა შექმნეს, რომელსაც სამეფოს უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვითი სისტემის შექმნა თავისთავად მიუთითებს ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერეზეც. სამეფოს, როგორც ჩანს, კარგად განვითარებული სახელმწიფო აპარატი ჰყავდა. ამაზე მიანიშნებს აგათია სქოლასტიკოსიც. მისი თქმით, "ლაზებს *რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ"* [აგათია სქოლასტიკოსი. 1936: 50-51].

სამეფოში ჩამოყალიბებულ ძლიერ თავდაცვით სისტემას ქვეყნის სტაბილური განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სისტემის გამართულობაზე იყო დამოკიდებული როგორც ქვეყნის შიდა, ისე მოსალოდნელი გარე საფრთხის თავიდან აცილება.

უპირველეს ყოვლისა, სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავალ სიმაგრეებს უნდა უზრუნველეყო ქვეყნის დასახლებული პუნქტების, რეგიონებისა და გზების უსაფრთხოება. ეს ეხება ყველა ტიპის სიმაგრეს - ქალაქს, დიდი ან მცირე ზომის ციხესა და კოშკს. მათ ევალებოდა მშვიდობიანობის დროს ქვეყნის დასახლებული პუნქტების მარბიელი რაზმებისა და მძარცველთა ჯგუფების თავდასხმებისაგან დაცვა.

ეგრისის ქალაქები სამეფოს მოსახლეობის, დოვლათისა და სიმდიდრის კონცენტრაციის მთავარი პუნქტები იყო. შესაბამისად, ასეთი ქალაქების აღებისა და გაძარცვის მაღალი ალბათობა არსებობდა. ამიტომ ისინი აუცილებლად საჭიროებდა გამაგრებას. როგორც არაერთხელ აღინიშნა, მნიშვნელოვანი ქალაქები (ვარდციხე-როდოპოლისი, ქუთაისი და ნოქალაქევი-არქეოპოლისი) - ქვეყნის მთავარი ეკონომიკური დასაყრდენი - საიმედოდ იყო გამაგრებული.

ქალაქებთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა დიდი ციხესიმაგრეების გამაგრებასაც, რომლებიც, როგორც წესი, სამეფოს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრებიც იყო და იქიდან იმართებოდა ესა თუ ის რეგიონი. ამ პუნქტების დაცვით იქ მჯდომი დიდებული პირადად იყო დაინტერესებული, რადგან ის ადმინისტრაციულ ცენტრთან ერთად რეზიდენციის ფუნქციასაც ასრულებდა. ამასთანავე, ასეთ დიდ სიმაგრეებს ომიანობის დროს მოსახლეობა აფარებდა თავს, იქვე ინახებოდა საქონელი და პროდუქტი. სამეფოში გამავალი გზების სიახლოვეს აგებული სიმაგრეები (შორაპანი, შხეფი და სხვ.) აღნიშნული გზების უსაფრთხოებაზე ზრუნავდა - ამ ციხეებს უნდა დაეცვა გზებზე მოძრავი სავაჭრო ქარავნები და სხვა მგზავრები მარბიელი რაზმებისაგან. ამასთანავე, ასეთ სიმაგრეებს სამეფოს მთავარ სავაჭრო პუნქტებთან (ქალაქებთან) ერთად უნდა გაეკონტროლებინა აღნიშნული სავაჭრო ქარავნები და მგზავრები, შეემოწმებინა მათი სანდოობა და აეკრიფა ბაჟი. სავარაუდოდ, მათ სიახლოვეს გამართული იქნებოდა მგზავრების მოსასვენებელი ადგილებიც.

სამეფოს შიდა უსაფრთხოებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მცირე სიმაგრეებსაც. მათი სიმრავლე, მით უმეტეს, როდესაც ისინი ცენტრალური ხელისუფლების ან მისი ერთგული დიდებულების მიერ იმართე-

ბოდა, ზოგადად, ხელს უწყობდა სამეფოს უსაფრთხოებას. მის თითქმის ყველა მნიშვნელოვან რეგიონში და სტრატეგიული გზის სიახლოვეს, 5-10 კმ-ის ინტერვალით, გამაგრებული პუნქტის არსებობა ძარცვისა და ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მნიშვნელოვანი ბერკეტი იყო.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება მშვიდობიანობის დროს სამეფოს ეფექტური მართვისათვის ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა იყო, რაც გულისხმობდა სამეფოში არსებული დასახლებული პუნქტებისა (ქალაქები, დაბები, სოფლები) და გამავალი გზების დაცვას სხვადასხვა მარბიელი ლაშქრისა და მძარცველთა ჯგუფებისაგან, იმავდროულად, მათ ევალებოდა ბაჟის აკრეფვაც [მარგიშვილი ს. 2008: 171]. ჩვენი აზრით, ციხეთა სიმრავლეც სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული და მათ, როგორც გამაგრებულ პუნქტებს, მასშტაბური ბრძოლების დროს ფუნქცია, ფაქტობრივად, არ ექნებოდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა წერილობით წყაროებში დაცული ცნობები იმ სიმაგრეთა შესახებ, რომლებიც რეალურად მონაწილეობდა ბიზანტია-ირანის ომების სხვადასხვა ეპიზოდში. მათი რაოდენობა კი ორ ათეულს არ აღემატება. საფიქრებელია, რომ ასეთი ბრძოლების დროს ერთი დიდი სიმაგრის (მაგ., შორაპნის, შხეფის, წებელდისა და სხვ.) დაკარგვა ან დაუფლება ავტომატურად გულისხმობდა მის გარშემო მდებარე მცირე ზომის სიმაგრეების დათმობა/დაუფლებასაც [მარგიშვილი ს. 2008: 171].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბევრი სიმაგრე სულაც არ გულისხმობდა სამეფოს ძლიერ თავდაცვით სისტემას, არამედ მათი რაოდენობა ფეოდალური სისტემის გამომხატველი იყო, ანუ თითოეულ მცირე თუ დიდ მიწის მფლობელს საკუთარი სიმაგრე ჰქონდა და ის, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მიწების უსაფრთხოებაზე ზრუნავდა [მარგიშვილი ს. 2008: 169-173)]. ცხადია, შუა საუკუნეებში ნებისმიერ სამეფოში არსებობდა ფეოდალური დაქსაქსულობის პრობლემა, თუმცა, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ წერილობით წყაროებში არ მოიპოვება არც ერთი მნიშვნელოვანი ცნობა იმის შესახებ, რომ ეგრისის სამეფოში ძლიერი ფეოდალური დაქსაქსულობა იყო. ნ. ბერძენიშვილიც მიუთითებდა, რომ ის ეგრისში ციხესიმაგრეთა ინდივიდუალურ მფლობელებს რეალურად ვერ ხედავდა [ბერძენიშვილი ნ. 1990: 514].

## რეგიონული კონტექსტი

ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემის რეგიონულ კონტექსტში განხილვისათვის აუცილებელია ეგრისის სამეფოს მეზობელ რეგიონებში, ანუ მთლიანად კავკასიაში იმ დროისათვის არსებული მდგომარეობის გაანალიზება. სამხრეთ-დასავლეთიდან სამეფოს ჭანები ესაზღვრებოდნენ, რომლებიც, პროკოპი კესარიელის თანახმად, *"არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს. ისინი ისწრაფვიან ორივესთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ და ყოველთვის თანხმდებიან ხოლმე მიაცილონ ერთი მხრიდან მეორესთან მიმავალი მოციქულები"* [პროკოპი

კესარიელი. 1965: 125]. ხმობილი ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ ეგრისის სამხრეთ-დასავლეთით კეთილმეზობლურად განწყობილი ჭანები მოსახლეობდნენ და, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, გარკვეულწილად, ლაზებსაც ემორჩილებოდნენ. იმავეს თქმა არ შეიძლება ეგრისის სამეფოს დანარჩენი მეზობლების შესახებ: ჩრდილოეთიდან ეგრისს ჩრდილოკავკასიელი აგრესიული მომთაბარე ტომები ესაზღვრებოდნენ. აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი - ქართლის სამეფო, რომელიც სპარსეთის პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდიდა და, შესაბამისად, სათუოა, რომ ეგრისსა და ქართლს კეთილმეზობლური ურთიერთობები ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში, წერილობით წყაროებში უფრო მეტად მათ შორის მტრულ ურთიერთობებზეა აქცენტი გაკეთებული, ვიდრე მეგობრულზე. გავიხსენოთ V ს-ში დაწყებული დავა სვანეთის გამო და ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა ეგრისში. კიდევ უფრო დამძიმდებოდა მდგომარეობა VI ს-დან, როდესაც ირანმა ქართლში მეფობა გააუქმა და თავისი ნდობით აღჭურვილი პირი დააყენა ქართლის სამართავად (523 წ.).

სამეფოს თავდაცვითი სისტემის რეგიონულ პოლიტიკასთან მორგება, უთუოდ, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სტრატეგიული ამოცანა იყო ლაზი მეფეებისათვის, განსაკუთრებით კი იმ დროს (IV-V სს.), როდესაც სამეფოს რეალურად ლაზები მართავდნენ. პოლიტიკურ-ეკონომიკურად გართულებული მდგომარეობის გამო რომი და შემდგომ ბიზანტია ვერ ახერხებდა ეგრისის სამეფოს ვერც გაკონტროლებასა და ვერც მისი ტერიტორიების დაცვას. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანა და, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროისათვის ეგრისის მესვეურები განსაკუთრებით იზრუნებდნენ სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრების დაცვა-გამაგრებაზე. როგორც კვლევამ აჩვენა, სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი და აღმოსავლეთი რეგიონები საგანგებოდ იყო გამაგრებული არაერთი ძლიერი ციხესიმაგრით და იქიდან ქვეყანაში შეღწევა საკმაოდ რთული გახლდათ. მით უმეტეს, რომ ჩრდილო-დასავლეთიდან სამეფოს ცენტრალურ ნაწილს ეგრისისა და კოდორის ქედები, აღმოსავლეთიდან კი ლიხის ქედი იცავდა. ასევე საკმაოდ ძლიერი თავდაცვითი ხაზი იცავდა სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ გადმოსასვლელებს (მდ. ხანისწყალზე - დიმი და ვარდციხე-როდოპოლისი). სამხრეთიდან კი, როგორც უკვე აღინიშნა, ეგრისის სამეფოს საკმაოდ მაღალი და ძნელად გადასალახავი მესხეთის ქედი იცავდა. ამიტომ იქ მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემის შექმნა აუცილებელი არ უნდა ყოფილიყო.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ეგრისი, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, კავკასიაში ერთ-ერთი კარგად გამაგრებული სამეფო იყო. მისი მდებარეობიდან გამომდინარე და ასევე რეგიონში არსებული სახელმწიფოებიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად სამეფოში საგანგებოდ გაამაგრეს ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის საზღვრები, რაც, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. რომ არა სიმაგრეთა მძლავრი სისტემა, ეგრისის სამეფო მუდმივად იქნებოდა თავდასხმის ობიექტი როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე მომთაბარე ტომებისაგან, ისე აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მოსაზღვრე ქართლის სამეფოსაგან.

## გლობალური კონტექსტი

მიუხედავად იმისა, რომ IV-VI სს-ში ეგრისის სამეფო მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და ხშირად ბიზანტიისთან შეთანხმების გარეშეც მოქმედებდა, ის მაინც ჩართული იყო გლობალურ პოლიტიკაში და, შესაბამისად, ეგრისის მმართველებს იმ გეოპოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით უწევდათ მოქმედება, რომელიც იმ დროისათვის არსებობდა კავკასიაში, მახლობელ აღმოსავლეთსა და, ზოგადად, რომის/ბიზანტიისა და სპარსეთის იმპერიებში.

ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის მხოლოდ ადგილობრივი (დასავლეთი საქართველო) ან რეგიონული (კავკასია) პოლიტიკის გათვალისწინებით განხილვა, მართებული არ იქნება. ჯერ კიდევ ძვ.წ. I ს-დან, მას შემდეგ, რაც კოლხეთი რომის იმპერიამ დაიმორჩილა, დასავლეთი საქართველო, განსაკუთრებით კი მისი ზღვისპირა რეგიონები, რომის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში მოექცა. მალევე, ახ.წ. I-II სს-ში, რომმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მძლავრი სასიმაგრო სისტემა, ე.წ. პონტოს ლიმესი ან კავკასიის საზღვარი შექმნა და იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრები საბოლოოდ გაამაგრა. როგორც ვარაუდობენ, აღნიშნული სისტემა დაკავშირებული იყო იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის ერთიან თავდაცვით სისტემასთან, რომელიც კაპადოკიასა და სამხრეთ შავიზღვისპირეთს მოიცავდა. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განთავსებული სიმაგრეები კი ამ სისტემის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი გახლდათ [ფიფია კ. 2005: 87].

როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, ეგრისის სამეფოს წარმოშობას და მის მიერ დამოუკიდებლობის მიღწევას დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ. ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ რომის იმპერიას არათუ აწუხებდა ეგრისის დაწინაურება, არამედ ხელსაც აძლევდა მისი განვითარება და გაძლიერება. შესაბამისად, როგორც ჩანს, იგი ხელსაც უწყობდა ამ პროცესს. მიზანი კი ეგრისის მესვეურების მიერ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასვლელების დაცვა იყო, რაც რომის აღმოსავლეთი პროვინციებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანა გახლდათ. როგორც ჩანს, იმ დროისათვის (III-IV სს.) მას ამ პრობლემის გადაჭრა საკუთარი ძალებით არ შეეძლო და იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების დასაცავად ეგრისს იყენებდა. პროკოპი კესარიელიც აღნიშნავს: *"კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხრი"* [პროკოპი კესარიელი. 1965: 94]. მართლაც, ჩვენ სრულად ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ეგრისის სამეფოში (და ზოგადად, დასავლეთ საქართველოში) რომსაც და ბიზანტიასაც სხვა გლობალურ ინტერესებთან ერთად ყველაზე მეტად ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელების დაცვა და გაკონტროლება აინტერესებდა. როგორც ჩანს, ამ ინტერესს ლაზები აკმაყოფილებდნენ კიდეც. ჩრდილოეთ კავკასიონზე არსებული გადმოსასვლელების დაცვა ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ნებისმიერი, დიდი თუ მცირე, სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პრიორიტეტი იყო. სწორედ ამ გლობალური ინტერესების დაცვას ემსახურებოდა ეგრისის სამეფოს

ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვითი სისტემა და მასში შემავალი ციხესიმაგრეები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალ გზებს კეტავდა და ამით, უპირველეს ყოვლისა, ეგრისის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, გლობალურად კი, რა თქმა უნდა, ამ ქმედებით რომისა და ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებსაც ეხმარებოდა.

ამა თუ იმ სახელმწიფოს სტარტეგიული როლის შესახებ, საინტერესო კონცეფცია აქვს ჩამოყალიბებული დ. ახვლედიანს. ის სამხედრო თეორეტიკოსების - ა. მაკნიკოლისა და ბ. ლიდელ-ჰარტის მოსაზრებებზე დაყრდნობით ქვეყნის სამხედრო სტრატეგიის სამ ძირითად მიმართულებას გამოყოფს: 1. დიდი სტრატეგია - ნაციონალური და ზენაციონალური მიზნის განხორციელების იდეა; 2. სტრატეგია - დიდი სტრატეგიისათვის აუცილებელი სამხედრო საქმის ორგანიზება და განხორციელება; 3. ტაქტიკა - განსაზღვრულ ადგილასა და განსაზღვრული სამხედრო მოქმედების დროს მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვება [ახვლედიანი დ. 2004: 43]. დ. ახვლედიანის აზრით, ეგრისის დიდი სტრატეგია კავკასიონის ხაზის გამაგრება იყო [ახვლედიანი დ. 2004: 47]. უდავოდ, საინტერესო და საგულისხმო მოსაზრებაა. ცხადია, რომ ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემა გლობალური მნიშვნელობით, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კავკასიონის გამაგრებას ემსახურებოდა. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთ კავკასიონის გადმოსასვლელების დაცვა რომი/ბიზანტიისა და კოლხეთი/ეგრისის დიდი სტრატეგია (ნაციონალური მიზანი) გახლდათ.

საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც ბიზანტიელებმა ეგრისში მეფობა გააუქმეს და იქ პატრიკიოსები დანიშნეს, იმპერიამ თავად დაიწყო ეგრისის სამეფოს ციხეების გამაგრებაზე ზრუნვა. ამიტომ ისინი აღარ კმაყოფილდებოდნენ ლაზების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელების დაცვით. საინტერესო ცნობაა დაცული თეოფილაქტე სიმოკატტასთან, რომლის თანახმადაც VI ს-ის 80-იანი წლების ბოლოსათვის ეგრისში მშვიდობა სუფევდა და *“თვითმპყრობელმა (მავრიკიმ), ჩვეულებისამებრ, ოქრო გაგზავნა ჯარისათვის დასარიგებლად”* [თეოფილაქტე სიმოკატტა. 1961: 20]. ამ ცნობის მიხედვით აშკარა ხდება, რომ ბიზანტიის იმპერატორ მავრიკ ტიბერიუსს (582-602) ეგრისში ჩაყენებული ჯარისათვის ოქრო (ფული, ხელფასი) გაუგზავნია. ეს ცნობა მით უფრო საინტერესოა იმ ფონზე, რომ ნოქალაქევის ნაქალაქარის ერთ-ერთ კოშკში 1930-31 წლებში ჩატარებული გათხრების დროს მავრიკ ტიბერიუსის სახელზე მოჭრილი ოქროს 23 ცალი მონეტა აღმოჩნდა, რაც თეოფილაქტე სიმოკატტას ცნობის ფაქტობრივი დადასტურებაა, ამასთან, რაც მთავარია, ჩვენ ვიცით, რომ VI ს-ის დასასრულისთვის არქეოპოლისში ბიზანტიური გარნიზონი მდგარა, რომელიც ხელფასს იმპერატორისაგან იღებდა და არა ადგილობრივი მმართველებისაგან.

ეგრისის სამეფოს გლობალური სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა VI ს-ში ბიზანტია-ირანის ხანგრძლივი ომის მთავარი მიზეზი გახდა. ლაზმა მოციქულებმა დეტალურად ჩამოუთვალეს ხოსროს ის უპირატესობები, რასაც სპარსელები მიაღწევდნენ ეგრისის ხელში ჩაგდებით: *“ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ*

*ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო, გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დავუმატო ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწაწყალი"* [პროკოპი კესარიელი. 1965: 81]. მოხმობილი ფრაგმენტიდან აშკარა ხდება, რომ სპარსეთს ეგრისის ხელში ჩაგდებით ეკონომიკური და სამხედრო გავლენის გაფართოების შესაძლებლობა ეძლეოდა. შავი ზღვის მეშვეობით ის საფრთხეს შეუქმნიდა ბიზანტიას და, იმავდროულად, სავაჭრო არეალსაც გააფართოებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეგრისი ბიზანტია-ირანის სტრატეგიული გეგმების მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. მათ შორის ბრძოლა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარეობდა და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა კაბადოკიისა და სომხეთის ტერიტორიების დაუფლებას ენიჭებოდა, ვინაიდან სწორედ იქ გადიოდა მსოფლიო სავაჭრო მაგისტრალის ძირითადი ხაზი. ამიტომ ბიზანტია-ირანის ბრძოლებში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა ქ. დარის, სატალისა და ნისიბინის დაუფლებას.

ბიზანტია-ირანს შორის კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში წარმოებულ ბრძოლებს ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: 1. ორ იმპერიას შორის სასაზღვრო ტერიტორიებზე ბუფერული ზონის შექმნა; 2. დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალების გაკონტროლება.

სწორედ ბუფერული ზონის ფუნქციას ასრულებდა ეგრისის სამეფო IV ს-დან VI ს-ის პირველ ნახევრამდე, ვიდრე ლაზებმა ქვეყანაში სპარსელები არ შეიყვანეს. ლაზიკა ბიზანტიის დამცავი ქვეყანა იყო როგორც ჩრდილოეთიდან (მომთაბარე ტომები), ისე აღმოსავლეთიდან (ქართლი, სპარსეთი) მომდინარე მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ. სწორედ ამ დამცავი ზოლის მოშლას მოჰყვა დიდი ომიანობა ეგრისში. თუკი ბიზანტია დაკარგავდა ეგრისს, მაშინ იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებსა და თავად დედაქალაქსაც დიდი საფრთხე მოელოდა. სწორედ ამიტომ ომის დაწყების წინ იუსტინიანე დიდმა საგანგებოდ გაამაგრა ეგრისის ციხესიმაგრეები და მათში ბიზანტიური გარნიზონი ჩააყენა. საბოლოოდ, ლაზებმა ომის მსვლელობისას ბიზანტიელების მოკავშირეობა აირჩიეს და გუბაზ მეფის მოკვლის შემდეგაც კი არ შეცვალეს თავიანთი პოლიტიკური ორიენტაცია, რაც, ცხადია, ბიზანტიას აძლევდა ხელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეგრისის მეფეებმა კარგად იცოდნენ ეგრისის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ცდილობდნენ ეს ფაქტორი გამოეყენებინათ როგორც სპარსეთთან, ისე ბიზანტიასთან მოლაპარაკებების წარმოებისას. მაგალითისათვის, შეიძლება გავიხსენოთ გუბაზ I-ის ვიზიტი კონსტანტინოპოლში, როდესაც ის სამეფო სასახლეში მიდიურად ჩაცმული მივიდა, რითაც, ფაქტობრივად, მიანიშნა ბიზანტიის სამეფო სახლს, რომ მას ნებისმიერ დროს შეეძლო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა და სპარსელების მხარეს გადასვლა. ცხადია, ასეთი გზავნილი ყურადსაღები იქნებოდა ბიზანტიელებისათვის. შესაძლოა, სწორედ ამასთან იყოს დაკავშირებული კონსტანტინოპოლის კარისკაცების კეთილგანწყობა გუბაზის მიმართ [პრისკე პანიონელი. 1961: 259].

კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სამი ძირითადი სავაჭრო გზა გადიოდა: 1. ახლო აღმოსავლეთში - კაბადოკიისა და სომხეთის გავლით; 2. ამიერკავკასიაში - ეგრისისა და ქართლის გავლით და 3. ჩრდილოეთ კავკასიაში - ყირიმიდან კასპიის ზღვამდე. ამ მაგისტრალთაგან ყველაზე მოსახერხებელი პირველი იყო, უმოკლესი და კარგად მოწყობილი სავაჭრო ქარავნებისათვის [ფიფია 2005: 165]. ყველაზე სახიფათო და, შესაბამისად, ნაკლებად დატვირთული კი ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალი გზა იყო. იქ უმართავი მომთაბარე ტომები სახლობდნენ და ქარავნების გაძარცვის რისკი ძალიან მაღალი იყო. დიდი დატვირთვა ჰქონდა ამიერკავკასიაში ეგრისისა და ქართლის გავლით მიმავალ მაგისტრალს, რომელიც ანტიკური ხანიდან არსებობდა. სტრაბონის თანახმად, სამხრეთ კავკასიაში გადიოდა სავაჭრო გზა, რომელიც შავი ზღვის, მდინარეების - რიონისა და მტკვრის, კასპიის ზღვის გავლით ინდოეთს უკავშირდებოდა [ლორთქიფანიძე ოთ. 2010: 97-102]. ცხადია, ეს გზა მოქმედებდა ეგრისის სამეფოს არსებობის პერიოდშიც და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელი ერთ-ერთი მთავარი არტერია იყო. პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ ლაზები "*მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას*" [პროკოპი კესარიელი. 1965: 73]. ეგრისის შავიზღვისპირა და შიდა ქალაქების უმეტესობაში (აფსაროსი, პეტრა, ზიგანეოსი, პიტიუნტი, სებასტოპოლისი, წებელდა, არქეოპოლისი, ქუთაისი, როდოპოლისი, შორაპანი) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მრავლადაა გამოვლენილი შავი ზღვის ქალაქებიდან მომდინარე იმპორტული მასალა, რაც ფაქტობრივი დადასტურებაა იმისა, რომ შავიზღვისპირა ქალაქებს შორის ვაჭრობაში აქტიურად იყო ჩართული ეგრისის სამეფოს შიდა ქალაქებიც, რომლებიც, როგორც ჩანს, ვაჭრობაში სამდინარო და სახელეთო გზებით უკავშირდებოდა ერთმანეთს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც ეგრისზე გადიოდა, სომხეთის ქ. არტაშატსა და ქ. სებასტოპოლისს აკავშირებდა ერთმანეთთან. ესაა IV ს-ის ანონიმი ავტორის რუკაზე (ტაბულა პეუტინგერიანა) დატანილი გზა, რომელიც ეგრისს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთამდე სერავდა. საფიქრებელია, რომ ის სებასტოპოლისიდან უფრო ჩრდილოეთითაც, სავაჭრო თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან რეგიონამდე - ყირიმამდეც ვრცელდებოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეგრისის სამეფო მდებარეობდა მეტად ხელსაყრელ ადგილას როგორც სამხედრო-სტარტეგიული, ისე სავაჭრო თვალსაზრისით და, შესაბამისად, ის მუდმივად იყო ჩართული გლობალურ პოლიტიკაში. ეგრისის სამეფოს ტერიტორიის ფლობა ხშირად გადამწყვეტი იყო სპარსელებისათვის, განსაკუთრებით კი, ბიზანტიელებისათვის. შესაბამისად, სამეფოში არსებული ერთიანი თავდაცვითი სისტემა გლობალური პოლიტიკის გათვალისწინებითაც იყო დაგეგმილი: შავიზღვისპირა ქალაქები ჯერ კიდევ რომაული ხანიდან იცავდა რომისა და შემდგომ ბიზანტიის აღმოსავლეთ საზღვრებს; იმავდროულად, ისინი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტებიც იყო; ჩრდილო-დასავლეთ თავდაცვით სისტემაში გაერთიანებული ციხესიმაგრეები ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებს ჩრდილოკავკასიელი მომთაბარე ტომების

თავდასხმებისაგან იცავდა; მნიშვნელოვან გზაჯვარედინებზე დაარსებული და კარგად გამაგრებული ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა სავაჭრო ურთიერთობები დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან; იმავდროულად, კარგად ორგანიზებული და დაცული სავაჭრო ცენტრები და გზები ვაჭრებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ქარავნების ეგრისის სამეფოზე გასატარებლად.

**HISTORY**

**Nikoloz Murghulia, Davit Lomitashvili**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: nikomurgulia@yahoo.com
dlomitashvili@gmail.com

# Fortification System of Egrisi Kingdom in Local, Regional and Global Contexts

## SUMMARY

We determined the role and place of a fortification system of Egrisi kingdom in local, regional and global political contexts. As a result, it became clear that the fortification system of Egrisi Kingdom and its subsystems and castles were founded for implementation of several political and economic aims.

**Local context.** The one of the most important objects of the fortification system of Egrisi kingdom was to protect the security of the country during peaceful times. During large scale military operations many of castles did not serve a useful function, but during peace they had to protect borders, roads and all populated places from the attack of bandits or other small scale military groups. This appears to be the most plausible explanation for why most of these castles were built near overland and river routes and why they remained unmentioned in the extant written sources that describe the military actions on the territory of the Lazika Kingdom. Those castles also would control trade inside the kingdom.

**Regional context.** The fortification system of Egrisi Kingdom was founded not only for local interests, but the system had to serve for regional security as well. There was very unstable and military situation. The neighbourhood of nomadic tribes from the North, Iberia form the East and Persia from the South-East forced rulers of Egrisi to care for the security of Kingdom's borders. Therefore the North, East and South borders of the kingdom had very strong defensive lines. Such strong fortification system made Egrisi Kingdom one of the most protected Kingdoms in the region. Otherwise Egrisi would suffer from permanent attacks from the North (nomadic tribes) and the South-East (Iberia and Persia).

**Global Context.** Egrisi Kingdom had very strategic political-economical location. Therefore the kingdom had to be a part of global politics. Possession of the territory of Egrisi was determinant for the Persia and especially for the Byzantium. That is why the fortification system of Egrisi Kingdom was adjustable to the global political interests. The Black Sea costal fortifications were used to protect Roman and Byzantine Empires, east borders and, at the same time, they were important trade centres of the Black Sea. The castles of the north-west fortification subsystem were used to protect eastern provinces of the Byzantium from the attacks of North Caucasus nomadic tribes. The trade centres of Egrisi which were located in the important junctions of trade routes provided international trade with Eastern and Western countries. Well protected roads and trade centres (towns) of the Egrisi Kingdom attracted foreigner merchants to choose the territory of Egrisi for transit of their caravans.

## ბიბლიოგრაფია


**აგათია სქოლასტიკოსი. 1936:** გეორგიკა. III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**ახვლედიანი დ. 2004:** *კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ. წ. V-II სს-ში.* სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.

**ბერძენიშვილი ნ. 1990:** *საქართველოს ისტორიის საკითხები.* II გამოცემა. თბილისი.

**ზაქარაია პ., კაპანაძე თ. 1991:** *ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება.* თბილისი.

**თეოფილაქტე სიმოკატტა 1941:** გეორგიკა. IV(1). ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**ლორთქიფანიძე ოთ. 2010:** *ძველი საქართველო [კოლხეთი და იბერია] სტრაბონის გეოგრაფიაში. ახალი კომენტარები.* თბილისი.

**მარგიშვილი ს. 2008:** *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში.* ნაწილი I. თბილისი.

**პრისკე პანიონელი. 1961:** გეორგიკა. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალექსანდრე გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**პროკოპი კესარიელი. 1965:** გეორგიკა. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**ფიფია კ. 2005:** *რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი. I-II სს.* თბილისი.

# ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** საქართველო V-VI საუკუნეებში

# LIST OF ILLUSTRATION

**Fig.1.** Map of the 5th-6th cc. Georgia




სურ. 1. Fig

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 273-282
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 273-282

**ისტორია**

**ბესიკ ლორთქიფანიძე, თამარ დაუშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: beso–lort@yahoo.com, tdaushvili@yahoo.com

# ქართლისა და ეგრისის ურთიერთობის ისტორიიდან VII საუკუნის II ნახევარსა და VIII საუკუნის დასაწყისში

ახალი წელთაღრიცხვის IV ს-დან საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა იწყება. დასავლეთ საქართველოს რამდენიმე სახელმწიფო ეგრისის სამეფომ (ბიზანტიური წყაროებით, ლაზიკამ) გააერთიანა. იმთავითვე ეგრისს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული კავშირე-ბი ჩამოუყალიბდა აღმოსავლურ- ქართულ ქართლის სამეფოსთან (რომაულ-ბიზანტიური წყაროებით, იბერიასთან). ამ ურთიერთობის ხასიათს განსაზღვრავდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორები. საგარეო ფაქტორთაგან უმნიშვნელოვანესი იყო მახლობელი აღმოსავლეთის ორი იმპერიის - სასანიანთა სპარსეთისა და ბიზანტიის ურთიერთობა და მისი ცვალებადობა, რომელიც, რა თქმა უნდა, მოქმედებდა მათი უფრო სუს-ტი მეზობლების - ქართლისა და ეგრისის განვითარებაზე. ამავე დროს, ამ ურთიერთობის თავისებურება ის იყო, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ იმპერიის ინტერესები ემთხვეოდა ერთ-ერთი ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. ამის კარგი მაგალითია V ს-ის შუა ხანში მოხდარი მოვლენები. ქართველი მემატიანე ჯუანშერი მოგვითხრობს ამ დროს ბერძენთა (ბიზანტიელთა) სამხედრო ოპერაციაზე ეგრისში: „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხ-აზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქვემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის–წყლითგან ვიდრე ციხე–გოჯამდე“ [ჯუანშერი. 1955: 146]. სამ წელიწადში ეგრისში უკვე ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი ლაშქრობს: „სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე“ [ჯუანშერი. 1955: 157], ანუ, ჯუანშერის ცნობით, ქართ-ლის მეფემ დაიპყრო ეგრისი. ეს ცნობები ნაწილობრივ დასტურდება უცხ-ოური წერილობითი წყაროთიც. ბიზანტიელი ავტორი პრისკე პანიონელი მოგვითხრობს, რომ V ს-ის 50-იან წლებში, იმპერატორ მარკიანეს (451-457) დროს, ლაზიკაში ულაშქრიათ ბიზანტიელებს. იგივე მემატიანე გვაწვდის ინფორმაციას, მოგვიანებით, 465-475 წლებს შორის, სპარსელებისა და იბერების ლაზიკაში ლაშქრობის თაობაზე: სპარსელები და იბერები ეგრი-სის მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ სვანებს უჭერდნენ მხარს [პრისკე პან-იონელი. 1960: 261-262]. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ჯუანშერი და პრისკე პანიონელი ერთი და იმავე სტორიულ მოვლენას აღწერენ და, შესაბამისად, რეალურ ამბავს გადმოგვცემენ [ლორთქიფანიძე მ. 1979: 44-47; მუსხელიშვილი დ. 1977: 208-209; გოილაძე ვ. 1991: 100-101; ბოგვერ-აძე ა. 1999: 47-71]. აქედან გამომდინარე, ისინი მიიჩნევენ, რომ ვახტანგ

გორგასალმა ამ პერიოდში საქართველო გააერთიანა [საქართველოს ისტორია. 2012: 54-60]. თუმცა ზოგიერთ მეცნიერს, მაგ., ნ. ლომოურს, ჯუანშერთან დაცული ინფორმაცია სანდო არ ჰგონია და ისტორიული მოვლენების რეკონსტრუირებისას მის ცნობებს, მათ შორის, ეგრისში ვახტანგ გორგასლის ლაშქრობას, არ ითვალისწინებს. ის თვლის, რომ ირანელთა და იბერთა მონაწილეობა ომში სვანთა მხარეზე ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და ვახტანგ გორგასლის მიერ ეგრისის დაპყრობა სინამდვილეს არ შეეფერება [ლომოური ნ. 2011: 131-134]. ჩვენც, თანაავტორთან ერთად შევადარეთ ქართული და ბიზანტიური წყაროების მონაცემები, შევეცადეთ, გაგვერკვია ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის ხასიათი და მარშრუტი. ვფიქრობთ, ჯუანშერის ცნობა ნაწილობრივ რეალურ ამბავს გადმოგვცემს და ეგრისის წინააღმდეგ აჯანყებული სვანების დასახმარებლად ვახტანგ გორგასლის სპარსელებთან ერთად ეგრისში ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს. [ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ. 2014: 95-116]. ჩვენ დავეთანხმეთ იმ მოსაზრებას, რომ ამ ლაშქრობის შედეგად, სვანეთი დროებით ქართლის მეფეს, შესაბამისად კი, სპარსელებს დაექვემდებარა [Меликишвили Г. 1959: 386].

სპარსეთის მიერ ეგრისის გაკონტროლების მცდელობა კარგად ჩანს VI ს-ის შუა ხანში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ომის დროს, რომელიც ისტორიაში შესულია სახელით - „დიდი ომიანობა ეგრისში“. ამ ომის შედეგად სპარსეთის დროებითი გავლენის ქვეშ კვლავ მოექცა სვანეთი (ბიზანტიელებმა მალევე განდევნეს სპარსელები).

VII ს-ის დასაწყისში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების გარკვეულ მცდელობაზე მოგვითხრობს X ს-ის სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი. აღწერს რა სამხრეთ კავკასიაში შექმნილ რელიგიურ ვითარებას, იგი წერს: „ამ მოსემ (სომეხთა კათალიკოსმა-ბ. ლ.) ხელი დაასხა წმინდა საკრებულოს უხუცეს კირიონს ქართლის სამწყსოს, გუგარქის და ეგრისის არქიეპისკოპოსად“ [იოანე დრასხანაკერტელი. 1937: 10]. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს ცნობა იმას მოასწავებდა, რომ მცხეთის საკათალიკოსოს სამწყსო დასავლეთ საქართველოშიც ჰქონდა, თუმცა, ამავე დროს, ის ეჭვით ეკიდებოდა ამ ცნობას, რადგან, მისი აზრით ბერძნული წყაროები განსხვავებულ სურათს იძლეოდა [ჯავახიშვილი ივ. 1979: 341-342]. ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ VI ს-ის I ნახევარში ქართლისა და ეგრისის ეკლესიები გაერთიანდა, რაც ბიზანტიის ინტერესებს პასუხობდა და ეს ფაქტი, სავარაუდოდ, ამ საუკუნის 30-50-იან წლებში, ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ, მოხდა [ჯანაშია ს. 1949: 122-124]. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიების დროებით გაერთიანებას ვარაუდობს ზ. ალექსიძეც. მან გააიგივა ქართლის კათალიკოსი კირიონი, რომელიც, მისი აზრით, 616 წლისთვის სპარსეთის შაჰმა ხოსრო II-მ გააძევა ქართლიდან ფაზისის მიტროპოლიტ კიროსთან, რომელიც შემდგომ ალექსანდრიის პატრიარქი გახდა [ეპისტოლეთა წიგნი. 1968: 199-208]. იმავეს ვარაუდობს დ. მუსხელიშვილიც [მუსხელიშვილი დ. 2003: 310, 315].

VII ს-ის შუა ხანში სასანიანთა სპარსეთმა არსებობა შეწყვიტა, თუმცა მახლობელი აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკაში არანაკლებ ძლიერი

სახელმწიფო - არაბთა სახალიფო გამოჩნდა. ამავე დროს, VI ს-ის მეორე ნახევარში სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა მესამე ძლიერი „მოთამაშე“ თურქთა, შემდგომ კი - ხაზართა სახელმწიფოს სახით. ეს უკანასკნელი ბიზანტიელების მოკავშირე იყო ჯერ სპარსელების, შემდეგ კი არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში. ორივე დაპირისპირებული მხარე ცდილობდა საკუთარი გავლენის გავრცელებას საქართველოს სხვადასხვა მხარეზე. განსაკუთრებით აქტიურობდა ბიზანტია. თავის დროზე გამოვთქვი ვარაუდი, რომ ქართლის მმართველების ძალაუფლება ზოგჯერ ფორმალურად, ზოგჯერ კი ფაქტობრივად ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზეც [ბ. ლორთქიფანიძე. 2013: 174-176]. ქართული წყაროების მონაცემებით, VIII ს-ის პირველ ნახევარში ქართლის მმართველების ძალაუფლება დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა. ჯუანშერის ცნობით, VIII ს-ის I ნახევარში ეგრისი ქართლის მეფეს ექვემდებარებოდა. ქართლის მეფემ სტეფანოზმა და მისმა ვაჟებმა - მირმა და არჩილმა 735-738 წლებში, არაბ სარდალ მურვან-ყრუს შემოსევის დროს, თავი ეგრისს შეაფარეს. აქვე დაკრძალეს გარდაცვლილი სტეფანოზი, გადამალეს სამეფო საგანძური – ნაწილი ციხე-გოჯში, ნაწილი კი – ქუთაისში. შემდეგ მირმა და არჩილმა ანაკოფიის ციხეს შეაფარეს თავი, რომელიც არაბებმა ვერ აიღეს. აქვე, დასავლეთ საქართველოში, გარდაიცვალა მირი, მისი ძმა არჩილი კი ეგრისში დაფუძნდა [ჯუანშერი. 1955: 234-238, 241]. სტეფანოზის უფლებებს დასავლეთ საქართველოზე ადასტურებს ატენის სიონში გამოვლენილი ფრესკული წარწერა, სადაც ის „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფლად“ იხსენიება [აბრამიშვილი გ. 1977: 36; აბრამიშვილი გ. 2012: 88]. ეს ცნობები, მეცნიერთა უმეტესობას საფუძველს აძლევს, ივარაუდოს VIII ს-ის I ნახევარში ქართლის მმართველების ძალაუფლების ეგრისზე გავრცელება [ბოგვერაძე ა. 1979: 98-103; Очерки истории Грузии. 1988: 177-178; მუსხელიშვილი დ. 2003: 366-370; ლომოური ნ. 2011: 247-248]. ა. ბოგვერაძე თვლის, რომ ქართლის მმართველებმა ეგრისი დაიქვემდებარეს ბიზანტიის იმპერატორ ლეონ III ისავრიელის დროს (717-741), ანუ ქართლის მმართველი გახდა ლაზეთის პატრიკიოსი, რომელსაც ემორჩილებოდა აფხაზთა მთავარიც [ბოგვერაძე ა. 1979: 99-100]. ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ VIII ს-ის I ნახევარში ქართლის მმართველთა ძალაუფლება დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა, რასაც ზემოთ მოხმობილი წყაროთა მონაცემები ადასტურებს. მეტიც, მგონია, რომ ასეთივე ვითარება, შესაძლოა, VII ს-ის 60-70-იან წლებშიც იყო. რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს? VII ს-ის ბიზანტიელ მოღვაწე თეოდოსი განგრელს შემონახული აქვს ლაზიკაში (ეგრისში) გადასახლებული მონოთელიტების წინააღმდეგ მებრძოლი მაქსიმე აღმსარებლის მიმდევარ ანასტასი აპოქსირიარის წერილი, რომელიც მან დასავლეთ საქართველოდან მოიწერა. ერთ ადგილას ის აღნიშნავს: „გევედრებით თქვენ, უწმინდესნო, თუ ეს შესაძლებელი იქნება, გადმომიგზავნეთ ერთ-ერთი სარწმუნო, ჰიბერიაში მომავალი, კაცის ხელით იმ დადგენილებათა კოდექსი, რომელიც დააკანონა წმინდა და სამოციქულო სინოდმა, წმინდა და სამოციქულო მოწამისა და უზენაესი პაპის მარტინეს წინადადებით, უხუცეს ქალაქ რომში, რადგან იქ გაცილებით უკეთ არის გაშლილი წმინდა მამების დოგმატები და მწვალებლური საზიზღრობანიც,

როგორც წინანდელნი, ისე ახლა აღმოცენებულნიც. ამრიგად, თუ თქვენ როგორც გთხოვდით, გამომიგზავნით ღმრთის ჩაგონებით წმინდა კოდექსს, იმათ, რომლებიც წამოიღებენ მას და მოისურვებენ აქ მოსვლას სახელოვანსა და ღვთივდაცულ პატრიკიოს და ღვთივ მაგისტროს გრიგოლისთან, თან იქონიონ მისდამი მიმართული წერილი ჰიბერიის ღირსსაქები პატრიკიოსისა და პრეტორისაგან, მაგრამ, თუ ისინი არ მოისურვებენ აქ მოსვლას, გადასცენ ის კოდექსი ჰიბერიის ზემოხსენებულ სახელოვან პრეტორს, რომელიც ვალდებული იქნება გადმოუგზავნოს ის ზემოხსენებულ ჩვენს უფალს და სახელოვან პატრიკიოსსა და ღვთივ მაგისტროსს გრიგოლს" (თეოდოსი განგრელი. 1941: 47-48). პატრიკიოსის ტიტულს ბიზანტიელები არა მხოლოდ პროვინციის მმართველებს აძლევდნენ, როგორც ამ შემთხვევაში ჩანს, არამედ VII-VIII სს-ების მიჯნიდან სახელმწიფო ხაზინის მოხელეებს, გენიკონის ლოგოთეტებსა და კომერკიარებსაც კი [Леквинадзе В. 1980: 281]. ამ ცნობაში მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ ქართლის მმართველი იხსენიება პრეტორად, ხოლო ეგრისისა - მაგისტროსად. პრეტორები უმაღლესი სამოქალაქო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო მაგისტროსი ერთ-ერთი მაღალი სამხედრო თანამდებობა იყო, ცოტა მოგვიანებით კი საკარისკაცო ტიტული გახდა კესაროსის, ნოველისიმოსის და კურაპალატის შემდეგ [История Византии$_{a}$. 1967: 133, 141; История Византии$_{b}$. 1967: 159-160, 169]. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მეჩვენება, რომ ქართლის მმართველი სამოქალაქო ხელისუფლის ტიტულს ფლობს და ლაზიკის პატრიკიოსთან შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე მდგომად და, შესაძლოა, თუნდაც ფორმალურად, მის უზენაესადაც კი ჩანს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს წყაროს ის ნაწილი, სადაც ანასტასი თანამოაზრეებს წერს, რომ კოდექსთან ერთად იქონიონ იბერიის მმართველის სარეკომენდაციო წერილი, ხოლო თუ ეგრისში პირადად ჩამოსვლას ვერ შეძლებენ, დატოვონ კოდექი ამ მმართველთან. ეს კი საკმარისი იქნებოდა, რადგან ის ვალდებული იყო ეს კანონები დასავლეთ საქართველოშიც გაეგზავნა. ვთვლი, რომ იბერიის მმართველს რაიმე სამსახურებრივი ვალდებულება რომ არ ჰქონოდა ეგრისის (ლაზიკის) მიმართ, ანასტასი ამას არ დაწერდა. ასევე მსურს მოვიხმო VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის, ერთი ცნობა, რომელიც „ეგრისში დიდი ომიანობის" (542-562) პერიოდის ერთ-ერთ ეპიზოდს ასე აგვიწერს: „აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არის. ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლები მას წიბილეს უწოდებენ. ლაზთა შორის ერთმა წარჩინებულთაგანმა, სახელად ტერდეტმა, რომელსაც ეგრეთწოდებული მაგისტროსის ძალაუფლება ეპყრა ამ ხალხში და რომელიც ლაზთა მეფე გუბაზთან წაჩხუბებული იყო და მასთან უკმაყოფილება ჰქონდა, ფარულად აღუთქვა სპარსელებს, რომ ამ ციხეს გადასცემდა; ის კიდევ წამოუძღვა სპარსთა ჯარს და აფსილიაში გაემართა ამ საქმის შესასრულებლად. როდესაც ისინი ციხეს მიუახლოვდნენ, თვითონ მისი მხლებელი ლაზებითურთ დაწინაურდა და გალავნის შიგნით შევიდა, რადგან ამ ციხის მცველ რაზმს არ შეეძლო არ ნდობოდა ლაზთა მთავარს" [პროკოპი კესარიელი. 1965: 162-163]. ამ ცნობაში ყურადღება მისაქცევია, რომ ლაზ მთავარს, ბერძნული ტექსტით, არქონტსა (მთავარს) და არა ჩვეულებრივ

დიდებულს, მაგისტროსის (ჩემი აზრით, უმაღლესი მხედართმთავრის) ძალაუფლება აქვს და მას არა მხოლოდ ლაზთა ნაწილი, არამედ აფსილებიც ემორჩილებიან; ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ის მთავარია და ლაზთა მეფეს არ ემორჩილება, ტერდეტი გუბაზის ქვეშევრდომია, ანუ, როგორც ჩანს, VI ს-ის ეგრისში უმაღლეს სამხედრო თანამდებობაზე მყოფ პირებს მაგისტროსის ტიტული ჰქონდათ. VII ს-ის 60-იან წლებშიც მსგავსი ვითარება უნდა იყოს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ლაზიკის მმართველი უმაღლესი სამხედრო პირია, ქართლის მმართველი კი - სამოქალაქო. აქ უნდა გავიხსენო ჯერ კიდევ VI ს-ის 30-იან წლებში ბიზანტიაში იუსტინიანე I-ის მიერ გატარებული რეფორმა, რომლის თანახმად პროვინციები გამსხვილდა. ორი პროვინცია ერთ მმართველს დამორჩილდა. ამ მმართველების ტიტული კი შეიძლებოდა ყოფილიყო –პრეტორი, რექტორი, პრეზიდი, მოდერატი ან პროკონსული [История Византии$_{a.}$ 1967: 233]. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიც ეს უნდა მომხდარიყო, კერძოდ, მთელი საქართველო (მათ შორის, ალბათ, აბაზგიაც) გარკვეულ პერიოდში ერთ მმართველს – იბერიის პატრიკიოსსა და პრეტორს დაუმორჩილეს. როდის მოხდა ეს და რატომ გადადგეს ეს ნაბიჯი ბიზანტიის იმპერატორებმა? ვადებთან დაკავშირებით, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდო, რომ ეს, შესაძლოა, მომხდარიყო ჯერ კიდევ VI ს-ის დასასრულ, როდესაც ბიზანტიელებმა მეფობა გააუქმეს ეგრისში და ბიზანტიის იმპერატორმა მავრიკი-ტიბერიუსმა (582-602) ტახტზე ასვლაში დახმარების სანაცვლოდ სპარსეთის შაჰ ხოსრო II ფარვიზისგან (591-628)სხვა მიწებთან ერთად იბერიაც (ქართლიც) მიიღო. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ დროს ღებულობენ ბიზანტიურ ტიტულებს ქართლის მმართველნი და მათი ოჯახის წევრები, რასაც მცხეთის ჯვრის წარწერა ადასტურებს(ერისმთავარი სტეფანოზი პატრიკიოსად, ხოლო მისი ძმა და ვაჟი ვიპატოსად იხსენიებიან [ქართული წარწერების კორპუსი. 1980: 95-96, 159-164].თუმცა არაა გამორიცხული, ბიზანტიელებმა დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო მმართველად ქართლის ერისმთავარი (თუნდაც ფორმალურად), უფრო მოგვიანებით, VII ს-ის 20-იანი წლების დასასრულ, ჰერაკლე კეისრის (610-641) და მისი მოკავშირე ხაზარების სპარსეთსა და ქართლში წარმატებული ლაშქრობების შემდეგ, გამოაცხადეს. რაც შეეხება შეკითხვას – რატომ გადადგეს ეს ნაბიჯი ბიზანტიის იმპერატორებმა? ბიზანტიის პოლიტიკა ქართლის (იბერიის) მიმართ ბევრად უფრო ფრთხილი და დამთმობი იყო, ვიდრე ეგრისის (ლაზიკის) მიმართ. ბიზანტიის საიმპერატორო კარს ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა რაიმე ფორმით იბერიის ხელში ჩაგდება. ამის მთავარი მიზეზი კავკასიის ჩრდილოეთიდან შემომავალი დარიალის გადმოსასვლელი იყო, რომელიც არა მხოლოდ დაქირავებული ჯარის გადმოსაყვანად ან მოკავშირე ხაზარებთან დასაკავშირებლად გამოდგებოდა, არამედ უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო გზა იყო. ეს კი დიდ ფინანსურ მოგებას იძლეოდა (ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ. 2014: 95-116]. ამიტომ ბიზანტიელები იბერიის მოკავშირეობისთვის და, შესაბამისად, დარიალის ხელში ჩასაგდებად გარკვეულ დათმობებზე მიდიოდნენ. ამის შედეგი უნდა ყოფილიყო ქართლის (იბერიის) მმართველების უზენაესობის აღიარება დასავლეთ საქართველოზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვითარება ხშირად იცვლებოდა, მაგალითად, VII ს-ის 50-იან

წლებში ქართლი არაბების ხელში გადავიდა. მალევე სახალიფოში დაწყებული არეულობით უნდა ესარგებლა ბიზანტიას და 60-იან წლებში მისი და მოკავშირე ხაზარების გავლენა კვლავ აღდგა აღმოსავლეთ საქართველოში. VII ს-ის დასასრულ არაბები გაბატონებული არიან არა მხოლოდ საქართველოს აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც. ბიზანტიელი მემატიანის ცნობით, ლაზიკის პატრიკიოსი სერგი 697 წელს გაუბრაზდა ბიზანტიელებს და ქვეყანა არაბებს გადასცა [თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941: 10]. ბიზანტიელებმა 717 წლამდე ვერ შეძლეს ეგრისის დაბრუნება, რადგან არაბები ამ ქვეყანაში საკმაოდ ძლიერ არმიას აგზავნიან [ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ. 2015: 207-208]. როგორც ჩანს, ბიზანტიელთა იურისდიქცია დასავლეთ საქართველოსა და ქართლის ნაწილზე მოგვიანებით აღდგა [სილაგაძე ბ. 1991: 85; პაპასქირი ზ. 1997: 297-303]. ამას VIII ს-ის 30-იანი წლების მეორე ნახევარში კავკასიის არაბი გამგებლის, მერვან იბნ-მუჰამედის, იმავე მურვან-ყრუს, ლაშქრობა მოჰყვა. სწორედ ამ ლაშქრობასთან მიმართებით ჯუანშერთან იხსენიებიან სტეფანოზი და მისი ვაჟები – მირი და არჩილი. აქ მსურს კიდევ ერთ საკითხს შევეხო. როგორც უკვე აღვნიშნე, ჯუანშერთან ხაზგასმულია სტეფანოზისა და მისი შვილების უფლებები დასავლეთ საქართველოზე. ჯუანშერი წერს: „ხოლო სტეფანოზს ესხნეს ორნი ძენი არჩილ და მიჰრ. და განუყო ყოველი ხუასტაგი სამეფოსა მისისა, საგანძური ოქროსა და ვერცხლისა და თუალთა პატიოსანთა: და ნახევარი წარილო ქუეყანასა ეგრისსა და წარიყვანა ძე თვისი პირმშო მიჰრ; და ნახევარი საქონელისა მისისა მისცა არჩილს, უმრწემესსა ძესა თვისსა. ხოლო არჩილ დაჰფლო საგანძური უფროსი ხევსა კახეთისასა... და შემდგომად მცირედთა ჟამთა შევიდა არჩილცა ეგრადვე“ [ჯუანშერი. 1955: 232-233]. ამ ცნობიდან ჩანს, რომ არაბებისგან გარიდებული სტეფანოზი უფროს ვაჟ მირთან ერთად ეგრისში გადაიხვეწა, ხოლო მეორე ვაჟი არჩილი – კახეთში. თუმცა მალევე მასაც ეგრისში გადასვლა მოუწია. ამ ცნობიდან ასევე მინიშნებით ჩანს, რომ ტახტის მემკვიდრეს, გვარში უფროს მირს, დასავლეთი საქართველო ეკუთვნოდა. ამას უფრო აზუსტებს ჯუანშერის კიდევ ერთი ცნობა. არაბებთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი მირი თავის ძმა არჩილს უანდერძებს ქვეყანას: „ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია“ [ჯუანშერი. 1955: 232-233]. თუ ამ ცნობას ვენდობი, საუხუცესო, ქართლის ტახტის მემკვიდრის საგამგებლო ტერიტორია, დასავლეთი საქართველოა, ანუ ის მიწებია, რომლებსაც ეგრისის (ლაზიკის) პატრიკიოსი განაგებდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ სტეფანოზის ქართლში ზეობის დროს ეგრისის მმართველი, პატრიკიოსი, როგორც ჩანს, მიჰრი/მირი/მირიანი იყო. ჩემი ვარაუდით, ეს მირი-მირიანი და ბიზანტიურ წყაროში ამავე დროს ნახსენები პატრიკიოსი მარინე/მარიანე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. მგონია, მარინე/მარიანე მირიანის დამახინჯებული ფორმაა. აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოს ორი მომენტი, რომელიც ამ ვარაუდის გაზიარებას ხელს უშლის. ჯერ ერთი, ის, რომ თეოფანე ჟამთააღმწერელი მარიანეს ორჯერ აფსილთა შორის უპირველესად იხსენიებს, და მეორე, ჯუანშერის ცნობით, მირს შვიდი ქალიშვილი ჰყავდა. თეოფანეს ცნობით, მარინეს/მარიანეს ვაჟი ევსტათი არაბებმა ტყვედ ჩაიგ-

დეს და შემდეგ წამებით მოკლეს [თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941: 112-113, 114-115]. თუმცა ორივე შემთხვევის ახსნა შეიძლება: ა. წყაროებიდან ცნობილია, რომ აფშილები ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ანუ მათ საკუთარი მთავარი არ ჰყავდათ. სავსებით შესაძლებელია იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოს უდიდეს ნაწილს არაბები აკონტროლებდნენ, ბიზანტიელების დასაყრდენი აფსილების მეთაური მათი მოკავშირე ქართლის ერისმთავრის ვაჟი იყო. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ 738-740 წლისთვის მარიანე ბრწყინვალე პატრიკიოსად ანუ, ჩემი აზრით, ლაზიკის მმართველად ჩანს. ამავე დროს, დასავლეთ საქართველოს მმართველი, ჯუანშერის ცნობით მირია; ბ. რაც შეეხება მირის ქალიშვილებს, ისინი იხსენიებიან მირის გარდაცვალების პერიოდში. მირს ვაჟი არ ჰყავს. ამიტომ ანდერძად არჩილს უტოვებს საკუთარ სამფლობელოს და სთხოვს თავისი ქალიშვილები ქართველ ერისთავებს მიათხოვოს. ამ შემთხვევაშიც წინააღმდეგობას წყაროებს შორის ვერ ვხედავ, მირის გარდაცვალების მომენტში ევსტათი მარიანეს ძე უკვე გარდაცვლილი იყო და მირს შეეძლო, ძმისთვის ეთქვა, რომ მას ძე მემკვიდრე აღარ ჰყავდა.

კიდევ ერთ საკითხს მოკლედ მინდა შევეხო. VIII ს-ის 30-40-იანი წლების აღწერის დროს ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ბიზანტიის იმპერატორმა უბრძანა აფხაზთა მთავარ ლეონს მირისა და არჩილისადმი მორჩილება და ისიც პირნათლად ასრულებდა ამ ბრძანებას [ჯუანშერი. 1955: 239-240]. მეტიც, მირის გარდაცვალების შემდეგ ლეონი ეახლა არჩილს და უთხრა: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მხედრობით კეთილად სიმხნითა თქუენითა. ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი-ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდვე იყოს. მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმისწული მისი გურანდუხტ და გვირგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთვის“ [ჯუანშერი. 1955: 242-243]. როგორც ვხედავთ, არჩილმა შერთო ძმისწული ლეონს და მირის გვირგვინიც გადასცა, რაც რეალურად დასავლეთ საქართველოზე მისი უფლებების აღიარებას უდრიდა. მეტიც, მგონია, რომ მომდევნო საუკუნეებში აფხაზთა მეფეების პრეტენზია ქართლსა და, საერთოდ საქართველოს გაერთიანებაზე სწორედ ამ ქორწინების შედეგად ქართლის მეფეთა მემკვიდრეობაზე ლეგიტიმური უფლების არსებობას უკავშირდება. ნიშანდობლივია, რომ მირის შვიდ ქალიშვილთაგან მხოლოდ ლეონის მეუღლე გურანდუხტის სახელია ცნობილი. ეს სახელი, როგორც ჩანს, აფხაზეთის მეფეთა საგვარეულოში დამკვიდრდა (ერთიანი საქართველოს სამეფოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის, დედას, აფხაზთა მეფის ქალიშვილს, ხომ გურანდუხტი ერქვა). არჩილის მიერ დასავლეთ საქართველოს მმართველად ლეონ აფხაზთა მთავრის ხელდასხმას და სამეფო გვირგვინის გადაცემას ხაზს უსვამს ზ. პაპასქირიც [პაპასქირი ზ. 1997: 303-308].

საბოლოოდ მინდა აღვნიშნო, რომ, თუ VI ს-ის დასასრულიდან ბიზანტია ეგრისში მკაცრ კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდა, ქართლის მიმართ უფრო ფრთხილი და დამთმობი იყო. ბიზანტიის იმპერატორებს მნიშვნელოვნად მიაჩნდათ რაიმე ფორმით ქართლის ხელში ჩაგდება, რისი

მიზეზი კავკასიის ჩრდილოეთიდან შემომავალი დარიალის გადმოსასვლელი იყო. ამ გადმოსასვლელს კი როგორც სტრატეგიული, ასევე სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ბიზანტიელები ქართლის მმართველების გადასაბირებლად, როგორც ჩანს, VII ს-დან VIII ს-ის შუა ხანამდე დროდადრო ეგრისზე მათს უზენაეს უფლებებს აღიარებდნენ.

**HISTORY**

**Besik Lortkipanidze, Tamar Daushvili**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: beso–lort@yahoo.com, tdaushvili@yahoo.com

## On History of Interrelation of Iberia and Lazica in the 2nd Half of the 7th c - Beginning of the 8th c AD

The character of the interrelation of two Georgian states - Lazica and Iberia in the 2nd half of the 7th -beginning of the 8th cc AD is discussed in the article. Internal and international factors had an influence on that relation. We can only suppose which of them was more important, but we can say for sure that the international political situation in Caucasus in the current period determined the character of that relation. The character of relation between Byzantine Empire and Sassanian Persia and later Byzantine Empire and Arabian Caliphate reflected on the development of their weak neighbors including Iberia and Lazica.

The third strong "player" appeared in the political "game" of the South Caucasus in the 2nd half of the 6th century - the Turks, represented by Khazars' State. All those states tried to pursue their own policy - to support one of Georgian states. According to written sources, Byzantium helped Iberian kings or rulers to take full or formal control over West Georgia. Even, there was an attempt to unite East and West Georgian churches (many scientists identify Iberian Catholicon Kirion as a Metropolitan of Phasis Kiross).

The article illustrates that if in the end of 6th century Byzantium implemented colonial policy in Lazica, it was more careful and compliant towards Iberia. Byzantine Emperors tried to capture Iberia by any method, as they wished to control the pass from the North Caucasus through the Darial gate, which had strategic and commercial importance. Therefore, Byzantium recognized Iberian rulers' supremacy in Lazica from the 7th century.

# ბიბლიოგრაფია


**აბრამიშვილი გ. 1977:** *სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში.* თბილისი.

**აბრამიშვილი გ. 2012:** *ატენის სიონი.* ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრულ ტიპის ისტორიიდან. თბილისი (რედ. დ. ვაჩნაძე).

**ბოგვერაძე ა. 1979:** *ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში.* თბილისი.

**ბოგვერაძე ა. 1999:** *ქართლისა და ეგრისის სამეფოების ურთიერთობის საკითხები ვახტანგ გორგასლის მეფობაში (ლეონტი-ჯუანშერის კრიტიკისათვის).* საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში. გვ. 47-72. თბილისი (რედ. დ. მუსხელიშვილი).

**გოილაძე ვ. 1991:** *ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი.* თბილისი.

**ეპისტოლეთა წიგნი. 1968:** სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბილისი.

**თეოდოსი განგრელი. 1941:** გეორგიკა. IV. ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941:** გეორგიკა. IV. ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**იოანე დრასხანაკერტელი. 1937:** თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ილია აბულაძისა. თბილისი.

**ლომოური ნ. 2011:** *საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა (IV-IX სს.)* თბილისი.

**ლორთქიფანიძე ბ. 2013:** სერგი ნებარნუკის ძის შეკიდული ბეჭედი და ბიზანტიის კავკასიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. სემმ. IV (49-B). გვ. 170-179. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ. 2014:** სვანეთი ბიზანტია-სასანიანთა სპარსეთის ურთიერთობაში V-VI საუკუნეებში. სემმ. V (50-B). გვ. 95-116. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ. 2015:** „ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი“ (ქართული წერილობითი წყაროების ცნობები ციხე-გოჯი-ნოქალაქევის შესახებ). სემმ. VI (51-B). გვ. 202-213. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ლორთქიფანიძე მ. 1979:** *ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში.* თბილისი.

**მუსხელიშვილი დ. 1977:** *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები.* თბილისი.

**მუსხელიშვილი დ. 2003:** *საქართველო IV-VIII საუკუნეებში.* თბილისი.

**პაპასქირი ზ. 1997:** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს-ის I ნახევარში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 4. გვ. 291-309. თბილისი (რედ რ. მეტრეველი).

**პრისკე პანიონელი. 1960:** *ისტორია.* გეორგიკა. I. ბერძნული ტექსტი ქა-

რთული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**პროკოპი კესარიელი. 1965:** გეორგიკა. II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**საქართველოს ისტორია, II. 2012:** საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე. თბილისი (რედ. რ. მეტრეველი).

**სილაგაძე ბ. 1991:** *არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით).* თბილისი.

**ქართული წარწერების კორპუსი. 1980:** ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო (V-X სს.). თბილისი (რედ. ნ. შოშიაშვილი).

**ჯავახიშვილი ივ. 1979.** *ქართველი ერის ისტორია. I.* თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი I. თბილისი.

**ჯანაშია ს.** 1949. შრომები. I. თბილისი.

**ჯუანშერი. 1955:** *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა.* ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი.

**История Византии.** т. I. 1967 a: Москва.

**История Византии.** т. II. 1967 b: Москва.

**Леквинадзе В. 1980:** Вислая печать с именем Сергия из Грузии. СА. №4. сс. 275-281. Москва (ред. Б. Рыбаков).

**Меликишвили Г. 1959:** К истории древней Грузии. Тбилиси.

**Очерки истории Грузии.** т. II. **1988:** Тбилиси (ред. М. Лордкипанидзе, Д. Мусхелишвили).

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 283-306
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 283-306

**ისტორია**

## ნატალია ბერუჩაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nberuchashvili@hotmail.com

# მღვდელმთავარი მიტროფანე

XVI-XVII სს-ის საქართველოში არსებულ ცალკეულ პოლიტიკურ გაერთიანებათა მდგომარეობა დამოკიდებული იყო კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად ორი მუსულმანური სახელმწიფოს–სუნიტური თურქეთისა და შიიტური ირანის დაპირისპირებაზე. XVII ს-ის დასაწყისში ირანის სამხედრო ძლევამოსილებამ აღმოსავლეთ საქართველოს ახალი უბედურება დაატეხა თავს. 1614 წლიდან დაიწყო შაჰ-აბას I-ის (1587-1629) გამანადგურებელი შემოსევები კახეთში. ეს კი საქართველოს დამოუკიდებლობას უქმნიდა საფრთხეს. ამიტომ თეიმურაზ I-მა (1606-1648 წლებში –კახეთის მეფე; 1625-1632 წლებში – ქართლ-კახეთის მეფე) გადაწყვიტა საერთოქართული ლიგის შექმნა. მას უნდა გაეერთიანებინა კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და გურია გარე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. თავდაპირველად, მეფენი და მთავარნი ერთსულოვანნი იყვნენ, მაგრამ მათი კავშირი ხანმოკლე აღმოჩნდა. თეიმურაზ I-ს (სურ. 1) სანუკვარი მიზნის მისაღწევად მაინც არ ჰყოფნიდა შიდა ძალები. ამიტომ მან საქართველოს გარეთ დაიწყო მოკავშირის ძებნა[1]. ის დახმარებისათვის მიმართავს ხან თურქეთის სულთანს[2], ხან – რომის პაპს, ესპანეთისა და რუსეთის მეფეებს[3]. აუცილებელი გახდა დიპლომატიური

1 მეფის ოჯახის გრაფიკული პორტრეტი შეასრულა იტალიელმა მისიონერმა ქრისტოფორო დე კასტელიმ, რომის კათოლიკური ეკლესიის 1524 წელს დაარსებულმა მამათა წმინდა ორდენის წევრმა. ოფიციალურად მას ეწოდებოდა „ღვთაებრივი მისიის რეგულარულ კლირიკთა კონგრეგაცია" („Theatinorum Ordo Clericorum Regularium"), მაგრამ ის უფრო ცნობილია თეათინელთა ორდენის სახელით. მისი სახელწოდება დაკავშირებულია ორდენის პირველი წინამძღვრის, თეათინელ ეპისკოპოს ჯოვანი პიეტრო კარაფას, სახელთან. 1631 წელს მცირერიცხოვან მისიონერთა ჯგუფთან ერთად დე კასტელი 1622 წელს დაარსებულმა „Sacra Congregatione de Propaganda Fide"-ემ, ანუ „რწმენის პროპაგანდის წმინდა კონგრეგაციამ" (შემდეგ შემოკლებით მოვიხსენიებთ „რწმენის პროპაგანდად") გააგზავნა საქართველოში, სადაც მან დაჰყო თითქმის 22 წელი. კასტელიმ შექმნა ჩანახატების უნიკალური ალბომი, რომელშიც აღბეჭდა სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის თანამედროვენი, ასევე ყოფითი სცენები. ჩვენამდე მოღწეულმა ამ ალბომმა უდიდესი დახმარება გაუწია ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს, რელიგიისა და ხელოვნების ისტორიკოსებს.

2 1617-1618 წლებში გურიაში ყოფნისას მეფე თეიმურაზ I-მ ორჯერ გააგზავნა თურქეთში სულთან ოსმან II-სთან (1618-1622) თავისი ელჩი, კუმურდოს მონასტრის იღუმენი ხარიტონი დახმარების სათხოვნელად [Накашидзе Н.1968: 59-60; გუგუშვილი მ. 1979: 53-54; Brosset M. 1857: 341].
ვატიკანსა და ესპანეთის მეფე ფილიპე IV-ის სამეფო კარზე 1626-1629 წლებში მეფის დიპლომატიური დავალებით იმყოფებოდა ეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე, ნიკოლოზ ირბახი.

3 ამ დროისათვის მოსკოვის სახელმწიფო უზარმაზარი და მრავალეროვანი იყო. იგი საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე ასრულებდა მნიშვნელოვან როლს, ხანდახან იცვლიდა დამოკიდებულებას ზოგიერთ ქვეყანასთან. სხვებს კი თავად კარნახობდა თავის პირობებს, განსაკუთრებით, მცირე პოლიტიკურ წარმონაქმნებს, რომლებიც ან თავად მიმართავდნენ რუსეთს დახმარებისთვის, ან

სამსახურის შექმნა. ამისთვის კი საჭირო იყვნენ ადამიანები, რომელთაც ხელეწიფებოდათ ურთულესი დიპლომატიური მისიის აღსრულება. მიუხედავად ამისა, თეიმურაზ I–მა შეძლო მეფისა და საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების მომხრე ერთგულ ადამიანთა შემოკრება, რომელთა უმეტესობას მაღალი საეკლესიო თანამდებობა ეკავა. მათგან ერთ-ერთი, ვინც სცადა საქართველოს რეგიონების პოლიტიკური ვითარების სტაბილიზებისას ისტორიულ პროცესებზე ზეგავლენა და ამით თავისი წვლილის შეტანა ქვეყნის დიპლომატიკაში, იყო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე (1585-1658). ის საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ცნობილია როგორც ეპისკოპოსი ნიკოლოზი, ნიკიფორე ან მიკიფორე, ასევე ნიკიფორე ირბახი, „ჯვარის მამა" (სურ. **2**). ის იყო თავისი დროის უნიკალური პიროვნება, რომელიც ღვთისმოსაობითა და უკიდეგანო განსწავლულობით აოცებდა თანამედროვეებს, „იყო ეს რომის პაპი კარდინალებით თუ სპარსეთის შაჰი თავისი სატრაპებით" [გუგუშვილი პ. 1984: 197]. იგი ქართულისა და მეგრულის გარდა, ფლობდა შვიდ ენას: ბერძნულს, თურქულს, არაბულს, რუსულს, ფრანგულს, ესპანურსა და იტალიურს. ყრმობა და ახალგაზრდობა მან გაატარა (1596-1608) რომის ბერძნულ სკოლაში, სადაც ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა ნიკიფორე.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე იგი სიხარულით მიიღეს სამეფო კარზე და თეიმურაზ I-ის სულიერი მოძღვარიც გახდა [Жордания Г., Гамезардашвили 3. 1994: 46, 81]. კახეთში შაჰ-აბასის მაოხრებელი შემოსევების, მეფისა და სამეფო კარის იმერეთში გახიზვნის გამო ნიკიფორემ დატოვა საქართველო და იერუსალიმს მიაშურა. მან ჯვრის მონასტერში ბერად დაჰყო 13 წელი (1614-1626) [Жордания Г., Гамезардашвили 3. 1994: 47]. მეფე თეიმურაზ I ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო მოკავშირის ძიებისას ცდილობდა, დაემყარებინა კავშირი ვატიკანსა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მმართველთან. სწორედ ამ დროს გაიხსენა მან ჯვრის მონასტრის ბერი, რომელსაც სრულად ენდობოდა. მოგვიანებით თეიმურაზ I–მა მას ნება დართო, რომ, გარემოების შესაბამისად და მასთან შეუთანხმებლადაც კი, მიეღო სათანადო გადაწყვეტილება. იერუსალიმის პატრიარქ თეოფანეს სარეკომენდაციო ბარათით ირბახი გაემგზავრა ევროპაში – ვატიკანსა და ესპანეთის მეფესთან [Жордания Г., Гамезардашвили 3. 1994: 14], მაგრამ მისი ყველა ცდა ამაო გამოდგა: პაპმა და რომაულ-კათოლიკურმა სახელმწიფოებმა არ ისურვეს თეიმურაზ

რუსეთს ჰქონდა თავისი ინტერესები ამ ქვეყნებთან მიმართებით. XVI ს-ის ბოლო მეოთხედში, როცა რუსეთ-საქართველოს შორის მყარდება მეტ-ნაკლებად რეგულარული დიპლომატიური კავშირი, მოსკოვის საგარეო საქმეთა უწყება უკვე გამოეყო ცენტრალური მმართველობის საერთო სისტემას და ჩამოყალიბდა საგანგებო დაწესებულებად. შეიქმნა მძლავრი ბიუროკრატიული აპარატი – უცხო ქვეყნების საქმეთა კოლეგია. ამ დღიდან იგი დაკომპლექტდა საკუთარი კადრებით–მდივნებით, მთარგმნელებით, სასამართლოს მწერლებითა და ა.შ. შეიქმნა ახალი ტიპი ბიუროკრატიული საქმეთწარმოებისა–ელჩთა განაწესი, ელჩთა მუხლობრივი ნუსხები, ჯვარფიცდადებული ჩანაწერები. თუ ელჩთა განაწესებს გარკვეული სქემით განმკარგულებელი ხასიათის აქტის შესაბამისად ადგენდნენ, მუხლობრივი ნუსხები იყო დოკუმენტი, რომლებიც იწერებოდა თავისუფალი, თხრობითი ენით. ამის გამო მათ ზოგჯერ ლიტერატურული ნაწარმოების სახე ჰქონდა. არსებითად, ეს იყო დღიურები, რომლებსაც მათი ავტორები ყოველდღიურად და თანმიმდევრულად ადგენდნენ. ამიტომ მათ ისტორიკოსებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა [Полиевктов М. 1932: 99-100].

I-თან კოალიციური კავშირის შექმნა არც ირანისა და არც ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ [Жордания Г., Гамезардашвили 3. 1994: 34]. თუმცა, „რწმენის პროპაგანდამ“, რომლის ძირითადი მიზანი იყო კათოლიციზმის გავრცელება, კერძოდ კი, კავკასიისა და ყირიმის „სულიერი დაპყრობა“, გადაწყვიტა მისიონერთა მივლინება აღმოსავლეთ საქართველოში[4]. სწორედ ეს იყო ქართველი მეფის დიპლომატიურ სვლათა ერთადერთი შედეგი. 1629 წლის 14 აგვისტოს ეპისკოპოსი ირბახი ევროპაში სამი წლის ყოფნის შემდეგ (1626-1629) სასწრაფოდ ჩავიდა გორში, სადაც იმ დროს თეიმურაზ I-ის რეზიდენცია იყო. იმ დროს ეპისკოპოს ირბახს საკმაოდ ხშირი ურთიერთობა ჰქონდა თეატინელ ბერებთან, რომლებიც იქ მყარად დაფუძდნენ 1631 წლიდან[5]. თუმცა, მან ძალზე მალე დატოვა საქართველო, რათა მოელოცა წმინდა ადგილები [Жордания Г., Гамезардашвили 3. 1994: 512-513][6], მაგრამ 30-იანი წლების მიწურულს ის უკვე სამეგრელოშია, უძღვება ჯერ ხობის, მერე ბედიის მიტროპოლიას. ლევან II დადიანის სამთავროში მისი მოღვაწეობა ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს: წმინდა მიწიდან დაბრუნების შემდეგ სამეგრელოში 1642 წლამდე მისი ყოფნა პირველი პერიოდია. ამ დროს იგი აქტიურად მონაწილეობს სამეგრელოს სამთავროს საქმეებში დიპლომატისა და თარჯიმნის სახით. მას შეეძლო მთელ საქართველოში თავისუფლად გადაადგილება: მას მუდმივად ხედავდნენ ხან კახეთში მეფე თეიმურაზ I-ის, ხან – გურიაში, ხან კი – იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის სამეფო კარზე (სურ. 3).

1642 წელს ეპისკოპოსმა ირბახმა კვლავ დატოვა საქართველო. მისი ცხოვრების მომდევნო 7 წელი (1642-1649) ისევ დაუკავშირდა ჯვრის მონასტერსა და გოლგოთის მთას იერუსალიმში, სადაც იგი იღუმენი იყო. ამის გამო მას „ჯვარის მამა“ უწოდეს [Марр Н. 1914: 4, 6, 12, 21, 22-24, 45, 62, 64, 71]. 1649 წელს წმინდა მიწის ე. წ. კომისრის უფლებამოსილებით აღჭურვილი და, იმავდროულად, საქართველოში არსებული კორცხელის ტაძრის წინამძღვარი, სამშობლოში დაბრუნდა[7]. ასე დაიწყო მისი

4 რომის პაპი ამ მისიას იმდენად მნიშვნელოვნად თვლიდა, რომ „რწმენის პროპაგანდამ“ დააარსა სპეციალური ტიპოგრაფია, რომელიც შეძლებდა ქართულ ენაზე წიგნების გამოცემას. 1629 წელს აქ დაიბეჭდა ლოცვანი და იტალიურ-ქართული ლექსიკონი: „Dittionario Giorgiano e Italiano, composto da Stefano Paolini con l'aiuto del M.R.R.D. *Niceforo Irbachi, Giorgiano, Monaco di S. Basilio, Rome, 1629*“. რომის პაპის მიერ კათოლიკურ მისიათა შექმნა და საქართველოში მათი მივლინება განაპირობა, ერთი მხრივ, ისტორიამ დედოფალ ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ, რაც მათთვის ცნობილი გახდა დომინიკელი ბერის, მისიონერ გრიგოლ ორსინის, შეტყობინებიდან, მეორე მხრივ კი – 1626 წელს „რწმენის პროპაგანდაში“ იტალიელი მოგზაურის, პიეტრო დელა ვალეს, მიერ გაგზავნილმა ინფორმაციამ საქართველოზე.

5 კათოლიკე ბერი პიეტრო ავიტაბილე ზუსტად ერთი წლის შემდეგ თეატინელთა ორდენის გენერლის სახელზე რომში წერს ორ წერილს. პირველში (1629 წლის 22 ოქტომბერს) იგი იტყობინება, რომ ნიკიფორე ირბახის ჩამოსვლის შემდეგ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა, რადგან, მისი წყალობით, მეფე თეიმურაზ I უკეთ ეპყრობოდა მასა და მის მისიონერ მეგობრებს [Жордания Г., Гамезардашвили 3. 1994: 512]. მეტიც, თეატინელ ბერებს მეფემ შესთავაზა, გრემში გაეხსნათ თავიანთი რეზიდენცია.

6 უძველესი დროიდანვე საქართველოში არსებობდა „კეთილი ტრადიცია“ წმინდა ადგილების მოლოცვისა [Натроев А. 1909: 69]. ამ შემთხვევაში წმინდა ადგილების მოლოცვის საბაბით ირბახს ჰქონდა განსაზღვრული მიზნები, კერძოდ, სურდა ჯვრის მონასტერთან კონტაქტების დარეგულირება.

7 კორცხელის ტაძარი მის მფლობელობაში მყოფ სოფლებთან ერთად ეკუთვნოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს [Цагарели А. 1888: 246; Вирсаладзе Т.1974: 17; АКТЫ. 1873: 1042]. ბუნებრივია, რომ საქართველოში ჯვრის მონასტრის წარმომადგენლად დაბრუნებული ნიკოლოზ-ნიკიფორე a priori გახდა კორცხელის ტაძრის წინამძღვარი. შემდგომ ამ μετοχα-ების წინამძღვრები ყოველთვის იყვნენ ბერძნები.

მოღვაწეობის მეორე პერიოდი ლევან II დადიანის სამთავროში. ის საბოლოოდ, სიცოცხლის ბოლომდე, დასახლდა დასავლეთ საქართველოში. პატრიარქ დოსითეოზისა და კათოლიკე მისიონერის – ანდრეა ბორომეოს ცნობით, ის მიიცვალა 1658 წელს. თავისი ცხოვრების ამ მონაკვეთში ის დაკავებული იყო შემოწირულობათა შეგროვებით წმინდა მიწისათვის, რაც მას კვლავ აძლევდა საშუალებას, დაუბრკოლებლად მოევლო მთელი საქართველო. ამ დროისათვის თეიმურაზ I უკვე განერიდა სამეფო საქმეებს[8].

როგორც ითქვა, ქართლის დაკარგვამ (1633) აიძულა მეფე თეიმურაზ I, ახლობლებთან ერთად იმერეთს გახიზნულიყო. დასავლეთ ევროპაში უშედეგო დიპლომატიურ მისიათა შემდეგ თეიმურაზ I იწყებს მოლაპარაკებებს რუსეთის მეფესთან. ამ ქმედებით მან აღადგინა ჯერ კიდევ თავისი პაპის–მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605) მიერ დაწყებული საქმე, თუმცა, თავდაპირველად, მისი მცდელობა ამაო აღმოჩნდა. ამისთვის მან მოსკოვს მიავლინა სხვა ელჩი.

1635 წელს თეიმურაზ I-ის სახელით მოსკოვში ჩავიდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის პროტოსინკელი ნიკიფორე (მიკიფორე). ეროვნებით ბერძენი ნიკიფორე განაგებდა იერუსალიმში ღვთის კუბოს ეკლესიის საგანძურს. თეიმურაზ I-ის თხოვნით, მას საქართველოში წამოსვლის ნება დართო პატრიარქმა კირილემ. აქ ყოფნისას მას დაუსწრებლად უბოძეს კუკოსონის მონასტრის მიტროპოლიტის ხარისხი [Иоселиани П.1866:64][9], რის გამოც მას ყველა დოკუმენტში მოიხსენიებდნენ კუკოსონის მიტროპოლიტად. თეიმურაზ I-სთვის იგი, ფაქტობრივად, მეორე პროფესიონალი დიპლომატი გახდა ეპისკოპოს ირბახის შემდეგ. მეფე ენდობოდა მიტროპოლიტ ნიკიფორეს და ფრიად აფასებდა მის ღვაწლს.

ის განათლებული პიროვნება გახლდათ, დიპლომატად დაბადებული, რომელიც პატიოსნად და გამოწვლილვით ასრულებდა თავის მოვალეობას. სწორედ მიტროპოლიტმა მოახერხა, აღდგენილიყო კეთილგანწყობითი დამოკიდებულება კახეთსა და რუსეთს შორის.

ამგვარად, კუკოსონის მიტროპოლიტად სახელდებული ნიკიფორე რუსეთში ჩავიდა [Переписка на иностранных языках. 1861: XXIX] 1636 წელს, 1637 წლის 25 აპრილს კი იგი მიიღო რუსეთის მეფემ (სურ. 4). ამ ელჩობის მიზანი კვლავ სამხედრო დახმარების მიღება იყო რუსეთისგან საქართველოსთვის, შედეგი კი–(რისი დაპირებითაც დაბრუნდა საქართველოში თავად მიტროპოლიტიც), მოგვიანებით, 1637-1640 წლებში, ოდენ საპასუხო ელჩობა კახეთში თავად ვოლკონსკისა და მდივან ხვატოვისა, მაგრამ ამ მოლაპარაკებებმაც არსებითი ნაყოფი ვერ გამოიღო. საჭირო გახდა კვლავ გამგზავრება რუსეთის მეფესთან. მოსკოვში მიტროპოლიტ ნიკიფორეს მეორეგზის გამგზავრებას უძღოდა ძალზე ხანგრძლივი თანასაუბარი თავად თეიმურაზ I-თან. ახლა უკვე

---

8 1648 წელს იღუპება ერთადერთი გადარჩენილი შვილი და ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი დავითი. მეფე თეიმურაზ I მეუღლესა და შვილიშვილებთან (ლუარსაბი, გიორგი, ირაკლი) ერთად იმერეთში გადადის თავის სიძესთან. ეს იყო აღმოსავლეთ საქართველოში მისი მეფობის აღდგენის იმედის დასამარება.

9 კუკოსონის მონასტერი მდებარეობს კვიპროსზე, მთა ტროოდოსის შორიახლო.

ნიკიფორე ამბობდა დაჟინებით უარს რუსეთში გამგზავრებაზე, რადგან მას იერუსალიმში მიეჩქარებოდა ახალი ხარისხის პირადად მისაღებად (რაც ვერ მოხერხდა უკვე რამდენიმე წელი). თუმცა ის მაინც დაჰყვა მეფის ნებას და 1640 წლის 29 დეკემბერს კვლავ გაემგზავრა მოსკოვში. უკვე 1641 წელს მას ჰქონდა მეფე მიხეილ თევდორეს ძესთან გამოსათხოვარი აუდენცია და იმავე წლის 9 ივნისს ახალი ელჩობა თავად მიშეცკისა და მდივან კლიუჩარევის მეთაურობით კიდევ ერთხელ გამოემგზავრა საქართველოში. ამჯერადაც მეფე თეიმურაზ I-ის იმედი, მიეღო რაიმე დახმარება რუსეთისგან, არ გამართლდა. ამან კი დროებით შეაფერხა ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის [Посольство князя. 1928: 17].

მიტროპოლიტმა ნიკიფორემ 1642 წლის დასასრულ თუ 1643 წელს სამუდამოდ დატოვა საქართველო და ამის შემდგომ მის შესახებ არაფერია ცნობილი. მისი გამგზავრება მეფე თეიმურაზისათვის დიდი დანაკარგი იყო. „მე, დიადი მეფე, დიდად მიძნელდება გონიერი ხალხის შერჩევა)", – მისწერა მან ერთხელ მიხეილ თევდორეს ძე [Переписка на иностранных языках. 1861: 9].

ამდენად, თეიმურაზ მეფეს ძალზე ესაჭიროებოდა „გონიერი ხალხი", ისეთი პიროვნება კი, როგორიც იყო ნიკოლოზ-ნიკიფორე ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე, ყოველთვის გამონაკლისი და გამორჩეულია. ამიტომ მეფე გამუდმებით ეძებდა საჭირო ადამიანებს თავისივე წრეში. იმ დროის შიდაპოლიტიკურსა და საეკლესიო საქმეებში დიდ როლს თამაშობდნენ ალავერდელებად[10] წოდებულნი ალავერდის ეპისკოპოსები. საქართველოს ეკლესიაში მათ ძალზე მნიშვნელოვანი იერარქიული თანამდებობები ეკავათ და, როგორც წესი, იყვნენ მეფეთა სულიერი მოძღვარნი. მათგან ერთ-ერთი იყო მეფე თეიმურაზ I-თან დაახლოებული პირი, მღვდელმთავარი მიტროფანე, რომლის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ცნობები, გარკვეულ ობიექტურ გარემოებათა გამო, ძალზე მწირია. ამ სახელის მქონე ქართველი იერარქები, შეიძლება ითქვას, უცნობია[11]. მეტიც, რელიგიის ისტორიისა და ეკლესიის შესახებ არსებულ ნაშრომებში საკმაოდ ხშირადაა მოხმობილი სხვადასხვა ეპოქათა კათალიკოსების, მიტროპოლიტების, ეპისკოპოსების ნუსხა, მაგრამ არც ერთში არაა

10 საქართველოში სამღვდელოება ყოველთვის იყო დიდად პატივდებული და ძლიერ ზეგავლენას ახდენდა როგორც საეკლესიო, ისე პოლიტიკურსა თუ სამოქალაქო საქმეებზე: „...სამღვდელოება ერთმანეთს მოარიგებს მეფესა თუ ერთმანეთთან მოქიშპე ფეოდალებს, ხალხს რწმენის დასაცავად ბრძოლისა და მეფის მორჩილებისაკენ მოეწოდებს, სულიერად განამხნევებს სასოწარკვეთილთ" [Натроев А. 1900: 450]. იმხანად, ძირითადად, სწორედ ქართველი სასულიერო პირები იყვნენ მეცნიერებისა და განათლების მეწინავენი საქართველოში [Дубровин Н. 1871: 269]. ქართველი სამღვდელოების პოზიცია თითქმის ყოველთვის ემთხვეოდა მთელი ქართველი საზოგადოების პატრიოტულ განწყობას. მათ ექვემდებარებოდნენ აზნაურები, რომლებიც დაძახებისთანავე მათი წინამძღოლობით ვალდებულნი იყვნენ, ომში მყისიერად წასულიყვნენ [Накашидзе Н. 1968: 42]. მათი უმაღლესი ფენა, როგორც წესი, ეკუთვნოდა ყველაზე გავლენიანსა და ცნობილ საგვარეულოებს.

11 საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ცნობილია მხოლოდ მიტროფანე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის თარჯიმანი. ის XIV-XV სს-ის ზატიკის მინაწერში მოხსენიებულია როგორც ბერ-მღვდელი [ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1986: 8] და მონასტრის დიაკვანი [ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1965: 52]. არაგვის ერისთავთა გენეალოგიურ ნუსხაში (1705 წ.) ფიგურირებს რევაზის ვაჟი და დიდი ნუგზარის შვილიშვილი მიტროფანე ნინოწმინდელი [ჟორდანია თ. 1897: 533]. არის კიდევ ერთი მღვდელმსახური მიტროფანე, რომელიც ისტორიას შემორჩა ბოდორნის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წარწერის წყალობით. ის იყო ნინოწმინდელი ეპისკოპოსი, ისიც არაგვის ერისთავთა გვარის წარმომადგენელი, რომელიც 1772 წელს მონაწილეობდა ამ ეკლესიის აღდგენაში [Такайшвили Е. 1915: 46-47]. ამდენად, XVIII ს-ში იყო ორი მიტროფანე და ორივე ნინოწმინდელი.

შესული მღვდელმთავარ მიტროფანეს სახელი[12]. ამ პიროვნების შესახებ მეტ-ნაკლებად ღირებული ინფორმაციის მოძიება, ამასთან, ქართული დიპლომატიკისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მისი როლის განსაზღვრა ძალზე რთული აღმოჩნდა.

XVII ს-ის საქართველოს ფეოდალური რეგიონების ისტორია ზედმიწევნითაა აღწერილი ირანის შემოსევების მონაწილეთა, რუს ელჩთა, კათოლიკე მისიონერთა, დასავლეთევროპელ მოგზაურთა და სხვათა მიერ. მათი საქმიანობის ერთგვარი შედეგი გახლდათ სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტები: წერილები, ანგარიშები, ე.წ. მუხლობრივი ნუსხები, მიმოწერა, თხზულებანი. მათგან ზოგიერთში საუბარია მღვდელმთავარზე, ვინმე მიტროფანეზე, რომელიც ხან ირანშია, ხან – სამეგრელოში, სხვადასხვა დროს იყო ალავერდელიც და მიტროპოლიტიც. საქართველოსა და ირანში მცხოვრები კათოლიკე მისიონერების მიერ რომის პაპისა და „რწმენის პროპაგანდის“ სახელზე გაგზავნილ რელაციებში, იტალიელი ლიტერატორისა და მოგზაურის, პიეტრო დელა ვალეს, 1626 წელს შედგენილ „შეტყობინებაში საქართველოს შესახებ“[13] (სურ. 5), რომლის სრული სახელწოდებაა „შეტყობინება საქართველოს შესახებ, გაგზავნილი წმინდა ჩვენი მეუფის, პაპის, ურბან VIII-ისადმი მისიონერ პიეტრო დელა ვალეს მიერ“, ასევე ლევან II დადიანის კარზე მყოფი რუსი ელჩების–მღვდელ პავლე ზახარევისა და მდივან ფედოტე ელჩინის მუხლობრივ ნუსხებში პირველადაა შესაძლებელი, თვალი გავადევნოთ მისი ცხოვრების გზას. ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათის ზოგიერთი ფაქტის შეჯერებისას ცხადი ხდება, რომ მიტროპოლიტი მიტროფანე და XVI ს-ის 20–იანი წლების მიწურულისა და 30-იანი წლების დასაწყისის ზოგიერთ დოკუმენტში ნახსენები ეპისკოპოსი ალავერდელი ერთი და იგივე ისტორიული პიროვნებაა.

ამდენად, რუსი ელჩების–ელჩინისა და ზახარევის ინფორმაციის თანახმად, მიტროპოლიტი მიტროფანე წარმოშობით მეფე თეიმურაზ I-ის „მიწა-წყლიდან“ იყო[14]. ის ათონის მთაზე დამკვიდრდა ბერად. ათონის ივერიის მონასტრის საბერმონაზვნო წეს-განჩინების შესაბამისად, რომელიც ჯერ კიდევ წმ. ექვთიმემ განაწესა, ბერად აღკვეცა შეეძლო მხოლოდ სრულასაკოვანს, „წვეროსანს“ [Натроев А. 1900: 259-260].

12 ჩვენამდე მოაღწია ქართული ეკლესიის კათალიკოსთა, არქიეპისკოპოსთა და მიტროპოლიტთა რამდენიმე სიამ. ერთ-ერთი შეადგინა თელავის სასულიერო სემინარიის რექტორმა დავითმა, მეორე შესულია თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ევგენის წიგნში–„История грузинской иерархии“ (1824 წ.), მესამე – მხითარ აირივანელის „Хронографическая история“-ში, მეოთხე კი – „ქართლის მოქცევაში“. ეს ცნობები დაამუშავა და გამოაქვეყნა მღვდელმა პ. კარბელაშვილმა თავის წიგნში - „Католикосы и архиепископы грузинской церкви“ [Натроев А. 1900: 45].

13 ცნობილმა იტალიელმა მოგზაურმა პიეტრო დელა ვალემ (1586-1652) ხანგრძლივად იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში (1614-1626), მაგრამ ყველაზე დიდხანს დაჰყო ირანში (1617-1623). ის დაუმეგობრდა ისპაჰანში მცხოვრებ ქართველებს. დაუახლოვდა (მოგვიანებით კი ცოლად შეირთო) დიდგვაროვან ქართველ (კახელ) ქალს, თინათინს, ერთი წყაროს თანახმად, ძიბას, „მეორისა კი– თინათინ დე სივას, რომელიც იშვილა მისმა პირველმა მეუღლემ მაანმა. მეგობრისადმი მიწერილ წერილებში ახალგაზრდა მეუღლეს სიყვარულით „ქართველ მარიუჩას“ უწოდებდა. 1622 წლის ზაფხულში პიეტრო შირაზში იყო და იქ ჰქონდა ურთიერთობა ქეთევან დედოფალთან თავის მარიუჩა-თინათინის დახმარებით [Жордания Г., Гамезардашвили З. 1994: 377-378; Ватейшвили Д. 2003: 30].

14 „…А родам митрополит Темразовай земли ис Тюфлиз“; „И за столом митрополит нам расказывал: яз де природою грузинец Темрязева земли…“ [Посольство дьяка. 1887: 331, 360].

სავარაუდოდ, მიტროფანე იმ დროს დაახლოებით ოცდაათი წლისა იყო[15]. ათონის მთაზე მან თორმეტი წელი დაჰყო, სადაც განვლო რა სამონასტრო ცხოვრების მკაცრი გზა – უბრალო, შაოსანი ბერი მიტროპოლიტად იქნა ხელდასხმული თავად კონსტანტინოპოლის პატრიარქ კირილეს მიერ[16].

მიტროპოლიტი მიტროფანე დაბრუნდა საქართველოში დაახლოებით 1626 წელს, სადაც, სავარაუდოდ, ალავერდის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი გახდა (1626-1633). საქართველოში მისი არყოფნის ჟამს შაჰ-აბას I-მა დაარბია კახეთი (1614-1616), ამოწყვიტა, აყარა და ირანში გადაასახლა მოსახლეობის ნაწილი, მათ შორის, მიტროპოლიტის ზოგიერთი ნათესავი[17]. დაახლოებით 1627 წელს ის ირანის გზას დაადგა იმ იმედით, რომ ტყვეობიდან დაიხსნიდა თავის ჯერ კიდევ ცოცხალ ახლობლებს. ირანში, მიტროპოლიტ მიტროფანესვე სიტყვებით, იგი თეოლოგიურ თემებზე ესაუბრებოდა ირანის შაჰს, საბოლოოდ, მან მოახერხა სამშობლოში ნათესავებისა და სამასი თანამემამულის დაბრუნება[18].

პიეტრო დელა ვალეს „შეტყობინებაში საქართველოს შესახებ“ საუბარია ქართველებზე, რომლებიც მან გაიცნო ირანში. სამშობლოს მოწყვეტილ იმ უბედურ ადამიანთა შორის, რომლებმაც შეძლეს ქრისტიანული რწმენის შენარჩუნება, იყო ეპისკოპოს ალავერდელის და. იქვე იმყოფებოდნენ სხვა ალავერდელის დებიც[19]. სწორედ მათთან, თანახმად რომში გაგზავნილი კათოლიკე მისიონერების ზოგიერთი რელაციისა და დელა ვალეს „შეტყობინებისა“, ინახებოდა თეიმურაზ

---

15 სავარაუდოა, რომ იგი იყო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის თანატოლი. ის შეიძლება დაიბადა XVI ს-ის 80-იანი წლების მიწურულს.

16 „Да тот же митрополит Митрофан был у святых гор 12 лет, а учился грамоте греческой…“; „…а был я в святых горах двенатцеть лет...“ [Посольство дьяка. 1887: 331, 360].
კირილე ლუკარისი – კონსტანტინოპოლის პატრიარქი დაიბადა კუნძულ კრეტაზე 1672 წელს, სწავლობდა ვენეციის ბერძნულ კოლეგიასა და პადუის უნივერსიტეტში. 1621 წელს გახდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი. ოთხგზის ჩამოაგდო (თუმცა, მცირე დროით) თურქეთის ხელისუფლებამ ტახტიდან. ინტრიგათა შედეგად და თურქეთის სულთან მურად IV-ის (1623-1640) ბრძანებით 1638 წლის 28 ივნისს დაახრჩვეს, ტანი კი ზღვას მისცეს [Брокгауз, Ефрон. 1895: 121-122].

17 უამრავი იყო კახეთიდან აყრილი და ირანში გადასახლებული. 1633 წლის 16 ოქტომბერს „რწმენის პროპაგანდაში“ კათოლიკე ბერის, ჯუსტო პრატოს, მიერ გაგზავნილ რელაციაში აღნიშნულია, რომ გაასახლეს 60 ათასი კაცი [Tamarati M. 1910: 480]. მალიქ-შაჰ ჰუსაინ სისტანი წერს, რომ დახოცეს თითქმის 30 ათასი, დაატყვევეს კი 200 ათასამდე ადამიანი. ისქანდერ მუნშთან დახოცილთა რაოდენობა აჭარბებდა 60-70 ათასს, ტყვედ წასხმულთა, ამასთან, მხოლოდ აღნუსხულთა რაოდენობა – 100 ათასზე მეტს. ტყვეები განასახლეს ირანის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, „რის შედეგადაც გაჩნდა ქართველთა კოლონიები და დასახლებანი არამარტო მიზანდარანში, არამედ გილანში, ისპაჰანსა და მის შემოგარენში, ფარსში, ხორასანსა და ა. შ.“ [Берадзе Г., Смирнова Л. 1988: 70, 104]. ძალზე დიდი კოლონია წარმოიქმნა შირაზშიც, სადაც ცხოვრობდა თავისი ამალით დატყვევებული ქეთევან დედოფალი.

18 „Апреля в 17 (1640 წელი – ნ.ბ.) де Митрофан сказывал нам: как де был я в святых горах и после де меня Грузи шах воевал и моево де роду брать. Иных побили, а иных в полон побрали; и я де, пришедь из святых гор, ходил к шаху бить челом, чтобы мне отдал моих сродников, которые живы. Да меня же де в шахове земли праведным называли и шах де многожды меня спрашивал: кто де Христос? Вы называете его Богом... И после тово шах меня отпустил и пожаловал – отдал мне Грузинскаво ясырю сродник моих и всяких людей с триста человек“ [Посольство дьяка. 1887: 368-36].

19 1617 წელს პიეტრო დელა ვალემ გაიცნო ალავერდელი მიტროპოლიტის დები–თეიმურაზ I-ის შორეული ნათესავები. სწორედ ამ ქალებმა სთხოვეს მას თავშესაფარი პატარა ქართველი გოგონასათვის, რომლის მამა ირანელებთან ბრძოლაში დაიღუპა, დედა კი – ირანში [Натрошвили Т. 1978: 73, 81]. იგი რამდენიმე წლის შემდეგ მისი ცოლი გახდა [Ватейшвили Д. 2003: 22, 44].

მეფის დედის – დედოფალ ქეთევანის ნეშთის ნაწილები[20].

ცხადია, ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტია მიტროპოლიტ მიტროფანეს ირანში გამგზავრება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური მიზეზებითა და პირადი ინტერესებით განპირობებული ეს მგზავრობა თვით მეფე თეიმურაზ I–ის მიერ იყო სანქცირებული. ნათელია, რომ მიტროპოლიტი შაჰთან გახლდათ როგორც შირაზში, ისე ისპაჰანში[21]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას დავალებული ჰქონდა ჩამოტანა დედოფლის ნეშთის ნაწილებისა, რომლებიც იმ დროისათვის უკვე ავგუსტინელ ბერებთან ინახებოდა. მათ ამ სიწმინდეებთან დაკავშირებით თავიანთი მიზნები ჰქონდათ. ამიტომ მათ არავის არაფრის დიდებით არ დაუთმობდნენ, მაგრამ ირანიდან მიტროპოლიტმა მიტროფანემ ჩამოიტანა დედოფალ ქეთევანის ოქროს ხატი, რომელსაც იგი მუდამ თან ატარებდა[22] (სურ. 6). იმ დროს ამ ხატის ოდიგიტრიის გამოსახულებაზე გაკეთდა ვოტივური წარწერა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იგი დედოფალმა ქეთევანმა შეუკვეთა და ღმერთს ევედრებოდა მეუღლე დავითისათვის შემწეობას[23].

მიტროპოლიტ მიტროფანეს კავშირი ამ ხატის შემდგომ πε περιπέτεια-სთან ჩანს მისი მეორე, შიდა, წარწერიდან. მასში ნათქვამია, რომ ეს ხატი ალავერდელმა ეპისკოპოსმა მიტროფანემ ისპაჰანში შეიძინა; შემდეგ იგი „შეამკო" დავით არაგვის ერისთავმა, მოგვიანებით სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა დაამზადებინა კიოტი და დააბრძანა წალენჯიხის ტაძარში[24]. ამ მონაცემთა მიხედვით ნათელი ხდება: მიტროპოლიტი

20 „შეძლებენ ისინი (საუბარია კარმელიტ, ე.წ. ფეხშიშველა ბერებზე, რომელთა ცხოვრების წესი ძალზე მოსწონდათ შირაზში მყოფ ქართველებს–ნ.ბ.), ასევე ირანში ამისთვის გამოეყენებინათ კეთილგანწყობა წამებული დედოფლის ქეთევანის თანხლები პირებისა, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებოდნენ შირაზში ჩვენს ავგუსტინელ მამებთან და რომლებმაც უწყიან დედოფლის ნეშთის შესახებ, რომელიც, როგორც ამბობენ, ინახება მიტროპოლიტ ალავერდელის ნათესავებთან" [Жордания Г., Гамезардашвили З. 1994: 374, 398, 498].

21 1589 წლიდან ყაზვინის შემდეგ ისპაჰანი იყო სეფიანთა ირანის დედაქალაქი.

22 ამ ხატზე წერს მ. ბროსე [Brosset M. 1850: 21]. მოგვიანებით ის იხილა და დაწვრილებით აღწერა 1913 წელს სამეგრელოში თავისი სამეცნიერო ექსპედიციის დროს ექ. თაყაიშვილმა: „ღვთისმშობლის ხატი ჩვილედი წელს ზევითი, 30/23,5 სანტ. სახეები წამლით ყოფილა დახატული, მაგრამ გაფუჭებულა და ეხლა ქაღალდზე დახატული სახეები ჩაუდევთ შიგ. ტანი ოქროთ არის მოჭედილი და შემკობილია ფირუზებით და სხვა ძვირფასი ქვებით. აშიები ბალახის მსგავსი ჩუქურთმებით არის შემკობილი. ხატი მოთავსებულია ვერცხლის ჩასასვენებელში (33/27,5 სანტ.), რომელიც გაუკეთებია ლევან II დადიანს. მეორე გვერდზე ვერცხლის ფიცარზედ ჯვარია გამოსახული, ჯვარს გარეთ მთელი ზურგი უკავია ასომთავრულ წარწერას, ხოლო შით ჯვარში მხედრული წარწერაა, რომელი გაგრძელებულია შემდეგ ქვემო აშიაზე" [ძველი საქართველო. 1913-1914: 227-228].

23 „ვითარცა იტყვის დიდებული ბასილი: პატივისცემა ხატისა პირმშოსა მის სახისა აღიწევის, ამისთვის ჩუენცა მსასოებელმან ცვა-ფარვათა შენთამან ხელვყავთ მკობად ხატისა ამის შენისა". „ლოდო პატიოსანო, რომლისგან კიდე უხელოდ გამოეკუეთა ქრისტე ღმერთი, მადიდებელი შენი, დავით დაიცევ, ხოლო თანამეცხედრე მისი ქეღევანძითურთ მათით დაიფარენ აწ. ორნატო თავწარსხმულო, რომელმან იგი გამოიღე ტევანი წმიდა მყოფელი, გუირგინთა გიმკობ, გუირგინო, გამოცდილსა მშობელსა, თუინიერ მამაკაცისასა, დავით დაიცევ ქეთევან გევედრები" [Brosset M. 1850: 21; ძველი საქართველო. 1913-1914: 228-229].
ქეთევან დედოფლის მეუღლე მეფე დავითი (1601-1602) იყო კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605) ვაჟი, რომელმაც მამა მონასტერში განამწესა, მცირეოდენი დროით ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, მაგრამ მალევე სრულიად უცნაურ ვითარებაში მიიცვალა. შაჰ-აბას I-ის მოთხოვნით, ტახტზე დაბრუნებისთანავე ალექსანდრე II-მ ირანში მძევლებად გააგზავნა, სავარაუდოდ, მისთვის არცთუ საყვარელი რძალი შვილებითურთ

24 „ოი, დიდებულო დედოფალო, სერაბინთა უზესთაესო და უმაღლესო ქერაბინთაო, დედაო ნათლისაო, კარისა ღთისმშობელო, ალავერდელსა მიტროფანეს ისპაანს თეთრით დაეხსნა სახე ესე თქუენი

მიტროფანე ამ მოვლენათა თანამედროვე იყო; 1633 წლამდე ის ალავერდელი იყო; თავისი ცხოვრების დასასრულ კი წალენჯიხის ტაძარს წინამძღვრობდა.

მაშ ასე, მიტროპოლიტი მიტროფანე ირანიდან საქართველოში დაბრუნდა XVII ს-ის 20-იანი წლების მიწურულს და იმ დროიდან თეიმურაზ I-ის კარზე იმყოფებოდა ქ. გორში[25]. სწორედ იქ ჩაიტანეს ქეთევან დედოფლის ნეშთის ნაწილები ავგუსტინელმა ბერებმა – ამბროზიო დუშ ანჟუშმა და პედრო დუშ სანტუშმა, რომელთა ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს პოლიტიკურსა და სულიერ ცხოვრებაში.

ეს პერიოდი, გამოირჩევა რა საქართველოში კათოლიციზმის აქტიური დამკვიდრებით[26], აღსავსე იყო კოლიზიებით, ინტრიგებით, ღალატითა და სიცრუით. ამ დრამატულ ფონს ემატებოდა ორი სხვადასხვა კონფესიის–კათოლიკური და ბერძნული ეკლესიების წარმომადგენელთა ინტერესების გაამწვავებული ურთიერთდაპირისპირება[27]. ამ რთულ

---

პატიოსანი პირველ დავით არაგვის ერისთვისაგან მოჭედილი და ნამკობი ალავერდელი აგარიანთა ლაშქართაგან მეოტ ქმნილი ჩუენთან მოვუდა და ჩუენ წალენჯიხას დავაყენეთ და იქ მიიცვალა, ხოლო ხატი ესე შენი პატიოსანი ჩუენ დაგვიტევა და ჩუენ თან სასვენად გინებეთ კუბოში ჩაგასვენეთ, რათა წყალობა შენი თანა მრავალ გვეყოს ჩუენ აწ უკვე გევედრები შენ მიერ ძლევაშემოსილი მე მოსავი შენი ხელმწიფე დადიანი პატრონი ლევა ძე ხელმწიფისა დადიანისა მანუჩარისი, რათა ორსავე ცხორებასა ჩემსა მცველ და მფარველ მექმნა და არა ხვებულ მყო მე წყალობისაგან შენისა ამინ" [ძველი საქართველო. 1913-1914: 229-230; Чубинашвили Г. 1959: 635].

წარწერაში ნახსენები დავით არაგველი იყო ზურაბ არაგვის ერისთავის–თეიმურაზ I-ის ქალიშვილის, დედოფალ ნესტან-დარეჯნის, პირველი მეუღლის ღვიძლი ძმა. ზურაბმა ვინმე ზებედეს შესმენითა და წაქეზებით მოკლა ქართლის მუსულმანი მეფე სიმონი. მართალია თეიმურაზ I-მა მოახერხა ქართლ-კახეთის გაერთიანება, მაგრამ ვერ აპატია თავის სიძეს უწინდელი ღალატი და მეფური სისხლის დაღვრა. მოგვიანებით მისი ბრძანებით ზურაბი მოკლეს, თავი კი ირანის შაჰს აახლეს. მთელი ეს ისტორია ძალზე დაწვრილებითაა გადმოცემული პიეტრო დელა ვალეს სახელზე გაგზავნილ (1633 წლის 17 დეკემბერი) მამა ჯაკომო დი სტეფანოს წერილში [Ватейшвили Д. 2003: 104-105].

1631 წელს დაქვრივებული ნესტან-დარეჯანი მალევე ცოლად გაჰყვა მეფისწულ ალექსანდრეს, იმერეთის მომავალ მეფეს. ამგვარად, პირველად ხატი, შესაძლოა, შეიმკო ამ ტრაგიკულ მოვლენებამდე ადრე, ანუ 1630-1631 წლებში. ლევან II დადიანი კი ხატისთვის კიოტს/ კუბოს დაამზადებინებდა თავის სიკვდილამდე – 1657 წლამდე.

25 ეს ფაქტი დასტურდება მეორე ვოტივურ წარწერაში დავით არაგვის ერისთავის სახელის ხსენებით.

26 1633 წელს „რწმენის პროპაგანდამ" საქართველო დაუქვემდებარა ისპაჰანის ლათინ ეპისკოპოსთა იურისდიქციას, რომელსაც სათავეში ედგა მამა ჯოვანი თადეო [Tamarati M. 1910: 524]. უფრო მეტიც, მას შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა. ასე მაგალითად, იტალიაში საქართველოდან თავისი პირველი დაბრუნების შემდეგ პიეტრო ავიტაბილემ პიეტრო დელა ვალეს მხარდაჭერით „რწმენის პროპაგანდას" შესთავაზა, რომში ახალგაზრდა ქართველთათვის დაეარსებინა სასწავლებელი, რათა მათ იქ განსწავლის შემდეგ შეძლებოდათ თავიანთი ხალხისთვის სულიერი შემწეობის მოტანა. მის ამ წამოწყებას სავსებით იზიარებდა პიეტრო დელა ვალე. თეატინელი ორდენის ბერები სერიოზულად მოეკიდნენ ამ საქმეს. მათ ბოლოს და ბოლოს მიიღეს დახმარება ესპანეთის ელჩისგან, მაგისტრ ჟან ბატისტ ვივესაგან, რომელმაც მათ ამ იდეის ხორცშესასხმელად თავისი სასახლე და მთელი ქონება უანდერძა. მისმა სულიერმა მოძღვარმა, თეატინელმა ჟისლიერიომ, შეადგინა პროექტი. რომის პაპის, ურბან VIII-ის, ძმამ კარდინალმა ანტონიო ბარბერინიმ, სასწავლებელი გააფართოვა, რომის პაპმა კი მისი არსებობა ოფიციალურად 1641 წელს გამოცემული ბულით დაამტკიცა. სასწავლებლის გახსნისთანავე ახალგაზრდა ქართველებისთვის დაჯავშნული იყო ორი ადგილი, მაგრამ ისინი ყოველთვის სხვა ეროვნების მოსწავლეებს ეთმობოდათ [Tamarati M. 1910: 525-526].

27 ბერძენმა მღვდლებმა, რომლებიც რეგულარულად სტუმრობდნენ საქართველოს წმინდა ადგილებისთვის შეწირულობათა შეგროვების მიზნით, შეძლეს გაღარიბებულ-გასაცოდავებულ მოსახლეობაში საკმაოდ სოლიდური თანხის შეგროვება. მ. თამარაშვილი წერს, რომ, როცა თეატინელი ბერები ჩამოვიდნენ საქართველოში, მათ აქ დახვდნენ ბერძენი ბერები, რომლებიც ყოველწლიურად ახერხებდნენ 600 000 ეკუის ღირებულების საგამოსაღებოს შეგროვებას [Tamarati M. 1910: 51; Жордания Г., Гамезардашвили З. 1994: 529].

პატრიარქი მაკარი, რომელიც საქართველოში გავლით იყო, საშინლად აღაშფოთა და გააოცა „პატრიარქების, ეპისკოპოსებისა და მღვდლების ქმედებებმა, რომლებიც მათ (ქართველებს)

გარემოებაში თეიმურაზ I კვლავ ეძებდა გზებს ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რამაც სულ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო.

1628 წელს, პორტუგალიელი მისიონერების გორში ჩამოსვლის შემდეგ, დედოფლის ნეშთის ნაწილები ალბათ გარკვეული დროით ეკლესიაში იყო დაბრძანებული (სურ. 7). მ. საბინინი წერს, რომ დედოფლის წმინდა ნაწილების თაყვანსაცემად მისულნი იკურნებოდნენ სნეულებათაგან. ამან მიაღებინა გადაწყვეტილება პატრიარქ ზაქარიასა და საქართველოს ეკლესიას, წმინდანად შეერაცხათ დედოფალი და მისი ხსენების დღედ დაეწესებინათ დედოფლის დაღუპვის თარიღი – 13 სექტემბერი[28]. თუმცა, დედოფალ ქეთევანის წმინდა დიდმოწამედ კანონიზაცია მხოლოდ ამის გამო მოწვეულ საეკლესიო კრებას ძალუძდა. სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ეს ფაქტი არ ასახულა[29], მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საეკლესიო კრება მაინც შედგა. საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ ესწრაფოდა საქართველოში ჩამოსვლას იტალიიდან ირბახი. ამავე დროისათვის ჩამოვიდა სამშობლოში ირანიდან მიტროპოლიტი მიტროფანეც, რომელსაც მოჰქონდა უძვირფასესი ხატი დედოფლისა. ნათელია, რომ გორში ემზადებოდნენ რაღაც მნიშვნელოვანი საეკლესიო მოვლენისთვის. კათალიკოსი ზაქარია გარდაიცვალა 1630 წელს[30]. ამიტომ სავსებით ცხადია, რომ დედოფლის წმინდანად შერაცხვა უნდა მომხდარიყო საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე დაახლოებით 1629-1630 წლებში. ბოლოს და ბოლოს, უკვე იმ დროისათვის ოფიციალურად წმინდა დიდმოწამედ კანონიზებული დედოფლის წმინდა ნაწილები სპეციალურ ლუსკუმაში განათავსეს და დააბრძანეს ალავერდის მონასტრის ტრაპეზზე.

მიტროპოლიტი მიტროფანე, როგორც ალავერდელი, მეფე თეიმურაზ I-ის კარზე განსაკუთრებული უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი. ამ თვალსაზრისით ძალზე ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ 1630 წლის 31 აგვისტოს გორში ჩამოსულ მისიონერებს – არქანჯელო ლამბერტისა

მოევლინენ მთელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან, მაგრამ მათ არას ასწავლიან და არც წინამძღვრობენ სარელიგიო საქმეებში, თუმცა მათ შორის აგროვებენ ფულს, მიემგზავრებიან აქედან ისე, რომ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ მათთვის“ [Цинцадзе св. К. 1905: 40].

28 ქართულმა ეკლესიამ მისი ხსენება დაუკავშირა არა მისი დაღუპვის დღეს, არამედ მისი ნეშთის საზეიმოდ გადმოსვენებას ალავერდის ტაძარში.

29 საქართველოსა და ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ნაშრომში ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ინფორმაცია ძალზე მწირია, მაგალითად, დ. ვათეიშვილი ყოველგვარი დაზუსტების გარეშე თვლის, რომ დედოფლის წამების თვითმხილველმა კათოლიკე მისიონერმა ბერებმა ქეთევანი მოწამეობრივად აღსრულებისთანავე წმინდანად აღიარეს. მოგვიანებით კი მოხდა ეკლესიის მიერ მისი კანონიზირება [Ватейшвили Д. 2003: 21]. მ. ცინცაბაძე, რომელმაც შეისწავლა ლიტერატურასა და ქრისტიანულ ხელოვნებაში ქეთევანის ცხოვრებისა და წამების ასახვა, თვლის, რომ კანონიზებას შეიძლება ადგილი ჰქონდა 1624-1630 წლებს შორის.

30 კათალიკოსი ზაქარია არ ენდობოდა კათოლიკე მისიონერებს. ამიტომ ისინი სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ ქართლში გამეფებულმა გამუსულმანებულმა მეფე როსტომ I-მა გააკათალიკოსა ევდემოზ II (დიასამიძე. 1630-1638). მის შესახებ პიეტრო ავიტაბილეს ნათქვამი აქვს, რომ იგი უფრო ჯარისკაცს ჰგავს, ვიდრე სასულიერო პირს [Ватейшвили Д. 2003: 113]. მათთვის ეს სასიხარულო ფაქტი, ევდემოზ II-ის კათალიკოსად დასმა, თეატინელმა ბერმა ჯუსტო პრატომ გორიდან შეატყობინა თეატინელთა ორდენის გენერალ სტეფანო მედიჩის (1633 წლის 16 ოქტომბერს): „...ახლა ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მათგან წმინდა საიდუმლოებათა აღსრულებისას არ წავაწყდებით არავითარ წინააღმდეგობას, როგორც ეს იყო მეორე პატრიარქის (ზაქარია– ნ.ბ.) დროს. ის ცუდად იყო განწყობილი ჩვენ მიმართ, მიუხედავად ჩვენ მიერ გაღებული ურიცხვი საჩუქრებისა – ფიალების, მიტრებისა და სხვა ფასეულობისა“ [Жордания Г., Гамезардашвили З. 1994: 528].

და ჯუზეპე დი ჯუდიჩის რომის პაპისგან ჰქონდათ სარეკომენდაციო წერილები მეფე თეიმურაზის, კათალიკოს ზაქარიას, ეპისკოპოს ირბახისა და ცალკე ალავერდელის სახელზე [Tamarati M. 1910: 510, 515, 521]. მიტროპოლიტი მიტროფანე ძალზე ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობებს. ის საქართველოში კათოლიციზმის დამკვიდრებას გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა. ასეთი დამოკიდებულება კათოლიციზმისადმი, უპირველესად, გამოწვეული იყო მიტროპოლიტის მრავალწლიანი კავშირით ათონთან. გორში კათოლიკეთა მისიის პირველი პრეფექტი, იტალიელი, თეათინელი ბერი პიეტრო ავიტაბილე აღნიშნავს მის ცუდ, შეიძლება ითქვას, მტრულ დამოკიდებულებას უკვე იქ მყოფი თეათინელი ბერების მიმართ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ იგი წმინდა კონგრეგაციას თხოვდა, მიტროპოლიტისათვის, რომელსაც, მისი თქმით, საქართველოს საეკლესიო იერარქიაში მეორე ადგილი ეკავა, გამოეგზავნა ძღვენი [Жордания Г., Гамезардашвили З. 1994: 28]. მისიონერები მას ძლიერ პიროვნებად თვლიდნენ და ნებისმიერ ფასად სურდათ მისი გადმობირება [ტაბაღუა ი. 1984-1987: 97], მაგრამ ალავერდელი შეუვალი იყო. ის ცდილობდა, ნებისმიერი შესაძლებლობა გამოეყენებინა კათოლიკე ბერების სახელის დამცრობისათვის მეფისა და, მით უფრო, უბრალო ხალხის თვალში. ბერები ხომ მათში ძალზე პოპულარულნი იყვნენ, რადგან ისინი მათ მკურნალობდნენ. მიუხედავად ამისა, კათოლიკური მისიის ქმედებანი ძალზე თანმიმდევრული იყო და დიდი ხნის განმავლობაში მან ხელი არ აიღო თავის განზრახვაზე მიტროპოლიტის გადმობირებასთან დაკავშირებით.

1633 წელს მეფე როსტომის მიერ ქართლის ხელში ჩაგდებამ მიტროპოლიტი მიტროფანე აიძულა, ათონს გამგზავრებულიყო. ლევან II დადიანის კარზე რუსი ელჩების–ფედოტე ელჩინისა და მღვდელ პავლე ზახარევის ანგარიშგებათა მიხედვით ნათელი ხდება, რომ მიტროპოლიტი მიტროფანე საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, კვლავ ჩამოვიდა დაახლოებით 1637-1638 წლებში[31] და გახდა წინამძღვარი მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და ილორის წმ. გიორგის მონასტრებისა [Посольство дьяка. 1887: 328, 359, 366][32]. ეს ფრიად მეწინავე მიტროპოლიები იყო[33]. მას, როგორც ჭყონდიდის მიტროპოლიტს, ევალებოდა მონაწილეობა საქართველოს ეკლესიისათვის მნიშვნელოვან ყველა საქმეში[34]. მართალია, იგი წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოდან

31 მიტროპოლიტმა მიტროფანემ რუს ელჩებთან – ფედოტე ელჩინსა და პავლე ზახარევთან, კერძო საუბარში (1640 წლის 29 მარტი) რამდენჯერმე თქვა: „яз де зде недавно“..., „я де недавно здесь и как шед в Дидьянскую землю“..., „как де я пришол из святых гор в Дидьянскую землю“ [Посольство дьяка. 1887: 360-361, 363].

32 წმინდა გიორგის ილორის ეკლესიას განსაკუთრებით სცემდა თაყვანს სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი. ის ამ წმინდანს მიიჩნევდა იმერეთისა და აფხაზეთის მთავრებზე თავისი გამარჯვებების შემწედ. ამიტომ მას უამრავ ძვირფასეულობას სწირავდა–მდიდრულად შემკულ ხატებს, ჯვრებს, გლეხთა მთელ ოჯახებსაც კი [Абхазия [И.Н.]. 1958: 132-133].

33 საქართველოს მღვდელმთავართა იერარქიული განაწესის მიხედვით, რომელიც მეფე არჩილის განკარგულებით შედგენილი აქტითაა ცნობილი, მეფეთა კურთხევის დროს ჭყონდიდელ მღვდელმთავრებს ეკავათ მეორე, ალავერდელს კი – მეხუთე ადგილი [Иоселиани П. 1866: 62-63].

34 უძველესი დროიდანვე ჭყონდიდელი მეფეს ახლდა, ითვლებოდა მის პირველ ვეზირად და მრჩევლად, მაგრამ საქართველოს დაყოფის შემდეგ იგი ჩვეულებრივ მიტროპოლიტად იქცა [Дурново Н. 1910: 13]. ვახუშტი წერდა, რომ ჭყონდიდელი ახალ წელს პირველი ულოცავდა მეფეს, ამავე

გახლდათ, გარკვეული დროით ალავერდის ეპისკოპოსი და თეიმურაზ I-ის სულიერი მოძღვარიც, ირბახის მსგავსად (რაც არ შეეძლო, არ სცოდნოდა ლევან დადიანს), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ძალზე დიდ პატივს სცემდნენ სამეგრელოს მთავრის კარზე[35]. მიტროპოლიტი იქაც აქტიურად აგრძელებდა ბრძოლას კათოლიკური მისიების წინააღმდეგ, რადგან ოდიში მისიონერთათვის მუდმივ თავშესაფრად და მათი საქმიანობის ერთგვარ ასპარეზად იქცა. მ. თამარაშვილი მიტროფანეს შესახებ წერს: „მიტროპოლიტი ალავერდელი ასევე იმყოფებოდა გორში, სპარსთა მოსვლის შემდგომ კი სამეგრელოში გაემგზავრა. ათონზე აღზრდილ მიტროპოლიტს სძულდა ლათინები. იგი მისიონერებს მათი განსწავლის ხარისხით აფასებდა, თუმცა იყო მათი გააფთრებული მოწინააღმდეგე რწმენის საკითხებში. მისიონერი მამები ვერას გახდნენ კათოლიკობაზე მის მოსაქცევად, მაგრამ აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი მონდომებით, სიკეთითა და შეუვალობით. ბოლოს და ბოლოს, ის არა მარტო მათს ახლო მეგობრად იქცა, არამედ დიდ შემწედაც. მას აღარ ძალუძდა მათგან განშორებით ყოფნა, რადგან ხშირად ებაასებოდა მათ თეოლოგიურ საკითხებზე“ [Tamarati M. 1910: 554][36]. ამ დროისათვის რომის პაპის დავალებით იქ იმყოფებოდა ექვსი ბერი ძვირფასი საჩუქრებით: საეკლესიო სამოსებითა და სამღვდელმთავრო ბარტყულით, რომლებიც, ცხადია, მიტროპოლიტმა არ მიიღო[37]. მიტროფანეს ჰქონდა ძალიან სერიოზული პრობლემები მღვდელმსახურების წარმოების წეს-კანონებთან დაკავშირებით, რადგან ადგილობრივებს არ სურდათ, მიეღოთ ათონის მთიდან მის მიერ ჩამოტანილი მათთვის უჩვეულო სიახლეები[38]. მან მღვდელ პავლესთან საუბარში განაცხადა, რომ მათი აღშფოთება დასრულდა ამ საკითხთა გამო მოწვეული საეკლესიო კრებით, რომელზედაც მიტროპოლიტი მიტროფანე განიკიცხა[39].

დროს, იყო მისი მწიგნობართუხუცესი. მეფის სახელით იგი იძლეოდა განკარგულებებს საეკლესიო-სამონასტრო საქმეებთან, ასევე ჯარის შეყრასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელის საჭიროებათა შესახებ უშუალოდ მოახსენებდა მეფეს [ვახუშტი ბაგრატიონი. 1904: 13].

35 „…Левонтий царь выехал от двора версты полторы, а с ним был патриярх и митрополит (მიტროფანე-ნ.ბ.) и епискупы да конных с ним было с 500 человек, да перед ним несли крест и образ Пречистые Богородицы…“ [ Посольство дьяка. 1887: 331].

36 ეს ისტორია ნამდვილს ჰგავს. საკმარისია გავიხსენოთ, თეოლოგიური საუბრებისადმი მისმა სიყვარულმა, როგორ შეუნარჩუნა სიცოცხლე ირანში ტყვედ მყოფ მის ნათესავებსა და ბევრ თანამემამულეს. იხ. სქოლიო № 18.

37 „Да в прошлом де во 141-м году прислал де к нам папа Римский шести старцев на искушенья; да прислал де ризы церковные и светительский ко мне к митрополиту, а говорил нам так: что де вы потеряли христьянскую веру, папа де ас прислал вас учить и веру утвердить“ [Посольство дьяка. 1887: 330; Переписка на иностранных языках. 1861: LVI].

38 საქართველოში უმძიმესმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ლიტურგიკისადმი პრაქტიკული მიდგომა– ნებადართული იყო შეიარაღებული მრევლის ყოფნა ეკლესიაში. ცხადია, ეს კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიერ დადგენილი კანონიკური ნორმებიდან ერთგვარი გადახვევა იყო, რაც რუსი სასულიერო პირების დაბნეულობას იწვევდა. ამასთან, ლიტურგიკაზე გავლენას ახდენდა ადგილობრივი ტრადიციებიც [Накашидзе Н. 1968: 128; Шмерлинг Р. 1962: 26].

39 „И митрополит сказал: я де недавно здесь и как шед в Дидьянскую землю и сперва о том многожды говаривал и ко мне де прихаживали собрався многия всяких чинов люди с великою бранью, а говоря де мне: иы де внов заводиш иное новое учение, а у нас де давно так ведеца и мы де твоево учения не слушаем, а делаем по своему. Да пред царем де Леонтием на меня дважды собор был; потриярх и епископы и бояря мне говорили о том же и я де ныне не смею поучать“ [Посольство дьяка. 1887: 361].

მიტროპოლიტი მიტროფანე შეიძლებოდა ყოფილიყო მარტვილისა და ილორის მონასტრების წინამძღვარი 40-იანი წლების დასაწყისამდე[40], შემდეგ კი, დაახლოებით 1641-1642 წლებში, გადავიდა წალენჯიხის მიტროპოლიაში, რომელსაც იგი უძღვებოდა სიცოცხლის ბოლომდე (XVII ს-ის 40-იანი წლების მეორე ნახევრამდე)[41]. ასეა თუ ისე, წალენჯიხის ეკლესიაში მისი ყოფნა უკავშირდება კიდევ ერთ ძველ ქართულ ნივთს – იმერეთის მეფეთა მეფედკურთხევის გვირგვინს.

ცნობილია, რომ XIV ს-დან წალენჯიხა იყო ერთ-ერთი მთავარი რეზიდენცია დადიანებისა (სურ. 8). იქ იყო მათი სასახლე, მაცხოვრის ეკლესიაში კი – საგანძურთსაცავი და საგვარეულო საძვალე [ძველი საქართველო. 1913-1914: 66][42]. სწორედ ამ ეკლესიაში ინახებოდა სამხედრო ნადავლი, რომელიც ლევან II დადიანმა ჩაიგდო ხელთ იმერეთის მეფე გიორგი III-სთან ომის შემდეგ [Переписка на иностранных языках. 1861: LVIII; Mourier J. 1883: 30-31][43]. მაშინ დაატყვევეს თავად იმერეთის მეფეც, რომლის დასახსნელად მისმა შვილმა, ბატონიშვილმა ალექსანდრემ, ძალზე დიდი საფასური გადაიხადა[44]. ალბათ რაღაც გარემოებათა გამო მეფე გიორგის მეფედკურთხევის გვირგვინი მოხვდა ლევან II დადიანთან[45]

40 ხატის 1644 წელს გაკეთებულ შიდა წარწერაში უკვე ნახსენებია ჭყონდიდელი აფაქიძე. [ჟორდანია თ. 1897: 456].

41 წალენჯიხის ეკვდერის დასავლეთ ნაწილში, ლევან II დადიანის საფლავის ქვაზე, მხედრული წარწერაა: „მე ებისკოპოსმან წალენჯიხელმან ევდემონ ჯაიანმან დავახატვინე ეკდრის კარი ჩუენის ხელმწიფის დადიანის ლევანის სადღეგრძელოთ და კურთხეულის ბატონის დედოფლის ნესტან დარეჯანის სულისათუის დაიხატა კარი ესე დროსა და ჟამშია დიდისა ხელმწიფისა დადიანისა ბატონისა ლევანისათა ქორონიკონსა სამას ოცდაათექვსმეტსა“ (1648 წელს – ნ.ბ.) [Brosset M. 1850: 10; ძველი საქართველო. 1913-1914: 215-216]. ევდემონ ჯაიანი იყო ლევან II დადიანის თანამედროვე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკვდერის მოხატვის დროს ლევანი ცოცხალი იყო, ნესტან-დარეჯანი – გარდაცვლილი.
ამ ეპისკოპოსის მიერ გაკეთებული სხვა ვოტივური წარწერაა ღვთისმშობლის ადგილობრივ გამოსახულებაზე, რაც ამტკიცებს მის ყოფნას მარტვილში 1651 წლამდე [Муравьев А. 1848: 254].
ეს ადასტურებს იმას, რომ 1648 წლისთვის მიტროპოლიტი მიტროფანე უკვე გარდაცვლილი იყო. კიოტით შემკული ქეთევან დედოფლის ხატი, რომელზედაც ზემოთ ვწერდით, ლევან II დადიანმა სწორედ წალენჯიხაში დააბრძანა ორი მიზეზის გამო: პირველი – აქ იყო დადიანთა საგვარეულო განსასვენებელი, მეორე – წალენჯიხაში წინამძღვრად იყო ხატის უკანასკნელი მფლობელი – მიტროპოლიტი მიტროფანე, რომელსაც ეს წმინდა ხატი განუშორებლად ახლდა ყველა მოგზაურობის დროს.

42 პავლე ზახარევმა თავის მუხლობრივ ნუსხაში ჩაწერა შემდეგი: „Тово же числа (1639 წლის 3 დეკემბერს – ნ.ბ.) пришли в Спаской монастырь. В том монастыре церковь каменная, а в церкви деисусы образ Вседержителев и пречистыя Богородицы, архангелов Михаила и Гавриила и Иванна Предтечи; в олтаре и в церкви постенное писмо, в верьху в церкви оброз Саваофа, а в олтаре в верху Похвалы Пресвятыя Богородицы и многия святыя и равно с святыми писаны Дидянские цари и царицы и ближния их…И Андрей епископ сказывал нам мощей святых имена…“ [Посольство дьяка. 1887: 346-348].

43 „И как Башечицького царя Григория царь Леонтей воевал и царя Григория и знамя ево взял и то знамя приложил к Спасову оброзу; а на знамени вышит оброз Дмитрия Селунского, а округ знамени шиты слова золотом“ [Посольство дьяка. 1887: 348].

44 ფარსადან გორგისჯანიძის „საქართველოს ისტორიაში“ იმერეთის ისტორიის ამ ტრაგიკული მომენტის შესახებ ვკითხულობთ: „დადიანი მრავალრიცხოვანი ჯარით ჩავიდა ჩხეიძის სამფლობელოში. ჯორზე ამხედრებული მეფე გიორგი კი მცირერიცხოვანი ამალის თანხლებით მაღალი გორიდან თვალს ადევნებდა დადიანის ჯარს. მსახურებმა გასცეს იგი, შეატყობინეს მის შესახებ დადიანს. ის მას მომზადებული დახვდა, შეიპყრო მეფე გიორგი, მასთან ერთად ნაწილი მისი თანმხლები პირებისა, სხვანი კი წავიდნენ. ამის შესახებ შეატყობინეს ბატონიშვილ ალექსანდრეს, რომელთანაც თავი მოიყარა ყველა იმერელმა და მეფედ აკურთხეს“ [Парсадан Горгиджанидзе. 1990: 89].

45 იმერეთის მეფეთა მეფედკურთხევის გვირგვინის ისტორიას ეხება ამ წერილის ავტორის სხვა ნაშრომი (მზადდება გამოსაქვეყნებლად), რომელშიც დაწვრილებით განიხილება გვირგვინის წარწერა, იკონოგრაფიული თავისებურებანი, უნიკალობა და გამორჩეულობა სხვა ქვეყნების

(სურ. 9). სხვა საომარ ნადავლსა და საკონტრიბუციო ნივთებთან ერთად ის, უეჭველია, ინახებოდა წალენჯიხის ეკლესიის სიძველეთსაცავში. ეკლესიის წინამძღვრად ყოფნის დროს მიტროპოლიტმა მიტროფანემ გვირგვინზე გააკეთა ძალზე უჩვეულო პოსესიური წარწერა[46], რომელიც მოწმობდა ასეთი ქმედების უკიდურეს აუცილებლობას, კერძოდ კი, სურვილს, გადაემალა და ამ გზით შემოენახა იგი თავისი კანონიერი მფლობელისათვის

ალავერდელი ეპისკოპოსის, მიტროპოლიტ მიტროფანეს, ცხოვრების გზის შესახებ არსებული ინფორმაციის შეჯამებისას დასკვნის სახით შეიძლება განვაცხადოთ: ის დაიბადა XVI ს-ის 80-იანი წლების დასასრულ. დაახლოებით 1614 წელს იგი პირველად, როგორც ბერი, გაემგზავრა ათონზე, საიდანაც უკვე მიტროპოლიტის ხარისხით 1626 წელს ჩამოვიდა საქართველოში. თეიმურაზ I-ის კარზე ყოფნისას ის ალავერდელი გახდა და, მოგვიანებით, უფრო მეფისვე ბრძანებით, ირანში გაემგზავრა. იქიდან კი 1629 წელს საქართველოში დაბრუნდა. მეფე როსტომ I-ის მიერ ქართლის დაპყრობის შემდგომ მიტროფანე კვლავ გაემგზავრა ათონის მთაზე. იქიდან დაბრუნდა სამშობლოში 1637-1638 წლებში და სხვადასხვა დროს მიიღო მიტროპოლიები სამეგრელოში, სადაც გარდაიცვალა კიდეც XVII ს-ის 40-იანი წლების მეორე ნახევარში. მისი სახელი–მიტროფანე ისტორიას შემორჩა რუსი ელჩების–ფედოტე ელჩინისა და პავლე ზახარევის მუხლობრივი ნუსხების, ასევე ორი ქართული ნივთის –კახეთის დედოფალ ქეთევანის ხატისა და იმერეთის მეფე გიორგი III-ის მეფედკურთხევის გვირგვინის წარწერათა წყალობით.

მიტროპოლიტი მიტროფანე, ცხადია, დიდგვაროვანთა ოჯახიდან იყო. ის, როგორც აღინიშნა, რუსი ელჩების თქმით, იყო „ქართველი, თეიმურაზის მიწა-წყლიდან“. იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც ერთი ცნობილი კახური გვარის წარმომადგენელი – არც ჩოლოყაშვილი, არც ანდრონიკაშვილი, არც ჯორჯაძე[47]. ფედოტე ელჩინის ანგარიშგებაში მიტროპოლიტის წარმომავლობა უფრო დაზუსტებულია და ნათქვამია, რომ იგი იყო არამარტო „თეიმურაზის მიწა-წყლიდან, არამედ ტფილისიდან“ [Посольство дьяка. 1887: 331]. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, სახელი მიტროფანე ორჯერ გვხვდება ნინოწმინდის ეკლესიის მღვდელმსახურებთან დაკავშირებით:

---

მმართველთა და მონარქთა ცნობილ საინვესტიტურო ნივთთაგან, ასევე ახსნილია მიტროპოლიტ მიტროფანეს კავშირი მასთან.

46 გვირგვინის ფუძის მთელი შიდა ნაწილის პერიმეტრზე წარწერა გვაუწყებს: „მოიხსენე უფალო მონა შენი მიტროფანე მღრდელთ-მთავარი, რომლისა არს გჳრგჳნი ესე და რომელმან შეამკობინა ესე. და თჳსნი და მეგობარნი მისნი“. ნათელია, რომ მიტროპოლიტმა გვირგვინი შეამკო და გარკვეული დროით ის ინახებოდა მასთან. ამ შინაარსის წარწერა არამც და არამც არაა ვოტივური (მიძღვნითი, შეწირული, შეპირებული, ლათინური სიტყვიდან – vōtīvus, არამედ პოსესიური ხასიათისაა (მფლობელობაში, საკუთრებაში ყოფნა, ლათინური სიტყვიდან – possessīvus). ამგვარი წარწერები საეკლესიო ნივთებზე თითქმის არ გვხვდება, რადგან ისინი ეკლესიის კუთვნილება იყო და არა რომელიმე მღვდელმსახურისა.

47 იმ დროს ქართველ სასულიერო პირთა შორის ორი ჩოლოყაშვილი იყო: ეპისკოპოსი ირბახი და შუამთის მონასტერში აღზრდილი ევგარი, საქართველოს ეკლესიის მიერ თავისი სათნო და ღვთისმოსავი ცხოვრების გამო თოვითად წოდებული. იგი ახლდა მეფე როსტომ I-ს თბილისში 1634-1658 წლებში [Натроев А. 1900: 351-352]. ჯორჯაძის საგვარეულოს ეკუთვნოდა კათალიკოსი ზაქარია (1623-1630). ამ დროისათვის უცნობია ანდრონიკაშვილის გვარის მღვდელმთავარი.

ერთი ცხოვრობდა XVIII ს-ის დასაწყისში, მეორე კი – 70-იან წლებში[48]. ორივე არაგვის ერისთავთა გვარს ეკუთვნოდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია: „ჩვენი“ მიტროპოლიტის ქართლური წარმომავლობა, არაგვის ერისთავთა გვარის წარმომადგენელი ორი მიტროფანეს არსებობა, დავით არაგვის ერისთავის მიერ წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის ხატის „შემკობა“ უცილობლად იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: მიტროპოლიტი მიტროფანე უეჭველად არაგვის ერისთავთა გვარს ეკუთვნოდა[49]. ის იყო პირველი მღვდელმთავარი არაგვის ერისთავთა შორის, რომელმაც მიიღო ბერად აღკვეცისას IV ს-ის ბიზანტიელი წმინდა ეპისკოპოსის სახელი[50].

მაშ ასე, სამი მღვდელმთავარი–ეპისკოპოსი ნიკოლოზ-ნიკიფორე (ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე, ნიკიფორე ირბახი), კუკოსონის მიტროპოლიტად სახელდებული ნიკიფორე და ეპისკოპოსი, ალავერდელი მიტროპოლიტი მიტროფანე იყვნენ ის „გონიერი ხალხი“, ვინც ერთგულად ემსახურებოდა თეიმურაზ I-ს. მათ აერთიანებდათ ერთი იდეა–ზრუნვა „თეიმურაზის მიწა-წყალზე“. ისინი მხარში ედგნენ მეფეს მართლმადიდებლობის შენარჩუნებასა და მუსულმანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მათგან ორის – ნიკიფორეთა სახელების იდენტურობამ, ამ მღვდელმთავრების ბიოგრაფიაში ზოგიერთი თარიღის დამთხვევამ და მიტროფანეზე ინფორმაციის სიმწირემ ზოგიერთი ისტორიკოსი მცდარ დასკვნებამდე მიიყვანა. ცხოვრება და მოღვაწეობა, ერთი მხრივ, კუკოსონის მიტროპოლიტად სახელდებული ნიკოფორესი, ეპისკოპოს ირბახისა და მიტროპოლიტ მიტროფანესი, მეორე მხრივ კი, მიტროპოლიტების: ნიკიფორესი და მიტროფანესი, თავის მხრივ კიდევ, ეპისკოპოს ირბახისა და მიტროპოლიტ მიტროფანესი, იქნა გაერთიანებული და აღრეული. ასე მაგალითად, პ. გუგუშვილი სამივეს ერთი და იმავე პიროვნებად მიაჩნევს [გუგუშვილი პ. 1984: 196]. კ. კეკელიძემ მკვეთრად გამიჯნა ეპისკოპოს ირბახისა და კუკოსონელ მიტროპოლიტად სახელდებული ბერძენი ნიკიფორეს მოღვაწეობა [კეკელიძე კ. 1945][51]. ეთანხმებიან რა კ. კეკელიძის დასკვნებს, გ. ჟორდანია და ზ.

48 იხ. სქოლიო №11.

49 არაგვის ერისთავთა გვარი შედარებით ახალგაზრდაა და სათავეს იღებს 1578 წლიდან, როცა სიმონ მეფემ ახალ თავადს ერისთავობა უბოძა. ძმათა სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა ნუგზარი [Иоселиани П. 1866: 37]. მისი შვილების – ზურაბისა (1619-1629. თეიმურაზ I-ის ქალიშვილის პირველი მეუღლე) და დავითის (1629-1635. მისი სახელი მოხსენიებულია დედოფალ ქეთევანის ხატის წარწერაში) შესახებ იხ. სქოლიო №25.

50 ბერად აღკვეცის შემდეგ აღკვეცილი იღებდა ახალ სახელს, რომელიც, როგორც წესი, იწყებოდა მისი საერო სახელის თანახმიერი პირველი ასოთი.
ასეთი მაგალითები უამრავია: XII ს-ში საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელი საბა გახდა სინგელოზი, გიორგი სააკაძის შვილი იოსები–იოანე, სულხან ორბელიანი–საბა, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე–ნიკიფორე, გერასიმე ქიქოძე–გაბრიელი და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ გვარში იცავდნენ სახელთა გამეორებისა და თაობიდან თაობაში გადაცემის ტრადიციას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არაგვის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელ მიტროპოლიტ მიტროფანეს საერო სახელი შეიძლება ყოფილიყო ორიდან ერთი: მიქაჲ ან მამუკა. თ. ჟორდანიას მიერ შედგენილ არაგვის ერისთავთა საგვარეულო ნუსხაში სახელი მიქაჲ გვხვდება 1398 წლიდან, მამუკა კი პოპულარული ხდება ნუგზარ არაგვის ერისთავის პირდაპირ მემკვიდრეებში [ჟორდანია თ. 1897: 533].

51 ნ. ნაკაშიძე, ახსენებს რა კ. კეკელიძის ნაშრომს, გამოხატავს გაოცებას დ. გვრიტიშვილის ნაშრომის (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. გვ. 391) მიმართ, სადაც ავტორი კვლავ მიიჩნევს კუკოსონის მიტროპოლიტ ნიკიფორეს ნიკიფორე ირბახად [ნაკაშიძე ნ. 1968: 231]. თ. ვირსალაძე კი

გამეზარდაშვილი, ამავე დროს, თვლიან, რომ თეიმურაზ I-მა კუკოსონელ მიტროპოლიტად სახელდებული ნიკიფორე გააგზავნა თავის ელჩად რუსეთში, ირანსა და ოსმალეთის იმპერიაში [Жордания Г., Гамезардашвили З. 1994: 44]. მიტროპოლიტი ნიკიფორე ირანში გამგზავრებას ვერ მოასწრებდა, რადგან საქართველოში მხოლოდ 1635 წელს მოხვდა. იმყოფებოდა რა ორგზის ელჩად მოსკოვში, ის საქართველოში დაბრუნდა მხოლოდ 1642 წელს, რათა მალევე სამუდამოდ დაეტოვებინა საქართველო. გ. ჟორდანიასა და ზ. გამეზარდაშვილს მიაჩნიათ, რომ ეპისკოპოს ირბახის ახლობლებთან ინახებოდა ქეთევან დედოფლის ნეშთის ნაწილები [Жордания Г., Гамезардашвили З. 1994: 374]. ესეც მცდარი შეხედულებაა. ეპისკოპოსს ირანში ჰყავდა ძმა, ცნობილი მხედართმთავარი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, მაგრამ ის, შაჰის ინტრიგების წყალობით, თეიმურაზ I-მა მოაკვლევინა 1612 წელს [Жордания Г., Гамезардашвили З. 1994: 384][52], ანუ დედოფლის დაღუპვასთან დაკავშირებულ ტრაგიკულ ამბებამდე რამდენიმე წლით ადრე. ეპისკოპოსი ირბახი ვერ იქნებოდა ვერც ირანსა და ვერც რუსეთში მიხეილ თევდორეს ძის კარზე, რადგან ევროპაში დიპლომატიური მისიის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა მხოლოდ 1629 წელს. ამასთან, მთელ ამ გაუგებრობას ხელს უწყობდა საოცარი დამთხვევები, როგორებიცაა კუკოსონელ მიტროპოლიტად სახელდებულისა და ეპისკოპოს ირბახის, იმავე ნიკოლოზ ირბახის, სახელთა იდენტურობა – ნიკოლოზი-ნიკიფორე; წმინდა ადგილებში ერთი და იმავე დროით ყოფნა (ეპისკოპოსი ირბახი იერუსალიმში იყო 1614-1626 წლებში, მიტროპოლიტი მიტროფანე კი ათონზე – 1614-1626 წლებში); გორში ჩამოსვლის თარიღი (თეიმურაზ I-თან 1629 წელს ერთდროულად ჩამოვიდნენ ევროპიდან ეპისკოპოსი ირბახი და ირანიდან მიტროპოლიტი მიტროფანე); საქართველოდან გამგზავრება (1642/43 წელს იერუსალიმში გაემგზავრნენ კუკოსონელ მიტროპოლიტად სახელდებული ნიკიფორე და ეპისკოპოსი ირბახი). ასე რომ, სავსებით გასაგებია, რატომ აღმოჩნდა მივიწყებული მიტროპოლიტ მიტროფანეს პიროვნება: მისი სახელი (თანაც ორი ვარიაციით – ალავერდელი და მიტროპოლიტი მიტროფანე), ორი ნიკიფორესაგან განსხვავებით, წყაროებში გაცილებით იშვიათადაა ნახსენები. მან, ისევე როგორც ეპისკოპოსმა ირბახმა და კუკოსონის მიტროპოლიტად სახელდებულმა ნიკიფორემ, შეიტანა არსებითი და მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მსვლელობაში, ამასთან, დატოვა წარუშლელი კვალი ქართული დიპლომატიის ისტორიაში.

---

ა. ცაგარელის მოსაზრებასა და რაღაც „სანდო წყაროებზე“ დაყრდნობით კ. კეკელიძის დასკვნებს საერთოდ მცდარად თვლის [Вирсаладзе Т. 1973: 51-52].

52 საინტერესოა, რომ ძმის ტრაგიკულმა დაღუპვამ ეპისკოპოს ირბახს მისცა საბაბი, ჯვრის მონასტრის ფრესკაზე გამოესახა ის წმინდა მარტვილ ქაიხოსრო ქართველის სახით [Вирсаладзе Т. 1973: 38, 41-42].

**Natalia Beruchashvili**

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: nberuchashvili@hotmail.com

# Metropolitan Mitrofan

**Summary**

Two articles, including some engraved inscriptions, recall the name of a certain metropolitan Mitrofan. These is an icon of St. Queen – Martyr Ketevan and a glans crown of the Imeretian Kings. Though in the proceedings through the history of Georgian religion and churches, completely supplied with the beadrolls those of the Catholicoses, Metropolitans, bishops of different ages, the name of the ecclesiastic Mitrofan was missed. Due to the communiqués, indwelling on the territory of Georgia and Iran, Catholic missionaries, " Report for Georgia" by Italian traveler Pietro della Valle, article lists by the Russian legates at the court of Levan II Dadiani, priest Paul Zakhariev and clerk Fedot Elchin, it came possible to depict the image of Georgian ecclesiastic and tracing his track.

Hierarch Mitrofan was born on the 80s of the 16$^{th}$ century in the family of the Aragvian Eristavi. He got education on the Athos, where he was left till 1614 year as a coenobite. He returned in 1626 having the rank of Metropolitan. At the court of king Teimuraz I Mitrofan got the name of Alaverdeli and some time later he left for Iran. After getting the throne of Kartli by king Rostom I, Mitrofan again went to Athos. When he was in Georgia, he headed number of metropolias in Samegrelo. Metropolitan Mitrofan died in the 40s of the 17$^{th}$ century. Together with two hierarchs – Nikoloz Cholokashvili – Irubakidze (Irbach) and a protosingel of the Constantinople Patriarch, betrothed metropolitan Kukosonsky Nikifor, he honestly and faithfully worshipped for the affairs of king Teimuraz I, thus invaluably contributed through the aspect of Georgian diplomacy.

## ბიბლიოგრაფია


**გუგუშვილი მ. 1979:** *თეიმურაზ პირველის ცხოვრების გზა. თბილისი.*

**გუგუშვილი პ. 1984:** *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ.7. თბილისი.*

**ვახუშტი ბაგრატიონი. 1904:** *საქართველოს გეოგრაფია. ტფილისი.*

**კეკელიძე კ. 1945** *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. II. თბილისი.*

**ჟორდანია თ. 1897:** *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი მეორე. ტფილისი.*

**ტაბაღუა ი. 1984-1987:** *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. თბილისი.*

**ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1986:** ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A კოლექცია. *თბილისი.*

**ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1965:** *თბილისი.*

**ძველი საქართველო. 1913-1914:** *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ.III. ტფილისი.*

**Абхазия [И.Н.]. 1958:** *Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананатский монастырь. Москва.*

**Берадзе Г., Смирнова Л. 1988:** *Материалы по истории ирано-грузинских взаимоотношений в начале XVII века (сведения "Ихйа ал-мулук" о Грузии). Тбилиси.*

**Брокгауз, Ефрон. 1895:** *Энциклопедический словарь. т. XV. Санкт-Петербург.*

**Ватейшвили Д. 2003:** *Грузия и европейские страны. т. I. кн. 2. Москва.*

**Вирсаладзе Т. 1974:** *Роспись Иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели. Тбилиси.*

**Дубровин Н. 1871:** *История войны и владычества на Кавказе. т. I. кн. II. Санкт-Петербург.*

**Дурново Н. 1910:** *Исторический очерк автокефальных церквей: Иверской и имеретинской, со списками 120 эпархий и католикосов Мцхетских и Имеретинско-абхазских. Москва.*

**Жордания Г., Гамезардашвили З. 1994:** *Римско-католическая миссия в Грузии. Тбилиси.*

**Иоселиани П. 1866:** *Описание древностей города Тифлиса. Тифлис.*

**Марр. Н. 1914:** *Синодик Крестного монастыря в Иерусалиме. кн.3. Санкт-Петербург.*

**Муравьев А. 1848:** *Грузия и Армения. ч. III. Санкт-Петербург.*

**Накашидзе Н. 1968:** *Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века. Тбилиси.*

**Натроев А. 1900:** *Мцхет и его собор Свети-Цховели. Историко-археологическое описание. Тифлис.*

**Натроев А. 1909:** *Иверский монастырь на Афоне в Турции, на одном из выступов Халкидонского полуострова. Тифлис.*

**Натрошвили Т. 1978:** *От Машрика до Магриба. Москва.*

**Парсадан Горгиджанидзе. 1990:** *История Грузии. Тбилиси.*

**Переписка на иностранных языках. 1861:** *Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от 1659 г. по 1770 г. Санкт-Петербург.*

**Полиевктов М. 1932:** *Делопроизводственный генезис и состав документов дипломатических сношений России с Грузией московского периода (XVI-XVII вв.). Тифлис.*

**Посольство дьяка. 1887:** *Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадиановскую землю, 1639-1640. Чтения в Общ. Ист. и Древн. России. кн II. Санкт-Петербург.*

**Посольство князя. 1928:** *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию, 1640-1643. Тифлис.*

**Такайшвили Е. 1915:** *Археологические экскурсии. Разыскания и заметки. вып. V. Тифлис.*

**Цагарели А. 1888:** *Памятники грузинский старины в Святой Земле и на Синае. Палестинский православный сборник. т. IV. вып. 1. Санкт-Петербург.*

**Цинцадзе св. К. 1905:** *Автокефалия церкви Грузинской (исторический очерк IV – XI в.). Тифлис.*

**Чубинашвили Г. 1959:** *Грузинское чеканное искусство. Тбилиси.*

**Шмерлинг Р. 1962:** *Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тбилиси.*

**Brosset M. 1850:** *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847 – 1848. Neuvieme rapport. St.- Pétersbourg.*

**Brosset M. 1857:** *Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité juaqu'au XIX e siècle. St.-Pétersbourg.*

**Mourier J. 1883:** *La Mingrélie (Ancienne Colchide). Odessa.*

**Tamarati M. 1910:** *L'église géorgienne. Rome.*

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** მეფე თეიმურაზ I თანამეცხედრე დედოფალ ხორეშანთან ერთად (ნახატი ქრ. დე კასტელისა)

**სურ. 2.** ეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი–ირუბაქიძე//ირბახი (ნახატი ქრ. დე კასტელისა)

**სურ. 3.** თეიმურაზ I–ის საუბარი თეატინელ მისიონერ ქრისტეფორო დე კასტელისთან (ნახატი ქრ. დე კასტელისა)

**სურ. 4.** ელჩთა კარი მოსკოვში. XVII საუკუნის გრავიურა (წიგნიდან – ა. ოლივარი. „აღწერა გოლშტინსკის მოგზაურობისა მოსკოვიასა და

სპარსეთში“. სანკსტ-პეტერბურგი. 1906. რუსულ ენაზე)

**სურ. 5**. პიეტრო დელავალეს პორტრეტი (წიგნიდან – დ. ვათეიშვილი „საქართველო და დასავლეთი ევროპა XIII-XIX საუკუნეებში“. ტ. I. წ. 2. მოსკოვი. 2003. რუსულ ენაზე)

**სურ. 6.** ქეთევან დედოფლის ხატი. წინა და უკანა მხარეები. XVII საუკუნე. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

**სურ. 7.** პორტუგალიელი მისიონერები ქეთევან დედოფლის ნეშთით მეფე თეიმურაზ I–ის წინაშე გორში. პორტუგალია. ლისაბონის დეგრასას ეკლესიის პანო. XVII საუკუნე.

**სურ. 8.** სოფელი წალენჯიხა (ნახატი ქრ. დე კასტელისა)

**სურ. 9.** იმერეთის მეფეთა მეფედკურთხევის გვირგვინი. XVII საუკუნის პირველი ნახევარი. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** King Teimuraz I with his spouse Queen Khoreshan. Drawing by Cristopher de Castel

**Fig. 2.** Bishop Nickoloz Cholokashvili – Irubakidze (Irbach). Drawing by Cristopher de Castel

**Fig. 3.** Teimuraz I conversing with Thatineli Cristopher de Castel

**Fig. 4.** Court Embassy in Moscow. Engraving of the 17th c. (A. Olivari. „Voyage in Moscow“. St.Petersburgh. 1906)

**Fig. 5.** Portrait of De la Vale. (D.Vateishvili. „Georgia and western Europe through the 13th – 19th cc.“. Moscow. 2003).

**Fig. 6.** The Icon of Queen Ketevan. Averse and reverse. 17th c. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts of Georgia.

**Fig. 7.** Portugese Missionaries bringing the remains of Queen Ketevan to King Teimuraz in Gori. Panel from the Lisbon Da Grasa church. 17th c.

**Fig. 8.** Village Tsalenjixa. Drawing by Chr. De Castel

**Fig. 9.** Coronation Crown of Imeretian Kings. The first half of the 17th c. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts of Georgia.



სურ. 1. Fig.



სურ. 2. Fig.



სურ. 3. Fig.



სურ. 4. Fig.




სურ. 5. Fig.



სურ. 6. Fig.



სურ. 7. Fig.



სურ. 8. Fig.



სურ. 9. Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 307-317
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 307-317

## ხელოვნებათმცოდნეობა

**ერმილე მაღრაძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ.გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: e.magradze53@gmail.com

# მოდინახეს ნეკროპოლში მიკვლეული გვიანანტიკური ხანის პოლიქრომიული ნივთების ტექნოლოგიური პროცესები და მათი კავშირი შუა საუკუნეების ტიხროვანი მინანქარის ტექნოლოგიასთან

ძვირფასი ლითონის მხატვრულ დამუშავებას კაცობრიობის კულტურის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. საუკუნეების წიაღში იკარგება მის პირველად ფორმათა შექმნისა და მასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ პროცესთა შემუშავების ისტორია. დღეს მრავალი საკითხი ამ თვალსაზრისით კვლავ გაურკვეველი და მეცნიერთა დავის საგანია.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ უძველეს ქართველ ტომებს უდიდესი წვლილი მიუძღვით არა მარტო მეტალურგიის განვითარებაში, არამედ ლითონის მხატვრული დამუშავების საქმეში, რასაც ხელი შეუწყო ბუნებრივი წიაღისეული სიმდიდრეების, განსაკუთრებით, კეთილშობილი ლითონების ადგილობრივ მოპოვებამ [ლორთქიფანიძე ოთ. 2010: 104]. ეს ნათლადაა ასახული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ მასალაშიც. კეთილშობილ ლითონებს ძველი ქართველი ტომები მოიპოვებდნენ როგორც მდინარეთა კალაპოტებში, ასევე მაღაროებში. ამისი ნათელი დადასტურებაა საყდრისის გორაზე (მაშავერის აუზი, ბოლნისის რაიონი) მიკვლეული ოქროს მოსაპოვებელი მაღაროები (ძვ.წ. IV ათასწლეული), რომლებიც მთელ მსოფლიოში უძველესია [ღამბაშიძე ირ.., მინდიაშვილი გ. ... 2010:126].

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთი და იმავე პერიოდის მინისა და მეტალის დამუშავების ტექნოლოგიურ ხერხებზე დაკვირვება საქართველოს მასშტაბით არ იძლევა ერთგვაროვან სურათს. აშკარაა, რომ იგი იცვლება სხვადასხვა რეგიონის სახელოსნო ტრადიციების მიხედვით, რომლებიც ზოგჯერ ძალზე დახვეწილია, ზოგჯერ კი – შედარებით პრიმიტიული. ეს განპირობებული უნდა იყოს ამ ტერიტორიებზე არსებული პოლიტიკური ერთეულის დაწინაურებით ან ჩამორჩენით. იმ დროს, როცა ერთ რომელიმე რეგიონში, მაგალითად, არმაზისხევში, გამოვლენილი ასპავრუკ პიტიახშის (ახ.წ. II ს.) ხანჯლის ოქროს ქარქაშის სამშვენი მედალიონი,ნამდვილი ტიხროვანი მინანქრისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიითაა დამზადებული, ამავე სარკოფაგში აღმოჩენილ ბრინჯაოს ტვიფრულ-მი-

ნანქროვან ბალთაზე კი თითქმის სრული პალიტრაა წარმოდგენილი მინანქროვანი ხელოვნებისათვის სახასიათო ფერადი, დეკორატიული ტყვია-კარბონატული მინებისა, ასევე ნამდვილი მინანქრისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიითაა დამზადებული არმაზის ხევში გამოვლენილი ოქროს სამაჯურის (ახ.წ. IV ს.) მინანქროვანი მცენარეულ -დეკორატიული ჩანართები და არაგვისპირში აღმოჩენილი ოქროს გულსაკიდის ცენტრალური სამშვენი ვარდული (ახ.წ. III-IV სს.), საქართველოს სხვა რეგიონებში ჯერ კიდევ სრული ინკრუსტაციის მეთოდით ქმნიან სამკაულს.

ძვირფასი მეტალისა და მინის ნაწარმის ასეთი არაერთგვაროვნება მაშინდელ იბერია-კოლხეთში მკაფიოდ მიუთითებს ადგილობრივ, თვითმყოფად, ტრადიციულ ცოდნაზე, რითაც უნდა იყოს განპირობებული მოგვიანებით, ადრეულსა და განვითარებულ შუა საუკუნეებში, მინის, მინანქრისა და ძვირფასი მეტალის დამუშავების მაღალი დონე ამავე რეგიონებში [აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ. 1959: 27].

ისტორიული სურათის სრულყოფილი რეკონსტრუქციისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს არქეოლოგიური მასალის შესწავლა. სარესტავრაციო სამუშაოთა მიმდინარეობისას საფუძვლიანად უნდა იქნეს გამოკვლეული საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური მონაპოვრის სახით გამოვლენილი ნივთები, რომლებიც ინახება საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში.

წინამდებარე წერილის განხილვის საგანია ყვირილის ხეობის გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლის– მოდინახეს ნეკროპოლში (სამარხი №-№- 13,17) აღმოჩენილი ორი ნივთის – ბეჭდისა (საინვ. №10801) და საყურის (საინვ. №10788) გაწმენდა-კონსერვაციის დროს გამოვლენილ ფაქტთა მეცნიერული ანალიზი. ეს ნივთები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურის საცავში.

ბეჭედი დამზადებულია საკმაოდ მაღალი ღირსების 21 კარატიანი ოქროსაგან (890 სინჯი), ფორმით მიეკუთვნება მხრებდაკუთხული ბეჭდების ტიპს [ნადირაძე ჯ. 1975: 63]. იგი ძალზე დეფორმირებულია და ყელის გარშემო, ორ მხარეს, ნაკლული ადგილები აქვს. საოქრომჭედლო ხელოვნების თვალსაზრისით, ის ნატიფი ხელისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ოსტატის მიერ არის გაკეთებული. ბეჭდის ფარაკზე, ცენტრალურ ნაწილში, ზის იმპერატორ კონსტანციუსის მონეტა. მონეტის სამაგრ ბუდეს შემოუყვება ოთხ თანაბარ ნაწილად დაყოფილი საინკრუსტაციო არხი გარშემო საკმაოდ მსხვილი, ერთმილიმეტრიანი ცვარას მწკრივით, რომელიც, როგორც ჩანს, ბეჭდის ხანგრძლივი ხმარების გამო ძალზე გაცვეთილია (სურ.1).

შეუიარაღებელი თვალით დათვალიერებითაც ჩანს, რომ ბეჭედი მოგვიანებით გადაუკეთებიათ. ამაზე მეტყველებს საკმაოდ უხეშად შესრულებული რჩილვის კვალი, რომელიც სათითური რგოლის ერთ მხარეს დასტურდება (სურ. 2).

სავარაუდოდ, იმპერატორის მონეტა სწორედ ამ გადაკეთების დროს ჩასვეს ბეჭდის ცენტრალურ ნაწილში. იგი თვალბუდეზე მცირეა და მყარად რომ ჩამაგრებულიყო, დამატებით შიგა სამაგრად ოქროს რგოლი

აქვს ჩაყენებული, რომელიც ახლა ძლიერაა დეფორმირებული (სურ. 3). ბეჭედზე ოქროს მონეტა მისი შემამკობელი მინერალის ან მინის დეტალის დაკარგვის, ან განზრახ ამოღების შემდეგ უნდა ჩაესვათ. ამ მოსაზრებას ამყარებს შემდეგი ფაქტები:

1) ბეჭდის თვალბუდის ფსკერი, რომელიც საბაზისო მასტიკის ფენის დამჭერი უნდა ყოფილიყო, აღარ არსებობს და კარგად ჩანს, რომ იგი თავის დროზე უხეშად ამოუჭრიათ; 2) მონეტის დამატებითი სამაგრი რგოლის თანამედროვე აპარატურით შემოწმებამ აჩვენა, რომ რგოლისათვის, ბეჭდის ძირითადი მასალისგან განსხვავებით (როგორც ზემოთ ითქვა, იგი 21 კარატიანი 890 სინჯის ოქროა), გამოუყენებიათ სულ სხვა, გაცილებით მაღალი ღირსების, 23 კარატიანი (980 სინჯი) ოქრო.

თავისთავად ცხადია, ეს რგოლი გვიანაა დამზადებული, ამიტომ ბეჭდის მოგვიანებით გადამკეთებელ ხელოსანს, ვერ ექნებოდა იმავე ღირსების ოქრო, რაც დასტურდება ბეჭდის ძირითად მასაზე დაკვირვებით.

აღნიშნული ბეჭდის გაწმენდის დროს გამოვლინდა, რომ საინკრუსტაციო არხში დადასტურებული დეკორატიული ფრაგმენტები ლურჯი, ნახევრად ხშობილი, მაღალხარისხოვანი მინაა და არა ფერადი პასტა, როგორც საგანძურის საინვენტარო დავთარში იყო რეგისტრირებული.ამ ფაქტს, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს. ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგიის ჩამოყალიბების პროცესის გააზრებისას უმნიშვნელოვანესია ასევე მინის დეტალებჩართული, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი მინერალებით შექმნილი ინკრუსტაციები, რომელთაც უძველესი სახელოსნოები აწარმოებდნენ.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი პარალელური მასალაა ზემოთ მოხმობილი მეორე ნივთის–საყურის კვლევით მიღებული შედეგი (სურ.4), კერძოდ, მასზეც წმენდის შემდეგ გამოვლინდა იმავე ელფერისა და ტონალობის ნახევრად ხშობილი მინა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ბეჭდის მინის დეტალებთან შედარებით მინის დეტალები უფრო თხელია და ნაკლებ დაზიანებული (სურ.5).

საყურეს ცენტრში უზის ალმანდინის დაკაბოშონებული თვალი. იგი თავისი ფორმის გამო საერთო დონესთან შედარებით თავის დროზე მაღლა იქნებოდა ამოზიდული. საინკრუსტაციო არხი, რომელიც თვალბუდეს გარს ევლება, ისევე როგორც ბეჭედზე, ოთხ თანაბარ ნაწილადაა დაყოფილი (სურ.6). დამყოფი ძგიდეები ჩარჩილულია საინკრუსტაციო არხში ვერტიკალურად და ზედაპირზე იძლევა ტიხრის ეფექტს, რაც შედარებით გვიან გვხვდება უკვე ტიხროვანი მინანქრის ძეგლებზე.

საინკრუსტაციო არხს შემოუყვება სამშვენი დეკორატიული ფორმა. იგი ფურცლოვანი ოქროსაგანაა გამოყვანილი, ძირითად ფორმაზეა ჩამოცმული და რამდენიმე წერტილშია დაკავშირებული ცენტრალურ დეტალთან. დეკორატიულ ფორმას ზემოდან მირჩილული აქვს ორი მცირე რგოლი, რომლებშიც მცირე ზომის რკალებია გაყრილი. ქვემოდან კი მოსართავდეკორირებულ ფორმას აქვს სამი მცირე რგოლი, რომლებზეც ოქროს ღერაკებია ჩამოკიდებული. ამ ღერაკებზე უნდა ყოფილიყო ჩამოცმული მინის პასტის როდინის ფორმისა და ხუთბურთულიანი ცვარასგან შემდგარი პაწაწინა დეტალები. ამჟამად ამ ელემენტთაგან მხოლოდ ცვარასა

და მინის პასტის თითო დეტალია შემორჩენილი.

რჩილვის თვალსაზრისით, საყურე უზადოდაა შესრულებული და გამოყენებულია რჩილვის ძალზე ძველი და რთული მეთოდი, რომლითაც მსოფლიოს ხალხთა ცვარათი შემკული უძველესი ნივთებია დამზადებული [Theophilus. 1979: 121].

მინდა შევნიშნო, რომ ამ პერიოდში იუველირი ოსტატები იყენებდნენ რჩილვის ორ ხერხს. ერთ შემთხვევაში რჩილვა ხდებოდა ლეგირებული სარჩილით, როდესაც მაღალი ღირსების ოქროს ლეგირებას ახდენდნენ სხვადასხვა პროცენტული რაოდენობის სპილენძითა და ვერცხლით. ამის შედეგად მიღებული შენადნობის საგანგებო კამერაში გახურებით კი აკავშირებდნენ ორ დეტალს ერთმანეთთან დამხმარე ფლუსების, ანუ მალღობლების საშუალებით [მაღრაძე ერ. 2014, 332]. მეორე ხერხი რჩილვისა კიდევ უფრო ძველია, დასტურდება უფრო ადრეულ ძეგლებზე და ეფუძნება ქიმიური პროცესის მიმდინარეობას, კერძოდ. სპილენძის ოქსიდის კვლავ მეტალის სახით აღდგენას. ამ დროს წარმოქმნილი დაბალი ღირსების მეტალი უთხელესი ფენის სახით მოეფინება, შეუერთდება ძვირფასი მეტალის ზედაპირს და მოალღობს მას. შედეგად კი ორი დეტალი უკავშირდება ერთმანეთს. რჩილვის უკანასკნელი მეთოდი, ტექნიკური თვალსაზრისით, ძალზე რთულია და ოსტატისაგან მოითხოვს დიდ ცოდნასა და გამოცდილებას. ასეთი რჩილვით შესრულებულ ნივთებზე დეტალები, გამომდინარე აღნიშნული სარჩილის თვისებიდან, მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით ხშირად მთლიანად ან ნაწილობრივ ოქსიდური მდგომარეობიდან აღდგენილი დაბალი ღირსების მეტალითაა შემოგარსული. ამიტომ ის მომავალშიც გალღვება ფლუსის გარეშეც კი, თუ მათ მოუფრთხილებლად გავახურებთ სათანადოდ ტემპერატურაზე. ამის გამო ადვილად შეიძლება დაზიანდეს ადრე მირჩილული ფორმები.

სწორედ ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე მოდინახეს ბეჭდის შემთხვევაში, როცა ბეჭდის მოგვიანებით გადამკეთებელმა ოსტატმა არ გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე და „აუმოქმედდა" ძველი ნარჩილი ადგილები. ბეჭდის კედლები რამდენიმე ადგილას ისე გათხელდა, რომ მოგვიანებით იოლად ჩაიხა და განადგურდა.

ეს აშკარად ჩანს აღნიშნული ბეჭდის ყელის ორივე მხარეს. რაც შეეხება საინკრუსტაციო მინის მინიატიურულ დეტალებს საყურეზეც და ბეჭედზეც, ისინი უზადო ოსტატობითაა გამოჭრილი და მორგებული ოქროს ტიხრებისაგან წინასწარ მომზადებულ არხებს. დაკვირვება ცხადყოფს, რომ მინის დეტალები შემდეგნაირად უნდა დაემზადებინათ: თავდაპირველად, სასურველი ელფერის მინისაგან, ჩამოისხმებოდა და გაბრტყელდებოდა თხელი ფირფიტა. ამ ფირფიტისაგან გამოიჭრებოდა მცირე ზოლები [Theophilus. 1979 :62], შემდეგ კი აბრაზიული ღერაკებით ხეხვის საშუალებით მას ეძლეოდა სასურველი ფორმა. ასევე ხეხვის მეთოდით გამოიჭრებოდა და ფორმა მიეცემოდა ბუნებრივ მინერალებს, რომელთაც მინის აღწერილ ფირფიტებთან ერთად იყენებდნენ პოლიქრომიული ინკრუსტაციის შესაქმნელად.

ამ წერილში განხილულ ორივე ძეგლზე საინკრუსტაციო არხები ერთი და იმავე ტექნიკური ხერხითაა მომზადებული. საინკრუსტაციო ოქროს

საფუძვლის უთხელეს ფირფიტაზე ვერტიკალურადაა მირჩილული 0,3-0,4 მმ სისქის ოქროს ტიხრები. სარჩილ საშუალებად უნდა გამოეყენებინათ, როგორც ზემოთ ითქვა, რეაქციული სარჩილი.ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ორივე ძეგლის მიკროსკოპული შესწავლა, რამაც აჩვენა, რომ ოქროს ზედაპირი ტიხრების გარშემო საკმაოდ დიდ მანძილზე ეროზირებულია და მარცვლოვანი ბრწყინვალება გააჩნია, რაც ტიპობრივია ასეთი სარჩილის გამოყენების დროს.

ასეთი ხერხით საფუძველს მირჩილული ტიხრები დასტურდება როგორც ადრეული, ისე განვითარებული შუა საუკუნეების ტიხროვანი მინანქრის ძეგლებზე. მირჩილვის ასეთ მეთოდზე საუბრობს შუა საუკუნეების მოღვაწე ბერი თეოფილუსი თავის ტრაქტატში „ სხვადასხვა ხელოვნებებზე". რჩილვის აღნიშნული მეთოდი საფუძვლიანად გამოიკვლია გერმანელმა მეცნიერმა და იუველირმა ბრეპოლმა თავის ნაშრომში, რომელიც მან მიუძღვნა თეოფილუსის ტრაქტატში აღწერილ ტექნოლოგიურ საკითხებს [Brepohl E. 1987:150]. განხილულ ინკრუსტირებულ ძეგლებზე შეინიშნება სქელი საინკრუსტაციო ტიხრები. ეს ტრადიცია ადრეული ტიხროვანი მინანქრის ძეგლებზეც დასტურდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი პარალელური მასალაა ამავე პერიოდის არმაზისხევის გათხრისას ასპავრუკ პიტიახშის სარკოფაგში მიკვლეული მინანქროვანი ნივთები; ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატზე არსებული VIII ს-ის ტიხროვანი მინანქრის კვადრიფოლიუმი ჯვარცმის გამოსახულებით; წმ. თევდორეს მედალიონი და სხვ. უფრო მოგვიანო საუკუნეების ტიხროვანი მინანქრის ძეგლებზე ტიხართა სისქე თანდათან თხელდება და რაფინირდება.

როგორც აღვნიშნე, მოდინახეს ნეკროპოლში გამოვლენილ ორივე ძეგლზე, ბეჭედსა და საყურეზე, საინკრუსტაციო არხები ერთნაირი ტექნიკური ხერხითაა მომზადებული. არხებში ჩასმული მოლურჯო ელფერის ნახევრად ხშობილი, კობალტის ჟანგეულით შეღებილი მინის დეტალები (ასეთ ფერს მინის ღებვისას მხოლოდ კობალტის ჟანგეულები იძლევა) უზადო ოსტატობითაა გამოჭრილი და მორგებული საინკრუსტაციო არხებს. უკვე გამოჭრილი მინის ან მინერალთა დეტალებს ვერტიკალური ჩაწნეხვითა და მსუბუქი თერმული დამუშავებით სვამდნენ სათანადო მასტიკისაგან მომზადებულ გრუნტზე. ზოგადად, მასტიკის შემადგენლობის ძირითადი კომპონენტები ცვილი და მცენარეთა ფისები იყო. ამიტომ ამ ნივთიერებებით შექმნილი გრუნტის თერმული დამუშავება აუცილებელია და კარგ შედეგს იძლევა დეტალების მყარად და საიმედოდ ჩასამაგრებლად.

რაც შეეხება მასტიკის შემადგენლობას, სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ იგი არ უნდა იყოს ყოველთვის ერთგვაროვანი და იცვლება დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახელოსნოში შემუშავებული მეთოდების მიხედვით.

როგორც აღნიშნული პერიოდის იბერიულ-კოლხურ ნივთებზე დაკვირვებითა და მათი შესწავლით ირკვევა, საინკრუსტაციო ტიხრებში დეტალები ისე იწნეხებოდა, რომ ტიხართა და მაინკრუსტირებელ დეტალთა ზედაპირები რაც შეიძლება იდეალურად შეთანაბრებოდა ერთმანეთს. ამ ოპერაციის დასრულების შემდეგ კი იწყებოდა ნივთის ზედაპირის ჰორიზონტალური ხეხვა საგანგებო აბრაზიული ღერაკების მეშვეობით, თავ-

დაპირველად, უხეშად, შემდგომ კი– საფეხურებრივად, თანდათან წმინდა მარცვლოვანი აბრაზიული საშუალებებით. ასეთი მეთოდების საგანგებო შესწავლით, მათი გამოცდითა და უძველეს ძეგლებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ხეხვისას ერთად იხეხებოდა როგორც საინკრუსტაციო ოქროს სქელი ტიხრები, ისე მაინკრუსტირებელი მინისა და ძვირფას მინერალთა ზედაპირები. ტიხრები ყოველთვის საგანგებოდ რბილი, მაღალი ღირსების, საკმაოდ სქელი ოქროსაგან მზადდებოდა. ამიტომ, შესაბამისად, ხეხვის შედეგად მინერალს ან მინის დეტალებსა და ტიხრებს შორის არსებული მცირე დაცილებები, რომლებიც აუცილებლად არსებობდა, თავდაპირველი, უხეში აბრაზიული სახეხი ღერაკების გავლენით, შეივსებოდა ოქროს სქელი ტიხრის გადახეხილი მასით. ამ დროს მოხეხილი ოქროს ნაწილაკები მთლიანად არ წყდებოდა ტიხრის ძირითად ზედაპირს და მის ორივე მხარეს გადაიგლისებოდა. ასეთნაირად ერთდროულად მიიღებოდა სიბრტყობრივად მოხეხილი მაინკრუსტირებელი დეტალები და მათ გარშემო მყარად ჩაწნეხილი ოქროს ტიხრები, რომლებიც აღნიშნულ დეტალებს სამაგრ გრუნტზე ძალზე საიმედოდ ამაგრებდა.

აღნიშნული ძეგლების გარდა, შეიძლება მოვიხმოთ სიბრტყობრივად მოხეხვის მეთოდით დამზადებული ინკრუსტაციის ხელოვნების მრავალი უძველესი არტეფაქტი, მაგალითად, III-IV სს-ის ალმანდინის თვლებით გაწყობილი ოქროს სარტყელი ურეკიდან (სურ. 7); მცხეთის არქეოლოგიური გათხრისას გამოვლენილი III-IV სს-ის ალმანდინის თვლებიანი სამაჯური (სურ. 8); ამავე პერიოდის არაგვისპირის გულსაკიდი ასევე ალმანდინის თვლებითა და ცენტრში ტიხროვანი მინანქრის ვარდულით (სურ. 9) და სხვ.

ამრიგად, როგორც ბეჭედსა და საყურეზე, ისე პარალელურ მასალაზე დაკვირვებით გამოვლინდა უძველეს სახელოსნოებში შემუშავებული ძალზე ორიგინალური მეთოდი, რომლის მეშვეობით ოქროს ტიხარი მარტივად და საიმედოდ გადაიგლისებოდა დეტალებზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ ასეთი მეთოდით დამუშავებული ზედაპირები დასტურდება ადრეული პერიოდის ტიხროვანი მინანქრის ძეგლებზე, როცა სიბტყობრივად მოხეხვის დროს სქელი და რბილი ოქროს ტიხრის მასა ზედაპირის მოხეხვის შედეგად გადაიგლისებოდა ჰაერის ბუშტუკების გამო სმალტის ზედაპირზე გაჩენილ სიცარიელეებში და ავსებდა მას.

სახეხ საშუალებათა შესახებ საუბრისას ბერი თეოფილუსი თავდაპირველ სახეხ საშუალებად ასახელებს ბრტყელ, გლუვ ქვიშაქვას წყალთან ერთად, შემდგომ ეტაპზე კი– თხის ტყავსა და, ბოლოს, ტყვიის ფირფიტაზე შეგლესილ აგურის წმინდად დაფხვნილ ფქვილს ადამიანის ნერწყვთან ერთად. ვახტანგ VI თავის ტრაქტატში ასევე საუბრობს ხელოვნური თვლებისა და სათვალის მინების მოხეხვასა და მოწყლიანებაზე [ვახტანგ VI. 1981:189].

დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზედაპირის დამუშავების ასეთი მეთოდი მომდევნო პერიოდებში ზედმიწევნით მეორდება ტიხროვანი მინანქრის სახელოსნოებში და არ იცვლება მრავალი საუკუნის განმავლობაში. განსაკუთრებით ადრეული პერიოდის ტიხროვანი მინანქრის ძეგლებზე მკაფიოდ ჩანს, რომ ისინი დამზადებულია ზემოთ მოხმობილ ტრადიციის განმგრძობ სახელოსნოებში.

ბეჭედსა და საყურეზე დადასტურებული მინის დეტალები გამოირჩევა მაღალი ხარისხით. მიუხედავად მრავალი საუკუნის განმავლობაში აგრესიულ სამარხეულ გარემოში ყოფნისა, გაწმენდის შემდეგ ისინი დღესაც ულამაზესად ელვარებს და არ აღენიშნება სიღრმისეული სტრუქტურული ირიზაცია. ეს კი მკაფიო დასტურია იმისა, რომ გვიანანტიკურ პერიოდში ყვირილის ხეობაში მოღვაწე საიუველირო მინის მომდულებელი ოსტატები სრულყოფილ ცოდნას ფლობდნენ მინის წარმოების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ზემოთ განხილული ნივთი გარკვეულ მსგავსებასა და პარალელებს პოულობს იბერიულ სამყაროში, კერძოდ კი, მცხეთის რეგიონში, გამოვლენილ მრავალ პოლიქრომიულ ნივთთან, მაინც ჩანს მათი დამამზადებელი სახელოსნოს ორიგინალური სტილისა და მიდგომის აშკარა სხვაობა ასეთი ტიპის ნივთების შექმნისას. ზემოთ გამოვლენილი ფაქტები თავისუფლად გვაძლევს საფუძველს, ვისაუბროთ ადგილობრივად არსებულ მყარი ცოდნის მქონე საიუველირო ცენტრებზე.

ძვირფასი ლითონის ტექნოლოგიურ-მხატვრული დამუშავების შესწავლის მიზნით ამ ძეგლებზე დაკვირვებისას მკაფიოდ იკვეთება შემდეგი სურათი: კვერვა, ჭედვა, ტვიფრვა, ცვარნამით შემკობა, ტიხროვანი ინკრუსტაცია – ლითონის შემკობის ყველა ეს ხერხი დასტურდება ადრეული ანტიკური სამყაროს წიაღში შექმნილ საკულტო დანიშნულების ძეგლებზე. თუმცა, ძვირფასი მეტალების– ოქროსა და ვერცხლის დამუშავების თვალსაზრისით აქ ჩამოთვლილ ხერხთაგან ტიხროვანი ინკრუსტაციის ტექნოლოგია იხვეწება, ვითარდება და კულმინაციას აღწევს განვითარებულ შუა საუკუნეებში სწორედ ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგიის სახით.

მოდინახეს ნეკროპოლში გამოვლენილი ნივთები (სურ. 10) იბერიულ-კოლხურ სახელოსნოებში შესრულებულ სხვა ნივთებთან ერთად გვევლინება წინაპირობად იმ პოლიქრომიისა, რომელიც შემდგომ განვითარებას აღწევს სწორედ ტიხროვანი მინანქრის მწარმოებელ სახელოსნოებში შექმნილი მინანქროვანი ძეგლების სახით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგია პირმშოა ანტიკურ პერიოდში არსებული საიუველირო სახელოსნოებისა, რომელთა წიაღშიც ჩამოყალიბდა და სახე მიიღო პოლიქრომიული ინკრუსტაციის მეთოდმა. ამ მეთოდს კი აუცილებლად სათავე უნდა მისცემოდა კიდევ უფრო ადრეულ საუკუნეებში, მაშინ, როცა აღნიშნულ პერიოდში ადამიანი სულიერად გაიაზრებდა 12 ბიბლიურ ქვას. ამ მრავალფეროვნების მეშვეობითვე ქმნიდა იმ ნივთებს, რომელთა საკულტო დანიშნულებაზეც მკაფიოდ საუბრობს წმიდა წერილი. აღნიშნულ მინერალთა მისტერიული შინაარსი კი კიდევ უფრო ადრეულ პერიოდებშია საძიებელი, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ ჩანს ადამიანის ეპისტოლური მოღვაწეობის კვალი.

**Ermile Magradze**

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1, L.Gudiashvili St., 0151, Tbilisi, Georgia
E-mail: e.magradze53@gmail.com

# Technological Processes of the Polychromatic Style Objects Found at the Late Antique Period Necropolis of Modinakhe and Their Connection to the Medieval Cloisonné Enamel Technology

## Summary

Art processing of precious metal occupies a very significant place in the cultural development of mankind. The history of creation of primary forms and technological processes has faded in the depth of centuries. Number of issues in this point of view are still obscure today, thus being a subject of dispute among scientists.

The subject of this article is survey and scientific analyses of technological facts revealed in the process of cleaning and conservation of two objects- the ring (# 10801) and the earring (#10788) (tombs #13,17) found at the Modinakhe necropolis- late antique period archaeological monument in Kvirila basin.

The study of technological processes, which were revealed as a result of examination of the abovementioned objects, is of great importance. Especially when it comes to ancient art of inlaying, representing the precondition of the cloisonné enamel technology developed in the Middle Ages.

Technical issues characteristic to the mentioned period of time in regard to processing precious metals, colored jewelry glass, different types of solder and later met on the cloisonné enamel monuments are discussed in detail in this article.

The presented arguments manifest a vivid image of local, traditionally functioning workshops in the upper basin of Kvirila, which later pass their art and handicraft traditions to the workshops creating many masterpieces in the developed Middle Ages, in the form of cloisonné enamel monuments which have been survived to our days.

## ბიბლიოგრაფია


**აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ.1955**:*მცხეთა. ტ. I.* თბილისი.

**ვახტანგ VI. 1981:** *წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის*. თბილისი.

**ლორთქიფანიძე ოთ. 2010:** *ოქროთი სიმდიდრე.* თბილისი.

**მაღრაძე ერ. 2014**: ვანის ნაქალაქარში გამოვლენილი საოქრომჭედლო ხელსაწყო-კოლხური ხუფი. სემმ. V (50-B). **გვ. 323-336**. თბილისი (რედ.ზ. თვალჭრელიძე).

**ნადირაძე ჯ. 1975:** *ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

**ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ. , ჯაფარიძე ი. 2010:** *უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში*. თბილისი.

**Brepohl E. 1987:** *Theophilus Presbyter und die mittelalterliche Goldshmiedekunst.* Leipzig.

**Theophilus. 1979:** *On Divers Arts* . New York.


## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ.1.** მოდინახეს ნეკროპოლში აღმოჩენილი ბეჭედი გაწმენდა-კონსერვაციამდე

**სურ.2.**ბეჭდის გრაფიკული ჩანახატი

**სურ.3.** მოდინახეს ნეკროპოლში აღმოჩენილი ბეჭდის მონეტის სამაგრი რგოლი

**სურ4.** მოდინახეს ნეკროპოლში აღმოჩენილი საყურე გაწმენდა-კონსერვაციამდე

**სურ.5**. მოდინახეს ნეკროპოლში აღმოჩენილი საყურის მინის ფრაგმენტები

**სურ.6.** მოდინახეს ნეკროპოლში აღმოჩენილი საყურის საინკრუსტაციო არხების

**სურ.7.** ალმანდინის თვლებით გაწყობილი სარტყელი ურეკიდან. ახ.წ. III-IV სს.

**სურ.8.** მცხეთის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ალმანდინის თვლებიანი სამაჯური. ახ.წ .III-IV სს.

**სურ.9.** არაგვისპირის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი გულსაკიდი ტიხროვანი მინანქრის ვარდულით. ახ.წ. III-IV სს.

**სურ.10** მოდინახეს ნეკროპოლში აღმოჩენილი ბეჭედი და საყურე გაწმენდა-კონსერვაციის შემდგომ

## LIST OF ILLUSTRASIONS


**Fig 1.** Ring found in Modinakhe necropolis before cleaning and restoration

**Fig 2.** Graphic scetch of ring

**Fig 3.** Coin staple ring of the ring from Modinakhe necropolis

**Fig 4.** Ear-ring found in Modinakhe necropolis before cleaning and restoration

**Fig 5.** Fragments of ear-ring glass from Modinakhe necropolis

**Fig 6.** Graphic sketch of ear-ring incrustation chennel from Modinakhe necropolis

**Fig 7.** Belt decorated with almandine from Ureki. $3^{rd}$ – $4^{th}$ cc AD

**Fig 8.** Bracelet with almandine stones found during archaeological excavations in Mtketa. $3^{rd}$ – $4^{th}$ cc AD

**Fig 9.** Necklace with enamel rosettes found during archaeological excavations in Aragvispiri. $3^{rd}$ – $4^{th}$ cc AD

**Fig 10.** Ring and ear-ring found in Modinakhe necropolis after clearing and restoration from Modinakhe necropolis



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 318-328
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 318-328

## ხელოვნებათმცოდნეობა

**გიორგი გაგოშიძე*, სოფიო გაგოშიძე***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლადო გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: g–gagoshidze@yahoo.com
sofo–gagoshidze@hotmail.com

# ნიქოზის საეპისკოპოსო საყდრის ძველი კანკელი

სოფელ ზემო ნიქოზის (გორის რ-ნი) ცენტრში მდებარე ღვთაების საეპისკოპოსო გუმბათიანი ტაძრის (V ს-ის დასასრული - VI ს-ის დასაწყისი – XIV-XV სს.) დასავლეთი ფასადის (სურ. 1) სარკმლის თავზე, მიწიდან დაახლოებით ექვსი მეტრის სიმაღლეზე, კედელში ჩადგმულია ღია მწვანე ფერის ორნამენტირებული ქვის ორი ფრაგმენტი (სურ. 2), რომლებიც ტაძრის ეზოში შესვლისთანავე იპყრობს ყურადღებას. ეს ქვები - ძველი კანკელის ფილის ნაწილები სპეციალურად არავის შეუსწავლია, თუმცა კი მათზე საუბარია იმ გამოკვლევებში, რომლებიც ნიქოზის ტაძარს ეხება.

პ.უვაროვას შიდა ქართლში მოგზაურობისას ნიქოზის ეკლესიის დასავლეთი კარის თავზე (Sic) შეუნიშნავს მწვანე ქვაზე ნაკვეთი „ლამაზი და ფაქიზი სპარსულ-ქართული ორნამენტი", რომელიც მან მდ. ლიახვისავე ხეობაში მდებარე საბაწმინდის მონასტრის კანკელს მიამსგავსა და ეს ფრაგმენტებიც კანკელის ნაწილებად ჩათვალა [Уварова П. 1894: 180]. ამავე დროს, მკვლევარი ამავე ნაშრომის საბაწმინდის მონასტრისადმი მიძღვნილ თავში აღნიშნავს, რომ საფარის კანკელიც მწვანე ფერის მსგავს ქვაზეა ნაკვეთი [Уварова П. 1894: 86, 178]. პ.უვაროვა აშკარად ცდება, როდესაც ნიქოზის კანკელის ფრაგმენტების ადგილმდებარეობას დასავლეთი კარის ("над западною дверью") და არა სარკმლის თავზე უთითებს, რადგან შიდა ქართლში მისი მოგზაურობის დროისთვის (23.VIII.1890) ეს ნამტვრევები ნამდვილად დასავლეთი სარკმლის თავზე მდებარეობდა. ამ ნაშრომშივე გამოქვეყნებულ ნიქოზის ეკლესიის დასავლეთი ფასადის ფოტოზე მოჩანს, რომ სარკმლის სწორკუთხა ღიობს ასევე სწორკუთხა საპირე ევლება [Уварова П. 1894: 179. таб. 158], რაც 1888-1891 წლებში აქ ჩატარებული რემონტის შედეგია.[1] თუ დავაკვირდებით ტაძრის დასავლეთი ფასადის ამ მონაკვეთს, შევნიშნავთ, რომ სარკმლის მოჩარჩოების ზედა ჰორიზონტულ ნაწილს უშუალოდ ადევს კანკელის ფილის ერთ-ერ-

1 1888-1891 წლებში ნიქოზის საეპისკოპოსო ტაძარი აღუდგენიათ: დავით სულხანიშვილს, გიორგი საძაგლიშვილს (მოგვიანებით კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი), ზაქარია ფავლენიშვილსა და იოანე დავითაშვილს. 1896 წლის 24 აგვისტოს ტაძარი აკურთხეს [მეგრელიძე ი. 1984: 123,124,141]. სარემონტო სამუშაოს დროს გაუფართოებიათ სარკმლის ღიობები და გამოუცვლიათ მათი საპირეები, ასევე ეკლესიას მოხსნეს კარების წინ არსებული კარიბჭეები. ამ რემონტის შესახებ საუბრობს პ.უვაროვაც ("увеличены окна, древняя каменная резьба уничтожена"). მის მიერ გადაღებულ ფოტოზეც ჩანს, რომ ეკლესიის დასავლეთ ფასადზე სარკმლის საპირე უკვე გამოცვლილია [Уварова П. 1894: 179. таб 158]. ნიქოზის ღვთაების ტაძრის დასავლეთ კედელში ამ დროს ჩადგმული სარკმლის საპირე უშუალოდ კანკელის პირველი ფრაგმენტის ქვეშ დევს, რაც გამორიცხავს მოგვიანებით კანკელის ფრაგმენტის აქ მოხვედრას.

თი ფრაგმენტი, რომელიც XIX ს-ის დასასრულს ჩატარებული რემონტის დროსაა აქ მოხვედრილი. ამ ვითარებას ნათელს ჰფენს 1889 წლის გაზეთ „ივერიაში” დაბეჭდილი ცნობა, საიდანაც ვიგებთ, რომ 1889 წლის მკათათვის 4-ში (4 ივლისი) ზემო ნიქოზის ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს „გაფუჭებული კედლის” დანგრევისას „აღმოჩნდა რამდენიმე ნატეხი ბუნებით ლურჯი ქვა, მშვენიერის ჩუქურთმებით აჭრელებული. ერთს ქვაზე, რომელიც ყველაზე უფრო დიდია, წარწერა არის და ზედვე ეტყობა ორი სურათი წმინდანისა. სურათი მთლად არ მოჩანს, რადგანაც ქვა გატეხილია”. უეჭველია, რომ აქ საუბარია აღნიშნული კანკელის ფრაგმენტებზე. ამდენად, სწორედ XIX ს-ის მიწურულს, კერძოდ კი, 1889-1890 წწ-ში, ჩადგეს კანკელის ეს ფრაგმენტები დასავლეთი სარკმლის თავზე.

რ. მეფისაშვილისა და ვ. ცინცაძის აზრით, ნიქოზის ძველი ტაძარი XI ს-ში ღია მწვანე ფერის ქვის მდიდრულად მოჩუქურთმებული კანკელით მოურთავთ, რომლის ფრაგმენტები მოგვიანებით ეკლესიის კედლებში ჩაუშენებიათ [Меписашвили Р., Цинцадзе В. 1975: 70]. უცილობლად, მკვლევრები კანკელის სწორედ ამ ფრაგმენტებს გულისხმობდნენ.

აღნიშნული კანკელის ფრაგმენტებმა დააინტერესა ი. მეგრელიძეც. იგი თავისი ნაშრომის, იმ ადგილას, სადაც ნიქოზის ტაძრის კედლებზე არსებული წარწერებია განხილული, ერთ-ერთი მოჩუქურთმებული „ლურჯი” ქვის წარწერაზეც ჩერდება, რომელსაც ასე კითხულობს: ... „ძ[illegible] ბლ ერსთს ძ[illegible]”... აქვე აღნიშნულია, რომ ამ ქვაზე მოჩანს ადამიანების ფეხთა გამოსახულებები [მეგრელიძე ი. 1984: 147].

2005 წელს, ნიქოზის ღვთაების ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოს დროს[2], საშუალება მოგვეცა, ახლოდან დაგვეთვალიერებინა და შეგვესწავლა კანკელის აღნიშნული ფრაგმენტები (სურ. 2).

პირველი ფრაგმენტი (74x43 სმ) კანკელის ფილის მარჯვენა ქვედა კუთხის ნაწილია. მასზე შემორჩენილია მოჩარჩოების ორნამენტირებული ზოლისა და ძლიერ დაზიანებული ცენტრალური არის მცირე მონაკვეთი, რომელზეც განირჩევა ორი ფიგურის ფეხების ქვედა ნაწილები. ცენტრალურ არესა და ამ ზოლს აჩარჩოებს მოჩუქურთმებული ლილვი და დამრეცი, სადა არე. მასზე ასომთავრული წარწერის (45,8x5 სმ) ნაწილია (სურ. 3) შემორჩენილი (უდიდესი ასო-ნიშანი – 4,5 სმ, უმცირესი ასო-ნიშანი – 3,5 სმ).

კანკელის პირველი ფრაგმენტის მარჯვნივ, ხელის გაწვდენაზე, ამავე ჯიშის ქვის მეორე, უფრო მცირე, სწორკუთხა ნამტვრევი კედელშია ჩასმული. მისი ზედაპირი გადაჯაჭვულ წრეებში ჩაწერილი ფოთლოვანი ორნამენტითაა გაფორმებული და, როგორც ჩანს, იგი კანკელის ფილის მოჩარჩოების ნაწილია (სურ.4).

პირველი ფრაგმენტის დამრეც ზედაპირზე არსებული წარწერის (სურ. 5,6, 7) დაქარაგმებული ბოლო ათი გრაფემა გარკვევით ჩანს და იგი ასე იკითხება:„ႵႡႪႤႰႱႧႱႫႬ”–„..ქ(ო)ბ(უ)ლერ(ი)სთ(ავი)ს(ა)მ(ა)ნ..”.კიდურა ასო-ნიშანი „ნ” მარჯვნივ გაშვერილი „ცხვირით” ეხება დამრეცი ჰორიზონტული და ვერტიკალური ზოლების გამმიჯნავ წიბოს. ძნელია იმის ვარაუდი, გრძელდებოდა თუ არა წარწერა დამრეცი არის ვერტიკალურ

2 2005 წელს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ნიქოზის ღვთაების ეკლესიაში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაო (ხელმძღვანელი - არქიტექტორ-რესტავრატორი თ.გაბუნია).

ნაწილზეც. მის შემორჩენილ მცირე ნაწილს ასო-ნიშნის კვალი არ ატყვია. წარწერის ფრაგმენტის თავში განირჩევა სამი გრაფემის კონტური. პირველი, ძლიერ დაზიანებული, გრაფემისგან შემორჩენილია მარცხნივ მიმართული ნახევარრკალი, ზევით კი - სამკუთხად დასრულებული ჰორიზონტული ხაზის ნაწილი. ეს ასო-ნიშანი „Ⴌ"- „ნ" უნდა იყოს. მის შემდგომ განკვეთილობის აღმნიშვნელი სამი წერტილი ზის, რაც სიტყვის დასრულების ნიშანია. ამის შემდგომ „მოდის" ვერტიკალური ბუნი ქვევით და მარცხნივ მიმართული შეკრული რკალით. ამ გრაფემის ზედა ნაწილის დაზიანების გამო გვიჭირს უეჭველობით ვამტკიცოთ, იგი გრაფემა „Ⴛ" - „ძ" არის თუ „Ⴋ" - „მ", მაგრამ მაინც უფრო სავარაუდოა „ძ". შემდგომ ნათლად ჩანს ვერტიკალური ბუნი და მის შუა ნაწილს მცირედ აცილებული ადგილიდან მარჯვნივ გაწეული ნახევარწრიული კაუჭი. ეს „Ⴌ" „ჵ"- არის, რომელსაც განკვეთილობის ნიშანი - სამი წერტილი და დაქარაგმებული (ქარაგმა - ორ წერტილს შორის გავლებული ჰორიზონტული ხაზია) სახელი „ქობული" მოჰყვება. ამგვარად, ქობულის წინ ერთი სიტყვის დასასრული და მთელი ერთი სიტყვაა შემორჩენილი: „...ნ ძჵ". მთლიანად წარწერა ასეთია: „..ნ ძჵ ქბლ ერსთსმნ..." აშკარაა, რომ სახელობით ბრუნვაში ნახმარი სიტყვა „ძჵ" ვერ ეთანხმება ნათესაობით ბრუნვაში ნახმარ „ერისთავისამან"-ს. სავარაუდოდ, აქ წარწერის ამომკვეთის შეცდომასთან გვაქვს საქმე. მას გრაფემა „ჵ"-ის ნაცვლად „ნ" უნდა ამოეკვეთა. კერძოდ, ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას ჰორიზონტული ხაზის ამოკვეთა დაავიწყდა. თუ წარწერის ბოლოს გამოყვანილ გრაფემა „ნ"-ს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მისი ფეხი გარკვეულად ჰგავს კიდეც „ჵ"-ის ფეხს. ამ შეცდომის გათვალისწინებით წარწერა გაიმართება და ასეთ სახეს მიიღებს: „...ნ ძ(ემა)ნ ქ(ო)ბ(უ)ლ ერ(ი)სთ(ავი)ს(ა)მ(ა)ნ.."

ნიქოზის კანკელის ფილის წარწერა დეკორატიული, გამშვენებული ასო-ნიშნებითაა შესრულებული. ისინი შედარებით დაბალი დუქტუსით ხასიათდება და ბოლოები სამკუთხედებითა და ყვავილოვანი მოტივებითაა გაფორმებული. გრაფემათა ვერტიკალური ბუნები და მორკალური ნაწილები ორი ხაზითაა მონიშნული და მეტი გამომსახველობისთვის კონტურის გაყოლებაზე ზოგიერთ მათგანს მესამე ხაზიც დაუყვება. ასო-ნიშანთა მორკალურ ნაწილთა შუაგულები გაგანიერებულია, რითიც გრაფემებს მეტი სისავსე და სიკოხტავე ეძლევა. ამგვარად გაფორმებული ასო-ნიშნები, რომლებსაც პირობითად კიდურწაისრული [სილოგავა ვ. 2005: 434-479] ეწოდება, X-XI ს-ის მიჯნისა და XI ს-ის ძეგლებზე გვხვდება. ნიქოზის წარწერის გრაფემათა თავისებურება გაფორმების მრავალფეროვნებაა, კერძოდ, ყოველი ასო-ნიშნის ჰორიზონტული შვერილი ტოლფერდა სამკუთხედით ბოლოვდება, მორკალური ნაწილები კი - ყვავილოვანი მორჩებით. ამგვარი მცენარეული მოტივებითაა შემკული სამთავისის (1030 წ.) [სილოგავა ვ. 2005: 447. სურ.6-8], რუისის ჩრდილოეთი ეკვდერის გიორგი ეპისკოპოსის (XI ს-ის პირველი ნახევარი) [ჩუბინაშვილი გ. 1940: 447. სურ. 12; სილოგავა ვ. 2005: 470. სურ. 53, 54] და ანტიოქიასთან ლერწმისხევის მონასტრის წარწერები (XIს.) [სილოგავა ვ. 2005: 470. სურ. 58, 59]. ტოლფერდა სამკუთხედებით დასრულებული ჰორიზონტული შვერილები აქვს ზედაზნის კანკელის (1014-1031 წწ.)[3] წარწერების „ა", „თ", „ი", „ლ", „მ", „ქ", „ხ" გრაფემებს [ბარნაველი თ. 1962: 67-72, 74. სურ. 19, 23-25, 28-30, 33.],

3 ვიზიარებთ ამ კანკელის ირ. ნიკოლეიშვილისეულ დათარიღებას [ნიკოლეიშვილი ირ. 1991: 206].

შიომღვიმის კანკელის სვეტის სადგარის წარწერის დასაწყისსა და ბოლოში დასმულ „ა" გრაფემას, ასევე სვეტიცხოვლის კარიბჭის იმავე გრაფემას. ბოლო ორ წარწერაში მელქისედეკ კათალიკოსი (1010-1033 წწ.) იხსენიება [სილოგავა ვ. 2005: 448, 449, 479. სურ. 11, 12]. მსგავსი ბოლოები აქვს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელოვნების მუზეუმის ქვის ფონდში დაცული სამთავროს კანკელის ფრაგმენტის (სხსმ „დ" საინვ. № 1062. 40x30 სმ) „ქ" ასო-ნიშანს (XI ს-ის პირველი მესამედი). ამგვარად, ნიქოზის კანკელის წარწერა პალეოგრაფიული მახასიათებლებითა და მოხმობილი პარალელების საფუძველზე XI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.

კანკელის ეს ფრაგმენტები ორი სხვადასხვა ფილის ნაწილებია. პირველი ფრაგმენტის მონაცემებით შესაძლებელია ამ ფილის სიგრძის ზუსტი ზომის დადგენა. როგორც აღინიშნა, ფილის ცენტრში არსებული რელიეფური კომპოზიციისგან შემორჩენილია მხოლოდ ორი პირის ფეხთა გამოსახულებები (სურ. 8), მარცხნივ მდგომი ფიგურის ფრონტალურად წარმოდგენილ ტერფებს ქვეშ განირჩევა ფერხთსადგამის გამოსახულება, მარჯვნივ მდგომი ფიგურის ფეხის ტერფები კი მარცხნივ მდგომისკენაა მიტრიალებული. როგორც ჩანს, აქ, „ვედრების" კომპოზიციაა გამოსახული. შემორჩენილია მაცხოვრისა და იოანე ნათლისმცემლის ფეხთა გამოსახულებები. ღმრთისმშობლის ფიგურა მთლიანად დაღუპულია. ამ სცენის კომპოზიციის ცენტრი მაცხოვრის ფიგურაა, რომელიც ასევე კანკელის ფილის ცენტრში უნდა ყოფილიყო (სურ. 3). ამის გათვალისწინებით ადვილი გასარკვევია მთელი ფილის სიგრძე, რადგან ვიცით მაცხოვრის მარჯვნივ არსებული მონაკვეთის სიგრძე - 65 სმ, ე.ი. კანკელის ამ ფილის სიგრძე იქნებოდა (65x2=130 სმ) - 130 სმ.

„ვედრების" კომპოზიციის იდეური შინაარსი მეოხებაა. ეს სცენაა გამოსახული XI ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული ხოვლესა და საფარის კანკელის ფილებზე [Шмерлинг Р. 1962: 120. таб. 32, 37]. ნიქოზის კანკელის „ვედრების" სცენის ფიგურათა ფრაგმენტები ნათელ სურათს გვიხატავს ამ რელიეფის შესახებ. იოანე ნათლისმცემლის ფეხის ნატიფი ტერფები წარმოგვიდგენს, თუ როგორი იქნებოდა ფიგურები. აშკარაა, რომ ამ მხრივ ნიქოზის კანკელის რელიეფები უნდა განვიხილოთ ისეთ მაღალმხატვრულ ძეგლებთან ერთად, როგორებიცაა შიომღვიმის, საფარის, ურთხვის, ხოვლეს, წეროვნის, სვეტიცხოვლის, ალავერდის კანკელები, ჩუკულის ეკლესიის ხის კარი და სხვ. ეს ძეგლები XI ს-ის პირველი ნახევრის ნიმუშებია და ნიქოზის კანკელიც ამავე დროით უნდა დათარიღდეს.

ნიქოზის კანკელის ამ ფილის ფრაგმენტზე გამოკვეთილია მცენარეული ორნამენტი – ოთხძარღვა ღეროებით ერთმანეთში ჩაწნული, სიმეტრიულად შეპირისპირებული და წვეროებით დაკავშირებული ფოთლები, რომელთა შორის „აქოჩრილი" მცენარეა „ამოზრდილი". ეს ნატიფი ჩუქურთმა XI ს-ის პირველი ნახევრის ან უფრო ამ საუკუნის პირველი მესამედით დათარიღებულ კანკელის ფილებს ამკობს: საფარა, შიომღვიმე, ურთხვი, კაცხი, სვეტიცხოველი, იყალთო [Шмерлинг Р. 1962: таб. 36, 45, 50, 53, 55, 56], ალავერდი [გაგოშიძე გ. 2007: 30. სურ 1]. ნიქოზის კანკელის ფილის მოჩარჩოების კუთხეში ორნამენტის რაპორტების ხისტი ბმაა განხორციელებული. ჩარჩოს ჰორიზონტულსა და ვერტიკალურ არეზე არსებული ორნამენტის რაპორტები ერთმანეთს ორი ლენტითაა გადაბმული. მსგავსი მიდგომაა სამთავროს კანკელის შემთხვევაშიც. „ყულფებითა"

და „კვანძებით" მეტადაა „დაკავშირებული" საფარის კანკელის „შობის" კომპოზიციის მოჩარჩოების კუთხეში ნაკვეთი აღნიშნული ორნამენტული სახე, თუმცა ამ მოტივის კუთხეზე „განთავსების" ყველაზე წარმატებული მაგალითი სამთავისის ტაძრის საკურთხევლის სარკმლის მოჩარჩოებაა. აქ „შეპირისპირებული ფოთლების" ორნამენტის რაპორტი დიაგონალზეა განთავსებული, რითიც ჩუქურთმის კუთხეში „მოტრიალების" უხერხული საკითხი მარჯვედაა გადაწყვეტილი.

ნიქოზის კანკელის მეორე ფილის ფრაგმენტზე გამოსახული ორნამენტი გადაჯაჭვულ წრეებში ჩაწერილი ფოთლოვანი მოტივია. სავარაუდოდ, ეს ნამტვრევიც კანკელის ფილის მოჩარჩოების მარჯვენა ქვედა კუთხის ნაწილია. ამ ორნამენტული სახის ზუსტ პარალელს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ხოვლეს, საფარის, შიომღვიმის კანკელებზე გვხვდება გადაჯაჭვულ წრეებში მოქცეული ფოთლოვანი ორნამენტი [Шмерлинг Р. 1962: таб. 32, 38, 45], რომელიც, გარკვეულწილად, ნიქოზისას მოგვაგონებს.

ნიქოზის კანკელი, ისევე, როგორც მისი მაგვარი კანკელები საფარიდან, ხოვლედან, წეროვნიდან, სვეტიცხოვლიდან, შიომღვიმიდან, სამთავროდან, ალავერდიდან, ურთხვიდან, კაცხიდან, იყალთოდან, ღია მწვანე ფერის ქვაზეა ნაკვეთი. XI ს-ის საქართველოში კანკელების შესაქმნელად უმეტესად სწორედ ამ ფერისა და ჯიშის ქვას ხმარობდნენ, რაც აღნიშნული აქვს კიდეც რ. შმერლინგს [Шмерлинг Р. 1962: 117]. ეს ქვა ე.წ. თეძმის ტუფია, რომლის საბადოები თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, მდ. თეძმის ხეობაში, მდებარეობს, მდ. თეძამი კი სოფ. მეტეხთან (კასპის მუნიციპალიტეტი) უერთდება მდ. მტკვარს, სწორედ აქ, შიდა ქართლის ცენტრალურ რაიონში, ქ. მცხეთის სიახლოვეს, ლოკალიზდება XI ს-ის პირველი მესამედის მდიდრულად შემკულ კანკელთა რამდენიმე ნიმუში: ხოვლე, შიომღვიმე, წეროვანი, სვეტიცხოველი, სამთავრო. ვფიქრობთ, რომ ამ რეგიონსა და, სავარაუდოდ, მცხეთაში ან მის სიახლოვეს ფუნქციონირებდა მოქანდაკეთა მაღალპროფესიული სახელოსნოები, სადაც იქმნებოდა აღნიშნული კანკელები [გაგოშიძე გ. 2007]. როგორც წესი, შუა საუკუნეებში ქვის კარიერების სიახლოვეს ხშირად ფუძნდებოდა სამკვეთლო სახელოსნოები: ასე მაგალითად, კონსტანტინოპოლის მახლობლად, მარმარილოს საბადოებით მდიდარ კუნძულ პროკონესზე, ადრეულ შუა საუკუნეებში კეთდებოდა ინტერიერთა გამამშვენებელი მცირე არქიტექტურული ფორმები – კანკელები, ამბიონები, ტრაპეზები, სვეტები, კაპიტელები და სხვ. იქაური ნაწარმი საქართველოს ეკლესიათა ინტერიერებსაც ამკობდა. პროკონესული მარმარილოს სვეტები, კაპიტელები, დეკორირებული ფილები დასტურდება მცხეთაში [Чубинашвили Г. 1948: таб. 29], ატენში [აბრამიშვილი გ. 2012: 37–40. ტაბ. XXI–XXIV], წრომში [Чубинашвили Г. 1969: ил.80, 81, 87, 92], ხობში, ცაიშში, მოქვში, ბიჭვინთაში, ადლერში [Хрушкова Л. 1980: таб. I-XV].

სავარაუდოდ, ნიქოზის კანკელი მცხეთის სიახლოვეს მოქმედ რომელიღაც სახელოსნოშია დამზადებული, რადგან მისი კვეთის თავისებურებები და ორნამენტული რეპერტუარი მწვანე ქვაზე ნაკვეთ ზემოთ ჩამოთვლილ კანკელებს ძალიან ჰგავს. ყოველი სახელოსნოსთვის კი დამახასიათებელი იყო კვეთის თავისებური პროფესიული ჩვევები და ორნამენტულ სახეთა

შეზღუდული რეპერტუარი.

ნიქოზის საეპისკოპოსო საყდარი ჩაწერილი ჯვრის ტიპის ეკლესიაა. გუმბათი ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტს ეყრდნობა. კვლევით დადგინდა, რომ აქ არსებული ადრეული შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა გუმბათიან ეკლესიად მხოლოდ XIV-XV სს-ში გადაკეთდა [Меписашвили Р., Цинцадзе В. 1975: 70]. გუმბათიანი ეკლესიის გუმბათის პროპორციები და ნაწილობრივ დეკორიც ამ ტაძრის მახლობლად მდგომი მთავარანგელოზის გუმბათიანი ეკლესიის (X ს.) მიბაძვითაა გაკეთებული [გაგოშიძე ს. 2014: 78]. XI ს-ის პირველ ნახევარში თეძმის ტუფის კანკელით სამნავიანი ბაზილიკის საკურთხეველი შეამკეს. კანკელის პირველი ფილა დაახლოებით 130 სმ სიგრძის უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, ამხელა იქნებოდა კანკელის მეორე ფილაც. ვფიქრობთ, რომ ნიქოზის კანკელი ორი ფილისგან შედგებოდა. ფილები სვეტებით ისევე იქნებოდა გამაგრებული, როგორც ამას შიომღვიმის კანკელზე ვხვდებით [Шмерлинг Р. 1962: таб. 39, 42]. კანკელი ეკლესიაში იმავე ადგილას იქნებოდა ჩამონტაჟებული, სადაც დღეს ახალი ხის კანკელი დგას – ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ სვეტებს შორის (სვეტებს შორის მანძილი - 447 სმ) და მას მხოლოდ ერთი – აღსავლის კარი ექნებოდა. გვერდითა კარის ფუნქციას სვეტებსა და კედლებს შორის დარჩენილი ღიობები შეასრულებდა. აღსანიშნავია, რომ ნიქოზის ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია ძველი სამნავიანი ბაზილიკის ნაშთი – საკურთხევლის აფსიდა, პასტოფორიუმები და ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთი მონაკვეთი ამოქოლილი კარით. სვეტების აღმოსავლეთი წყვილი აშკარად მოგვიანო ხანისაა, მაგრამ ისინი ნამდვილად ბაზილიკის ძველი სვეტების ნაადგილევზე უნდა იყოს დამყარებული.

ნიქოზის კანკელის წარწერის ძლიერი ფრაგმენტულობის გამო გაურკვეველია მისი შინაარსი, თუმცა, აქ მოხსენიებული ქობულ ერისთავი ან მისი ძე (?), სავარაუდოდ, კანკელის დამკვეთი ქტიტორები იყვნენ. ქობულ ერისთავთან დაკავშირებით საინტერესოა ნიქოზის მახლობლად, ქ. ცხინვალიდან 5 კმ მანძილზე, მდებარე ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესიის წარწერების განხილვა [შოშიაშვილი ნ. 1980: 183, 184; მეგრელიძე ი. 1984: 75]. ბორცვისჯვრის ტაძარი დღეს აღარ არსებობს. მისი პერანგის ქვები 1924 წელს შემოუცლიათ და ქ. ცხინვალში აბანოს მშენებლობისთვის გამოუყენებიათ [მეგრელიძე ი. 1984: 73]. აღნიშნული წარწერები დღეს დაკარგულია. გადარჩა მხოლოდ ბალავრის ქვა ვრცელი ასომთავრული წარწერით, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქიტექტურული ფრაგმენტების (ქვისა და ხის) ფონდში (სსმ. საინვ. № 444). ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესიის წარწერებში ქართლის ერისთავ - ტბელების რამდენიმე თაობა იხსენიება. ტბელების, IX - X სს-ის ქართლის ძლიერი ფეოდალების, საუფლო ტერიტორია დიდი ლიახვის ხეობას მოიცავდა. ეს სეპარატისტულად განწყობილი დიდებულები აფხაზთა მეფეებისა და ტაო-კლარჯელი ბაგრატიონების ქართლში გაბატონებისა და საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ მრავალ ქმედებას ახორციელებდნენ. ტბეთის ერთ-ერთ წარწერაში (X ს-ის დასასრული) იხსენიება ასევე სახელი „აბაზ": „ჯ(უა)რო ბ(ო)რც(ჳ)საო ა(დი)დე აბ(ა)ზაი და ძ(ე)ნი მ(ი)სნი: ივ(ა)ნე, ქ(ო)ბ(უ)ლ". აბაზა ტბელების ფეოდალური სახლის განშტოების - აბაზასძეთა საგვარეულოს ფუძემდებელია [შოშიაშვილი ნ. 1980: 60, 183, 184]. ხუთი ძმა აბა-

ზასძე – ძლიერი ფეოდალი იხსენიება „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში”. გიორგი მცირე მათ ამგვარად ამკობს: „...კაცნი ძლიერნი და ახოანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზუავებულნი ხუთნი ერთობით...” [გიორგი მცირე. 1994: 221]. ბორცვისჯვრის წარწერაში ნახსენები ივანე - ხუთ ძმათაგან ერთ-ერთი XI ს-ის შუა ხანებში მოღვაწე ქართლის ერისთავი ივანე აბაზასძეა, რომელმაც ლიპარიტ ბაღვაშთან ერთად 1032 წელს შეიპყრო თბილისის ამირა ჯაფარი. 1044-1045 წლებიდან, მას შემდგომ, რაც მეფე ბაგრატმა ქართლის ერისთავობა ლიპარიტ ბაღვაშს უბოძა, აბაზასძეებსა და მეფეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. აბაზასძეთა დამარცხება ხელმწიფემ 1060 წელს შეძლო [ლორთქიფანიძე მ. 1979: 167, 168]. ბორცვისჯვრის წარწერაში აბაზას მეორე შვილი ქობულიცაა მოხსენიებული. ვფიქრობთ, იგი ნიქოზის კანკელის ფილაზე დამოწმებული ქობულ ერისთავი უნდა იყოს. ქობულ აბაზასძის ერისთავობა საისტორიო წყაროებით არ დასტურდება. ამ მხრივ ნიქოზის კანკელის ფრაგმენტულ წარწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ქობულ ერისთავმა თუ მისმა შვილმა (?) XI ს-ის პირველი ნახევრის მიწურულს მათსავე მამულში მდებარე ნიქოზის საეპისკოპოსო საყდარს შესწირა მდიდრულად მოჩუქურთმებული და რელიეფური კომპოზიციებით გამშვენებული მწვანე ტუფის კანკელი.

**ART CRITICISM**


**Giorgi Gagoshidze*, Sopio Gagoshidze***

The Georgian National Museum, Shalva Amiranashili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: g–gagoshidze@yahoo.com
sofo–gagoshidze@hotmail.com


# Ancient Altar Screen of Nikozi Episcopal Church

### Summary


The episcopal church of Deity (Ghvtaeba), situated in Village Zemo Nikozi. It was built at the end of the 5 th- beginning of the 6 th cc. The construction has been repaired several times since then; however, the basic alteration of the church took place in the 14th -15th cc. Presumably, it was then that the ancient badly damaged three-nave basilica was turned into a cross-dome church. During restoration works in the 19th century, two fragments of a richly carved chancel slab made of green tuff from Tedzami were placed above the window of the west façade. One fragment (size: 74 x 43 cm) has feet of two saints and a floral ornament. Only encircled leaf ornaments have survived on the other one. Research and using parallel material led us to the conclusion that the first slab of the chancel screen used to

represent a scene of Deesis with the Saviour in the centre flanked by the Virgin on the right and John the Baptist on the left. According to the manner of carving of the relief representations and ornamental patterns, the fragments of the chancel screen are reminiscent of high artistic monuments of the first third of the 11th c. that are preserved at the Georgian National Museum – chancel screens from Shiomghvime, Svetitskhoveli, Samtavro, Tserovani, Khovle, Urtkhvi and Sapara, which were, presumably, carved by high standard masters who worked in Mtskheta and its environs. A damaged fragment of an embellished Georgian Asomtavruli (capital) inscription carved upon a slanting area confining the relief composition of the Zemo Nikozi chancel screen mentions "...Son of Kobul Eristavi...". These persons are Abazasdzes, great feudal lords of Shida Kartli, who are associated with the feudal family of Tbelis, governors of Shida Kartli in the 9th-10th cc. Kobuli is mentioned together with his brother Ivane on one of the inscriptions of the now destroyed Tbetis Bortsvisdjvari Church which is situated near Nikozi church, five kilometres from town Tskhinvali. Apparently, in the first half of the 11th c, the governor of this region – Duke Kobul Abazasdze or his son (?) donated the richly embellished chancel screen made of Tedzami tuff to Zemo Nikozi episcopal church.

## ბიბლიოგრაფია


**აბრამიშვილი გ. 2012:** *ატენის სიონი. ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრული ტიპის ისტორიიდან.* თბილისი.

**ბარნაველი თ. 1962:** *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები.* თბილისი.

**გაგოშიძე გ. 2007:** ალავერდის ტაძრის თავდაპირველი კანკელის ფრაგმენტები. *ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები.* 1. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გვ. 24-31. თბილისი.

**გაგოშიძე ს. 2014:** *ზემო ნიქოზის ღვთაების ხუროთმოძღვრება.* ნაშრომი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

**გიორგი მცირე 1994:** *ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა. თბილისი.

**„ივერია". 1889:** გაზეთი. №12. გვ. 1. ტფილისი.

**ლორთქიფანიძე მ. 1979:** საქართველოს შინა პოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* I. თბილისი.

**მეგრელიძე ი. 1984:** *სიძველეები ლიახვის ხეობაში.* თბილისი.

**ნიკოლეიშვილი ირ. 1991:** ისტორიული პირები ზედაზნის კანკელზე. *ლიტერატურა და ხელოვნება.* №3. გვ. 187-209. თბილისი.

**სილოგავა ვ. 2005:** ქართული ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან. კიდურწაისრული დამწერლობა. *მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი.* XXI. გვ. 434-479. თბილისი (რედ. მ. რაფავა).

**შოშიაშვილი ნ. 1980:** ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). თბილისი. რედ. ზ. ალექსიძე.

**ჩუბინაშვილი გ. 1940:** რუისის ტაძრის ისტორიისათვის. ენიმკი-ს „მოამბე".

გვ. 427-468. თბილისი.

**Меписашвили Р., Цинцадзе В. 1975:** Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли. Тбилиси.

**УвароваП. 1894:** Материалы по археологии Кавказа. Москва.

**Хрушкова Л. 1980:** Скульптура раннесредневековой Абхазии. Тбилиси.

**ЧубинашвилиГ. 1948:** Памятники типа Джвари. Тбилиси.

**Чубинашвили Г. 1969:** Цроми. Москва.

**Шмерлинг Р. 1962:** Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тбилиси.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ნიქოზის საეპისკოპოსო ტაძარი. დასავლეთი ფასადი

**სურ. 2.** ნიქოზის საეპისკოპოსო ტაძარი. დასავლეთი ფასადი. კედლის წყობაში ჩატანებული კანკელის ფილის ფრაგმენტები

**სურ. 3.** ნიქოზის საეპისკოპოსო ტაძარი. დასავლეთი ფასადი. კანკელის ფილის პირველი ფრაგმენტი

**სურ. 4.** ნიქოზის საეპისკოპოსო ტაძარი. დასავლეთი ფასადი. კანკელის ფილის მეორე ფრაგმენტი

**სურ. 5.** ნიქოზის საეპისკოპოსო ტაძარი. დასავლეთი ფასადი. კანკელის ფილის პირველი ფრაგმენტი. ასომთავრული წარწერა

**სურ. 6.** ნიქოზის საეპისკოპოსო ტაძარი. დასავლეთი ფასადი. კანკელის ფილის პირველი ფრაგმენტი. ასომთავრული წარწერა

**სურ. 7.** ნიქოზის საეპისკოპოსო ტაძარი. წარწერის ასლი

**სურ. 8.** ნიქოზის საეპისკოპოსო ტაძარი. დასავლეთი ფასადი. კანკელის ფილის პირველი ფრაგმენტი. „ვედრების" სცენის ნაწილი

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Nikozi Episcopal Church. West façade.

**Fig. 2.** Nikozi Episcopal Church. West façade. Fragments of chancel screen inserted in the masonry.

**Fig. 3.** Nikozi Episcopal Church. West façade. First fragment of the chancel screen.

**Fig. 4.** Nikozi Episcopal Church. West façade. Second fragment of the chancel screen.

**Fig. 5.** Nikozi Episcopal Church. West façade. First fragment of the chancel screen. An *asomtavruli* (capital) inscription.

**Fig. 6.** Nikozi Episcopal Church. West façade. First fragment of the chancel screen. A*somtavruli* (capital) inscription.

**Fig. 7.** Nikozi Episcopal Church. Copy of the inscription.

**Fig. 8.** Nikozi Episcopal Church. West façade. First fragment of the chancel screen. Part of the scene of "Deesis".





სურ. 2 Fig.



სურ. 1 Fig.

სურ. 3 Fig.





სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.





სურ. 7 Fig.



სურ. 6 Fig.

სურ. 8 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 328-337
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 328-337

## ხელოვნებათმცოდნეობა

**მარინა დგებუაძე *, ნათია დემურიშვილი***

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: marinadgebuadze@yahoo.com
ელფოსტა: natia2906@yahoo.com

# ჩინური და იაპონური კერამიკის ჭურჭლის ერთი ჯგუფის ატრიბუციისათვის

## (საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების მიხედვით)

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულია შორეული აღმოსავლეთის ხელოვნების ნიმუშთა დიდი კოლექცია, რომელსაც ეტაპობრივად ვიკვლევთ. მათგან მრავალფეროვნებითა და მნიშვნელობით გამოირჩევა კერამიკის კოლექცია, სადაც რაოდენობრივად ჭარბობს ჩინური ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭელი. შედარებით მცირერიცხოვანია იაპონური ნაწარმი, თუმცა, მხატვრული თვალსაზრისით, ის მეტად საინტერესო საკვლევია.

მუზეუმის აღმოსავლური ფონდები დიდი მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნის, მუზეუმის დირექტორ შალვა ამირანაშვილის ხელმძღვანელობით იქმნებოდა და მდიდრდებოდა. ცნობილია, რომ იგი თავად ადევნებდა თვალს ექსპონატების შესყიდვებს, აწარმოებდა მათ პირველად მეცნიერულ კვლევასა და ატრიბუციას. აღმოსავლური კოლექცია, რომელმაც 1950-იანი წლიდან დაიდო ბინა ხელოვნების მუზეუმის შენობაში, შეიქმნა წინამორბედი, ძირითადად, XIX ს-ის მუზეუმებისა და სხვადასხვა საქველმოქმედო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებების მიერ შეგროვებული უნიკალური ნივთების საფუძველზე. მათ შორისაა კავკასიის მუზეუმის, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს ეროვნული გალერეის კოლექციები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ თავმოყრილი საგანძური ჩვენი კოლექციის ძირითადი ბირთვია. კოლექციის დიდი ნაწილი ცნობილმა ფოტოგრაფმა ალ. როინაშვილმა შეაგროვა და შემდგომ უსასყიდლოდ და ანდერძით გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამ კოლექციის შესახებ უკანასკნელ დროს ბევრი დაიწერა და არაერთი კვლევა და გამოფენა მიეძღვნა პირველი ქართველი მესურათხატის ცხოვრებასა და მოღვაწეობას [მამაცაშვილი ლ., კოშორიძე ი., დგებუაძე მ. 2015: ].

ამჯერად ჩვენი ყურადღება ეთმობა მისი კოლექციის ერთ ჯგუფს, კერძოდ, შორეული აღმოსავლეთის (ჩინეთი, იაპონია) კერამიკის ჭურჭელს, რომელიც არა მხოლოდ მხატვრული, არამედ ისტორიული ღირებულებით იქცევს ჩვენს ყურადღებას. ცნობილია, რომ ეს საოცარი პიროვნება თავად არჩევდა და ყიდულობდა კოლექციისთვის ნივთებს როგორც კავკასიაში, ისე რუსეთსა და მახლობელ აღმოსავლეთში, დეტალურად აღნუსხავდა და აღწერდა მათ. 1887 წელს, მის მიერვე შედგენილი და გამოცემული ამ კოლექციის კატალოგი გვაუწყებს: „Все произведения из фарфора Китайские и Японские, приобретены от наследников владетеля северного Дагестана Князя Шамхала-Тарковского“[1] [Роинов А. 1887: 22].

როგორც ცნობილია, თანამედროვე მახაჩკალა მდებარეობს დაღესტნის მმართველ ტარკოვსკების ოჯახის ყოფილი სამფლობელოების ტერიტორიაზე. XV-XVIII სს-ში ტარკოვსკების საგვარეულო იყო ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე ძლიერი და მდიდარი ფეოდალური კლანი, რომელიც 1867 წლამდე, რუსეთის იმპერიის მიერ დაღესტნის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულის გაუქმებამდე, დიდი გავლენით სარგებლობდა მთელ კავკასიაში. ის მახაჩკალის გარდა, ფლობდა ათასობით ჰექტარ მიწას, უამრავ სოფელსა და ქალაქს, სავაჭრო-საქარავნო გზებს, ქარვასლებსა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ეს ამბიციური საგვარეულო საკუთარ გენეალოგიას უკავშირებდა თვით წინასწარმეტყველ მუჰამადის ოჯახს. [Полиевктов М. 1935:46; Абдусаламов М. 2012:82].

გარდა ზღაპრული სიმდიდრისა და ძალაუფლებისა, ცნობილია, რომ ტარკოვსკების ოჯახს ჰქონდა ხელოვნების ნიმუშთა მდიდარი კოლექცია, მათ შორის, ჩინური და იაპონური ფაიფურწარმოების ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებიც ჩვენს კოლექციაში როინაშვილის დამსახურებით აღმოჩნდა. კოლექცია მართლაც იშვიათი ნიმუშებითაა დაკომპლექტებული და მიუთითებს არა მხოლოდ ტარკოვსკების ოჯახის, არამედ თავად კოლექციონერ ალექსანდრე როინაშვილის შესანიშნავ გემოვნებაზე.

შორეული აღმოსავლეთის როინაშვილისეული კერამიკა მუზეუმის საცავებში 24 ექსპონატითაა წარმოდგენილი. აქედან თვრამეტი ჩინურია, ექვსი კი - იაპონური კერამიკის ჭურჭელი.

წარმოგიდგენთ ჩვენ მიერ ამ კოლექციის სრული ატრიბუცია-კვლევის მოკლე ანგარიშს.

1. უწინარესად, ცალკე უნდა გამოიყოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ჩინური ფაიფურწარმოების ჯგუფი - ე.წ. სელადონები, რომლებიც კოლექციაში 6 დიდი თეფშითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ 1887 წელს საკუთარი სახსრებით ქ. სარატოვში გამოცემული კოლექციის კატალოგში ალ. როინაშვილი ასახელებს კოლექციაში დაცულ სელადონის 15 ლანგარს (თეფში): „15 штук разных размеров блюд, весьма тяжеловесных, все они под названием - “Силадонь“[2] [Роинов А. 1887:21]. ჩვენს კოლექციაში

1 „ჩინური და იაპონური ფაიფურის ყველა ნიმუში, შეძენილია ჩრდილოეთ დაღესტნის თავად, შამხალ ტარკოვსკის შთამომავლებისაგან”. (თარგმნა ნ. დემურიშვილმა).

2 „15 ცალი სხვადასხვა ზომის თეფში, ძალზე მძიმე. მათ უწოდებენ – სელადონს” (თარგმნა ნ. დემურიშვილმა).

მათგან დაცულია მხოლოდ ექვსი. ჯერჯერობით უცნობია, თუ სადაა დანარჩენი ცხრა. შესაძლოა, კოლექციონერმა ალ. როინაშვილმა ისინი გაცვალა სხვა ნივთებში, სელადონების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, ან გაყიდა ისინი და თანხა სხვა ნივთების შესაძენად გამოიყენა.

მიუხედავად სელადონის კოლექციის არასრული დაცულობისა, ეს 6 ნივთი ჩვენი ფონდების უმნიშვნელოვანესი შენაძენია, რადგან მსგავსი სქელკედლიანი ჭურჭელი დიდი იშვიათობაა თვით მსოფლიოს მრავალი დიდი მუზეუმისთვისაც კი.

სელადონი - ასე უწოდეს ევროპაში მოჭიქულ, მონოქრომულ, მომწვანო შეფერილობის სქელკედლიან ფაიფურს, რომელსაც ჩინეთში X ს-დან აწარმოებდნენ როგორც თავისებურ ალტერნატივას ძვირფასი ნეფრიტის ნაკეთობებისა [როსტიაშვილი ნ. 2003:93]. როგორც ცნობილია, ჩინელებისათვის არ არსებობდა ნეფრიტზე უფრო სრულყოფილი, ნატიფი და მშვენიერი ბუნებრივი მასალა. შესაბამისად, მას უამრავ მაგიურ თვისებებს მიაწერდნენ და საკულტო დანიშნულებით იყენებდნენ. სელადონიც, ნეფრიტის მსგავსად, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ძველ ჩინეთში, ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ ექსპორტირების შემდეგ ამ მშვენიერი მონოქრომების პოპულარობამ ნეფრიტსაც გაუსწრო.

ნეფრიტს, სელადონის ნაკეთობების მსგავსად, სქელი კედლები და მდიდარი ფერადოვანი სპექტრი გამოარჩევდა. ცნობილია, რომ სელადონის მოჭიქვა და გამოწვა რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით კერამიკის მწარმოებელი მხოლოდ ერთეული ცენტრები ახერხებდნენ. მათ შორის, უპირველესად, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედი ლუნგცუენის სახელოსნოები უნდა დავასახელოთ. აქ საუკუნეების განმავლობაში ამზადებდნენ ყველაზე ნატიფსა და მშვენიერ ჭურჭელს [Sullivan M.1979:145, 202]. საყურადღებოა სელადონის ნაკეთობების გამოწვის თავისებურებებიც, რადგან, როგორც ცნობილია, სელადონს გამოწვავდნენ თავდაპირველად - 800, მეორეულად კი -1170-1250 °C. ასეთი ტემპერატურული ამპლიტუდა უკიდურეს სიფრთხილეს მოითხოვს, რათა ნივთი არ დაზიანდეს და დაიმტვრეს. მოჭიქვის ტექნოლოგია - ფენათა რაოდენობა და გამოწვის ტემპერატურა განსაზღვრავდა სელადონის ნაკეთობათა სისქეს და, რაც მთავარია, პალიტრას, რომელიც ბაცი ნაცრისფრიდან და უნაზესი ღია მწვანე ტონებიდან მუქ მწვანემდე იცვლებოდა, მსგავსად ნეფრიტისა [Sullivan M.1979:145, 202].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩინური სელადონების წარმოების მწვერვალი სუნგ-ის (960-1279) დინასტიის მმართველობის პერიოდს ემთხვევა, თუმცა იუენ-ისა (1279-1368) და მინგ-ის (1368-1644) დინასტიების მმართველობის დროსაც ჩინელი მეთუნეები ამზადებდნენ სელადონის საუკეთესო ფაიფურს.

ჩვენი კოლექციის ტარკოვსკისეული თეფშები სქელკედლიანია, ღია მწვანე შეფერილობის და XIII-XIV სს-ით თარიღდება, რაც სუნგ-ისა და იუენ-ის დინასტიების მმართველობის ხანებს ემთხვევა. მათი უმრავლესობა შემკულია მცენარეული ორნამენტებით ფსკერსა და კიდეებზე. ზოგიერთს

გამოარჩევს გოფრირებული კედლები და ფესტონისებური კიდეები. სხვათა შორის, სელადონების დათარიღება საკმაოდ რთულია, რადგან სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ქვეყანასა და საკუთრივ ჩინეთშიც ხშირად ცდილობდნენ ადრეული სელადონების ულამაზესი ნაკეთობების კოპირებას და არცთუ უშედეგოდ. თუმცა მათი კეცი, მოჭიქვის ხარისხი, ტონალური გრადაციები, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტის შესრულების თავისებურება, განსაკუთრებული, ორიგინალური და ადვილად საცნობია.

ექვსივე ნივთის დაცულობა დამაკმაყოფილებელია. აღინიშნება მცირეოდენი დაზიანებები, ძირითადად ბზარები და ანატკეჩები ჭიქურზე.

- თეფში (საინვ.N სხმ/აღ. 3085). ფაიფური/სელადონი. XIV ს. D – 42 სმ.
- თეფში (საინვ.N. სხმ/აღ. 3086). ფაიფური/სელადონი. XIII -XIV სს. D – 41 სმ.
- თეფში (საინვ.N სხმ/აღ. 3087). ფაიფური/სელადონი. XIII -XIV სს. D – 46 სმ.
- თეფში (საინვ.N სხმ/აღ. 3088). ფაიფური/სელადონი. XIV ს. D – 45 სმ.
- თეფში (საინვ.N სხმ/აღ. 3089) .ფაიფური/სელადონი. XIV ს. D – 45 სმ.
- თეფში (საინვ. N სხმ/აღ. 3367). ფაიფური/სელადონი. XIV ს. D – 32 სმ.
- 

2. კოლექციის მნიშვნელოვანი ჯგუფია მინგ-ის დინასტიის (1368-1644) მმართველობის პერიოდის ფაიფურის ჭურჭელი - სულ სამი ნივთი, თუმცა, შესრულების ხარისხით, ფორმისა თუ მხატვრული დეკორირების მხრივ, მათ ბადალი არ მოეპოვება.

დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მინგ-ის დინასტიის მმართველობის ეპოქა მწვერვალია ჩინური ფაიფურის განვითარების ისტორიაში, რაც, უპირველესად, ამ პერიოდის ლურჯ-თეთრი ფაიფურის ულამაზესინაკეთობებითააგანპირობებული.მათირეალურიდაირეალური პეიზაჟები - მორბენალი ცხენები, ფენიქსები, ურჩხულები, თევზები თუ უცნაური მცენარეები საოცარი ოსტატობითაა შესრულებული. მინგ-ის ლურჯ-თეთრ ფაიფურში ყველაზე მკაფიოდ იკვეთება ჩინური ფაიფურის სპეციფიკა - ფორმისა და დეკორის მთლიანობა, ჰარმონიულობა და, რაც მთავარია, ჩინელი მხატვარ- კერამიკოსის დიდი შესაძლებლობანი [Sullivan M.1979:223-225].

სწორედ ამიტომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩინური ლურჯ-თეთრი ფაიფური შთაგონების წყარო გახლდათ თვით პირველი ევროპული ფაიფურმწარმოებელი მანუფაქტურებისათვის, რომლებიც XVIII ს-ის დასაწყისიდან ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

XVI ს-ის ფაიფურწარმოების თვალსაჩინო ნიმუშია სასმისი, ე.წ. ქენდი (საინვ.№ სხმ/აღ. 1173). მსგავსი ფორმის სხვა ჭურჭელი ჩვენს კოლექციაში არაა. მხოლოდ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების ძველსა და მიმდინარე ფონდშია დაცული ერთი ქენდი (ა 546), რომელიც პარალელურ მასალად გამოვიყენეთ კვლევის პერიოდში.

ქენდი - სპილოს ფორმის სასმისი, სპილოს იმიტაციაა. ამ ჭურჭელს, რომელსაც წვრილი, მაღალი ყელი აქვს, გამოარჩევს ძალზე რეალისტურად შესრულებული ტანი სპილოს თავითა და კუდით. ეს ფორმა XV ს-დან, მინგ-ის დინასტიის მმართველობის პერიოდიდან ჩნდება ჩინურ ფაიფურწარმოებაში და წარმატებით სარგებლობს საგარეო ბაზარზეც, სადაც ის, ძირითადად, მხოლოდ დეკორატიული ფუნქციით ვრცელდება. XVI-XVII სს-ში ქენდი ძალზე პოპულარული იყო ირანშიც. აღსანიშნავია, რომ ეს უცნაური ფორმის ჭურჭელი დადასტურებულია შაჰ-აბას I-ის ცნობილ ჩინური ფაიფურის კოლექციაშიც. ირანელებმა, როგორც ჩინური ფიაფურის პირველმა და ყველაზე წარმატებულმა გამყალბებლებმა, წარმატებით გადაიღეს და დაამკვიდრეს კერამიკის ადგილობრივ წარმოებაში ქენდიც, რომელიც ტექნიკური და მაღალმხატვრული შესრულებით ძალიან ახლოსაა ჩინურ დედანთან [Sullivan M.1979:225].

შევისწავლეთ რა აღმოსავლურ, ასევე საქართველოს მუზეუმის სხვა კოლექციაში დაცული ჭურჭელი და პარალელური მასალა კეცის, კობალტის ფერის, ჭურჭლის ტანზე, ყელზე მცენარეული თუ გეომეტრიული დეკორის თავისებურებების გათვალისწინებით, დავასკვენით, რომ ტარკოვსკისეული ქენდი და საქართველოს მუზეუმის კუთვნილი ჭურჭელი ჩინურია.

ქენდს ამშვენებს კობალტის ჭიქურქვეშა მოხატულობა და ბრინჯაოს ვარაყი ტუჩზე, რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ნივთი ირანში იყო ექსპორტირებული. იქ კი, როგორც ცნობილია, ჩინურ საექსპორტო კერამიკას ხშირად ამკობდნენ მსგავსი დეკორატიული დეტალით. ვფიქრობთ, ტარკოვსკების ოჯახში ქენდი ირანიდან მოხვდა, ხოლო ალ. როინაშვილის დამსახურებით - საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციაში.

XVI ს-ის ფაიფურწარმოების ბრწყინვალე ნიმუშებია ჩაიდანი (საინვ.№სხმ/ალ. 1132) და თასი (საინვ.№სხმ/ალ. 1133). კობალტის ჭიქურქვეშა მოხატულობით, რომელიც არა მხოლოდ ტარკოვსკი-როინაშვილისეული კოლექციის, არამედ, ზოგადად, აღმოსავლური კოლექციის მარგალიტებია. მათ მნიშვნელობას საგანგებოდ გამოყოფს ალ. როინაშვილიც. თასის შესახებ ის წერს: „чашка, украшена разными павлинами, очень изящной работы“[3] [Роинов А. 1887:21]. თასიცა და ჩაიდანიც მდიდრულადაა შემკული მინგ-ის ეპოქისთვის ტიპური მხატვრული რეპერტუარით: ფარშევანგებითა და მორბენალი ხარ-ირმებით, რომლებიც, როგორც წესი, დეკორატიული ყვავილოვანი ორნამენტის ფონზე არიან წარმოდგენილნი.

სასმისი ქენდი (საინვ.№ სხმ/ალ. 1173) . ფაიანსი, კობალტი, სპილენძი. XVI ს. H – 19სმ.

- ჩაიდანი (დოქი) (საინვ.№ სხმ/ალ. 1132) ფაიფური, კობალტი. XVI ს. H – 26სმ.
- თასი (საინვ.№ სხმ/ალ. 1133). ფაიფური, კობალტი, XVI ს. H – 36სმ.

3 „თასი, შემკული დახვეწილად შესრულებული სხვადასხვა ფარშევანგით (თარგმნა ნ. დემურიშვილმა)

•

3. მინგ-ის დინასტიის შემდგომ, მანჯურიული ცინგ-ის დინასტიის (1644-1912) მმართველობის პერიოდში, ჩინური ფაიფური, როგორც ცნობილია, ნაწილობრივ ინარჩუნებს მინგ-ის დინასტიის პერიოდის ტრადიციებს, რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატა ძველი სიუჟეტური მოტივების გამეორებაში. XVII ს-ის დასასრულიდან, კერამიკის წარმოების მასშტაბები და, შესაბამისად, ფაიფურის ექსპორტიც არნახულ მაჩვენებელს აღწევს. მსოფლიოში ჩინურ ფაიფურზე მოთხოვნა წარმოუდგენლად დიდია. ამ პერიოდიდან ჩინურ ფაიფურწარმოებაში მკვიდრდება ახალი ტრადიცია და ფაიფურის ფორმა და დეკორი უკვე დამკვეთის გემოვნების გათვალისწინებით იქმნება [Арапова Т. 2003:14-69]. ამის გარდა, არსებობდა ფორმები და მხატვრული რეპერტუარი, რომლებიც უპირობოდ ყველა დროისა და მომხმარებლის მოთხოვნას აკმაყოფილებდა. ეს იყო ფერადი მინანქრის საღებავებით ჭიქურზედა მოხატული სადილისა თუ ჩაის დიდი ნაკრებები და ცალკეული ნივთები: ლარნაკები, თეფშები თასები და სხვ. ე.წ. ვარდისფერი, მწვანე თუ შავი ოჯახების საუკეთესო ჭურჭელს, როგორც ევროპელთა მიერ შერქმეული ეს სახელწოდებები მიგვითითებს, ვარდისფერი, მწვანე ან შავი ფერის მხატვრულ-დეკორატიული გაფორმება გამოარჩევდა. მას ამშვენებდა მოდური ორნამეტული ქარგა - ჩინური პეიზაჟი, აფრენილი ჩიტის ფრთების ფორმის შენობებით, პაგოდებით, ულამაზესი ბაღებით, ეგზოტიკური მცენარეებით, ფრინველებითა და პეპლებით.

ახალი ტენდენცია იყო ჭურჭელზე ჟანრული სცენების გამოსახვა, სადაც ტრადიციულ სამოსში გამოსახული ჩინელები, როგორც წესი, ინტერიერში იყვნენ წარმოდგენილი. ზოგჯერ პეიზაჟური მოტივები და ჟანრული სცენები ერთ ჭურჭელზე იყო განთავსებული. ყველაფერი ეს, ცხადია, უცნაური და, ამასთან, ძალზე ეგზოტიკური იყო მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით კი ევროპისათვის.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს-დან ჩინურ ფაიფურწარმოებაში აქტიურად დამკვიდრდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე - დამკვეთისთვის სასურველი წარწერა. ხშირად წარწერა მიძღვნითი ან კუთვნილების აღმნიშვნელი იყო. საკმაოდ პოპულარული იყო საგვარეულო გერბების, ინიციალებისა და დროშების განთავსებაც ჭურჭლის ფასადზე. ეს სიახლე კარგად გამოხატავდა როგორც ევროპის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნების მომხმარებელთა გემოვნებასა და ახალი ეპოქის სულისკვეთებას [Арапова Т. 2003:14-69].

ტარკოვსკი-როინაშვილისეული კოლექციის ჩინურ ნაწილში ე.წ. საექსპორტო ფაიფურის საუკეთესო ნიმუშებია დაცული. წარმოადგენდა თუ არა ეს ნივთები კერძო დაკვეთას, სამწუხაროდ, უცნობია. არც ერთ ნიმუშზე ტარკოვსკის ოჯახის საგვარეულო ნიშანი არ გვხვდება. მხატვრული გაფორმებით ეს ჭურჭელი საექსპორტო ფაიფურისთვის დამახასიათებელ ორნამენტულ დეკორს წარმოგვიდგენს, სადაც ჭარბობს კაშკაშა, მკვეთრი ფერები, ხოლო მხატვრულ გაფორმებაში - პასტორალური პეიზაჟები.

- ლარნაკი (საინვ. N სხმ/აღ. 1142). ფაიფური, კობალტი, ვერცხლი. XVIIIს. H – 24 სმ.
- ლარნაკი საინვ.N სხმ/აღ. 1141). ფაიფური, მინანქრის საღებავები. XVII - XVIII სს. H – 19 სმ.
- თასი (საინვ. N სხმ/აღ.1136). ფაიფური, მინანქრის საღებავები. XVIII ს. D– 23 სმ.
- თასი (საინვ. N სხმ/აღ. 1137). ფაიფური, მინანქრის საღებავები. XVIII ს. D – 23 სმ.
- თასი (საინვ. N სხმ/აღ. 1138). ფაიფური, მინანქრის საღებავები. XIX ს. D – 28,2 სმ.
- თასი (საინვ. N სხმ/აღ. 2972) ფაიფური, მინანქრის საღებავები. ოქრო. D – 41,5 სმ. XIX ს.
- თასი (საინვ. N სხმ/აღ. 2970). ფაიფური, მინანქრის საღებავები. XIX ს. D – 23,5 სმ.
- თასი (საინვ. N სხმ/აღ. 2969). ფაიფური, მინანქრის საღებავები. XIX ს. D – 23 სმ.
- თასი (საინვ. N სხმ/აღ. 2961). ფაიფური, მინანქრის საღებავები. XIX ს. D – 23 სმ.

3. ტარკოვსკი-როინაშვილისეული იაპონური კერამიკის ნიმუშები კოლექციაში სულ 6-ია - თეფშები და ფიალები. ექვსივე გვიანდელია და ე.წ. იმარის ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც XVII ს-დან იწარმოებოდა იაპონიის ქ. არიტაში. სახელწოდება ამ ტიპის კერამიკამ (ფიაფური, ფაიანსი) მიიღო, ევროპასთან საექსპორტოდ გახსნილი ერთადერთი პორტის - იმარის სახელის მიხედვით, საიდანაც ეს ნაწარმი მსხვილ პარტიებად გაჰქონდათ [http://www.metmuseum.org].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იაპონური კულტურა, ფაქტობრივად, მთლიანად ამოიზარდა ჩინური საწყისებიდან. ცხადია, ხელოვნების თითქმის ყველა დარგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდა ჩინური კულტურისა და ხელოვნების ზეგავლენას, მათ შორის, კერამიკის წარმოებაც. თუმცა იაპონელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საბოლოდ მათ შეძლეს და ხელოვნების ძალიან ბევრ სფეროში გახდნენ ორიგინალურ, თვითმყოფად, რაც მთავარია მაღალმხატვრულ ნიმუშთა ავტორები.

ე.წ. იმარის კერამიკა ამის ნათელი მაგალითია. ევროპაში მოთხოვნა იმარიზე წარმოუდგენლად დიდი იყო და XVIII ს-თვის ჩინურ ფაიფურზე მოთხოვნასაც კი გადააჭარბა. მით უმეტეს, რომ ჩინეთის მმართველი მანჯურიული ცინგ-ის დინასტიის აკრძალვის საფუძველზე, როგორც ცნობილია, 1740 წელს გარკვეული დროით შეწყდა ფაიფურის ექსპორტირება ევროპის ქვეყნებში. სწორედ ამ დროს მრავალფეროვან იაპონურ ნაწარმზე მოთხოვნა ევროპაში ერთიორად იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიურად (ჩამოსხმისა და დეკორირების ტექნოლოგია, კეცისა და ჭიქურის შედგენილობა და სხვ.) ეს ჭურჭელი ძალიან მსგავსია ჩინური ფაიფურისა, მხატვრული დეკორირების მხრივ

ის განსხვავებულია და, ამასთან, მეტად საინტერესო. უპირველესად, აღსანიშნავია, რომ ფერადოვანი გამის ამგვარი კომბინაცია - ოქრო, მუქი ლურჯი, აგურისფერი-წითელი, როგორც წესი, არ გვხვდება ჩინურ ფაიფურზე. იმავდროულად, ოქროს გამოყენება იმ მასშტაბით, რაც იმარის ჭურჭელზე გვხვდება, ჩინეთში საერთოდ არაა ცნობილი, განსაკუთრებით, XVIII-XIX სს-ში, რადგან ამ დროს ჩინეთში ოქროს დეფიციტია, ხოლო ტოკუგავების (1600-1868) და იმპერატორ მეიჯის (1867-1912) ხანათა იაპონია მდიდარია ისე, როგორც არასდროს. იმარის მოხატულობაში ჭარბობს მცენარეული ორნამენტები, რომელთა შორის არცთუ იშვიათად ამოვიცნობთ ჩინურ დედნებს, თუმცა, იაპონელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საერთო ხასიათით იმარის დეკორი ძალიან „იაპონურია", ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაფერი გარედან შემოსული და უცხო, იაპონელებმა დაუქვემდებარეს ეროვნულ მხატვრულ ნიშნებს. ეს იაპონური ხელოვნების გამორჩეული არსებითი თვისებაა [http://www.metmuseum.org].

ტარკოვსკებისგან შესყიდული და ამჟამად ჩვენს მუზეუმში დაცული იმარის ნიმუშები ტიპური იაპონური საექსპორტო კერამიკაა. ხუთმა სრული, ერთმა კი არასრული სახით მოაღწია ჩვენამდე. ჭურჭლის მხატვრულ დეკორში წამყვანია მცენარეული მოტივები. იმარის კერამიკის მხატვრულ გაფორმებაში გეომეტრიული ფორმები ფართოდ ვრცელდება შედარებით გვიან - XIX ს-ის ბოლო მეოთხედიდან. თეფშებზე, როგორც წესი, ყველაზე ხშირად ლარნაკია გამოსახული ძალზე რეალისტურად შესრულებული ყვავილებით. ეს დეკორატიული პასაჟი - იმარის კერამიკის ჭურჭლის ყველაზე პოპულარული მოტივია. ჩვენი კოლექციის ერთ თეფშზე გვხვდება ტრადიციულ სამოსში გამოწყობილ იაპონელთა გამოსახულებები არქიტექტურული პეიზაჟის ფონზე, თუმცა ეს მოტივი, პოპულარობით ჩამორჩება იმარის კერამიკის ოსტატთა გამორჩეულად საყვარელ - ყვავილოვან დეკორს.

- თასი (საინვ. N სხმ/აღ. 2975). ფაიანსი, მინანქრის საღებავები. XIX ს. D - 17სმ.
- თეფში (საინვ. N სხმ/აღ. 2974). ფაიფური, მინანქრის საღებავები. XIX ს. D - 31,5 სმ.
- თეფში (საინვ. N სხმ/აღ. 2973). ფაიფური, მინანქრის საღებავები. XIX ს. D - 33,8სმ.
- თეფში (საინვ. N სხმ/აღ. 2962). ფაიანსი, მინანქრის საღებავები. XIX ს. D - 55სმ.
- თეფში (საინვ. N სხმ/აღ. 2960). ფაიანსი, მინანქრის საღებავები. XIX ს. D - 33,8სმ.
- თეფში (საინვ.N სხმ/აღ. 2630). ფაიანსი(არასრული დაცულობით), მინანქრის საღებავები. XIX ს. D - 27 სმ.
- ვფიქრობთ, ხელოვნების ნიმუშთა ეს კოლექცია, უწინარესად, მხატვრული ღირებულებებითა და, უდავოდ, საინტერესო წარმომავლობით იქცევს ყურადღებას. ამიტომ ის იმსახურებს შემდგომ კვლევას დამატებითი მასალის გამოვლენის მიზნით.

ქართველი ფოტოგრაფისა და კოლექციონერის, მეცენატ ალექსანდრე როინაშვილის მიერ შეგროვებული უნიკალური ნივთები დღეს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმს ამშვენებს, საინტერესოა აგრეთვე, საქართველოში სამუზეუმო-შემგროვებლობითი საქმიანობისა და პირველი ქართული მუზეუმების ისტორიის რეკონსტრუქციისთვისაც.

**ART CRITICISM**

**Marina Dgebuadze*, Natia Demurishvili ***

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: marinadgebuadze@yahoo.com
E-mail: natia2906@yahoo.com

# Attribution of the Chinese and Japanese Ceramic Ware

## ( According to the Collection of Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts)

### Summary

The distinguished collection of ceramic wares is kept in the Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, from which Chinese and Japanese dishes have the quantitave priority.

This collection has been studied by us by stages.

Historical and artistic importance of our collection is very interesting and valuable. The research material gives an oppurtunity to observe the way of development of ceramic production from eastern countries from ancient times till present. There is unified variety of ceramic ware produced in almost every epochs in the museum.

Special attention deserves one group from this remarcable collection, which consists of Chinese and Japanise dishes from the middle of the 20th century. These wares were acquired by famous Georgian traveler and photographer Alexandre Roinashvili from the Tarkovsky family - Dagestanian nobles.

In the 20th century the above - mentioned collection, with another rare and unique items, was transferred according Roinashvili's wish to the Society for the Spreading of Literacy among Georgians. Later it was transfered to the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts.

## ბიბლიოგრაფია

**მამაცაშვილი ლ., კოშორიძე ი., დგებუაძე მ. 2015:** *პირველი ქართველი მესურათხატე ალექსანდრე როინაშვილი და მისი მუზეუმი.* თბილისი.

**როსტიაშვილი ნ. 2003:** ჩინური ფაიფურის კოლექცია. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები.* ტ. VIII. გვ.92-98. თბილისი (რედ: ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

**Абдусаламов М.П. 2012:** *Територия и насиление шамхалства Тарковского в трудах русских и западноевропейских авторов XVIII-XIX вв.* Известия Алтайского Государственного Университета. Барнаул.

**Арапова Т.Б. 2003:** *Китайское экспортное искусство из собрания Эрмитажа***.** Санкт-Петербург.

**Роинов А.С. 1887:** *Краткий каталог передвижнего Кавказского Музея*. Саратов.

**Полиевктов М. А. 1935:** Из истории северокавказских феодалов XVII века. *Сб: посвященный академику Н. Я. Марру*. Москва- Ленинград.

**Sullivan M.1979:** *The Art of China.* University of California Press. London.

http://www.metmuseum.org/toah/hd/jpor/hd–jpor.htm - (Willmann A. Edo-Period Japanese Porcelain).

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 338-348
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 338-348

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**მანანა ალფენიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: malpe@yahoo.com

# უილიამ ჰოგარტის პორტრეტისათვის[1]

(გაგრძელება)[2]

ჰოგარტის გამორჩეულობა მხოლოდ მის პორტრეტებში როდი იგრძნობა. ნიშანდობლივია თუნდაც სურათზე გამოსახული ზომიერებითა და გემოვნებით შერჩეული ავეჯი. ერთი შეხედვით, ტრივიალური გარემოება-ნი, რომლებიც გამოყენებულია იმისთვის, რომ მაყურებლის ყურადღება სურათის მთავარი ფიგურებიდან იქნეს გადატანილი, ტილოს მეტ ძალასა და დამაჯერებლობას ანიჭებს. „რეიკის სასტუმრო ოთახი" - დიდებულთა სასადილო ოთახი, ცოლ-ქმრის საძინებელი („თანამედროვე ქორწინება"), ალდერმანის სალონი და ა.შ. იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი ელიტური ყოფის ბრწყინვალე ნიმუშებია.

„რეიკის პროგრესი" ("Rake's Progress"), გამოქვეყნებული 1735 წელს და გაყიდული ჰოგარტისავე სახლში, ასევე „ოქროს თავი" ("Golden Head"), რომლის ადგილსამყოფელი ლესესთერ ფილდშია, ალბათ, როგორც მისტერ უოლპოლი თვლის, ის ნაწარმოებებია, მხატვრის სიახლისადმი სწრაფვის უდიდესმა სურვილმა საუკეთესოთა რიცხვში რომ შეიყვანა და მისი უდიდესი წარმატება განაპირობა.ფარდა კი, როგორც იტყვიან, ბოლომდე გადაიწია და დიდი გენია მთელი სიცხადითა და ცხოველმყოფელობით ჩვენ წინაშე წარდგა. დროდადრო ჩვენი მხატვარი ქმნიდა ნამუშევრებს, რომლებიც, თუკი მისი შემოქმედებითი ბუნების შესაბამისი იქნებოდა, უკვდავ ტილოებადაც იქცეოდნენ. ჰოგარტი ხშირად თავად ასრულებდა გრავირებას ან საერთოდ წაშლიდა თავისი შეგირდების მიერ ამოკვეთილ სახეებს, თუკი ისინი მის ჩანაფიქრს ცხადად ვერ გამოხატავდნენ. დიდი შემოქმედისათვის მაინც არ იყო საკმარისი, რომ ხელოვნების სრულიად გაუკვალავ გზაზე შუქურად ამობრწყინდა. მას ამბიცია ჰქონდა, მისი ნამუშევრები ისტორიის კუთვნილება გამხდარიყო. 1730 წელს წმ. ბართლომეს ჰოსპიტალს, რომლის გამგებლადაც იმ დროისათვის დაინიშნა, საჩუქრად გადასცა სურათი „ბესეჯდის ჭალა" ("Pool of Bethejda"), მაგრამ გენიამ, რომელმაც ასეთი დიდი გრძნობით შეაბიჯა იმდროინდელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ დანაშაულებსა

1 უილიამ ჰოგარტი – XVIIIსაუკუნეში (1697-1764) მოღვაწე გენიალური ინგლისელი მხატვარი, ილუსტრატორი, სატირული გრავიურების ავტორი.

2 დასაწყისი იხ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბე" ტ. VI (51-B).თბილისი 2015. გვ. 337-345.

და უბედურებებში, საბოლოოდ მიატოვა იგი გზაზე, ღირსება და სიდიადე რომ ჰქვია. მისი პიროვნებისათვის ჩვეული მხიარული, სატირული განწყობა უნდა მორგებოდა უკიდურესად სერიოზულ ცხოვრებისეულ თემებს. „ბესეჯდის ჭალაში“ ერთი მდიდარი, გარყვნილი ქალის მსახური უმოწყალოდ უბაგუნებს ზურგში საბრალო ღარიბ კაცს, რადგან მან იგივე სამკურნალო საშუალება გამოიყენა, ხოლო „დანაეში“[3], მოხუცი ძიძა კბილით სინჯავს ოქროს მონეტას, რათა დარწმუნდეს, ნამდვილია ის თუ არა. ორივე გარემოება სამართლიანადაა მიჩნეული განხილვის საგნად, მაგრამ ძალიან სულელურად კი. უმთავრესად, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ თვითონ დანაე აქ უბრალოდ ნიმფაა დრურისა. როგორც ეტყობა, უფრო შთამბეჭდავი სილამაზის გადმოცემა გაჭირვებია ჩვენს მხატვარს. დოქტორი პარსონსიც, ფიზიოგნომიის თავის ცნობილ ლექციებში, ამბობს, რომ ასერიგად ემორჩილება დანაე ოქროს და ასეა გამოხატული მისი ვნებები უჭკვიანესი მისტერ ჰოგარტის მიერო. ისე კი, ძალიან საინტერესოა, სად არის ახლა ეს სურათი?

ჰოგარტის ნამუშევრების ახლებურობამ და გამორჩეულობამ ფინანსურადგაჭირვებულმხატვარსფრიადმაცდუნებელიაზრიშთააგონა. მან შეიძინა ძალიან ბევრი ასლი თავისი ნამუშევრებისა (ისინი ახლაც მხატვრის ქვრივს ეკუთვნის), რათა ისინი და საკუთარი შემოსავალიც დაეცვა დატაცებისაგან. ჰოგარტმა მიმართა საკანონმდებლო ორგანოებს თხოვნით, რათა მისთვის მიენიჭებინათ ექსკლუზიური უფლება (რაც მიიღო კიდეც პარლამენტის აქტით 8 George II, chap. 38), რომლის ძალითაც მას შეეძლო, შეეჩერებინა უფლება დიზაინერებისა და გრავიორებისთვის ნამუშევრების ასლების დამზადებისა მისი თანხმობის გარეშე. ეს დებულება შედგენილია ჰოგარტის მეგობრის, ვინმე მისტერ ჰაგინსის მიერ, რომელსაც სალიტერატურო მესაკუთრის ლოგოდ დედოფალი ანა ჰყავდა გამოსახული, თუმცაღა შესრულების კუთხით ისეთი დახვეწილი ვერ აღმოჩნდა, როგორადაც მთლიანად ეს ეშმაკური ხერხი, რადგან, როგორც ეს ბრწყინვალე „ადვოკატმა“ ლორდ ჰარდვიკმა[4]გადაწყვიტა, ნებისმიერ უფლებამონაცვლეს, სულ რომ ხატზე დაეფიცა, რომ ავტორის თანხმობა ჰქონდა, მაინც ვერაფერს გახდებოდა უშუალოდ მხატვრის ნებართვის გარეშე. ჰოგარტმა ამ აქტის გამოქვეყნებისთანავე გამოსცა მცირე ზომის ფირფიტა ემბლემური დანაყოფებით, რომლებსაც ერთვოდა მადლიერების გამომხატველი წარწერა საკანონმდებლო აქტის სამი პუნქტისადმი. ეს ფირფიტა მან შემდგომ საპარლამენტო არჩევნებისთვისაც მშვენივრად გამოიყენა. ჰოგარტის გარდაცვალების შემდეგ საკანონმდებლო ძალით მხატვრის ქვრივს გადაეცა ნამუშევრები 20 წლიანი საკუთრების უფლებით. 1736 წელს ჰოგარტმა გააფორმა დიდი ოსტატობით დაწერილი ერთი მეტად ნიჭიერი იუმორისტის პოემა. წმ. პატრიკის ტაძრის წინამძღვარმა თავის „ლეგიონერთა კლუბის აღწერაში“, სადაც თავი არ დაუზოგავს, ისე მკაცრად გააკრიტიკა ამ ნაწარმოების ყველა პერსონაჟი, ერთგან ამბობს, – ო, იუმორის დიდო ოსტატო ჰოგარტ, როგორ გამოიყენებდი შენი ბასრი სატირის იარაღს ამ ტუტუცების ბრბოს წინააღმდეგო. არც

3 დანაე – ბერძნულ მითოლოგიაში არგოს მეფე აკრისიუსის ქალიშვილი. ცნობილია, რომ ზევსი, რომელსაც დანაე შეუყვარდა, ერთ ღამით ოქროს წვიმის სახით მოევლინა მას. შემდგომ ამისა, მათი შვილი პერსევსი მოევლინა ქვეყანას.

4 ფილიპ იორკი (1690-1764) – ცნობილი ინგლისელი ადვოკატი და პოლიტიკოსი, ჰარდვიკის პირველი გრაფი, ლორდ-კანცლერი.

„დევნის“ ავტორმა მისტერ სომერვილმა[5] დაიშურა მისთვის მოხდენილი კომპლიმენტი. თავის ჰობინოლს იგი უძღვნის მხატვარს, როგორც უდიდეს ოსტატს კარიკატურისა. მისტერ ფილდინგმა[6] კი სულ გააცამტვერა ეს ელეგანტური ქათინაური, როცა თავის „ჟოზეფ ენდრიუსის“ შესავალში აღნიშნა, რომ თუ ვინმე ჰოგარტს კარიკატურების ოსტატს უწოდებს, ამით ნუ ჰგონია, დიდ პატივს მიაგებდეს მასო, რადგანაც ბევრად უფრო ადვილია გამოსახო კაცი შეუსაბამო ზომის, მაგალითად, ცხვირით ან რომელიმე ნაკვთით, ანდა რაიმე აბსურდული ქმედებით, ვიდრე ტილოზე მათი გრძნობები გადმოსცეო. დიდი ძალაა მხატვრისა, დაგანახოთ, როგორ „სუნთქავენ“ მისი პერსონაჟები და უფრო მეტი აღიარების ღირსია მაშინ, როდესაც მათი ფიქრების გამოხატვა ძალუძსო. მისტერ ვინსენტ ბაურნმა, უესთმინსთერის სკოლის მართლაც რომ კლასიკურმა წარმომადგენელმა, თერთმეტმარცვლიანი ტაეპი მიუძღვნა ჰოგარტს.

1745 წელს ჰოგარტმა აუქციონზე გაყიდა ოცამდე თავისი მნიშვნელოვანი ნამუშევარი და იმავე წელს მოიპოვა უფრო დიდი აღიარება “Marriage A la mode”-ის (სურ.1) 6 გრავიურის შექმნით, რაც შეიძლება ჩაითვალოს საფუძვლად დოქტორ შებიარის რომან „საქორწინო აქტის“, (“The Marriage Act”9), აგრეთვე რომანისა „კლანდესტაინის ქორწინება“ (“Clandestine Marriage”) . ამ კომედიის პროლოგში ბრწყინვალე მისტერ გარიკმა[7] მეტად მოხდენილი ლექსით გამოხატა თავისი პატივისცემა მხატვრის ხსოვნისადმი, სადაც ამბობს, რომ სანამ ინგლისი იარსებებს, მისი სახელი არ დაავიწყდებათო. ჰოგარტის „ბედნიერი ქორწინება“ ერთგვარი ასლია „თანამედროვე ქორწინებისა“. პირველი 6 სცენა ფერებზე იყო გათვლილი, მომდევნო სცენები კი ისეთი ზუსტი გადამღერება იყო შინაარსობრივად, რომ უბრალოდ შეავლებდი არაცნობისმოყვარე თვალს. ტილოზე ჩანს მოზეიმე საზოგადოება, რომელიც ტაძრიდან ბრუნდება. სცენა ვითარდება სოფლის მოძველებულ სასახლეში. ერთ მხარეს დაქორწინებული წყვილი ზის, მათ უკან მეგობარი გოგო-ბიჭები საქორწინო ნამცხვრის ტაციობაში არიან; წინა მხარეს ჩანს პატარძლის კარგად გამობრუჟული მამა, რომელიც ნეფე-პატარძლის სადღეგრძელოს სვამს, გვერდით კი ნაირნაირი სასუსნავით სავსე მაგიდა ჩანს. ჰოდა, რა დროს თავაზიანობაა, მისი მხიარულება ზეცამდეა მისული. სცენაზე მსახურებთან ერთად გამოსახულია აგრეთვე სოფლის რამდენიმე მუსიკოსი, ლოყები რომ შეჟინჟღილებიათ. თაღს მიღმა, რომელსაც სამზარეულოში გავყავართ, მოშიშხინე ტაფასთან კარგად ჩათქვირული ანაფორიანი მღვდელი ხელში საათით განკარგულებებს აძლევს ერთიანად თეთრებში გამოწყობილ მზარეულს, რომელიც იმისათვის დაიქირავეს, რომ ტაფაზე მოშიშხინე ირმის ხორცზე დროდადრო გამდნარი ცხიმი მოასხას. სცენის მთავარ ფიგურათაგან მხოლოდ ახალგაზრდა ქალის - პატარძლის ფიგურაა დას-

5 უილიამ სომერვილი (1675-1742) – ინგლისელი პოეტი, „,სომერვილების სახლის“ უკანასკნელი წარმომადგენელი ინგლისში. მათ გერბს ამშვენებდა ასეთი წარწერა: „უდიდესი მამულების მფლობელი“. მისი ყველაზე ცნობილი პოემაა „დევნა“.

6 ჰენრი ფილდინგი (1707-1754) – XVIII საუკუნის ბურჟუაზიული რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელი. მიეკუთვნებოდა უძველეს არისტოკრატიულ დისიდენტთა ოჯახს. მისი აზრით, მწერლის ძირითადი თვისებები უნდა ყოფილიყო ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება.

7 დევიდ გარიკი (1716-1779) - ცნობილი ინგლისელი მსახიობი, ინგლისური სასცენო რეფორმის ავტორი, რაც გამოიხატებოდა თეატრალურობის ცხოვრებისეული სინამდვილით შეცვლით. დიდი აღიარება მოუტანა მას სადებიუტო როლმა სპექტაკლში „რიჩარდ III“. დაკრძალულია უესთმინსთერის სააბატოში, შექსპირის ძეგლთან.

რულებული. ჰოგარტს ხშირად საყვედურობდნენ, რომ იგი რატომღაც თავის პერსონაჟებს არ ანებივრებდა ელეგანტურობისა და ღირსების ხასიათობრივი წარმოჩენით. კომპოზიციაში პატარძლის პერსონაჟი ამ თვალსაზრისით თითქოსდა ამართლებს კიდეც მხატვრის განწყობას – ისე უგერგილოა გამოხატული, თუმცაღა, მხატვრის ახირების მიუხედავად, გოგონა ძალზე მშვენიერი გამოვიდა, რასაც ვერ ვიტყვით მის მანერებზე. ის მართლაც მდაბიოს შთაბეჭდილებას ტოვებს და ძალიან გვამახსოვრებს თავს უფრო როგორც მოახლე გოგონა თავისი მშვენიერებით, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოგვტყუებს იმ აპლოდისმენტებს, მაღალი წრის ქალბატონის ხასიათის ზუსტი გადმოცემა რომ იწვევს. ამ სცენაში, როგორც იტყვიან, ყურის მოსაფხანად არ სცალია მღვდელს და მის ე. წ. კულინარიულ საზოგადოებას. ისე რომ ვთქვათ, თემის ამ მიმართულებით ჩაძიებასაც შეაქვს მეტად საჭირო შტრიხები ხასიათის წარმოსაჩენად. მხატვარი ვითომდა შეუდგა ტილოს შექმნას მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ უფრო მეტი სილამაზე გამოეხატა მხატვრული ხერხებით, მაგრამ, როგორც ჩანს, და ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი, რომ კულინარიულმა სიუჟეტმა ისე შეიყოლია, ახალგაზრდობის დროინდელი გაჭირვებული წლები გაიხსენა, როდესაც „სამზარეულო ცეცხლის“ ხატვა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, მან, სალონისგან განსხვავებით, სამზარეულოს ცეცხლთან მეტი შვება იგრძნო და კარგადაც გაერთო. ეს დასაშვებია, რადგან ასეთ მხატვარს, მიუხედავად დახვეწილობისა, უკეთ გამოსდის მანკიერი მშობლის გამოსახვა, ვიდრე მიტოვებული ჩვილის კეთილშობილი აღმზრდელისა. აღნიშნული სცენის ესკიზი შეიქმნა „თანამედროვე ქორწინების“ გამოჩენისთანავე და, ამასთანავე, მხატვრის გარდაცვალებამდე მრავალი წლით ადრე. თუ რატომ „დუმდა“ მხატვარი ამ ხნის განმავლობაში, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ. შესაძლოა, სამუშაო, რომელიც მან იტვირთა, ითხოვდა ოჯახური ბედნიერების განმაპირობებელი ბევრი პერსონაჟის შექმნას, რაც, უპირველესად, მის გულს უნდა ეგრძნო, ჰოგარტს კი შვილები არ ჰყოლია და თუმცა ქორწინება მათ გარეშეც შეიძლება ბედნიერი იყოს, მაგრამ ეს მართლაცდა გულით მართალი და კეთილშობილი მხატვარი იშვიათად თუ შებედავდა ისეთი სიტუაციის გამოხატვას, მის მიერ კარგად გათავისებული თუ არ იყო. მოდით და მთლიანად გამოვრიცხოთ მოსაზრება, რომელიც ასე თუ ისე ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ ვითარებას. ზოგიერთი მკითხველი ეგება შეგვედაოს კიდეც, – დიდი ამბავი, თუ სოფლის ძველ სახლში გაჩაღებულ ქორწილში სრულყოფილი სილამაზის პატარძალი დახვეწილი მანერებითაც არ გამოირჩევაო, მაგრამ ჰოგარტს, როგორც ჩანს, წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული, მნახველისთვის წარმოეჩინა უზადო სილამაზე, რომელსაც ძლიერ აუბრალოებს მისი ვულგარულობა. უნდა ითქვას, რომ ეს ისე კარგად გამოუვიდა (ყოველ შემთხვევაში, თვითონ სავსებით დარწმუნებული იყო ამაში), რომ დიდი ამბით წაიღო ტილო მისტერ გარიკთან, ვინძლო მისი დამატებითი ქათინაური გულზე ვარაყივით მოსდებოდა და კიდევ ერთხელ ხოტბა შესხმოდა მშვენიერების აღქმის მის შეუსაბამო სტილს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ძალიან ცოტა მიზეზი არსებობს იმისა, ვიდარდოთ ამ სურათის დაკარგვის გამო. იგი არც სულისაა და არც ხორცის. ძალიან მალე ჰოგარტი პარიზს გაემგზავრა და კალეში ციხეშიც ამოყო თავი იმ დროს, როცა ამ ქალაქის ჭიშკრის ხატვით იყო გართული. ეს ეპიზოდი მხატვარმა გადმოსცა ტილოზე „ო, შენ ძველო ინგლისურო ბიფშტექსო“ (“O The Roaft Beef of

“Old England!”), რომელიც საზოგადოებამ 1749 წლის 26 მარტს იხილა. თუმცა დავუბრუნდეთ ისევ იმ ამბავს. იგი ჯაშუშად მიიჩნიეს და მაშინვე წაიყვანეს ქალაქის მმართველთან. საგულდაგულო ჩხრეკის შემდეგ „ტუსაღი“ ჩააბარეს ვინმე გრანშირს, იმ სახლის მეპატრონეს, სადაც ჰოგარტი იდგა იმ პირობით, რომ იგი შინიდან არ გავიდოდა, სანამ ინგლისისკენ მიმავალ გემზე ასულს არ დაინახავდნენ. ამაზე ჰოგარტმა და მისმა მეგობარმა კენტერბერიელმა მისტერ გოსტლინგმა, რომლის სახლშიც ინგლისში დაბრუნებულმა ჰოგარტმა ღამე გაათია, ბევრი იხალისეს. ამ ამბიდან დიდი ხანი არ იყო გასული და ჰოგარტმა სახლი შეიძინა ჩიზვიკში. ბოლოს და ბოლოს, განა ცოტა გაილო, სახელი და სიმდიდრე რომ მოეპოვებინა. თუმცა ზაფხულს მეტწილად აქ ატარებდა, მაგრამ დროდადრო ლისესთერ ფილდის მამულსაც სტუმრობდა ხოლმე. აი, უკვე 1753 წელს მსოფლიომ ჰოგარტი გაიცნო როგორც ავტორი წიგნისა „სილამაზის რაობა“ (“The Analifis of Beauty”). იგი მასში არა ერთი მაგალითით ამტკიცებს, რომ ჩამრგვალებული, პუტკუნა ფიგურები ბევრად უფრო სასიამოვნო შესახედავია. სხვათა შორის, მის ამ მოსაზრებას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. საერთოდაც, ამ იდეის მატარებელია ყველა ფრანტისპისი, რომელიც 1745 წელს გამოცემულ მის ნაშრომებს ახლავს. ჰოგარტი დიდად დავალებულია მეგობრებისაგან ამ საქმეში დახმარებისთვის, განსაკუთრებით კი მადლობელია ერთი ჯენტლმენის, როგორც მარწმუნებენ, ვინმე დოქტორ ბენჯამინ ჰოუდისა[8] (ექიმი, რომელმაც წიგნის ლამის მესამედი შეასწორა და ფორმულირება მისცა ავტორის იდეას). ბოლოს, ეს ბენჯამინ ჰოუდი ავად გახდა და იძულებული იყო, დიდი სინანულით მიეტოვებინა მეტად მყუდრო ერთობა. ჰოგარტიც ადგა და დახმარებისთვის მეზობელს, მისტერ რალფს, მიმართა, მაგრამ აბა, როგორ შეთანხმდებოდა რამეზე ეს ორი, ერთდროულად ურჩი და მართალი პიროვნება და ბევრი ჯახირის შემდეგ, მარტო ერთი ფურცლით რომ წავიდნენ წინ და მეტით არა, მეგობრულად დასცილდნენ ერთმანეთს და ასეც განაგრძეს ბოლომდე. დოქტორმა ბრაუნმა თავის ნაშრომში „დროთა მანერები და პრინციპები“ (vol. I. p.47, 1757) მაღალი შეფასება მისცა ჰოგარტის გენიას; მისტერ რალფმა კი, გააკრიტიკა რა მკაცრად ეს ნაშრომი, სხვათა შორის, თქვა, ბედნიერებაა მისტერ ჰოგარტისთვის, ჩემი მოკრძალებული აზრით, ასეთ საზოგადოებაში მაღლად წარმოჩენა, მეტადრე უფრო მისი კრიტიკისთვის, ვიდრე განსაკუთრებული ხოტბის შესასხმელადო. მისი „სატირული“ ფანქარი და „სერიოზული“ კალამი ეწინააღმდეგებოდა სილამაზის დამკვიდრებულ კრედოს, სადაც არ ჩქარობდა ჰოგარტი რაიმეს აღიარებას. ყველა სხვა ამ დროს ერთმანეთის გასწრებაში იქნებოდა; ბუნება პროტეუსის თამაშს გვეთამაშება, მოგვიწვია, რათა აღვიქვათ ყველა მისი ფორმა, მაგრამ ბოლომდე მისი შეცნობის უფლებას არ გვაძლევს; სილამაზის ეტალონი ხან ასეთად წარმოგვიდგინეს, ხან ისეთად, მაგრამ წესი, რითაც იგი განისაზღვრება, ვერავინ მოგვცა. აი, ამაზე საუბრობდა ჰოგარტი, სწორედ ამაში მიაღწია მან წარმატებას. როგორც იქნა, კომპოზიცია მეცნიერებას გაუტოლდა; სტუდენტმა იცის, რის ძიებაშია, ექსპერტს ვერ შეედავებით ნივთის შეფასებაში. რაც შეეხება სილამაზის დოგმასა და სტილს, იგი მეტად ველარ შეესატყვისება აქამდე დამკვიდრებულ გემოვნების ჩარჩოს.

8 ბენჟამენ ჰოუდი (1676-1761) – ინგლისელი მღვდელი, წარმატებული ეპისკოპოსი, ბენგორ ჰერფორდის, სოლისბერისა და ვინჩესტერის. კარგად ცნობილია როგორც ბანგორიული კონტროვერსის ინიციატორი.

ასე რომ ,რაც არ უნდა უდიერად მოვიხსენიოთ გარდასული ღირებულებები, მათ მაინც მეტი დამსახურება და პატივი აქვთ რაიმე ახლის მოთხოვნისა, ვიდრე მათს გამგრძელებლებს. და მე კიდევ ერთხელ გავბედავ და ვიტყვი, განა შემიძლია თვალის დახუჭვა, როდესაც უკეთეს შექმნილს ვხედავ და შეგვიძლია, საკუთარი თავი დავინახოთ მაშინ, როცა უკვე ძველი სათნოებისაგან კვალიც აღარ დარჩენილა. მას შემდეგ, რაც დოქტორმა რალფმა შეწყვიტა წიგნის რედაქტირებაზე მუშაობა, ამ საქმეზე ზედამხედველობა დოქტორმა მორელმა ითავა. შესავალი მეტად მოგეწონებოდათ (რედაქცია მისტერ თოუნლისა). ჰოგარტების ოჯახმა ძალიან გაიხარა, როცა, როგორც იყო „სილამაზის რაობის“ ბოლო ფურცელი დაიბეჭდა, რადგან, სიმართლე რომ ითქვას, ჰოგარტს გული გაუწყალა გაუთავებელმა კამათმა თავის კოაჯუტორთან[9], რომელიც ვითომ ეხმარებოდა სამუშაოს წარმატებით დასრულებაში. ამ ნაშრომის გერმანული თარგმანი 1754 წელს დაიბეჭდა ბერლინში, ხოლო იტალიური – 1761 წელს ლეგბორნში. ამ წიგნს, როგორც მისტერ უოლპოლი აღნიშნავს, ბევრი საგრძნობი მინიშნება აქვს და არც დაკვირვების დეფიციტს განიცდის, მაგრამ მასში არ ჩანს რწმენა და ვერც მიიღებდა სრულ აღიარებას, რასაც, სხვათა შორის, მოელოდა. ალბათ იმიტომ, რომ ჰოგარტი თავის თანამედროვეთ ცხვირაწევით უყურებდა, არც მათ დაუშურებიათ ნიშნის მოგება მისთვის და იბეჭდებოდა უამრავი უგვანი კარიკატურა, სადაც გამასხრებული იყო მისი მოძღვრება. ამის კარგი პასუხი იყო ჰოგარტის ერთი გრავიურა, სადაც თავისი მოსაზრების მართებულობას უჩვენებს. ისე კი, ცოტათი მაინც რომ შეეკავებინა თავი საჩოთიროდ უფორმო კონტურებისაგან, მის ვარაუდს ბევრი გაიზიარებდა. ამის მაგივრად, მან სილამაზის ორი ნიმუში კიდევ დაამატა ახალგაზრდა ქალაქელი სატრფოსა და სოფლის ლამაზმანის პერსონაჟებს, რომლებსაც საოცრად მკაცრი და არაბუნებრივი გამომეტყველება აქვთ. საერთოდ, ჰოგარტს ერთი რამ სჭირდა, ვერ იტანდა ხალხს, რომელთაც ქონება და აღიარება ლიბერალური განათლების მიღმა მოიპოვეს, ანუ სძულდა ყველაფერი, რაც მას არ ჰქონდა. იმ „ავადსახსენებელ“ მომენტშიც, როცა ჩვენს განთქმულ მხატვარს, „მწერლობა“ რომ წამოიწყო და ამ საქმეში ზემოთ ნახსენები მეგობრებიც „დაასაქმა“ რედაქტორებად, აზრადაც არ მოსვლია, რომ მართლწერასაც, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შესაბამისი კვალიფიკაცია სჭირდებოდა და მაინც არ დაიშალა, თავი სასაცილოდ აეგდო. ამ დრომდე, რომელზეც ახლა გვაქვს საუბარი, ბევრად უფრო ადრე ჩვენი გენიოსი იმასაც კი ამბობდა, ჩვენი პროფესიის კაცს წიგნები საერთოდ რაში სჭირდებაო. ბიარ სთრითზე, სადაც წიგნების სხვა ტომებთან ერთად ჰოგარტმა საკონდიტრო წიგნსაც მიუჩინა ადგილი, წავაწყდით თერნბულის[10] ტრაქტატს უძველესი ფერწერის შესახებ, რომელიც ჩვენს მხატვარს ერჩივნა, გაეაზრებინა, სანამ რაიმეს დაგმობას შეეცდებოდა. თვით მის მეგობარ გარიკსაც კი ყელში ამოუვიდა მის წინაშე მანჭვა-გრეხვა. ამ შენიშვნის საბაბს იძლევა მისი ერთ-ერთი სუსტი ნამუშევარი, რომელზეც სულ მოკრძალებული საქებარი სიტყვები სერ გოდფრი ნელერსაც[11] კი

9 კოაჯუტორი - საეპარქიოს მიერ დანიშნული ეპისკოპოსი

10 ჯორჯ თერნბული (1698-1748) – შოტლანდიელი მწერალი, ავტორი ცნობილი ტრაქტატისა „უძველესი მხატვრობა“, რომელიც მიმოიხილავს იმ პერიოდის ხელოვნების აღმავლობას, პროგრესსა და დაცემას (ბერძნები და რომაელები). ტრაქტატი გამოცემულია ლონდონში 1740 წელს.

11 გოდფრი ნელერი (1646-1723) – ინგლისის სამეფო კარის ცნობილი მხატვარი პორტრეტისტი XVII

გაეჩხირებოდა ყელში.

ჰოგარტს ყოველთვის დიდი მეგობრობა აკავშირებდა დოქტორ ჰოუდისთან, უინჩესტერის აწ განსვენებულ ღირს კანცლერთან, მისი ხშირი სტუმარიც იყო უინჩესტერში, სენტ ქროსსა და ალრესფორდში. ცნობილია, რომ დოქტორი ჰოუდი იმდენად დიდი მოყვარული გახლდათ თეატრალური წარმოდგენებისა, რომ მასთან წვეულ სტუმრებს აუცილებლად ათამაშებდა რაიმე როლს თავის სახლში დადგმულ სცენებში; მან ჰოგარტსა და გარიკთან ერთადაც შეასრულა ძალიან სასაცილო პაროდია „იულიუს კეისრიდან“, სადაც ბრუტუსს მოჩვენება ევლინება. თვითონ ჰოგარტი მოჩვენებას განასახიერებდა და იმ ორ სიტყვასაც, რაც უნდა წარმოეთქვა, ძლივს აბამდა თავს, ავიწყდებოდა. ბოლოს, გამოსავალი იპოვეს და ქაღალდზე, რომელიც სცენაზე ხელში უნდა სჭეროდა, ვეებერთელა ასოებით დაუწერეს ტექსტი. ამ ამბავთან დაკავშირებით ჰოგარტმა დახატა სცენა: ბაზრის ერთ უბადრუკ ჯიხურში გამოხატულია იხვი (კემბერლენდიდან), რომლის თავთანაც მხატვარს ხელი მოუწერია. ასევე მოამზადა თეატრალური აფიშა მისთვის დამახასიათებელი ორნამენტებით. ნახატის ორიგინალი შემორჩენილია, მოვახერხეთ მისი გრავირებაც, რადგან გროტესკების ამ დიდი ოსტატის სულ პატარა ჩანახატიც მართლაცდა ძვირფასი სამკაულია ნებისმიერი კოლექციონერისათვის.

ჰოგარტს არაერთი უცნაურობა სჭირდა. სადილობისას მოულოდნელად შემოატრიალებდა სკამს იმის ნიშნად, რომ ჭამა დაამთავრა და უცბად კვლავ მიუბრუნდებოდა მაგიდას. ერთხელ მან წერილი გაუგზავნა დოქტორ ჰოუდის, რომელსაც მისამართად წააწერა – „ჩელსელ დოქტორს“. იღბლად ამ წერილმა ადრესატამდე მაინც მიაღწია, რომელმაც იგი საგულდაგულოდ შეინახა როგორც სასიამოვნო სახსოვარი – თავისი მეგობრის უჩვეულო დაუდევრობის ნიმუში. ერთ-ერთ შენიშვნაში მისტერ უოლპოლი ზღვარს ავლებს ფლამანდრიელი მხატვრების „კადნიერებასა“, ე.წ. იუმორს რომ ეძახიან, და ბუნებით დაჯილდოებულ ჰოგარტის გროტესკული კრიტიკის ნიჭს შორის. ამ ფლამანდრიელებს ძალიან სასაცილო ჰგონიათ, როდესაც დახატავენ მთვრალს, რომელიც აღებინებს, ჩვენი ჩაღიმება კი სიცილად მიაჩნიათ. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ჩვენი ინგლისელის სცენები მთლიანად თავისუფალია მსგავსი არადელიკატურობისაგან? „ჰადიბრასის“ ერთ-ერთ სცენაში კაცი შარდავს სახლის უკან; ამ ბინძურ სურათს კი მრავალმნიშვნელოვნად მისჩერებია თერძის ცოლი; მეორე სცენაში ბიჭუნა ფსამს ერთ-ერთი პერსონაჟის – რალფოს ფეხსაცმელში, ამ დროს კი ქვრივი ქალი დადგომია თავზე; „განრისხებულ მუსიკოსშიც“ პატარა ბიჭუნა იმავეს აკეთებს, ხოლო პატარა ქალბატონი გულმოდგინედ დაკვირვებია ამ პროცესს. სურათში „სვლა ფინსბლისაკენ“ (“March To Fincbley”) ერთ ავადმყოფ ჯარისკაცს მეტი გასართობი არა აქვს და იმავე საქმითაა გართული, ვიღაც ქალი კი ფანჯრიდან მისჩერებია. მავანი იტყვის, ისეთი რა მნიშვნელოვანია ეს „ქმედება“, ასე ხშირად რომ მეორდებაო. კარიკატურაში „პაული ფელიქსის წინაშე“ (“Paul Before Felix”), სადაც მაღალ სამღვდელო პირს ცხვირში მიაქვს თითი, ძნელი მისახვედრი არაა , რომ ასეთ პოზაში მისი გამოხატვა ერთგვარი პასუხია

საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, ჩარლზ II-დან ჯორჯ I-მდე. მისი გამორჩეული ნაშრომებია: „ჩინელთა მოქცევა“ (1687. სამეფო კოლექცია. ლონდონი), ისააკ ნიუტონის ოთხი სერიული პორტრეტი, უილიამ III-ის კარის ათი ლამაზმანი და სხვ.

ტერორისგან იუდიკის მმართველის სამარცხვინო გაქცევაზე და რომ მისი იმიჯი ოდნავადაც არ მიესადაგება ჩვენი ლორდ მაიორის ქმედებას ლონდონის ბუნტის დროს, მაგრამ, მოდით, შევეშვათ ახლა ამ საზიზღარ გარემოებებს და მხოლოდ იმით დავინტერესდეთ, ტერიერის ტილოებზე უფრო საძაგელი სცენებია გამოსახული თუ ჰოგარტის „ჰარლოტის პროგრესში“, სადაც ქალი თავისი ფრჩხილებით ტილს სრესს, ხოლო მოხეტიალე შოტლანდიელი მუსიკოსი ამ ტილს კისერზე იჭერს, თან გამალებით ნომერს ასრულებს საარჩევნო დღესასწაულზე. ორი უკბილო ფრანგი ბებერი ქალი დორბლავს ერთმანეთს (ხომ გაგვირისხდა ვენერა, ამას კოცნა რომ დავარქვათ) ერთობ სასაცილო გრავიურაში „დღის ოთხი დრო“ (სურ.2).0. „მხიარულ ღამეში“ (“Rejoicing Night”) ვიღაც ღამის ქოთანს დღესასწაულის მომწყობის თავზე აპირქვავებს. და, საერთოდაც, განა შესაძლებელია, ჰოგარტის კომპოზიციებში შენიშნოთ რაღაც მორიდების, მოკრძალების მსგავსი რამ.

“ჰარლოტის პროგრესში” (სცენა VI) ვხედავთ ხელის მტევანს, რომელიც ისეთი პატივითაა დაკრძალული, როგორსაც ის პიროვნება, უთუოდ, იმსახურებდა. ჰოგარტი კი, ზოგადად, გამოყოფდა მღვდლების სამ ტიპს: ლოთს, გაუმაძღარსა და ზნედაცემულს. ის, ვინც ჩვენი რელიგიის მასწავლებლებს ზნედაცემულთა თვალში დაამცირებს, საზოგადოებისაგან მადლობას ნუ ელოდება. „რეიკის პროგრესში“ (ბოლო გრავიურა) თუ მიხვდებით, რითია დაკავებული იდეალური მმართველის ხელი იმ დროს, როცა სულაც არ უყურებს მორცხვი მზერით ორ ახალგაზრდა ქალს, მის 55-ე სენაკს რომ ჩაუარეს. ძნელი მისახვედრი არაა, კონკრეტულად სხეულის რომელ ნაწილზეა მიშტერებული მისი თვალები? ძვირფას მკითხველს ამას ვკითხავთ მხოლოდ: უამრავ მოყვანილ მაგალითში სოკრატე მოგვჩერებია თავისი ინტელექტუალური ღიმილით თუ მხატვარია კეთილგანწყობილი ყოველივე ამის მიმართ? როგორც ეს ფიზიოგნომისტებმა დაინახეს, სოკრატეს ღიმილი აქ თხისფეხება სატირის მანჭვას უფრო წააგავს და ძალიან მცირე გარემოებანია მხატვრის კეთილგანწყობის მიმანიშნებელი, განსაკუთრებით კი მოხუცი მსახურებისა და სულ ახალგაზრდა ქალბატონების მიმართ, არჩევნებზე ხმის მიცემის უფლებაც კი რომ არა აქვთ ჯერ. უდავოა, ეს ჩვენი მეტად ჭკვიანი და ელეგანტური მწერალი (მისტერ ჰორაციო უოლპოლზეა საუბარი) სავსებით კმაყოფილი იქნებოდა, ფლანდრიელი მხატვრების სურათებში ეს უმსგავსო სცენები ძირითადი თემა რომ ყოფილიყო, ჰოგარტისაში კი – მხოლოდ შემთხვევითი და მეორეხარისხოვანი. განა ამის გამო გაკილავდნენ მას, ვისაც წესიერება სულ გადაავიწყდა, როცა ასეთი რამ თქვა: წმ. პავლეს ხელი ერთხელ “არასწორად” იყო მოთავსებული ფელიქსის[12] ცოლის წინ და ამ სიტყვებისთვის მისთვის საყვედურიც კი არავის უთქვამსო. ასეა თუ ისე, გულწრფელად ვაღიარებ, რომ, მიუხედავად მისტერ უოლპოლის შეხედულებებისაგან ჩემი მკვეთრი განსხვავებისა, მისი, როგორც ამ საკითხში ფრიად გამოცდილი ადამიანის აზრები, უფრო მეტად ყურადსაღებია ჩემს აზრებთან შედარებით, ვისი ნაცოდვილარიც მხოლოდ „ინგლისური ხელოვნების

12 ფელიქს (ბედნიერი) – იუდეის რომაელი მმართველი, დანიშნული იმპერატორ კლაუდიუსის მიერ ახ. წ. აღ. 53 წელს. ცნობილია, როგორც უსასტიკესი და ცბიერი მმართველი. ამბოხების დროს მან დააპატიმრა წმ. პავლე. ფელიქსის ცოლი ებრაელი დრუსილა, სთხოვს წმ. პავლეს აზიაროს ახალ რელიგიას.

ეპიზოდების" ბოლო ტომს უნდა უმადლოდეს ამ საკითხში გასარკვევად. ჰოგარტი კი ყველაფერში სულ სალაღობოსა და თავშესაქცევს ეძებს. აი, მაგალითად, მოსაწვევ ბარათზე, მეგობარს სადილად რომ ეპატიჟება, გამოსახული აქვს დანა – ჩანგალზე დაყრდნობილი წრე, რომლის შიგნით სამი ბერძნული ასო და შეცდომებით სავსეტექსტია. რაღა ჰოგარტის კალამბური და რაღა სვიფტის თავსატეხები. სერიოზულ ნაწარმოებებშიც კი შესამჩნევია სასაცილო შტრიხები, რომლებიც სრულიადაც არ შეესაბამება სიუჟეტის ღირსებას. „წმ. პავლეს ქადაგებაში" ძაღლი უღრენს კატას, ხოლო „ფარაონის ქალიშვილში" ჩვილი მოსე სითავხედით გაგაოცებთ. წარმოიდგინეთ მთელი ღირსების შეცნობით მავალი მხატვარი, რომელიც უცებ სულ პატარა რამეზე ატეხავს ხარხარს. ისე კი, ჩვენდა გასაკვირად, მხოლოდ „რიჩარდ III" არ შეიცავს არანაირ კომიკურ გადახვევას. იგი ერთნაირად იწვევს შიშსაც და გაოცებასაც. ასეთი აღქმა ნახსენები ნამუშევრებისა მოყვანილია დოქტორ უორტონის „ესსეში დიდ გენიოსზე" და „პოპის ჩანაწერების" პირველ გამოცემაში, ხოლო ჩვენ არ ვიქნებით გულახდილი, თუ არ დავურთავთ ამ წიგნის ავტორის შენიშვნას (ეს შენიშვნა უორტონმა ხსენებული წიგნის მე–3 გამოცემას დაურთო), სადაც ის აღიარებს თავის შეცდომას ჰოგარტის ორი მომხიბლავი სურათის, „მოსეს ქადაგებისა" და „ფარაონის ქალიშვილის" შეფასებისას. იგი წერს, რომ უფრო სერიოზული დაკვირვებით, ჩვილი მოსე სრულიადაც არ იმსახურებს ამგვარ დახასიათებას და კვლავ და კვლავ ქედს იხრის ამ შეუდარებელი ხელოვანის გენიის წინაშე. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, – ამბობდა დოქტორი უორტონი, რომ შორს ვარ იმისგან, მრცხვენოდეს ჩემი შეცდომის აღიარების და რომ ჩემთვის მეტი პატივია, მერქვას გულწრფელი, ვიდრე ამქვეყნად ყველაზე ანგარიშგასაწევი მცოდნე ხელოვნებისაო.

**Manana Alpenidze**

The Georgian National Museum Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1, L.Gudiashvili St., 0151, Tbilisi, Georgia
E-mail: alpenidzem@yahoo.com

# To William Hogart's Portrait

## Summary

The first part from the "Biographical Anecdotes of William Hogarth and a Catalogue of His Works" (1798) by the famous English writer and publisher John Nickols (1745-1824) has been translated and suggested in the Bulletin of the Georgian National Museum (V 50-B). Now the coming episodes out of this book being put under the reader's issue. Still aware of the value even of disjointed, lacking chronological arrangement episodes, concerning the life of the great master, whose works were able to endure the test of time and were quick to fill their own niche, the idea of translating of some certain episodes has been realized. The whole thing fills the gap between Hogarth's genius and his propensity to merriment on the most trivial occasions (a card requesting the company of a friend to dine with him, including some Greek letters and not accurately spelt inscription). A quibble by Hogarth is surely as respectable as a conundrum by Swift. Even in move serious plates, into which Hogarth has deviated from the natural biass of his genius, there are some strokes of the ridiculous discernible, which does not suit with the dignity of his subject ("Preaching of St. Paul, "The Pharaon's Daughter", etc.). Just imagine the artist, unrivalled in his walk, could not resist the impulse of his imagination towards drollery.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** თანამედროვე ქორწინება, სცენა – საქორწინო აქტი. 1743. ეროვნული გალერეა. ლონდონი
**სურ. 2.** დღის ოთხი დრო: ღამე. 1736. ბარსტედის კოლექცია; აფთონ ჰაუსი, ვორვიქშირი, გაერთიანებული სამეფო

**LIST OF ILLUSTRATIONS**

**Fig.1**. Marriage a la-mode. The Marriage Settlement. 1743. The National Gallery. London.

**Fig.2**. The Four Times of a Day: Night. 1736. Bearsted Collection; Upton House; Warwickshire, United Kingdom.



**სურ. 1 Fig.**



**სურ. 2 Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 349-357
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 349-357

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**ირინა გუგუნავა**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ.გუდიაშვილის ქ. 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: gugunavairina@gmail.com

# XVIII-XIX საუკუნეების ირანული ფერწერული მინანქრის ნაკეთობები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან

ყაჯართა მმართველობის პერიოდი (1785-1925 წწ.) ერთ-ერთი გამორჩეულია ირანული ხელოვნების ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს სახელმწიფოში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული არქაული სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული სისტემების დაქვეითება-რღვევის პროცესი დაიწყო და სახელმწიფოს სისუსტე არსობრივად წარმოჩინდა, ხელოვნების სფეროში, პირიქით, ყაჯართა ეპოქა მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და გარდატეხის ხანადაა მიჩნეული. ამ დროს ირანულ ყოფიერებაში მძაფრდება უცხო, განსაკუთრებით კი, ევროპული ქვეყნების (საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი) კულტურათა ზეგავლენა. სწორედ შეგნებულად თავმოხვეული დასავლური ტენდენციებისა და ძირძველი ირანული ტრადიციების შერწყმამ განაპირობა იმ გამოკვეთილად ეკლექტური სტილის წარმოქმნა, რომელიც სამეცნიერო წრეებში მმართველი დინასტიის სახელწოდების შესატყვისად ყაჯარული ხელოვნების სახელითაა ცნობილი.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი ყაჯარული ლითონმქანდაკებლობის უძვირფასეს კოლექციას ფლობს. აქ დაცული ყაჯართა პერიოდის ლითონის ექსპონატები, უპირატესად, საყოფაცხოვრებო და დეკორატიული დანიშნულების ნივთებია, რომელთა სტილის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ამ ეპოქის ლითონდამუშავების ხელოვნების სახასიათო ნიშნები და ძირითადი მიმართულებები. ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამ კოლექციის მცირერიცხოვანი, მაგრამ უაღრესად საინტერესო ჯგუფი, კერძოდ, ფერწერული მინანქრით მოხატული ლითონის ჭურჭელი. წინამდებარე წერილი სწორედ საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციის საფუძველზე ყაჯარული პერიოდის მომინანქრებული ლითონის ნაკეთობათა დანიშნულებისა და კუთვნილი ადგილის გარკვევას ისახავს მიზნად ირანულსა და, ზოგადად, ისლამურ დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში.

ხსენებული კოლექცია ათწლეულების განმავლობაში მდიდრდებოდა შესყიდვათა თუშემოწირულობათა გზით. მისი დიდი ნაწილი მემკვიდრეობით გადმოეცა მუზეუმს წინამორბედ დაწესებულებათაგან (წერა -კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, კავკასიის მუზეუმი, მუზეუმი „მეტეხი", ეროვნული გალერეა და სხვ.). ზემოაღნიშნული სამუზეუმო-სა-

განმანათლებლო დაწესებულებების ლიკვიდაციის შემდეგ, 1919, წელს ისლამური ხელოვნების კოლექციები გადანაწილდა ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმებს შორის (ახლანდელი საქართველოს ეროვნული მუზეუმი).

ყაჯართა ეპოქის ხელოვნების საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა XX ს-ის პირველ ნახევარში დაიწყო, თუმცა ეს ეხება მხოლოდ დაზგურ ფერწერას, მინიატიურულსა და ლაქის მხატვრობას. ყაჯარული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგი, განსაკუთრებით კი, ლითონმქანდაკებლობა ჯერაც არაა სრულყოფილად გამოკვლეული.

აღსანიშნავია ისიც, რომ, ზოგადად, ისლამური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ძეგლების კომპლექსური შესწავლა არც ისე დიდი ხანია მიმდინარეობს. ამ სფეროს კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა XX ს-ის დასაწყისიდან. მიუხედავად ამისა, გარკვეული ისტორიული ეტაპების ხელოვნების ზოგიერთი დარგის მეციერული ანალიზი სრულყოფილად ჯერაც არ განხორციელებულა.

გვიანირანული პერიოდის ლითონის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები და ლიტერატურა ძალზე მწირი და არასრულია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ყაჯარული კოლექციის შესახებ ცოტა რამ თუა ცნობილი სპეციალისტთა ვიწრო წრისთვისაც კი. ისინი თითქმის შეუსწავლელია ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, მასალის კვლევისას უმთავრესი სირთულე სწორედ დარგობრივი ლიტერატურის სიმწირე, ზოგჯერ კი, მისი სრული არარსებობა იყო. ნიშანდობლივია, მსოფლიოს წამყვან აუქციონებზე (Sotheby's, Christie's, Bonham's და სხვ.) გასაყიდად წარმოდგენილი ყაჯარული ლითონის ნაკეთობათა წინა წლებთან შედარებით მზარდი ფასები. ესაა დასტური იმისა, რომ აშკარაა დიდი დაინტერესება ხსენებული პერიოდის ლითონის ნაწარმით. მსოფლიოს წამყვან მუზეუმთა (Victoria&Albert, the Metropolitan Museum) ონლაინკატალოგებშიც უკვე გამოჩნდა ჩვენი საკვლევი პერიოდის ლითონის ნაკეთობანი, თუმცა, არცთუ ვრცელი აღწერის თანხლებით. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ყოველივე ეს სრულებით არაა საკმარისი XVIII-XIX სს-ის ირანული ლითონდამუშავების ხელოვნების განვითარების სრული სურათის წარმოსაჩენად. ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი მისი მნიშვნელობის წინ წამოსაწევად, რათა ყაჯარულმა ლითონმქანდაკებლობამ და, საერთოდ, ამ პერიოდის დეკორატიულ-გამოყენებითმა ხელოვნებამ კუთვნილი და ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს მეცნიერთა თუ ხელოვნებით დაინტერესებულ საზოგადოებაში.

XVIII-XIX სს-ში ყაჯართა ეპოქის არისტოკრატიულ ფენებში მკვიდრდება ახალი ტენდენცია ლითონის ნაკეთობების ფერწერული მინანქრით შემკობისა, ვრცელდება ოქროსა და ოქროთი უხვად დაფერილი ჭურჭლის სერვიზები, ყალიანები, ხმლებისა და ხანჯლის ვადები. მათი შემკულობა მინანქრის საღებავებითაა შესრულებული და ორიგინალური ხასიათის გამო სრულიად უპრეცედენტო მოვლენაა ირანულ ხელოვნებაში, ვინაიდან მხოლოდ გვიანსეფიანურ და ყაჯარულ ეპოქათა გარკვეულ მონაკვეთებში შემუშავდა ხსენებული ტექნიკა. მან მალევე განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა არა მხოლოდ შაჰის კარზე, არამედ უბრალო მოქალაქეთა შორის. ამ ტექნიკის წარმოშობაში ნაწილობრივ დასტურდება დასავლური კულტურის ზეგავლენა. იგულისხმება მხოლოდ შესრულების ტექნიკური ხერხები. სავარაუდოდ, ერთგვარ მოდად ქცეული ამ ტენდენციის დამკვი-

დრებას ირანში დიდად შეუწყო ხელი მინანქრის ევროპულმა და რუსულმა ნიმუშებმა, რომლებსაც დიპლომატიური მისიები საჩუქრად უძღვნიდნენ ირანის შაჰებს [Scarce J.1986:632]. თუმცა, ამ ორიგინალურ ნაკეთობათა დეკორატიული სტილი ევროპული ნაწარმის სტილისაგან დიდად განსხვავდება და სრულიად ახლებურ მხატვრულ სიუჟეტსა და ორნამენტულ ქარგას გვთავაზობს. ფერწერული მინანქრის ნაკეთობათა მოხატულობა, რომელიც უშუალოდ ლითონის ზედაპირზე სრულდებოდა, დეკორატიული მოტივებით, კომპოზიციის ცალკეული დეტალით, შესრულების მანერით, პერსონაჟთა ტიპაჟითა და, ზოგადად, სტილით ძალზე ჰგავს ყაჯართა პერიოდის ლაქის ფერწერულ -დეკორატიულ ნაწარმოებებს. სიუჟეტური კომპოზიციები გადაჭარბებულად ფერადოვანი და ხატოვანია, გამოირჩევა თამამად შერჩეული კონტრასტული ფერთა გამით [Robinson B. 1969:204]. ამ მდიდრულად გაფორმებულ უძვირფასეს პოლიქრომიულ ნაკეთობებზე, უმთავრესად, გვხვდება ლომისა და მზის სიმბოლიკა (შირ ო ხორშიდ), ირანის შაჰთა და ევროპულად ჩაცმული ქალების ან მამაკაცების პორტრეტული მედალიონები, ასევე ფრინველთა გამოსახულებები, ფონი კი ყველგან ყვავილოვანი ორნამენტითაა დამუშავებული. აღსანიშნავია, რომ ამ ნაკეთობათა ლითონის ზედაპირის მინანქრის საღებავით მოხატვა, უმეტესწილად, ლაქისა და პაპიე-მაშეს ნაწარმის მხატვართა კომპეტენცია იყო, ანუ, როდესაც ოქრომჭედელი ან სპილენძის ხელოსანი დაასრულებდა თავის წილ სამუშაოს და ნახელავს ფორმას მისცემდა, ნაკეთობა შემდეგ ეტაპზე მხატვართა სახელოსნოში გადადიოდა, სადაც მის დეკორატიულ გაფორმებაზე მინიატიურისა და ლაქის ნაწარმის შემკულობაში დახელოვნებული მხატვრები ზრუნავდნენ, რათა მისთვის საბოლოოდ დასრულებული სახე მიეცათ. ცნობილია, რომ ამ ტექნიკის ცენტრი ქალაქი შირაზში იყო. თუმცა ხსენებული ტექნიკის განხილვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, ტექნიკური თავისებურებიდან გამომდინარე, ფერწერული მინანქრით გაფორმებული ლითონმქანდაკებლობის მხატვრული ნაწარმი, რომელიც ყაჯართა ფერწერის კანონების სრული დაცვითაა შესრულებული, ძნელად თუ შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ლითონმქანდაკებლობის ნაკეთობად, რადგან მისი ზედაპირი ისე სრულად იფარებოდა საღებავის ფენით, რომ ლითონის არსებობა შეუმჩნეველიც იყო. ამიტომ მხოლოდ საუკეთესო ოსტატს თუ შესწევდა ძალა, ეპოვა სწორი ვიზუალური ბალანსი სრულიად განსხვავებული თვისებების მქონე ამ ორ მასალას შორის [Sahranavard M., Szanto I… 2010:88].

ზემოთ აღწერილი მინანქრის მდიდრული ნაკეთობების გარდა, არსებობს ასევე მსგავსი მომინანქრებული ნივთების შედარებით იაფი ანალოგებიც, დამზადებული თითბრისა და სპილენძისაგან. როგორც ჩანს, საზოგადოების შედარებით დაბალ ფენებშიც პოპულარობა ჰპოვა ამგვარმა მომინანქრებულმა ლითონის პროდუქციამ. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული კოლექციაც სწორედ სპილენძის მომინანქრებულ ნაკეთობებს გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში შედარებით იაფ მასალასთან გვაქვს საქმე, ეს სრულიად არ აკნინებს ამ ნაკეთობათა მხატვრულ ღირებულებას. ამიტომ მათი შესწავლაც ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

ჩვენს კოლექციაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ყალიანის მოწყობილობები, კოსმეტიკური და პარფიუმერიული ნაწარმისთვის განკუთვნილი სანელსაცხებლე ჭურჭლის ნაკრებები. უპირატესად, მოდური იყო

თვალის საცხის – სობრეს[1] კონტეინერები, რომლებსაც, როგორც ქალები, ასევე მამაკაცები იყენებდნენ. აღნიშნულ კოსმეტიკურ ნაზავსსიმბოლური დატვირთვაც გააჩნდა. ითვლებოდა, რომ იგი საუკეთესო საშუალება იყო ავი თვალისგან თავდასაცავად. კოსმეტიკური საშუალებებისთვის განკუთვნილი მცირე ზომის ეს ნაკეთობები, როგორც წესი, ამავე სახით დამუშავებულ ან ლაქის ფერწერული სიუჟეტებით დამშვენებულ ზარდახშებში იყო მოთავსებული.

მომინანქრებულ იაფ ნაკეთობათა მხატვრულ შემკულობასაც ახასიათებს მჟახე, მყვირალა ფერები, ყაჯარული სტილის დაზგური და მინიატიურული ფერწერისათვის ჩვეული მანერა და შესრულების ტექნიკა. ფერი ყაჯარულ ლითონმქანდაკებლობაში გარკვეული მხატვრული აქცენტების ხაზგასმისთვისაა გამოყენებული, მაგალითად, ლითონის ფერწერული მინანქრის ნიმუშებზე მას, მასალიდან გამომდინარე, დიდი დატვირთვა აქვს. ფერადოვანი გამა, როგორც წესი, მდიდარია და კონტრასტულ ფერთა შეპირისპირებაზეა აგებული. მინანქრის ფერადოვნება მსგავსია მინიატიურასა და კერამიკის პანოებზე დამკვიდრებულ ფერთა გამისა [Scarce J. 1986:631]. კოლორიტში ჭარბობს ინტენსიური ყვითელი, ლურჯი, ცისფერი, მწვანე და ვარდისფერი ტონები. ხშირია ოქროს საღებავით დამუშავებული არშიები და ფურცლოვანი ოქროთი აქცენტირებული დეტალები. მუზეუმის კოლექციის ნივთებზე ორნამენტული გამოსახულებები, როგორც წესი, ლურჯ ან თეთრ, ნეიტრალურ, ფონზეა განთავსებული, მდიდრული ანალოგებისგან განსხვავებით, რომელთა ფონიც მთლიანად ოქროსია ან მასიურად ოქროსავე ფურცლითაა დაფარული. სპილენძის ფერწერულ-მომინანქრებული ნაწარმოებების სიუჟეტური გადაწყვეტაც იმხანად პოპულარულ მოტივებსა და კომპოზიციებს გვთავაზობს, ოღონდ, ამჯერად, სახელოვან ყაჯარ მბრძანებელთა ნაცვლად, პორტრეტულ მედალიონებში გამოსახულნი არიან შეყვარებული წყვილები, ახალგაზრდა მოცეკვავე ქალბატონები, აკრობატები და მუსიკოსები ყვავილთა და ფრინველთა გარემოცვაში. ეს ქალბატონები განსაკუთრებით რეალისტურად არიან გამოსახულნი და გრაციოზულობით გამოირჩევიან. აქაც კვლავ აქტუალურია ლომისა და მზის გამოსახულება. თუ მსგავსი ძვირადღირებული მასალით შესრულებული ნიმუშების მოხატულობა უბადლო, წუნდაუდებელი ოსტატობით იყო შესრულებული, თითბრისა და სპილენძის ანალოგები მხატვრის ხელობისა და შესრულების ტექნიკის მხრივ გაცილებით დაბალი დონისაა. ასევე შეიმჩნევა ქურაში გამოწვისას დაშვებული შეცდომები, ზოგან გამოსახულება და კონტურები გადაშლილი და გადღაბნილია.

გვიანი პერიოდის ყაჯარული ფერწერული მინანქრის შემკულობაში ჭარბობს ნაირფეროვან ყვავილთა თაიგულები, სადაც მარტივად შეგვიძლია, ამოვიცნოთ კონკრეტული ყვავილები: ვარდი, პიონი, ზამბახი და სხვ. ვარდი ხშირად დაწყვილებულად გამოისახება ბულბულთან ერთად. ეს მოტივი სეფიანთა და, განსაკუთრებით, ყაჯართა პერიოდში მკვიდრდება პოეზიასა და ვიზუალურ ხელოვნებაში. ამ ორნამენტულ მოტივს ხშირად მოიხსენიებენ სპარსული ტერმინით - *გულ ო ბოლბოლ*[2]. ორივეს ცალ-ცალკე სიმბოლური დატვირთვა აქვს. პირველი სრულყოფილების,

1 ისლამურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული შავი ან მონაცრისფრო შეფერილობის თვალსაცხი გამოიყენება თვალის კონტურის გასამკვეთრებლად და შედგება ცხოველური ცხიმის, მალაქიტის, თიხისა და ანთიმონის ნაზავისაგან.

2 სპარს. სიტყვასიტყვით – ვარდი და ბულბული.

სილამაზისა და სატრფოს ლიტერატურული მეტაფორაა, შეიძლება აგრეთვე წინასწარმეტყველ მუჰამადის ალეგორიულ სახედაც იყოს გამოყენებული. ბულბული კი მიჯნურს ან პოეტს აღნიშნავს. ბულბული და ვარდი ერთად სიყვარულის სიმბოლოდაა მიჩნეული. იგი სატრფოს, ზოგჯერ მიუღწეველი, შეუძლებელი სიყვარულის მეტაფორადაც კი მოიაზრება.

ამავე პერიოდის ლითონმქანდაკებლობაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა და, შეიძლება ითქვას, წინა პლანზეც კი გადადის ფიგურატიული გამოსახულება, რომელიც არცთუ იშვიათად პორტრეტულია. საყოველთაოდ ცნობილია მუსლიმური რელიგიის უარყოფითი დამოკიდებულება ადამიანისა და ცხოველთა გამოსახვისადმი, რის გამოც ისლამურ ხელოვნებაში ადამიანის მხატვრული ასახვა თავისებურად წარიმართა და ზოგიერთ ეტაპზე გარკვეულ ჩარჩოშიც კი მოექცა. თუმცა ეს ეხება, უმეტესწილად, მხოლოდ სასულიერო ხასიათის მუსლიმურ ხელოვნებასა და არქიტექტურას და არა შემთხვევაში საერო სფეროს, რადგან ჩვენთვის თვალსაჩინოა ადრეული შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობისა თუ დეკორატიული-ხელოვნების მრავალი ისეთი ნიმუში, სადაც უხვადაა გამოყენებული ფიგურატიული გამოსახულებანი (ძირითადად მბრძანებელთა და დიდგვაროვანთა პირადი სივრცეებში, მაგ., სავანეებში, აბანოებში, ჰარამხანასა და სხვ.). ცხადია, ამგვარ მკაცრ აკრძალვებს უკვალოდ არ ჩაუვლია და ნათელია, რომ გარკვეული შეზღუდვები მაინც ზეგავლენას ახდენდა ისლამური ხელოვნების პრინციპებზე. ყოველივე ამის გამო თითქმის არ განვითარებულა მრგვალი ქანდაკება, თუ არ ჩავთვლით ლითონის მცირე პლასტიკის ზოომორფული სახის ნიმუშებს, რომლებიც საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებია [Ward R.1993:17]. ყაჯარული ლითონდამუშავების ნიმუშთა გაფორმებისას ფიგურატიულ დეკორში ჩართულნი არიან საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელნი - დიდგვაროვანნი, წარჩინებული ადამიანები და მათი მოსამსახურენი. მათი სამოსი იმდენად რეალისტურად და ხატოვნადაა გადმოცემული, რომ ძალიან მარტივად შეიძლება ამოვიცნოთ ყაჯარული მოდის ტენდენციები, უფრო მეტიც, ზუსტადაც კი შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ფიგურათა უმრავლესობას ფათჰალი შაჰის პერიოდში დამკვიდრებული მოდური სამოსი – დაჩითული ქსოვილისგან შეკერილი, წელში გამოყვანილი ხალათები მოსავთ. ქსოვილის ქარგა მრავალფეროვანია, ფაქტურა კი ზედმიწევნითაა დამუშავებული. ამიტომ ადვილი შესაძლებელია სხვადასხვა მოხატულობის ქსოვილის ნიმუშთა სახეების გარჩევა (ბუთას ტრადიციული ორნამენტით დაჩითული, მოქარგული ორნამენტული ელემენტები, დაწინწკლული და სხვა მრავალი). ასევე არცთუ იშვიათია ევროპულად ჩაცმული ფიგურები. ჭარბობს ყოფითი და ჟანრული სცენები, რომლებშიც კომპოზიციათა სიუჟეტები ვითარდება როგორც ინტერიერში, ასევე პლენერზე.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის დეტალურად განვიხილოთ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კუთვნილი გვიანი პერიოდის სპარსული მომინანქრებული ნაწარმის რამდენიმე ნიმუში.

1. **ყალამდანი (საინვ. № სხმ/აღ 899).** თითბერი, მინანქარი. XIX ს-ის დასაწყისი. ზომა – 13x14 სმ. შესყიდულია 1913 წელს იაკობ ნიკოლაძისგან 50 მანეთად.

სპეციფიკური ფორმის, საწერი კალმებისთვის განკუთვნილი ზარდახშა, წაგრძელებული ოვალური. დეკორატიული გაფორმება შესრულებუ-

ლია მინანქრის საღებავებით. თეთრ ფონზე გამოსახულია სამი მედალიონი. ცენტრალურ მედალიონში მოცემულია ევროპულად ჩაცმული სამი ქალის პორტრეტული გამოსახულება. ცენტრალური მედალიონის ორივე მხარეს, ოვალურ მედალიონებში კი, მამაკაცების პორტრეტებია განთავსებული. ყალამდანის გაფორმება გამოირჩევა ფერთა ფართო გამით. ჭარბობს წითელი, ყვითელი, იისფერი, მწვანე, ლურჯი ფერები (სურ.1).

2. **ფიალა (საინვ. № სხმ/ალ 3332).** თითბერი, მინანქარი. XVIII ს-ის დასასრული XIX ს-ის დასაწყისი. D-9 სმ. შესყიდულია 1913 წელს.

მომცრო ზომის ფიალა შემკულია მინანქრის ტექნიკით შესრულებული მოხატულობით. კოლორიტში ჭარბობს ყაჯართა ხელოვნებისათვის სახასიათო ჟღერადი ფერთა გამა – ლურჯი, მწვანე ვარდისფერი და სხვ. ფიალის შუა ნაწილში, ვარდებისა და ბულბულების ფონზე, ცენტრალურ მედალიონში, ჩაწერილია ორი გოგონას ფიგურა (სურ. 2).

3 **ჭიქები (საინვ. №.სხმ/ალ 3645-47).** სპილენძი, მინანქარი, XIX ს. H- 5,5 სმ. გადმოცემულია საგანძურიდან 1983 წელს.

მომცრო ზომის ჭიქები განიერი ქუსლით. დეკორი შემკულია მინანქრის საღებავებით შესრულებული მოხატულობით. თეთრ ფონზე ფერადოვანი ყვავილებია გამოსახული, ცენტრალურ ნაწილზე კი, ოვალურ მედალიონებში, ახალგაზრდა მამაკაცების პორტრეტებია მოცემული. მათი ტიპაჟები და გამოსახვის მანერა ტიპურია ყაჯარულ პერიოდში დამკვიდრებული მოდური ტენდენციებისათვის. ჭურჭლის შემკულობაში ჭარბობს მწვანე, ვარდისფერი, ყვითელი (სურ.3).

4 **ყალიანის ფრაგმენტი (საინვ. №სხმ/ალ 999).** სპილენძი, მინანქარი. XIX ს. H-22 სმ. შემოსულია საგანძურიდან 1955 წელს.

შემორჩენილია ყალიანის მხოლოდ ცილინდრული ფორმის ტანი. მოხატულია მინანქრის საღებავებით. მუქ კობალტისფერ ფონზე, ოქროს ფურცლებით შესრულებულ მცენარულ ორნამენტსა და ყვავილებს შორის, გამოსახულია ოვალური მედალიონები, პორტრეტული გამოსახულებებითა და ყვავილების თაიგულებით (სურ.4).

5. **ყალიანის ფრაგმენტი (საინვ. №სხმ/ალ 1006).** სპილენძი, მინანქარი XIX ს. H-22 სმ. შემოსულია საგანძურიდან 1955 წელს.

ცილინდრული ფორმის ყალიანის ფრაგმენტი შემკულია მინანქრის ტექნიკით შესრულებული მოხატულობით. ფერადოვანი ვარდებისა და ყვავილების ფონზე მოცემულია პორტრეტული მედალიონები. პერსონაჟთა სამოსი ევროპული მოდის თანახმადაა შესრულებული. ჭარბობს ვარდისფერი, ლურჯი, ცისფერი, იისფერი (სურ.5).

**6. ზარდახშები (საინვ. №.სხმ/ალ 898 (1-2).** სპილენძი, მინანქარი. XVIII-XIX სს. H-10,5, L-30; 20,5 სმ. შეძენილია თუმანიშვილისგან 1930 წელს.

ოვალური და მოგრძო, ოთხკუთხა ზარდახშები შემკულია ფერადოვან, ყვავილოვან ფონზე გამოსახული მამაკაცისა და ქალის გამოსახულებებით (სურ. 6).

ყაჯართა ეპოქის ლითონის მხატვრულ შემკულობაში, როგორც ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ, უამრავი ახალი მხატვრული სახე და ორნამენტული მოტივი მკვიდრდება. თუმცა დეკორატიული შემკულობის ბაზისია ძველი ირანული მხატვრული ტრადიციები, რომელიც ყაჯარულ ეპოქასაა მორგებული და ერთგვარად ახლებურად წარმოგვიდგება. ყაჯართა ეპოქის

ოსტატები გატაცებით ქმნიდნენ სეფიანური სტილის მინაბაძებს, სესხულობდნენ მხატვრული ნაწარმოებების სიუჟეტებიდან აღებულ პასაჟებს. კომპოზიციათა შინაარსი, მხატვრული თემატიკა და სიუჟეტები ყაჯარული ეპოქის ლითონმქანდაკებლობაში ქმნის, გარკვეული თვალსაზრისით, ახალ კომპოზიციურ სქემას, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ გაცოცხლებულია წარსულის ყველა საუკეთესო მხატვრული სახე, შედეგი სრულიად განსხვავებულია: კომპოზიცია იძენს ახლებურ ელფერს პლანების თავისებური განაწილებითა და მრავალფიგურიანობით, რომლებიც ხშირად თითქოსდა ქაოსურადაა განლაგებული, მაგრამ, ამავე დროს, ეპასუხება ყაჯარული ეპოქის საერთო მხატვრული სტილის სტანდარტებს. ხელოვნების სხვადასხვა დარგში – მინიატიურულ ხელოვნებაში, კერამიკასა და მხატვრულ ქსოვილებზე, ლითონის მსგავსად, მეორდება სწორედ ამგვარი კომპოზიციური სქემა, სადაც პლანების გამიჯვნა, ფიგურების რაკურსები თუ პეიზაჟური ფონი პირობითობი ხასიათისაა ატარებს და რეალურისა და ირეალურის სინთეზია.

ამგვარად, მომნანქრებული ლითონის ნაკეთობების აღწერამ დაგვანახა, რომ, ზოგადად ყაჯარული ხელოვნების მთავარი მახასიათებელი ნიშანი, ზოგადად, სტილის დეკორატიულობა, გადატვირთულობა, დეტალების მიმართ ზედმიწევნითი დამოკიდებულებაა. თვალში საცემია სხვადასხვა დარგს შორის ურთიერთკავშირი, მაგალითისათვის, თვალსაჩინო ხდება მსგავსება და სიახლოვე ლაქის ფერწერასა და გაცილებით დიდი მასშტაბის ნაწარმოებებს შორისაც, მაგ., როგორებიცაა მოჭიქული კერამიკის ფილების პანოები.

**ART CRITICISM**


**Irina Gugunava**

The Georgian National Museum, Shalva Amiranashili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail:gugunavairina@gmail.com


## The 18th-19th cc Iranian Painted Enameled Metal Ware from the Georgian National Museum


### Summary

The reign of the the Qajar dynasty (1785-1925) in Iran can be regarded as one of the most remarkable periods in the Iranian history. In Iran in the 18th -19th cc, the socio-political situation could be described as politically toxic and unstable situation, full of dramatic events. In this period Western civilization (England, Russia, France) permeated Iran more widely and deeply than in earlier times and proliferation of European fashion and style began in local society. In contrast to the poor and underprivileged situation of the country, art in this period flourished and be-

came more popular. This art can be defined as completely eclectic and unified the newly adopted European artistic elements with firmly rooted archaic Iranian traditions. This paper is focused on the examination of Qajar type metalwork, namely a small group of painted enameled ware kept in the Oriental Art Department of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts.

In the 18th-19th cc. the metal ware embellished with the painted enameled technique became actual in aristocratic layers of Qajar noble families. Enameled wares were used for luxurious domestic and personal accessories: sets of vases, dishes, boxes, and qalyān (nargileh or water pipe) bases. This original decorative technique gained popularity in the Qajar Era and is unprecedented phenomenon of this very curious period of Iranian art history. Soon this kind of metalwork became popular not only at Shahs' court, but in ordinary citizens' everyday life too. But despite using of cheaper material pictorial sources and decorative scenes were the same as in the courtly gilded and enameled wares

## ბიბლიოგრაფია


**Melikian–Chirvani A.S. 1983:** Qajar Metalwork: a Study in Cultural Trends. *Qajar Iran: Political, Social& Cultural Change 1800-1925*. pp. 311-328. Edinburg (ed. C.E Bosworth).

**Melikian–Chirvani A.S. 1982:** *Islamic Metalwork from the Iranian World- 8th-18th cc*. London (ed. R Hillenbrand).

**Robinson B.W. 1969:** Qajar Painted Enamels. *Paintings from Islamic Lands*. pp. 187-204. Oxford. (ed. Pinder- R. Wilson).

**Robinson B.W. 1972**: A Royal Qajar Enamel. *British Institute of Persian Studies*. vol. 10. pp. 25-30. London, **Scarce J. 1979:** Function and Decoration in Qajar Tilework. Islam in the Balkans, *Persian art and Culture of the 18th-19th Centuries*. Edinburgh, p.75-86.

**Scarce J. 1986:** Art and Architecture of the Qajar Period. *Enciclopaedia Iranica*. vol. II. pp. 627-637. New York (ed.E. Yarshater).

**Sahranavard M. , Szanto I. 2010:** Metalwork in the Qajar Period. *Artisans at the Crossroads*, Ferenc Hopp Museum of Eastern Asiatic Arts. pp. 86-96. Budapest. (ed B. Kelenyi, I.Szanto).

**Ward R. 1993:** *Islamic Metalwork*. New York.( ed R. Hillenbrand).


## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ.1.** დეკორატიული ყალამდანი

**სურ.2.** ფიალა

**სურ.3.** ჭიქები

**სურ. 4.** ყალიანის ფრაგმენტი

**სურ.5.** ყალიანის ფრაგმენტი

**სურ. 6.** ზარდახშები

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig.1** Pen box
**Fig.2** Bowl
**Fig.3.** Cups
**Fig.4.** Fragment of water pipe bowl, Hookah
**Fig.5.** Fragment of water pipe bowl, Hookah
**Fig.6.** Boxes



**სურ.1 Fig.**



**სურ.2 Fig.**



**სურ.3 Fig.**



**სურ.4 Fig.**



**სურ.5 Fig.**



**სურ.6 Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 358-378
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 358-378

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**ლილი გიორგობიანი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზირი 11, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: lili–giorgobiani@yahoo.com

# ქართველი ქალის თემა მხატვრობაში XIX-XX სს-ის მხატვრული ესთეტიკის განვითარების ფონზე

თემატიკის განსაზღვრულობის მიუხედავად, ჩვენ ის ზოგად-ისტორიული თვალსაზრისით განვიხილეთ, რამეთუ უამისობა რამდენადმე გააძნელებდა ან, უკეთეს შემთხვევაში, ვერ შექმნიდა შთაბეჭდილებას ამ რთულშინაარსიანი თემის სიღრმისეული, არსობრივი გააზრებისა, ქართველი ქალის მხატვრული იერსახის მშვენიერების იმ სრულყოფილების გაგებისა, რაც რეალურად აისახა და დღესაც აისახება მხატვრობაში. ამ საკითხის ამგვარად განხილვა კი უნებურად ნიშნავს განუსაზღვრელობის ფენომენის გათვალისწინებას, რაც არა მხოლოდ ქალის იერსახეს გულისხმობს, არამედ მამაკაცისაც, საერთოდ, ადამიანისას, რადგან განუსაზღვრელობა პრინციპულად ითვალისწინებს არსებობისა და ყოფიერების საკითხს.

ქალის მშვენიერების ასახვა სახვით ხელოვნებაში ორგვარად მიიღწევა: ერთი მხრივ, მხატვრული პრინციპების საშუალებით, როდესაც მთლიანად მათი მიხედვით იქმნება მხატვრის სამეტყველო ენა, ანუ მხატვრული სტილი, მეორენაირად კი - რეალისტურ-დოკუმენტური პრინციპების გათვალისწინებით. ვგულისხმობთ მხატვრული ობიექტის სურათულად, ანუ ნატურალისტურად ასახვას. ამ წესით შესრულებულ პორტრეტებში ნატურის საინტერესოობა რამდენადმე ჯაბნის ან ჩქმალავს მხატვრულ ღირსებას, მაგრამ ასახვის ასეთ მეთოდშიც კი მხატვარს დიდი ოსტატობა სჭირდება, რომ „ცოცხლად" გადმოსცეს საინტერესო ნატურის, ანუ ლამაზი ქალის ან ქალის პიროვნული, ე.წ. ქალი-პიროვნების მომხიბვლელობა. ზოგჯერ სურათულობად შეიძლება მოგვეჩვენოს მხატვრულ პრინციპად ქცეული დოკუმენტური რეალიზმი, რამაც თანამედროვე ხელოვნებაში სხვადასხვა მიმდინარეობის (სიურრეალიზმი, ჰიპერრეალიზმი) სახე მიიღო. არსებობს ასევე კერძო, ინდივიდუალური შემთხვევებიც, რომლებმაც რაიმე მიმდინარეობის სახე არ მიიღო, მაგრამ რეალიზმის ფარგლებში თავისებური მხატვრული ღირებულება შექმნა. იქ, სადაც მხატვრული პრინციპები დომინირებს, ქალის თემა არსებობის მხატვრული ინტერპრეტაციის ასპექტითაა განხორციელებული. ასეთ ნამუშევრებში ქალის მშვენიერება გარეგნული პრინციპით არაა გამოხატული: ინდივიდუალური მხატვრული მეთოდებით, აბსტრაქტული ან პირობითი ხერხებით მათში მიზანდასახულია ქალურობის, ქალის შინაგანი სიფაქიზისა თუ სირთულის

გადმოცემის საშუალებით ადამიანურობის ღრმა განცდის ზოგადად გამოხატვა. ასეთ მხატვრობასთან შედარებით რეალისტურ-დოკუმენტურ მხატვრობას ერთადერთი „უპირატესობა" შეიძლება გააჩნდეს, კერძოდ, იგი, ფოტოსგან განსხვავებით, „ცოცხლად" გადმოგვცემს მომხიბვლელი თუ საინტერესო რეალური ქალის სახესა და სპეციფიკურ ხასიათს.

ისტორიულად მართლაც საინტერესოა, როგორი შეხედულება ჰქონდათ ადამიანებს განსაზღვრულ ეპოქებში ქალის მშვენიერებაზე. ისტორიისთვის საინტერესოა ქალი-პიროვნების „ცოცხალი" მხატვრული სახეებიც. ყველას მოეხსენება, რომ მხატვრები დიდი ინტიმით ხატავენ თავიანთ ახლობელ, საყვარელ ქალებს. ესეც თავისებურ ინტერესს იწვევს, თუ როგორ ხედავს და ახორციელებს მხატვარი თავის ახლობელ ქალს. არიან მხატვრები, რომლებიც ახლობელი ქალის სახის განზოგადების, მხატვრული ინტერპრეტაციის საშუალებით ეპოქის სულიერ განწყობას გამოხატავენ. არიან ისეთებიც, რომლებიც საგანგებოდ არჩევენ ლამაზ ან პიროვნულად საინტერესო ქალს დასახატავად. ალბათ ყველა შემთხვევა ყურადსაღებია, თუკი მხატვარი „ცოცხალ" შედეგს აღწევს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მხატვრის შემოქმედებითი მასშტაბი (ხარისხი) მაინცდამაინც ქალის თემის გადმოცემაში, შესაძლოა, არ გამომჟღავნდა, მაგრამ ქალის თემის ამსახველ მათს სურათებშიც იგრძნობა განსაკუთრებული მხატვრული დონე. ზოგიერთი მხატვრის შემოქმედებაში კი ქალის თემაზე შექმნილ სურათებში ინდივიდუალური მხატვრული შესაძლებლობები შეესაბამება მათს შემოქმედებით კრედოსა და ძალას. ანუ, მხატვრული სტილი და ხარისხი ემთხვევა ავტორების შემოქმედების მხატვრულ შესაძლებლობებსა და მასშტაბს.

ქალის თემა მხატვრებს, საერთოდ, მოსახერხებელ შესაძლებლობებს აძლევდა და აძლევს ინდივიდუალური კოლორისტული ძიებებისა თუ გამომსახველობითი საშუალებების გასავითარებლად: თუ რომელიმე მხატვრისთვის ქალის თემა „რბილი" და ჰაეროვანი ფერწერულობის შექმნის საბაბი იყო, მეორე მხატვრისთვის ის ინტენსიური ფერწერის ან პირობითი მხატვრული ხერხებით გამომსახველობის მოძიების მოტივს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, თანამედროვე ხელოვნებაში (XIX ს-ის დასასრული - XX ს-ის დასაწყისი) ამ მიმართულებით ინდივიდუალური ხედვებიც კი ჩამოყალიბდა, რომლებიც ხშირად ამა თუ იმ მხატვრის მხატვრულ თვალსაზრისსაც გამოხატავს. სამხატვრო წრეებში ხშირად გავიგონებთ გამონათქვამებს: „დეგას, რენუარის, გოგენის, პიკასოსა და მოდილიანის ქალები", „ფიროსმანის ტურფები" და სხვ. ამ გამონათქვამებში ლაკონიურადაა გამოხატული ის, რომ თითოეულმა დასახელებულმა მხატვარმა ქალის თემის საშუალებით თავისი, სპეციფიკური, ინდივიდუალური მხატვრული ხედვა და სისტემა გამოავლინა, მოახდინა ადამიანის მშვენიერების თავისებური ინტერპრეტირება, შექმნა განუმეორებელი მოდელი, რომელიც თითქოს საკუთარი ფილოსოფიური სისტემის შემცველი ხატია საერთოდ არსებობისა და ადამიანის შესახებ.

მხატვრული ხერხების უკიდურესი პირობითობის გამო კუბისტური მიმდინარეობა თითქოს არც საჭიროებდა ქალის მოტივს, მაგრამ კუბისტებიც და შემდგომ ნახევრად ფიგურატიული ფერწერის მიმდევრები მაინც გამოსახავდნენ ქალის ფიგურას. ამის მიზეზი ალბათ აბსტრაქტული ფორმების გაადამიანება უნდა იყოს. ასეთი მიმართულების მხატვრებს

თითქოს მიზნად ჰქონდათ ქალის ისეთი იერსახეები შეექმნათ, რომლებშიც ქალურობა, როგორც განსაკუთრებული მგრძნობელობა და ხორციელი მომხიბვლელობა, გაექროთ საერთოდ და ქალის მონუმენტური, „სფინქსისებური" გაგების არამგრძნობიარე, არასენტიმენტალური სახეები შეექმნათ. ქალის თემის ასეთ ინტერპრეტაციას რუბენსის ქალებს ან ლეონარდო დავინჩის ქალებს თუ შევადარებთ, დიდ კონტრასტებს წავაწყდებით.

ყოველივე ეს, კერძოდ, მხატვრული საშუალებების თავისებურებები, დამოკიდებულია უშუალოდ მხატვრის მსოფლმხედველობაზე. როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა აქვს, მხატვარი თეისტია თუ ათეისტი; ფილოსოფიური გააზრებისა და მოწესრიგების ხაზისაა თუ ბრმად იმპულსური, რევოლუციურად ბუნტარული და ნოვატორული; ტრადიციულად ბრძენი და ადამიანური, ცივი, უსხივო მოაზროვნეა თუ, პირიქით, თბილი, სხივიანი მოაზროვნე. ხშირად ეს დაპირისპირებები განუსაზღვრელად იჩენს თავს ერთი მხატვრის შემოქმედებაში, მაგალითად, პაბლო პიკასოს „სფინქსისებური" (კუბისტური ხასიათის) ქალის ნიღბების პარალელურად აქვს უაღრესად ფაქიზი, ადამიანურობითა და ქალურობით აღსავსე ქალის იერსახეებიც. ამიტომ ალბათ უშედეგო აღმოჩნდება, თუ შევეცდებით, დაპირისპირებულ მხატვრულ სტილთაგან ერთ-ერთს მივანიჭოთ უპირატესობა კატეგორიულად. მხოლოდ ერთის აღნიშვნა შეიძლება ცალსახად, ქალურობასა და ქალის მშვენიერებას ის მხატვრული საშუალებები უფრო გამოხატავს, რომლებიც ზედმიწევნით აბსტრაქტული და პირობითი არაა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქალის მშვენიერება დოკუმენტური მიდგომით საკმაოდ პირობითი და ცვალებადია. თითოეულ მცირე ეპოქას თავისი მშვენიერი ქალის ტიპი ჰყავს. სილამაზე, რომელიც ერთ ეპოქაში მშვენიერებად აღიქმება, მეორე ეპოქისთვის შეიძლება სრულიადაც არ იყოს მშვენიერი, მაგრამ, მხატვრული განზოგადების მასშტაბურობის წყალობით, ქალის სულ უბრალო სახეც კი შეიძლება, უმშვენიერესად აღიქმებოდეს ყველა ეპოქაში. ქალის თემა, რა თქმა უნდა, არ განსაზღვრავს მხატვრობის არსს, მაგრამ ისიც გათვალისწინებელია, რომ სახვითი ხელოვნების წარმოდგენა შეუძლებელია ქალის თემის გარეშე. ვინც ოდნავ მაინც დაინტერესებულია ამ საკითხით, კარგად მოეხსენება, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ თემას სახვით ხელოვნებაში.

ჯერ კიდევ უძველეს ეპოქათა ოსტატები ღვთაების, მეომრისა და ნადირობის თემების პარალელურად დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქალის თემას, რაც იმხანად დაკავშირებული იყო ნაყოფიერების კულტთან. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი ადგილი ეკავა ქალის მოტივს ძველ ინდურ ხელოვნებაში, ჩინურ სახვით კულტურაში. ქალის თემა ხშირად ძველ მხატვრობაში მითოლოგიურ თემატიკასთანაც იყო დაკავშირებული. ქალის მკერდიანი და ცხოველის სხეულიანი ფრთოსანი არსებების სტატუეტები ამის დამადასტურებელია. ქალისა და მითოსური თემების შერწყმამ უძველეს ხელოვნებაში თავისებური პირობითი მხატვრულობა წარმოქმნა. ამ პირობითობის გამომხატველი ნიმუშები გვხვდება ეგვიპტის, შუამდინარეთის ხელოვნებაში და სხვ. მათი ხილვისას ესთეტიკურ განცდას არა მხოლოდ ქალური მშვენიერება იწვევს, არამედ პირობით-მხატვრული აბსტრაქტულობაც, განზოგადება. იმავე ეგვიპტურ ხელოვნებაში, კერძოდ, ფარაონ ექნატონის დროს, წინა ეპოქებისგან განსხვავებით, მხატვრული აზ-

როვნება არ გამოირჩეოდა მკაცრი რელიგიური დოგმატიკით და სწორედ ამ შედარებით „ლიბერალურმა" მხატვრულმა აზროვნებამ შეაქმნევინა მხატვარ ტუტმოსს ეგვიპტური ხელოვნების საყოველთაოდ აღიარებული შედევრი - დედოფალ „ნეფერტიტის პორტრეტი". როცა ამ პორტრეტს ვუმზერთ, ძნელია, განვსაზღვროთ, სად ემიჯნება ერთმანეთს ქალური სინატიფისა და ქვის მხატვრული თლის დახვეწილობის ზემოქმედება. ნეფერტიტის გამოსახულება იმდენად იწვევს ქალის იდეალური მშვენიერების განცდას, რომ წამით შეიძლება დაგვავიწყდეს, რომ ამ მშვენიერების ესთეტიკურ გრძნობას სწორედ მაღალი რანგის მხატვრული ენა წარმოშობს.

ქალის თემა თავისებურად განავითარა ანტიკურმა ხელოვნებამ. ძველ საბერძნეთში მითოლოგიური აზროვნება თანდათანობით ფილოსოფიურ, „თავისუფალ" აზროვნებად გარდაიქმნა. ამ პროცესმა თავი იჩინა ხელოვნებაშიც. ბერძენმა ფილოსოფოსებმა და მხატვრებმა ადამიანის გონებასა და სხეულს, საერთოდ, ადამიანის ფენომენს ისეთივე დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, როგორსაც უძველესი რელიგიები ანიჭებდნენ ზებუნებრივ ძალებსა და ღვთაებებს. აქედან გამომდინარე, ძველმა ბერძენმა ხელოვანებმა რეალური ადამიანის ღვთაებრივი, იდეალური გაგება შექმნეს, რასაც შემდგომ კლასიკა დაერქვა. ამის ბრწყინვალე ნიმუშებია: „ნიკეს" (ფრთოსანი ქალის) გამოსახულება, როგორც ადამიანის გონების აღზევებისა და გამარჯვების სიმბოლო, „ვენერა მილოსელი", როგორც ქალის მშვენიერების სიმბოლო-ხატი და სხვ.

ბიზანტიურ ხელოვნებაში სახვითი საშუალებები ისევ პირობითი გახდა, ქრისტიანული მსოფლმხედველობის მისტიციზმიდან გამომდინარე. ბიზანტიური მხატვრული პირობითობა, ერთი მხრივ, არამატერიალურ, ტრანსცენდენტურ, ციურ სიმსუბუქესა და აბსტრაქტულობას ქმნიდა, მეორე მხრივ კი – სულიერ ადამიანს. ამ დიდ ისტორიულ პერიოდშიც უდიდესი ყურადღება მიექცა ქალის თემას მხატვრობაში. საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, თუ რაოდენ მდიდარია საქრისტიანო სამყარო ღვთისმშობლის ხატებით. ბიზანტიურ ხელოვნებაში ქალი, ღვთისმშობლის სახის წყალობით, ღვთაებრიობის ელემენტს იძენს. უმანკო ჩასახვის, მარადიული ქალწულის რთული შინაარსის შემცველი ცნებები მხატვრებს საშუალებას აძლევდა, არა მხოლოდ ქალური მშვენება გამოეხატათ ქალის სახით, არამედ სიწმინდეც. შუა საუკუნეების ხელოვნებამ სიწმინდის გამოსახვა მხატვრობის ყველაზე მნიშვნელოვან და ურთულეს ამოცანად აქცია. ამგვარი ხედვა, ცხადია, შესატყვის მხატვრულ ენას მოითხოვდა, რომელსაც ადამიანურობასთან ერთად ღვთაებრივი სიწმინდეც უნდა გამოესახა. ქალის თემისადმი მიწიერი, სხეულებრივი, რეალისტური მიდგომით სიწმინდე ვერ გამოისახებოდა. ამიტომ მხატვრები ეძებდნენ და პოულობდნენ ისეთ პირობითობას, ისეთ აბსტრაქტულ გამომსახველობას, რომელიც ზედმეტი კონკრეტულობისა და სხეულებრიობისაგან გათავისუფლებულ ადამიანურობას განასახიერებდა.

XI ს-ის ცნობილ „ხახულის კარედის ხატზე" თითქოს მხოლოდ აბსტრაქტული ხაზითაა შემოხაზული ქალის ფიგურა, მაგრამ, ტიხრული მინანქრის წყალობით, ჩვენ გვეუფლება ესთეტიკური განცდა, რომელიც აღსავსეა სიმშვიდით, სინათლითა და ადამიანურობით. ძნელია იმის თქმა, გულისხმობდა თუ არა უცნობი ქართველი მხატვარი ღვთისმშობლის განზოგადებულ ფიგურაში რეალურ ქალს, მაგრამ ალბათ გამორიცხული

არაა, რომ მხატვარმა სწორედ რეალური ქალის ფიგურა გამოიყენა თავისი შედევრის შესაქმნელად. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას საყოველთაოდ ცნობილ ათონის ღვთისმშობლის ხატზეც, რომელიც ქართული და არაქართული ბევრი ქრისტიანული კერისთვის ღვთისმშობლის ხატის შექმნის მისაბაძ ნიმუშად იქცა. ქრისტიანულ მხატვრობაში ხშირად ანგელოსებსა და ქერუბიმებს ფრთოსანი ქალის სახით გამოსახავდნენ. ამაშიც ჩანს, თუ რა დიდ აზრს დებდა ქრისტიანული აზროვნება ქალის ფენომენში. დიადი ყინწვისის ანგელოსი თითქოს შეუძლებელია რეალური ქალი იყოს, მაგრამ ალბათ დასაშვებია, რომ გენიალურმა მხატვარმა სწორედ მიწიერი ქალის სახისგან შექმნა ადამიანური სიწმინდის ეს ზოგადი სახე.

საბედნიეროდ, შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში შემორჩა რეალურად არსებული ქალი-პიროვნების ხატი თამარ მეფის სახით. ხალხური გადმოცემა გვეუბნება, რომ თამარ მეფე მშვენიერი იყო. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც”, თამარ მეფის ისტორიკოსიცა და ჩახრუხაძეც აშკარად მიგვანიშნებენ თამარის ქალურსა და პიროვნულ მშვენიერებაზე. კედლის მონუმენტურ მხატვრობაში (ბეთანია, ყინწვისი, ვარძია, დავითგარეჯი) თამარის მშვენიერებას რეალისტურად, სურათულად ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ ქრისტიანული მხატვრული პირობითობა და დეკორატიულობა, როგორც უკვე ითქვა, რეალობიდან მოწყვეტილ ადამიანურ სიწმინდეს განასახიერებდა და არა გარეგნულ მსგავსებას. თამარ მეფის ამსახველ მონუმენტურ ფრესკებში მის მშვენიერებას პირობითი, აბსტრაქტული ფორმებისა და ფერების მწყობრი რიტმი და ადამიანურობის დიდებული სულიერი განცდა განაპირობებს (სურ.1). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თამარის მშვენიერება და პიროვნული სიმძლავრე ადამიანის სიდიადის კრისტალიზებულად განწმენდილ მხატვრულ სფეროში, ველში განიჭვრიტება. ის, ვინც მხატვრობისგან სურათულობას, ე.ი. მატერიალური სინამდვილის, ასე ვთქვათ, ზედაპირულ ასლს მოითხოვს, ვერ შეიგრძნობს იმ ქალურ მშვენიერებას, რომელიც ამ რეალური იერსახეებითაა გადმოცემული. ისინი, შესაძლოა, გარეგნულად რეალობას არ ასახავენ, მაგრამ შინაგანად, უთუოდ, გამოხატავენ სულიერი და გონიერი ქალის მშვენიერებას, მხოლოდ ეს მშვენიერება გამოხატულია არა ქალის ხორციელი ატრიბუტების სახით, არამედ სულიერი სიდიადის გამომხატველი მხატვრული პირობითობის მეშვეობით. ვინც ამ მხატვრულ პირობითობას გრძნობს, იგი ქალურ მშვენიერებასაც არახორციელად აღიქვამს.

ოდნავ მიმსგავსებული რამ ხდება, როცა სულ სხვა ეპოქის, XX ს-ის, გენიალური ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანაშვილის, „აქტრისა მარგარიტას” ვჭვრეტთ. ლეგენდის თანახმად, ფრანგი მოცეკვავე ქალი ისეთი მშვენიერი ყოფილა, რომ ფიროსმანმა პირველი დანახვისთანავე შეიყვარა იგი. მხატვრის ტილოზე მსგავს დოკუმენტურ, რეალურ სილამაზეს, ცხადია, ვერ ვხედავთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ ვგრძნობთ დიდი სიყვარულის ტოლფასოვან მხატვრულ ექსპრესიას, ტემპერამენტს, რომლითაც შესაძლებელია მხოლოდ სათაყვანებელი მშვენიერების გადმოცემა. რაც არ უნდა ფიროსმანისეულად გეომეტრიული ლაკონიზმითა და არანატურალისტურად იყოს გამოხატული მარგარიტას სახე და სხეული, თუ ასეთი კუთხით შევხედავთ ტილოზე აშოლტილი ქალის გამოსახულებას, უდავოდ, მშვენიერების ესთეტიკურ განცდას აღგვიძრავს ისე, რომ უზადო ნატურალიზმით დახატული სხვა მომხიბვლელი ქალი შეიძლება „ცარიელ” და უშნო ფიტულად მოგვეჩვენოს ფიროსმანის აქტრისა მარ-

გარიტასთან შედარებით, რომელიც ისე მდიდრულად ასხივებს, რომ შეუძლებელია, მშვენიერად არ აღიქვა.

აღორძინების ეპოქის ხელოვნებამ კვლავ გაამახვილა სინამდვილეზე ყურადღება და შექმნა სინამდვილის გამომხატველი იდეალიზებული ჰუმანიზმის ესთეტიკა. საკმარისია გავიხსენოთ დიდი მხატვრების მიერ ქალის თემაზე შექმნილი შედევრები – ბოტიჩელის „აფროდიტას დაბადება", რაფაელის „სიქსტის მადონა", ლეონარდო დავინჩის „მონალიზა", „ქალი სიასამურით", მიქელანჯელოს „პიეტა", ჯორჯონესა და ტიციანის „ვენერები", რომ გავაცნობიეროთ, თუ რა მრავალწახნაგოვანი აზრით აღიბეჭდა ქალის თემა აღორძინების ეპოქაში, სადაც იდეალიზებული სულიერების პარალელურად, მიღწეულ იქნა იდეალიზებული სხეულებრივობაც.

ბაროკოს ეპოქის ხელოვნებაში ქალის თემამ მანამდე არნახული ღრმა ადამიანურობა და ტრაგიზმიც კი შეიძინა. გავიხსენოთ ველასკესის ინფანტა მარგარიტას პარადული, მაგრამ სევდიანი იერსახეები. რემბრანდტის ქალის პორტრეტები კი, მხატვრული იერსახეების სიღრმისეულობის შეფასების ეტალონადაც იქცა.

იმპრესიონისტებმა თავიანთ ნაწარმოებებში წინა პლანზე მხატვრული მეთოდი წამოსწიეს, რაც მიზნად ისახავდა მზით აღსავსე ჰაერის ციმციმისა და ჟღერადობის გადმოცემას. ამის გამო იმპრესიონისტული ფორმა რამდენადმე განუსაზღვრელი და არაკატეგორიული გახდა. ქალის თემა თითქოს უკანა პლანზე უნდა გადაწეულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. მან კვლავ შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა მხატვრობაში, ოღონდ რამდენადმე ახალი ინტერპრეტაცია შეიძინა. ახალმა ინტერპრეტაციამ ქალის თემა გაათავისუფლა რელიგიური ღვთაებრიობისგან და რენესანსული იდეალიზებისგან. სამაგიეროდ, გაჩნდა ქალის, როგორც ადამიანის პრიმატის, ე.ი. ბუნებრივი ძირების, ასე ვთქვათ, ევას არსის ინდივიდუალისტური, ფილოსოფიური ძიება. არარელიგიური ევა, ანუ ქალის პრიმატი ალბათ ის განუსაზღვრელია და ერთგვარად ბუნდოვანი (განსაკუთრებით, პოსტიმპრესიონისტებთან), რომ ზედმიწევნით შეესაბამება მათი მხატვრული მეთოდით ფორმის ინტერპრეტაციის განუსაზღვრელობას. ზოგჯერ მხატვრები ქალის მკვეთრად პროზაულ, რამდენადმე განგებ გაუხეშებულ იერსახეებს ქმნიან, ზოგჯერ კი – ქალის ველურ ძირებს გამოხატავენ. ერთიანი ფერწერული სისტემის მიუხედავად, თითოეული მხატვარი თავისი მხატვრული მეთოდის შესაბამისად ინდივიდუალური ინტერპრეტაციით ასახავს ქალის თემას, მაგალითად, თუ რენუარის ქალები „სირბილითა" და ჰაეროვანი ხორციელობით ხასიათდებიან, დეგას ქალებს „თლილი" არისტოკრატიზმი ახასიათებთ, მაშინ, როცა ტულუზ ლოტრეკის გროტესკულად ნევროზული ქალები არისტოკრატიული ბოჰემურობით გამოირჩევიან. სულ სხვა ტიპის ქალის იერსახე შექმნა პოლ გოგენმა, როცა თავისი ტაიტელებით ცივილიზაციას ბუნების ველური შვილობისკენ მოუწოდა. უაღრესად საინტერესოა სეზანის დამოკიდებულება ქალის თემის მიმართ. როგორც ცნობილია, სეზანმა ფერწერის ისტორიაში პირველმა დასვა ფერისა და ფორმის ესთეტიკური თვითღირებულების საკითხი. სწორედ ამიტომ მან მაქსიმალურად გაათავისუფლა თავისი პორტრეტები ფსიქოლოგიზმისაგან. მიუხედავად იმისა, რომ იგი სახიერ მატერიალურობას (მახასიათებელ ნიშნებს) ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, მის მიერ შექმნილი იერსახეები სავსეა ღრმა ადამიანური დრამატიზმით.

გავიხსენოთ „მოხუცი ქალი კრიალოსნით", „მეუღლის პორტრეტი" და სხვ. რაც შეეხება „მობანავე ქალების" თემაზე შექმნილ კომპოზიციებს, მათში მხატვარი ეძებდა ადამიანისა და ბუნების მთლიანობის ფერწერულ ადეკვატურობას. ქალის ფიგურები აქ იმდენად დისპროპორციულია, რომ პირველშობილი, ისტორიისგან ჯერ ხელუხლებელი, ადამიანების ასოციაციას იწვევენ. ასეთმა ღრმა ინტერპრეტაციამ თანამედროვე მხატვრობაში ადამიანის პრიმატისა და შინაგანი საიდუმლოს ძიება ინტუიტიურ-აბსტრაქტული მხატვრულობით წარმოშვა და არა რელიგიურად.

სამწუხაროდ, XIII-XVIII სს-ში რთულმა ისტორიულმა ვითარებამ (კერძოდ, მუსულმანური სამყაროს მოძალებამ) შეაფერხა ქართული მხატვრული აზროვნება და, შესაბამისად, კავშირი მოსპო ევროპულ სამყაროსთანაც. მხოლოდ აქა-იქ გრძელდებოდა უკვე ამოწურული ქართული ტრადიციული მონუმენტური და დაზგური ხატწერის იმპულსური და დროებითი ინერცია. XVIII ს-დან თანდათან შემოიჭრა დასავლური მსოფლხედვა, შესაბამისი ხერხები (ვგულისხმობთ რეალისტური დაზგური მხატვრობის ნიშნებს) და დაეფუძნა ადგილობრივ მხატვრულ ნიადაგს. XIX ს-დან გამოცოცხლდა თუ არა ქართველის მიერ თავისი ევროპიელობის შეგრძნება, ეროვნულობის განცდაც განახლდა. 20-30-იანი წლებისთვის ყალიბდება „ტფილისური ფერწერული პორტრეტული სკოლა", რომლის თავისებურება და მომხიბვლელობა მის მრავალფეროვნებაში, გარკვეულწილად, ეკლექტურობაშიც კი მდგომარეობს. ვგულისხმობთ ევროპული და აღმოსავლური (კერძოდ, ირანული ანუ ყაჯარული) ფერწერული პრინციპების თავისებურ, განუმეორებელ შეთანხმებასა თუ შეუთახმებლობას. ერთ-ერთ ასეთ თავისებურებასთან გვაქვს საქმე „ნინო ქსნის ერისთავის პორტრეტში" (სურ.2), სადაც ქართული („ტფილისური") ელემენტი სწორედ ამ თავისებურ შეთანხმებას, სინთეზს გულისხმობს. საუკეთესო ნიმუშებში - „თეკლა ბატონიშვილის", „მარიამ ავალიშვილის", „სალომე ორბელიანის", „მაყაშვილის მეუღლისა" და სხვა პორტრეტებში მეტყველი ინდივიდუალურობა გამოიხატება მძაფრად სახასიათო იერსახეებში.

ქართული რეალისტური მხატვრობის განვითარების მეორე ეტაპი, რომელიც XIX ს-ის 80-90-იანი წლებიდან იწყება, ევროპული რეალისტური დაზგური ფერწერის ახალი ტალღით აღინიშნება. ამ ეტაპს ქმნის ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფი (გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე ბერიძე, ალექსანდრე მრევლიშვილი, რომანოზ გველესიანი, მოსე თოიძე და სხვ.), რომლებიც პროფესიულ განათლებას დასავლეთ ევროპის ან რუსეთის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლებში იღებენ. ამ ეტაპზე მხატვრობა აშკარად უფრო რეალისტური ხდება, მაგრამ თითქოს სრულიად იკარგება ადგილობრივი მხატვრული ტრადიციები, ქრება ნაციონალური სახე.

XX ს-ის დასაწყისში ქართული მხატვრობა უმაღლეს მწვერვალს თვითნასწავლი მხატვრის - ფიროსმანის საშუალებით აღწევს. ფიროსმანი ახალი მხატვრული ეპოქის ფუძემდებელია საქართველოში. მისი მხატვრული მეთოდი მშვენიერების თავისებურ გაგებას გვთავაზობს, რაც მეტად საინტერესო ფენომენია ქართული და, ზოგადად, მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. ფიროსმანის მიერ შესრულებულ ქალთა იერსახეებში უფრო ქალის ტიპი-ხატია მოწოდებული, ვიდრე დოკუმენტური სახე (სურ.4). ფიროსმანისეული ტიპი-ხატი, თავისებური პირობითი „სასაცილოობით",

ერთი მხრივ, უაღრესად დიდ სითბოსა და ადამიანურობას ასხივებს, მეორე მხრივ კი - მარადიულ, კოსმოსურ, ტრანსცენდენტულ გამოხედვას, რაც კოსმოსური სიდიადით ავსებს მის ადამიანურობას. ამ ტიპი-ხატის შინაგანი მუხტი იმდენადაა მძლავრი, რამდენადაც დაწმენდილი და გამართული ინდივიდუალური მხატვრული სტილი გააჩნია ფიროსმანს. ეს მეტაფორული ხატები თავიანთი პირობითობით თითქოს მოწყვეტილია სინამდვილეს, მაგრამ, უცნაური საიდუმლოს წყალობით, რომელიც ფიროსმანს გააჩნია, ერთდროულად არამიწიერიცაა და ცხოვრებისეულიც. ფიროსმანისთვის დამახასიათებელი ლაკონიზმით შესრულებული ეს პირობითი ხატები ერთი შეხედვით კომიკურ გროტესკებად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ მეორე წამში ისეთი ღრმა დრამატიზმით აღიქმება ქალური ბავშვურობა, სიკეკლუცე და მომხიბვლელობა, რომ „სასაცილოობის" გამომწვევი პირობითი პორტრეტული ნიშნები (დაბერილი პატარა ტუჩები, ნესტოდაბერილი ცხვირის მინიშნება, სქლად მოხაზული წარბები, ეგზალტირებული, მარადისობაში მზირალი თვალები, სავსე, კვერცხისებური სახე, გამოკვეთილი ღაბაბი, პატარა შუბლი) ტრაგიკულ შეცნობას ერწყმის ჩვენს აღქმაში, ამასთან, ფიროსმანისვე ცხოველებივით უშუალონი და კეკლუცნი, თან ანგელოსურნი და თან ტრაგიკულნი, ისინი სიცილნარევ სიყვარულსაც იმსახურებენ და განმწმენდავ მოწიწებასაც. ქართულ მხატვრობაში პირველად ფიროსმანმა გაბედა „დაცემული" ქალების გამოსახვა, რომლის ტურფებიც ღიმილნარევ თანაგრძნობას იწვევენ მჭვრეტელში. იგი უბრალო ხალხში „გათქვეფილ" ქალებს ხატავდა და მათი მეშვეობით მნიშვნელოვან სახეებს ქმნიდა. მისი ერთ-ერთი შედევრი „ქალი ლუდით" გვანცვიფრებს ამ იერსახის ფსიქოლოგიური სირთულით. იგი ქალურიც არის და კეკლუციც, მაგრამ, ამავე დროს, დიდებული და ტრაგიკული - თან სასაცილოა და თან ღრმად სერიოზული.

ხელოვნებაში იერსახის ისეთი „სასაცილოობის" შექმნა, რომელსაც ღრმა დრამატული განცდა ახლავს, უძნელესი უნდა იყოს. ასეთ რთულ იერსახეებს ბევრი ვერ ქმნიდა ხელოვნების ისტორიაში. სანიმუშოა სერვანტესის დონ-კიხოტი, ჩარლი ჩაპლინის მაგალითი ვერ გამოგვადგება, რადგან იგი ჯამბაზური ტიპის კომიკოსია. სერვანტესი და ფიროსმანი კი არავითარ შემთხვევაში არ არიან კომიკოსები. მათი იერსახეების ცრემლნარევი „სასაცილოობა" სულ სხვა კატეგორიაა. მათთან უფრო დაკნინებული სახის საშუალებით დიადის მოწოდების ცნება თუ მხატვრული ხერხი ამოიკითხება, ე.ი. როცა „სასაცილოობას" ვამბობთ, არ ვგულისხმობთ კომიკური სანახაობით გამოწვეულ ღია ხარხარს. „სასაცილოობა", ჩვენი გაგებით, ჩუმი, უხილავი ღიმილის მსგავსი განცდაა. ფიროსმანთან ეს „სასაცილოობა" ხშირად დაუჯერებლად უხილავი სიწმინდის სახით წარმოგვიდგება. მაგალითისთვის მოვიხმობთ მის ტილოს - „ქალი აღდგომის კვერცხებით". ქალის იერსახე აქ იმხელა პატიოსნებას, სითბოს გამოასხივებს, რომ ანგელოსის რეალური გამოცხადების მაგვარი განცდა გვეუფლება.

ქართული სახვითი ხელოვნება ახალ აღმავლობას XX ს-ის 20-იან წლებში განიცდის. სამხატვრო ასპარეზზე გამოდის მხატვართა ერთი ჯგუფი - დავით კაკაბაძე, პეტრე ოცხელი, ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი და სხვ., - რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღვით ევროპული ორიენტაციის ქართული მხატვრობის განვითარებაში. მათი წყალობით

ქართულმა მხატვრობამ მსოფლიოს ხელოვნების დონეს მიაღწია.

უაღრესად საინტერესო შედეგების მომსწრე გაგვხადა როგორც პიონერმა და ავანგარდისტმა დავით კაკაბაძემ. იგი 20-იან წლებში უშუალოდ პარიზში ავითარებდა თავის მოდერნულ ხელოვნებას, სახავდა ავანგარდიზმის ახალ გზებს. ალბათ ამ ძიებებმა განაპირობეს პორტრეტული ჟანრის მიმართ მისი ნაკლები ინტერესი, თუმცა, განსაკუთრებული მხატვრული დონე ამ ჟანრშიც იგრძნობა. აქ გამოვლენილი ინდივიდუალური მხატვრული შესაძლებლობები შეესაბამება მთლიანად ავტორის შემოქმედებით კრედოს. ცნობილი ტილო „იმერეთი დედაჩემი" დედის თემას ეძღვნება (სურ.5). იმერეთის ლირიკული ბუნების ფონზე გამოსახულია ზრუნვით შეჭირვებული მქსოველი ქალი. ავტორს თითქოს მიზნად ჰქონდა, დედის სახით ზრუნვის განზოგადებული პორტრეტი შეექმნა. მიუხედავად მზრუნველობის გამომხატველი სახის ნაკვთებისა, იერსახე აბსოლუტურად არაა სენტიმენტური. მხატვარი თითქოს ცდილობდა გულგრილი ობიექტურობით გვეჭვრიტა დედის სახე. საინტერესოა ნახატის შესრულების მეთოდი, რომელიც მის ერთ-ერთ ავტოპორტრეტშიც გვხვდება. ჩვენი აზრით, ამ მხატვრულ მეთოდს, რომლითაც მხატვარი უმცირესი ყვავილების დეტალურად წარმოჩენას ცდილობს, თუ მცდარად არ აღვიქვამთ, პირობითად შეიძლება „ავანგარდული დეტალიზმი" ან „ლირიკული ნატურალიზმი" ვუწოდოთ. ჩვენ არ ვცდილობთ, სახელი დავარქვათ ამ მხატვრულ მეთოდს, მხოლოდ გვსურს, გავიაზროთ იგი. ცხადია, რომ ამ ფერწერულ ტილოს საერთო არაფერი აქვს აკადემიურ რეალიზმთან. იგი თანამედროვე მხატვრული აზროვნების შედეგია და მასში დეტალურობა მხატვრული მეთოდის პრინციპითაა ნაკარნახევი და არა რეალობის ასლის შექმნის სურვილით. ტილოზე დეტალურად ინტერპრირებული ბუნება დედის რთული სახის ზღაპრულ პრიმატსა და უშუალობაზე მიუთითებს. როგორც ცნობილია, დავით კაკაბაძეს საერთოდ ახასიათებდა ასეთი რთული აბსტრაქტული აზროვნება.

საინტერესოა ასევე ლადო გუდიაშვილის ევროპული დონის მხატვრული მიღწევები. მისი შემოქმედების საწყისი პერიოდის ექსპრესიონიზმი, კერძოდ, ე.წ. მუქი პერიოდის (20-იანი წლების) ნამუშევრები XX ს-ის ქართული მხატვრობის უდავო მიღწევა და მონაპოვარია. მოგვიანებით (40-50-იანი წლებიდან), როცა მხატვარი ფერწერული ამოცანებით ინტერესდება, შესაბამისად, იცვლება მისი შესრულების მანერაც. ამ ეტაპზე ქალის თემა ერთ-ერთ წამყვან მოტივად იქცა მხატვრის შემოქმედებაში: იქმნება პორტრეტები თუ შიშველი ქალის გამოსახულებები მეტაფორულ თემებზე. ამ ეტაპზე თბილი ფერწერულობის (მოწითალო, მოვარდისფრო-მოყავისფრო ტონების) ხარჯზე ექსპრესიონისტული მიდგომა თავისებურ რომანტიკულ გამოხატულებად იქცა, რასაც ხაზს უსვამს მოდელების პოზები თუ ჟესტიკულაცია.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიმუშად თამარ ციციშვილის პორტრეტი ითვლება (სურ.6), რომელიც ეროვნული რომანტიზმის პათოსითაა შესრულებული. თამარ ციციშვილიზედმიწევნით რეალისტურად, დოკუმენტური სიზუსტითაც რომ გამოესახათ, ცხადია, მისი სილამაზე არ დაიკარგებოდა, მაგრამ ლადო გუდიაშვილმა ამ მანდილოსნის საშუალებით, ზოგადად, ქართველი ქალის რომანტიკული კდემამოსილების ხატი შექმნა. ტილოზე სურათულობას, უდავოდ, ჯაბნის გუდიაშვილისთვის დამახასიათებე-

ლი ზღაპრული რომანტიზმი თუ მითოლოგიური ლირიზმი, მასში მძაფრი ექსპრესიონიზმი რომანტიკულ მითოსად იქცა. შესრულების მანერაც და კოლორიტიც ზედმიწევნით ცოცხალია და მთრთოლვარე. რჩება შთაბეჭდილება, რომ მხატვარი ამ პორტრეტის საშუალებით ცდილობდა, გამოეხატა ქართულ კულტურაში დამკვიდრებული ამაღლებული წარმოდგენა ქართველი ქალის შესახებ.

სულ სხვა ღირსებითაა საინტერესო ლადო გუდიაშვილის მეუღლის „ნინო გუდიაშვილის პორტრეტი". ერთი შეხედვით, პორტრეტის მხატვრული მანერა თითქოს ტრადიციულ მხატვრობას მოგვაგონებს, მაგრამ, როცა კარგად დავაკვირდებით ნახატს, ადვილად შევიგრძნობთ გუდიაშვილისებურ ექსპრესიონიზმს, რაც რამდენადმე თავშეკავებულია და მხოლოდ შეფარულად იგრძნობა ქალის სახის ნაკვთების სტრუქტურაში, ე.ი. პორტრეტში ტრადიციული მხატვრობის ასოციაცია ქრება და თავს იჩენს თანამედროვე, ინდივიდუალისტურ-ექსპრესიონისტული აკადემიზმის ნიშნები.

ევროპული ექსპრესიონიზმის თანამედროვე ქართული გამოხატულების თავისებური ნიმუშები შექმნეს შალვა ქიქოძემ და ვალერიან-სიდამონ ერისთავმა. თუ შ. ქიქოძე პორტრეტებში ფორმის გამთლიანების, შეკრულობის მიღწევის მიზნით ლაკონიურ ფერსა და სტილიზებულ კონტურს მიმართავს, რითაც იგი სიმბოლისტურ, სინთეზურ ფერწერას თავისებურად ეხმიანება, სიდამონ-ერისთავის პორტრეტებში ყურადღებას უფრო მოდელის მახვილი ხედვა იპყრობს (სურ.10,11).

ინდივიდუალისტური აკადემიზმის საინტერესო ნიმუშები შექმნა ცნობილმა პორტრეტისტმა ქეთევან მაღალაშვილმა, რომელმაც თავისებურად გარდაქმნა ევროპულ მხატვრობაზე თავისი დაკვირვება. იგი არ დაშორდა პორტრეტული ჟანრის ტრადიციულ გაგებას, მაგრამ, ამასთანავე, შეძლო კოლორისტული ძიებებით გაეთანამედროვებინა პორტრეტის აკადემიური გაგება. მის ნამუშევრებში მაღალი აკადემიური პროფესიონალიზმი ერწყმის ინტერიერული ფერის ინტენსივობის თავისუფალ ძიებას. ამასთან, მხატვარი უდიდეს ყურადღებას აქცევს ადამიანის შინაგან სამყაროს, სახასიათო ფსიქოლოგიურ მხარეს. ქალის თემას მის მიერ შექმნილ პორტრეტთა გალერეაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საუკეთესო პორტრეტებში (ტატიანა კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, ელისო ვირსალაძის, მანანა ხიდაშელისა და სხვ.) პერსონაჟთა ფსიქოლოგიური დახასიათება დიდ დამაჯერებლობასა და სიმძაფრეს აღწევს. ამასთან, ქალური მშვენიერება და პიროვნული, ხასიათობრივი განწყობა თავისებურ სინთეზს ქმნის (სურ.7-8).

საკმაოდ დიდ შედეგებს მიაღწია ფერწერის თბილისური სკოლის წარმომადგენელმა, სომეხმა მხატვარმა ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვმა. იგი დაზგური ფერწერის უდიდესი პროფესიონალია. როგორც ცნობილია, ნამდვილი, კეთილშობილი ფერწერის მოტრფიალენი დიდ უპირატესობას ანიჭებენ დაზგურ, მცირე ზომის ფერწერას. ისინი თვლიან, რომ ყველაზე ღრმა აზროვნება შესაძლებელია სწორედ დაზგური ფერწერის ფარგლებში. ბაჟბეუქ-მელიქოვის პატივისმცემელ სამხატვრო წრეებში მას მოიხსენიებენ „ფერწერის დიდ გურმანად". მხატვარმა თავის რთულ შემოქმედებით გზაზე სხვადასხვა ფერწერული ეტაპი განვლო. იგი განერიდა ევროპულ ავანგარდიზმს, მაგრამ რაღაცნაირად მაინც ინდივიდუალის-

ტურ-ავანგარდული ფერწერა შექმნა. მხატვარი ბრწყინვალედ გრძნობდა შერეული ფერის „გემოს" და მრავალმხრივ ავითარებდა მას. ცხოვრების ბოლო ეტაპზე მოვერცხლისფრო და მოვარდისფრო ფერწერის ცოცხალ, ინდივიდუალისტურ პრიმატს მიაგნო. ბაჟბეუქ-მელიქოვი დიდ ყურადღებას უთმობდა ქალის თემას. მის მიერ შესრულებული პორტრეტებიც და ნიუს თემაზე შექმნილი სურათებიც (სურ.9), დაზგური ფერწერის სინატიფის წყალობით, განსაკუთრებული კეთილშობილებით გამოირჩევა.

სამწუხაროდ, სწორედ მაშინ, როცა ახალგაზრდა მხატვრები ინდივიდუალისტურ ხედვაზე დაფუძნებულ ავანგარდულ მხატვრობას ავითარებდნენ, საქართველო ძნელ ისტორიულ ვითარებაში აღმოჩნდა. საბჭოთა იდეოლოგიური რეჟიმი XX ს-ის 30-იანი წლებიდან კრძალავდა არა მხოლოდ თავისუფალ მხატვრულ ძიებებსა თუ თვითგამოხატვას, არამედ მცირეოდენ თავისუფალ აზროვნებასაც კი. ამის შედეგად გაბატონდა საბჭოთა იდეოლოგიის დიქტატით შექმნილი პომპეზური და ყალბი, ე.წ. სოცრეალიზმი. ამ ფონზე ქალის მშვენიერება რეალურად ტრაქტორისტი ქალის სიტლანქის დონეზე იქნა დაყვანილი. მიუხედავად გარკვეული აკრძალვებისა, ქართველი მხატვრები XX ს-ის შუა პერიოდში მაინც ახერხებდნენ თავისებური, ინდივიდუალისტური აკადემიზმისა თუ რეალიზმის დამკვიდრებას, 50-60-იანი წლებიდან კი დაგვიანებული იმპრესიონიზმისა და ფოვიზმის მხატვრული აზროვნების განვითარებას.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მხატვარი ირინა შტენბერგი 30-იან წლებში გამოირჩევა არატრადიციული მიდგომით არა მხოლოდ გამომსახველობითი და სტილური თვალსაზრისით, არამედ იმ პერიოდისთვის აკრძალული შეხედულებების თემატიზაციითაც.

თავისი უნდა მიეზღოს ნახატის დიდოსტატ სერგო ქობულაძეს, რომელთანაც ქართული ეროვნული (და არა მხოლოდ ქართული) თემატიკა კლასიკურ-რენესანსული ან ნეოკლასიცისტური პრინციპითაა ინტერპრირებული. არსებობდა საშიშროება, რომ ამ მხატვრულ მეთოდს გაეყალბებინა მისი შემოქმედება, მაგრამ მხატვარმა მოახერხა თანამედროვე ინტონაციის შეტანა ტრადიციული მხატვრობისადმი თავის ერთგულებაში. ქობულაძის მიერ ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები და, კერძოდ, ნესტან დარეჯანი ქართველთა წარმოსახვაში დამკვიდრებული კდემამოსილი ქართველი ქალის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება იქნას მიჩნეული.

ხაზგასასმელია ასევე ევროპელ და რუს მხატვართა (ფრანკენი, სორინი, გრაბარი, სერებრიაკოვა, გაგარინი, შუხაევი და ა.შ.) სხვადასხვა დროს ამ თემაზე შექმნილი ნამუშევრებიც. მათ თვალსაჩინოდ გამოხატეს ქართული მშვენიერებისა და, მათ შორის, ქართველი ქალის მშვენიერების მიმართ პატივისცემა და მოწიწება (სურ.12-13).

ერთ-ერთი შესამჩნევი ტენდენციაა ფორმის იმპრესიონისტული ინტერპრეტაციის თავისებური გარდასახვა თავისუფალ ფერწერულ მანერად. ქალის თავისებურ იერს ქმნიდა ეკატერინე ბაღდავაძე, რომლის მიერ შექმნილ იერსახეებს მოდელის ეროვნული თვალთახედვით წარმოდგენა და თემის ზედმიწევნით ფერწერული ინტერპრეტაცია ახასიათებს (სურ.14). კერძოდ, მის ნამუშევრებში უაღრესად თავისუფალი მონასმები თემას განტვირთავს სპეციფიკური კონკრეტულობისა და მატერიალურობისაგან, რაც თავისებურ იმპრესიონისტულ გაგებას ქმნის.

ამ ტენდენციის პარალელურად ვხვდებით ქალის ინდივიდუალური, ექსპრესიონისტული მანერით წარმოჩენას. ამ თვალსაზრისით ნათელა იანქოშვილი XX ს-ის მეორე ნახევარში იმ მხატვართა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც ეროვნული მხატვრული მემკვიდრეობის საფუძველზე და ევროპული მხატვრობის გააზრების გათვალისწინებით ცდილობდნენ, შეექმნათ თავისუფალ ხედვაზე აღმოცენებული მხატვრული ინდივიდუალობა. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა მხატვრის ნამუშევრების თავისებური ექსპრესიონისტული ხასიათი, კერძოდ, შავი კოლორიტის ფონზე ინტენსიური, მკვეთრი ფერების (მწვანის, ყვითლის, ნარინჯისფერ-წითლის) ეფექტურობა.

თავისუფალმა მხატვრულმა აზროვნებამ განსაკუთრებით 60-იან წლებში იჩინა თავი. ამ პერიოდში უკვე გამოკვეთილი ინდივიდუალური შემოქმედებითი სახით მოღვაწეობენ მხატვრები: გურამ (ხიტა) ქუთათელაძე, ედმონდ კალანდაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, დიმიტრი ერისთავი, ზურაბ ნიჟარაძე, თენგიზ მირზაშვილი, ალექსანდრე ბანძელაძე, ავთანდილ ვარაზი, თემურ ჯაფარიძე, რადიშ თორდია და სხვ. მათი შემოქმედება ზომიერი ინდივიდუალიზმისა და სუბიექტური რეალიზმის, იმპრესიონიზმის, ფოვიზმის, ექსპრესიონიზმისა და, ზოგჯერ კონცეპტუალური ხელოვნების მეტად თავისებური, ქართული ჰუმანიზმით გამსჭვალული ჰარმონიით ხასიათდება. თითოეული შემოქმედის მხატვრული ენა თანამედროვე ფორმის თავისებურ ინტერპრეტაციას ქმნის.

ჩვენ შეგვიძლია დიდად განვავრცოთ იმ მხატვრების ნუსხა, რომელთა შემოქმედებაში ქალის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ ეს წერილი არ ისახავს მიზნად ასეთ დეტალურ განხილვას. აქედან გამომდინარე, XX ს-ის მეორე ნახევრის ქართველი მხატვრების დამოკიდებულებას ქალის თემისადმი მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილავთ. ამ პერიოდის მხატვრობა ქალის თემის იდეური გააზრების მხრივ არაა ერთმნიშვნელოვანი. თვალში საცემია ის ფაქტორი, რომ თითქმის გაქრა ქალის „ქართული", კლასიკური, ასე ვთქვათ, კულტურისმიერი ხედვა. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო შინაგანი, ფსიქოლოგიური, პირობითად ინტერპრირებული რეალობის გადმოცემას. ამასთან, ერთი მხრივ, გვხვდება თანამედროვე ლირიზმით გააზრებული ისტორიული სახეები (ლევან ცუცქირიძე, კოკა იგნატოვი, ელგუჯა ბერძენიშვილი), მეორე მხრივ, სახეზე გვაქვს ჩვეულებრივი ქალის ოდნავ იდეალიზებული ესთეტიკური გამოსახვა (დიმიტრი ერისთავი, ზურაბ ნიჟარაძე - სურ.15,16). გარდა ამისა, თავი იჩინა ქალის თემის რთულმა ინტერპრეტაციამ (ავთო ვარაზი, თემო ჯაფარიძე). მათ სურათებში ჩვენ ვხვდებით როგორც უბრალო, რიგით ქალებს (სურ.17,18), ასევე „დაცემული" ქალების გროტესკულ იერსახეებს, რომლებიც არც სილამაზით გამოირჩევიან და არც განსაკუთრებული პიროვნულობით. ისინი ყურადღებას უფრო ადამიანური ღირსებით იქცევენ. ამ ტენდენციის პარალელურად ვხვდებით აკადემიზმისაგან თავისუფალი, შემოქმედებითი ფერწერული ხედვით გამორჩეულ პორტრეტებს, რომლებიც შეიცავს როგორც რეალიზმის ნიშნებს (თამაზ ხუციშვილი), ასევე მძაფრ-ექსპრესიონისტულ ელემენტებს (ედმონდ კალანდაძე). ვხვდებით ასევე ტრადიციული („ტფილისური") პორტრეტული სკოლის თანამედროვე ინტერპრეტაციის ნიმუშებს (გივი ალაპიშვილი). საგულისხმოა ქალის ფიგურის რთული კომპოზიციური ასპექტით წარმოსახვა (თემურ გოცაძე) და ა.შ.

XX ს-ის ბოლო მეოთხედის მხატვართა შემოქმედებაში თვალში საცემია გადაჭარბებული, პროგრამული დრამატიზმით გააზრებული ქალის თემის ინტერპრეტაცია. ამ თაობის წარმომადგენლები (რომელთა უმეტესი ნაწილი დღესაც წარმატებით მოღვაწეობს) მძაფრი მსოფლშეგრძნების გამოსახატავად უტრირებულად არღვევენ ფორმას, ფსიქოლოგიურ მთლიანობას და ხშირად ფორმათა არაესთეტიკურ მდგომარეობას და რღვევას გვთავაზობენ. ეს კი გარკეულწილად შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო ფერწერის სტიქიურ ნორმებს. ზოგიერთი მხატვარი კი (ირაკლი ფარჯიანი), მისტიკური ან რელიგიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ქალის სახეს ზებუნებრივად ჭარბ რომანტიკულობას, არამიწიერობას, ანგელოსურობას ანიჭებს (სურ. 19). შეიმჩნევა ასევე ქალის თემის უკიდურესად პრიმიტივისტულად გამოხატვის ცდა, ტენდენცია, რაც სათავეს პიკასოს, მოდილიანის, ბრანკუსისა და სხვა ცნობილი მხატვრების (XX ს-ის 10-20-იანი წლების) მოდერნისტული ძიებებიდან იღებს. ძალზე გახშირდა ქალის ფიგურის აბსტრაჰირებული სახით გადმოცემა. ასეთ შემთხვევაში ქალზე მიმანიშნებელი აბსტრაქტული ფორმა ზოგადი აბსტრაქტული აზროვნების ერთგვარი ინდივიდუალისტური დანამატია. შეიმჩნევა მისწრაფება ქალის ფრესკული გამოსახულების შექმნისკენ (სურ. 20) და ა.შ. კიდევ მრავალი ტენდენციის აღნუსხვა შეიძლება, ვთქვათ: ჰიპერრეალისტური, სიურრეალისტური ან სიმბოლისტური მიმართულებებისა. შეიმჩნევა ასევე მხატვრული ძიებები ერთეული მხატვრების სახით, რომელთა შემოქმედებაში საერთოდ გაქრა ქალის თემა. ეს მხატვრები უფრო აბსტრაქციის ან, ზოგადად, კონცეპტუალური ხელოვნების მიმდევრები არიან, მაგრამ ზოგჯერ, ისევე როგორც პეიზაჟს ან ნატურმორტს, ქალის თემასაც ეხებიან. საგულისხმოა, რომ ამ ჭრელი, მრავალწახნაგოვანი ძიებების ფონზე ზოგი მხატვარი უკომპრომისოდ და მტკიცედ განაგრძობს ცხოვრებისეული ქალის (რეალური ქალის) ინდივიდუალურ, მაგრამ შესაცნობი ფორმით წარმოჩენას. ჩვენ ყურადღებას არ ვამახვილებთ სხვა ცნობილ მხატვრებზე (გია ბუღაძე, ლევან ჭოღოშვილი, შალვა მატუაშვილი). აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მათ სხვადასხვა მხატვრული მეთოდით მშვენივრად წარმოაჩინეს ქალის მომხიბვლელობის თემა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მხატვრული ტენდენცია ილუსტრირებულად გვიჩვენებს, რომ მხატვრობაში ქალის თემის აქტუალობა, ერთი მხრივ, ცხოვრების თემის აქტუალობას ნიშნავს, მეორე მხრივ კი - ადამიანისადმი, მისი სულისადმი განსაკუთრებულ ინტერესს. დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე მსოფლიო მხატვრობაში ქალის თემის მიმართ რა დამოკიდებულებაც შეიმჩნევა, თითქმის ყველა აისახა ახალ ქართულ სახვით ხელოვნებაში. ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ მხატვრულ მასშტაბს, არამედ მივუთითებთ თემატურ სიმდიდრესა და მრავალწახნაგოვნებაზე.

**Lili Giorgobiani**

The Georgian National Museum, Dimitry Shevardnadze National Gallery,
11, Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: lili–giorgobiani@yahoo.com

# Georgian Woman's Theme in Art

# On the Background of Development of the 19th -20th cc Artistic Aesthetics


## Summary

The problem given in the theme of Fine Arts, particularly on the background of development of new Georgian portrait painting, refers to presenting beauty of Georgian woman, phenomena of her attraction, completeness and perfection aesthetics.

In spite of concreteness of the theme, this problem was discussed in general historical context (taking into consideration patterns of worldwide significance). Ignoring it, would rather complicate, or in better case, would not create impression of in-depth,essential comprehending of the theme with such complex content – as understanding perfection and completeness of beauty of artistic image of Georgian woman that was realized in reality and is still being implemented in today's art. Thus, conception is enriched with historical aspects as well as various nuances of artistic intonation.

Finally, as summing up the above discussion, we deduce that in modern world all attitudes revealed in paintings were reflected in the 19th-20th cc Georgian fine art. We do not imply artistic volumes, but mention thematic richness and polyhedral aspects in our reality.

## ბიბლიოგრაფია

**Беридзе В., Езерская Н. 1975:** Искусство советской грузии. 1921-1970.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** თამარ მეფის პორტრეტი. ფრესკის ასლი. ვარძია (1184-86), ტატიანა შევიაკოვასი. 1961. ქაღალდი, ტემპერა. 311 x157

**სურ. 2.** ნინო ქსნის ერისთავის პორტრეტი. 1829. ტილო, ზეთი. 135 x90

**სურ. 3.** თეკლა ბატონიშვილის პორტრეტი. XIX ს-ის დასაწყისი. ტილო, ზეთი. 87x63

**სურ. 4.** ნიკო ფიროსმანაშვილი. ქალი ყვავილებითა და ქოლგით. 1912. მუშამბა, ზეთი. 113 x53

**სურ. 5.** დავით კაკაბაძე. იმერეთი – დედაჩემი. 1918. ტილო,ზეთი. 100 x130

**სურ. 6.** ლადო გუდიაშვილი. თამარ ციციშვილის პორტრეტი. 1940. ტილო, ზეთი. 134 x103

**სურ. 7.** ქეთევან მაღალაშვილი. ელისო ვირსალაძის პორტრეტი. 1940. მუყაო, პასტელი. 81 x 60

**სურ. 8.** ქეთევან მაღალაშვილი. მანანა ხიდაშელის პორტრეტი. 1958. ტილო, ზეთი.74 x 52

**სურ. 9.** ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი. თამარ წულუკიძის პორტრეტი. 1935. ტილო, ზეთი. 45 x 40

**სურ. 10.** შალვა ქიქოძე. ბარბარე გამრეკელის პორტრეტი. 1918. ტილო, ზეთი. 46 x 32

**სურ. 11.** ვალერიან სიდამონ-ერისთავი. ტასო აბაშიძის პორტრეტი. 1921. ტილო, ზეთი. 84,5 x64,5

**სურ. 12.** ზინაიდა სერებრიაკოვა. სალომე ანდრონიკაშვილის პორტრეტი. 1924. ტილო, ზეთი. 82 x62

**სურ. 13.** კირილ ზდანევიჩი. მედეა ჯაფარიძის პორტრეტი. 1965. ქაღალდი, მუყაო, გუაში. 42x 55

**სურ. 14.** ეკატერინე ბაღდავაძე. იდუმალი სევდა (თამარ მეფე). 1962. ტილო, ზეთი. 62x50

**სურ. 15.** ზურაბ ნიჟარაძე. მზია ბაქრაძის პორტრეტი. 1955. ქაღალდი, პასტელი. 55 x 40

**სურ. 16.** დიმიტრი ერისთავი. ინესა ჩოხელის პორტრეტი. 1959. ქაღალდი, სანგინა. 56 x 48

**სურ. 17.** ავთანდილ ვარაზი. ნესტან ლეონიძის პორტრეტი. 1972. ტილო, ზეთი. 74,5 x 0,5

**სურ. 18.** თემურ ჯაფარიძე. მაგული. 1972. მუყაო, ზეთი. 55,5 x 42.

**სურ. 19.** ირაკლი ფარჯიანი. ლალი კერესელიძის პორტრეტი. 1982. ქაღალდი, პასტელი. 100 x 100

**სურ. 20.** ამირან კუპრავა. 2007. ტილო, ზეთი. 120 x80

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig**. 1. Portrait of Queen Tamar. Copy of Fresco from Vardzia (1184-86), Tatiana Sheviakova. 1961. Tempera on paper. 311x157

**Fig**. 2.Portrait of Nino Ksani Duchess.1829. Canvas, oil.135x90

**Fig**. 3. Portrait of Princess Tekla. Beginning of 19th c. Oil on canvas. 87x63

**Fig** .4. Niko Prirosmanashvili. Woman with flowers and umbrella, 1912. Oil on linen. 111x53

**Fig**. 5. David Kakabadze. Imereti – My Mother, 1918. Oil on canvas. 100x130

**Fig**. 6. Lado Gudiashvili. Portrait of TamarTsitsishvili, 1940. Oil on canvas. 134x103

**Fig**. 7. Ketevan Magalashvili. Portrait of Eliso Virsaladze, 1940. Cardboard, pastel. 81x60

**Fig**. 8. Ketevan Magalashvili. Portrait of Manana Khidasheli, 1958. Oil on canvas. 74x52

**Fig**. 9. Alexander BajbeukMelikov. Portrait of Tamar Tsulukidze, 1935. Oil on canvas. 45x40

**Fig**. 10. Shalva Kikodze. Portrait of Barbare Gamrekeli, 1918. Oil on Canvas. 46x32

**Fig**. 11. Valerian Sidamon-Eristavi. Portrait of Taso Abashidze, 1921. Oil on canvas. 84,5 x64

**Fig**. 12. Zinaida Serebriakova. Portrait of Salome Andronikashvili. 1924. Oil on canvas. 82 x62

**Fig**. 13. Kiril Zdanevich. Portrait of Medea Japaridze. 1965. Paper, cardboard, gouache. 42x55

**Fig**. 14. Ekaterine Bagdavadze. "Mysterious Sorrow" (Queen Tamar). 1962. Oil on canvas. 62x50

**Fig**. 15. Zurab Nijaradze. Portrait of Mzia Bakradze, 1955. Paper, pastel. 55x40

**Fig**. 16. Dimiti Eristavi. Inesa Chokheli. 1959. Paper, sangina. 56 x 48

**Fig**. 17. Avto Varazi. Portrait of Nestan Leonidze, 1972. Oil on canvas. 74,5x0,5

**Fig**. 18. Temo Japaridze. Maguli, 1972. Oil on cardboard. 55,5x42

**Fig**. 19. Irakli Parjiani. Portrait of Lali Kereselidze, 1982. Paper, pastel. 100x100

**Fig**. 20. Amiran Kuprava. Medea. 2007. Oil on canvas. 120x80



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.



სურ. 11 Fig.



სურ. 12 Fig.



სურ. 13 Fig.



სურ. 14 Fig.



სურ. 15 Fig.



სურ. 16 Fig.



სურ. 17 Fig.



სურ. 18 Fig.



სურ. 19 Fig.



სურ. 20 Fig.

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**მარინე აბრამიშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზირი 11, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nika@mrcheveli.com

# თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნება (საქართველოს ეროვნული გალერეის საფონდო მასალის მიხედვით)

XX ს-ის 60-70-იანი წლებიდან ქართულ სახვით კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჭედურმა ხელოვნებამ. მასში თავიდანვე გამოვლინდა დიდი ეროვნული მუხტი, შემოქმედებითი დიაპაზონი და ნოვაცია. იგი ლოგიკური გაგრძელებაა ჩვენი მდიდარი სულიერი კულტურისა, რომლის ძველთაძველი ნიმუშები თავმოყრილია საქართველოს მუზეუმებში. მათ შორისაა ზარზმის „ფერისცვალებისა“ და ცაგერის ღვთისმშობლის ხატები, კაცხის ჯვარი, ანჩის ხატი, ხახულის კარედი და ლითონქანდაკების სხვა ძეგლები.

როგორც კერამიკის, ასევე ჭედურობის ჩასახვა და აყვავება საქართველოში განპირობებული იყო დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგის მიმზიდველობითა და, ზოგადად, ქართული ხელოვნების უძველესი ტრადიციებით. ჭედურობა ჩაისახა სახვითი ხელოვნების წიაღში, ამიტომ მან, რასაკვირველია, შეითვისა მისი ზოგიერთი თავისებურება, ამასთან, საკუთარი ტრადიციებით გაამდიდრა ეს დარგი. ჭედურობა ინარჩუნებს სკულპტურისათვის დამახასიათებელ მოცულობითობას.

„საქართველოში ჭედურობამ განვითარების უმაღლეს დონეს X-XII სს-ში მიაღწია. XI ს-ის პირველ ნახევარში ადამიანის ფიგურის რელიეფური გამოსახვა სიბრტყეზე უფრო მეტად პროპორციული გახდა, მოძრაობა - უფრო ბუნებრივი და ლაღი“ [ამირანაშვილი შ. 1971:294].

ამ დროს საქართველოში რამდენიმე სამხატვრო სკოლა არსებობდა, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილი იყო ოპიზის, ტბეთისა და გელათის სკოლები. ოპიზის სკოლა წარმოდგენილია ორი დიდი ოსტატით - ბექა და ბეშქენ ოპიზრებით. „ტბეთის სკოლა გამოირჩევა ფურცლის სიბრტყის თავისებური ფერწერული გააზრებით, ხოლო გელათის სკოლა ძირითადად დეკორატიულ ხასიათს ატარებს. ამ სკოლის მიერ შექმნილი შედევრია ხახულის ოქროს კარედი“ [იუსტინსკაია ჰ. 1986:6].

ლითონქანდაკების ხელოვნება მომდევნო საუკუნეებშიც ინარჩუნებს შემოქმედებითი ძიების თავისუფლებას, მაგრამ შემდგომ, XIII ს-დან, იგი ველარ აღწევს XII ს-ის ნიმუშებისათვის დამახასიათებელ მაღალ ოსტატობასა და ფსიქოლოგიურ სიღრმეს.

ლითონზე პლასტიკამ საქართველოში განვითარების ათასწლიანი

გზა განვლო აღმავლობიდან ლითონმქანდაკების ნიმუშთა მაღალ მხატვრულ-ტექნიკური დონის დაკნინებამდე. ეს უკანასკნელი შედეგი იყო ისტორიული ძნელბედობისა. ამგვარ მძიმე პერიოდებში უფრო ხელოსნობის ნაწარმი იქმნებოდა. მცირდებოდა ოსტატთა რაოდენობაც. მათმა ნამუშევრებმა შეიძინა ეკლექტური ხასიათი. „ლითონზე პლასტიკის სამომხმარებლო მოთხოვნილება XIX ს-თვის თანდათან მხოლოდ ჯამ-ჭურჭლისა და საყოფაცხოვრებო საგნებით შემოიფარგლა, მაგრამ მხატვრული ღირსების ამ ძვირფას ნაკეთობებსაც მალე ჩაენაცვლა ქარხნის იაფფასიანი ნაწარმი“ [ჯაფარიძე გ. 1971:11]. მიუხედავად ამისა, ეს ხელოვნება მაინც განაგრძობდა არსებობას, როგორც კი შეიქმნა ხელსაყრელი პირობები, მან დაიწყო აღორძინება. რადგან ამის უპირველესი მიზეზი იყო წინამორბედი უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა. „მხოლოდ მაღალმთიან, ძნელად მისადგომ რაიონებში - სვანეთში, ხევსურეთსა და თუშეთში შემორჩა ტრადიციული ხელობები. მათ შორის ლითონის მხატვრული დამუშავება“ [იუსტინსკაია ჰ. 1986:6].

ძველი ქართული ჭედურობის განვითარებასა და აღიარებასა ხელი შეუწყო 1959 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში გამოყენებითი ხელოვნების განყოფილების არსებობამ. 50-იანი წლების დასაწყისში პოპულარული გახდა ვერცხლის ჭედური სამკაულები, ყელსაბამები, თავსამკაულები, საყურეები, გულსაკიდები, სამაჯურები. ეს ყოველივე ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი გახდა მოგვიანებით რელიეფური ლითონმქანდაკებლობის ნიმუშთა შესაქმნელად.

ქართული ჭედური ხელოვნების წარმატებები მოქანდაკეთა სახელებთან დაკავშირებული, რაც სავსებით ბუნებრივია. სწორედ მათზე მოახდინა გავლენა ლითონის მხატვრულ-პლასტიკურმა შესაძლებლობებმა, პლასტიკა კი ქანდაკების ენაა.

ჭედურობის სწრაფმა აყვავებამ მრავალი ხელოვანი დააინტერესა ხელოვნების ამ დარგით. მათ საკუთარი გზის გაკვლევა დაიწყეს. ნიშანდობლივია მხატვართა ძალზე თავისებური მიდგომა შემოქმედებისადმი, საკუთარი მანერისა და ხელწერის შექმნა. მხატვართა ერთი ნაწილისათვის მთავარი ამოცანაა ლითონის რელიეფის პლასტიკურობის მიღწევა, მეორისათვის კი მნიშვნელოვანია თავად ჭედურობის ტექნიკა, რითაც ის უახლოვდება ეროვნულ ტრადიციებს. განსხვავებულია თემატიკაც, შესრულების მანერაც, ფორმების აბსტრაჰირება და სიმბოლირება.

ქართულ თანამედროვე ჭედურობას ახასიათებს მკვეთრად აგებული კომპოზიცია. მხატვრები სპილენძისა და თითბრის გარდა, იყენებენ ალუმინსა და რკინას, ფერადოვნებისათვის მიმართავენ რთულ ქიმიურ ხერხებსაც, იზრდება ჭედურ ნივთებზე სამომხმარებლო მოთხოვნა.

ძიებები მიმდინარეობდა გრაფიკული ხერხების გამოყენებითაც, ფერის პრობლემა ძველ ხელოვნებაშიც არსებობდა, მაგალითად, ნამუშევარი ვარაყდებოდა არა მთლიანად, არამედ ექსპრესიულობის გასაძლიერებლად განსაზღვრულ ადგილზე. როგორც ძველად, ისე ახლაც ოსტატი ლითონის თხელ ფურცელს ჯერ სათანადო ფორმას აძლევს, შემდეგ ცეცხლში ატარებს ან პირდაპირ რაიმე რბილ საფენზე დებს და მასზე (ზურგიდან) ნახატის კონტურებს ასრულებს. რელიეფური გამოსახულების მისაღე-

ბად ნამუშევარი ზემო მხრიდანაც მუშავდება. ფონს სხვადასხვანაირად ამუშავებენ, რათა წინ წამოწიონ გამოსახულება (დიდი ზომის ნაწარმოე-ბები სრულდება ნაწილ-ნაწილ და შემდგომ იკრიბება). ლითონქანდაკე-ბას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრი აქვს საერთო ქანდაკებასთან, გან-საკუთრებით, რელიეფთან. აქედან იღებს სათავეს მსგავსი მხატვრული და პლასტიკური ამოცანები. თანამედროვე მხატვრები ახალი ფორმების, ტექნიკური სახეების ძიებისკენ მიისწრაფიან. გარკვეული სიახლეა პორ-ტრეტი, რაც ისტორიული მასალით არ დასტურდება.იქ უფრო განზო-გადებული, კანონიკური სახეებია შექმნილი. თანამედროვე ხელოვანე-ბი კონკრეტულ ადამიანებს ასახავენ. ისინი, ძირითადად, გამოსახულნი არიან პროფილით. გაჩნდა გარკვეული თემებიც, მაგ., ქართველი ქალის განზოგადოებული სახეები. მათ, ძირითადად, წარმოსახავენ პროფილით ან სამი მეოთხედით, როგორც წესი, სახის მოგრძო ოვალით, ჩამოთლი-ლი ნაკვთებითა და განზე გაზიდული წარბებით, ხშირად ეროვნული სა-მოსით. თითქმის ყველა ლითონმქანდაკებლის შემოქმედებაში გვხვდება ისტორიული პერსონაჟები, განსაკუთრებით, შოთა რუსთაველი, თამარი და სხვა წმინდანები. ისინი იყენებენ ძველ ქართულ ხელოვნებაში არსე-ბულ მეფე-ქტიტორთა და წმინდანთა იკონოგრაფიულ გამოსახულებებს აღმართული ხელებით, გრაგნილებით, წიგნებითა და წარწერებით. მათს სახეებს განაპირობებს მხატვრის ინდივიდუალური ხედვაც. ასეთებია მაგალითად ირ. ოჩიაურის, კ. გურულის, გ. გაბაშვილის, ს. ქოიავას, ა. გორგაძისა და სხვათა განსხვავებული ხელწერით გამორჩეული მრავალი ნიმუში.

ქართულმა ლითონზე პლასტიკამ ფართოდ გაითქვა სახელი რუსეთში, სომხეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში და ბევრი მიმდევარიც გაიჩინა. ამ წარმატებებში ირ. ოჩიაურთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ლი-თონმქანდაკებლობის ოსტატებს - გ. გაბაშვილს, კ.გურულს, დ. ყიფშიძ-ეს, რომელნიც არ შეუშინდნენ ხელოვნების ამ ახალ სახეობაში მუშაობის სიძნელეებს. „ისინი იმთავითვე გვერდში ამოუდგნენ ლითონმქანდაკე-ბელთა წინა თაობას და მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილი თავიანთი შემოქმედებით გაამდიდრეს თანამედროვე ლითონმქანდაკებლობა“ [ჯა-ფარიძე გ. 1971:17]. თუ ადრე ნამუშევრები სრულდებოდა ოქროთი და ვერ-ცხლით, ახლა მასალად იხმარება თითბერი, სპილენძი, ალუმინი, თუნუქი, არც ვარაყის დადების ტექნიკა იყო უცხო, რაც ჩრდილ-სინათლის მდიდარ გათამაშებასა და ფერწერულობას ქმნიდა. იარაღად იხმარებოდა თეგე-ბი და კვერები, შემოვიდა ტონირების ტექნიკაც (დაჟანგვა), რამაც ხელი შეუწყო პლასტიკაში ფერწერული ამოცანების დასმასა და გადაჭრას. ეს პრობლემა პირველად გ. გაბაშვილმა დაძლია.

საქართველოს ეროვნულ გალერეაში დაცულია თანამედროვე ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი ნამუშევრები, რომლებშიც ნათლად იკვეთე-ბა ხელოვნების ამ სახეობის რაობა და განვითარების გზები.

პირველი ნაბიჯი ლითონის პლასტიკაში მოქანდაკე ირ. ოჩიაურმა გა-დადგა. ქანდაკებასთან ერთად მხატვარს იტაცებს ახალი მასალა - ლი-თონი, ეს იყო მოქანდაკის პროფესიული დაინტერესება. იგი ეუფლება მასალას, ეძებს გამოხატვის ხერხებს. გულმოდგინე ძიებისა და მუშაობის

შემდეგ 1962 წელს გამოფენაზე ირ. იჩიაურმა თქვა პირველი სიტყვა ახალი ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების საქმეში. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ქართული ცეკვის თემას, მაგ., „მოცეკვავეები" (1971. გამ. № 1601. სურ.1). ქართული ეროვნული სულისკვეთებით გამოირჩევა მისი ნამუშევრები: „ფიროსმანის შესანდობარი" (1971. გამ. № 1049, სურ. 2), „ცხენები" (1970. გამ. № 939, სურ.3) და სხვ. „ლითონმქანდაკებლობის ბევრი ხერხი და ელემენტია გამოყენებული ისტორიული პორტრეტების გალერეის შესაქმნელად. მათი მარჯვე ოსტატური ვარირება ავტორს შესაძლებლობას აძლევს შექმნას შთამბეჭდავი, მეტყველი გამოსახულებანი. ზოგჯერ კი ინდივიდუალიზებული პორტრეტები, მაგ: იოანე პეტრიწის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველისა და სხვ." [მელენტიევი ი. 1976:19]. ირ. ოჩიაურის აზრით, ტრადიციებზე დაყრდნობით შეიქმნა ახალი სახის, ფორმის, სტილის, მანერის, ტექნიკისა და სრულიად ახალი დანიშნულების ჭედური ხელოვნება.

ლითონის დამუშავების საქმეში თავისი შემოქმედებით დიდი წვლილი შეიტანა ნიჭიერმა სკულპტორმა კ. გურულმა. მხატვარმა, თავდაპირველად დაიწყო რკინის დამუშავება, შემდეგ მან მიმართა სპილენძს, თითბერს.

პოეზია, ხალხური ეპოსი, ლეგენდები, შრომის თემები მისი საყვარელი ჟანრებია. მას იტაცებს ისტორიული თემატიკაც. მხატვრის ნამუშევრები, შეიძლება ითქვას, ძალზე რელიეფურად, პლასტიკურად მეტყველია. ერთი შეხედვით, ისინი აბსტრაქტულია. მის შემოქმედებაში წამყვანია დედააზრი. უყვარს ექსპერიმენტები. პირველად იყენებს ცეცხლის ალით დანახშირებულ ხის მასალას, რაც ხელს უწყობს გამოსახულების გამოკვეთას. მის ნამუშევართაგან აღსანიშნავია „გუდასტვირი" (1972. გამ. № 970. სურ.4), „შენ ხარ ვენახი" (1964. გამ. № 949. სურ.5), „ნადიმი" (1972. გამ. № 1394. სურ.6) და სხვ.

ირ. ოჩიაურისა და კ. გურულის კვალდაკვალ პლასტიკური ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ოსტატ გ. გაბაშვილს. იგი განათლებით ისტორიკოსია. მან კარგად დაუკავშირა ერთმანეთს ხალხური და თანამედროვე ხელოვნება. გ. გაბაშვილისათვის მასალა, თითბერი იქნება ეს თუ სპილენძი, დეკორატიული სიბრტყეა, რომელზეც ის ჭედავს მდიდრულ ორნამენტულ კომპოზიციებს. მისი ნამუშევრები სტილიზებულია, მკაცრი სილუეტები ზოგჯერ ბრტყელია, მაგრამ გამომსახველობითი.

სამკაული, იქნება ეს სამაჯური, ბეჭედი თუ გულსაკიდი, მხატვრის მიერ უმეტესად გაიაზრებოდა როგორც ერთიანი კომპოზიცია, სადაც ყველაფერი - ფორმა, ფიგურული და გეომეტრიული ორნამენტი, ფერადოვნება ჰარმონიული მთლიანობაა. წლების განმავლობაში მის ნამუშევრებში აისახა როგორც მითოლოგიური („ბერიკები". 1977. გამ. № 2077. სურ.7), ისე ისტორიული ( „თამარ მეფე" 1975. გამ. № 806. სურ.8) და რელიგიური („პეტრე იბერი". 1974. გამ. № 1660, სურ.9) თემატიკა. გვხვდება სიუჟეტური ალეგორიებიც („ლილე". 1970. გამ. № 610. სურ.10). ასევე სოფლის ცხოვრების ამსახველი სცენები („ურმული". 1963. გამ. № 142. სურ.11) და სხვ. ფონის გულმოდგინე დამუშავება პუნსონების საშუალებით, ფიგ-

ურების ამოყვანა ზურგის მხრიდან, დეტალების დაწვრილებით გამოსახვა და ხაზგასმული სიბრტყობრიობა გამოარჩევს ამ მხატვარს.

გ. გაბაშვილის მიდრეკილება ხალხური თემატიკისადმი მჟღავნდება თემების შერჩევაშიც მაგ., „მრავალჟამიერი". (1970. გამ. № 1558. სურ.12). სტილიზებური ფიგურების ხალხურ ხელოვნებასთან კავშირს აძლიერებს ჭარბად გამოყენებული ეთნოგრაფიული ელემენტები - ჩაცმულობა, სამიწათმოქმედო და საომარი იარაღები, მზისა და მთვარის სიმბოლური სახეები. სწორედ ხალხური ხელოვნებისადმი განსაკუთრებული მისწრაფებით

გ. გაბაშვილის შემოქმედებაში ჩნდება დეკორატიული ჭურჭელი, მაგალითად, ვერცხლისაგან დამზადებული ჯამები. ჯამის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ქალის ნატიფი სახე, რომლის თავსაბურავი ყურძნის მტევნებითაა შემკული („ფიალა". 1969. გამ. № 2. სურ.13).

გ. გაბაშვილის ჭედურ შემოქმედებაში მკაფიოდ გამოიყოფა სამი ჯგუფი - სამკაულები, ლითონის დეკორატიული ჭურჭელი და რელიეფური პანოები. ეს ჯგუფები სტილისტური და მხატვრული მთლიანობით ხასიათდება, რასაც განაპირობებს ოსტატის მიერ მასალის შეგრძნება.

ძნელად მოიძებნება ისეთი ხელოვანი, რომელიც თანაბარი ძალით მუშაობდეს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში. ან. გორგაძე არათუ ფლობს ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და ჭედურობის ურთულეს ტექნიკურ ხერხებს, არამედ ყოველ მის ნამუშევარში ნათლად შეიმჩნევა მხატვრის მაღალი პროფესიული ოსტატობა, ცხოვრების პოეტური შეგრძნება და სიახლისკენ სწრაფვა.

მის შემოქმედებაში დიდ ადგილს იკავებს ორნამენტი, კომპოზიციები გამოირჩევა სულიერი და უსულო საგნების მჭიდრო ერთობლიობით. იგი საოცარი ტექნიკით ანაწილებს გამოსახულებებს ლითონის ფირფიტაზე და საზღვრავს ხის ჩარჩოთი. მისი ფიგურები ესთეტიკურად მიმზიდველია. ეროვნული გალერეის ფონდში დაცულ ნამუშევართაგან აღსანიშნავია „ვეფხვი" (1966. გამ. № 713. სურ.14), „მუსიკა" (1967. გამ. № 719. სურ.15), „კოსმოსი" (1964. გამ. № 388. სურ.16) და სხვ. საინტერესოა მეუღლესთან, რ. გოცირიძესთან, ერთად შექმნილი ნამუშევარი „ჩიტები" (1972. გამ. № 1398. სურ.17).

საკუთარი ხელწერით გამოირჩევა ს. ქოიავას შემოქმედება. იგი პროფესიით მოქანდაკეა. მის კომპოზიციებს სტატიკურობა ახასიათებს, რაც ფიგურათა მოძრაობებითაა გადმოცემული. ეს სტატიკურობა აძლიერებს კიდეც ნაწარმოების მხატვრულ ზემოქმედებას. ყურძნებითა და ბროწეულებით გარემოცული გოგონები ამაყი და ძლიერი ბუნების მქონე ქართველი ქალის სიმბოლოა. შრომა და დასვენება - ეს მისი შემოქმედების მთავარი თემაა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას რომ მხატვრის ყველა ნამუშევარში, ნათლადაა გამოხატული ეროვნული კოლორიტი. მსოფლშეგრძნებაზე, სულიერ განწყობასა და ხასიათზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მის ჭედურობაში უმცირესი დეტალიც კი ფორმით ეროვნული, შინაარსით კი რეალისტურია. თავის ჭედურ ნაწარმოებებში ხელოვანი ცდილობს, გააერთიანოს და ისე წარმოგვიდგინოს მშობლიური საქართველოს ყოველი კუთხე. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მის ჭედურ კომპოზიციებში: „შემოდგომა მარანში" (1965. გამ. № 918. სურ.18);

„ვაზი“ (1969. გამ. № 798. სურ.19) და სხვ.

ეროვნული გალერეის ფონდში ინახება როგორც ცნობილი მხატვრების: ირ. ოჩიაურის, კ. გურულის, გ. გაბაშვილის, ს. ქოიავას, ა. გორგაძის, ნ. შავგულიძის ნამუშევრები, ასევე საინტერესო მხატვრების: ჯ. ხუხუნაშვილის, რ. იაშვილის, გ. ბერუჩაშვილის, ლ. ბუხაიძის, ა. ჭაბუკიანის მიერ შექმნილი პანოები. ამ უკანასკნელს გამოარჩევს ძლიერად ნაჭედი ფიგურები, რაც საოცარ ძალას ანიჭებს გამოსახულებებს.

აღსანიშნავია თანამედროვე კერამიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის, რ. იაშვილის, შემოქმედება. იგი ინტერესდება ლითონით როგორც დეკორატიული მასალით. მისი ნამუშევრები ხასიათდება ზუსტად მიგნებული ფერადოვანი ეფექტებითა და ღრმად გააზრებული დეტალებით. აღსანიშნავია მისი დეკორატიული კომპოზიცია „ხარი“ (1974. გამ. №1923. სურ.20).

ამ დარგში ერთ-ერთ საყურადღებო ოსტატად ითვლება ნ. შავგულიძე. მქანდაკებლის შემოქმედებაში ერთდროულად ჩნდება სხვადასხვა მხატვრული მანერითა და პრინციპით შექმნილი ნამუშევრები - „გრიფონი“ (1969. გამ. № 795. სურ.21)., „ძველი თბილისი“ (1964. გამ. №932. სურ.22). ნ. შავგულიძის თქმით, „ლითონზე პლასტიკას უფრო ძველი თემატიკა უხდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ ეროვნულ ჩაცმულობას, რომელიც ხაზს უსვამს სხეულის პლასტიკურობასა და ხელს უწყობს პლასტიკის ლითონში გადმოცემას.“ [ჯაფარიძე გ. 1971:40].

თავის ნამუშევრებში ნ. შავგულიძე ცდილობდა, ეჩვენებინა ქართველი ხალხის ხასიათი. ყველა ფირფიტას გამოარჩევს ძლიერი ნახატის სკულპტურულობა, თითოეული კომპოზიციის ღრმა ჩანაფიქრი და კომპაქტურობა. ნ. შავგულიძე პირდაპირ ჭედავს ჩაქუჩით თავის ფირფიტებს, რომელთა რელიეფი მაღალია, მოდელირება - რბილი, ფიგურათა პროპორციები ახლოა რეალობასთან.

თითოეული მხატვრის მანერის ინდივიდუალობასთან ერთად მკაფიოდ ვლინდება საერთო თვისებებიც, რაც მათი ერთიანი მსოფლხედვის ანარეკლია. საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების ნიადაგზე ბუნებრივად აღმოცენებულმა ლოთონზე პლასტიკამ თავისი თვითმყოფადი სტილი დაამკვიდრა, რომელიც საერთო ტექნიკურ ხერხებსა და კომპოზიციურ გადაწყვეტებს, უხვ სიმბოლიკას, ფორმათა გამძაფრებულ რიტმს მოიცავს. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ: ლითონზე პლასტიკის თანამედროვე ქართველ ოსტატთა ნაწარმოებები ღრმად ეროვნულია. ამასთან, მათი ნამუშევრების პრობლემატიკა, ესთეტიკურ-მხატვრული მხარე, ტექნიკა, გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ თანამედროვე ჭედური პლასტიკა ქართული სახვითი ხელოვნების ახალი და დამოუკიდებელი დარგია.

**Marina Abramishvili**

The Georgian National Museum, Dimitry Shevardnadze National Gallery
11, Rustaveli Av., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: nika@mrcheveli.com

# Georgian Modern Punchwork Arts (According to Deposifoives of Dimitry Shevardnadze National Picture Gallery)

**Summary**

Great success of Georgian decorative-applied arts of our days is determined by punchwork. It represents a logical continuation of material and spiritual culture of Georgia ("Bronze Buckles", "Transmutation Icon of Zarzma", "Tondo of St. Mamai", "Katskhi Cross", "Icon of Anchi", etc.). Georgia is considered to be one of the most ancient centers of metallurgy.

The achievements of our modern arts nowadays are concerned with this ancient goldsmiths' heredity, with the folk traditions of metal treatment, and with the interests of the modern society towards this field.

The success of Georgian punchwork art is connected with names of sculptors Irakli Ochiauri, Guram Gabashili and Koba Guruli. The entire generation of the masters became their followers. Particular point of view and thematic is interesting for Georgian punchwork art.

250 specimens manifolds of modern art are kept in depositories of Dimitry Shevardnadze National Gallery.

**ბიბლიოგრაფია**

**ამირანაშვილი შ. 1971:** ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი

**იუსტინსკაია ჰ. 1986:** თანამედროვე ქართული ჭედურობა. თბილისი

**მელენტიევი ი. 1976:** ირაკლი ოჩიაური. თბილისი

**ჯაფარიძე გ. 1975:** ქართული თანამედროვე ლითონმქანდაკებლობა. თბილისი

## ილუსტრაციის აღწერილობა

**სურ. 1,2,3.** ოჩიაური ი. მოცეკვავეები, ფიროსმანის შესანდობარი, ცხენები

**სურ. 4,5,6.** გურული კ. გუდასტვირი, შენ ხარ ვენახი, ნადიმი

**სურ. 7,8,9,10,11,12,13.** გაბაშვილი გ. ბერიკები, თამარმეფე, პეტრე იბერი, ლილე, ურმული, მრავალჟამიერი, ფიალა

**სურ. 14,15,16.** გორგაძე ა. ვეფხვი, მუსიკა, კოსმოსი

**სურ. 17.** გოცირიძე რ. ჩიტები

**სურ. 18,19.** ქოიავა ს. შემოდგომა მარანში, ვაზი

**სურ. 20.** იაშვილი რ. ხარი

**სურ. 21,22.** შავგულიძე ნ. გრიფონი, ძველი თბილისი

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig.1,2,3.** Ochiauri I. Dancers, Funeral feast, horses

**Fig.4,5,6.** Guruli K. "Gudastviri", You are a vineyard, feast

**Fig.7,8,9,10,11,12,13.** Gabashvili G. Carnaval men, Queen Tamar, Petre Iberi, "Lile" (song), "Urmuli" (song), "Mravalzhamier" (toast song), bowl

**Fig.14,15,16.** Gorgadze A. Tigwer, music, space

**Fig.17.** Gotsiridze R. Birds

**Fig.18,19.** Qoiava S. Autumn in wine-vanult, vine

**Fig.20.** Iashvili R. Ox

**Fig.21,22.** Shavgulidze N. Griffin, old Tbilisi



**სურ. 1 Fig.**



**სურ. 2 Fig.**



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.



სურ. 11 Fig.



სურ. 12 Fig.



სურ. 13 Fig.



სურ. 14 Fig.



სურ. 15 Fig.



სურ. 16 Fig.



სურ. 17 Fig.



სურ. 18 Fig.



სურ. 19 Fig.



სურ. 20 Fig.



სურ. 21 Fig.



სურ. 22 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 392-428
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 392-428

**სამუზეუმო საქმე**

**თემურ შარიქაძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: temurishariqadze@gmail.com

# რუსეთის იმპერიის არმიის პოლკებში მომსახურე ქართველი სამხედრო პირები და პოლკებისადმი მიძღვნილი მემორიალური ნივთები

## (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული მასალის მიხედვით)

### ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკი

ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის ორასწლიანი ისტორია მნიშვნელოვანი და საინტერესო საბრძოლო ოპერაციების ჭეშმარიტი ეპოპეაა. რუსეთის საიმპერატორო არმიის, ერთ-ერთ ძლიერ სამხედრო შენაერთს წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო XVIII-XX სს-ის უდიდეს სამხედრო მოვლენათა მონაწილე.

პოლკის ჩამოყალიბების წინა პირობა ასეთი იყო:

1700 წლის 19 ნოემბერს ჩრდილოეთის ომში (1700-1721), ქ. ნარვასთან, რუსეთის მეფე პეტრე I-ის დამარცხებამ, ისედაც დრომოჭმული და მწყობრიდან გამოსული მთელი არტილერიის დაკარგვამ განაპირობა სამხედრო შენაერთების გადახალისების, რეგულარული და ძლიერი არმიის შექმნის აუცილებლობა.

XVIII ს-ის დასაწყისში, კერძოდ, 1701 წლის 8 სექტემბერს, პეტრე I-ის ინიციატივითა და ბრძანებით რუსმა მხედართმთავარმა და სახელმწიფო მოღვაწემ, პეტრე I-ის თანამოღვაწემ, ნოვგოროდელმა ვოევოდა პეტრე აპრაქსინმა ნიჟნი-ნოვგოროდში ჩამოაყალიბა დრაგუნთა პოლკი, რომელმაც 1918 წლამდე იარსება.

XVI ს-ში საფრანგეთში ტერმინი დრაგუნი აღნიშნავდა ამხედრებულ ქვეით ჯარისკაცს, რომელსაც შეეძლო როგორც ცხენოსანთა, ასევე ქვეით არმიაში სამსახური და საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა. რუსეთში დრაგუნთა პირველი პოლკები შეიქმნა მოსკოვში, რიგაში, ყაზანში, ფსკოვში, ორენბურგში, ციმბირში, ირკუტსკში, ხარკოვში, კიევში, ტვერში, ჟიტომირში, ტირასპოლსა და სხვა ადგილებში. ეს პოლკები იყო რუსეთის არმიის კავალერიის ძირითადი ნაწილი.

ეკატერინე I-მა (1684-1727) პოლკებს მიანიჭა იმ პროვინციების სახელწოდება, სადაც ისინი იყვნენ დაბანაკებულნი, მაგრამ, თუ იქ იდგა

2 ან 3 პოლკი, მაშინ მათ განასხვავებდნენ სათანადო ნომრებით [Потто В. 1893: 63].

1708 წლიდან ახალ გაერთიანებას ეწოდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკი, 1882-1907 წლებში–ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკი, 1907 წლის დასასრულს მიენიჭა რიგითი № 17. მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში პოლკი ღირსეულად ატარებდა ისტორიული ქალაქის სახელს (ახლანდელი ქ. გორკი). ჯარის სახეობა იყო კავალერია (ცხენოსანთა ჯარი). ლეკების, ჩეჩნების, სპარსელებისა და თურქების რისხვად მოვლენილი ნიჟნი-ნოვგოროდელები აღიზარდნენ, მთელი ცხოვრება გაატარეს და დაიღუპნენ იარაღის ჟღარუნსა და სროლის ხმაურში.

რუსეთის არმიის ერთ-ერთი გამორჩეული პოლკის ფორმირებიდან მალევე გამოვლინდა ახალგაზრდა ნიჟნი-ნოვგოროდელების საბრძოლო გმირობანი ჩრდილოეთის ომში (1700-1721), ყირიმის ლაშქრობაში (1709-1739), რუსეთ-თურქეთის (1735-1739, 1768-1774, 1787-1792), რუსეთ-შვედეთის (1741-1743), შვიდწლიან (1756-1763), რუსეთის სამამულო (1812) და I მსოფლიო ომებში.

1783 წლამდე პოლკი ხანგრძლივ საომარ ოპერაციებს აწარმოებდა რუსეთის ტერიტორიაზე. შემდგომ–კავკასიასა (ყაბარდო, დერბენდი, ბაქო) და საქართველოში. საომარი კერების წარმოშობის შესაბამისად პოლკმა ცხელი წერტილებისკენ გადაინაცვლა. ნიჟნი-ნოვგოროდელები განაწილდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. მონაწილეობდნენ 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩახშობაში, ალექსანდრე ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ძე) დასაკავებლად ექსპედიცია ჩაატარეს ხევსურეთში (შატილი), აქტიურად ჩაებნენ რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთისა (1828-1829, 1877-1878) და კავკასიის (1846-1864) ომებში.

1830 წლიდან 15 წლის განმავლობაში კახეთში დისლოცირებული პოლკი იბრძოდა კახეთიდან მთიელთა (ლეკები) გასადევნად, 1848-1853 წლებში კი ძირითადად დაკავებული იყო ჩეჩნეთსა და დაღესტანში ამბოხებების ჩახშობით.

ნიჟნი-ნოვგოროდელთა სახელოვანმა სკოლამ არაერთი ღირსეული სამხედრო მოღვაწე წარმოაჩინა. სხვადასხვა ეროვნების ლეგენდარული ნიჟნი-ნოვგოროდელების მხარდამხარ იბრძოდნენ ბრძოლებში გამოწრთობილი, გამოცდილი და საბრძოლო ტრადიციების მქონე სახელოვანი ქართველი სამხედრო მოღვაწეები, ოფიცრები.

ქართველი თავადაზნაურები თავიანთ შვილებს რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში აგზავნიდნენ ცოდნის გასაღრმავებლად და სამხედრო საქმის შესასწავლად. ნაწილი, იქ რჩებოდა, ნაწილი კავკასიაში განლაგებულ რუსეთის არმიასა და ქართულ შენაერთებში ბრუნდებოდა. რუსეთში გადასახლებული ქართველი მეფეები და ბატონიშვილები მათს სამსახურში შედიოდნენ. მოვალეობასთან ერთად ეს იყო სამხედრო ბეგარა იმპერიაში შემავალი პატარა ქვეყნისათვის. თუმცა, რუსეთის არმიაში სამსახურმა ვერ ჩაკლა მათში ეროვნული ცნობიერება. ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა პოლკში მრავალწლიანი სამსახურის განმავლობაში არაერთი სისხლისმღვრელი ბრძოლა ბრწყინვალედ დააგვირგვინეს, მნიშვნელო-

ვანი წვლილი შეიტანეს რუსეთის არმიის საერთო გამარჯვებაში და დაუვიწყარი ფურცელი შემატეს რუსეთის სამხედრო მატიანეს. მათთვის არ არსებობდა ზღვარი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. ნიჟნი-ნოვგოროდელებმა მომავალ თაობებს უჩვენეს თავდადების, სიმამაცის დიადი მაგალითები. მათ მოვალეობის მიმართ ერთგულებითა და ძნელ საბრძოლო გზაზე მიღწეული წარმატებებით გაამდიდრეს პოლკის საბრძოლო და რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური ისტორია. ყველას აერთიანებდა ერთი სახელი– ნიჟნი-ნოვგოროდელი.

ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში ქართველ მებრძოლთა სამსახური არ ამოიწურებოდა მხოლოდ საბრძოლო ოპერაციებში რიგითი მონაწილეობით. განსაკუთრებული სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ოფიცერთა საუკეთესი კადრები სხვადასხვა დროს ღირსეულად აღასრულებდნენ პოლკის მეთაურის მეტად რთულსა და საპასუხისმგებლო მოვალეობას.

მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, საინტერესო, მრავალფეროვანსა და დღემდე ჯეროვნად შეუსწავლელ მემორიალურ მასალასთან ერთად წარმოგვედგინა ქართველ სამხედრო პირთა ფოტოსურათები და მოკლედ გაგვეშუქებინა მათი მოღვაწეობისა და ცხოვრების ამსახავი ღირსშესანიშნავი ეპიზოდები.

## ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის ქართველი მეთაურები

### ამილახვარი ივანე გივის ძე

1829-1905



21 წლისა მოხალისედ ჩაირიცხა კავკასიაში განლაგებულ ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა 44-ე ლეგიონში. მაღალი, შავგვრემანი, კეთილი ახალგაზრდა პოლკში ყველამ შეიყვარა. სამხედრო სამსახურის დაწყებიდან 12 წლის თავზე რუსეთის არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწის ყველაზე დიდი სახელი და სიამაყე ლეგენდარული ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკის მეთაურად დანიშვნა იყო (1864–1873). [Потто В. 1893: 68]. 1871 წელს ქ. შტუტგარტში, ვიურტემბერგის მეფის ნიჟნი-ნოვგოროდის ლეგიონზე შეფობის აღების 25 წლის თავისადმი მიძღვნილ ზეიმზე ივ. ამილახვარი დიდი პატივით მიიღეს. მან მეფეს გადასცა ალექსანდრე II-ის მილოცვა. დიდებულები ძალზე მოიხ-

იბლნენ ივანეს საგვარეულო ხმლით, რომელიც მისი წინაპრისათვის ნადირ შაჰს უჩუქებია. პოტოს ცნობით, რუსეთში დაბრუნების შემდეგ ანდრია ფერარის ნახელავი ხმალი ივანეს იმპერატორისათვის უჩუქებია. ივ. ამილახვარს 55 წელი არ გაუხდია ნიჟნი-ნოვგოროდელის მუნდირი და ღირსეულად იცავდა მის ღირსებას. უხუცესი ვეტერანი ახალგაზრდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს საინტერესო ლექცია-საუბრებს უტარებდა.

## ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე

1798-1868



1824 წლიდან პეტერბურგის ლაიბგვარდიის ცხენოსანთა ლეგიონიდან თავისივე თხოვნით გადაყვანილ იქნა კავკასიაში, ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. რუსეთ-ირანის (1826-1828), რუსეთ-თურქეთისა (1828-1829) და ყირიმის ომების (1853-1856) დროს მეთაურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის ერთ-ერთ დივიზიას. მის საბრძოლო გამოცდილებას, პრინციპულობას, სტრატეგიისა და კრიტიკული სიტუაციიდან თავის დაღწევის დიდ ნიჭსა და უნარს უკავშირდება ციხესიმაგრე აბას-აბადთან (1827), ერევანთან (1827), ყარსთან (1828), ახალქალაქთან (1828), ახალციხესთან (1828, 1853) მიღწეული წარმატებები. გამოცდილი მეომარი და საუკეთესო კავალერისტი გმირად აღიარეს. თვით მეფისნაცვალმა მიხეილ სიმონის ძემ შემდეგი სიტყვებით მიულოცა: „სიტყვებს ვერ ვპოულობ, ძვირფასო თავადო ივანე მალხაზის ძევ, რათა სიხარული და მადლიერება გამოვხატო, რომელიც მე განვიცადე თქვენი ბრწყინვალე გამარჯვების გამო... ამისათვის ღმერთმა წარმატებით დაგაჯილდოვა: თქვენ საოცარი მაგალითი უჩვენეთ, გეხვევით მთელი სულითა და გულით“ [მეგრელიძე შ. 1974: 17]. მთავარმართებელმა პასკევიჩმა ნიჭიერი და მამაცი ოფიცრის კანდიდატურა წარადგინა ლეგიონის მეთაურის თანამდებობაზე დასამტკიცებლად, მაგრამ იმპერატორმა სხვა დანიშნა.

## გურიელი სტეფანე ქრისტეფორეს ძე

1730-1812

რუსეთის არმიის კავალერიის გენერალ-მაიორი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1754 წელს. მონაწილეობდა კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომებში (1768-1774, 1787-1791). მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. მცირე დროით ასრულებდა პოლკის მეთაურის მოვალეობას

(1799-1800). მისი ვაჟი, გენერალ-მაიორი ივანე გურიელი, იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ. დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით.

### მუხრანბატონი ალექსანდრე ირაკლის ძე

1853-1918



გენერალ-მაიორი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის–ირაკლი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკისა და ეკატერინე ივანეს ასულ არღუთინსკი-დოლგორუკოვას შვილი. იგი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ცხენოსანთა პოლკის ლაიბგვარდიაში (1874). მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომში. ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკის მეთაური (1902-1904) დაჯილდოებული იყო წმინდა ვლადიმერის II, IV, წმინდა სტანისლავის I, წმინდა ანას I, III და IV ხარისხის ორდენებით. 1881 წლიდან დაქორწინებული იყო მარია დიმიტრის ასულ გოლოვაჩევაზე (1855-1932), შეეძინა შვილები–ნინა (1882-1972) და გიორგი (1884-1957). 1918 წელს პიატიგორსკში პატიმრობაში მყოფი ალექსანდრე მოკლეს. დაკრძალულია ვერის ძველ სასაფლაოზე.

### ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე

1786-1846



გენერალ-ლეიტენანტი. 1817 წლიდან ლაიბჰუსართა ლეგიონიდან გადავიდა კახეთში, წინანდალთან ახლოს დაბანაკებულ ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა ლეგიონში. ალექსანდრემ პოლკის თანამებრძოლები ერთმანეთს დაუახლოვა. თავის მამულში, წინანდალში, ნადიმებზე მოწვეულ პოლკელებს შორის იმართებოდა ჯირითი, დოლი, სროლა.

ერმოლოვმა პოლკის გარდაცვლილი მეთაურის–კლიმოვსკის ადგილზე

დანიშნა საქმის მცოდნე და გამოცდილი ოფიცერი ალ. ჭავჭავაძე, რომელმაც ზოგიერთ ოლქში დივიზიონი გამოიყენა რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით დაწყებული მღელვარების ჩასაქრობად. მას ძალზე მცირე დროით მოუწია პოლკის მეთაურის მოვალეობის შესრულება (1821-1822), რადგან იმპერატორმა მისი კანდიდატურა არ დაამტკიცა. ალექსანდრემ პროტესტის ნიშნად პოლკი დატოვა. თანამებრძოლები სევდიანად გამოეთხოვნენ ღირსეულ მეგობარს, რომელიც დიდხანს ახსოვდათ.

### ჭავჭავაძე ზაქარია გულბაათის ძე

1825-1905



კავალერიის გენერალი. 17 წლის ჩარიცხეს ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. იბრძოდა მთიელთა (შამილი) წინააღმდეგ. პოლკის მე-7 ესკადრონის მეთაურმა ზ. ჭავჭავაძემ დიდი გარდატეხა შეიტანა საბრძოლო ოპერაციებში ბაშყა-დიყლარისა (1853) და ქიურიუქ-დარისათვის (1854), ასევე რუსეთ-თურქეთის ომში (1877-1878).

ზ. ჭავჭავაძე დაჯილდოებული იყო ალმასებით შემკული ოქროს ხმლით, ოქროს დაშნით (მამაცობისათვის), ალექსანდრე ნეველის ბრილიანტებიანი ორდენით, ბუხარის I ხარისხის ალმასებიანი ვარსკვლავით (ამომავალი მზის ორდენი), თეთრი არწივის, წმინდა ანას I, წმინდა გიორგის III, IV, წმინდა ვლადიმერის I და II ხარისხის ორდენებით. დაქორწინებული იყო ორჯერ: ეკატერინე ლუარსაბის ასულ ჩოლოყაშვილსა და მარიამ (კაკო) დავითის ასულ ჭავჭავაძეზე.

ზ. ჭავჭავაძე დაკრძალულია წინანდალში, საგვარეულო სასაფლაოზე.

### ჭავჭავაძე იაკობ ივანეს ძე

1818-1884

გენერალ-მაიორი. 1823-1844 წლებში მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. 1849 წლიდან დაინიშნა პოლკის მეთაურად.

**ჭავჭავაძე იასონ ივანეს ძე**

1804-1857



გენერალ-მაიორი, ნიჟნი-ნოვგოროდელთა ყველა თაობისათვის პატივსაცემი პიროვნება. 1823 წელს ახალგაზრდა ოფიცერი კახეთში დაბინავებულ ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა ლეგიონში ჩაირიცხა. 1849 წლიდან, გენერალ კრუკოვსკის სამსახურიდან წასვლის გამო, მ. ს. ვორონცოვის წარდგინებით, დანიშნეს ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურად, რომელსაც 30 წლის განმავლობაში ღირსეულად ემსახურებოდა. მისი სტუმართმოყვარე ოჯახი ყოველთვის გულუხვად მასპინძლობდა პოლკის ოფიცრებს. კავკასიის, რუსეთ-ირანისა (1826-1827) და რუსეთ-თურქეთის (1828-1829, 1853-1856) ომების მონაწილე მამაცმა ოფიცერმა თავი ისახელა ბაიბურთის (1829), ბაშყა-დიყლარისა (1853) და ქიურიუქ-დარისათვის (1854) ბრძოლების დროს. სიცოცხლის ბოლო წლები მშობლიურ წინანდალში გაატარა.

იასონ ჭავჭავაძე დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში მეუღლის–მარიამ შალვას ასულ ერისთავის გვერდით.

## ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის ქართველი სამხედრო მოსამსახურენი

**ავალიშვილი ალექსანდრე სიმონის ძე**

1852-1916

გენერალ-მაიორი. სტავროპოლის კაზაკ იუნკერთა სასწავლებლისა და ოფიცერთა საკავალერიო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1869 წლიდან, მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა მე-16 და 44-ე პოლკებში, მეთაურობდა ესკადრონს, ასრულებდა პოლკის მეთაურის თანაშემწის მოვალეობას. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლებისა და I მსოფლიო ომებში. დაჯილდოებული იყო წმინდა ანას III, IV და წმინდა სტანისლავის II და III ხარისხის ორდენებით.

ა. ავალიშვილი დაკრძალულია ოდესაში.

**ანდრონიკაშვილი მიხეილ აბელის ძე**

1852-1882

დიდი მთავრის–მიხეილ ნიკოლოზის ძის ადიუტანტი. ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკის როტმისტრი მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. დაჯილდოებული იყო წმინდა ანას III, IV და წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენებით.

**ანდრონიკაშვილი სოლომონ არჩილის ძე**

1859-1896

ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკის ოფიცერი, რუსეთ-თურ-ქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. დაქორწინებული იყო ნადეჟდა დიმიტრის ასულ ერისთავზე (1875-1965).

**დადეშქელიანი ალექსანდრე ციოყის (მიხეილი) ძე**

1831–?



გენერალ-მაიორი. პეტერბურგის სათავადაზნაურო პოლკში სამსახ-ურის შემდეგ წარმატებული ოფიცერი 1851 წელს გამოგზავნეს კავკა-სიაში, ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა ლეგიონში. იგი 1853-1856 წლების ყირიმის ომის დროს აქტიურად ჩაერთო თურქების წინააღმდეგ ბრძო-ლაში. 1855 წელს დატოვა სამხედრო სამსახური, დასახლდა შორეულ აღ-მოსავლეთში (1857), დაიწყო რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ტოპოგრაფიული შესწავლა და რუკების შედგენა.

ალექსანდრე დადეშქელიანი დაჯილდოებული იყო წმინდა ვლადიმე-რის III, IV, წმინდა სტანისლავის II, წმინდა ანას II ხარისხის ორდენებითა და იმპერატორის ჯვრით.

**ზუბალაშვილი კონსტანტინე იაკობის ძე**

1828-1901

ნავთობმრეწველი, ქველმოქმედი, შტაბს-კაპიტანი. თბილისის კათოლი-კური სამრევლო სკოლისა და კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრე-ბის შემდეგ მსახურობდა ქართულ მილიციასა და ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში (1844-1856). მონაწილეობდა დაღესტნის ბრძოლებ-

ში. 1856 წლიდან დაიწყო საქველმოქმედო საქმიანობა. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, თბილისის კათოლიკე მრევლის მამასახლისი, ეხმარებოდა უცხოეთში სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებს, საადგილმამულო ბანკს, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, გვერდში დაუდგა მიხეილ თამარაშვილს ვატიკანსა და ევროპის ბიბლიოთეკებში ხანგრძლივი მუშაობის დროს, სათავეში ედგა პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძრის მშენებლობას. ელისაბედ თუმანიშვილთან ჰყავდა ვაჟები–ლევანი (1851-1914), სტეფანე (1860-1904), პეტრე (1862–?), იაკობი (1876-1941).

კ. ზუბალაშვილი დაკრძალეს სოლოლაკში, საგვარეულო სასაფლაოზე, მეუღლის გვერდით.

### თუმანიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე

1856-1918

გენერალ-ლეიტენანტი. დაამთავრა ნიკოლაევის საკავალერიო სასწავლებელი და გენერალური შტაბის აკადემია. მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა მე-16 პოლკში, 41-ე ქვეითი დივიზიის შტაბში, კავკასიის საკავალერიო დივიზიასა და საარმიო კორპუსში. წლების განმავლობაში მეთაურობდა ციმბირის კაზაკთა დივიზიის მე-2 ბრიგადას, მე-7 საკავალერიო კორპუსს, კიევის დრაგუნთა 27-ე პოლკს. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთისა (1877-1878) და რუსეთ-იაპონიის (1904-1905) ომებში. მიღებული ჰქონდა წმინდა სტანისლავის I, II, III, წმინდა ანას I, II, III, IV, წმინდა ვლადიმერის II, III, IV, წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენები და ოქროს იარაღი მამაცობისათვის.

გ. თუმანიშვილი თებერვლის რევოლუციის შემდეგ დახვრიტეს პიატიგორსკში.

### მელიქიშვილი ნიკოლოზ ლევანის ძე

1867-1924

გენერალ-მაიორი. პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ, 1886 წლიდან, მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა 44-ე, 1909 წლიდან კი–17-ე პოლკებში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლებისა და I მსოფლიო ომში. დაჯილდოებული იყო საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ოფიცრის ჯვრით, წმინდა ანას II, III, IV, წმინდა სტანისლავის II, III, წმინდა ვლადიმერის III, IV, წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენებით.

1917 წლიდან ნ. მელიქიშვილი იმყოფებოდა ემიგრაციაში. 1924 წელს გარდაიცვალა პარიზში.

## მუხრანბატონი ივანე კონსტანტინეს ძე

1812-1895



გენერალ-ლეიტენანტი, ერეკლე II-ის შვილთაშვილი, თბილისის გუბერნიის ყველაზე მსხვილი მემამულე. პეტერბურგის პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა ლეგიონში (1830). მონაწილეობდა შამილისა და ჰაჯი მურატის წინააღმდეგ ექსპედიციებში, ყირიმის ომში ბაშკადიკლართან ბრძოლაში (1853), რუსეთ-თურქეთის ომში (1877-1878). წლების განმავლობაში ასრულებდა ერევნის პოლკის (1848), გურიის რაზმისა (1854) და ქვეითი დივიზიის მეთაურის (1856) მოვალეობებს. მის მიერ ევროპული წესით დაყენებულმა ღვინოებმა მოსკოვისა (1882) და პარიზის (1889) გამოფენებზე სახელმწიფო გერბი და ოქროს მედალი დაიმსახურა. ივანე მუხრანბატონი დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის III, IV, წმინდა ვლადიმერის II, IV, წმინდა სტანისლავის I, II, წმინდა ანას I, II, III ხარისხის, თეთრი არწივის ორდენებითა და ოქროს ხმლით.

ივ. მუხრანბატონი დაქორწინებული იყო ნინო ლევანის ასულ დადიანზე (1816-1886). დაკრძალულია სვეტიცხოველში.

## ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე

1812-1890



პოეტი, გენერალი. საგარეჯოს მოურავ ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანისა (1769-1812) და თეკლა ბატონიშვილის (1776-1846) ვაჟი. სწავლობდა პეტერბურგის პაჟთა კოპუსში, რომლის სრული კურსი არ დაუმთავრებია. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო 1837 წლამდე გადაასახლეს კალუგაში. ამის შემდეგ სამსახური დაიწყო ნიჟნი-ნოვგოროდის დრა-

გუნთა ლეგიონში. 1881 წლამდე ასრულებდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო მოვალეობას.

1842 წელს ვ. ორბელიანი დაქორწინდა ეკატერინე ვასილის ასულ ილინსკაიაზე (1828-1884). შეეძინათ შვილები: ნიკოლოზი (1845-1925), კონსტანტინე (1851) და მარიამი (1852-1941).

### რატიშვილი გაბრიელ იგორის ძე
**?**

პრაპორშჩიკი. დაიღუპა მთიელთა წინააღმდეგ გამართული ერთ-ერთი ბრძოლის დროს (1851). დაკრძალეს თემირ-ხან-შურის (ქ. დაღესტანში, ამჟამინდელი ბუინაქსკი) სასაფლაოზე. 38 წლის შემდეგ გადაასვენეს ახალ სასაფლაოზე. საფლავის თუჯის ფილაზე შესრულებულია წარწერა: “Отъ признательнаго общества товарищей сооруженъ въ памятъ убитаго в деле съ горцами 8-го апреля 1851 года Драгунскаго Его Королевскаго Высочества наследнаго принца Вюртембергскаго полка прапорщика князя Гавриила Егоровича Ратиева имевшаго 22 года отъ роду” [Потто В. 1894: 86].

### ფანჩულიძე ევგენი ალექსის ძე
1853-1917


Командир бригады генерал-майор
Евгений Алексеевич Панчулидзев

გენერალ-ლეიტენანტი. დაამთავრა პაჟთა კორპუსი და ოფიცერთა საკავალერიო სკოლა, სადაც ეწეოდა ნაყოფიერ საგანმანათლებლო საქმიანობას. 1871 წლიდან ჩაირიცხა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა მე-16 პოლკში. მსახურობდა ნიჟინსკის დრაგუნთა 52-ე პოლკისა და მე-6 საკავალერიო დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაურად.

ე. ფანჩულიძე მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთისა და იაპონიის (1904-1905) ომებში. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დაინიშნა მე-8 არმიის შტაბის სანიტარული განყოფილების უფროსად. დაჯილდოებული იყო წმინდა ანას I, II, IV, წმინდა გიორგის IV, წმინდა სტანისლავის I, II, წმინდა ვლადიმერის III, IV და თეთრი არწივის ორდენებით.

**ღლონტი მიხეილ ალექსანდრეს ძე**
1858–?



გენერალ-მაიორი. დაამთავრა იუნკერთა სასწავლებელი. რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905) მეთაურობდა ასეულს. 1912 წლამდე მსახურობდა ნიჟნი-ნივგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკში. დაჯილდოებული იყო წმინდა ანას III, წმინდა სტანისლავის II, წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენებითა და ოქროს იარაღით.

**ჩოლოყაშვილი ილია ზაალის ძე**
1823-1877



გენერალ-მაიორი. მსახურობდა ქართულ მილიციაში (1842), 1849-1858 წლებში–ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა ლეგიონში. კავკასიის ომების მონაწილემ თავი გამოიჩინა ბაშკადიკლარისათვის (1853 წ.), ასევე და წინანდალში შემოჭრილი შამილის ბანდების წინააღმდეგ ბრძოლებში, რუსეთ-თურქეთის ომებში (1853-1856, 1877-1878). 1872 წლიდან გარდაცვალებამდე ირიცხებოდა იმპერატორის ამალაში. მისი ოცდათხუთმეტწლიანი სამხედრო მოღვაწეობა აღინიშნა წმინდა ანას II, III, IV, წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ბაფთიანი ორდენებითა და ხმლით დაჯილდოებით.

ილია ჩოლოყაშვილი დაქორწინებული იყო ელენე ივანეს ასულ ანდრონიკაშვილზე (1856). დაკრძალულია სომხეთში, ალექსანდროპოლის ეკლესიაში (ქ. გიუმრი, ახლანდელი ლენინაკანი).

**წერეთელი დიმიტრი ასლანის ძე**

1830-1909

გენერალ-მაიორი. 1852-1857 წლებში მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. მუხრანბატონის მკვლელობის გამო გაასამართლა სამხედრო სასამართლომ და პრაპორშჩიკობიდან ჩამოაქვეითეს რიგითად, თუმცა, 1861 წლიდან კვლავ აღადგინეს. მონაწილეობდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში (1817-1864), ასევე ყირიმისა (1853-1856) და რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომებში. საბრძოლო გმირობისათვის დაჯილდოებული იყო III ხარისხის ორდენით, წმინდა სტანისლავის, წმინდა ანას III ხარისხის (ბაფთითა და მახვილით), II ხარისხის ლომისა და მზის (სპარსეთი) ორდენებით. თავადის ასულებთან–აგიაშვილსა და წულუკიძესთან ჰყავდა 9 შვილი.

**ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე**

1818-1884



პოეტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. პეტერბურგის გვარდიის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1834 წლიდან, მსახურობდა ლაიბგვარდიის ულანთა, ფსკოვის კირასირთა, თბილისის ეგერთა პოლკებში, კახეთის ცხენოსანთა მილიციის მეთაურად. 1840 წლიდან ჩაირიცხა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. ყირიმის ომის დროს (1853-1856) იცავდა კახეთს შამილის თავდასხმებისაგან. თუმცა, 1854 წელს მარბიელმა რაზმებმა მაინც მოახერხეს წინანდალში მისი მამულის გაძარცვა, გადაწვა და ოჯახის წევრების დატყვევება, რასაც მისი მცირეწლოვანი ქალიშვილის–ლიდიას სიცოცხლე შეეწირა.

დ. ჭავჭავაძეს ანა ილიას ასულ ჭავჭავაძესთან (ერეკლე II-ის შვილიშვილი, 1822-1905) შეეძინა ექვსი ქალი და სამი ვაჟი. ნიჭიერი და მამაცი ოფიცერი დაჯილდოებული იყო წმინდა ანას II, წმინდა ვლადიმერის III და წმინდა სტანისლავის I ხარისხის ორდენებით. დაკრძალულია შუამთის მონასტერში.

**ჭავჭავაძე დავით ზაქარიას ძე**

1878-1920

როტმისტრი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი (1897), ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებელი (1899), ოფიცერთა საკავალერიო სკოლა. 1899-1917 წლებში მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა (1904-1905) და I მსოფლიო ომებში. მეთაურობდა ქართველ ცხენოსანთა პოლკს. დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის IV, წმინდა ანას II, IV, წმინდა სტანისლავის II, III და წმინდა ვლადიმერის III, IV ხარისხის ორდენებით.

დ. ჭავჭავაძე დაქორწინებული იყო ელისაბედ კონსტანტინეს ასულ ლასკარზე.

**ჯომარჯიძე მიხეილ გრიგოლის ძე**

1822-1889

გენერალ-ლეიტენანტი. 15 წლის შეიყვანეს მოსკოვის კადეტთა პირველ კორპუსში. 1840 წლიდან გაიგზავნა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა ლეგიონში. შამილისა და ჰაჯი მურატის წინააღმდეგ დაგეგმილ ჩეჩნეთისა და დაღესტნის ექსპედიციების სახელოვანი მონაწილე დააჯილდოვეს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენითა და ოქროს ხმლით.

მ. ჯომარჯიძის სამხედრო მოღვაწეობა მრავალფეროვანია–დაღესტნის ცხენოსანთა ლეგიონის მეთაური, ჭარ-ბელაქნის მხარის უფროსის მოადგილე, პერეიასლავის დრაგუნთა ლეგიონის ასეულის, შემდეგ ამავე ლეგიონის მეთაური, სამხრეთ დაღესტნისა და დერბენდის სამხედრო ოლქის უფროსი, კავკასიის მხარის ადგილობრივი ჯარების უფროსი.

**ნიჟნი-ნოვგოროდელთა ჯილდო-საჩუქრები**

ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის ჩამოყალიბებას სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა ქალაქის მოსახლეობა. მათ პოლკს უსახსოვრეს მაცხოვრის ხატი, ვერცხლის აზარფეშა, ოქროს ასოებით მოხატული ადრესი და ქალაქის ხედების ალბომი. ქ. ერევნის მაცხოვრებლებმა პოლკელებს მიართვეს ვერცხლის ჩამჩა წმინდა გიორგის I ხარისხის ორდენის გამოსახულებით. კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის ოფიცრებმა კი–სადგარი-მენიუ.

1896 წლის ოქტომბერში ქ. თბილისის მოსახლეობამ სახელოვან ნიჟნი-ნოვგოროდელებს მიართვეს ვერცხლის სინი თბილისის გერბის, წმინდა ნინოს ჯვრის, ნახევარმთვარის, კუთხეებში ლომის თავების გამოსახულებითა და წარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. მისი უდიდებულესობის ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკს 1826 წლის გმირული ბრძოლის სახსოვრად. 9 ოქტომბერი, 1896 წ, ქ. თბილისი". ამ წელს პოლკმა თბილისი დაიცვა სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აბას-მირზას შემოსევისაგან.

პეტრე I-ის დროიდან რუსეთის მეფე-მთავრები და იმპერატორები

ყურადღებას არ აკლებდნენ ნიჟნი-ნოვგოროდელებს. პოლკის წარმატებები და საგმირო საქმეები ჯამდებოდა სამწყობრო დათვალერების დროს, ღირსშესანიშნავი ან საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სპეციალურ შეკრებებზე, საზეიმო საღამოებზე. განსაკუთრებული პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით ეპყრობოდნენ და იხსენებდნენ უხუცეს ნიჟნი-ნოვგოროდელებს. ქება-დიდებას ასხამდნენ და მაღალ შეფასებას აძლევდნენ მათს საბრძოლო შემართებას, მოპოვებული წარმატებებისათვის უხვად აჯილდოებდნენ საუკეთესო საჩუქრებით. მისალმებებსა და გამოსვლებში ხშირად გაისმოდა ქართველი სახელოვანი ოფიცრების სახელები, რომლებიც ღირსეულად ატარებდნენ ნიჟნი-ნოვგოროდელის მუნდირს. დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ხელმწიფე იმპერატორს აცნობა დავით ზაქარიას ძე ჭავჭავაძის მიერ წარმატებით ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შესახებ შემდეგი: „Считаю долгом всеподданейше доложить, что эскадрон нижегородцев под командой ротмистра князя Чавчавадзе уничтожил германскии разведывательный эскадрон”. ბრძოლის გმირს წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენი გადასცეს.

1828 წელს ხელმწიფე იმპერატორმა რუსეთ-ირანის (1826-1828) ომში, ელიზავეტოპოლის, ერევნის, ყარსის, ახალციხის, ერზერუმის, ბაიბურთის ბრძოლებში, ციხესიმაგრე აბას-აბადის აღების დროს (1827) გამოჩენილი მამაცობისათვის პოლკს გადასცა შტანდარტი წარწერით: „За отличие в персидскую воину 1826–1827–1828 гг“.

ჩეჩნეთსა და დაღესტანში მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატებების გამო იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (1825-1855) 1851 წელს პოლკის მე-4 დივიზიონს გადასცა შტანდარტი წარწერით: „За отличие подвиги в Чечне 1851 г“. [Потто В. 1893: 86].

ყირიმის ომის დროს (1853-1856), ბაშკადიკლარის (1853), ქიურიუქ-დარისა (1854) და ბაიანდურის ბრძოლებში ბრწყინვალე გამარჯვება ოქროს ასოებით ჩაიწერა პოლკის ისტორიაში. იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1855-1881), ნიჟნი-ნოვგოროდელთა გმირობის უმაღლესად შეფასების გარდა („Нижгородцев я считаю своим первым кавалерским полком“), 1856 წელს პოლკის მე-5 დივიზიონი დააჯილდოვა ახალი შტანდარტით: „За отличные подвиги в сражении при Кюрюк-Дара 24 июля 1854 г“

კავკასიის ომის გმირის, ცნობილი იმამის, შამილის დატყვევება, დაღვრილი ზღვა სისხლისა და უამრავი მსხვერპლის ფასად მიღწეული კავკასიის ხანგრძლივი ბრძოლების დასასრული საზეიმო პარადით აღნიშნეს პეტერბურგში (1864). ბრწყინვალე გამარჯვების მონაწილე მამაცი მეომრები სათანადოდ დააჯილდოვეს.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში მიღწეული წარმატებებით პოლკმა გმირობის ახალი ფურცელი ჩაწერა თავის ისტორიაში. 1877 წელს I და II დივიზიონებს გადაეცათ შტანდარტები წარწერით: „За сражение 2 и 3 октября 1877 г. на Аладжирских высотах“ и „За дела при Бегли-Ахмете 18 мая ино Орловских высотах 2 октября 1877 г“.

1895 წლის აგვისტოში დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ (1832-1909) პიატიგორსკში ნიჟნი-ნოვგოროდელების საქმიანობას მაღალი

შეფასება მისცა და ღრმა პატივისცემის ნიშნად პოლკის ოფიცრებს გადასცა ვერცხლის 48 თასი. ვახშამზე სადღეგრძელოები შესვეს ნიჟნი-ნოვგოროდელთა საყვარელი სასმისებით–აზარფეშებითა და ყანწებით, რომლებიც პოლკმა საჩუქრად მიიღო კავკასიაში მოღვაწეობის ასი წლის თავთან დაკავშირებით. 1901 წელს პოლკის დაარსების 200 წლის თავის იუბილეზე კი ბორჯომიდან ჩამოიტანეს ნავის ფორმის მოოქრული აზარფეშა და 42 ცალი მომინანქრებული ოქროს თასი.

1903 წელს თბილისში გამართული XIX ს-ის მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული მოვლენის–ყირიმის ომის დაწყების 50 წლის თავისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე პოლკს გადაეცა წარწერიანი ვერცხლის საყვირი: „За отличные подвиги при поражении 36-тысячного турецкого корпуса на Баш-кадык-Ларских высотах 19-го ноября 1853 года“ (დივიზიის მესაყვირის, სტეფანე მეშევენკოს, ხსოვნის უკვდავსაყოფად). გაიხსენეს ბაშკადიკლართან, ქიურიუქ-დარისთან ჩატარებული ყველაზე მძიმე და სახელოვანი ბრძოლის ეპიზოდები. გადაიხადეს დაღუპულთა პანაშვიდი. ალექსანდრე ირაკლის ძე მუხრანბატონმა შესვა დიდი მთავრის, მამაცი პოლკელებისა და ორი ქართველი გმირის–ზაქარია ჭავჭავაძისა და ივანე ამილახვრის სადღეგრძელოები

ნიჟნი-ნოვგოროდელებს სამახსოვრო საჩუქრებს უძღვნიდნენ მეთაურები (ყოფილი თუ მოქმედი), თანაპოლკელები, ძველი დრაგუნელები, კერძო პირები. პოლკის შეფმა, გენერალ-მაიორმა კ. სტალმა (1808-1814), პოლკის ეკლესიის საცავს გადასცა მოოქრული ვერცხლისყდიანი სახარება მდიდრული გამოსახულებებითა და წარწერით: „Пожертвовано шефомъ полка генералъ-маиором Сталем 21 декабря 1814 года“[Потто В. 1893: 63].

1896 წელს პოლკოვნიკმა ფანჩულიძემ პოლკს გადასცა წმინდა გიორგის ხატი.

თანაპოლკელებმა გიორგი თუმანოვმა (თუმანიშვილი), ივანე რატიევმა (რატიშვილი), ალექსი ტოლსტოიმ, ვლადიმერ უნგერნმა, კონსტანტინე ყარანგოზოვმა, ვიქტორ ბიბიკოვმა, ვლადიმერ ალტუხოვმა მესაყვირეთა გუნდს გადასცეს ფაბერჟეს ნამუშევარი–ვერცხლის კარედი ხატი, წმინდა ილარიონის, ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის გამოსახულებებით.

ცნობილი თბილისელი ქველმოქმედის–კონსტანტინე ზუბალაშვილის მემკვიდრეებმა წერილი გაუგზავნეს პოლკის ხელმძღვანელობას: „ჩვენი განსვენებული მამა დაახლოებით 10 წელი მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის პოლკში, რითაც ძალზე ამაყობდა. მისი სახელის უკვდავსაყოფად შემოგვაქვს 5000 მანეთი“. წერილს ხელს აწერდნენ ლევან, პეტრე, სტეფანე და იაკობ ზუბალაშვილები.

## პოლკის საჩუქრები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული მასალის მიხედვით

ომის თემატიკა და პოლკის მიერ მოპოვებული წარმატებები ფართოდ აისახა სამეცნიერო ლიტერატურაში, სახვით, გამოყენებითსა და საიუველ-

ლირეო ხელოვნებაში.

რუსი ხელმწიფეები, პატრიოტული სულისკვეთების შენარჩუნებისა და ამაღლების მიზნით, პოლკსა და წარჩინებულ ოფიცრებს უძღვნიდნენ სპეციალურად დაწესებულ ჯილდოებს, სახელობით მედლებს, წარჩინების ნიშნებს, მედალიონებს, იმპერატორებისა და მათი ოჯახის წევრების გამოსახულებიან თასებს, სათუთუნეებს, ჭიქებს, აზარფეშებს, ყანწებს, ცხენის გამოსახულებიან ქანდაკებებს, საპატიო დაფაზე ამოკვეთილ ოფიცერთა გვარებს, შტანდარტებს, საყვირებს. საჩუქრები შემკობილი იყო შტანდარტების, საყვირების, ყველა სახეობის იარაღის, ცხენის თავის, ბატალური სცენის ამსახველი მინიატიურული, რელიეფური გამოსახულებებით.

წარმოდგენილი მემორიალური ნივთები ეძღვნება და ასახავს რუსეთის არმიის ერთ-ერთი ძველი შენაერთის–ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკელების ცხოვრებასა და მათ მიერ XIX-XX სს-ის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ წარმოებულ ომებში მიღწეულ წარმატებებს.

საჩუქრების შემომტანსა და ჯილდოს გადამცემს თავისი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა პოლკის საერთო საგანძურის გამდიდრების საქმეში, რასაც ნიჟნი-ნოვგოროდელები სათუთად უფრთხილდებოდნენ და განსაკუთრებული სიამაყით ინახავდნენ როგორც ძველი ლაშქრობებისა და თავიანთი დიდებული წარსულის ძეგლებს.

# კატალოგი



სურ. 1

ყანწი რქის, წყვილი, მოსევადებული, გაწყობილი ვერცხლის სალტეებითა და ჯაჭვებით. ოვალურ მედალიონზე შესრულებულია წარწერა: „Алаверды, 2-му эск. 44 Драг.Ниж. Его величества полка от старого товарища кн. Дм. Амилахвари, июля 6, 1896 г."

საჩუქარი მიძღვნილია პოლკის თბილისში შემოსვლის აღსანიშნავი დღესასწაულისადმი. საინვ. № 3384-3385.



სურ. 2

აზარფეშა, ვერცხლის, წმინდა გიორგის მომინანქრებული ჯვრის გამოსახულებით. შუაგულსა და ტარზე იკითხება – „Алла Верди от старого камандира." «Дорогим стрелькам дружинникам на добрую память от бывшего командира, кн. Вачнадзе.»

ტარის L-27,.5 სმ, D-დმ-19 სმ. საინვ. № 3372.



სურ. 3

მემორიალური დაფა, მიძღვნილი აბას-აბადის ციხის აღებისადმი. ციხე ააგეს აბას მირზას ბრძანებით რუსეთ-ირანის ომის დროს (1826-1828) შაჰ-აბასის მიერ დანგრეული ძველი სომხური ციხესიმაგრის ადგილზე. სტრატეგიული დანიშნულების ციხესიმაგრეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისათვის. მისი დაკავების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნახჭევანის დამორჩილება. 1827 წლის 7 ივლისს გენერალმა ივანე პასკევიჩმა დაიკავა ციხე და გასაღები ჩაიბარა. ციხესიმაგრის აღების დროს გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი მეთაურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის ერთ-ერთ დივიზიონს, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა ოპერაცია, დაატყვევა ირანის კავალერიის მეთაური ნაჯავ-ხანი და წმინდა ანას II ხარისხის ორდენი დაიმსახურა. ციხის აღებისას თავი გამოიჩინა ფეხოსანთა 21-ე დივიზიის მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა გიორგი ერისთავმა.



სურ. 4

აზარფეშა, მოოქრული ვერცხლის. ტარზე განლაგებულია მინიატიურული სამხედრო რეგალიები და წმინდა გიორგის ჯვარი. საიუბილეო საჩუქარზე წარწერაა: „ВЬ ПАМЯТЬ ВЕКОВАГО ПРЕБЫВАНИЯ НИЖЕГОРОДСКИХ ДРАГУН НА КАВКАЗЕ 1783-1833". მას ისტორიული ღირებულებაც გააჩნია: „Его императорское величество государь император Николай Александрович изволил пить из сей азарпеши на бивуаке полка у г. Новаго-Петергофа 31 июля 1911 г."

აზარფეშაზე ამოკვეთილია ქართველ და რუს სამხედრო მოსამსახურეთა გვარები, რომლებმაც 1783 წლიდან პოლკს დიდება და სახელი მოუტანეს: კავალერიის გენერლები: ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე, ჭავჭავაძე იასონ ივანეს ძე, ამილახვარი ივანე გივის ძე, ჭავჭავაძე ზაქარია გულბაათის ძე, ძველი ნიჟნი-ნოვგოროდელები–გენერალ-ლეიტენანტი ჯომარჯიძე მიხეილ გიორგის ძე, გენერალ-მაიორი ორბელიანი ილია დიმიტრის ძე, თავადი ჩხეიძე, ს. ერისთავი...

ტარის L--44 სმ, თასის D-დმ-19 სმ. საინვ. № 3371.



სურ. 5

პოლკის წარჩინების ნიშნებსა და რელიკვიებს შორის საპატიო ადგილი ეკავა ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაღარას (ლიტავრი)–სამხედრო ლაშქრობის დროს გამოყენებულ, ძველებურ დასარტყამ მუსიკალურ საკრავს. ქვაბის ფორმის კორპუსს ზევიდან გადაკრული ჰქონდა ტყავი, რომელიც ორი ჯოხის დარტყმით გამოსცემდა მჭექარე ხმას. გამოიყენებოდა მწყობრში, ომისა და ლაშქრობის დროს. პოლკელებს ის გამოჰქონდათ სადღესასწაულო დღეებშიც.ვერცხლის ნაღარა შემკულია ბარელიეფური მედალიონებით, ცხენებისა და ორთავიანი, ფრთებგაშლილი არწივების გამოსახულებებით. ნაღარა დგას ცხენის ფეხის ფორმის სამ სადგარზე. H-38 სმ, D-დმ-48 სმ. საინვ. № 9-2013/592



სურ. 6 (1-2)

თასი, ვერცხლის, ნავისებური. წარწერა მეტყველებს პოლკის დამსახურებაზე: „3-й эскадронь 44-го драгунского Нижегородского Его Императорского Высочества Государя Наследника Цесаревича полка. Ура, живым и память павшим за бой неравный, страшный бой когда с маиором Витте. Наши врубились мы во вражни строй! Хоть много нашего тут братя себе снискало вечный сонь но долг исполнили мы свято."(სტილი დაცულია. თ.შ)

თასზე განთავსებული მედლები მოწმობენ რუსეთ-ირანის (1826-1828), ყირიმის (1853-1856), ჩეჩნეთის, დაღესტნის (1858, 1859), დასავლეთ კავკასიისა (1864) და რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომებში პოლკის მიერ მოპოვებულ წარმატებებზე. ჩამოთვლილია ქართველ და რუს სამხედრო პირთა გვარები, რომლებმაც სახელი და დიდება შემატეს პოლკის მრავალწლიან ისტორიას. ესენია: პოლკის მეთაური ს. ბიბიკოვი, ყოფილი მეთაურები და ოფიცრები – თავადი ივანე ამილახვარი, ე. ფანჩულიძე, ს. ერისთავი, ს. ვასილშჩიკოვი, კ. სლიზენი, პ. იაკოვლევი, თავ. ობოლენსკი. საინვ. № 3356.



სურ. 7

აზარფეშა, ვერცხლის. თასისა და ტარის შესამკობად გამოყენებულია ვერცხლის მონეტები, შუაგულში გამოსახულია წმ. გიორგის ჯვარი. წარწერა ეხება ერთ-ერთი სამხედრო შენაერთის მიერ წარმატებით ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციას: „За отличие при покорении Западного Кавказа в 1864 г", "За взятие штурмом Турецкой крепости Геок-Тепе 12 января 1881 г". ტარის L-33,5 სმ, D-16,5 სმ. საინვ. № 3358.



სურ. 8 (1-2)

ქვაბი, ვერცხლის, სახელურით. მედალიონზე გამოსახულია ერთ-ერთი პოლკის სამწყობრო დგომა და პატაკის ჩაბარება. წარწერა გვამცნობს: „Доблестным Грузинам, Родные Мингрельцы." ჯვარედინად განლაგებულ სამხრეულზე დასმულია ინიციალები: Д. Г. და თარიღი: 1700-1900. საჩუქარი მიძღვნილია დრაგუნთა პოლკის შექმნის 200 წლის თავისადმი. საინვ. № 3347.



სურ. 9 (1-2)

ჭიქა, ფაიფურის. მ.ს. კუზნეცოვის ფაიფურის ქარხნის ნაწარმი (XIX-XX სს.). მასზე დასმულია თარიღი (1701-1901), რუსეთის იმპერატორების–ალექსანდრე I-სა და ნიკოლოზ II-ის ინიციალები. ჭიქა დამზადებულია ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის დაარსების 200 წლის თავთან დაკავშირებით. ჭიქის D-10 სმ, H-10 სმ. საინვ. № 78-1939/1.



სურ. 10

დაფა, ვერცხლის. მხატვრულად გაფორმებულია წმ. გიორგის ჯვრითა და მინიატიურული საბრძოლო იარაღებით. ტვერელთა საჩუქარი ეძღვნება ნიჟნი-ნოვგოროდის პოლკის დაარსების 200 წლის თავს: „Тверцы, Нижегородцам 8 сентября 1901 года." საინვ. № 3319.

## ტვერის დრაგუნთა პოლკი

1798 წლის 20 აგვისტოს ჩამოყალიბდა ტვერის დრაგუნთა პოლკი, რომელმაც 1918 წლამდე იარსება. პოლკი მონაწილეობდა ყირიმის (1853-1856), რუსეთ-თურქეთისა (1877-1878) და I მსოფლიო (1914-1918) ომებში.

## ტვერის დრაგუნთა პოლკის ქართველი მეთაურები

### ჭავჭავაძე ზაქარია გულბაათის ძე

1825-1905



კავალერიის გენერალი. ტვერის დრაგუნთა მე-16 და 43-ე პოლკების მეთაური 1863-1871 წლებში.

### ჭავჭავაძე არჩილ გულბაათის ძე

1841-1902



გენერალ-მაიორი. მეთაურობდა მილიციის ცხენოსანთა, დაღესტნის პირველ ცხენოსანთა რეგულარულ პოლკებსა და კავკასიის კავალერიის დივიზიას. 1862-1864 წლებში ა. ჭავჭავაძე მსახურობდა ტვერის დრაგუნთა 43-ე პოლკში. მალე პირველი ესკადრონის მეთაურად დანიშნეს. მონაწილეობდა კავკასიის (1817-1864), ყირიმისა (1853-1856) და რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომებში. დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით.

**ჭავჭავაძე ნიკოლოზ მელქისედეკის (მიხეილი) ძე**
1866-1920



გენერალ-მაიორი. თბილისის კადეტთა კორპუსისა და პეტერბურგის ნიკოლაევის საკავალერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ტვერის დრაგუნთა 43-ე პოლკში, შემდეგ დაინიშნა მის მეთაურად. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. დაჯილდოებული იყო წმინდა სტანისლავის III, წმინდა ანას III, წმინდა გიორგის III ხარისხის ორდენებით. ეკატერინე მიხეილის ასულ ციციშვილთან ჰყავდა შვილები – ზურაბი (1896-1933) და მიხეილი (1898-1965). დაკრძალულია ყვარელში.

**ტვერის დრაგუნთა პოლკში მომსახურე ქართველები**

**ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) იოსების ძე**
1888-1930



საქართველოს ეროვნული გმირი. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1907) 1912 წლამდე მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში. 1913 წელს დაქორწინდა ნინო ილიას ასულ მეღვინეთუხუცესზე. შეეძინათ ქალიშვილები თამარი და ქეთევანი.

ქ. ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა პარიზში. 2005 წელს გადმოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში.

## ბუჭყიაშვილი ვახტანგ ბეჟანის ძე

1829-1901

გენერალ-მაიორი, ქართლის თავად-აზნაურთა გვარის შთამომავალი. ამ გვარის ცნობილმა სამხედრო მოღვაწეებმა რუსეთის იმპერიის მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს. მათ შორის იყო მისი უფროსი ძმაც, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე.

ვ. ბუჭყიაშვილი მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა დასავლეთ კავკასიის მთიელთა დამორჩილებაში, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში. დაკრძალულია ანჩისხატის ტაძარში.

## ტვერის დრაგუნთა პოლკის საჩუქრები



სურ. 11

აზარფეშა, ვერცხლის, შემკული საბრძოლო იარაღების, დროშების, საყვირების, მედლების გამოსახულებებითა და წარწერებით: „Не нам не нам а имени твоему. На тя господи уновахом, да не постыдимся во веки, 1853-1856."

აზარფეშა გადაეცა ტვერის პოლკს დაარსების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით: „Дорогим Тверцам в память 20 августа 1898 года от командира полка полковника Девель." წარწერაში აღნიშნულია პოლკის მიერ მიღწეული გამარჯვებები: „За отличную храбрость при взятии приступом базарджика 22 мая 1810," «За усмирение Венгрии и Трансилвании 1849», «За походы в средней Азии 1853, 1895 гг.», «За покорение западного Кавказа 1859-1864», «За взятие штурмом Геок-Тепе 12 января 1881 года».sainv. # 337




სურ. 12

წმინდა გიორგის შტანდარტი, რომელიც ტვერის დრაგუნთა პოლკის მე-2 დივიზიონს გადაეცა 1856 წლის 30 აგვისტოს: „За отличные подвиги вь сражении при кюрукь-Дара 24 июля 1854 года." დროშაზე ამოქარგულია რუსეთის გერბი–ორთავიანი არწივი და ინიციალი: H. ნაპირს შემოუყვება ოქროსფერი ფოჩი ორი მსხვილი ფუნჯით. საინვ. № 4111.

## სევერის დრაგუნთა პოლკი

1856 წლის 3 აპრილს, კავკასიის ცალკეული კორპუსისა და ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის რჩეული ნაწილებისაგან შეიქმნა სევერის დრაგუნთა პოლკი, რომელსაც 1864 წელს მიენიჭა მე-17, 1882 წელს 45-ე ნომერი. პოლკმა იარსება თითქმის 62 წელი და მონაწილეობა მიიღო რუსეთის მიერ წარმოებულ ყველა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში (1817-1864 წლების–კავკასიის, 1877-1878 წლების–რუსეთ-თურქეთისა და I მსოფლიო ომებში).

## სევერის დრაგუნთა პოლკის მეთაურები

### აბაშიძე დიმიტრი როსტომის ძე

1856-1920

გენერალ-მაიორი. თბილისის ქვეით იუნკერთა და კავალერიის საოფიცრო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა თბილისის გრენადერთა მე-15 პოლკში, ციმბირის მსროლელთა დივიზიის მე-12 ბრიგადის მეთაურად (1914), სევერის დრაგუნთა 45-ე პოლკში (1893-1900). 1907-1912 წლებში ასრულებდა ამავე პოლკის მეთაურის მოვალეობას. მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთისა და I მსოფლიო ომებში. მამაცი ოფიცერი დაჯილდოებული იყო წმინდა **ანას** II, III, IV, წმინდა სტანისლავის I, II, III, წმინდა ვლადიმერის III და IV ხარისხის ორდენებით.

### ბაგრატიონი ივანე რომანის ძე (მუხრანბატონი)

1825-1860



პოლკოვნიკი. პროპორშჩიკთა და იუნკერთა სკოლის დამთავრების შემდეგ 30 წლისა სათავეში ჩაუდგა დაღესტნის ცხენოსანთა პოლკს. სხვადასხვა დროს მსახურობდა მისი უდიდებულესობის კირასირის ლაიბგვარდიის, ერევნის კარაბინერთა და აფშერონის პოლკებში. 1859 წლიდან დაინიშნა სევერის პოლკის მეთაურად. მონაწილეობდა შამილის დატყვევებაში. 1860 წელს ურიცხვი ჩერქეზების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციის

დროს მთიელებმა საშინლად აწამეს. საბრძოლო გმირობისათვის მიღებული ჰქონდა ოქროს ხმალი. ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ კავკასიაში მოგზაურობის დროს მასთან რამდენიმე დღე გაატარა. სევერის მუზეუმში დაცულ საფლავის ფილაზე წერია: „ Севрский Драгунский Его Императорского Величества Наследника Цесаревича полк бывшему командиру князю Ивану Романовичу Багратиону, убытому непокорными горцами 7 июня 1860 года. “

### ბარათაშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე

1865-1932



კავალერიის გენერალი. ვლადიკავკაზის რეალური, სამხედრო და საინჟინრო სასწავლებლის (1885), ასევე გენერალური შტაბის აკადემიის (1891) დამთავრების შემდეგ მსახურობდა თერგის კაზაკთა ჯარში, კავკასიისა და ოდესის სამხედრო ოლქში, მე-13 ქვეით დივიზიაში, საკავალერიო კორპუსის შტაბისა (1905-1906) და კავკასიის კაზაკთა დივიზიის უფროსად. 1893-1894 წლებში ასრულებდა სევერის 45-ე დრაგუნთა პოლკის ესკადრონის უფროსის მოვალეობას.

ნ. ბარათაშვილი მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა (1904-1905) და I მსოფლიო ომებში (1914-1918). დაჯილდოებული იყო ოქროს იარაღით მამაცობისათვის (1905), წმინდა სტანისლავის I, II, III, წმინდა ანას II, III, წმინდა ვლადიმერის III, IV, წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენებით. უცხოურ ჯილდოთაგან მიღებული ჰქონდა ბუხარის III ხარისხის ოქროს ვარსკვლავი, სპარსეთის ლომისა და მზის II ხარისხის, საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენები.

### წერეთელი დიმიტრი ასლანის ძე

1830-1909

1857-1861 წლებში მსახურობდა სევერის დრაგუნთა პოლკში.

**ჭავჭავაძე არჩილ გულბაათის ძე**
1841-1902



1889–1896 წლებში მეთაურობდა სევერის დრაგუნთა პოლკს.

## სევერის დრაგუნთა პოლკის საჩუქრები

ნიჟნი-ნოვგოროდელების, ტვერელთა და სევერელთა საყვარელი საჩუქარი იყო მარმარილოს, ვერცხლის ან ბრინჯაოს კვარცხლბეკზე დამაგრებული, სხვადასხვა კომპოზიციით წარმოდგენილი დეკორატიულ-ალეგორიული ხასიათის ჯგუფური ან ცალკეული ჩამოსხმული ფიგურები (მგლებზე ნადირობა, ქვეითი წყალს აწვდის მხედარს), რომლებიც გამოირჩეოდნენ თემატიკის მრავალფეროვნებით, შესანიშნავი ჭედურობითა და სხმული ტექნიკით, მოძრაობის დინამიკურობით, ვირტუოზულობითა და სრულყოფილად გადმოცემდნენ იმ დროისა და ვითარების სულისკვეთებას.

ღირსეულ საჩუქრად ითვლებოდა ცხენის სკულპტურული გამოსახულება. ნიჟნი-ნოვგოროდელთა წესის თანახმად, თანაპოლკელები და მეგობრები 10 წლის შემდეგ პოლკიდან წასულ ოფიცერს ჩუქნიდნენ წითელი ხისაგან დამზადებულ მაგიდის საათს, რომელსაც ამკობდა ვერცხლის ჩამოსხმული ცხენის ქანდაკება. საათი რეკდა პოლკის მარშს.



სურ. 13

მცირე ქანდაკება, ბრინჯაოსი, კომპოზიცია–„მგლებზე ნადირობა“. სადგარზე ამოკვეთილია სამახსოვრო წარწერა: „г. ВЛАДИКАВКАЗ. Его Императорского Высочества полковника Принца Людвига Наполеона. 1897 г. На память от командира 45-го драгунского Северского Его Величества Короля Датского полка”.[1] საინვ. № 9(6).



სურ. 14

მცირე ქანდაკება, ვერცხლის. კომპოზიცია–ქვეითი ჯარისკაცი მათარით წყალს აწვდის მხედარს. წარწერებში ხაზგასმულია პოლკის ღირსეული საქმიანობა: „Драгунскии, за дело 31 июля под Карсом и штурм этой крепости в ноябрь 1877 г.“, «Ахалцих 1828 год 23 октября», «За отличие 1877 года», «С нами бог».

საჩუქარი ეძღვნება დრაგუნთა პოლკის დაარსების 200 წლის თავს: „Кунакам Северцам, от 1-го Кавказского саперного баталиона в 200 летнюю годавщину, 8 сентября 1901 года”. საინვ. № 11.

1 ლ. ნაპოლეონი, გამოჩენილი კავალერისტი. შვიდი წლის განმავლობაში მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის პოლკში, ასევე ვლადიკავკაზში განლაგებულ სევერის პოლკის მეთაურად. 1897 წელს პოლკის ხელმძღვანელობამ, ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა პოლკიდან ღირსეულად გააცილეს.



სურ. 15

ყანწი, რქის, წყვილი, შემკული ვერცხლის ფიგურებით. მასზე ამოტვიფრული სამხედრო პირთა გვარები (ჩხეიძე, მიქელაძეები, აბაშიძე, ბატიევი, არსენიევი, ტკაჩენკო) და თარიღები (1701-1856-1886) მეტყველებს დრაგუნთა პოლკის წარმატებებზე: „Северский драгунскии его высочества короля Датского полка. На память радному полку от офицеров, «за службу и храбрость», «за отличие», «за службу на Кавказе»".

საპატიო სტუმრები პოლკელებისა და მათი გამარჯვებების სადღეგრძელოს სვამდნენ ყანწით: „Его Императорское Высочество наследник Цесаревич Николай Александровичь изволиль откушать из этого рога доброе кахетинское вино Драгунском ужине в лагере под г. Владикавказом 19 сентября 1888 года." საინვ. № 1-2

## ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკი

პოლკი ჩამოყალიბდა 1700 წლის 25 ივნისს პეტრე I-ის ბრძანებით. ეს იყო რუსეთის საიმპერატორო არმიის ქვეითი ჯარი. ქართველი გრენადერები მონაწილეობდნენ ჩრდილოეთის (1700-1721), რუსეთ-ირანის (1800-1813, 1826-1828), რუსეთ-თურქეთის (1828-1829, 1877-1878), ყირიმისა (1853-1856) და კავკასიის (1817-1864) ომებში. წლების განმავლობაში პოლკი იცვლიდა სახელსა და მინიჭებულ ნომერს (1864 წლიდან მიენიჭა № 14). დისლოკაციის ძირითადი ადგილი იყო თბილისის გუბერნია (ბელი-კლიუჩი, თეთრი წყარო). პოლკის დღესასწაული აღინიშნებოდა 9 მაისს.

### პოლკის ქართველი მეთაურები

### აფხაზი ივანე ნიკოლოზის ძე

1764-1832

გენერალ-მაიორი. 1800 წელს ჩაირიცხა ეგერთა მე-17 პოლკში. 1820 წლიდან კი ეგერთა 44-ე პოლკის მეთაურია. მსახურობდა კავკასიის ცალკეული კორპუსის შტაბისა და ამიერკავკასიის მუსულმანთა პროვინციების სამხედრო ოლქის უფროსად (1829). 1821 წლიდან დაინიშნა ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაურად. მონაწილეობდა რუსეთ-ირანისა (1804-1813, 1826-1828) და რუსეთ-თურქეთის (1828-1829) ომებში. ჩრდილოეთ ოსეთის სამხედრო ექსპედიციის უფროსმა თავისი მდიდარი გამოცდილების წყალობით მშვიდობიანად აღკვეთა დაპირისპირება ცარიზმისადმი მტრულად განწყობილ ოსებთან.

კავკასიის ომების გმირმა თავი ისახელა არაერთ ურთულეს საომარ ოპერაციაში. გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გულადობისათვის დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით.

### თარხან-მოურავი იოსებ დავითის ძე

1819-1878



გენერალ-ადიუტანტი. მსახურობდა ერევნის კარაბინერთა პოლკში, სამხრეთ დაღესტნის ჯარების უფროსად, კავკასიის ქვეით გრენადერთა 39-ე დივიზიისა (1863-1877) და ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკის მეთაურად (1855-1859). 1871 წლიდან გარდაცვალებამდე იყო მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ამალის წევრი. მონაწილეობდა კავკასიისა

(1817-1864) და ყირიმის ომებში (1853-1856). დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის III ხარისხის ორდენით. ბარბარე (ბაბო) მამუკას ასულ ჯამბაკ-ურ-ორბელიანთან ჰყავდა ოთხი შვილი.

## თარხან-მოურავი კონსტანტინე დავითის ძე

1811-1869



გენერალ-ლეიტენანტი. 1820 წლიდან მსახურობდა კავკასიის ცალკეუ-ლი კორპუსის ქვეით ჯარში. დანიშნული იყო ნუხისა და შემახიის მხარის უფროსად (1858-1863) და ბაქოს სამხედრო გუბერნატორად (1863-1868). ყირიმის ომის დროს დაინიშნა ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკის მეთაურად (1853-1855). მონაწილეობდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ (1817-1864), რუსეთ-ირანისა (1826-1828) და რუსეთ-თურქეთის (1828-1829) ომებში.

კ. თარხან-მოურავი დაჯილდოებული იყო წმინდა ანას I, II, III, IV, წმინ-და ვლადიმერის IV, წმინდა გიორგის IV, წმინდა სტანისლავის I ხარისხის ორდენებითა და ოქროს დაშნით მამაცობისათვის.

## მამაცაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე

1818-1900



გენერალ-ლეიტენანტი, ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისა და პეტერბურგის კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ (1837) მსახურობდა კავკასიის გრენადერთა საარ-ტილერიო ბრიგადაში და ამავე ბრიგადის № 1 ბატარეის მეთაურად, ელი-ზავეტოპოლის გენერალურ გუბერნატორად. კ. მამაცაშვილი იბრძოდა ჩეჩნეთსა და დაღესტანში შამილის წინააღმდეგ, კავკასიის (1817-1864), ყირი-

მისა (1853-1856) და რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომებში. 1884 წლიდან კ. მამაცაშვილი სამოქალაქო სექტორში მოღვაწეობდა. აირჩიეს ადგილობრივი თვითმმართველობის დეპუტატად, სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად, სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველთა კომიტეტის თავმჯდომარედ. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობასა და სათავადაზნაურო გიმნაზიის დაარსების საქმეში. რუისში გახსნა სკოლა.

კ. მამაცაშვილი დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის IV, წმინდა ანას II, წმინდა ვლადიმერის II III, IV, წმინდა სტანისლავის III ხარისხის ორდენებით, საიმპერატორო გვირგვინითა და ოქროს ხმლით.

## ოთხმეზური აკაკი გაბრიელის ძე

1874-1916

პოლკოვნიკი. თბილისის იუნკერთა სასწავლებლის კურსდამთავრებულმა სამხედრო სამსახური დაიწყო ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკში, ხოლო მეთაურთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1892) დაინიშნა ამავე პოლკის მე-3 ბატალიონის უფროსად. I მსოფლიო ომის დროს ა. ოთხმეზური იბრძოდა ბელორუსიაში ავსტრია-გერმანიის თავდასხმებისაგან ქვეყნის დასაცავად. ბელორუსიის ქართულმა დიასპორამ ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაღუპულ მამაც მეომარს საფლავზე მემორიალური დაფა დაუდგა.

ოთხმეზური დაჯილდოებული იყო წმინდა ანას II, III, IV, წმინდა ვლადიმერის IV, წმინდა სტანისლავის II, III ხარისხის ორდენებით.

## ორბელიანი გრიგოლ ზურაბის (დიმიტრი) ძე

1804-1883



ინფანტერიის გენერალი, რომანტიკოსი პოეტი, ერეკლე II-ის შვილთაშვილი. თბილისის კეთილშობილთა და საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა 21-ე საარტილერიო ბრიგადაში, ქართველ გრენადერთა პოლკში (1820 წლიდან). 1832 წლის შეთქმულების მონაწილემ სამწლიანი პატიმრობის შემდეგ სამხედრო სამსახური გააგრძელა რიგასა და ვილნიუსში. 1837 წლიდან კვლავ ქართველ გრენადერთა პოლკის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურად დანიშნეს.

გრ. ორბელიანი მონაწილეობდა კავკასიის (1817-1864), რუსეთ-ირანი-

სა (1826-1828) და რუსეთ-თურქეთის (1828-1829) ომებში, გურიის გლეხთა აჯანყების ჩახშობაში (1841), შამილის წინააღმდეგ განხორციელებულ ექსპედიციებში. წლების განმავლობაში გრ. ორბელიანი იყო ავარიის (დაღესტანი) მმართველი (1843), თბილისის გენერალ-გუბერნატორი (1860), კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარე (1862). 1827-1861 წლებში გრ. რბელიანს გადაეცა წმინდა ანას II, IV, წმინდა ვლადიმერის I, II, III, IV, წმინდა სტანისლავის I, II, წმინდა გიორგის IV, თეთრი არწივის, წმინდა ალექსანდრე ნეველისა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენები, ალმასებიანი ოქროს ხმალი წარწერით–მამაცობისათვის.

1866 წლიდან გრ. ორბელიანმა დატოვა სამხედრო სამსახური და გააგრძელა ლიტერატურული საქმიანობა.

გრ. ორბელიანი დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში.

## ორბელიანი ილია ზურაბის (დიმიტრი) ძე

1818-1853



გენერალ-მაიორი, გრიგოლ ორბელიანის ძმა. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1832 წელს, ჩაირიცხა ქართველ გრენადერთა პოლკში, რომელსაც მეთაურობდა 1851-1853 წლებში. მონაწილეობდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ (1817-1864) ბრძოლებში, ასევე ყირიმის (1853-1856) ომში. მიღებული ჰქონდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენი. ქორწინებაში იმყოფებოდა ბარბარე ილიას ასულ ბატონიშვილთან (1831-1884, რომელიც შამილმა დაატყვევა წინანდლის სასახლეზე თავდასხმის დროს–1854 წელს). ჰყავდათ ვაჟიშვილი გიორგი.

ი. ორბელიანი გარდაიცვალა ალექსანდროპოლში (ქ. გიუმრი, ახლანდელი ლენინაკანი). დაკრძალულია თბილისში.

## ტერიაშვილი (ტერიაევი) ივანე შალვას ძე

1838-1905

გენერალ-მაიორი. 1870 წლიდან მსახურობდა მსროლელთა მე-2 ასეულის, მისი უდიდებულესობის ერევნის მე-13 ლაიბ და ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკების მეთაურად (1897-1900). თავი ისახელა ღუნიბის აღების დროს (1858). მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

## ყანჩელი ივანე სოლომონის ძე

პოდპოლკოვნიკი. ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკის პორუჩიკი (1908-1910), იმავე პოლკის შტაბს-კაპიტანი (1914), ასეულის მეთაური (1916), ბატალიონისა (1917) და მე-14 პოლკის მეთაური (1917). მონაწილეობდა I მსოფლიო ომში.

ი. ყანჩელი დაჯილდოებული იყო წმინდა სტანისლავის II (მახვილით), წმინდა ანას II (მახვილით), IV, წმინდა ვლადიმერის IV (ბაფთიანი და მახვილით) ხარისხის ორდენებით.

## ჭილაშვილი (ჩილაევი) ბორის გაბრიელის ძე

1798-1850



გენერალ-მაიორი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1816 წლიდან ფინეთის პოლკის ლაიბგვარდიაში. სხვადასხვა წელს ასრულებდა მე-7 კარაბინერთა, სამეგრელოს (1843-1846), თბილისის ქვეით (1847-1848), ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკების (1840-1842), ქართული ქვეითი მილიციის, ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქისა და მთელი ლეკეთის საკორდონო ხაზის მეთაურის (1848-1850) მოვალეობებს. მონაწილეობდა კავკასიისა (1817-1864) და რუსეთ-ირანის (1826-1828) ომებში. იყო აფხაზეთის ჯარის მეთაური. 1837 წლიდან აქტიურად ჩაერთო წებელდის ექსპედიციაში.

ბ. ჭილაშვილს მიღებული ჰქონდა წმინდა ვლადიმერის III, IV და წმინდა ანას II ხარისხის ორდენები.

## ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკის საჩუქრები

სურ. 16

სასმისი, ვერცხლის, შემკული ფერადი მინანქრით. მიძღვნილია დრაგუნთა პოლკის დაარსების 200 წლის თავისადმი: „14-му ГРЕНАДЕРСКОМУ ГРУЗИНСКОМУ ПОЛКУ 1700-1900. 6-Я БАТАРЕЯ КАВКАЗ. ГРЕНАДЕР. АРТИЛ. БРИГАДЫ". საინვ. № 3349.





სურ. 17

ადრესი (დაფა), ვერცხლის. ერთ-ერთი სამხედრო შენაერთი უძღვნის თავის თანამებრძოლებს, პოლკის დაარსების 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით: „14 ГР. ГРУЗИНСКОМУ ПОЛКУ ОТ 15 ГР. ТИФЛИССКОГО ПОЛКА ЗА ОТЛИЧИЕ”. სამხედრო რეგალიებსა და მედლებზე შესრულებული წარწ-ერები, ქართველ და რუს სამხედრო პირთა გვარები (პოდპოლკოვნიკი ჯაიანი, კაპიტნები იაშვილი და ზურაბოვი, აგაევი, ანტონოვი, შტაბს-კაპიტნები ვაჩნაძე, თარხან-მოურავი) მეტყველებს პოლკის განსაკუთრებულ დამსახურებაზე კავკასიის ომში: „За









кавказскую войну”, “за взятие крепости Ахалкалаки”. საინვ. № 3318.

სურ. 18, 1-4

1812 წლის სამამულო ომში ნაპოლეონზე რუსეთის არმიის გამარჯვება გახდა განმსაზღვრელი თემა ხელოვნების სხვადასხვა დარგის პროფესიონალ-სპეციალისტების შემოქმედებისა. მათ ეს ისტორიული მოვლენა რეალური ცხოვრებიდან აღებული სიუჟეტებით გადმოსცეს. ომის 100 წლის თავთან დაკავშირებით დამზადდა ათასობით სამახსოვრო, საიუბილეო ჟეტონები, მონეტების ნაკრები, მედალი ალექსანდრე I-ის გამოსახულებითა და წარწერით: „в память по 100-летия Отечественной воины 1812 г”. „1812 СЛАВНЫИ ГОД СЕЙ МИНУЛЪ, НО НЕ ПРОИДУТЪ СОДЕЯННЫЕ ВЪ НЕМЪ ПОДВИГИ-1912“. დაიწერა მხატვრული ნაწარმოებები, ლექსები და სიმღერები. მოგვიანებით, XX ს-ში, გადაიღეს ფილმებიც. 1812 წლის ომის მოვლენებმა განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში. შეიქმნა მხედართმთავრების ფერწერული ტილოები, სპილოს ძვლისა და ბრინჯაოს მცირე ქანდაკებები, დაიდგა გმირთა ძეგლები. საიუველირო ნაწარმსა და გარდნერისა და კუზნეცოვის ფაიფურის ქარხნების მხატვრულ-დეკორატიულ ნიმუშებზე აღბეჭდეს რუსეთისა (ალექსანდრე I) და საფრანგეთის (ნაპოლეონ I) იმპერატორთა სურათები, მათი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები, პირველი ოფიციალური შეხვედრა, სადაც ნათლად ჩანს მათი პირადი ნაცნობობა და მეგობრობაც, რაც ხანმოკლე დროით განისაზღვრა-ტილზიტის ხელშეკრულების ხელმოწერიდან (1807) 1812 წლის სამამულო ომის დაწყებამდე სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამდე. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება იმპერატორთა ბარელიეფურგამოსახულებიანი ვერცხლის დეკორატიული თასი(სასმისი): „ВЬ ПАМЯТЬ 100 Л. ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ 1812-1912 АЛЕКСАНДРЬ I, НАПОЛЕОН I“. თასზე ჩამოთვლილია სამამულო ომში მონაწილეთა გვარები: „Б–ДЕ–ТОЛИ, БАГРАТИОНЪ, ВИТГЕНШТЕИНЪ, МИЛОРАДОВИЧ, ГОРЧАКОВЪ, КУТУЗОВЪ, ПЛАТОВЪ, АПРАКСИНЪ, КОНОВНИЦИНЪ, ФИГНЕРЪ.” თასი ექსპონირებული იყო 1812 წლის სამამულო ომის მუზეუმში მოსკოვში, ომის 100 წლის თავთან დაკავშირებით. მისი ანალოგი დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში. H-6 სმ, პირის D-3,8 სმ, ძირის D-2,5 სმ. საინვ. № 62-86/1.

**Temur Sharikadze**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia

E-mail: temurishariqadze@gmail.com

# To Study of Memoriable Exhibits

## Summary

The article deals with memoriable things of historical character with inscriptions from the Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum. These craftworks were given to people who successfully participated on Russian and Georgian territories from the 18th century in different military operations.

Experienced Georgian military men did their bit in gaining victories of Russian army.

The Georgians not only took part in military compaigns but during many years carried out rather dificult and widely-respected duties of regimental commanders.

The article illustrates memoriable objects and photos of Georgian military men who worked in different military formations (units) as well as short facts from their biographies.

## ბიბლიოგრაფია

**ანთელავა ი. 1962:** ქართველები 1812 წლის სამამულო ომში. თბილისი.

**ბარამიძე ალ. 1959:** სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698-1713). თბილისი.

**ლომთათიძე გ. 1990:** ქართული კულტურის მემატიანე ექვთიმე თაყაიშვილი. თბილისი.

**მეგრელიძე შ. 1974:** საქართველო აღმოსავლეთის ომებში. თბილისი.

**მეტრეველი რ. 2000:** საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები. თბილისი.

**პაპავა თ. 1990:** დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. თბილისი.

**ღვინჯილია ჯ. 1983:** გიორგი სააკაძის პიროვნება. თბილისი.

**ჭოლოშვილი ლ. 1994:** შამილი და ალექსანდრე ბატონიშვილი. თბილისი.

სსმა, 1965 წ; ფ. 2401, საქმე № 1, გვ. 1-39.

**Бутков П. Г. 1869:** Материалы для новейшей истории Кавказа. Санкт-Петербург.

**Богданович М. И. 1877:** Восточная война 1853-1856 годов. т. I. Санкт-Петербург.

**Богданович М. И. 1876:** Восточная война 1853-1856 годов т. II. Санкт-Петербург.

**Богданович М. И. 1876:** Восточная война 1853-1856 годов т. III. Санкт-Петербург.

**Богданович М.И .1877:** Восточная война 1853-1856 годов. т. IV. Санкт-Петербург.

**Дубровин. Н. 1897:** Георгий XII последный царь Грузии и присоединение к России. Санкт-Петербург.

**Потто В. 1893:** История 44-го драгунского Нижегородского полка. т. I-II. Санкт-Петербург.

**Потто В. 1893:** История 44-го драгунского Нижегородского полка. т. V-VI. Санкт-Петербург.

**Потто В. 1887**: Кавказская война. т. I. Санкт-Петербург.

**Потто В. 1886:** Кавказская война. т. III. Санкт-Петербург.

**Потто В. 1887:** Кавказская война. т. IV. Тифлисъ.

**Потто В. 1889:** Кавказская война. т. V. Тифлисъ.

**Потто В. 1897:** Памяти старых Кавказцев. Тифлисъ.

**Потто В. 1908:** История 17-го драгунского Нижегородского Его Императорского Величества Полка. т.XI. Тифлисъ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VII (52-B), 2016, 429-452
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VII (52-B), 2016, 429-452

**რესტავრაცია/კონსერვაცია**

**ნინო ქებულაძე*, ნათია ძიგუა*, ნანა გოგინაშვილი****

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nino.kebuladze@yahoo.com
ndzigua@yahoo.com
** საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ.გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nanikogoginashvili@gmail.com

# არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სპილენძის შენადნობების კვლევა და რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდების შედარებითი ანალიზი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცულ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურსა თუ ეთნოგრაფიულ მასალაში ბევრია სპილენძის შენადნობებისაგან დამზადებული ისეთი ექსპონატები, რომლებიც კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებად შეიძლება ჩაითვალოს. მათგან ბევრი რესტავრაცია-კონსერვაციას საჭიროებს. წინამდებარე ნაშრომის მიზანი ამ ტიპის მასალისგან დამზადებული რამდენიმე ნიმუშის კვლევა და რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდების შედარებითი ანალიზია.

სპილენძი პირველი ლითონია, რომლის გამოყენება ადამიანმა ჯერ კიდევ ძვ.წ. VII-VI სს-ში დაიწყო. პირველი ნივთები, რომლებიც ენეოლითურ ხანას განეკუთვნება, მზადდებოდა იშვიათი, თვითნაბადი სპილენძისგან, რომელიც ზოგჯერ დარიშხანს შეიცავდა. მოგვიანებით, ადრეული ბრინჯაოს ხანაში, დაიწყო გამოყენება სპილენძით მდიდარი ჟანგეული და კარბონატული მადნებისა, რომლებიც განთავსებულია დედამიწის ქერქის ზედა ფენებში და ლითონამდე ადვილაღსადგენი შენაერთებია. მათგან დამზადებული ნივთები დარიშხანთან ერთად ზოგჯერ ანთიმონს შეიცავს.

ლითონის თვისებებზე დაკვირვებამ, საყოფაცხოვრებო თუ სხვა მოთხოვნების მრავალფეროვნებამ ადამიანი მიიყვანა მეტალურგიის ძალიან რთულ საწყისებამდე. დაიწყო ლითონის ჭედვა ცივად, მოგვიანებით - ცხლად. ხშირად გვხვდება ნივთები, რომლებიც ჯერ ჩამოსხმული იყო, ხოლო შემდეგ - გამოჭედილი.

შუა ბრინჯაოს ხანაში ბრინჯაოს მეტალურგია განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდიდან იწყება მეტალურგიაში რთული შენადნობების გამოყენება. იარაღის, სამკაულისა და სხვათა დასამზადებლად უკვე იხმარება ხელოვნური შენადნობი. კვლევებმა აჩვენა, რომ, გარდა დარიშხან-ანთიმონიანი ბრინჯაოსი,

ამ პერიოდში უკვე ვრცელდება კალიანი ბრინჯაოც.

შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანბრინჯაოს ხანაში კალა გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს. თუმცა ზოგიერთ რაიონში, კალის ნაკლებობის გამო, კალიან ბრინჯაოსთან ერთად ისევ დარიშხანიან სპილენძს ხმარობენ, ზოგან კი - მხოლოდ დარიშხანიან ან მცირემინარევიან სპილენძს.

დარიშხანიანი სპილენძი საქართველოში ბრინჯაოს კულტურის არსებობისას გამოიყენებოდა.

ანტიკური ხანის ფერადი ლითონდამუშავებისათვის დამახასიათებელია მაღალპროცენტული შემცველობისა და მრავალკომპონენტიანი ლიგატურის მქონე შენადნობების წარმოება: სპილენძი-კალა, სპილენძი-კალა-ტყვია, სპილენძი-კალა-ტყვია-თუთია.

როგორც ცნობილია, ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს იწყება რკინის ათვისება- ახალი ეტაპი მეტალურგიის ისტორიაში. თუმცა, რკინის იშვიათობის გამო ბრინჯაო მაინც არ კარგავს მთლიანად თავის ფუნქციას და ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება. ძვ.წ. VIII-VII სს-დან კი რკინა საბოლოოდ დევნის ბრინჯაოს როგორც შრომისა და საბრძოლო იარაღის მასალას და, მისგან, უმთავრესად, სამკაულებსა და სხვა მხატვრულ სხმულებს აკეთებენ.

შედეგად, კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ადამიანის მიერ სპილენძისა და მისი შენადნობებისგან საბრძოლო, სამეურნეო, საიუველირო თუ სხვა დანიშნულების მრავალი ნივთი დამზადდა. მათგან ბევრი ერთადერთი და უნიკალურია. დღესაც გვაოცებს ის ნამზადები, რომელთა შექმნაც ტექნოლოგიურად ძალიან რთული იყო. მიუხედავად ამისა, ისინი ათასწლეულების განმავლობაში იქმნებოდა.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სპილენძის შენადნობების დაზიანების ხარისხის, კერძოდ კი, კოროზიული ფენების გამოვლენის, შედარებისა და ინდივიდუალური საკონსერვაციო მეთოდოლოგიის დადგენის მიზნით ჩვენ მიერ შეირჩა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის მუზეუმის საირხის ფონდში დაცული, საირხის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი, ლაგამი (ძვ.წ. IV-III სს. ტაბ. II-1) და აღმოსავლეთის ხელოვნების ფონდებში დაცული, ისლამური ხელოვნების ორი ნიმუში, სავარაუდოდ, ბრინჯაოსა (თარიღი უცნობია. ტაბ. II-2) და თითბრის (XIVს. ტაბ. II-3) შანდლის სადგარები.

სპილენძის შენადნობებისგან დამზადებული კოლხური კულტურის საინტერესო ნიმუშები ბევრ არქეოლოგიურ ძეგლზეა დადასტურებული, მათ შორისაა საირხის ნაქალაქარიც. მისი უძველესი ფენები გამოვლენილია საბადურის, სკომიეთის, წყაროსთავის (კოკილაშვილების), ვეშაპიძის, ღელიპირა გორებზე, აგრეთვე გორებს შორის მოქცეულ, გავაკებულ მონაკვეთებზე: სახოველში, კარახტინში, კოდისწყალსა და ბიჭიაშვილების ღელის ფლატესთან [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 23].

საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე 1982 წელს გათხრილი ათი სამარხი წინარეანტიკური ხანის ფენაში იყო ჩაშვებული. ამ სამარხთაგან ზოგიერთი რთულადაა ნაგები და მათ გამთხრელებმა აკლდამები უწოდეს [ნადირაძე ჯ. 1990: 22].

გამთხრელების თვალსაზრისით, №1 სამარხის აღმოჩენით, რომელშიც

ჩვენ მიერ რესტავრირებული ლაგამიცაა, ახალი აქეოლოგიური ეტაპი დაიწყო საირხის ნაქალაქარის ისტორიის შესწავლაში. მან დასაბამი მისცა ანტიკურ-ელინისტური ხანის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლების გამომზეურებას [ნადირაძე ჯ. 1990: 66]. სამარხი №1 (ტაბ. I-1) მდებარეობს A4 სექტორში [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 34. სურ.1]. ის სტრატიგრაფიულ ჭრილში გადაფარული იყო ელინისტური ხანის კულტურული ფენით. სამარხს გააჩნდა ქვაყრილი, რომლის დიდი ნაწილი დააზიანა ადგილობრივმა მოსახლეობამ.

სამარხი დაცურებული იყო და მიწის ზედაპირიდან არათანაბარ სიმაღლეზე მდებარეობდა. D3 კვ - ში თუ სამარხის დონე დანიშნულიდან 4,6 მეტრს უდრიდა, D4 კვ-ში იგი 5,3 მ-ს აღწევდა.

სამარხი, როგორც ვთქვით, დაზიანებული და გაძარცული იყო. გამოკითხვის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გადმოცემულ იქნა ამ სამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს ლაგამი (ტაბ. I-2) [ნადირაძე ჯ. 1990: 67; მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 44. ფოტო 48].

ლაგამი, თანმხლები მასალის მიხედვით, ადრეანტიკურ-ელინისტური ხანით, ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნით, თარიღდება [ნადირაძე ჯ. 1990: 79. ტაბ. XXXVII-1].

ცხენის აღკაზმულობის ნაწილთაგან აღმოჩენილია: ოქროს ღილისებრი ბალთა - 2ც. (ავშრის ბალთები); ვერცხლის ღილისებრი ბალთა – 2 ც. (ავშრის ბალთები), ვერცხლის ფოთლისებური მოყვანილობისა და წრიული ფირფიტით დაბოლოებული საკიდი (საშუბლე); ძლიერ დაზიანებული და დაჟანგული რკინის რგოლები - 14 ფრაგმენტი და ბრინჯაოს ლაგამი [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 44].

კვლევისათვის შერჩეული შანდლის სადგარები (სხმ.აღ. საინვ. №№ 3829; 3386) საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლეთის ხელოვნების ფონდებშია დაცული (ტაბ. II-2, 3). ორივე ისლამური ხელოვნების ეთნოგრაფიული ნიმუშია. როგორც გაირკვა, აღნიშნულ ფონდებში ისინი ეტაპობრივად შევიდა. საინვენტარო წიგნების დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ ბრინჯაოს (?) სადგარი ოდიშის გულეიკარის წმინდა გიორგის ეკლესიიდან 1925 წელს გადაეცა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურს და მას მიენიჭა საინვენტარო ნომერი - ოდიში №102.

რაც შეეხება თითბრის (?) შანდლის სადგარს, ის XIX ს-ში მოღვაწე პირველი მესურათხატისა და კოლექციონერის - ა. როინაშვილის კერძო საკუთრება გახლდათ, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ სხვა ნივთებთან ერთად მემკვიდრეობით გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და მიენიჭა შესაბამისი საინვენტარო ნომერი - წ.კ. I–43. ამ საზოგადოების დაშლის შემდეგ კი განთავსდა დღევანდელ შალვა ამირანაშვილის სახელობის მუზეუმის საგანძურში.

ორივე ექსპონატი, 1985 წლის 10 იანვრის №1 და 1982 წლის 18 ივლისის №9 აქტების თანახმად, საგანძურის გამგემ გ. აბრამიშვილმა მატერიალური კულტურის დაცვის პასუხისმგებლობით ჩააბარა აღმოსავლეთ ქვეყნების კულტურის განყოფილების გამგეს, ა. გრიგოლიას. მათ მიენიჭათ ახალი საინვენტარო ნომრები - სხმ.აღ. № 3829 (ოდიში №102) (ტაბ.

II-2; IV-7) და სხმ.აღ. №3386 (წ.კ. I–43) (ტაბ. II-3; IV-8).

ამ ტიპის ნაკეთობები ყურადღებას იპყრობს ტექნოლოგიური მახასიათებლების მიხედვით. ისინი სხვადასხვა კულტურის (ბიზანტიური, სასანური ირანი) ნიადაგზე აღმოცენებული ტექნიკების ნაზავია. მუსლიმი ხელოსნები გამუდმებით ითვისებდნენ ახალდაპყრობილი ტერიტორიების სახელოვნებო დარგებს, კერამიკის, მინის, ლითონის, ქსოვილისა და არქიტექტურული ძეგლების ფორმებსა და დამზადების მეთოდებს. სწორედ ამიტომ ხშირად ძნელი გასარჩევია ისლამური ხელოვნების ადრეული, ე.წ. გარდამავალი პერიოდის (VII-VIII სს) ნიმუშები ბიზანტიური და სასანური კულტურის ძეგლებისაგან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში ისლამურმა სამყარომ მოიპოვა საკუთარი კულტურული მახასიათებლები, გამოიკვეთა 'ისლამური" სტილის გავლენა, რომელიც საბოლოოდ IXს-თვის ჩამოყალიბდა [Nasser D. Khalili. 2005: 26].

## მაკროსტრუქტურული კვლევა და სპექტრული ანალიზი

ფოტოფიქსაციის შემდეგ სამივე ნივთს ჩაუტარდა კომპლექსური - მაკროსტრუქტურული და სპექტრული ანალიზი.

სპექტრული ანალიზი ორი რენტგენოფლუორესცენტული სპექტრომეტრის გამოყენებით ჩატარდა: 1. ხელის - Olympus XRF DP–4000 - ისა და 2. პორტატული – Elva X – ის მეშვეობით, რომელთა უპირატესობა ანალიზის არადესტრუქციული გზით წარმოებაა.

კვლევებმა ნივთებზე სხვადასხვა ტიპის მექანიკური და ქიმიური დაზიანება გამოავლინა.

სპექტრული ანალიზი ლაგმისა და სადგარების ლითონურ ზედაპირსა და კოროზიულ ფენებს ჩაუტარდა. შედეგებმა აჩვენა, რომ კოროდირებულ უბნებზე ლითონურ ზედაპირთან შედარებით გაზრდილია მალეგირებელი ელემენტების რაოდენობა, რაც კოროდირებული ბრინჯაოსთვისაა დამახასიათებელი (ცხრილი 1. № 3,4,5,6,7).

კვლევების დროს, კოროდირებულ უბნებზე ჩატარებული ანალიზების შედეგები გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ვინაიდან, როდესაც ამ ტიპის ანალიზი დაჟანგულ ლითონზე ტარდება, მიღებულ შედეგებში შემადგენელ ელემენტთა პროცენტულ რაოდენობათა ჯამი ასის ტოლი არაა. ადგილი აქვს დამჟანგველ ნივთიერებათა ხარჯზე დანაკარგს, რომელიც ამ შემთხვევაში არ ისაზღვრება. ზოგადად, დაჟანგული ლითონის ანალიზის ცდომილება ჟანგვის ხარისხის პროპორციულია.

როგორც ზემოთ განხილულმა კვლევებმა აჩვენა, ლითონური შენადნობის ოქსიდაციის შედეგად კოროზიულ ფენებში ლითონური ელემენტების პროცენტული მაჩვენებელი რეალურთან შედარებით დიდი რაოდენობითაა, ვინაიდან საანალიზო უბნები, განსაკუთრებით არქეოლოგიური ნივთების კვლევისას, შეიცავს ფაზური გამოყოფის წერტილებს, შესაბამისად, ასეთ უბნის ანალიზის შედეგში გაზრდილია იმ ელემენტის კონცენტრაცია, რომელიც ფაზურად გამოიყო შენადნობში შემავალი და უფრო ადვილად ჟანგვადი ლითონის ხარჯზე.

შესაბამისად, კოროზიული პროდუქტებით გამოწვეული ცდომილების

თავიდან ასაცილებლად საჭიროა შედარებით ნაკლებად კოროდირებული, ლიკვაციისა და ფაზური გამოყოფისაგან თავისუფალი უბნების შერჩევა. ამის საშუალება, ეთნოგრაფიული ექსპონატებისაგან განსხვავებით, ლაგამის ანალიზისას არ გვქონდა, ვინაიდან მისი ზედაპირი მთლიანად პატინით იყო დაფარული, მისი დარღვევა კი მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ ახალი კოროზიული ცენტრების გაჩენის თავიდან აცილების მიზნით. ასევე არ აგვიღია კვლევისათვის სინჯები ლაგმის მთლიანი სხმულებიდან, რაც დაგვაზუსტებინებდა მის ქიმიურ შემადგენლობას. ლაგამი ტყვიის შემცველია, ტყვია კი სპილენძთან არ იძლევა ნაერთს, რომელსაც დნობის დაბალი ტემპერატურა აქვს. ამის გამო შენადნობში ადვილად მიმდინარეობს თხევადი ლითონის განფენოვნება – ლიკვაცია ხვედრითი წონის მიხედვით. სხვა შემთხვევაში მთელი ნივთის საშუალო-რაოდენობრივ სინჯს იყენებენ.

ზოგადად, არქეოლოგიური ნივთების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრისას კოროზიით გამოწვეული ცდომილების სავსებით აცილება თითქმის შეუძლებელია [Oudbashi O., Emami S. … 2013: 1-10].

ლაგამზე არსებული ნადების მარცვლოვანი სტრუქტურა შეუიარაღებელი თვალითაც შეიმჩნევა. იგი შედგება სამი ძირითადი ფენისაგან, რომლებიც განსხვავდება შედგენილობით, სტრუქტურითა და თვისებებით. ამასთანავე, თითოეულს აქვს დამატებითი ფენები.

ნაწილობრივი კოროზიის ფენა, რომელიც შენადნობის არაკოროდირებული ნარჩენების კოროზიის პროდუქტებთან რთული გადახლართვაა, შავი ფერისაა. ფენის შავი შეფერვა სპილენძის ჟანგის არსებობითაა განპირობებული.

ზოგადად, მყარსა და კოროდირებულ ლითონს შორის მკაფიო საზღვარი არ არსებობს. ლაგმის შემთხვევაში ნაწილობრივი კოროზია ნივთის მთელ ჭრილს არ მოიცავს. კოროზიის პროდუქტები ნაწილობრივი კოროზიის ფენაში ამორფული ნივთიერების ნარევის სახითაა. ეს ფენა ლითონური სპილენძის, სპილენძის ჟანგების ($CuO$-ჟანგი და $Cu_2O$–ქვეჟანგი), სპილენძის საშუალო და ნორმალური ქლორიდების ($CuCl_2$, $CuCl$), კალის ორჟანგისა ($SnO_2$) და, შესაძლოა, კალის ჟანგის ($SnO$) ნარევია, რასაც სპექტრული ანალიზიც ადასტურებს (ცხრილი 1. №4).

როგორც ვთქვით, ნიადაგოვანი კოროზიის შედეგად ნადებს რთული ქიმიური შედგენილობა აქვს. როგორც წესი, ასეთი ტიპის კოროზია, ძირითადად, ჟანგბადის შენაერთებსა (ჟანგეულებს) და სხვადასხვა მარილს: კარბონატებს, ქლორიდებს, სულფიდებს, სულფატებსა და სილიკატებს შეიცავს. როგორც სპექტრულმა ანალიზმა აჩვენა, მისი ძირითადი მასა სპილენძისა და კალის შენაერთებია (ცხრილი 1. №№ 3, 4).

ლაგამზე, ნაწილობრივი კოროზიის ფენაში, გამოვლინდა მოთეთრო-მომწვანო ფერის ქლოროვანი სპილენძი ($CuCl$-მინერალი ნანტოკიტი). ის ქიმიურად არამდგრადი და ჰიგროსკოპულია. ჰაერზე წყლის ორთქლის არსებობისას იგი იჟანგება და ჰიდროლიზდება, გარდაიქმნება ძირითადი სპილენძის მწვანე ქლორიდად ($CuCl_2 \cdot 3Cu(OH)_2$-მინერალი ატაკამიტი).

$CuCl$-ის გარდა, შიდა ფენაში დაფიქსირდა $CuCl_2$ და მისი კრისტალჰიდრატი $CuCl_2 \cdot 2H_2O$ (მინერალი ანტოფაგასტიტი). ორივე ნაერთი ქიმიურად

აქტიურია და ურთიერთქმედებენ სპილენძთან, მაგრამ დამოუკიდებელ ფენებს არ წარმოქმნიან. ამიტომ მათ არსებობას არ განვიხილავთ როგორც რეციდივს, CuCl-ის მსგავსად.

ლაგმის ზედაპირული ნადების შუა და გარე ფენა, რომლებიც ნაწილობრივი კოროზიის ფენაშია განთავსებული, იმ შენაერთებისგან შედგება, რომლებიც კრისტალური სტრუქტურითა და შემადგენლობით სპილენძის ბუნებრივი მინერალების იდენტურია. ისინი ქიმიურად მდგრადია და პირობების შეცვლისას არ განიცდის ჩქარსა და შესამჩნევ ქიმიურ ცვლილებებს. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში მათში, შესაძლოა, განვითარდეს გადაკრისტალების პროცესი, რასაც შედეგად ნადების სიმკვრივის შეცვლა, ბზარების გაჩენა და სხვა დაზიანებები მოჰყვეს. ეს კი, მასში ჰაერის ჟანგბადისა და წყლის ორთქლის მოხვედრის შედეგად შიდა ზონების გააქტიურების პირობებს შექმნის [ქებულაძე ნ. 2003: 36].

კოროზიის შუა ფენის ფუძეა მინერალი კუპრიტი (სპილენძის [I] ოქსიდი $Cu_2O$), რომელიც ლაგმის შემთხვევაში შინდისფერია. მკვრივი კუპრიტი გაუმჭვირვალეა, გადანატეხში ძლიერ ბზინავს. კუპრიტი ძალიან მყიფე და მტკიცეა, წყალში უხსნადია. კუპრიტის მასაში, როგორც წესი, $SnO_2$–ის ფენები (ან მცირე ჩანართები) გვხვდება, რომლებიც შედგენილობით მინერალ კასიტერიტს შეესაბამება.

ლაგმის კოროზიის პროდუქტის გარე ფენა ორვალენტიანი სპილენძის მწვანე და მოცისფრო-მომწვანო მარილებისაგან შედგება, რომლებიც ატაკამიტს ($CuCl_2 \cdot 3Cu(OH)_2$) შეიცავს (ცხრილი 1. №3).

ზოგან კოროზიის პროდუქტები წარმოქმნის მცირე სისქის თანაბარ, გლუვსა და პრიალა ფენას, ე.წ. კეთილშობილ პატინას, რომელიც ზედაპირს ფარავს და იმეორებს ფორმის უწვრილეს დეტალებს. ის შედგება შენაერთებისაგან, რომლებიც თავიანთი კრისტალური ბუნებით ბუნებრივი მინერალების იდენტურია, აქვს რთული აგებულება და შედგება ორი-სამი და მეტი მინერალისაგან. კეთილშობილ პატინაში შემავალი მინერალები ქიმიური თვისებებითა და ფიზიკური აგებულებით ძალიან მდგრადია. ისინი წყალში უხსნადია, ნორმალურ პირობებში ატმოსფერულ გაზებთან თითქმის არ ურთიერთქმედებს. პატინის თხელი, მაგრამ მტკიცე გარსი ნივთს საიმედოდ იცავს კოროზიისაგან [ქებულაძე ნ. 2003: 38].

ლაგმისაგან განსხვავებით, შანდლის სადგარების ლითონური ზედაპირი დაფარული იყო თხელი კოროზიული ფენებით, რაც განივ ჭრილში მათი შესწავლის შესაძლებლობას ვერ იძლეოდა. შესაბამისად, მაკროსკოპული დაკვირვების შედეგად გამოვყავით სხვადასხვა შეფერილობის, კერძოდ, მოთეთრო-მონაცრისფრო, ღია მწვანე და მუქი მწვანე კოროდირებული უბნები (ტაბ. II-4). სამეცნიერო კვლევების თანახმად, პირველ (მოთეთრო-მონაცრისფრო) ფენაში ხშირად დასტურდება მინერალი კასიტერიტი ($SnO_2$), რაზეც ჩვენ მიერ ჩატარებული თვისებრივი ანალიზიც მიუთითებს (ცხრილი 1. №5). ღია მწვანე და მუქ მწვანე ნადებებში კი უმეტესწილად აღინიშნება სპილენძის მარილების – ქლორიდების (ცხრილი 1. № №6,7): მინერალ ნანტოკიტისა (CuCl) და ატაკამიტის ($CuCl_2 . 3Cu(OH)_2$) არსებობა [http://www.heritagesciencejournal.com].

## კოროზიულად აქტიური უბნების დადგენა და რესტავრაცია-კონსერვაცია

ნივთებზე კოროზიის აქტიური კერების აღმოსაჩენად ტენიანი კამერა გამოვიყენეთ. მის როლს ჩვენს ლაბორატორიაში მიხეხილთავიანი ექსიკატორი ასრულებს, სადაც გამოხდილი წყალია ჩასხმული. ექსიკატორის თავსახურს წასმული აქვს ვაზელინი, რაც მის ჰერმეტულობასა და 100%-იანი ტენის შექმნას უზრუნველყოფს.

ექსპონატები ექსიკატორში წყლის დონის ზემოთ არსებულ კერამიკის ნახვრეტებიან დისკზე მოვათავსეთ. დავტოვეთ 48 საათი (ტაბ. II-5,6). წვეთები ლაგმის ზედაპირზე, რამდენიმე ადგილას, ხოლო შანდლის სადგარზე (საინვ. № 3386) მხოლოდ შიდა მხარეს, ერთ წერტილში, გამოვლინდა. ეს კოროზიის აქტიური ფენების მაჩვენებელი იყო (ტაბ. II-7,8). აღნიშნული ექსპონატებისაგან განსხვავებით, მეორე შანდლის სადგარზე (საინვ. № 3829) წვეთები არ წარმოქმნილა.

უპირველესად, საჭირო იყო აქტიური ფენების სტაბილიზაცია, ანუ ნივთის გარეგნული ცვლილების გარეშელითონის დაშლის გამომწვევი რეაქციების შეჩერება. ლითონის კოროზიის გამომწვევი რეაქციები, შესაძლოა, ხელოვნური თუ ბუნებრივი პატინის მქონე, გაწმენდილსა თუ გაუწმენდავ ლითონის ნივთზე მიმდინარეობდეს.

### ლაგამი

ლაგმის სტრუქტურა მაგარი და მყიფეა, მექანიკური სიმტკიცე კი ჩვეულებრივზე ბევრად დაბალი აქვს და, როგორც ზოგადად არქეოლოგიური ლითონის სტრუქტურა, ახალი ლითონისათვის დამახასიათებელ პლასტიკურობას მოკლებულია. არქეოლოგიური ლითონი ქიმიურად ნაკლებად მდგრადია. იგი იოლად იჟანგება და კოროზიისკენ მიდრეკილია.

ყოველივე ეს გასათვალისწინებელი გვქონდა როგორც კვლევისას, ასევე რესტავრაციის მეთოდის შერჩევისას.

ლაგმის ზედაპირზე ნიადაგოვანი კოროზიის პროდუქტების ფენებს ზოგან უხეში, უსწორმასწორო ქერქის სახე ჰქონდა. ტესტმა აჩვენა, რომ ეს ქერქი არ შეიცავდა ქიმიურად აქტიურ ნაერთებს, თუმცა ის მაინც მავნებელია, რადგან აფუჭებს ნივთს, ფარავს რელიეფის დეტალებს და ამახინჯებს მის ფორმას.

ლაგმის დაზიანებული კერები გავწმინდეთ ლანცეტით მექანიკურად 5-10-ჯერ გადიდების რეჟიმში.

წმენდისას კეთილშობილი პატინის ფენებში ღრმულების სახით გამოვლინდა ქლოროვანი სპილენძის მომწვანო-მოცისფრო კერები. მას იგივე შემადგენლობა აქვს, რაც ატაკამიტს, მაგრამ მისგან კრისტალოგრაფიულად განსხვავდება (ტაბ. II-1).

ლაგამი ათასწლეულები მაღალი ფარდობითი ტენიანობის მქონე გარემოში იყო დაცული. ამიტომ, ნივთზე ამ ხნის განმავლობაში ნიადაგში წარმოქმნილი ქლოროვანი სპილენძის კერებმა ტენიანი ჰაერის გამო იოლად იმოქმედეს ლითონურ სპილენძზე და დაიწყო ექსპონატის დაშლა. სახეზე, მუზეუმის „ბრინჯაოს დაავადების" ერთ-ერთი მაგალითი გვქონდა. ცნობილია, რომ სპილენძის (I) ქლორიდი, რომელიც სპილენძის შენადნობების

არამდგრადი პროდუქტია, კუპრიტის წითელი ფენის ქვეშ, კუპრიტის ბზარებში, შემორჩენილ ლითონის ფორებსა და ბზარებშია განთავსებული. სპილენძის ქლორიდი სპილენძზე ზემოქმედების შედეგად ძირითადი სპილენძის (II) ქლორიდად გარდაიქმნება (მინერალი ატაკამიტი $CuCl_2 \cdot 3Cu(OH)_2$). რეაქციის შედეგად წარმოიქმნება მარილმჟავა, რომელიც სპილენძის ქლორიდის ახალი ულუფის წარმოქმნას უწყობს ხელს და ა.შ.

$$4CuCl + 4H_2O + O_2 \rightarrow CuCl_2 \bullet 3Cu(OH)_2 + 2HCl$$

$$2Cu + 2HCl \rightarrow 2CuCl + H_2$$

აუცილებელი გახდა ამ პროცესის შეჩერება. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეაქცია შეიძლებოდა სპილენძის ძირითად ქლორიდად (ბაცი მწვანე ფერი) მის გარდაქმნამდე გაგრძელებულიყო, რაც დროთა განმავლობაში ნივთის სრულად დაიშლას გამოიწვევდა.

ქლორიდიონების მოშორება და “ისტორიული” ბრინჯაოს შენადნობების სტაბილიზაცია საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. შემოთავაზებულია და გამოკვლეულია მრავალი მეთოდი. ლაგამზე არსებული აქტიური კერები მოშორდა კომპლექსური – მექანიკური და ქიმიური წმენდით.

ქლორით დაზიანებული ადგილები ე.წ. როზენბერგის მეთოდით დავამუშავეთ. ავიღეთ 2 გრ ჟელატინი, დავასხით 10 მლ ცივი, გამოხდილი წყალი და მორევით მივიყვანეთ ადუღებამდე. შემდეგ დავუმატეთ 0,05 მლ გლიცერინი. მიღებული მასა ლაგამს ქლორით დაზიანებულ ადგილებზე დავადეთ (ტაბ. III-2) და ზემოდან დავაფინეთ ალუმინის ფოლგის ნაჭრები (ტაბ. III-3). ლაგამი მოვათავსეთ ექსიკატორში (ტაბ. III-4). 3-4 საათში ფოლგაში, რამდენიმე ადგილას, გაჩნდა ნახვრეტი (ტაბ. III-5). ეს ქლორიდების არსებობის მანიშნებელია. იმ ადგილებში, სადაც ქლორიდებია, ალუმინის ფოლგა გაიხსნა და სპილენძის ქლორიდები ალუმინის ქლორიდებით ჩანაცვლდა.

$$3CuCl + Al \rightarrow 3Cu + AlCl_3$$

ფოლგა მოვაშორეთ პინცეტით. ლანცეტით ფრთხილად ავაცალეთ ჟელესებური მასაც, რომელსაც მიღებული ჰქონდა ბაცი მოცისფრო-მომწვანო ფერი. ალუმინის ქლორიდი ამოვწმინდეთ გამოხდილ წყალში დასველებული ბამბის ტამპონებით. გავიმეორეთ აღნიშნული ადგილების ჟელატინის მასითა და ფოლგით დაფარვის პროცესი. ეს გაგრძელდა, მანმადე, ვიდრე ალუმინის გახსნა შეჩერდებოდა, ანუ ჩანაცვლების რეაქცია არ შეწყდებოდა.

დარჩენილი ცისფერი ფხვნილისმაგვარი მასა კვლავ ლანცეტით დავამუშავეთ (ტაბ. III-6). დავადეთ ტიტრიპლექსის 5%-იანი წყალხსნარით გაჟღენთილი ბამბის ტამპონები. 50-10 წუთის განმავლობაში ტამპონებმა მიიღო ცისფერი შეფერილობა (ტაბ. III-7). ტამპონები მოვაშორეთ და დაზიანებული ადგილები გავწმინდეთ ლანცეტით. პროცედურა რამდენიმეჯერ გავიმეორეთ.

ბოლოს, ისევ დავადეთ ჟელატინის მასა, დავფარეთ ალუმინის ფოლგით და მოვათავსეთ ტენიან გარემოში. ფოლგის პერფორაცია აღარ მოხდა. კამერიდან ამოღების შემდეგ მოვაშორეთ ფოლგა და ჟელატინის დარჩენილი მასა გავწმინდეთ ჯერ გამოხდილი წყლით, შემდეგ სპირტით და ბოლოს მოვახდინეთ გაუცხიმოვნება აცეტონით (ტაბ. III-8).

ლაგმის დაზიანებული ადგილების ღრმულები შევავსეთ მასით:

Araldite 2020 + მშრალი პიგმენტი + ტალკი

მიღებული მასით ამოვავსეთ ღრმულები (ტაბ. IV-1), ზემოდან დავაკარით სამედიცინო ლეიკოპლასტირი და შევდეთ 50°C თერმოსტატში (ტაბ. IV-2), გავაჩერეთ რამდენიმე საათი. შემდეგ ვაცალეთ გაგრილება, ავაცალეთ ლეიკოპლასტირი და ზედმეტი მასა ძალიან ფრთხილად დავამუშავეთ ლანცეტით.

**შანდლები**

კოროზიული ფენების შესწავლის საფუძველზე ორივე შანდლის სადგარისათვის შემუშავდა ინდივიდუალური საკონსერვაციო მეთოდი.

მრავალკომპონენტიანი სპილენძის შენადნობისაგან დამზადებული შანდლის სადგარი, რომელიც თითქმის მთლიანად იყო დაფარული კოროზიული ფენებით, დამუშავდა არქეოლოგიური ბრინჯაოს ნივთების რესტავრაციაში ფართოდ აპრობირებული მექანიკური მეთოდით - ლანცეტისა და თითბრისთავიანი ბორმანქანის გამოყენებით. საწყის ეტაპზე ლანცეტით გაიწმინდა სადგარის ის უბნები (თავი, ტანი), რომლებიც დაფარული იყო კოროზიული ნადების მსხვილი შრით. შედარებით თხელი კოროზიული ფენით დაფარული ადგილები, რომელთა ქვეშ შეუიარაღებელი თვალით შეიმჩნეოდა გრავირების მეთოდით შესრულებული ორნამენტები და არაბული წარწერები, თავდაპირველად, გაიწმინდა გამოხდილი წყლითა და ჯაგრისით. საყოფაცხოვრებო ნადებისა და მტვრის ნაწილაკების მოშორების შემდეგ გაცილებით შესამჩნევი გახდა კოროზიულ ფენასა და ორიგინალ ზედაპირს შორის არსებული ზღვარი. შესაბამისად, კოროდირებული უბნების ის ფენები, რომლებსაც შედარებით მყიფე სტრუქტურა ჰქონდა, ბინოკულარის ქვეშ დამუშავდა ლანცეტით, შემდეგ კი - თითბრისთავიანი ბორმანქანით.

პირველი ნიმუშისაგან განსხვავებით, Cu-Zn-ის შენადნობისგან დამზადებული შანდლის სადგარისათვის შემუშავდა კომპლექსური სარესტავრაციო მეთოდი, რომელიც ითვალისწინებდა როგორც მექანიკურ, ასევე ქიმიურ დამუშავებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ, ძველი მეთოდებისგან განსხვავებით, დღეს მათ ქიმიურ ხსნარში ჩაძირვის მეთოდით კი არა, არამედ ლოკალური დატანით ამუშავებენ. მოცემული მეთოდი ფართოდაა აპრობირებული ინგლისისა (ვიქტორია და ალბერტის მუზეუმი, ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმი, ოქსფორდის აშმოლეანის მუზეუმი) და ამერიკის (მეტროპოლიტენის მუზეუმი, სმითსონიანის ინსტიტუტი) წამყვანი მუზეუმების სარესტავრაციო ლაბორატორიებში. „სუფთა სახის" ფურცლოვანი თითბერი სპილენძის შენადნობთაგან გამოირჩევა პლასტიკური დეფორმაციისა და დრეკადობის უნარით. გარდა ამისა, აღნიშნული შენადნობისგან დამზადებული ნაკეთობების ზედაპირი ადვილად იკაწრება. ამიტომ მექანიკური დამუშავების დროს, გამოვიყენეთ მხოლოდ ნეიტრალური, რბილი საშლელი, ქიმიური დამუშავებისას კი ისეთი უბნები, სადაც მრავლად იყო საყოფაცხოვრებო ნადები, ძირითადად დავამუშავეთ $CaCO_3$-ის ფხვნილით. ის ლითონურ ზედაპირზე დავიტანეთ ბამბის მეშვეობით, ზედაპირის გაწმენდის შემდეგ კი ნარჩენების მოსაშორებლად გამოიყენეთ გამოხდილი წყალი. შედარებით დაზიანებული უბნები, მაგ., ვარდისფერი შეფერილობისა (როგორც ცნობილია, თითბრის ნაკეთობებში ამგვარი შეფერილობის ლაქების წარმოქმნა გან-

პირობებულია შენადნობში თუთიის დაკარგვით, ანუ ლიკვაციით, და შესაბამისად, სპილენძის შეფერილობის წარმოჩენით) თუ შედარებით მუქი, რთული ლაქების მოსაშორებლად გამოვიყენეთ ბიოქსის გელი. ვერცხლის ზარნიში, რომელიც დაფარული იყო შავი შეფერილობის ვერცხლის სულფიდების ფენით, დავამუშავეთ სილიკატების შემცველი ვერცხლის საპრიალებელი ქსოვილით.

აღნიშნული შანდლის სადგარის შიდა, მწვანე კოროზიული ფენით დაფარული ზედაპირი, რომელიც, ჩატარებული კვლევების თანახმად, შეიცავდა ქლორიდებს (ტაბ. IV-3), არქეოლოგიური ლაგმის მსგავსად, ჯერ როზენბერგის მეთოდით დავამუშავეთ, შემდეგ გავწმინდეთ ტიტრიპლექსის 5%-იანი ხსნარით, რომელიც სხვა ქიმიური საშუალებებივით ლოკალურად დავიტანეთ კოროდირებულ ზედაპირზე. დაზიანებულ ზედაპირზე მოვათავსეთ ბამბის საფენები, რომლებიც პიპეტის გამოყენებით დავასველეთ ტიტრიპლექსის ხსნარით (ტაბ. IV-4). მოცემული პროცესი უწყვეტად კონტროლირდებოდა. როგორც კი ბამბა იღებდა მწვანე შეფერილობას, საფენს ვაშორებდით და ამ უბანს გამოხდილი წყლით ვამუშავებდით. აღნიშნული პროცედურა სამჯერ გავიმეორეთ. საბოლოოდ, მწვანე ნადების მოშორების შემდეგ, თითბრის ზედაპირზე ყავისფერი ლაქები გამოიკვეთა. უკანასკნელის მოსაშორებლად გამოვიყენეთ ალიფატური, ალიციკლური და არომატული ნახშირწყალბადების შემცველი „სტოდარდის" ხსნარი, რომელიც ფართოდ გამოიყენება არამარტო ლითონის, არამედ ორგანული მასალის (ხე, ფერწერა) რესტავრაცია - კონსერვაციის დროს (ტაბ. IV-6).

ექსპონატების გაწმენდის დაწყებამდე ინდიკატორული ქაღალდის გამოყენებით განისაზღვრა სარესტავრაციო სამუშაოებისას გამოყენებული რეაქტივების: ტიტრიპლექსის 5 %-იანი ხსნარის, ტიტრიპლექსი + მეთილცელულოზის ფხვნილით დამზადებული ჟელეს (EDTA GELL) pH მაჩვენებლები. მიღებული შედეგებით ტიტრიპლექსის 5%-იანი ხსნარის pH=4; EDTA ჟელეს pH =8-9.

სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ექსპონატები საგულდაგულოდ გაიწმინდა აცეტონით და ჩატარდა სპექტრული ანალიზი.

სპექტრული კვლევის შემდეგ კვლავ მოხდა ექსპონატების დელიპიდაცია. დაზიანების ახალი კერების წარმოშობის პრევენციისათვის ექსპონატები, ლითონური შენადნობის გათვალისწინებით, დავფარეთ სხვადასხვა სახის საკონსერვაციო მასალით: ბრინჯაოს ლაგმისა და ოთხკომპონენტიანი Cu-Pb-Zn-Sn შენადნობისგან დამზადებული შანდლის სადგარისთვის გამოვიყენეთ არქეოლოგიური ბრინჯაოს კონსერვაციაში ფართოდ აპრობირებული - პარალოიდ B72-ის 4%-იანი აცეტონხსნარი (ტაბ. IV-5,7), ხოლო თითბრის (Cu-Zn-ის შენადნობი) შანდლის სადგარისთვის, რომელიც შემკული იყო ვერცხლის ზარნიშით - ფრიჯილინის სახელწოდებით ცნობილი ნიტროცელულოზური ლაქი (ტაბ. IV-8).

თუმცა კი უნდა გვახსოვდეს, რომ ნივთის კონსერვაცია მხოლოდ ანელებს კოროზიის აქტიური კერების განვითარებას, მაგრამ ვერ აჩერებს ლითონში მიმდინარე რეაქციებს.

სამუშაოების დაწყებამდე, რესტავრაციის მსვლელობისას და დასას-

რულ მიმდინარეობდა მათი ფოტოფიქსაცია და მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია.

## კვლევის შედეგები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ (სტაბილიზაცია, კოროზიული ფენების მოშორება, დელიპიდაცია) თითოეულ ექსპონატს ლითონური შენადნობის ქიმიური შემადგენლობის დასადგენად კვლავ ჩაუტარდა არადესტრუქციული რენტგენოფლუორესცენტული სპექტრული ანალიზი.

აღნიშნული თანმიმდევრობის დაცვა (სპექტრული ანალიზის ჩატარებამდე ლითონური ზედაპირების ჟანგვითი პროდუქტებისაგან გათავისუფლება) ძალზე მნიშვნელოვანია ნივთის ქიმიური შემადგენლობის დასაზუსტებლად. ლითონს მიწაში ყოფნისას მიმდინარე გარდაქმნების დროს ჟანგბადი, ქლორი ან რომელიმე რადიკალი (კარბონატი, ფოსფატი, ნიტრატი) უერთდება. ამ დროს იზრდება მისი მოცულობა, ხვედრითი წონა კი მცირდება.

ჩვენ მიერ ჩატარებული მაკრო და სპექტრული ანალიზების შედეგებით განისაზღვრა როგორც ექსპონატების ქიმიური შედგენილობა (ცხრილი 1. №№ 2,3; ცხრილი 2), ასევე დამზადების ტექნიკა და, რაც მთავარია, ერთმანეთისგან გაიმიჯნა ორიგინალი და მოგვიანებით, აღდგენისა თუ დანიშნულების შეცვლის მიზნით, დამატებული ნაწილები (სადგარები).

ლაგამი (საინვ. №ს-82-43) სამკუთხა შვერილებით დაბოლოებული ბრტყელი 2 საყბეურისგან ($l_{max}$-219 მმ) შედგება, რომლებსაც ავშრის თასმების სამარყუჟე სამ-სამი რგოლი აქვს, ცენტრალურები შედარებით დიდია. შუა, მოძრავი 2 ნაწილი შედგენილია ორი რგოლისაგან, რომლებიც მასიური ღეროებით უძრავადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. შუა ნაწილის განაპირა რგოლებში გაყრილია 2 რგოლი. ღეროზე ოთხკუთხედებად დაღარულზედაპირიანი ბრინჯაოს მასიური ცილინდრებია მოძრავად წამოცმული (ტაბ. IV-5). ლაგმის წონა – 696 გრ, საყბეურის სიგრძე – 22 სმ.

სპექტრულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ლაგამი სამკომპონენტიანი შენადნობია და დამზადებულია ტყვიანარევი კალიანი ბრინჯაოსგან (Cu=69,9-73,34%; Pb=12,17–18,2%; Sn=11,87–14,5%), რაც ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელია (ცხრილი 1. №№ 1,2).

კალიან ბრინჯაოს მაღალი მექანიკური და ფიზიკური მაჩვენებლები ახასიათებს. კალის რაოდენობის გაზრდასთან ერთად იზრდება შენადნობის სისალე, დროებითი წინაღობა და სიმკვრივე, უმჯობესდება ჩამოსხმის თვისებები, მცირდება შენადნობის პლასტიკურობა და დნობის ტემპერატურა. ახასიათებს ხაზობრივი ჩაჯდომის მცირე კოეფიციენტი, რაც ხელს უწყობს რთული ფორმების ზუსტი სხმულების მიღებას. კალიან ბრინჯაოზე ტყვიის დამატებით შესამჩნევად ეცემა მექანიკური თვისებები, იზრდება შენადნობის ჭრით დამუშავების უნარი და სიმკვრივე [ბახტაძე რ., სარაჯიშვილი ნ. 1974: 114].

ლაგამი ჩამოსხმითაა დამზადებული. სავარაუდოდ, ჭედვა არაა გამოყენებული. ასეთი ქიმიური შედგენილობის შენადნობისაგან დამზადებული ბრინჯაოს გამოჭედვა შეუძლებელიცაა, ვინაიდან დიდი რაოდენობით

კალა, მართალია, ზრდის ბრინჯაოს მექანიკურ თვისებებს, მაგრამ მყიფე-სა და ადვილად მსხვრევადს ხდის მას.

მეცნიერთა აზრით, ძვ. წ. IV-III სს-თვის საირხეში ბრინჯაოს საკმაოდ მძლავრი საამქროები არსებობდა [ნადირაძე ჯ. 1990: 79]. ამიტომ საირხე-ში აღმოჩენილი ლაგამი და ბრინჯაოს სხვა ნივთებიც ადგილობრივ სახე-ლოსნო ცენტრში დამზადებულადაა მიჩნეული [ნადირაძე ჯ. 1975: 117].

პირველი სადგარის (სხმ.აღ. საინვ. №3829) ორიგინალი საფუძვე-ლი მრავალკომპონენტიანი ბრინჯაოსაგან (ცხრილი 2. №1) ჩამოსხმის ტექნიკითაა დამზადებული (ტაბ. IV-7). მოგვიანებით, ფოსოს არეში, რესტავრაციის მიზნით, დამატებული ნაწილის ძირითადი შემადგენე-ლი ქიმიური ელემენტი კი სპილენძია (99,1%), რომელსაც კვალის სახით აღენიშნება ისეთი ელემენტები, როგორებიცაა თუთია (0,1%) ტყვია (0,2%) და კალა (0,1%). მოცემული შენადნობი არაბულ ტექსტებში ცნობილია - sabah mafrag-ის სახელით, რომელსაც ისლამური ლითონის მკვლევრები თავიანთ პუბლიკაციებში ოთხკომპონენტიან შენადნობს უწოდებენ. მათი ვარაუდით, ამგვარი ნაკეთობების დასამზადებლად იყენებდნენ ძველ ნა-კეთობებს, რომლებსაც ხელახლა ადნობდნენ და ჩამოსხმის პროცესის გასამარტივებლად შეგნებულად უმატებდნენ ტყვიას.

ჯეიმს ალანს თავის ნაშრომში, რომელიც შუა საუკუნეების სპარსუ-ლი ლითონის ტექნოლოგიას ეხება, განხილული აქვს ოთხკომპონენტიანი შენადნობისგან დამზადებული ლითონის ნაკეთობების ჯგუფი. მასში ტყვია მერყეობს 13%-დან 40%-მდე, თუთია - 5-15%-მდე, კალა- 1-8%-მდე. არცერთი ნიმუში არ შეიცავს კალაზე ნაკლებ თუთიას ან თუთიაზე ნაკლებ ტყვიას. შესაბამისად, ჩვენ მიერ განხილული შანდლის სადგარის მსგავსად, ჯეიმს ალანის მიერ განხილული ლითონის ნაკეთობების შენ-ადნობში ქიმიური ელემენტები შემდეგი თანაფარდობითაა მოცემული: Cu>Pb>Zn>Sn, სადაც, პროცენტული მაჩვენებელის მიხედვით, მთავარი მალეგირებელი ელემენტი ტყვიაა. სპილენძის შენადნობში ტყვიის ჭარბი რაოდენობით გამოყენების მიზეზად მკვლევარი ასახელებს დნობის და-ბალ ტემპერატურასა და საბოლოო პროდუქტის სირბილეს. ეს უკანასკ-ნელი ფაქტორი განსაკუთრებით ხელსაყრელია ისეთი სხმულებისათვის, რომლებიც შემდგომ, მხატვრული ორნამენტებით შემკობის მიზნით, სპე-ციალური თეგებითა და საჭრისებით მუშავდება [Allan J. 1979: 45; 149].

აღნიშნულ მოსაზრებას ქართველი მეცნიერები - რ.ბახტაძე და ნ.სა-რაჯიშვილიც ადასტურებენ. ისინი სპილენძში კალის, ტყვიისა და ცინკის ერთდროულ შემცველობაზე შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამენ: „უნდა ვი-ფიქროთ, რომ ასეთ შენადნობს უნდა ჰქონდეს საუკეთესო საჩამომსხმო თვისებები - თხევადდენადობა, დნობის დაბალი ტემპერატურა და ჩაჯ-დომის მცირე კოეფიციენტი'' [ბახტაძე რ., სარაჯიშვილი ნ. 1974: 114].

პირველი სადგარისაგან განსხვავებით, მეორე ნიმუშზე ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მოცემული ექსპონატის ლითონის საფუძველი ფურცლოვანი ლითონის თეგვის ტექნიკით, სპილენძ-თუთიის შენადნო-ბისგან, ანუ თითბრისგანაა დამზადებული. სადაც ძირითადი ელემენტების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგი თანაფარდობითაა წარმოდგენილი: Cu= 75,36%; Zn = 12,90 %; Ag = 2,77%; Pb = 2,00 %; Si =5,59% (ცხრილი 2. №2). სპილენძ-თუთიის მოცემულ შენადნობს, რომელშიც ძირითადი მალე-გირებელი ელემენტი თუთიაა, ხოლო ტყვიის შემცველობა 2%-ს არ აღე-

მატება, „სუფთა თითბერს" უწოდებენ. თავისი უნიკალური დეფორმაციის უნარის გამო ის ფართოდ გამოიყენებოდა თითბრის ფურცლებისა და ამ უკანასკნელისგან თეგური დამუშავებით ნივთების ფორმირებისათვის.

ისლამურ სამყაროში სპილენძის საბადოებით განსაკუთრებით მდიდარი იყო ირანი. ადრეისლამური პერიოდის სპილენძის შენადნობებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბრინჯაოს ნაკეთობები (სპილენძისა და კალის შენადნობი), სადაც კალა 19-20 % ან გაცილებით მეტია. აღნიშნული შენადნობები ძირითადად გამოიყენებოდა სამსხმელო წარმოებასა და ცხელი ჭედვით დამუშავებისათვის. კალიანი ბრინჯაოს პარალელურად ისლამი ხელოსნები ფლობდნენ ოთხკომპონენტიანი - სპილენძის, კალის, თუთიისა და ტყვიის შემცველი შენადნობის დამზადების ტექნიკას, რომელიც ასევე გამოიყენებოდა ნივთების ჩამოსასხმელად [Allan J. 1979: 46]. შედარებით მოგვიანო პერიოდში, დაახლოებით XI ს-დან, ისლამურ ხელოვნებაში საფუძველი ეყრება სპილენძ-თუთიის შენადნობის – თითბრის პოპულარიზაციას. ნაკეთობების დამზადების ტექნიკის მიხედვით (დაყალიბება და თეგვა) ხელოსნები აწარმოებდნენ ორი სახის სპილენძ-თუთიის შენადნობს: - „სუფთა თითბერს" (ცნობილია როგორც berenj ან sabah), რომელშიც, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი მალეგირებელი ელემენტი თუთიაა (20-28%), ხოლო ტყვიის შემცველობა 2%-ს არ აღემატება. ტექნოლოგიურად, მოცემულ შენადნობში ტყვიის კვალის სახით არსებობა, მეცნიერთა აზრით, შეგნებულ ხასიათს ატარებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თითბერში ტყვიის მაღალი შემცველობისას დაირღვეოდა ლითონური შენადნობის დეფორმაციის უნარი, რაც თეგვისას გამოიწვევდა ლითონის განშრევებასა და დაბზარვას [La Niece S. 2003: 90-96].

თითბრის მეორე სახეობა, ე.წ. ტყვიიანი თითბერი ძირითადად განკუთვნილი იყო ნივთების ყალიბში ჩამოსხმისათვის. უკანასკნელი გამოირჩევა ტყვიის მაღალი შემცველობით, რომელიც ხშირად 20%-საც აღწევს.

ადრეული პერიოდის, მათ შორის, შუა საუკუნეების ისლამური თითბრის ნაწარმში თუთიის შემცველობა არასოდეს აღემატება 28%-ს, რაც „1000$^0$C-ზე წარმოებული კალამინის პროცესისათვის ზედა ზღვარია" [Pollard A., Heron C. 1996: 201]. აღნიშნული პროცესი ცნობილია ასევე ცემენტაციის სახელწოდებით და გულისხმობს დახურულ ტიგელში სპილენძზე თუთიის შემცველი მინერალის - კალამინის დამატებას [La Niece S. 2003: 36]. პირველად ცემენტაციის შედეგად Cu-Zn შენადნობის მიღების მეთოდი გამოიყენეს შუა აზიაში რომაელებმა. ამ მეთოდს მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, ფართოდ იყენებდნენ როგორც ქრისტიანული, ასევე მუსლიმანური აღმსარებლობის ქვეყნებში [Craddock P. 1979: 69].

**დასკვნა**

ამრიგად, ჩვენ მიერ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სპილენძის შენადნობებზე ჩატარებული კვლევების თანახმად, დადასტურდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რესტავრაცია-კონსერვაციისას თითოეულ ექსპონატთან მიმართებით ინდივიდუალური კვლევითი მეთოდის შემუშავებას. ის ხშირად ეტაპობრივად წარმოაჩენს სამომავლოდ ჩასატარებელი სამუშაოების მსვლელობას. ამის ნათელი მაგალითია მოცემულ ნაშრომში განხილული, სამ სხვადასხვა პერიოდში თუ განსხვავებუ-

ლი შენადნობისაგან დამზადებული ნაკეთობანი.

როგორც ვნახეთ, სარესტავრაციო სამუშაოებისას ნებისმიერი დაცულობისა თუ აღმოჩენის ისტორიის მქონე ნივთთან მიმართებით მთავარი ამოცანა სწორი დიაგნოზის დასმაა, კერძოდ, კოროზიული ფენების განსაზღვრა, კეთილშობილი თუ აგრესიული პატინის ერთმანეთისგან გამიჯვნა, სპილენძის (II) ქლორიდების, ე.წ. ბრინჯაოს დაავადების აღმოჩენის დროს ექსპონატების სტაბილიზაცია და ამ უკანასკნელის შემდეგ, ნივთის დაცულობიდან გამომდინარე, ინდივიდუალური სარესტავრაციო მეთოდოლოგიის შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ფართოდაა გამიჯნული როგორც არქეოლოგიური, ასევე ეთნოგრაფიული ნივთების საკონსერვაციო მეთოდოლოგიები, ჩვენ მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ ხშირად დაზიანების ხარისხის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი და იგივე ან სხვადასხვა კომპლექსური მეთოდი. ამის ნათელი მაგალითია ზემოთ განხილული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სპილენძის სხვადასხვა შენადნობი.

მართალია, სამივე ექსპონატის შემთხვევაში მივმართეთ როგორც მექანიკურ, ასევე, ქიმიურ დამუშავების მეთოდს, მიუხედავად ამისა, თითოეული ნიმუშისათვის დიდი სიფრთხილით შევარჩიეთ სარესტავრაციო მასალა: ბრინჯაოს ლაგმისა და შანდლის სადგართან მიმართებით კოროზიული ნადების სტრუქტურის გათვალისწინებით, მექანიკურ საშუალებათაგან გამოვიყენეთ ლანცეტი და თითბრისთავიანი ბორმანქანა, ხოლო ქიმიურთაგან – 5%-იანი ტიტრიპლექსი (მხოლოდ ლაგამზე). მოცემული ნიმუშებისაგან განსხვავებით, თითბრის ექსპონატი მექანიკურად, მხოლოდ ნეიტრალური საშლელით, ხოლო ქიმიურ საშუალებათაგან 5%-იან ტიტრიპლექსთან ერთად ვიხმარეთ სხვა ქიმიური კომპონენტები.

ამრიგად, კვლევების საფუძველზე შერჩეულ და გამოყენებულ იქნა მეთოდები, რომელთა მთავარი ამოცანა ლითონური სტრუქტურის დარღვევის გარეშე ზედაპირული დაზიანებების მინიმალიზაცია და საბოლოოდ ექსპონატების ინდივიდუალური მეთოდებით კონსერვაცია იყო.

**Nino Kebuladze*, Natia Dzigua*, Nana Goginashvili****

*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: nino.kebuladze@yahoo.com
ndzigua@yahoo.com
** The Georgian Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 Gudiashvili St. 0105, Tbilisi, Georgia
nanikogoginashvili@gmail.com

# Scientific Research of Archaeological and Ethnological Copper Alloys and Comparative Analysis of Conservation Methods

Majority of archaeological and ethnological copper alloyed artifacts kept in the museums need conservation and restoration. The main aim of current research is comparative analysis of conservation methods of such samples.

In connection of investigation of corrosion layers, their comparison and picking out individual conservation methods, we selected some copper based items, such as cannon-bit # S-82-43 (B.C. IV-III cc) kept in Sairkhe fund of the Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts and two candlesticks (Or. #3829; #3386) of the medieval Islamic Art, kept in the Oriental department of the same museum.

Macro- structural and nondestructive XRF analyses were conducted for each item before and after researches. From XRF analyses made on the original parts and corrosion layers of cannon-bit, as well as both candlesticks it became obvious that quantities of alloying elements were increased on corrosion layers in comparison of metal surfaces.

Diverse types of mechanical and chemical damages were ascertained from the macro-structural investigation. Moreover, because of detecting active corrosion regions, each item was located in the humid chamber. Existing of an aggressive chloride salts were proved from three to two artifacts (# S-82-43; Or. # 386). Such kind of damage was not fixed on the bronze candlestick (Or. 3829).

First of all, it was important to get rid of aggressive salts and therefore stabilization. From the obtained results individual conservation methods were developed for each sample. # 3829 candlestick was cleaned by using only mechanical method. Otherwise, for archaeological cannon-bit and ethnological candlesticks made of brass were chosen combined mechanical and local chemical conservation methods. Depending on the structure of corrosion layers, displayed on the bronze cannon-bit and the candlestick, lancet and drilling machine with brass wheels were used. From chemical materials five percentage titriplex (only in the case of the cannon-bit) was used. In the contrary of abovementioned items, to treat mechanically brass candlestick we used merely neutral resin, otherwise, for

chemical reason, five percentage titriplex in connection of multiple other chemical materials.

The studies showed that:

1. The cannon-bit is made of ternary alloy (Cu=69,9-73,34%; Pb=12,17-18,2%; Sn=11,87-14,5%) by casting, which is characteristic for the Antique period. Likely, hammering was not used. Moreover, it is impossible to form an item by hammering from such kind of bronze, while excessive content of tin rises the mechanical features of bronze, otherwise it makes alloy fragile.

2. The candlestick Or. 3829 is casted from quaternary alloy (Cu=71,4-77,1%; Zn=7,4-10,6%; Pb=13,0-16,0%; Sn=1,7-2,2%). The part of later restoration added in the socket area of the candlestick mainly consists of copper – 99,1% with trace elements of zinc (0,1%), lead (0,2%) and tin (0,1%).

3. The second candlestick (#3386) is made of sheet brass (Cu-Zn alloy) by hammering, where percentage of main elements are represented with the following ratio: Cu=75,36%; Zn=12,90%; Ag=2,77%; Pb=2,00%; Si=5,59%.

To prevent origin of new damaging areas, after XRF analyses and surface neutralization, each sample in consideration of alloys content was covered with diverse kind of conservation materials. Paraloid B72 was used for bronze cannon-bit and the candlestick made of quaternary alloy (Cu-Pb-Zn-Sn); For the second sample - brass candlestick inlayed with silver nitrocellulose lacquer – frigilene was chosen.

Despite the fact that in the world conservation practice there are precisely demarcated conservation methodologies of archaeological artifacts from ethnological ones, works carried by us showed that, the same, different or more complex conservation methodologies can be used according to the damage degrees of objects.

Thus, based on the results of our studies, there were selected and practiced diverse methodologies, the main aim of which was to minimize surface damages without disordering metal structure and finally to perform conservation of each item by using individual methodologies.

## ბიბლიოგრაფია

**ბახტაძე რ., სარაჯიშვილი ნ. 1974:** ანტიკური ხანის ბრინჯაოს ნაწარმის ქიმიური შედგენილობის შესწავლისათვის. *სამუზეუმო ექსპონატთა რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია* I. გვ. 96-133. თბილისი (რედ. რ. ბახტაძე).

**მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007:** *საირხე.* თბილისი (რედ. ი. გაგოშიძე).

**ნადირაძე ჯ. 1990:** *საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი-კოლხეთის აღმოსავლეთ პროვინციების ისტორიისათვის ძვ.წ I ათასწლეულში.* წიგნი I. თბილისი (რედ. ოთ. ჯაფარიძე).

**ნადირაძე ჯ.** 1975: *ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი (რედ. ოთ. ჯაფარიძე).

**ქებულაძე ნ. 2003:** *არქეოლოგიური ლითონის რესტავრაცია-კონსერვაციის მეცნიერული საფუძვლები.* დისერტაცია ისტორიის მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

**Allan J. W. 1979:** *Persian Metal Technology 700-1300 AD.* London.

**Craddock P.T. 1979:** The Copper Alloy of the Medieval Islamic World-Inheritors of the Classical Traditions. *World Archeology.* Vol. 11, No. 1, Early Chemical Technology.

**La Niece S. 2003:** *Medieval Islamic Metal Technology.* Archetype. London.

**La Niece S. 2010:** *Islamic Copper-Based Metalwork From The Eastern Mediterranean.* Technical Investigation And Conservation Issues. p 36.

**Nasser D. Khalili. 2005:** *Visions of Splendour in Islamic Art and Architecture.*

**Pollard A.M., Heron C. 1996:** *Archeological Chemistry.* Cambridge.

http://www.heritagesciencejournal.com – (Oudbashi O., Emami S. M., Ahmadi H., Davami P. 2013: Micro-stratigraphical investigation on corrosion layers in ancient Bronze artefacts by scanning electron microscopy energy dispersive spectrometry and optical microscopy).

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I**

**სურ. 1.** საბადურის გორის III და II კულტურული ფენები და სტერილური შრეები

**სურ. 2.** საირხე, № 1 სამარხში აღმოჩენილი ცხენის აღკაზმულობა

**ტაბ. II**

**სურ. 1.** ლაგამი (საინვ. № ს-82:43) რესტავრაციამდე

**სურ. 2.** შანდლის სადგარი (სხმ.აღ. საინვ. № 3829) რესტავრაციამდე

**სურ. 3.** შანდლის სადგარი (სხმ.აღ. საინვ. № 3386) რესტავრაციამდე

**სურ. 4.** სპილენძის ქლორიდების შემცველი კოროზიული ფენა (სხმ.აღ. საინვ. № 3386)

**სურ. 5.** ტენიან კამერაში მოთავსებული შანდლის სადგარი (სხმ.აღ. საინვ. №3386)

**სურ. 6.** ტენიან კამერაში მოთავსებული ლაგამი (სხმ.აღ. საინვ. № ს-82:43)

**სურ. 7.** ლაგამზე გამოვლენილი წვეთები
**სურ. 8.** შანდლის სადგარზე (სხმ.აღ. საინვ. № 3386) დაფიქსირებული წვეთები
**ტაბ. III**
**სურ. 1.** ქლოროვანი სპილენძის კერები
**სურ. 2.** ჟელატინით დაფარული ქლოროვანი ღრმული
**სურ. 3.** ალუმინის ფოლგით დაფარული ჟელატინიანი უბანი
**სურ. 4.** ნივთების (სხმ.აღ. საინვ. № 3386; № ს - 82:43) ტენიან კამერაში მოთავსება
**სურ. 5.** პერფორირებული ალუმინის ფოლგა
**სურ. 6.** გაწმენდის შემდეგ დარჩენილი რეციდივი
**სურ. 7.** ტიტრიპლექსის ტამპონით დაფარული რეციდივული უბნები
**სურ. 8.** ქლოროვანი კერები გაწმენდის შემდეგ
**ტაბ. IV.**
**სურ. 1.** არალდიტის მასით შევსებული ღრმულები
**სურ. 2.** არალდიტის გამყარება თერმოსტატში
**სურ. 3.** პერფორირებული ალუმინის ფოლგა (სხმ.აღ. საინვ. № 3386)
**სურ. 4.** ტიტრიპლექსის ტამპონით დაფარული რეციდიული უბანი (სხმ. აღ. საინვ. № 3386)
**სურ. 5.** ლაგამი (საინვ. №ს-82:43) რესტავრაციის შემდეგ
**სურ. 6.** შანდლის სადგარის (სხმ.აღ. საინვ. № 3386) შიდა ზედაპირი რესტავრაციის შემდეგ
**სურ. 7.** შანდლის სადგარი (სხმ.აღ. საინვ. № 3829) რესტავრაციის შემდეგ
**სურ. 8.** შანდლის სადგარი (სხმ.აღ. საინვ. № 3386) რესტავრაციის შემდეგ

## LIST OF ILUSTRATIONS

**Tab. 1.**
**Fig. 1.** 3rd and 2nd cultural layers and sterile serums of the Mount Sabaduri
**Fig. 2**. Horse fixings found in #1grave , Sairche
**Tab. II.**
**Fig. 1**. Cannon-bit (S-82:43) before conservation
**Fig. 2.** Candlestick (Or. 3829) before conservation
**Fig. 3.** Candlestick (Or. 3386) before conservation
**Fig. 4.** Corrosion layer (Or. 3386) containing cuprous chlorides
**Fig. 5.** Candlestick (Or. 3386) in humid chamber
**Fig. 6.** Cannon-bit in humid chamber
**Fig. 7.** Drops fixed on the cannon-bit
**Fig. 8.** Drops fixed on the candlestick (Or. 3386)

**Tab. III.**

**Fig. 1.** Hub of cuprous chlorides
**Fig. 2.** Chloride cavities covered with gelatin
**Fig. 3.** Gelatin section covered with aluminum foil
**Fig. 4.** Items located in the humid chamber
**Fig. 5.** Perforated aluminum foil
**Fig. 6.** Recidivism left after conservation
**Fig. 7.** Recidivism covered with titriplex (Trilon B)
**Fig. 8.** Chloride surface after treatment
**Tab. IV.**
**Fig. 1.** Cavities filled with araldite containing material
**Fig. 2.** Consolidation of araldite filing within the thermostat
**Fig. 3.** Perforated aluminum foil (Or. 3386)
**Fig. 4.** Recidivism covered with a titriplex swab (Or. 3386)
**Fig. 5.** Cannon-bit after conservation
**Fig. 6.** Inner surface of the candlestick (Or. 3386) after conservation
**Fig. 7.** Candlestick (Or. 3829) after conservation
**Fig. 8.** Candlestick (Or. 3386) after conservation

**ცხრილი 1 Table**

| N | **ინვ.№** | დასახელება | **Cu** | **Sn** | **Pb** | **Ag** | **Zn** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ს-82-43 | ლაგმის საყბეური | 73,34 | 14.5 | 12.17 | | |
| 2 | ს-82-43 | ლაგმის რგოლი | 69.9 | 11.87 | 18.23 | | |
| 3 | ს-82-43 | I ფენა | 75.63 | 12.01 | 11.6 | | |
| 4 | ს-82-43 | II ფენა | 82.55 | 2.19 | 14.25 | | |
| 5 | სხმ.ალ. №3829 | მოთეთრო-მონაცრისფრო ნადები | 16 | 70-77 | 0, 532 | 0, 332 | |
| 6 | სხმ.ალ. №3829 | ღია მწვანე ნადები | 92, 081 | 3, 478 | 3, 291 | 0, 716 | 0, 434 |
| 7 | სხმ.ალ. №3829 | მუქი მწვანე ნადები | 76, 94 | | 22, 603 | 1,194 | 5, 553 |

**ცხრილი 2 Table**

| **№** | **ინვ.№** | **დასახელება** | **Cu** | **Zn** | **Pb** | **Sn** | **Ag** | **Si** | **Fe** | **P** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სხმ.ალ. № 3829 | გარე მხარე | 77.1 | 10.5 | 16.0 | 20.1 | | | | |
| 2 | სხმ.ალ. № 3829 | შიდა მხარე | 77.1 | 7.4 | 13.0 | 2.2 | | | | |
| 3 | სხმ.ალ. № 3829 | ფოსოს ფრაგ-მენტი | 99.1 | 0.5 | 0.2 | 0.1 | | | | |
| 4 | სხმ.ალ. № 3386 | ზედაპირი | 75.36 | 12.90 | 2.11 | 0.67 | 2.77 | 5.59 | 0.37 | 0.19 |

ტაბ. I Tab.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.

ტაბ. IV Tab.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.

# ქრონიკა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბის“ 2016 წლის გამოცემაში წარმოგიდგენთ 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის ნოემბრის ჩათვლით მუზეუმის მიერ ორგანიზებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენების, საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო კონფერენციებისა და ექსპედიციების, აგრეთვე მუზეუმის თანამშრომელთა ავტორობით გამოცემული წიგნების, კატალოგების, ნაშრომების ნუსხას.

## დროებითი გამოფენები

| გამოფენა | ჩატარების ადგილი | თარიღი |
|---|---|---|
| გამოფენა „ქალები” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 04–16.12.2015 |
| გამოფენა „რაც ვნახე საქართველოში - ოცი წელი ქართულ-კავკასიურ სამყაროსთან 1995 -2015” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 10.12.2015–05.01.2016 |
| ჟანი მეძმარიაშვილის პერსონალური გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 16.12.2015–15.01.2016 |
| გამოფენა ,,სივრცე – მეგობარი” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 17–26.12.2016 |
| გამოფენა ,,კავკასიური მოძრავი მუზეუმი” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 21.12.2015–31.03.2016 |
| გამოფენა „შალვა ქიქოძე 120” | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 25.12.2015–10.02.2016 |
| დეკანოზ ალექსანდრე ჩახვაშვილისა და მხატვარ ბუდუ სირბილაძის ერთობლივი გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 20.01–05.02.2016 |
| გალერეა „მაგის” შარფების გამოფენა | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 12–23.02.2016 |
| გამოფენა „კედელი, კედელი და სხვა” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 12.02–6.03.2016 |
| გამოფენა „მალე გაზაფხული მოვა” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 19.02–01.03.2016 |
| გიგა დათუაშვილის გამოფენა | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 22–28.02.2016 |
| ფარჰად ხალილოვის ნამუშევრების გამოფენა | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 01–22.03.2016 |
| გამოფენა „16 დღე” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 01–06.03.2016 |
| დემურ გრიგოლიას რეტროსპექტული გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 04–15.03.2016 |

| | | |
|---|---|---|
| ეკატერინე ქოიავას პერსონალური გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 09–18.03.2016 |
| გამოფენა „ტრამალი" | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 11–27.03.2016 |
| გამოფენა „კალეიდოსკოპი" | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 18–23.03.2016 |
| კოკა გოქსაძის პერსონალური გამოფენა „ჩემი ცხოვრება" | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 22–31.03.2016 |
| გამოფენა „ლურჯა ცხენებიდან აბსტრაქციებამდე" | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 25.03–15.04.2016 |
| გამოფენა „ილუზიები" | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 24.03–15.04.2016 |
| თენგიზ სოსელიას პერსონალური გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 06–16.04.2016 |
| გამოფენა „საბჭოთა ჯარის გაყვანა ჩეხოსლოვაკიიდან" | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 20.04–01.05.2016 |
| გამოფენა „ადამიანის სიყვარული დინამიკურ ორნამენტებში" | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 19.04–1.05.2016 |
| გამოფენა „63.9" | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 21.04–10.05.2016 |
| გამოფენა „სიცოცხლის ხე" | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 20.04–10.05.2016 |
| გამოფენა "ბავშვებისთვის" | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 17–24.03.2015 |
| გამოფენა „გაცოცხლებული ისტორია" | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 26.04–11.05.2016 |
| მანაბა მაგომედოვას ფოტონამუშევრების გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 5–12.05.2016 |
| რუსთაველ მხატვართა გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 10–15.05.2016 |
| გამოფენა „ქეთევან მაღალაშვილი 120" | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 17.05–22.06.2016 |
| „ჩვენ აქ დავრჩებით" – ქოლგა თბილისი ფოტო 2016 | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 13–20.05.2016 |
| გამოფენა„ავანგარდი/ Avant-garde" | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 18.05–11.09.2016 |
| გამოფენა „ბალკანეთის ხელნაწერთა მემკვიდრეობა VI-XVIII საუკუნეები" | ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი | 10.05–13.06.2016 |

| | | |
|---|---|---|
| გამოფენა „მარინისტული პეიზაჟი” | სიღნაღის მუზეუმი | 20.05–01.09.2016 |
| გამოფენა „სულიერი გზავნილები” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 03–15.06.2016 |
| ნუგზარ მეძმარიაშვილის პერსონალური გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 07–15.06.2016 |
| გამოფენა „მე ვხედავ თითებით” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 12.06–20.08.2016 |
| გამოფენა „დროის გასაყარზე” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 17–20.06.2016 |
| გამოფენა „შორეული ხეტიალიდან დაბრუნებისას” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 22.05–15.07.2016 |
| კრასნოდარის მხარის ფოტოხელოვანთა გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 22.06–03.07.2016 |
| გამოფენა „მწვანე” | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 26.06-4.07.2016 |
| ინსტალაცია „მსხვერპლშეწირვა-სტატიკური დრამა” გამოფენის – „მე ვხედავ თითებით” ფარგლებში | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 03–15.07.2016 |
| გამოფენა „დღის ერთი მეოთხედი” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 06.07–30.08.2016 |
| გამოფენა „გახსნილი სამყარო” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 19–30.07.2016 |
| გიორგი ჩალაძის საიუბილეო გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 4–14.08.2016 |
| თემო ჯავახის რეტრო-სპექტული გამოფენა | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 05–25.08.2016 |
| გამოფენა „ვენეციის ძღვენი სერგო ფარაჯანოვს” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 3–11.09.2016 |
| გამოფენა „უფსკრული უფსკრულს გასძახის” | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 06–27.09.2016 |
| გამოფენა „საჩუქარი ადელაიდას” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 08–11.09.2016 |
| გამოფენა „ფრაგმენტები ისტორიიდან” | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი | 09.09–09.10.2016 |
| გამოფენა „ქვის ხანის საქართველო” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 27.09.2016 |
| გამოფენა „სხვა ირანი” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 23–27.09.2016 |

| | | |
|---|---|---|
| ირანული ტრადიციული რეწვის ნიმუშებისა და სამოსის გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 29.09–01.10.2016 |
| გამოფენა „კედლის ობიექტი -მასალა თიხა" | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 05–26.10.2016 |
| გამოფენა „ხედავდე სამყაროს ქვიშის მარცვალში" | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 06–23.10.2016 |
| ლალი ზამბახიძის პერსონალური გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 07–20.10.2016 |
| თენგიზ ქართველიშვილის პერსონალური გამოფენა „მოგონება ძველ თბილისზე" | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 21.10–05.12.2016 |
| ფოტოგამოფენა „#Museuminfocus2016" | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 27.10–06.11.2016 |
| თინა ბახტაძის საიუბილ-ეო გამოფენა | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 28.10–14.11.2016 |
| გამოფენა „მოკალი ბუდა" არტისტერიუმ 9-ის ფარგლებში | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 04–12.11.2016 |
| ინსტალაცია „ხვალ იქნე-ბა გუშინ" არტისტერიუმ 9-ის ფარგლებში | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 06–14.11.2016 |
| ჯოვანი ვეფხვაძის ნამუშევრების გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 15–22.11.2016 |
| გამოფენა„შემოქმედების იმპულსები და რიტმები" | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 18–26.11.2016 |
| გამოფენა „მე ვხატავ" | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 22–15.11.2016 |
| გიორგი ალექსი-მესხიშვილის საიუბილეო გამოფენა | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 03–27.11.2016 |
| გამოფენა „კავკასიის გავლით" | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 25.11–12.12.2016 |
| გამოფენა „იაკობ ნიკოლაძე 140" | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 29.11.2016 |
| გამოფენა „ერთი კვირა ოთარ იოსელიანის სამყაროში" | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 28.11–04.12.2016 |

| | | |
|---|---|---|
| ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდიის მოსწავლეეთა ნამუშევრების გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 29.11–02.12.2016 |
| ლეილა შელიას პერსონალური გამოფენა | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 06–31.12.2016 |
| მცხეთის მუზეუმის საგანძურის გამოფენა | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 14.12-2016 |

## საერთაშორისო გამოფენები

| გამოფენა | ჩატარების ადგილი | თარიღი |
|---|---|---|
| გამოფენა „მოგზაური მუზეუმი – დმანისის უნიკალური აღმოჩენები" | მანილას ათენეოს უნივერსიტეტი; ხოსე რიზალის უნივერსიტეტი; სანტო ტომასის უნივერსიტეტი; აღმოსავლეთი მანილას უნივერსიტეტი; ფილიპინების დილიმანის უნივერსიტეტი; დე ლა-სელის უნივერსიტეტი; ფილიპინების სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფილიპინები | 09.02–21.12.2016 |
| ახალგაზრდა თანამედროვე ქართველი ხელოვანების გამოფენა | კიევი, უკრაინა | 15.06–16.07.2016 |
| ქართული ღვინის კუთხე მარსელის მედიტერანულ მუზეუმში | მედიტერანული მუზეუმი მარსელი, საფრანგეთი | 27.02.2016 |

## წიგნები, კატალოგები, ბროშურები

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა/სტამბა |
|---|---|---|
| ნ. ლორთქიფანიძე | ძველი ქართული სამკაული | გია ქარჩხაძის გამომცემლობა |
| ნ. ბურჭულაძე | ქართული ხატები | გია ქარჩხაძის გამომცემლობა |
| ზ. მახარაძე,<br>ნ. კალანდაძე,<br>ბ. მურვანიძე | ანანაურის დიდი<br>ყორღანი 3 | სტამბა „სეზანი" |
| ე. კიკნაძე | იაკობ ნიკოლაძე 140 | სტამბა „სეზანი" |
| ნ. ახმეტელი,<br>ბ. ლორთქიფანიძე,<br>ნ. მურღულია | ისტორია. თეორიული საკითხები და ტესტები საა-ტესტატო გამოცდებისთვის | გამომცემლობა „დიოგენე" |
| ნ. შერვაშიძე | ილია ზდანევიჩი – დღიურე-ბი. ავანგარდი (1900-1937) | სტამბა „სეზანი" |
| I. Shatilova,<br>E. Kvavadze,<br>I. Kokolashvili | Atlas of spores from the Cenozoic deposits of Georgia | შპს „ჯეოპრინტი" |
| Е. Дидманидзе | Пяденицы Грузии | შპს „ჯეოპრინტი" |
| გ. ნიორაძე | ადრეული ჰომინიდების ადგილსამყოფელი დმანის-ში და მისი ქვის ინდუსტრია | გამომცემლობა "მწიგნობარი" |
| ნ. შანშაშვილი,<br>გო. ნარიმანიშვილი,<br>გ. ნარიმანიშვილი | ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის (ძვ.წ. III-II ათასწლეულებში) | გამომცემლობა "მწიგნობარი" |
| მ. პატარიძე,<br>თ. ქუთელია,<br>ც. ღვაბერიძე,<br>მ. წოწელია,<br>მ. შეროზია, | ქართული მონეტების ოქროს კოლექცია | გამომცემლობა ,,პალიტრა L" |

## პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები

| ავტორი | სახელწოდება | პერიოდული გამოცემა |
|---|---|---|
| D. Pleurdeau, M-H. Moncel, R. Pinhasi, R. Yeshurun, T. Higham, T. Agapishvili, M. Bokeria , A. Muskhelishvili, F-X Le Bourdonnec, S. Nomade, G. Poupeau, H. Bocherens, M. Frouin, D. Genty, M. Pierre, E. Pons-Branchu, D. Lordkipanidze, N. Tushabramishvili. | Bondi Cave and the Middle-Upper Palaeolithic transition in western Georgia (south Caucasus). | Journal "Quaternary International", February, vol. 395 |
| C. Hamon, M. Jalabadze, T. Agapishvili, E. Baudouin, I. Koridze, E. Messager | Gadachrili Gora: Architecture and organisation of a Neolithic settlement in the middle Kura Valley (6th millennium BC, Georgia). | Journal "Quaternary International", February, vol. 395 |
| ნ. კაპანაძე | ზემო იმერეთი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში | ჟურნალი „იბერია-კოლხეთი" №12 |
| Н. Капанадзе | Регион Западной Грузии, Верхняя Имерети в политической системе Грузии раннего средневековья | "материалы v международной научной конференции «кадырбаевские чтения – 2016» |
| I. Martkoplishvili | The delay in post-glacial forest expansion in the South Caucasus. Evidence from a new pollen record (Nariani, Georgia), | Journal Quaternary Research |
| I. Martkoplishvili, E.Kvavadze | The significance of pollen and non-pollen palynomorphs in Archaeological material for human paleodiet reconstruction. | Journal Ancient Near Eastern Studies |
| K.Kakhiani, E.kvavadze, I. Martkoplishvili, N. Pataridze. | Archaeological and palynological investigation of the Paravani Kurgan, Georgia. | Journal Ancient Near Eastern Studies |
| E. Kvavadze, S. Scharrer, I. Martkoplishvili, I. Shatilova,I. Gabrielian, M. Bukhsianidze, R. Chagelishvli, A. Bruch. | The Early Pleistocene palaeoecology in the Transcaucasus according pollen and non pollen palynomorphs data. Homo erectus 100+25. | Materials of International Senckenberg Conference, Tbilisi 20-24 September, 2016 |

| | | |
|---|---|---|
| ე. ყვავაძე | ანანაურის ყორღნიდან მოპოვებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიური კვლევა | წიგნი ,,ანანაურის დიდი ყორღანი III“ |
| E. Kvavadze, M. Jalabadze, T. Sagona | Tetritskaro (Nadarbazevi) burial mound.2 Bread, Rusk and the Bedeni period. | Materials of International workshop Aegean World and South Caucasus: Cultura Relations in the Bronze Age. |
| ზ. ბრაგვაძე | ძევრის არქეოლოგიური ძეგლები | ჟურნალი „იბერია–კოლხე-თი”№12. |
| Z. Bragvadze | Colchis-Aegean Relations In The Middle Bronze Age | Materials of International Workshop "Aegean World And South Caucasus: Cultura Relations in the Bronze Age" |
| З. Брагвадзе | *Иран и Колхида в V-IV вв. до н.э. (Проблемы взаимоотношения)* | "материалы vмеждународной научной конференции «кадырбаевские чтения |
| ნ. კალანდაძე, თ. ფარ-ჯანაძე, ნ. თავართქილაძე, მ. მჭედლიშვილი, ს. ახალაძე | დედოფლის გორაზე აღ-მოჩენილი არტეფაქტების რესტავრაცია და კვლევა | ჟურნალი „იბერია-კოლხე-თი" № 12 |
| ნ. სულავა, ნ. ოქრუაშვილი | რეგიონული მუზეუმი - კულ-ტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (თანამედროვე ვითარება და პერსპექტივები) | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნუ-ლი სააგენტოს II სამეცნიერო კონფერენციის - „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ - მასალები |

| | | |
|---|---|---|
| ნ. სულავა, ნ. ოქრუაშვილი, გ. მამარდაშვილი | მარტვილის მხარეთმცოდ-ნეობის მუზეუმის ეთ-ნოგრაფიული ექსპოზიცია (კონცეფცია, ექსპოზიცია) | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნუ-ლი სააგენტოს III სამეცნიერო კონფერენციის - „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ - მასალები |
| ნ. სულავა, ნ. ოქრუაშვილი, მ. ჩიკოიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმი და საქართველოს რეგიონული მუზეუმები (კონცეფცია) | ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის XXVI კრებული |
| ნ. სულავა, ი. ესვანჯია | ცხეთის სამაროვნის სამარხთა განლაგების რეკონსტრუქცია | ჟურნალი „ძიებანი” |
| ნ. სულავა | ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი) არქეოლოგიური ექსპედიცი-ის ახალი აღმოჩენები სოფ. დოღურაშის ტერიტორიაზე | ცაგერის მუნიციპალიტე-ტის გაზეთი „ლეჩხუმი“ |
| ნ. სულავა | ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგ-მენტი გონიო-აფსაროსიდან | საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამ-ბე”. VI (51-B) |
| ნ. სულავა | ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ახალი აღმოჩენები 2016 წელს ცხეთა-დეხვირის ტერიტორიაზე | ცაგერის მუნიციპალიტე-ტის გაზეთი „ლეჩხუმი“ |
| ნ. სულავა | გიორგი ჭყონდიდელის საგან-მანათლებლო ცენტრი მარტ-ვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში | მარტვილის მხ-არეთმცოდნეო-ბის მუზეუმის გაზეთი „ჭყონ-დიდელი“ |
| N. Sulava | Gravierte „fantastische“ Tierbilder auf der kolchischen Axt | South west uni-versity neofit rilski research center for ancient europe-an and east-ern mediterranean cultures second international sym-posium „megalithic monuments and cult practices” |

| | | |
|---|---|---|
| ე. ყვავაძე, მ. ჯალაბაძე, ა. საგონა | თეთრიწყაროს (ნადარბაზევი) №2 გორასამარხი: პური, ორცხობილა და ბედენური პერიოდი. | საერთაშორისო სემინარი – ეგეოსური სამყარო და სამხრეთ კავკასია: კულტურული ურთიერთობები ბრინჯაოს ხანაში - მასალები |
| D. Maghradze, G. Samanishvili, L. Mekhuzla, I. Mdinaradze, G. Tevzadze, A. Aslanishvili, P. Chavchanidze, D.Lordkipanidze, M. Jalabadze, E. Kvavadze, N. Rusishvili, E. Nadiradze, G. Archvadze, P. McGovern, P. This, R.Bacilieri, O. Failla, G. Cola, L. Mariani, N. Wales, M. Thomas,P. Gilbert, L. Bouby, T. Kazeli, L. Ujmajuridze, S.Batiuk, A. Graham, L. Megrelidze, T. Bagratia, L. Davitashvili | Grape and Wine Culture in Georgia, the South Caucasus. | Materials of The 39th World Wine and Vine Congress of the OIV, Gonsalves, Brasilia - კონგრესის მასალები |
| გ. ლამბაშიძე | ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში | ენციკლოპედია ქართული ენა |
| M. Belmaker, O. Bar-Yosef, An. Belfer-Cohen, T. Meshveliani, N. Jakeli | The environment in the Caucasus in the Upper Paleolithic (Late Pleistocene): Evidance from the small mammals from Dzudzuana cave, Georgia | Journal "Quaternary International" |
| ნ. ბურჭულაძე | დავით კურაპალატის ჯვრის იკონოგრაფიისთვის | ტაო-კლარჯეთის მე-4 საერთაშორისო კონფერენციის თეზისები |
| N. Burchuladze | The 12th Century Painted Epistyle with Georgian Inscriptions on Mount Sinai and Sinaitic-Georgian Icons in Svaneti (on the Georgian artistic workshop at Sinai) | Georgian National Museum Magazine |
| N. Burchuladze | La Croce e la Vite. Icone e affreshi dell' Antic Georgia. | Libro- Calendario |
| რ. ისაკაძე | გეგუთის სასახლის კომპლექსი | ჟურნალი „ონლაინ არქეოლოგია" №8 |

| | | |
|---|---|---|
| M. Abramishvili | South Caucasia and the Aegean before the Argonauts. | Materials of the International Workshop "Aegean World and South Caucasus – Cultural Relations in the Bronze Age" |
| M. Abramishvili | Tin and Oil: Can We Foresee the Future through the Remote Past? | Book: Fitful Histories and Unruly Publics: Rethinking Temporality and Community in Eurasian Archaeology |
| მ. გაბაშვილი | აფრიანი ხომალდები ქართული დროშებით სვეტიცხოვლის ფრესკაზე | ჟურნალი „ქართველოლოგია" |
| ნ, ბახტაძე, ვ. მამიაშვილი, ბ. გაბეხაძე, ჯ. ჩხვიმიანი | დურუჯისპირა ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა ნეკრესში | საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბე", VI (52-B) |
| N. Bakhtadze | The Oldest Basilicas Revealed in Nekresi Former City and Hypotheses on the Architectural Design of the First Georgian Christian Churches | Proceeding of International Conference: Iberien zwischen Rom und Iran von Pompeius bis Herakleios, Jena - მასალები |
| Ir. Gambashidze, Th. Stöllner | The Gold of Sakdrisi - Man's first gold mining enterprise | Bochum, Germany Cuno Verlag |
| Н. Шервашидзе | Тифлисский авангард – персоны фантастического города | Грузинский авангард: 1900-1930-е. Пиросмани, Гудиашвили, Какабадзе и другие художники. Из музеев и частных собраний |

| | | |
|---|---|---|
| Н. Шервашидзе | Экспериментатор-Кирилл Зданевич | Грузинский авангард: 1900-1930-е. Пиросмани, Гудиашвили, Какабадзе и другие художники. Из музеев и частных собраний |
| D. Akhvlediani, B. Amaghlobeli, J. Chi, M. Chichinadze, N. Kalandadze, D. Kacharava, J. Maish, G. Kvirkvelia, N. Lordkipanidze, D. Saunders, M. Tsereteli, M. Walton | The Hoard from the City-Site of Vani | Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Ed. 10, #2 |
| ნ. ლორთქიფანიძე | მუზეუმის როლი ოქროს საწმისის ქვეყანაში (საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაგალითზე) | ქუთაისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი, კონფერენციის - „მუზეუმი და კულტურის სტრატეგია" - მასალები |
| თ. მეშველიანი, ე. ყვავაძე, რ. პინჰასი, ა. ბელფერ-კოენი, ზ. მაცკევიჩი, შ. ბუზარაშვილი, რ. ჩაგელიშვილი, ე. ქორიძე, ნ. ჯაყელი | წყალტუბოს ქვის ხანის საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2014-2015 წლებში ჩატარებული საველე სამუშაოების ანგარიში | კრებული „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში" ტ. № 23 |
| რ. ისაკაძე | გეგუთის სასახლის კომპლექსი | ჟურნალი „ონლაინ არქეოლოგია" №8 |
| თ. შარიქაძე | მარაო აროსოკრატ ქალთა არსენალში | ჟურნალი „ისტორიანი" 6 (66) |
| მ. ქაფიანიძე | ქართული საჭურველი | კრებული „ქართველები" წიგნი №18 |
| მ. ქაფიანიძე | საბრძოლო იარაღი და აღჭურვილობა სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის კოლექციიდან | კრებული „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა" ტ. 3 |
| მ. ქაფიანიძე, მ. წურწუმია | ქართული თოფი ერმიტაჟის მუზეუმში | საისტორიო კრებული ტ. 5 |
| მ. აბაშიძე, მ. ქაფიანიძე | ერთაწმინდის საეკლესიო ნივთების კოლექცი | ეთნოლოგიური ძიებანი ტ. VI |

| | | |
|---|---|---|
| ე. კავლელაშვილი, ე. ნადირაძე, ა. დავითაშვილი, ნ. მოძმანაშვილი | უსანეთის ხატი და სტელა | ჟურნალი საქართველოს ეროვნული მუზეუმი |
| გ. აბრამიშვილი, ე. კავლელაშვილი | შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურის ფონდში დაცული ადრეული შუა საუკუნეების ლითონმქანდაკებლობის, ტორევტიკის, გამოყენებითი ხელოვნებისა და საწესო–სარიტუალო ნივთების კატალოგი (V ს.–X ს. I ნახევარი) | საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი. ქართული ალმანახი |
| ე. კავლელაშვილი | დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი და ვერეს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები | გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის შრომების კრებული |
| N. Lordkipanidze | Il Paese dell’oro | Kelly-Buccellati M. (éd.), Georgia– Paese d’oro e di fede, Identità e alterità nella storia di un popolo |
| ნ. ლორთქიფანიძე | სამკაული ანანაურის № 3 ყორღანიდან | წიგნში: „ანანაურის დიდი ყორღანი 3” |
| რ. კვირკველია, რ. დავლიანიძე, ნ. ჩხარტიშვილი | არქეოლოგიური კოლექციები სოფელი ბორიდან | საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბე” VII (52-B) |
| დ. ახვლედიანი | ძვ.წ. III-II სს-ის კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი | გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომათა კრებული №13 |

| | | |
|---|---|---|
| N. Khuluzauri | Communication Strategy of the Dmanisi, Vani and Dzalisi Museum-Reserves | Proceedings of the ICOM 24th General Conference's ICMAH Meeting: Museums, Territories and Societies, Milan, Italy - მასალები |
| Nomade S., Scao V., Guillou H., Massager E., Mgeladze A., Voinchet P., Renne P.R.,Courin-Nomade A., Bardintzeff J.M., Ferring R., Lordkipanidze D. | *New 40Ar/39Ar, unspiked K/Ar and geochemical constaints on the Pleistocene magmatism of the Samtskhe-Javakheti highlands (Republic of Georgia). /40Ar/39Ar, გალარიბებული K/Ar და ახალი გეოქიმიური მონაცემები სამცხე-ჯავახეთის პლეისტოცენის მაგმატიზმის შესახებ (საქართველოს რესპუბლიკა).* | 2016: Quaternary International. Elsevier, vol:395, 45-59. |
| Lordkipanidze D. | *The History of Early Homo. / ადრეული ჰომოს ისტორია.* | *In*: On Human Nature. Biology, Psychology, Ethics, Politics, and Religion. Editors: Tibayrenc M. and Ayala F. J. 2016. Academic Press, Elsevier, 45-54 |
| Carotenuto F. , Tsikaridze N., Rook L., Lordkipanidze D., Longo L., Condemi S., Raia P. | Venturing out safely: *The biogeography of Homo erectus dispersal out of Africa. / ჰომო ერექტუსის აფრიკიდან განსახლების ბიოგეოგრაფია: 2016.* | Journal of human evolution, Elsevier, vol. 95: 1-12 |
| Dowdeswell M.R., Jashashvili T., Patel B. A., Lebrun R., Susman R.L., Lordkipanidze D., Carlson K.J. | *Adaptation to bipedal gait and fifth metatarsal structural properties in Australopithecus, Paranthropus, and Homo./ ბიპედალი ზმთან შეგუება და წინა ტერფის მეხუთე სტრუქტურული თავისებურება ავსტრალოპითეკეში, პარანტროპუსებში და ჰომო.* | 2016. C. R. Palevol, Elsevier, vol: 976 (in press) |
| A., Zollikofer CP., Lordkipanidze D., Tafforeau P., Ponce de Leon MS. | *Comparative analysis of dentognathic pathologies in the Dmanisi mandibles. დმანისის ქვედა ყბის პათოლოგიის შედარებითი ანალიზი* | 2016. Wiley Periodicals Inc. vol: 160(2): 229-53 |

| | | |
|---|---|---|
| Jordi A., Chochishvili G., Lozano-Fernàndes I., Oms Liorber O., Piñero P., Lordkipanidze D | *The Late Nepgene-Quaternary small vertebrate succession from Georgia: zoogeographical and paleoecological implications. საქართველოს გვიან ნეოგენის-მეოთხეული პერიოდის პატარა ხელხემლიანების მემკვიდრეობითობა: ზოოგეოგრაფიული და პალეოეკოლოგიური შედეგები.* | Materials of International Senckenberg Conference, Tbilisi 20-24 September, 2016 |
| Bukhsianidze M., Ralf-Dietrich K., Kiladze G., Martinez-Navarro B., Lorenzo R., Tappen M., Lordkipanidze D. | *Dmanisi large mammal assemblage / დმანისის მსხვილი ძუძუმწოვრები.* | Materials of International Senckenberg Conference, Tbilisi 20-24 September, 2016 |
| Cappellini E., Moreno M., Jose V., Fotakis A., Lyon D., Jesie-Christensen R., Bikhsianidze M., Matthew C., Orlando L., Olsen J., Lordkipanidze D., Willerslev E. | *Paleoproteomic analysis of early Pleistocene fossil remains /ადრე პლეისტოცენური ფაუნის პალეოპროტეომიკული კვლევა* | Materials of International Senckenberg Conference, Tbilisi 20-24 September, 2016 |
| Ferring R., Shelia T., Tappen M., Bukhsianidze M., Lordkipanidze D. | *The record of serial occupations at Dnanisi. მონაცემები დმანისში რამოდენიმე დასახლების შესახებ.* | Materials of International Senckenberg Conference, Tbilisi 20-24 September, 2016 |
| Margvelashvili A., Zollikofer Ch., Lordkipanidze D., Tafforeau P., Ponce de Leon M. | *Dmanisi hominid dentogenathic pathologies and implications on lifestyle of early Homo./ ადრეული ჰომოს ცხოვრების წესის როლი დმანისის ჰომინიდის დენტოგნატურ (ყბისა და კბილების) გენეტიკურ პათოლოგიებზე.* | Materials of International Senckenberg Conference, Tbilisi 20-24 September, 2016 |
| Rightrime G. F., Lordkipanidze D. | *Dmanisi and the recognition of taxic diversity in genus Homo/ დმანისი და ტაქონების განსხვავებების დადგენა ჰომოს გენში* | Materials of International Senckenberg Conference, Tbilisi 20-24 September, 2016 |
| Nioradze M., Ferring R., Mgeladze A., Zhvania D., Nioradze G., Shelia T., Lordkipanidzw D. | *Dmanisi lithic assemblage/ დმანისის ქვის კოლექცია.* | Materials of International Senckenberg Conference, Tbilisi 20-24 September, 2016 |
| Tappen M., Bukhsianidze M., Coil Reed A., Ferring R., Lordkipanidze D. | *LLife and Death at Dmanisi:Taphonomic Evidance/ სიკვდილი და სიცოცხლე დმანისში: ტაფონომიური მონაცემი.* | Materials of International Senckenberg Conference, Tbilisi 20-24 September, 2016 |

## საქართველოს ეროვნული მუზეუმის პერიოდული გამოცემები

| სახელწოდება | ნომერი | რედაქტორი |
|---|---|---|
| ჟურნალი „იბერია-კოლხეთი” | № 12 | გ. გამყრელ-იძე |
| კრებული „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში” | № 23 | გ. კვირკველია |
| საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბე” | VII (52-B) | ზ. თვალ-ჭრელიძე |
| ჟურნალი „მუზეუმი” | № 4 | დ.ლორთქი-ფანიძე |

## სამეცნიერო კონფერენციები, სესიები,

## საჯარო ლექციები, სხდომები, სიმპოზიუმები, სემინარები

| თემა/მომხსენებელი | ჩატარების ადგილი | თარიღი |
|---|---|---|
| ლექცია „შალვა ქიქოძის შემოქმედებითი გზა” – ი. აბესაძე | დ. შევარდნაძის სახელო-ბის ეროვნული გალერეა | 09.02.2016 |
| იულონ გაგოშიძის 80 წლისადმი მიძღვნილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალ-გაზრდა მეცნიერთა კონფერენცია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24–25.02.2016 |
| ჰომო ერექტუსის აფრიკის გარეთ გავრცელების ბიოგეოგრაფია – ნ. წიქარიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.02.2016 |
| თრელი გორების ნამოსახლარი – გ. ბედიანაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.02.2016 |
| სამთო იარაღები საყდრისის მაღაროსა და ძეძვების ნამოსახლართან – ქ. თამაზაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.02.2016 |
| ძეძვების გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი (სტრატიგრაფია და ქრონო-ლოგია) – რ. ვადაჭკორია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.02.2016 |
| კევრიანი ნამარხები თრიალეთიდან – დ. ნარიმანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.02.2016 |
| საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გრავირებული გამოსახულებების შესწავლისთვის – ნ. ჯანაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.02.2016 |
| წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობა – ნ. ქობალია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.02.2016 |
| აღჯაყალი-გაგისციხე-ცურტავი ? – დ. გაგოშიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.02.2016 |
| თიხის სანელსაცხებლეებიანი სამარხები ურბნისიდან – ა. სახვაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.02.2016 |

| | | |
|---|---|---|
| ოთხკუთხა (ბერძნული ტიპის) ხელსაფქვავე-ბი საქართველოში – ა. გაბუნია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.02.2016 |
| ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკა ვანის №21 და №23 სამარხებიდან – მ. კუბლაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.02.2016 |
| მონეტა ტაძარში – მ. პატარიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.02.2016 |
| შირვანული მონეტების არეალი XVI საუკუ-ნის პირველ ნახევარში – მ. არჩვაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.02.2016 |
| დედოფლის გორაზე აღმოჩენილი არტეფაქტების რესტავრაცია და კვლევა – მ. მჭედლიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.02.2016 |
| მელითონეობა ხეთურ საზოგადოებაში და მისი გამოყენება ყოფაცხოვრებასა და რიტუალში – ლ. კოჭლამაზაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.02.2016 |
| ლექცია „უახლოესი მომავალი, დანახული შორეული წარსულიდან – გლობალური გა-მოწვევები და საქართველოს პერსპექტივა" – მ. აბრამიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 11.03.2016 |
| ლექცია „ძველი ქართული სამკაული" – ნ. ლორთქიფანიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 15.04.2016 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მარილი, სპილენძი და ოქრო კავკასიაში – ადრეული სამთო საქმისა და მეტალურგიის წარმოშობა კავკასიაში" | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 16–19.06.2016 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ-ცია „ავანგარდის იდეა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში". მომხსენებლები: ნ. შერვაშიძე, ფ. მერე, ი. ძუცოვა, ა. სარაბი-ანოვი, ს. სიგუა, თ. ტაბატაძე, ნ. ყიფიანი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 23.06.2016 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ავანგარდის იდეა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში". მომხსენებლები: ფ. მერე, ტ. ნიკოლსკაია, ქ. კინწურაშვილი, გ. ხოშტარია, დ. ანდრიაძე, ა. შანშიაშვილი, მ. ჩიხრაძე, ნ. ჩიხლაძე, ა. სარაბიანოვი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.06.2016 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ-ცია „ავანგარდის იდეა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში". მომხსენებლები: გ, ხოშტარია, ი. ძუცოვა, ქ. კინწურაშვილი, ნ. ყიფიანი, დ. ანდრიაძე | სიღნაღის მუზეუმი | 25.06.2016 |

| | | |
|---|---|---|
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „*Homo Erectus-ის* 100+25 წელი: დმანისი და მის მიღმა". მომხსენებლები: D. Lordkipanidze, R. Foley, M. Brunet, R. Potts, T. Lüdecke, F. Schrenk, O. Kullmer, U. Wacker, J. Fiebig, O. Sandrock, A. Mulch, J. Njau, K. Schick, I. Stanistreet, N. Toth, A. Coppa, L. Bondioli, F. Candilio, C. Collina, M.Delfino, D.W. Frayer, Y. Libsekal, Y. Gebreyesus, M. Ghinassi, R. Macchiarelli, T. Medin, M. Papini, L. Rook, A. Villa, A. Urciuoli, C. Zanolli, M. Sahnouni, J. Pares, D. Mathieu, A. Perez-Gonzalez, J. V. der Made, Z. Harichane, S. Abdes-sadok, I. Cáceres, N. Kandi, R. Chelli-Cheheb, J. Agustí Ballester, K. Boulaghraif, Ch. Saloua, S. Semaw, M. Rogers, I. Cáceres, A. Leiss, D. Stout | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 21.09.2016 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ *Homo Erectus -ის* 100+25 წელი: დმანისი და მის მიღმა". მომხსენებლები: H. de Lumley, M.-A. de Lumley, R. Dennel, A .P. Derevianko, H.A. Amirkhanov, D.V. Ozherelyev, O.I. Alexandrova, E.Yu. Girya, M.V. Sablin, Y. Melamed, N. Goren-Inbar, X. Gao, R. Volmer, E. Hoelzchen, Ch. Hertler, A. van der Geer, Y. Kaifu, I. Kurniawan, J. H. Schwartz, Ch. Hertler, S. Haupt, T. Luedecke, A. A. Bruch, A. Mulch, F. Schrenk | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 22.09.2016 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ *Homo Erectus -ის* 100+25 წელი: დმანისი და მის მიღმა". მომხსენებლები: D. Lordkipanidze, R. Ferring, T. Shelia, M. Tappen, M. Bukhsianidze, J. A. i Ballester, T. Jashashvili, M. R. Dowdeswell, K. J. Carlson, A. Margvelash-vili, Ch. P. E. Zollikofer, P. Tafforeau, M. S. Ponce de León, M. Niozadze, A. Mgeladze, D. Zhvania, G. Nioradze, T. Shelia, T. Jashashvili, Ch. P. E. Zollikofer, M. S. Ponce de León, M. Niozadze, E. Cappellini, Y. Rak, C. Zanolli, J. H. Schwartz, I. Tat-tersall, K. Schick, N. Toth, E. Kvavadze, A. A. Bruch, M. Maerker, N. Tsikaridze, L. Longo, A. Mgeladze, N. Tushabramishvili, C. M. Q. Lising | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 23.09.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": მცხეთის სამაროვნის განლაგების რეკონსტრუქცია – ნ. სულავა, ი. ესვანჯია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 16.03.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ქვის უროები მარილის მაღაროებიდან (ეროვნული მუზეუმის კოლექცია) – ქ. თამაზაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 16.03.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი ნაგებობა – ი. სოზიაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 16.03.2016 |

| | | |
|---|---|---|
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული არტეფაქტები კოლხეთიდან – ლ. ჯიბლაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 23.03.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ძქვების ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის კერამიკის ორნამენტის თავისებურება – ნ. ოთხვანი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 23.03.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სარიტუალო თასები სამხრეთ კავკასიიდან – დ. ნარიმანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 23.03.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ორი ბეჭედი ქუშანაანთგორის სამაროვნიდან – ქ. რამიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 30.03.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჩინური კოლექციის კვლევისთვის (კავკასიის მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მასალების მიხედვით) – ნ. დემურიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 30.03.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": საწერი მასალა და იარაღი – დ. გოგაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 30.03.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ერგეტის სამაროვნების როლი და მნიშვნელობა საქართველოს არქეოლოგიისთვის – რ. პაპუაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 06.04.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ლახტის იშვიათი სახეობა ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან – ი. ბაქრაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 06.04.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ზოგიერთი რამ სარიჯარის (ტაჯიკეთი) არქეოლოგიური ექსპედიციის შესახებ – ჯ. აბულაძე, დ. ჟვანია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 06.04.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": მაშავერას გორა – ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნასახლარი – გ. მირცხულავა, დ. ჟვანია, ჯ. აბულაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 13.04.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": რკინის წარმოებისა და იარაღების სახელწოდებებთან დაკავშირებული საკითხები (ისტორიულ-ლინგვისტური მიმოხილვა) – გ. ჩიქოვანი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 13.04.2016 |

| | | |
|---|---|---|
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": წიგნის პრეზენტაცია – ჟინვალის სამაროვანი – ვ. ჩიხლაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 13.04.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ბერძნული მითოლოგიისა და მონუმენტური ხელოვნების ასახვა ოქრომ-ჭედლობაში (ვანის ბალთა) – ა. ჭყონია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 13.04.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": საყურადღებო არტე-ფაქტები ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან – რ. კვირკველია, ქ. რამიშვილი, დ. ჟვანია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 13.04.2016 |
| სხდომა-კონფერენციები ,,არქეოლოგიური ოთხშაბათობები": რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის – საბრძოლო საქმე და შეიარაღება იბერია-კოლხეთში – 2015-2016 წლების ანგარიში – ვ. შატბერაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 13.04.2016 |
| საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის 2014 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესია.<br>არქეოლოგიის ცენტრის 2015 წლის მუშაო-ბის ძირითადი შედეგები - ზ. მახარაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25-28.04.2016<br><br>25.04.2016 |
| გათხრები საწურბლიას მღვიმესა და სამელე კლდეში - თ.მეშველიანი, რ. პინჰასი, ა. ბელფერ-კოენი, ზ. მაცკევიჩი, გ. ბარ-ოზი, შ. ბეზარაშვილი, ერ. ქორიძე, ნ. ჯაყელი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.04.2016 |
| პალეოლითური ადგილსაპოვებელი სოფ. ჯანდარასთან (მარნეულის მუნიციპიპალი-ტეტი) - დ. ჟვანია, გ. ჯაოშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.04.2016 |
| არუხლოს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. - გ. მირცხულავა, ს. ჰანზენი, კ. ბასტერტ-ლამპრისი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.04.2016 |
| არქეოლოგიური გათხრები გადაჭრილ გო-რაზე - მ. ჯალაბაძე, ერ. ქორიძე, ე. ყვავაძე, თ. აღაპიშვილი, ნ. ჯანაშვილი, ს. ბატიუკი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.04.2016 |
| არქეოლოგიური გათხრები ბალიჭი-ძეძვე-ბის ნამოსახლარზე - ირ. ღამბაშიძე, თ. შტოლნერი, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, ბ. მურვანიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.04.2016 |
| არქეოლოგიური სამუშაოები არ-მაზციხე-ბაგინეთზე - გ. ნარიმანიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. გიუნაშვილი, გ. მანჯგალაძე, ზ. ბრაგვაძე, ნ. გობეჯიშვი-ლი, ლ. ფავლენიშვილი, გ. ტატიშვილი, ინ. ესვანჯია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.04.2016 |

| | | |
|---|---|---|
| არმაზის ხევის კომპლექსის არქეოლოგიური გათხრები – გ. ნარიმანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.04.2016 |
| არქეოლოგიური კვლევის შედეგები კუვეიტში - გ. კვირკველია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.04.2016 |
| უახლესი აღმოჩენები ბრინჯაოს მეტალურ-გიის უძველესი კერების შესწავლისათვის საქართველოში (აჭარა) – ამ. კახიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 26.04.2016 |
| ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. კაპნისთავში (ხელვაჩაურის მუნიციპ.) ამ. კახიძე, თ. შალიკაძე, მ. ნაგერვაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 26.04.2016 |
| ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. მახვილაურში (ხელვაჩაურის მუნიციპ.) ნ. ძნელაძე, ნ. სურმანიძე, მ. თურმანიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 26.04.2016 |
| საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ფიჭვნარის ნაქალაქარისა და სამაროვნების ტერიტორიაზე ამ. კახიძე, ნ. სურმანიძე, მ. ნაგერვაძე. | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 26.04.2016 |
| გონიო-აფსაროსში წარმოებული გათხრების ანგარიში – შ. მამულაძე, რ.კარასევიჩ-სციპ-იორსკი, თ. შალიკაშვილი, კ. ქამადაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 26.04.2016 |
| გათხრები ხიხანის ციხეზე – დ. მინდორაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 26.04.2016 |
| არქეოლოგიური სამუშაოები ხობსა და ზუგდიდში რ. პაპუაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 26.04.2016 |
| არქეოლოგიური სამუშაოები ონის მუნიციპ. სოფ. ჯოისუბანში – გ. გობეჯიშვილი, რ. პაპუაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 26.04.2016 |
| დოლოჭოპის ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა ნეკრესის ნაქალაქარზე – ნ. ბახტაძე, ვ. მამიაშვილი, ბ. გაბეხაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 26.04.2016 |
| ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები – ან. მგელაძე, მ. გაბუნია, ერ. ქორიძე, თ. აღაპიშვილი, კ. შატენიე, ბ. ვარუ-ციკოსი, ჟ. ჩაჰუდი, ი. ბენარუსი, ბ. პერელო | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.04.2016 |
| არქეოლოგიური გათხრები სოფ. ხაიშში – ბ. მურვანიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.04.2016 |
| გათხრები მარნეულში – გ. კვირკველია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.04.2016 |
| არქეოლოგიური სამუშაოები იგოეთის გორაზე – გ. კვირკველია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.04.2016 |
| არქეოლოგიური სამუშაოები დოღლაურის სამაროვანზე – იულ. გაგოშიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.04.2016 |

| | | |
|---|---|---|
| შიდა ქართლის (დედოფლის გორის) ერთობლივი ქართულ-იტალიური არქეოლო-გიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში – იულ. გაგოშიძე, ელ. როვა, თ. ჭანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.04.2016 |
| გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები ბერიკლდეებთან. იულ. გაგოშიძე, მ. ჯალაბაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.04.2016 |
| არქეოლოგიური კვლევა-ძიება საჯოგის ბრინჯაოს ხანის ნასახლარზე და თრელი-გორების იბერიის სამეფოს დროინდელ სატაძრო კომპლექსზე – მ. აბრამიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.04.2016 |
| არქეოლოგიური გათხრები დმანისის მუნიც-იპ. ტერიტორიაზე – კ. კახიანი, ელ. ღლიღ-ვაშვილი, გ. კილაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.04.2016 |
| ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირი) არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები – ნ. სულავა, ლ. ჯიბლაძე, ინ. ესვანჯია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28.04.2016 |
| რკინის წარმოშობის შესწავლა: ახალი საველე კვლევები ლეჩხუმში – ბ. გილმორი (ოქსფორდის უნივერსიტეტი) | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28.04.2016 |
| ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ახვლედიანების გორაზე ჩატარებული სამუშაოების ანგარიში – რ. ისაკაძე, შ. ბუაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28.04.2016 |
| გეგუთის სასახლის არქეოლოგიური კვლევა – ომ. ლანჩავა, რ. ისაკაძე, შ. ბუაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28.04.2016 |
| არქეოლოგიური კვლევა-ძიება თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიაზე – მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, ვ. ჩიხლაძე, ელ. ღლიღვაშვილი, ირ. ანჩაბაძე, ქ. კერესელიძე, ლ. იაკობაშვილი. | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28.04.2016 |
| არქეოლოგიური გათხრები თბილისის დე-დაციხის (შაჰტახტის) ტერიტორიაზე – მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, ელ. ღლიღვაშვილი, ირ. ანჩაბაძე, | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28.04.2016 |
| ბეშთაშენის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები – დ. ნარიმანიშვილი, გ. კარელიძე, ი. ჰამბურგი. | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28.04.2016 |
| მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები მწვანე გორაზე (მარნეულის მუნიციპ.) – გ. ბედიანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28.04.2016 |
| საერთაშორისო სიმპოზიუმი: „მარილი, სპილენძი და ოქრო – უძველესი სამთოწარ-მოება კავკასიაში. ფარავნის გამოთვლები: ადრეული ოქროს სამთო საქმე საყდრისში და მისი სოციალური გავლენა". მომხსენებლები : ირ. ღამბაშიძე, თ. შტოლნერი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 16.04.2016 |

| | | |
|---|---|---|
| კერამიკული კომპლექსები საყდრისისა და ძეძვების ნამოსახლარის მაგალითზე – ნ. ოთხვანი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 16.04.2016 |
| პრეისტორიული ხანის სამთო იარაღები საქართველოდან – ქ. თამაზაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 16.04.2016 |
| ანანაურის №3 ყორღანი, ახალი მონაცემები – ზ. მახარაძე, ნ. კალანდაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 17.04.2016 |
| აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები და მათი შესწავლის პერსპექტივა – გ. გოგოჭური | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 18.04.2016 |
| ლექცია გამოფენის „გაცოცხლებული ისტორია" ფარგლებში – ლ. წიწუაშვილი | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 07–08.05.2016 |
| სამეცნიერო კონფერენცია „ფოტოგრაფიული მიმართულებები" – გ. ბუღაძე, ლ. მამაცაშვილი, ლ. ფირალიშვილი, ნ. წულუკიძე, ხ. ხაბულიანი | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 25.05.2016 |
| ლექცია „გამოფენების მოწყობა მუზეუმში" – ა. კნეზევიჩი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 30.05.2016 |
| ლექცია „საბრძოლო იარაღის კოლექცია" – მ. ქაფიანიძე | საგამოფენო ცენტრი „ექსპო ჯორჯია", მე-11 პავილიონი. თბილისი | 17.09.2016 |
| ლექცია „ადამიანის ევოლუცია" – დ. ჯოჰანსონი | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეზო | 20.09.2016 |
| საერთაშორისო სემინარი „ეგეოსური სამყარო და სამხრეთი კავკასია, კულტურული ურთიერთობები ბრინჯაოს ხანაში" | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 23-25.09.2016 |
| კოლხურ-ეგეოსური ურთიერთობები შუა ბრინჯაოს ხანაში – ზ. ბრაგვაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.09.2016 |
| გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მძივები თრიალეთიდან – მ. კვაჭაძე, გ. ნარიმანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.09.2016 |
| სამხრეთ კავკასიისა და ეგეოსური სამყაროს ურთიერთობის დინამიკა და ხასიათი ბრინჯაოს ხანაში – ნ. შანშაშვილი, გ. ნარიმანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.09.2016 |
| თეთრიწყაროს (ნადარბაზევი) გორასამარხი: პური, ორცხობილა და ბედნური პერიოდი – ელ. ყვავაძე, მ. ჯალაბაძე, ანტ. საგონა | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.09.2016 |
| სამხრეთი კავკასია და ეგეოსური სამყარო არგონავტებამდე – მ. აბრამიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.09.2016 |
| სამხრეთ საქართველოს ციკლოპური ნამოსახლარები და მათი შესწავლის პერსპექტივები – დ. ნარიმანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 24.09.2016 |
| ლექცია „უკან წყალში: ზღვის ძუძუმწოვართა ევოლუცია" – პ. გოლდინი | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 25.09.2016 |

| | | |
|---|---|---|
| ლექცია „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საგანგებო სიტუაციების დროს" – მ. თევზაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 11.10.2016 |
| ირინა შატილოვას 85 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია „უძველესი ლანდშაფტის რეკონსტრუქცია" | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 07.11.2016 |
| გვიანცარცული პალეოგრაფიული რეკონ-სტრუქცია პლანქტონური ფორამინიფერ-ებისა და ნანოპლანქტონების საშუალებით – ხ. მიქაძე, შ. კელეპტრიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 07.11.2016 |
| დასავლეთ საქართველოს ზედაცარცული ნალექების დეტალური ანალიზი პლაქტონ-ური ფორამინიფერებისა და ნანოპლან-ქტონების საშუალებით – ხ. მიქაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 07.11.2016 |
| აღმოსავლეთ საქართველოს გვიანოლიგო-ცენეური ზღვის ძუძუმწოვრები და იხტიო-ფაუნა – ნ. ვანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 07.11.2016 |
| დმანისის მსხვილი ძუძუმწოვრები – მ. ბუხსიანიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 07.11.2016 |
| *Homo Erectus*-ის განსახლების ეკოლოგია – ნ. წიქორიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 07.11.2016 |
| ბოლო წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი დმანისის არქეოლოგიურ ძეგლზე – თ. შელია, ჯ. ცხვიმიანი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 07.11.2016 |
| გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახ-ლარი დმანისის ნაქალაქარიდან – ნ. რეზესიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 07.11.2016 |
| პალინოლოგიის მნიშვნელობა არქეოლოგიი-სათვის – ე. ყვავაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 07.11.2016 |
| საქართველოს ზედა პალეოლითური, ნეოლ-ითური და ბრინჯაოსხანის ადამიანის საკვე-ბი რაციონი და სამკურნალო საშუალებები პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით – ი. მარტყოფლიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 07.11.2016 |
| ლექცია „ზეპირი ისტორია, როგორც კვლევის ინსტრუმენტი და მუზეოლოგია" | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 08.11.2016 |
| ლექცია „დინოზავრის ნაკვალევის კვლევა" – ჟერარდ გერლინსკი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 16.11.2016 |
| ოლივერ რაისნერის ლექცია "სტალინის კულტი – საქართველო – მუზეუმი: რამდენიმე შენიშვნა საბჭოთა წარსულის გააზრებისთვის" | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 02.12.2016 |

## ექსპედიციები

| ექსპედიციის დასახელება/დამფინანსებელი კომპანია | თარიღი | ადგილი | ხელმძღვანელი |
|---|---|---|---|
| სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია, SCPX | 11.01-09.02.2016 | გარდაბნის მუნიციპ. მილსადენის 29-ე კმ. | გ. გოგოჭური |
| სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია, SCPX | 16.02-22.02.2016 | გარდაბნის მუნიციპ., მილსადენის 0+680-ე კმ | გ. ბედიანიშვილი |
| საქართველოს მილსადენის კომპანია, BP | 23.02-02.03.2016 | ბაქო-სუფსას მილსადენის WREP 109+465-492 კმ | გ. კვირკველია |
| კუვეიტის კულტურული მემკვიდრეობის სამსახური | 04.03-16.04.2016 | კუვეიტი | გ. კვირკველია |
| საქართველოს მილსადენის კომპანია, BP | 18.04-21.05.2016<br>26.10-13.11.2016 | ადიგენის მუნიციპ. სოფ. ორჭოსანი<br>CH 460 და BPGA 15 | ირ. ღამბაშიძე |
| ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი-დოღურაში) არქეოლოგიური ექსპედიცია; საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ცაგერის მუნიციპალიტეტი | 03-17.05.2016 | ცაგერის მუნიციპალიტეტი | ნ. სულავა |
| ქართლის (იბერიის) სამეფოს არქეოლოგიური ობიექტების კვლევა; თბილისის მუნიციპალიტეტის მერია | 05.05-01.07.2016 | თბილისი, თრელიგორების ნასახლარი | მ. აბრამიშვილი |
| მარნეულის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია; საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო, ტორონტოს უნივერსიტეტი, კანადა, შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (გრანტი – საზაფხულო სკოლა) | 05.05-12.06.2016 | გადაჭრილი გორა, მარნეული | მ. ჯალაბაძე |
| ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია; საქართველოს ეროვნული მუზეუმი | 15.05-01.09.2016 | ნეკრესი | ნ. ბახტაძე |

| | | | |
|---|---|---|---|
| სსიპ საქართველოს კულ-ტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | 06.05-10.07.2016 | მცხეთის მუნიციპ. არმაზისხევი | გ. ნარიმანიშვილი |
| თბილისის მერია | 01.06-30.07.2016 | თბილისი, „შაჰ-ტახტის“ ტერიტორია | მ. ძნელაძე |
| მელბურნის უნივერსიტეტი (ავსტრალია) | 10.06-15.07.2016 | ჭობარეთი | კ. კახიანი, ანტ. საგონა |
| შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია; საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ვენეციის კაფოსკარის უნივერსიტეტი | 20.07-08.08.2016 | დედოფლის გორა | იულ. გაგოშიძე |
| წყალტუბოს ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიცია. შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; ჰიბროუ უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტი, ისრაელი | 20.07-31.08.2016 | საწურბლიას მღვიმე, წყალტუბო | თ. მეშველიანი |
| ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირი) არქეოლოგიური ექსპედიცია; ცაგერის მუნიციპალიტეტი | 01-11.08.2016 | ცაგერის მუნიციპალიტეტი | ნ. სულავა |
| ტემპლეტონის ფონდი და პალეოანთროპოლოგიის საზაფხულო სკოლა | 08.08-15.09.2016 | დმანისის ნაქალაქარი | დ. ლორთქიფანიძე |
| ბერლინის არქეოლოგიის ინსტიტუტი | 18.08-30.09.2016 | მარნეულის მუნიციპ. არუხლო | გ. მირცხულავა, ს. ჰანსენი |
| დასავლეთ საქართველოს კირქვიანი მასივი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 20.08-09.09.2016 | რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი | ა. გეგეჭკორი |
| სსიპ საქართველოს კულ-ტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | 01.09-18.09.2016 | მცხეთის მუნიციპ. არმაზციხე | გ. ნარიმანიშვილი |
| სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია, SCPX | 20.09-27.09.2016 | მარნეულის მუნიციპ. მილსადენის 51+400-ე კმ. (CH 474) | გ. კვირკველია |
| არქეოლოგიური გათხრები შორაპნის ციხეზე; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | 24.11-02.12.2016 | შორაპნის ციხე | ვ. ჯაფარიძე |

| | | | |
|---|---|---|---|
| შპს „ანაკლიის განვითარე-ბის კონსორციუმი“ | 25.11-09.12.2016 | ზუგდიდის მუნიციპ. სოფ. ანაკლია | რ. პაპუაშვილი, ლ. ჯიბლაძე |

## ღონისძიებები

| დასახელება | ჩატარების ადგილი | თარიღი |
|---|---|---|
| თანამშრომლობის მემორანდუმი საქართ-ველოს ეროვნულ მუზეუმსა და თბილისის მერიას შორის | ი. გრიშაშვილის სახე-ლობის თბილისის ისტო-რიის მუზეუმი | 30.12.2015 |
| თანამშრომლობის მემორანდუმი საქართ-ველოს ეროვნულ მუზეუმსა და ვარშავის უნივერსიტეტს შორის | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 02.02.2016 |
| დმანისის აღმოჩენების პრეზენტაცია რომში | რომი, იტალია | 03.03.2016 |
| ქ. კაპანაძის წიგნის პრეზენტაცია “What is Love?” | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 10.03.2016 |
| ლექცია და წიგნის პრეზენტაცია „ქართუ-ლი ხატები” | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 25.10.2016 |
| მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის კვირეული | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის გაერ-თიანებაში შემავალი მუზეუმები | 17–22.05.2016 |
| ინკლუზიური განათლება საქართველოს მუზეუმებში | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 16.02.2016 |
| დისკუსია „დიალოგი წლებს მიღმა” (მოგონებები, ახალი რაკურსი) – ა. ოქროპირიძე | დ. შევარდნაძის სახე-ლობის ეროვნული გალერეა | 28.02.2016 |
| ევროკავშირის კინოფესტივალი სვანეთის მუზეუმში | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი | 18.03.2016 |
| პერფორმანსი „მეგობART” | დ. შევარდნაძის სახე-ლობის ეროვნული გალერეა | 19.03.2016 |
| თანამშრომლობის მემორანდუმი საქართ-ველოს ეროვნულ მუზეუმსა და ჩინეთის სასახლის მუზეუმს შორის | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 01.04.2016 |
| ჩინგიზ ფარზალიევის ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოების ცერემონია | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 13.05.2016 |

| | | |
|---|---|---|
| ღონისძიება „ღამე მუზეუმში” | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის გაერ-თიანებაში შემავალი მუზეუმები | 21.05.2016 |
| სპექტაკლი „ფიროსმანი – ზმანება” ღონისძიების - „ღამე მუზეუმში” ფარ-გლებში | დ. შევარდნაძის სახე-ლობის ეროვნული გალერეა | 21.05.2016 |
| ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისად-მი მიძღვნილი ღონისძიებები | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის გაერ-თიანებაში შემავალი მუზეუმები | 01.06.2016 |
| ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებიდან 50 და გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება | გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზე-უმი | 04.06.2016 |
| მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივა-ლი 2016 | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი დმანისის მუზეუმ-ნა-კრძალი | 17-25.09.2016 |
| ვორქშოფი „სახალისო არქეოლოგია” – თ. შელია, გ. ბიძინაშვილი | საგამოფენო ცენტრი ,,ექსპო ჯორჯია”, მე-11 პავილიონი. თბილისი | 17.09.2016 |
| ვორქშოფი ,,კერამიკის რესტავრაცია” – თ. კინწურაშვილი | საგამოფენო ცენტრი ,,ექსპო ჯორჯია”, მე-11 პავილიონი. თბილისი | 17.09.2016 |
| ვორქშოფი „ქართული ხელნაწერი წიგნის საწერი მასალა და იარაღი – „აღსაწერელ-ნი წიგნისანი” – დ. გოგაშვილი | საგამოფენო ცენტრი ,,ექსპო ჯორჯია”, მე-11 პავილიონი. თბილისი | 17.09.2016 |
| ვორქშოფი „მონეტები და მათი ისტორია” – მ. პატარიძე | საგამოფენო ცენტრი ,,ექსპო ჯორჯია”, მე-11 პავილიონი. თბილისი | 17.09.2016 |
| ვორქშოფი „ქვის იარაღის დამზადების ისტორიული ტექნოლოგიები” –დ. ჟვანია | საგამოფენო ცენტრი ,,ექსპო ჯორჯია”, მე-11 პავილიონი. თბილისი | 17.09.2016 |
| EUSTORY History Camp-ის ორგანიზებული პროექტის „გაერთიანებულნი თუ დაყო-ფილნი? ნაციონალური იდენტობა ევრო-პაში” დახურვის ცერემონია | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 07.10.2016 |
| მუზეუმის Instagram გვერდის ფო-ტოკონკურსი #MuseumInFocus2016 | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის გაერ-თიანებაში შემავალი მუზეუმები | 11-23.10.2016 |
| ევროპის მემკვიდრეობის დღეები საქართ-ველოს ეროვნულ მუზეუმში | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 18.10.2016 |
| ღონისძიება ,,მუზეუმი ფოკუსში 2016” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეზო | 27.10.2016 |

| | | |
|---|---|---|
| წიგნის „ბრძოლა ამიერკავკასიისთვის. 1917-1921" ქართული თარგმანის პრეზ-ენტაცია – ფ. ქაზემზადეს | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 09.11.2016 |
| შეხვედრა გიორგი ალექსი-მესხიშვილთან | დ. შევარდნაძის სახე-ლობის ეროვნული გალერეა | 24.11.2016 |
| ნეკრესის დიდი ბაზილიკის არქეოლოგი-ური კვლევისა და რეაბილიტაციის პრო-გრამის საჯარო განხილვა | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 24.11.2016 |
| ზ. მახარაძის, ნ. კალანდაძის და ბ. მურვანიძის წიგნის პრეზენტაცია ,,ანანაურის დიდი ყორღანი 3" | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 08.12.2016 |
| თანამშრომლობის მემორანდუმი საქა-რთველოს ეროვნულ მუზეუმსა და ბიზნე-სისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს შორის | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 07.12.2016 |
| ,,ნორჩ ისტორიკოსთა სკოლა" ეროვნულ მუზეუმში | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 01.12.2016 |
| ივ. მენთეშაშვილის წიგნისა „ნაპოლეონი" პრეზენტაცია | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის აუდიტო-რია | 12.12.2016 |
| საგანმანათლებლო პროგრამის პრეზენტ-აცია „ვისწავლოთ ფრანგული მუზეუმში" | დ. შევარდნაძის სახე-ლობის ეროვნული გალერეა | 13.12.2016 |

# ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

## სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

- „კავკასიის მოძრავი მუზეუმი" (დროებითი გამოფენის თანმხლები)
- „ისტორიის ლაბირინთი"
- „დაიჭირე წამი"
- „გაზაფხულის კარნავალი"
- „ნუმიზმატიკა"
- „ვისწავლოთ გერმანული მუზეუმში – სტატუსის განმსაზღვრელი სიმბოლოები ადრე და დღეს"
- „კოლხი ქალი"
- „ბუნების ისტორია"
- „სამკაულის ისტორია"
- „ცხოველთა გამოსახულებები საგანძურში"
- „შეფიცულები"
- „ნიშხა, ნიშხა ბარბალუკა"
- „აღდგომა და სააღდგომო ტრადიციები"
- „ცის მიზიდულობა"
- „ღამე მუზეუმში" – MUSEION
- „საუბრები არქეოლოგიაზე"
- „რას მოგვითხრობენ მონეტები"
- „ბუნების მრავალფეროვნება"
- „ჩინეთის უდიდესი გამოგონებები – ფაიფური"
- „ფერწერული მუსიკა"
- „ვაზი და ღვინო საქართველოში"
- „ახალი წლის დღესასწაული ძველად საქართველოში"

## დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

- „ვისწავლოთ გერმანული მუზეუმში –როგორ აღვნიშნავთ დღესასწაულებს"
- „საშობაო ტრადიციები"
- „თავსატეხის საიდუმლო"
- „იმერეთი დედაჩემი"
- „მხატვარი და ავტოპორტრეტი"
- „ქვაში გაცოცხლებული იდეა"
- „ხელოვნების ისტორია პატარებისთვის"
- „ღამე მუზეუმში"
- „ხელოვნების ისტორია თავისუფალი ნავიგაციის პრინციპით"

**გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ**

- „სახალისო არქეოლოგია"
- „გამოსვლა ედემიდან"
- „საუბრები ეკოლოგიაზე"
- „უძველესი ადამიანი და მისი იარაღები"
- „ხალხური რეწვის გაკვეთილები"
- „არქეოლოგია ყველასთვის"
- „საუბრები ეკოლოგიაზე"
- „საუბრები და ფილმის ჩვენება ეთნოგრაფიაზე"
- „პრეისტორიული ტექნოლოგიები"
- „პირველყოფილი მონადირე"
- „ტრადიციული შეჯიბრი მშვილდოსნობაში"

**იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი**

„და აღმოცენდა თბილისი"

- „ბრწყინვალე მეფეები"
- „ამქრობა თბილისში"
- „აქ იქ, ადგილმდებარეობის საკითხები ქართული თანამედროვე ხელოვნება" (დროებითი გამოფენის თანმხლები)
- „კავკასიის გავლით" (დროებითი გამოფენის თანმხლები)
- „ღამე მუზეუმში"
-

**შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი**

- „მეფეები და დედოფლები"
- „ღვთისმსახურებისთვის საჭირო ნივთები"
- „ღამე მუზეუმში"

**საზაფხულო სკოლა**

- გადაჭრილი გორის საზაფხულო სკოლა

ანა დავარაშვილი

ქეთი დიასამიძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ელ-ფოსტა: **gnmuseum@gmail.com**

# ნოდარ ლომოური
# (1933-2016)



2016 წლის 3 აგვისტოს გარდაიცვალა ნოდარ ლომოური - საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი, გამორჩეული პედაგოგი, ისტორიკოსთა არაერთი თაობის აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე და მოქალაქე. მისი კვლევის საგანი საქართველოს ძველი და ადრეული შუა საუკუნეების, ანტიკური ქვეყნებისა და ბიზანტიის ისტორიაა. მას საქართველოს ანტიკურ სამყაროსა და ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს ახლებურად გააზრებული და გადმოცემული. მეცნიერის მიერ შესწავლილ საკითხთა მოკლე ჩამონათვალიც საკმარისია მისი კვლევის დიაპაზონის განსასაზღვრავად -იბერიის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხები; ქართული სამეფოს ურთიერთობა რომის იმპერიასა და სასანიანთა ირანთან; ქართლისა და ეგრისის სამეფოს გაქრისტიანება; ეგრისის სამეფო, მისი პოლიტიკის, გეოგრაფიისა და კულტურის საკითხები; ძველი საქართველოს სავაჭრო გზები; ელინთა ცნობები საქართველოზე; არაქართველ ავტორთა ცნობები თბილისის შესახებ; პონტოს სამეფო და მისი ისტორიული როლი; ძველი ასურეთი; საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ბერძენთა კოლონიზაციის საკითხები და ა.შ.

მისი ინტერესი საქართველოს წარსულისადმი შემთხვევითი არ ყოფილა. ოჯახი, სადაც ის დაიბადა და აღიზარდა, თავად იყო ქართული ტრადიციული კულტურის კერა: ბაბუა ნიკო ლომოური - ქართველი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე; მამა - იულონ ლომოური საქართველოში აგრონომიული მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, დედა ნატალია მახარაძე - მევენახეობის სპეციალისტი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტთაგანი; მამიდა თამარ ლომოური, ისტორიკოსი, საქართველოში ნუმიზმატიკური მეცნიერების ფუძემდებელი. ქართული ინტელიგენციის ამ თვალსაჩინო ოჯახის ერთადერთი მემკვიდრის არჩევანი საქართველოს წარსულის კვლევისა მამიდის-ქალბატონ თამარის დამსახურებაა.

ბატონი ნოდარი ისტორიკოსი, მკვლევარი ორ ასეულზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და 19 მონოგრაფიული გამოცემის ავტორია. მის ყველა გამოკვლევას მოკლე წერილში ვერ შევეხებით.

ნოდარ ლომოურმა ქართულ ისტორიოგრაფიაში წამოჭრა საკითხი კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის თავისებურებათა შესახებ, პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კოლხეთის სანაპიროს

ბერძნულ კოლონიებად მიჩნეული ქალაქები სინამდვილეში ადგილობრივი საქალაქო ცენტრები იყო, რომელთაგანაც შემდეგ მცირე ბერძნული სავაჭრო დასახლებანი შეიქმნა. ეს მეცნიერული კვლევა თავმოყრილია 1962 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია".

გვინდა გამოვყოთ მეცნიერის შრომათაგან დასავლეთ საქართველოს, ეგრისის სამეფოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურის ისტორიის საკითხები. ასე სრულად ეგრისის სამეფოს ისტორია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე შესწავლილი არ ყოფილა. ეს გამოკვლევები გაერთიანდა მონოგრაფიაში „ეგრისის სამეფოს ისტორია" (1968წ.).მკვლევარმაუარყოიმხანადქართულმეცნიერებაშიდამკვიდრებული მოსაზრება, თითქოს ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა VI საუკუნეში და დამაჯერებლად დაასაბუთა , რომ ეს ეგრისსა და ქართლში დაახლოებით თანადროულია ( IV ს. ) მოვლენაა. ნოდარ ლომოურის ეს მოსაზრება დღეს მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

მნიშვნელოვანია 1981 წელს დასტამბული მონოგრაფია «Грузино-римские взаимоотношения» ამ საკითხის კვლევისას დღემდე შემორჩენილი თითქმის ყველა წერილობითი წყაროსა და არქეოლოგიური მონაცემის საფუძველზე გაანალიზებულია ქართული სახელმწიფოსა და რომის ურთიერთობა. გამოკვლევაში აქცენტი გადატანილია თვით ქართულ სახელმწიფოთა გარეპოლიტიკურ მიზნებზე და საქართველოს ინტერესებიდან დანახულმა ამ ურთიერთობის გაანალიზებამ მონოგრაფია კოლეგების და რიგითი მკითხველისათვის უფრო მიმზიდველი გახადა. 2011 წელს ამ ნაშრომის ვრცელი I ნაწილი (IV-IX საუკ.) ქართულ ენაზეც დაიბეჭდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე (ბულგარეთში) არსებული ქართული სამონასტრო და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო ცენტრის - პეტრიწონის მონასტრის ისტორიის შესწავლა. მრავალწლიანი შრომის შედეგია მონოგრაფია «К истории грузинксого Петрицонского монастыря» (1981 წ.). ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ყველია ისტორიული მოვლენის გაანალიზებით განხილულია მონასტრის დაარსების გარემოებანი, კულტურის ამ ცენტრის მნიშვნელობა. ამასთან პასუხი გაეცა იმ „მეცნიერის" აზრს, რომელმაც ეჭვი გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთა ქართულ წარმომავლობაში შეიტანა.

მეცნიერმა ცალკე გამოკვლევა უძღვნა უაღრესად მტკივნეულსა და აუცილებლად შესასწავლ თემას- აფხაზეთს. კამათი ამ საკითხის გამო დღესაც არ წყდება. აქტუალური იყო 1997 წელს ცალკე წიგნად -«Абхазия в античную и раннесредневековую эпоху» გამოცემა. ნაშრომში განხილულია აფხაზთა ისტორიის უძველესი საკითხები ეთნონიმ „აფხაზის" განმარტებით. ქართულ საისტორიო მწერლობასთან ერთად გაანალიზებულია ძველ ბერძენთა, ბიზანტიელთა ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ. მოგვიანებით (2008 წ.) ქართულ ენაზე დაისტამბა მისივე მნიშვნელოვანი ნაშრომი „ძირძველი ქართული მხარის - აფხაზეთის ისტორიისათვის".

აღიარებულ მეცნიერულ გამოკვლევებთან ერთად, უთუოდ, უნდა აღინიშნოს მისი პუბლიცისტური საქმიანობა. წლების განმავლობაში პრესის მეშვეობით გაბედულად ეხმიანებოდა საქართველოში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ მოვლენებს.

მისი წიგნი „ქართველი მხედარი მარსის მიედანზე" (2001 წ.) რომელსაც

საფუძვლად დაედო რომაელი ისტორიკოსის - დონ კასიუსის ცნობები, ახალგაზრდებისათვის შექმნილი ისტორიულ - მხატვრული ნაწარმოებია (კასიუსის ცნობების პირველი თარგმანი ნოდარ ლომოურს ეკუთვნის). მისივე თანაავტორობითა და თანარედაქტორობით დაიბეჭდა ენციკლოპედიური ხასიათის გამოცემა „ბიზანტია ქართულ წყაროებში“ (2010). 2000 წელს საქართველოს საპატრიარქომ წიგნად გამოსცა ნოდარ ლომოურის გამოკვლევა „საქრთველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება“. ნაშრომი 2001 წლის საეკლესიო კალენდარშიც სრულად დაიბეჭდა.

ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნოდარ ლომოურის, მეცნიერის, კვლევის მეთოდოლოგია და დიაპაზონი, მისი ერუდიცია, ისტორიული საბუთების შეჯერების უნარი, შეუცდომელი ისტორიული ალღო, გადმოცემის სიცხადე. სამაგალითო იყო მისი დამოკიდებულება მეცნიერთა უფროსი თაობისადმი, მისი მასწავლებლებისადმი. როგორც ყველა მეცნიერება, ისტორიული მეცნიერებაც ვითარდება. ის, რაც ადრე იყო მიღებული, შესაძლოა, შეიცვალოს. სწორედ აქ იგრძნობოდა ნოდარ ლომოურის კეთილი განწყობა-მოწიწება უფროსი კოლეგების მიმართ.

ნოდარ ლომოურის სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას უკავია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი ჩაირიცხა ასპირანტურაში კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ბიზანტინოლოგიის განხრით. მისი ხელმძღვანელი და მასწავლებელი იყო ქართული ბიზანტინოლოგიის სკოლის ფუძემდებელი სიმონ ყაუხჩიშვილი, რომელმაც 1975 წელს, თავისი აღზრდილი გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილებაში მიიწვია და მისივე სურვილით 1981 წლიდან პროფესორი ნოდარ ლომოური ამ განყოფილებას განაგებდა. ის, ბიზანტინისტიკის აღიარებული მკვლევარი, მონაწილეა ამ თემისადმი მიძღვნილი მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონფერენციისა, მათ შორის ოქსფორდისა და ვენის კონგრესების მუშაობაში. მოხსენებათა ციკლის ჩასატარებლად საგანგებოდ იყო მიწვეული ავსტრიის ბიზანტინოლოგთა ცენტრში. დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის ლექციებს ნიუ-იორკში 1979 წელს „ბიზანტიის დიდების“ სახელწოდებით მოწყობილ სიმპოზიუმზე. წლების განმავლობაში გახლდათ მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის «Византийский временник»-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი. 2001 წელს პარიზის კონგრესზე საქართველო მიიღეს ბიზანტინისტთა საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილ წევრად. ამ ასოციაციის საქართველოს კომიტეტის პირველ პრეზიდენტად ბატონი ნოდარი იქნა არჩეული.

ნოდარ ლომოური წლების განმავლობაში სხვადასხვა არქეოლოგიური ექპედიციის მონაწილეა- შოროპანი, სარკინეთი, დმანისი, თეთრი-წყარო, ქუთაისი, გუდავა, ნოქალაქევი ეს იმ არქეოლოგიურ ექსპედიციათა მოკლე ჩამონათვალია, სადაც ბატონი ნოდარი სამუშაოდ იყო მიწვეული, განათხარი მასალა მისთვის მხოლოდ აღმოჩენა როდია. ეს მისთვის საქართველოს წარსული, ისტორიის ნაწილია, საბუთი საისტორიო მწერლობაში აღნიშნული მოვლენისა, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიაა.

ძნელია მეცნიერი წარმოიდგინო სტუდენტებთან ურთიერთობისა და

პედაგოგიური საქმიანობის გარეშე. ლექციების კითხვა მან ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1952 წლიდან, დაიწყო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში და ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა სტუდენტთა აღზრდას. მის ლექციებს ისმენდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში, ხელოვნების უმაღლეს სკოლაში. სტუდენტებისათვის ის გამორჩეული და ამავე დროს მეტად მომთხოვნი პედაგოგი იყო. მისი ლექციების თემატიკა საკმაოდ ვრცელი იყო - საქართველოს ისტორია, ძველი მსოფლიოსა და ბიზანტიის ისტორიაა. ეს ისტორიულ მეცნიერებათა ის დარგებია, რომლებსაც ბატონი ნოდარი მთელი ცხოვრება ემსახურებოდა. 1965 – 1971 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია. უნივერსიტეტში 1970 წელს არჩიეს ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის გამგედ, 1975 წელს აირჩიეს თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორად.

ბატონი ნოდარი წლების განმავლობაში საქართველოში სამუზეუმო საქმეს ემსახურებოდა. ის ჯერ არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობის დროს დაუკავშირდა საგამოფენო საქმიანობას, 1971 წელს მიიწვიეს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1992 წლიდან ხელმძღვანელობდა შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. მძიმე ეკონომიურ პირობებში, როდესაც არ იყო არავითარი საშუალება სამუზეუმო საქმიანობის წარმართვისა, მისი ავტორიტეტისა და მტკიცე ხასიათის წყალობით მუზეუმისათვის არაერთი კეთილი და აუცილებელი საქმე გაკეთდა. ბატონი ნოდარის უშუალო ჩარევით შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა მუზეუმებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი. მისი თაოსნობით დაიწყო მუზეუმში თანამშრომელთა შრომების ყოველწლიური კრებული „ნარკვევები“-ს გამოცემა რომელსაც თავადვე რედაქტორობდა, აღადგინა მუზეუმში ყოველწლიური სამეცნიერო სესიების ჩატარების ტრადიცია. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მთლიანად შეიცვალა მუზეუმის საგანძურის საექსპოზიციო დარბაზი და საფონდო სათავსოები . 2004 წელს მას მოულოდნელად მოუწია მუზეუმის დატოვება.

ბატონი ნოდარ ლომოური გარდაიცვალა 2016 წლის 3 აგვისტოს, ერთ კვირაში მას 90 წელი შეუსრულდებოდა. თითქოს არ არის მცირე ასაკი, თუმცა დაუმთავრებელი დარჩა დიდი ნაშრომის II ნაწილი „საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა“ (X-XV სს.). კიდევ არაერთი შრომის მომზადება და გამოცემა ჰქონდა მას განზრახული. გაზეთში დაბეჭდილი ბატონი ნოდარის ნეკროლოგი მთავრდება სიტყვებით: „ და ისე უჩუმრად განეშორა ცხოვრებას, თითქოს თვალს მიეფარა მხოლოდ...“ ჩვენთვის ეს მართლაც ასე მოხდა. საქართველომ კი დაკარგა გამორჩეული პედაგოგი, შეუცდომელი ალღოს მქონე მკვლევარი, ჩვენი კულტურული ცხოვრების თვალსაჩინო მოღვაწე და მოქალაქე.

**შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი**

# ქეთევან მუშკუდიანი
## (1933-2016)



2016 წლის 22 ივნისს გარდაიცვალა ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ახალი ისტორიის კოლექციების კონსულტანტი ქეთევან დავითის ასული მუშკუდიანი.

შეწყდა სიცოცხლე მეცნიერისა და სამუზეუმო საქმის მუშაკისა, რომელიც 55 წლის განმავლობაში ემსახურა ეროვნული კულტურის დაცვისა და შესწავლის საქმეს. ქალბატონი ქეთევანი იყო ტიპური მუზეუმელი, რომელმაც თავისი შინაგანი ინტელექტუალური პოტენციალი მოახმარა ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო, საფონდო და საგამოფენო საქმიანობას. გარდა ამისა, იგი გახლდათ კლასიკური სამუზეუმო მოღვაწის ტიპი, რომლის შინაგანი რწმენა, ცხოვრების მიზანი, ინტელექტუალური შესაძლებლობანი და განწყობა ერთმნიშვნელოვნად მიეკუთვნებოდა მუზეუმს. მან კარიერა დაიწყო და დაასრულა მუზეუმში იმის ღრმა შეგნებით, რომ მისი ცხოვრების არჩევანი იყო მართალი და შეუმცდარი.

ქეთევან მუშკუდიანი დაიბადა 1933 წლის 20 თებერვალს ქალაქ ქუთაისში. 1951 წელს ვერცხლის მედლით დაამთავრა ქ. თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1957 წელს ცნობილი მეცნიერის შოთა ხანთაძის რეკომენდაციით ქ. მუშკუდიანი ჯერ სტაჟიორად, ხოლო 1961 წლიდან მეცნიერ მუშაკად მიიღეს აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ისტორიის განყოფილებაში.

ქეთევან მუშკუდიანის სამეცნიერო ინტერესი ძირითადად იყო საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების საკითხები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მისი მონოგრაფია „ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ დასავლეთ საქართველოში“. ესაა დამოუკიდებელი სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც მრეწველობის მარტივი ფორმების შესწავლის კვალდაკვალ ნაჩვენებია კაპიტალისტურ საწარმოთა შექმნის რეალური პირობები, სოფლის მოსახლეობის მანუფაქტურულ საწარმოში ჩაბმის ტენდენცია, დაქირავებული შრომის გამოყენება და მისი დინამიკა, ნაჩვენებია პროფესიონალ მუშათა კონტინგენტისა და ქალაქის მოსახლეობის, მისი სოციუმის ჩამოყალიბების პროცესი.

ნაშრომში კაპიტალისტურ საწარმოთა შესწავლის საფუძველზე ავტორი აყალიბებს მოსაზრებას, რომ თუ XIX ს-ის ბოლო მეოთხედში ხე-ტყის

დამუშავებაში, წარმოების მასშტაბის მიხედვით, უპირატესობა საფრანგეთისა და ბელგიის ფირმებს ეკუთვნოდათ, 90-იანი წლებიდან მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და სატყეო მრეწველობაში უპირატესობა მოიპოვა ადგილობრივმა ფირმებმა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ილია ოქრომჭედლიშვილისა და ვასილ მაქსიმოვის საწარმოები.

ქეთევან მუშკუდიანმა მადონა მირიანაშვილთან ერთად შეისწავლა სპირტისა და კონიაკის ტექნოლოგიებისა და წარმოების საკითხები, კერძოდ, მნიშვნელოვანი იყო ნაშრომი ხისა და მინის ჭურჭლის საკონიაკე წარმოების დარგში დანერგვის შესახებ, გამოკვლეული და მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი საკითხი, რომელიც ამ ტექნოლოგიების დანერგვასთან იყო დაკავშირებული.

ქალბატონ ქეთევანს ეკუთვნის გამოკვლევა თბილისში ხის დამუშავების მრეწველობასთან დაკავშირებით. ნაშრომი ძირითადად დაწერილია საფაბრიკო ინსპექციის საარქივო მასალაზე დაყრდნობით. ვრცელ სტატიაში ეპოქალური მოვლენებისა და საყოველთაო პოლიტიკურ მოძრაობათა ფონზე კრიტიკულადაა შეფასებული მოსახლეობის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა და ნაჩვენებია მენტალობის ფორმის ჩამოყალიბება, რომელიც წარმოშვა ახალმა დრომ.

ქეთევან მუშკუდიანის მეცნიერული ალღო და ისტორიულ დოკუმენტებზე მუშაობის პროფესიონალური უნარი განსაკუთრებით გამოიკვეთა ეროვნულ მუზეუმში დაცული საარქივო მასალის დამუშავებისას. საქმე ეხება შეუსწავლელ დოკუმენტებს, რომელთა სამეცნიერო საზოგადოებისთვის გაცნობამ და კრიტიკულმა ანალიზმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ზემო იმერეთის განათლების სისტემის ზოგადი სურათი. ამ დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა მანამდე უცნობ ადამიანთა ღვაწლი და თავდადება სასკოლო განათლებაში დამკვიდრებული მკაცრი რუსიფიკატორული პოლიტიკის შერბილებისა და მასში ქართული მიმართულების გაძლიერების თვალსაზრისით. აქვე დიდი ადგილი დაეთმო იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) კერძო წერილების ანალიზს, რომელიც კიდევ უფრო გამოკვეთს ამ სახელოვანი საეკლესიო მოღვაწის დამსახურებას როგორც ქართული ეკლესიის წინაშე, ისე მოსახლეობაში განათლების ფართოდ დანერგვის უმნიშვნელოვანეს საქმეში. საგულისხმოა, რომ 2011 წელს გამოცემულმა ამ ნაშრომმა დაიმსახურა სამეცნიერო წრეების მაღალი შეფასება.

ქეთევან მუშკუდიანი იყო შესანიშნავი ოჯახიშვილი, დედა და მეუღლე, საუკეთესო მეგობარი, უაღრესად ტაქტიანი და ყოველმხრივ გაწონასწორებული პიროვნება. მისი აუღელვებელი, მომღიმარი და სათნო სახე მუდამ დარჩება მის თანამშრომელთა და მეგობართა გულებში.

**საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიისა და ახალი ისტორიის კოლექციების თანამშრომლები**

## ნინო ოქროსცვარიძე
**(1922 –2016)**



შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა რიგებს სამუზეუმო საქმის კიდევ ერთი თანამშრომელი გამოაკლდა. 2016 წლის 27 სექტემბერს გარდაიცვალა მუზეუმის ღვაწლმოსილი მუშაკი, მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდის უფროსი მეცნიერ - თანამშრომელი ნინო ოქროსცვარიძე.

დაიბადა 1922 წელს, საშუალო სკოლისა და I-ლი მუსიკალური სასწავლების დამთავრების შემდგომ საქმიანობად მან მედიცინა აირჩია და 1947 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტი, მაგრამ ხელოვნებასთან კავშირი არჩია და იმავე წელს სწავლა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში გააგრძელა, სადაც ხელოვნების ისტორიას ორი გამორჩეული პედაგოგის, პროფესორების - ლეო რჩეულიშვილისა და პარმენ ზაქარაიას ლექციებით ეზიარა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლესა და კულტურულ -საგანმანათლებლო სასწავლებელში პედაგოგად.

1952 წლიდან კი გარდაცვალებამდე მუშაობდა შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. მისი შესწავლისა და კვლევის საგანი ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნება იყო. 1965 წლიდან უფროს, მეცნიერ თანამშრომელია. 1993 წლიდან, მუზეუმის რეორგანიზაციამდე, ასრულებდა ახალი ქართული ხელოვნების განყოფილების გამგის მოადგილის მოვალეობას. 1967 წლიდან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. ავტორია მრავალი სტატიისა და გამოკვლევისა. მისი თაოსნობითა და მონაწილეობით მოეწყო ახალი (XIX ს. – XX ს-ის დასაწყისი) და თანამედროვე სახვითი ხელოვნების გამორჩეულ შემოქმედთა გამოფენები. ავტორი ან თანაავტორი იყო ისეთ მხატვართა გამოფენებისა და კატალოგებისა, როგორებიც იყვნენ ლადო გუდიაშვილი, გიგო გაბაშვილი, ვლადიმერ სიდამონ-ერისთავი, დავით კაკაბაძე, ოსკარ შმერლინგი, ალექსანდრე ციმაკურიძე, ალექსანდრე მრევლიშვილი. გასული საუკანის 60-იან წლებში მისი ავტორობით გამოიცა ახალგაზრდა მხატვართა გამოფენების კატალოგები „საქართველოს ახალგაზრდა მხატვრები“, მან გზა შემდგომში არაერთ ცნობილ მხატვარს დაულოცა. 1988 წელს ლენინგრადში ქალბატონი ნინოს თანაავტორობით დაიბეჭდა

ალექსანდრე იაკოვლევისა და ვალენტინ შუხაევის გამოფენის კატალოგი ვრცელი შესავალი წერილით. 1995 წელს ვარშავაში დაისტამბა საქართველოს ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება და არქიტექტურა) გამოფენის კატალოგი. თანაავტორია გიგო გაბაშვილის ერთ-ერთი სრულად შედგენილი ალბომისა და ამ ალბომში დაბეჭდილი ვრცელი შესავალი წერილისა. 2010 წელს დაისტამბა ნინო ოქროსცვარიძის მონოგრაფიული გამოკვლევა მხატვარ ვასილ ჯორჯაძის შემოქმედებაზე. ქალბატონი ნინო ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებასაც შეეხო. თანაავტორია 1955 წელს გერმანულ (ციურიხი) და ესპანურ ენებზე (სან-დიეგო) გამოცემული ნაშრომებისა „ფიროსმანი და თანამედროვეობა“ ასევე 1998 წელს ქალაქ ნანტში დასტამბული კატალოგისა „ნ.ფიროსმანი და საფრანგეთი“.

ნინო ოქროსცვარიძემ 64 წელი მუზეუმში გაატარა. კარგმა მეოჯახემ და ორი შვილის დედამ ეს წლები მუზეუმის სიყვარულით იცხოვრა, ნიჭი და ცოდნა საყვარელ საქმეს, სახვითი ხელოვნების შესწავლას მოახმარა. წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა კეთილი ხსოვნა გულისხმიერი მუზეუმელისა, რომელმაც სასიკეთო კვალი დააჩნია ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების გააზრებას.

**გ. მარსაგიშვილი**

# მერი გაჩეჩილაძე- ჯანდიერი
(1935-2016)



გარდაიცვალა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელი მერი გაჩეჩილაძე - ჯანდიერი, ადამიანი, რომელმაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომი ცხოვრება მუზეუმში გაატარა.

ქალბატონი მერი თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 1958 წელს, ჩაირიცხა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში და მას ექსკურსიების გაძღოლა დაავალეს. 1964 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის ასპირანტურა ხელოვნებათმცოდნეობის განხრით. იმ დროისათვის ახალი და აქტუალური იყო მისი საკვლევი თემა „პეიზაჟი თანამედროვე ქართულ ფერწერაში (დ.კაკაბაძე, ე.ახვლედიანი, ალ.ციმაკურიძე)“. ერთიან კვლევაში ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი ფერმწერის მემკვიდრეობის შესწავლა, მიუხედავად სირთულისა, დაძლეულ იქნა, რასაც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული მისი სტატიებიც მოწმობს. 1964 წლიდან ქალბატონი მერი მუზეუმში ძველი ქართული ხელოვნების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელია. იგი ჩართული იყო უფლისციხის არქეოლოგიურ ექსპედიციებში. თინათინ ქარუმიძის ხელმძღვანელობით მონაწილეობდა შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ძეგლების აზომვა-ფიქსაციაში სვანეთში, მესხეთში, კახეთში. მოგვიანებით აქტიურად ჩაება ხელოვნების პოპულარიზაციის განყოფილების მუშაობაში. პრესაში გამოაქვეყნა არაერთი წერილი ქართველსა და ევროპელ მხატვრებზე. ქალბატონმა მერიმ მკითხველებს ერთ-ერთმა პირველმა გააცნო ავთო ვარაზის შემოქმედება. 1995 წლიდან, მისივე თხოვნით, გადავიდა საექსკურსიო ბიუროს უფროს მეთოდისტად. გიდ-პედაგოგ მერი გაჩეჩილაძე-ჯანდიერის ლექციები ხასიათდებოდა მაღალი ემოციური მუხტით. მის პირად საქმეში მუზეუმის არაერთი დამთვალიერებლის გამოხმაურება და მადლობაა დაცული.

მუზეუმმა დაკარგა გამორჩეულად გულისხმიერი კოლეგა და მეგობარი.

**ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები**

# ცირა დავლიანიძე
## (1933-2017)



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ეროვნული მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომელი ცირა დავლიანიძე. დაიბადა 1933 წელს. 1957 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი ისტორიკოს–არქეოლოგის სპეციალობით.

1960 წლიდან მუშაობა დაიწყო სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ლაბორანტის თანამდებობაზე და გაიარა სამეცნიერო კარიერის ყველა საფეხური. იყო უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1977-2001 წლებში – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1991-2006 წლებში – არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი; 1992-2006 წლებში მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი, სამთავროს ფონდის მცველი, 2006 წლიდან კი სამთავროსა და თრიალეთის ფონდების მცველი და საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების მთავარი კურატორი. 2002 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

ცირა დავლიანიძემ 1977 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში“. გამოსცა 3 მონოგრაფია, დაბეჭდა ორი ათეული სტატია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულსა და აშშ-ის პერიოდულ გამოცემებსა და კატალოგებში.

ცირა დავლიანიძე გამოირჩეოდა საქმისადმი ერთგულებითა და კვლევა–ძიების სანიმუშო უნარით. მისი ნაშრომების უდიდესი ნაწილი მიძღვნილია ადრეანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის, ნაწილი კი წინაანტიკური და ადრებრინჯაოს ხანებისადმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1976 და 1983 წლებში გამოქვეყნებული მონოგრაფიები: „ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქვემო ქართლიდან (ხელოსნური ნაწარმის მიხედვით)“ და „ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის II ნახევარში“. ამ ნაშრომებში მოცემულია სრული ინფორმაცია ქვემო ქართლის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ, მასალა განხილულია ტიპოლოგიურად ანალოგიური მასალის ფონზე, რაც საშუალებას იძლევა დიდი სიზუსტით დადგინდეს ნივთის წარმომავლობა, გავრცელების არეალი, თარიღი და სხვ. ავტორი იძლევა ქვემო ქართლის ადრეანტიკული ხანის ზოგიერთი კომპლექსის ახალ თარიღს, რომელიც დამყარებულია პარალელურ მასალასა და სტატისტიკურ ანალიზზე.

ცირა დავლიანიძის ნაშრომები საყურადღებო კვლევაა ქვემო ქართლის ადრეანტიკური და ანტიკური ხანების ისტორიის შესასწავლად.

გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, იგი აქტიურად იყო ჩართული საფონდო და საექსპოზიციო სამუშაოებში. მან აღრიცხა ქვის ხანის, თრიალეთისა და მცირე ექსპედიციების ფონდის არაერთი კოლექცია: წოფის, ბეშთაშენის სამაროვნები, ითხვისისა და არგვეთის მასალები, სვანთა საველე, წონა, გომარეთი, ორთვალა კლდე და სხვ. აქტიურად იყო ჩართული არქეოლოგიური გამოფენების მოწყობასა (1958–1960 წწ.) და საექსპოზიციო (1977 წ.) სამუშაოებში. მონაწილეობდა ყვირილის ხეობის, ითხვის–არგვეთის, შულავერის, დედოფლის მინდვრის, ნოსირი–მუხურჩის ექსპედიციებში. 1968 წელს ხელმძღვანელობდა ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის გორაძირის რაზმს, ხოლო 1975 წელს - გომარეთის ანტიკური ხანის სამაროვანზე წარმოებულ ექსპედიციას.

ქალბატონ ცირასთვის მუზეუმი, არქეოლოგიის განყოფილება და მისი თანამშრომლები იყო მეორე და, შეიძლება ითქვას, მთავარი ოჯახი, მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, სადაც უხაროდა მოსვლა, მუშაობა და ადამიანებთან ურთიერთობა.

ქალბატონი ცირა ყოველთვის დარჩება მუზეუმის თანამშრომლების ხსოვნაში როგორც ერთგული მუზეუმელი და მეგობარი, იუმორის გამორჩეული გრძნობითა და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

**სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს**
**მუზეუმის არქეოლოგები**

# სარჩევი
# CONTENTS

## არქეოლოგია
## ARCHAEOLOGY

**რევაზ კვირკვაია, რევაზ დავლიანიძე, ნინო ჩხარტიშვილი**
არქეოლოგიური კოლექციები სოფ. ბორიდან.........................................................6
**Revaz Kvirkvaia, Revaz Davlianidze, Nino Chkhartishvili.**
Archaeological Collections from Bori

**ნანა გოგიბერიძე**
ოქროფენილი მძივები დედოფლის გორიდან ........................................................31
**Nana Gogiberidze**
Beads on Golden Lining from Dedoplis Gora

**ნოდარ ბახტაძე, ვაჟა მამიაშვილი, ბაჩანა გაბეხაძე, ჯიმშერ ჩხვიმიანი**
დურუჯისპირა ბაზილიკის არქეოლოგიური
კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში..........................................................................39
**Nodar Bakhtadze, Vazha Mamiashvili, Bachana Gabekhadze, Jimsher Chkhvimiani**
Durujispira Basilica Archaeological
Research in the Nekresi Former City

**ზურაბ თვალჭრელიძე, ელისო ყვავაძე**
„ქვაბების" სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის
არტეფაქტების ინტერდისციპლინარული კვლევის შედეგები .............................63
**Zurab Tvalchrelidze, Eliso Kvavadze**
Results of Interdisciplinary Research of Artifacts of the
"Qvabebi" Monastic - Settling Complex

## ნუმიზმატიკა
## NUMISMATICS

**მედეა შეროზია**
ახალი ნუმიზმატიკური მასალა
დედოფლის გორიდან......................................................................................87
**Medea Sherozia**
Dedoplis Gora According to Numismatic Evidences

**ციალა ღვაბერიძე, მარიამ ქორიძე**
სოფელ სიონის განძი ......................................................................................99
**T. Gvaberidze, M. Koridze**
Hoard from Village Sioni

## გლიპტიკა
## GLYPTIC


**ქეთევან რამიშვილი**
მეფე გიორგი XII-ის საბეჭდავი ........ 113
**Ketevan Ramishvili**
King George XII's Seal


## ეთნოგრაფია/ეთნოლოგია
## ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY


**მამუკა წურწუმია**
დასარტყმელი (საცემი) იარაღი შუა საუკუნეების საქართველოში ........ 124
**Mamuka Tsurtsumia**
Blunt Weapons in Medieval Georgia

**გულნარა კვანტიძე**
დიდგვაროვანი მამაკაცის ჩაცმულობა XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში ........ 165
**Guliko Kvantidze**
Clothes of Noblemen in the 17th-18th cc. East Georgia

**ცისნამი სიდამონიძე**
ხომლი – გასანათებელი ხელსაწყო XVII-XIX სს. საქართველოში ........ 205
**Tsisnami Sidamonidze**
"Homli" - on History of Candle Lit in the 17th -19th cc Georgia

**თამარ გელაძე, ნინო დათუნაშვილი**
დავით გველესიანი ........ 212
**Tamar Geladze, Nino Datunashvili**
David Gvelesiani

**მარინე ბოკუჩავა**
სოფლის მეურნეობის დარგები საინგილოში ........ 248
**Marine Bokuchava**
Agriculture of Saingilo


## ისტორია
## HISTORY


**ნიკოლოზ მურღულია, დავით ლომიტაშვილი**
ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემა ადგილობრივ, რეგიონულსა და გლობალურ კონტექსტებში ........ 262
**Nikoloz Murghulia, Davit Lomitashvili**
Fortification System of Egrisi Kingdom in Local, Regional and Global Contexts

**ბესიკ ლორთქიფანიძე**
ქართლისა და ეგრისის ურთიერთობის ისტორიიდან VII საუკუნის II ნახევარსა და VIII საუკუნის დასაწყისში ........ 273
**Besik Lortkipanidze**
On History of Interrelation of Iberia and Lazica in the 2nd Half of the 7th c - Beginning of the 8th c AD

**ნატალია ბერუჩაშვილი**
მღვდელმთავარი მიტროფანე ........ 283
**Natalia Beruchashvili**
Metropolitan Mitrofan

## ხელოვნებათმცოდნეობა
## ART CRITICISM

**ერმილე მაღრაძე**
მოდინახეს ნეკროპოლში მიკვლეული გვიანანტიკური ხანის პოლიქრომიული ნივთების ტექნოლოგიური პროცესები და მათი კავშირი შუა საუკუნეების ტიხროვანი მინანქარის ტექნოლოგიასთან ........ 307
**Ermile Magradze**
Technological Processes of the Polychromatic Style Objects Found at the Late Antique Period Necropolis of Modinakhe and Their Connection to the Medieval Cloisonné Enamel Technology

**გიორგი გაგოშიძე, სოფიო გაგოშიძე**
ნიქოზის საეპისკოპოსო საყდრის ძველი კანკელი ........ 318
**Giorgi Gagoshidze, Sopio Gagoshidze**
Ancient Altar Screen of Nikozi Episcopal Church

**მარინა დგებუაძე , ნათია დემურიშვილი**
ჩინური და იაპონური კერამიკის ჭურჭლის ერთი ჯგუფის ატრიბუციისათვის ........ 328
**Marina Dgebuadze, Natia Demurishvili**
Attribution of the Chinese and Japanese Ceramic Ware

**მანანა ალფენიძე**
უილიამ ჰოგარტის პორტრეტისათვის ........ 338
**Manana Alpenidze**
To William Hogart's Portrait

**ირინა გუგუნავა**
XVIII-XIX საუკუნეების ირანული ფერწერული მინანქრის ნაკეთობები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან ........ 349
**Irina Gugunava**
The 18th-19th cc Iranian Painted Enameled Metal Ware from the Georgian National Museum

**ლილი გიორგობიანი**

XIX-XX სს-ის მხატვრული ესთეტიკის განვითარების ფონზე ............................ 358
**Lili Giorgobiani**
Georgian Woman's Theme in Art

**მარინე აბრამიშვილი**
თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნება (საქართველოს ეროვნული გალერეის
საფონდო მასალის მიხედვით) ........................................................................ 379
**Marina Abramishvili**
Georgian Modern Punchwork Arts
(According to Deposifoives of Dimitry Shevardnadze
National Picture Gallery)

## სამუზეუმო საქმე
## MUSEOLOGY

**თემურ შარიქაძე**
რუსეთის იმპერიის არმიის პოლკებში მომსახურე ქართველი სამხედრო პირები და
პოლკებისადმი მიძღვნილი მემორიალური ნივთები ........................................... 392
**Temur Sharikadze**
To Study of Memoriable Exhibits

## რესტავრაცია/კონსერვაცია
## RESTORATION/CONSERVATION

**ნინო ქებულაძე, ნათია ძიგუა, ნანა გოგინაშვილი**
არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სპილენძის შენადნობების კვლევა და
რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდების შედარებითი ანალიზი ....................... 429
**Nino Kebuladze, Natia Dzigua, Nana Goginashvili**
Scientific Research of Archaeological and Ethnological Copper Alloys and Comparative
Analysis of Conservation Methods

**ქრონიკა** .................................................................................................. 452

## მოგონებები
## MEMORIES

ნოდარ ლომოური ........................................................................................ 483
ქეთევან მუშკუდიანი .................................................................................... 487
ნინო ოქროსცვარიძე .................................................................................... 489
მერი გაჩეჩილაძე- ჯანდიერი ........................................................................ 491
ცირა დავლიანიძე ........................................................................................ 492

## შემოკლებათა განმარტება

**აკცჟძ** – არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი „ძიებანი“

**გამ -** საქართველოს ეროვნული გალერეის გამოყენებითი ხელოვნების ფონდი.

**გფ -** განძების ფონდი

**თსუ -** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**იიშ -** ისტორიის ინსტიტუტის შრომები

**მსკი -** მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

**ომმ -** ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

**სდსძ -** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები

**სემ** – საქართველოს ეროვნული მუზეუმი

**სემმ -** საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბე“

**სიამ -** საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები.

**სიემ -** სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი

**სმამ -** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“

**სმამ -** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“

**სსმმ -** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“

**სხეც -** საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

**ქმძფ -** ქალური მონეტების ძირითადი ფონდი

**ციმ** – ცაგერის ისტორიული მუზეუმი

**АС** - Археология СССР

**ВДИ** - Вестник древней истории

**ВИГИПККР** – Вестник Института гуманитарных исследований Правителства КБР и КБНЦ РАН

**ИКОМАО** - Известия Кавказского отделения Московского археологического общества

**МАК** - Материалы по археологии Кавказа

**МАР** - Материалы по археологии России

**МИАСК –** Материалы и исследования по археологии Северного Кавказа

**ПАИ** - Полевые Археологические Исследования

**СА** - Советская археология

**САИ** - Свод Археологических Источников

**BCMA** – The Bulletin of the Cleveland Museum of Art

**BMGS** – Byzantine and Modern Greek Studies

**MMAB** – The Metropolitan Museum of Art Bulletin

**კოორდინატორი** ცისნამი სიდამონიძე
**Coordinater** Tsisnami Sidamonidze

**სტილისტ-რედაქტორი** ნინო ნადარაია
**Editor** Nino Nadaraia

**მთარგმნელი** მედეა წოწელია
**Translator** Medea Tsotselia

**კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი:** ირაკლი ხუციშვილი, ირაკლი დევდარიანი
**Computer and graphic design:** Irakli Khutsishvili, Irakli Devdariani

**ტექნიკური უზრუნველყოფა:** ალექსანდრე ჩხაიძე

**Technical support:** Alexsandre Chkhaidze